

114
1951

ქართული
ბიბლიოთეკა

მნათობი

6

036060



1951

მნათობი



საქართველოს სსრ-ის სახელმწიფო გამომცემლობის
და საზოგადოებრივი კოლმედიის გამომცემლობა

საქართველოს სსრ-ის სახელმწიფო გამომცემლობის გამომცემლობა

წილისადი ოცდახუთე

6

★

ი ვ ნ ი ს ი

19

სახელმწიფო
თბილისი

51



1145

უკვლავი ბოროკი. ჩვენი ბოროკი!



გორკი საბჭოთა ხალხისა და მთელი პროგრესული კაცობრიობის სიამაყეა. მან, ისე როგორც არავინ მხატვრული აზროვნების ისტორიაში, უჩვენა მთელ მსოფლიოს, თუ რაოდენ საზიზღრობას, ქუქყსა და უკეთურობას ბაღებს ადამიანის მიერ ადამიანის ჩავერაზე აგებული კაპიტალისტური საზოგადოება და რაოდენი სიკეთე, სინათლე და სილამაზე მოაქვს ადამიანისათვის კომუნისტურ საზოგადოებას, იმ საზოგადოებას, რომელიც მოასწავებს კაცობრიობის გადასვლას აუცილებლობის სამეფოდან თავისუფლების სამეფოში.

თავის მოგონებაში ჩეხოვის შესახებ გორკი სწერდა: „როდესაც ანტონ ჩეხოვის მოთხრობებს ჰკითხულობთ, თავს სწორედ ისე გრძობთ, როგორც გვიანი შემოდგომის ნაღვლიან დღეს, როდესაც გამჟვირვალე ჰაერში მკაფიოდ არიან მოხაზული შიმშველი ხეები, ვიწრო სახლები, უფერული ადამიანები... ავტორის გონება, სწორედ როგორც შემოდგომის მზე, მკაცრი სიცხადით აშუქებს გაფუჭებულ გზებს, მიზგრეულ-მოზგრეულ ქუჩებს, ვიწრო და ქუქყსა-ყიან სახლებს, რომლებშიაც მოწყვეტილობისა და მცოხარობისაგან იგულებიან პატარა საცოდავი ადამიანები, რომლებიც თავიანთ სახლებს ავსებენ გაუაზრებელი, ნახევრად მთვლემარე ფუსფუსით...“

უსუსური ადამიანების ამ მოსაწყენი, უფერული ბრბოს ახლოს გაიარა დიღმა, ჭკვიანმა, ყველაფრის დამკვირვებელმა კაცმა, შეხედა მან თავის სამშობლოს ამ მოსაწყენ მცხოვრებელ და ნაღვლიან ღიმილით, ნაზი, შავრამ ღრმა სიყვარულის კილოთი, სახეზე და გულში აღბეჭდილ უიმედო ღიმილით, ღამაში გულწრფელი ხმით უთხრა მათ:

— საძაგლად ცხოვრობთ თქვენ, ბატონებო!“

ამ სიტყვების მსგავსად თვით გორკიზე კიდევ უფრო მეტად ითქმის, რომ მისმა გონებამ, როგორც კამაშა მზემ, გააშუქა რევოლუციამდელი რუსეთის საზოგადოების ყველა მხარე, გვიჩვენა მისი ფსკერიც და ზედაპირიც, დაგვინახვა, რომ იქ, მაშინწინა ჩელკაშებისა და კონოვოლოვების, სისხლისმსმელი მიაკინების, კაპიტალისტური სვავების — არტამონოვებისა და თავგზადაკარგული გორდეეების გარდა, იყვნენ მებრძოლი ნილები, თავდადებული პროფესიული რევოლუციონერები — ვლასოვები და გმირი მებრძოლი დედები — ნილოვები. და დიღმა, ჭკვიანმა გენიალურმა მხატვარმა — გორკიმ ახლოს კი არ ჩაუარა ამ ადამიანებს, არამედ, როგორც გრიგალი, შეიქრა მათ წრეში, შეიქრა ცხოვრების სიღრმეში და თავის მკეპარე ხმით სთქვა, რომ მშრომელთა გამარჯვება გარდევალა, რომ მამაცი დანკოები აღმოადებული გულით გაუნათებენ გზას ადამიანებს.

გორკი უბედნიერესი მწერალა ყველა დროის მწერალთა შორის მით, რომ იგი იყო მეგობარი და მოწაფე კაცობრიობის ისტორიაში უბადლო გენიოსების — ლენინისა და სტალინისა. მათმა ცხოველმყოფელმა იდეებმა ყველაზე მდიდარი ნიადაგი ჰპოვეს ამ უდიდესი ნიქით დაჯილდოებული ადამიანის სულში, გორკის სულში, რომელიც მკაფიოდ ანსახიერებდა დიდი, ნიჭიერი რუსი ხალხისა და მისი რევოლუციური მუშათა კლასის ყველა მაღალ სულიერ თვისებას.

გორკის შემოქმედება, რომელიც მტკიცედ ეფუძნება დიდი რუსული ლიტერატურის საუკეთესო ტრადიციებს, წარმოადგენს თვისობრივად ახალ მოვლენას კაცობრიობის მხატვრული აზროვნების განვითარებაში.

გორკი, როგორც დიდი საბჭოთა ლიტერატურის ფუძემდებელი, არის პირველი პრაქტიკოსი და მამამთავარი ცხოვრების მხატვრული ათვისების ყველაზე სწორი და ჭეშმარიტი მეთოდისა — სოციალისტური რეალიზმის მეთოდისა. სწორედ ამ მეთოდით შესწავლა დიღმა მხატვარმა ასე ღრმად ჩაეხედა არა

მარტო თავის ეპოქაში, არამედ გადაეხედა ხვალნდელ დღეშიც და უჩვეულებსა უმშვენიერესი და უმაღლესი ტანის ადამიანის დაბადების პროცესსა. გორკი პირველი და ჯერ კიდევ უდიდესია იმ მწერალთა შორის, რომელთა უკვდავი მხატვრული სახეები, მგზნებარე მოწოდებანი და ცხოველყოფელი აფორიზმები ადამიანთა შეგნებაში აკვიდრებენ უმაღლეს მორალურ პრინციპებსა და ადამიანობის საუკეთესო იდეალებს.

შეიძლება თამამად ითქვას, რომ მთელი მსოფლიოს მხატვართა შორის გორკის არ ჰყავს ბადალი, რომელსაც ასეთი სისხესით ეჩვენებინოს შრომის მაღალი პოეზია, ასეთი ცხოველყოფელი მგზნებარებით განეციცხოს კაპიტალიზმის ბიჭიერებანი და ასეთ სიმამლუხე აეყვანოს მებრძოლი, რევოლუციური, სოციალისტური ჰუმანიზმი.

რომელი ჩვენთაგანის სულს არ აღელვებს ადამიანის რწმენისა და სიყვარულის უდიდესი ენერჯით აღსავსე სიტყვები: „ადამიანი — აი სიმართლე!.. ყველაფერი ადამიანისათვის! არსებობს მხოლოდ ადამიანი, სხვა ყველა დანარჩენი — მისი ხელისა და ტვინის საქმეა. ადამიანი! ეს დიდებულია! რა ამაყად ეღერს ეს!.. პატრვი უნდა სცე ადამიანს! კი არ შეიბრალო... კი არ დაამცირო სიმბრალულით... პატრვი უნდა სცე! კარგია ეს — გრძნობდე თავს ადამიანად!“. რა დიდი სახელმძღვანელო სიმბრანეა გორკის იმ აზრში, რომ მტერი, რომელიც არ გნებდებათ, უნდა მოსპოთ.

გორკი კარგად ხედავდა, რომ ყველა მისი სანუკვარი ოცნება, მისი პოლიტიკური და ესთეტიკური იდეალები ზორცს ისხამდნენ დიად საბჭოთა კავშირში, „... იმ ქვეყანაში, რომელიც გაშუქებულია ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის გენიით, ქვეყანაში, სადაც დაუღალავად და სასწაულმოქმედად მუშაობს იოსებ სტალინის რკინის ნებისყოფა“.

ამ ქვეყანაში ცხოვრება, შრომა და შემოქმედება მაქნამ გორკის მიაჩნდა უდიდეს ბედნიერებად.

სოციალისტური ჰუმანიზმის მგზნებარე მესიტყვეს ღრმად სწამდა ადამიანთა დიადი განკაცება, მათი გაწმენდა ძველი საზოგადოების ქუჩუქისა და სინთურისაგან. ხოლო ადამიანთა კომუნისტური აღზრდის მთავარ ნიდავად და სარბიელად გორკის მიაჩნდა შრომა, სოციალისტური შრომა.

დიდი მწერალი დაუნობლად ამხილებდა იმ ადამიანთა გონებრივ უსუსურობას, რომელთაც არ სწამთ ადამიანთა ხელახლად აღზრდის შესაძლებლობა. ჯერ კიდევ 1932 წელს გორკი წერდა:

„არიან ადამიანები, რომელთაც არ სწამთ, რომ შეიძლება ადამიანის ხელახლად აღზრდა, მისი გაათვისუფლება საუკუნოებრივი ძალადობის, მტკვერისა და ტალახისაგან. მათ არ სწამთ. რადგან არ იციან, რომ თვით არიან დანაგვიანებულნი, მაგრამ უკვე იმდენად, რომ არ შესწევთ უნარი იცოდნენ, არ შესწევთ უნარი შეისწავლონ ცხოვრება, დაინახონ მისი ქუჩუქიანი სამარცხვინო საზინელება და შემოქმედებითი მრისხანებით შეიარაღდნენ საზინელებათა ორგანიზატორების წინააღმდეგ საბრძოლველად. ესენი ზარბაცი და გულგრილი ჰკუის ადამიანებია, მათ სურთ იცხოვრონ მშვიდად, და მხოლოდ ზოგერთი მათგანი ემალება ცხოვრებას — ეფარება პრიმიტიულად პატარა აზრებს სიკვდილის შესახებ, ამტკიცებს რა, მაგალითად, რომ „სიკვდილი ყველაზე მნიშვნელოვანი მომენტია ცხოვრებისა“, რომ „ადამიანის ცხოვრების მეორე ნახევრის ნორმალური ფსიქოლოგია არის სიკვდილისათვის შემზადების ფსიქოლოგია“. აი, ეს, ალბათ, სიმართლეა, რადგან ლაპარაკია მეშინული, მიხრწნილი, მომაკვდავი საზოგადოების ფსიქოლოგიაზე. ჩვენ სიკვდილზე ფიქრის დრო არ გვაქვს, ჩვენ ხელთ ავიდეთ ცხოვრება და ვაბდნეთ მის გარდაქმნას, — ეს უადრესად ძნელი სამუშაოა, რაც მოითხოვს ნებისყოფისა და გონების ყველა ძალის შეუწყვეტელ, გამორულ დაძაბულობას.“

სოციალისტური საბჭოების კავშირში იმადება ახალი კაცობრიობა. და ამ ახალი კაცობრიობის აღზრდასა და გამოწრთობაში, ახალი ყოფის დიდებული, გონიერული და პარმონიული ფორმების შექმნაში, საბჭოთა ადამიანების მაღალი მორალური თვისებების გამოშუშაებაში განუზომელია გორკის როლი.

იგი მთელი თავისი მგზნებარე შემოქმედებით, მთელი თავისი ლამაზი, ში-

ნაარსიანი და მღელვარე ცხოვრების მგალობით დიდხანს, ძალიან დიდხანს იქნება მაღალი ადამიანური იდეალების შთამგონებელი მთელი კაცობრიობისათვის.

უსაზღვროა გორკის სიძულვილი კაპიტალისტური სისტემისადმი. ლისტერი ყაჩაღებისადმი, ომის სისხლიანი გამჩალებლებისადმი.

გორკიმ თავის არა ერთსა და ორს მოთხრობასა, წერისა, ნარკვევასა და პამფლეტში გვიჩვენა კაპიტალიზმის მხეცური სახე, მისი პარაზიტულობა, მისი კაცობრივად ბუნება, მისი მტრობა ყოველივე ადამიანური მშვენიერებისადმი, დაგვიანება თანამედროვე ბურჟუაზიული კულტურის შინაგანი ხრწნა და სიღამლე.

თავის შესანიშნავ პამფლეტში „ყვითელი ეშმაკის ქალაქში“ გორკიმ უდიდესი ძალით დაგვიხატა ყველაზე არაადამიანური, ყველაზე უსულგულო კაპიტალიზმი — ამერიკის კაპიტალიზმი.

„ყვითელი ეშმაკის ქალაქი“ — ეს კაპიტალისტური ნიუ-იორკია, ეს მთელი კაპიტალისტური ამერიკაა. ამ ქალაქის საოცარი სტიქიიდან თავისი მხეცური თვალებით გამოიყურება ამერიკული იმპერიალიზმის კაცობრივად გულცივიობა. ქუჩის ცხოვრების მთელ ამ ქაოსში, გაუმაძღრობის ბლავილში, ქვისა, რკინისა და მინის ამ პირქვეშ ფანტაზიაში თქვენ ნათლად ხედავთ კაპიტალიზმის ამზრუნველ სიმანინჯეს. აქ ადამიანის ყოველი ნამოქმედარი ორივე თვალთ ბრმაა; მთელი ეს ნივთიერი გარემო შექმნილია არა იმისათვის, რომ ადამიანს მოემსახუროს. არამედ შექმნილია ადამიანის გასაქუცლევად, ადამიანის დასამონებლად. აქ ნივთების სტიქიური ლოგია ნთქავს და ახშობს გრძნობის, აზრისა და გონების ლოგიკას. არსებობს მხოლოდ ერთადერთი ვენებათაღელვა — ყვითელი ეშმაკის, ე. ი. დოლარის დაგროვების ვენებათაღელვა. აქ დოლარი არის უსულა ექვივალენტი ყოველივე ადამიანური ღირსებისა. და არა გასაკვირველია, რომ კაპიტალისტური საზოგადოების ეს უპიროვნო და უსულგულო ღმერთი ბადებს თავისავე მსგავს სულიერ სამყაროს, თავისავე მსგავს იდეოლოგიას.

გორკიმ ეს სულიერი სამყარო შესანიშნავად გვიჩვენა ამერიკელი მილიონერის ტიპიურ სახეში — რესპუბლიკის ერთ-ერთ მიფეში. პორტრეტის გროტესკულობა უმალ ნაკარნახევია თვით ამერიკის კაპიტალიზმისა და საერთოდ ყოველი კაპიტალიზმის მანინჯი ბუნებით, ვიდრე მწერლის თავისუფალი ფანტაზიით.

— ფულის კეთება! — აი, ერთადერთი მისწრაფება, რაც ასულდგმულებს ამ მიფეს. „ქარგი მთავრობა აუცილებელია. — ამბობს იგი, — იგი სწყვეტს ასეთ საკითხებს: ქვეყანაში უნდა იყოს იმდენი ხალხი, რამდენიც მე შესაქიროება იმისათვის, რომ მან იყიდოს ჩემგან ყოველივე ის, რისი გაყიდვაც მე მინდა. მუშები უნდა იყვნენ იმდენი, რამდენიც მე შესაქიროება. და არცერთი ზედმეტი... ამერიკელები უკვე საკმაოდ არიან გაკეთებულნი... ყოველივე ეს მთავრობის საქმეა. მთავრობის წევრები ყველანი უნდა იყვნენ სამრეწველო საწარმოთა აქციონერები, მაშინ ისინი მალე და ადვილად გაიგებენ ქვეყნის ინტერესებს“. შეიძლება ეს მიფე მოითხოვს თავის მსახურ ფილოსოფიას, ხელოვნებას, მოითხოვს ჯარისკაცებს სხვა ხალხთა შესამუსრად, ხოლო თავის ქვეყნის ხალხს უქადაგებს: „მშობო, თქვენ არ უნდა აფასებდეთ მიწიერი ცხოვრებას... მიწიერი სიკეთეები ეს მოჩვენებებია... არ გაუგონოთ იმ ადამიანებს, რომლებიც თქვენს გულში აღვიძებს შურის ცოდვილ გრძნობებს მით, რომ ვითითებენ ერთა სიმდიდრეზე და მეორეთა სიღატაკეზე. ეს ადამიანები ეშმაკის მოციქულებია. უფალი გვირმალავს შურს მოყვასისადმი“.

გორკიმ ამ სახეში, როგორც ვხედავთ გვიჩვენა არა მარტო იმდროინდელი ამერიკელი კაპიტალისტი, როდესაც „რესპუბლიკის ერთ-ერთი მიფე“ იწერებოდა...

როგორ ჰგავს მთელი ეს „დოლარის იდეოლოგია“ თანამედროვე ამერიკის მმართველი წრეების იდეოლოგიას.

დღეს ხომ უფრო მეტად ქადაგებენ უოლ-სტრიტის დაქირავებულ „თეორეტიკოსებს“ — სხვადასხვა ჯურის ფოგტები და ბარუხები — მოდერნიზებულ მალთუსის თეორიას დედამიწის მოსახლეობის აუცილებელი შემცირების

შესახებ; ამერიკის მმართველი წრეები დღესაც ხომ ყველაფერს უმორჩილებენ კაპიტალისტური მაგნატების გაუმძლავრ მადას; დღესაც ხომ იმპერიალისტური მტაცებლობა ტრუმენებისა და ქმათა მათთა ცხოვრებისეული წინააღმდეგობა და რაც მთავარია, დღეს ხომ უოლ-სტრიტის შავი ლაშქარი ღვრის უღდაბეზულო, თავისუფლებისმოყვარე კორეელი ხალხის სისხლს და გამალებით ცდილობს, რომ იმის ხანძარი წაუქიდოს მთელ მსოფლიოს.

მაგრამ იმპერიალისტთა ბნელ ზრახვებს აღკვეთენ მშვიდობის ძალები, რომელთა სათავეში დგას გორკის დიადი სამშობლო, შემტყიცებული დიდი სტალინის სიბრძნით.

გორკი კი მშვიდობის ძალების ერთი დიდი შთამაგონებელია.

გორკი უდიდესი ეპოქალური მნიშვნელობისა და მსოფლიო მასშტაბის მწერალია. მისმა გენიალურმა შემოქმედებამ უძლიერესი გავლენა მოახდინა მთელი მსოფლიო ლიტერატურაზე, განსაკუთრებით კი ყველა ქვეყნის პროგრესულ მწერლობაზე.



საქართველოსა და მისი დედაქალაქის — თბილისის მატინის ერთ-ერთ ბრწყინვალე, საამაყო ფურცელს შეადგენს ის, რომ პირველად აქ ჩამორეკა ზარი გორკის დიდმა მხატვრულმა ნიჭმა და აქ დაიწყო მისი ლიტერატურული მოღვაწეობა.

ამის შესახებ თვითონ გორკი წერდა 1931 წელს:

„მე არასოდეს მავიწყდება თბილისი, არ მავიწყდება, რომ სწორედ ამ ქალაქში გადავდგი პირველი გაუბედავი ნაბიჯი იმ გზაზე, რომლითაც უკვე ოთხი ათეული წელია წინ მივიღტე. შეიძლება ვიფიქროთ, რომ სწორედ ამ ქვეყნის დიდებულმა ბუნებამ და მისი ხალხის რომანტიკულმა გულითადადობამ, სწორედ ამ ორმა ძალამ მომცა ბიძგი, რომ ყოფილი მოხეტიალე გავმხდარიყავი ლიტერატორი“.

გორკისა და მისი თბილისელი მეგობრების ურთიერთობისა და საქართველოში გორკის პირველი ლიტერატურული ნაბიჯის შესახებ საკმაოდ მდიდარი ცნობებია გამოქვეყნებული ქართულ ჟურნალ-გაზეთებში და ისინი ცნობილია ქართველი მკითხველისათვის.

აქ საჭიროა აღინიშნოს, რომ, თუ გორკის შემოქმედებას პირველი ბიძგი მისცა საქართველოს დიდებულმა ბუნებამ და ქართველი ხალხის რომანტიკულმა გულითადადობამ, შემდეგ თვით გორკის დიდმა შემოქმედებამ ბრწყინვალედ უზღო ჩვენს ქვეყანას თავისი ღვაწლი და დიდი ბიძგი მისცა ქართული ლიტერატურის შემდგომ განვითარებას.

ახალმა ქართულმა ლიტერატურამ, განსაკუთრებით მისმა დემოკრატიულ-პროლეტარულმა ნაწილმა, განიცადა გორკის შემოქმედების დიდი გავლენა. ეს გავლენა დღემდე გრძელდება და მომავალშიც გაგრძელდება.

სოციალისტური რევოლუციის მეთოდის განმტკიცება ქართულ ლიტერატურაში, უწინარეს ყოვლისა, დაკავშირებულია გორკის შემოქმედების ცხოველყოფილ გავლენასთან.

ცხოვრებისადმი აქტიური, გარდამქმნელი დამოკიდებულებისა და მეზობელი სულსკვეთების დამკვიდრებას ახალ ქართულ ლიტერატურაში უამავლად დიდად უწყობდა ხელს გორკის შემოქმედების ძლიერი გავლენა.

მაგრამ გორკის როლი დიდია არა მარტო ქართული მწერლობის განვითარებაში, არამედ ქართველი მკითხველის — ქართველი მშრომელი ადამიანის სულის ფორმირებაშიაც. ქართველი ხალხი იმთავითვე ხარბად დაეწაფა და დღესაც ეწაფება გორკის უკვდავ თხზულებებს.

კიდევ მეტი: გორკი იმდენად ახლობელი — და საყვარელი მწერალია ქართველი ხალხისა და ქართველი მწერლობისათვის, რომ იგი ქართულ ლიტერატურაში უკვე შედის როგორც მხატვრული სახე, როგორც ლიტერატურული გმირი.

გორკის უჭკნობი შემოქმედება კაცობრიობის პროგრესული ძალების საბრძოლო დროშაა მსოფლიო რევოლუციის წინააღმდეგ.

შემოქმედებითი მარქსიზმის პენიალური ნაწარმოები

(ი. ბ. სტალინის შრომის „მარქსიზმი და ენათმეცნიერების
საკითხების“ გამოცხვლის წლისთავის გამო)

★

ამხანაგ ი. ბ. სტალინის ნაწარმოები „მარქსიზმი და ენათმეცნიერების საკითხები“ უძვირფასესი განძია მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიაში. ამ შრომაში განზოგადებულია უდიდესი კონკრეტულ-ისტორიული მასალა, ახალ, უმაღლეს საფეხურზეა აყვანილი ენათმეცნიერების მარქსისტულ-ლენინური თეორია. ამომწურავი სიცხადითა და სიღრმით დამუშავებულია ენათმეცნიერების უმნიშვნელოვანესი საკითხები, საფუძველი აქვს ჩაყრილი საბჭოთა ენათმეცნიერებას. ამხილა რა ნ. ი. მარის იმ ცრუმეცნიერული, ეგრეთწოდებული „ენის შესახებ ახალი მოძღვრების“ სრული უსაფუძველობა, რომელიც გაბატონებული იყო ენათმეცნიერებაში, ამხანაგმა სტალინმა ცხადყო, რომ ამ მოძღვრებას მარქსიზმთან საერთო არა აქვს რა.

ამხანაგ სტალინის ნაწარმოებში ენათმეცნიერების საკითხებზე გადაჭრილია მარქსისტულ-ლენინური თეორიის ურთულესი პრობლემები, რომლებსაც ფასდაუდებელი მნიშვნელობა აქვთ მთელი საბჭოთა მეცნიერების შემდგომი შემოქმედებითი განვითარებისათვის, საბჭოთა ხალხისადმი მტრულ ბურჟუაზიულ იდეოლოგიასთან ბრძოლისათვის, დოგმატიზმის, მედავიითეობისა და თალმუდიზმის ყველა და ყოველგვარ გამოვლინებასთან ბრძოლისათვის.

ამხანაგმა სტალინმა მოგვცა უაღრესად ნათელი, მარქსისტული განსაზღვრა ენისა როგორც საშუალებისა, იარაღისა, რომლის შემწეობითაც აღამიანებს ურთიერთობა აქვთ ერთმანეთთან, უზიარებენ ერთმანეთს აზრებს და აღწევენ ურთიერთგაგებას. მან ცხადყო, რომ ენა წარმოიშვება და ვითარდება საზოგადოების წარმოშობასა და განვითარებასთან ერთად. ამხანაგმა სტალინმა ცხადყო, რომ ენას ღრმა ორგანული კავშირი აქვს წარმოებასთან, გვიჩვენა, რომ თუ არ არსებობს ენა, შეუძლებელია არსებობდეს საზოგადოებრივი წარმოება და თვით საზოგადოება. „...თუ არ არსებობს საზოგადოებისათვის გასაგები და ყველა მისი წევრისათვის საერთო ენა, საზოგადოება წყვეტს წარმოებას, ირღვევა და აღარ არსებობს, როგორც საზოგადოება. ამ გაგებით ენა, რომელიც ურთიერთობის იარაღია, ამასთანავე საზოგადოების ბრძოლისა და განვითარების იარაღს წარმოადგენს“ (ი. სტალინი. მარქსიზმი და ენათმეცნიერების საკითხები. 1951 წ., სახელგამის პოლიტიკურატურის სექტორი, გვ. 20 — 21).

ამხანაგი სტალინი გვასწავლის, რომ ენა და მისი კანონები შეგვიძლია გავიგოთ მხოლოდ საზოგადოების ისტორიასთან დაკავშირებით, იმ ხალხის ისტორიასთან დაკავშირებით, რომელსაც შესასწავლი ენა ეკუთვნის. ამასთან ნახვასით არის აღნიშნული ხალხის მასების როლი ენის განვითარებაში, რომლის შემოქმედი და მატარებელია თვით ხალხი. ამხანაგმა სტალინმა მოგვცა ენის დამასახათებელი ნიშნების ამომწურავი ანალიზი. „როგორც ცნობილია, ყველა სიტყვა, რაც ენაში მოიპოვება, — ამბობს ამხანაგი სტალინი, — ერთად

შეადგენს ენის ეგზეტოწოდებულ ლექსიკურ შემადგენლობას. ენის ლექსიკურ შემადგენლობაში მთავარია ძირითადი ლექსიკური ფონდი, რომელშიც შედის ყველა ძირეული სიტყვა, როგორც მისი ბირთვი. იგი გაცილებით უფრო ნაკლებ ვრცელია, ვიდრე ენის ლექსიკური შემადგენლობა, მაგრამ ცოცხლობს ძალიან დიდხანს, საუკუნეთა განმავლობაში და არის ენის ბაზა ახალი სიტყვების წარმოსაქმნელად. ლექსიკური შემადგენლობა ასახავს ენის მდგომარეობის სურათს: რაც უფრო მდიდარი და მრავალფეროვანია ლექსიკური შემადგენლობა, მით უფრო მდიდარი და განვითარებულია ენა“ (იქვე, გვ. 21).

მაგრამ, ამხანაგ სტალინის შესანიშნავი ხატოვანი გამოთქმით, ლექსიკური შემადგენლობა არის ენის მხოლოდ საშენი მასალა — თავისთავად იგი როდი შეადგენს ენას, თუმცა უძიმოდ წარმოუდგენელია რაიმე ენა. ლექსიკურ შემადგენლობას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება, როცა იგი გადადის ენის გრამატიკის განკარგულებაში. გრამატიკა განსაზღვრავს სიტყვათა ცვლილების წესებს, წინადადებად სიტყვათა შეკავშირების წესებს და, ამრიგად, ენას მწყობრ, გააზრებულ ხასიათს ანიჭებს. „...გრამატიკის წყალობით ენას შესაძლებლობა ეძლევა ადამიანის აზრი ჩამოაყალიბოს მატერიალურ ენობრივ გარესში“ (იქვე, გვ. 21). ენის გრამატიკული წყობა და მისი ძირითადი ლექსიკური ფონდი შეადგენს ენის საფუძველს.

ამხანაგმა სტალინმა ცხადყო ენის განვითარების კანონები. მან დავებანხეა, რომ თანამედროვე ენის ელემენტები შეიქმნა ჯერ კიდევ უძველეს დროში, მონობის ეპოქამდე. საწარმოო ძალების ზრდამ, დამწერლობის გაჩენამ, სახელმწიფოს წარმოშობამ, ვაჭრობის განვითარებამ, საბუნებადი მანქანის გაჩენამ, ლიტერატურის განვითარებამ დიდი ცვლილებანი შეიტანეს ენაში. მაგრამ ენის განვითარება ხდებოდა არსებულ ენის არა აფეთქებისა და მოსპობისა და ახლის შექმნის გზით, როგორც ამას ამტკიცებდნენ მარქსიზმის ვულგარიზატორები — ნ. ი. მარის და მისი მიმდევრები, არამედ არსებული ენის ბირთვით ელემენტების გამოლისა და სრულყოფის გზით. „მარქსიზმს მიაჩნია, რომ ენის გადსახლა ძველი თვისებრიობიდან ახალში ხდება არა აფეთქების გზით, არა არსებული ენის მოსპობისა და ახლის შექმნის გზით, არამედ ახალი თვისებრიობის ელემენტების თანდათანობითი დაგროვების გზით, მამასა-დამე, ძველი თვისებრიობის ელემენტების თანდათანობითი კვდომის გზით“ (იქვე, გვ. 26).

ამხანაგმა სტალინი ამხილებს ნ. ი. მარის იმ დებულების ანტიმეცნიერულობას, რომ ენა ზედნაშენია. იგი ცხადყოფს, რომ ზედნაშენი არის პროლექტი ერთი ეპოქისა, რომლის განმავლობაშიც ცოცხლობს და მოქმედებს ესა თუ ის ეკონომიკური ბაზისი. ზედნაშენისაგან განსხვავებით, ენა არ შეიძლება განვიხილოთ როგორც რომელიმე ერთი ეპოქის პროლექტი. ენის სტრუქტურა, მისი გრამატიკული წყობა და ბირთვითი ლექსიკური ფონდი მთელი რიგი ეპოქების პროლექტია. პუშკინის შემდეგ რუსეთში მოისპო ფეოდალური და კაპიტალისტური წყობილება და დამკვიდრდა ახალი, სოციალისტური წყობილება, მოისპო ფეოდალური და კაპიტალისტური ბაზისი, ფეოდალური და კაპიტალისტური ზედნაშენი. მაგრამ რუსული ენა თვისი სტრუქტურის მხრივ ამ ხნის განმავლობაში ბირთვიად უცვლელი დარჩა.

ამხანაგმა სტალინმა განმარტებელი კრიტიკის ცეცხლში გაატარა ნ. ი. მარის ანტიმარქსისტული დებულებები ენის კლასობრიობის შესახებ. მან ცხადყო, რომ არ შეიძლება ერთმანეთში ავირიოთ ენა და კულტურა, რომელიც შეიძლება ბურჟუაზიულიც იყოს და სოციალისტურიც. ენა კი, როგორც ადამიანთა ურთიერთობის საშუალება, ყოველთვის საერთო-სახალხოა. იგი ემსახურება საზოგადოების ყველა კლასს, ბურჟუაზიულ კულტურასაც და სოციალისტურ კულტურასაც. თუ კულტურა თავისი მინარჩით იცვლება საზოგადოების განვითარების ყოველ ახალ პერიოდში, ენა რამდენიმე პერიოდის მანძილზე ბირთვიად ისეთივე რჩება, როგორც იყო. იგი ერთნაირად ემსახურება როგორც ახალ, ისე ძველ კულტურას.

ამხანაგმა სტალინმა ამხილა ნ. ი. მარის ვულგარულ-მატერიალისტური „ახალი მოძღვრება ენის შესახებ“. დაამუშავა ენათმეცნიერების ურთულესი საკითხები და ამით ბოლო მოუღო იმ წარმოუდგენელ არევ-დარევას, რომე-

ლიც გამეფებულ იყო ამ მეცნიერების მუშაკთა შორის, საფუძველი ჩაეყარა საბჭოთა, ნამდვილად მარქსისტულ მეცნიერებას ენის შესახებ.

ამხანაგმა სტალინმა გვიჩვენა საბჭოთა ენათმეცნიერების განვითარების კონკრეტული გზები: „ენათმეცნიერებაში არაჩვეულების რეჟიმის [დღევანდელი] მ. ი. მარის შეცდომების უარყოფა, ენათმეცნიერებაში მარქსიზმის დანერგვა...“ (იქვე, გვ. 32).

ამხანაგ სტალინის ამ მითითებებს უდიდესი მნიშვნელობა აქვთ არა მარტო ენათმეცნიერებისათვის, არამედ მეცნიერების ყველა დარგისათვისაც. სტალინის ამ მითითებებზე დაყრდნობით საბჭოთა მეცნიერების მოღვაწეებმა ბოლშევიკური კრიტიკისა და თვითკრიტიკის საფუძველზე გააჩაღეს უმნიშვნელოვანესი მეცნიერული პრობლემების ფართო შემოქმედებითი განხილვა, მარქსიზმის ვულგარიზაციის წინააღმდეგ ბრძოლა, რასაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს მეცნიერების შემდგომი აყვავებისათვის, კომუნისმის გამამარჯვებლად ბრძოლაში მისი როლის გაძლიერებისათვის.



ამხანაგ სტალინის ნაშრომებში ენათმეცნიერების საკითხებზე განსაკუთრებული სიცხადითა და სიღრმით არის გადაჭრული დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის მთელი რიგი უერთლესი საკითხები.

სანამ გამოვიდოდა ამხანაგ სტალინის ნაშრომი „მარქსიზმი და ენათმეცნიერების საკითხები“, ჩვენს ფილოსოფიურ, ეკონომიურ და ისტორიულ ლიტერატურაში ბაზისისა და ზედნაშენის საკითხები არსებითად არ მუშავდებოდა. ჩვეულებრივ ბაზისს აიგივებდნენ წარმოებასთან, ზედნაშენის კატეგორიაში შეჰქონდათ არა მარტო პოლიტიკური, უფლებრივი, რელიგიური, მხატვრული და ფილოსოფიური შეხედულებანი და მათი შესაბამისი დაწესებულებანი, არამედ საზოგადოებრივი შეგნების ყველა ფორმაც.

ამხანაგ სტალინის ნაშრომები ენათმეცნიერების საკითხებზე ბოლოს უღებენ ასეთ გაუბრალოებულ მიდგომას. ამხანაგი სტალინი გვაძლევს ბაზისისა და ზედნაშენის კლასიკურ განსაზღვრებას. „ბაზისი არის საზოგადოების ეკონომიური წყობილება მისი განვითარების ამა თუ იმ ეტაპზე. ზედნაშენია საზოგადოების პოლიტიკური, უფლებრივი, რელიგიური, მხატვრული, ფილოსოფიური შეხედულებანი და მათი შესაბამისი პოლიტიკური, უფლებრივი და სხვა დაწესებულებანი“ (იქვე, გვ. 3).

ამხანაგი სტალინი ცხადყოფს ბაზისის განსაზღვრელ როლს ზედნაშენის მიმართ. ყოველ ბაზისს აქვს თავისი, მისი შესაბამისი ზედნაშენი. თუ იცვლება და ისპობა ბაზისი, იცვლება და ისპობა მისი ზედნაშენიც, თუ წარმოიშობა ახალი ბაზისი, წარმოიშობა მისი შესაბამისი ზედნაშენიც. მაგალითად, ფეოდალური ბაზისის მოსპობასთან ერთად ისპობა ფეოდალური ზედნაშენიც, სსრ კავშირში კაპიტალისტური ბაზისის მოსპობასთან ერთად მოისპო ძველი კაპიტალისტური ზედნაშენიც და შეიქმნა ახალი, სოციალისტური ზედნაშენი. თავის ნაშრომში „დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის შესახებ“ ამხანაგმა სტალინმა ცხადყო მოწინავე იდეების დიდი მამობილიზებული, მარგანიზებული და გარდაქმნილი როლი საზოგადოების განვითარებაში. ნაშრომებში ენათმეცნიერების საკითხებზე, ავითარებს რა მარქსიზმ-ლენინიზმს, ამხანაგი სტალინი მკაფიოდ და დამაჯერებლად გვიჩვენებს, თუ რა უდიდესი როლი აქვს ზედნაშენს, რომელიც „...აქტიურად უწყობს ხელს თავის ბაზისს ჩამოყალიბდეს და განმტკიცდეს, ყოველ ღონეს ხმარობს იმისთვის, რომ დაეხმაროს ახალ წყობილებას ბოლო მოუღოს და მოსპოს ძველი ბაზისი და ძველი კლასები“ (იქვე, გვ. 5).

ბაზისისა და ზედნაშენის შესახებ ამხანაგ სტალინის დებულებანი შესაძლებლობას გვაძლევს უფრო ღრმად გავიგოთ დიადი შემოქმედებითი როლი ბოლშევიკური პარტიისა, როგორც ძირითადი ხელმძღვანელი და წარმმართველი ძალისა საბჭოთა საზოგადოების და საბჭოთა სახელმწიფოს მიმართ, რომელმაც სოციალიზმისა და კომუნისმის აშენების მთავარი იარაღი.

უდიდესი მნიშვნელობა აქვს ამხანაგ სტალინის მიერ ჩამოყალიბებულ დებულებას იმ კანონის შესახებ, რომ სოციალისტური საზოგადოების პირობებში ძველი თვისებრივი მდგომარეობიდან ახალ თვისებრივ მდგომარეობაში გადასვლა ხდება არა აფეთქების გზით. ამხანაგმა სტალინმა მარქსისტულ-ლენინისტურაში პირველად აღმოაჩინა სოციალისტური საზოგადოების განვითარების ახალი კანონზომიერებანი, რომლებიც პრინციპულად განსხვავდება ანტიგონისტურ კლასებად დაყოფილი საზოგადოების განვითარების კანონზომიერებათაგან. ძველი თვისებრიობიდან ახალში აფეთქების გზით გადასვლის კანონი, აღნიშნავს ამხანაგ სტალინი, სავალდებულოა მტრულ კლასებად დაყოფილი საზოგადოებისათვის. მაგრამ სოციალისტური საზოგადოებისათვის, რომელშიც მტრული კლასები არ არიან, ეს კანონი სრულიადაც არ არის სავალდებულო. სოციალისტური საზოგადოების პირობებში ძველი თვისებრივი მდგომარეობიდან ახალ თვისებრივ მდგომარეობაში გადასვლა ხდება არა აფეთქების გზით, არამედ ახალი თვისებრიობის ელემენტების თანდათანობითი დაგროვებისა და ძველი თვისებრიობის ელემენტების კვლევის გზით.

სტალინური დებულება ნახტომის შესახებ, რაც არ ხდება აფეთქების გზით, გვიჩვენებს სოციალიზმიდან კომუნიზმში გადასვლის კანონზომიერებებს. სსრკ-ში კომუნიზმის აშენება დაკავშირებულია ნახტომისებარ რევოლუციურ ცვლილებებთან წარმოების, მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში. ასეთი ნახტომების ძაფით მავალითა კომუნიზმის დიდი მშენებლობანი ვოლგაზე, დონზე, დნებზე, ყირიმსა და თურქმენეთში. საწარმოო ძალების განვითარებაში გრანდიოზული ნახტომი იქნება ატომის ენერჯის ფართოდ დანერგვა წარმოებაში. მაგრამ ეს ნახტომები როდი იქნება არსებული საწარმოო ურთიერთობის აფეთქების, მოსპობის მომასწავებელი, მათი, ამ ნახტომების, მორგანიზებული და განმახორციელებელი საბჭოთა სახელმწიფო, რომელიც საბჭოთა ხალხს რაზმავს კომუნიზმის მშენებლობისათვის, და ეს ნახტომები გამოიწვევს სოციალისტური საწარმოო ურთიერთობის შემდგომ განმტკიცებას.

ამხანაგ სტალინის ნაშრომები ენათმეცნიერების საკითხებზე გვასწავლის შემოქმედებითს მიდგომას მეცნიერებისადმი და შეუთრგებელ ბროლას მედავითნობის, თალმუდისა და დოგმატიზმის წინააღმდეგ. ვ. ი. ლენინი წერდა, რომ მარქსიზმი დოგმა კი არ არის, არამედ სახელმძღვანელო მოქმედებისათვის. ამხანაგი სტალინი თავის ახალ ნაშრომებში დიდი ძალით ამხილებს მედავითნურ, თალმუდისტურ მიდგომას მარქსიზმისადმი, იმ ცდებს, რომ მარქსიზმის დებულებანი, რომლებიც სწორია გარკვეული ისტორიული პერიოდისათვის, გადააქციონ დოგმებად, რომლებიც ვითომდა მისაღებია განვითარების ყველა პერიოდისათვის.

ცნობილია, მაგალითად, რომ ფ. ენგელსი თავის ნაშრომში „ანტი-დუერინგი“ მივიდა დასკვნამდე სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ სახელმწიფოს კვლევის შესახებ.

„მაგრამ საბჭოთა მარქსისტები, — ამბობს ამხანაგი სტალინი, — ჩვენს ხანაში მსოფლიო ვითარების შესწავლის საფუძველზე, მივიდნენ დასკვნამდე, რომ როცა არსებობს კაპიტალისტური გარემოცვა, როცა სოციალისტურმა რევოლუციამ გაიმარჯვა მხოლოდ ერთ ქვეყანაში, ყველა სხვა ქვეყანაში კი ბატონობს კაპიტალიზმი, გამარჯვებული რევოლუციის ქვეყანაში კი არ უნდა შეასუსტოს, არამედ ყოველმხრივ უნდა გააძლიეროს თავისი სახელმწიფო, სახელმწიფოს ორგანოები, დაზვერვის ორგანოები, არმია, თუ ამ ქვეყანას არ სურს, რომ იგი გაანადგუროს კაპიტალისტურმა გარემოცვამ“ (იქვე, გვ. 48).

მედავითნეებსა და თალმუდისტებს შეუძლიათ თქვან, აღნიშნავს ამხანაგი სტალინი, ... რომ საჭიროა ერთ-ერთი ფორმულა უყუვავდეთ, როგორც უთუოდ მცდარი, ხოლო მეორე, როგორც უთუდ სწორი, — გავავრცელოთ სოციალისტური სახელმწიფოს განვითარების ყველა პერიოდზე.

მაგრამ მარქსისტებმა იციან, რომ სწორია ორივე ეს ფორმულა, ენგელსის ფორმულა სოციალიზმის საბოლოო გამარჯვების პერიოდისათვის და ამხანაგ სტალინის ფორმულა ერთ ან რამდენიმე ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების პერიოდისათვის.

ამხილებს რა მედავიტინებსა და თალმუდისტებს ენათა შეერთების საკითხში, ამხანაგი სტალინი გვიჩვენებს, რომ მსოფლიო მასშტაბით სოციალიზმის გამარჯვების შემდეგ, „...ერთა ხანგრძლივი ეკონომიური, პოლიტიკური და კულტურული თანამშრომლობის შედეგად გამოიყოფა ჯერ ყველაზე მეტად გამდიდრებული ერთიანი ზონალური ენები, შემდეგ კი ზონალური ენები შეერთდებიან ერთ საერთო საერთაშორისო ენად, რომელიც, რასაკვირველია, არც გერმანული ენა იქნება, არც რუსული, არც ინგლისური, არამედ იქნება ახალი ენა, რომელმაც შეითვისა ეროვნული და ზონალური ენების საუკეთესო ელემენტები“ (იქვე, გვ. 51-52).

ამათრახებს რა მედავიტინებსა და თალმუდისტებს, რომლებსაც მარქსიზმი მიანიხილავს ისეთი დოგმატების კრებულად, რომლებიც „არასოდეს“ არ იცვლება, და ჰგონიან, რომ თუ დაიზუპირებენ მათ, შეეძლება სწორად გადაწყვიტონ ყველა საკითხი, შეუფარდონ ეს დოგმები ყველა ეპოქას, ცხოვრების ყველა შემთხვევას, ამხანაგი სტალინი იძლევა მარქსიზმის კლასიკურ განსაზღვრას: „მარქსიზმი არის მეცნიერება ბუნებისა და საზოგადოების განვითარების კანონთა შესახებ, მეცნიერება ჩაგრული და ექსპლოატირებული მასების რევოლუციის შესახებ, მეცნიერება ყველა ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შესახებ, მეცნიერება კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის შესახებ. მარქსიზმი, როგორც მეცნიერება, არ შეიძლება ერთ ადგილზე იდგეს, — იგი ვითარდება და სრულყოფილი ხდება... მარქსიზმი არ ცნობს უცვლელ, ყველა ეპოქისა და პერიოდისათვის სავალდებულო დასკვნებსა და ფორმულებს. მარქსიზმი ყოველგვარი დოგმატიზმის შტერია“ (იქვე, გვ. 52-53).

* * *

ამხანაგ სტალინის გენიალური ნაწარმოები „მარქსიზმი და ენათმეცნიერების საკითხები“, რომელმაც განსაზღვრა საბჭოთა მეცნიერების განვითარების შემდგომი გზები, საბჭოთა ხალხს აიარალებს საზოგადოებრივი განვითარების კანონთა კიდევ უფრო ღრმა გაგებით, რაზეც მას კომუნიზმის ამენებისათვის თავდადებით საბრძოლველად. ორი ბანაყის — სსრ კავშირის მეთაურობით მშვიდობის ბანაყის და ამერიკის იმპერიალისტების მეთაურობით ომის ბანაყის გააფთრებული ბრძოლის პირობებში ამხანაგ სტალინის შრომები ენათმეცნიერების საკითხებზე ეხმარება ყველა ქვეყნის მოწინავე აღამიანებს უფრო ღრმად გაიგონ კაპიტალისტური სისტემის განწირულობა და მშვიდობისათვის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის მებრძოლი ძალების უძლეველობა.

პ რ თ ბ უ ლ ე ბ ა

რომანი *



დილით უფრო დიდი აურზაური ატყდა ფერმაში, ვიდრე წინა ღამით.

სტუმრებს ჯერ კიდევ ეძინათ, როცა მწყემსებმა კარავში რძის შემოზიდვა დაიწყეს. მოწველილ საქონელს ბაკიდან ვერკეებოდნენ, დედა-შვილები ერთმანეთს განუწყვეტელი ბღავლით უხმობდნენ.

ნატომ ყველაზე ადრე გაახილა თვალი. გამოერკვა და წამოაღა.

ახლა ვარდენამაც ამოიხვნეშა, თვალის გახელისთანავე წამოიძახა:

— ადექ, ძვირფასო?

ამ შეძახილმა ლევანი და თამაზიც გამოაღვიძა.

სტუმრები წამოდგნენ, მაგრამ კარავიდან გასვლას ვერ ბედავდნენ. ვეფხვისოდენა ძაღლები დადიოდნენ კარის წინ. მხოლოდ მამინ გაბედეს ეზოში გასვლა, როცა ქრისტეფორე დაბრუნდა და სტუმრებს წაუძღვა.

ღარზე ცივი წყლით ხელბირი დაიბანეს.

ციოდა. მთაზე ახლადამოსული მზე ტყეს ჩაჰყურებდა.

დაიწყო საქონლისა და ცხენების საბალახოზე გარეკვა, გაჰყვხენ მწყემსები, და კარვების ახლო-მახლო სიწყინარე ჩამოვარდა. მხოლოდ ერთი ყველაზე ბრაზიანი ძაღლი, რომელსაც დღისით ჯაჭვით აბამდნენ და ღამით უშვებდნენ, სტუმრებს სასტიკი თვალით მიჩერებოდა, ჯაჭვს ახსაკუნებდა, ყეფა-ღრენით ანგარევდა ყველაფერს. რადგან რკინის ჯაჭვი არ უშვებდა, ძაღლი მას ჰკებუნდა, ღრღინდა, გულის ჯავრს მასზე იკლავდა.

— შეხეთ, ჩერჩილს არა ჰგავს? — სიცილით უთხრა ვარდენმა სტუმრებს

და მერე დაუმატა: — საუზმის შემდეგ ჩვენ ცოტა საქმე გვაქვს თქვენ გაისეირნეთ.

ნასაუზმევს ლევანი, თამაზი და ნატო დაბურულ ტყეში შევიდნენ, აღმართს შეუდგნენ.

ახარებდათ ამ უსიერ ტყეში გზების გაკვლევა ხეტიალი, ყოველ ნაბიჯზე მათ წინ, რაღაც სიახლით აღსაყვს, განუმეორებელი სურათები იშლებოდა. ყოველი ხე, ყოველი ბუჩქი, ფიჭვის ძირს დაცემული ბოჭკოებიც მათ სინხარულს ჰგვირდოდათ, ისინი ყველაფერში თავისებურ სილამაზეს ხედავდნენ, გრძნობდნენ, — ტანში ერთსატელი უვლიდათ.

ასე აიარეს მთელი ტყე და გორაკზე ავიდნენ.

აქ, მწყინე ბალახით შემოსილ პატარა ველზე შეჩერდნენ.

უკაცურ მთაში ველური ყვავილები მრავალფერად გადაშლილები, ილიმებოდნენ.

თამაზმა ზღვას გადაჰხედა.

შავ ზღვაზე აქა-იქ თხელი ნისლი გაწოლილიყო. ნისლის ქვეშ, თითქოს მზის სარკვედ გადაქცეული ზღვა ბრწყინავდა. პატარა ველზე ფეხს ფრთხილად ადგამდნენ, რომ არ გაეთელათ თვალუბდაძყეტილი ყვავილების სიცოცხლე.

ღრმა ხევიდან ბახვის წყლის ხმაური ისმოდა. ამ ხმაურს ნიაგი მოსდევდა და ფრთხილად არხევდა პაწაწინა ყვავილებს.

ბახვის წყლის გადასახედთან ვეებერთელა ლოდის მახლობლად დასხდნენ.

იმათ მაგიერ თითქოს ბუნება ლაპარაკობდა, თვითონ კი მხოლოდ ყურს უდგებდნენ. რომელ მუსიკას შეეძლო ასე ღრმად შეჭრილიყო გულში და

უზენაესი აღტყინებით ამოევსო სული. ცოტახნის შემდეგ ლევანი წამოდგა, იმ მცირე ველს გააყუა და კარგა მოზორებით შეჩერდა.

ქვევიდან თავებამოწვილი ფიჭვისა თუ ნაძვის ჩქოლები ძლივს წვდებოდნენ იმ მინდვრის სიმაღლემდე.

თამაზი და ნატო კვლავ უხმოდ ისხდნენ. ფიჭვებში წასულებს არ შეუშინებიათ ლევანის წასვლა.

— კარგი ადამიანია თქვენი მამა. — გაბედა ნატომ.

— ლევანი? — წარმოსთქვა თამაზმა და ცოტაოდენი დუმილის შემდეგ დაუშმატა: — ლევანი წმინდა ადამიანია.

— კარგია, კარგი მამები ხართ! — აღფრთოვანებით წარმოსთქვა ნატომ და იქვე ჯგუფად ამოზრდილ ყვავილებს ხელი გადაუსვა: თითქოს მის გულში ამრიალდნენ ეს ყვავილები. — ჩვენი გასაკეთებელი ვაკეთებულა. მანც არ მიშვებს, ვარდენი. მე ხომ მშენებელი არა ვარ?

— მართალია, მაგრამ თქვენ ყველაფერს შესძლებთ, თუ გამოცდილი სამუშაოთა მწარმოებელი გეყოლებათ.

— გრიგოლმა სწორედ ასეთი კაცი გამოგვიგზავნა.

— თუ აგრეა, ყველაფერი კარგად ყოფილა, განაგრძეთ, ნატო, — ურჩია თამაზმა.

— რადგან თქვენ მირჩევთ...

— დიახ, მეც გირჩევთ.

— თამაზ, მინდა რალაც უფრო დიდი გავაკეთო, უფრო დიდი ავაშენო.

— მოესწრებით. ყველაფერს მოესწრებით. არაფერი არ დაიკარგება. რასაც ახლა აკეთებთ. ესეც აუცილებელი საფეხურია, ურომლისოდაც მალლა ვერ ახვალთ.

— მართალია. ეს ნიცი, მაგრამ... ვერა, ვერ გამოვთქვი, რაც უნდა მეთქვა. აზრი მეზნევა... აქ ისე ბედნიერი ვარ...

თამაზმა არ იცოდა, რა ეპასუხნა, რომ ამ დროს ლევანი დანახა და მისკენ მობრუნდა.

— ლევან, არ გადაეარდე, სად იხედები?

— ისე ავმსუბუქდი, მგონია, ნიავი წამილებს. — უთხრა ლევანმა, — რა ქვეყანაა, რა ქვეყანაა! იცი, თამაზ, თითქოს ოდესღაც მინახავს ეს სასწაული. თუმცა, აქ, არასოდეს ვყოფილვარ. ვი-

გონებ, ვიგონებ და ვერ მღვიგონებ! იქნებ მესიზმრა და ცხადი მგონია!

— შესაძლოა, — დაეთანხმა თამაზი. მზეზე ნამის უკანასკნელი წვეთები ყვავილებს ცრემლებივით ჩაბისწყდნენ, და ფიჭვების გამაბრუებელი სურნელი დადგა.

სტუმრები ხან დადიოდნენ, ხან მოლზე, ან ქვებზე სხდებოდნენ.

შუადღეზე გულისტკივილით დასტოვეს ეს საარაკო ადგილი. ვინ იცის კიდევ როდის ნახავდნენ, ამ ლამაზ ველს, პატარა ფერადი ყვავილებით შორთულს.

კარგებს მიუახლოვდნენ და საანგარიშო ჩოთქის გამაღებელი ტყაცატყუცი შემოესმათ. ვარდნის კარვის წინ პატარა მაგიდა გამოეტანა, გვერდით ქრისტეფორე და ბესო დაესვა, საანგარიშო ჩოთქს ატყაცუნებდა და თითა მალლა იშვერდა. ანგარიშობდა, ამოწმებდა.

ის იყო უკანასკნელად გაატყაცუნა ჩოთქი, რომლის მკახე ხმა ტყეში ავტომატის გასროლასავით გაისმა და სტუმრებიც მივიდნენ.

— სწორედ დროზე მოხვედით, ძვირფასნო! — მხარულად შესძახა ვარდენმა სტუმრებს. — ყველაფერი მზადაა, წესრიგშია და შეგვიძლია გზას გავედგეთ.

ერთი საათის შემდეგ დატოვეს ფერმა.

მოხუცი ბესო გულდაჯავრიანებული შებრუნდა კარავში, ხოლო ქრისტეფორე კი იდგა, გააყურებდა შორს წასულ მანქანას. მერე შებრუნდა და ისიც კარავში შევიდა. ბესო კუთხეში მიმჯდარიყო, ჩიბუხს აბოლებდა და რალაც ფიჭვებში იყო წასული.

სანდრომ ბახვის წყალში ახლა უფრო თამამად შეაგდო მანქანა და გამოცოცხლებულმა ხმა ამოიღო:

— ამდენი ჩემს სიცოცხლეში არ მიძინია. გრილი ჰაერი, რბილი მანქანა, კარგი პურმარილი და მოსვენება. ნამდვილ განცხრომაში ვიყავი.

როცა მანქანა ქვევით ეშვებოდა და უფსკრულს მიაღებოდა, სანდრო ხმას გაჰკმენდა, მანქანა უდიდესი სიფრთხილით მიჰყავდა.

ერთი საათის შემდეგ მანქანამ იმ ადგილს მიადგია, სადაც გზაზე მომუშავე კოლმეურნეები დატოვეს გუშინ.

ახალგაზრდებმა ყიეინი ატეხეს:

— ვარდენი მოდის!

— დაუხვდით, ბიჭებო!

— მოდის და ჭყიხტი სულუგუნები მოაქვს...

— აჰა, ბიჭებო! — დასძახა ვარდენმა და მანქანიდან სულუგუნებით სავსე ტომარი ძლივს გადმოიღო.

— ვარდენის სიტყვა ბეჭედია!

— თქვა და აასრულა!

— თამჯდომარე ასეთი უნდა!

— თქვენ კარგად იმუშავეთ, ძვირფასო ბიჭებო, და არაფერს დაგაკლებთ! — ამხნევებდა ვარდენი და კმაყოფილი ახალგაზრდებიც ვარდენს აქებდნენ.

— კარგით, ჩემი გადაკარბებული შექება გეყოფათ, ახლა ცოტა საქმეზედაც მოვიტათობირათ! — უთხრა ვარდენმა და გზის დათვალეობებს შეუდგა. ჯერ ის ნახა, თუ რის გაკეთება მოესწოთ. მერე დარჩენილი სამუშაოებიც დაათვალეობრა, გამოიკვლია, რა დახმარება ესაჭიროებოდათ, რომ პირნათლად შეესრულებით კოლმეურნეობის მიერ ნაკისრი ვალდებულება. ბრიჯადირებთანაც მოითათობირა და დახმარება აღუთქვა.

მანქანა კარგა მანძილით გაშორდა იჭაურბაბას, მაგრამ შეძახილები კიდევ დიდხანს ისმოდა:

— ნახვამდის!

— გაუმარჯოს!

სინანულის გრძნობით დატოვეს შთა.

გამოიარეს ვურის სოფლები.

აგრე ისევ ნატოს ჭინკართან შეჩერდნენ.

ნატო უხმოდ ჩამოვიდა მანქანიდან, არავის არ უყურებდა სახეში. თავდაბრილი მიწას დაჩერებოდა: რა უნდა თქვას ახლა, როცა თამაზთან ხანგრძლივი გამოშვებულობების წუთები დადგა?

— მშვიდობით, ნატო! წასვლამდე ველარ შეგხვდებით, კარგად იყავით! — უთხრა ლევანმა.

— არა, შეგხვდებით! — სანამ ნატო ხმას ამოიღებდა, დაასწრო სანდრომ. — კვირას ჭორწილი მაქვს, ცოლს ვირთავ! თამაზმა სიტყვა მომცა და უკან ვერ წაიღებს, ყველა უნდა მობრძანდეთ!

ვარდენმა დაიძახა:

— ჭორწილია და მერე როგორი, ვის აქვს უფლება ფრონტელ ვაყვაცს

გაბედნიერება არ მიულოცოს! გათავებულნი საქმეა, კვირას ყველა ერთად ვიქნებით.

ნატოს თვალში სინანულიანი მუქება გაივლიდა. თავი ასწია. გაიღიმა და აღტაცებით შეხედა თამაზს.

— რა გაეწყობა, უნდა ვესტუმროთ, სანდროს. — უთხრა თამაზმა ნატოს და ხელი გაუწოდა — მამ ნახვამდის, ნატო.

მანქანა დაიძრა.

ნატოს თამაზის ამ უკანასკნელმა სიტყვებმა სიხარულის ახალი ტალღა მოგვარა. სწრაფად შეაღო ჭინკარი. ეზოში ფინია მოეგება, მიაღერებებს ნიშნათ ყველა დაუწყუა, მაგრამ ნატოს არ ესმოდა. სახლიდან გამოსული დედა შემოეგება და არ ხედავდა.

— მთხვედი, შვილო? — მხოლოდ ახლა მოესმა დედის ხმა, — მიეჭრა დედას და მოეხვია.

4.

მზე მშვიდად ჩავიდა. წავიდა ზაფხულის კიდევ ერთი მზურვალე დღე. ახლა ზღვის გრილი ნიავი შეხუთულ ჰაერს შორს ერეკებოდა, ამშვიდებდა, ასულდგმულებდა ბაღებს, ყანებს, ადამიანებს.

კვირა დღე იყო. სოფლსაბჭოს წინ რამდენიმე კოლმეურნე ვეებერთელა ჭადრის ქვეშ ქვებზე და ამობურთულ ფესვებზე ჩამოშდარიყო, თამაქოს ეწეოდნენ. საქვეყნო საქმეზე ბაასობდნენ. ჯერ შორიდან, ამერიკიდან ან ინგლისიდან იწყებდნენ ამბავს, მერე მოახლოვდებოდნენ და ბოლოს კოლმეურნეობის ამბავსაც პყეებოდნენ.

ნელა ამოდიოდა მთვარე, მაგრამ მთვარის ამოსვლას გორაკიდან წამოსულმა შუქურების მთელმა ხომალდმა დაასწრო. ეს შუქურები აბლოვდებოდნენ და ხან აქეთ, ხან იქით შუქს აფრქვევდნენ გორაკებს, ხევებს, მაღალდებოდნენ და ძირს ეშვებოდნენ.

— მოდიან, — დაიძახა ჭადრის ქვეშ მჯდარმა მოხუცმა გლეხმა ეგნატემ და თითქოს იმ შუქურებმა რალაც სასიხარულო ამბავი ამცნოო, დაუმატა: — დროა წავიდე, თორემ სანდროს საყვედურებს ველარ ავცდები!

— ნეტავი ამოდენი მანქანები სად იშოვის? — იკითხა ორდენებითა და

მედალეებით მკერდდამშვენებულმა კაბუქმა სერაფიონმა.

— მთელი რაიონის მანქანები აქაა. ჩვენ სანდროს სად არ უვლია, რა არ უხახავს. ბევრი მეგობარი და ამხანაგი ყავს და დღეს ყველა ერთად შეუკრებიან. მოდის, დედოფალი გვერდით მოუსვამს, თვითონაც ნეფეა და გაბედნიერებული ცაზე ხელს ავლებს, — საზეიმო განწყობილებით წარმოსთქვა სერაფიონმა.

— შენც ხომ ემზადები, ბიძია, და სხვა რაღა გინდა! — უთხრა ეგნატემ სერაფიონს.

— ვემზადებიო? ცოტა კიდევ მოგვითმინეთ, ბიძია ეგნატე. დაქორწინება შემოდგომისათვის აუკლებს, ღვინოს რომ დაღვეთ, აღარ დაგსიცხავთ ახლა პაპანაქებია და შეწყუბდებით, — თვალების მოწყურვით უპასუხა სერაფიონმა და უნდოდა კიდევ რაღაც ეხუმრა, მაგრამ უკვე ზედმოსულმა მანქანების ბრიალა თვალებმა და მაყრების გამაყრუებელმა ხმაურმა სიტყვა გააწყვეტინა. მანქანებში მსხდარმა მაყრებმა სიმღერით და ყიყინით შესძარეს სოფელი.

აი, მდინარე გააშუქა პირველმა მანქანამ, და ეს მდინარე ოცამდე მანქანამ გადამოიარა.

სულ წინ ვარდენის მანქანა მოკჭროდა. ვარდენს ნეფე-დედოფალი მოყვებდა. მათ გაშუქებულ სახეებზე უნახესი ღიმილი კრთოდა, ისეთი ღიმილი, რომელსაც ადამიანები მთელ თავის სიცოცხლეში მხოლოდ ერთხელ თუ ეღიოსებიან.

ჩაიარეს მაყრებმა.

ეგნატემ ჩიბუხი გააბოლა, ჩაახველა.

— ასეთი ქორწილი ჯერ არ მინახავს. დედოფალს ცხენებით მივაცილებდით. ახლა რკინის ცხენებით მოყავთ დედოფალი. ოცი მანქანა ამდგენს ცხენს ვერ შეყრიდი წინათ ჩვენს სოფელში, — წარმოსთქვა მოხუცმა.

ამოვიდა მთვარე. ხეთა ჩრდილები ნელა ირხეოდა დანამულ ბალახებში. და აი ამ ხეების ჩრდილებიდან ვიდაც ორი ქალი გამოჩნდა. ისინი ჩქარობდნენ.

— ქორწილში მიდიან, — წარმოსთქვა სერაფიონმა.

— ვინ არიან, ბიძია? ერთი სალომეს რძალი, მართა უნდა იყოს, მარა მეორე კი ვეღარ ვიცნა.

— მეორე ფარნაო ზ ურუშაძის უმცროსი ქალიშვილია, თამარი, — აუხსნა სერაფიონმა.

— თამარი..

— გაჯავრებულაო თამარი, ვარდენს უთქვამს, უსაქმობას ჩაის კრეფა გიჯობსო და თამარი გაანხზლებულა: „როგორ გამიბედა, მე ხომ სოფელი გოგო არ ვარ, სტუმარი ვარ და ძალე წავალო“.

— სოფელი გოგოვო? — გაიკვირვა ეგნატემ — თვითონ ვისი გოგოა ნეტავი? იქნებ ციდანაა ჩამოვარდნილი? — სოფელ გოგონებს ნუ ეხუმრება — მათი სახელები რადიოში ისმის, მაგის სახელი კი მეც დამაინფყდა. — დაასრულა თამარზე გულმოსულმა მოხუცმა და ჩამქრალი ყალიონი მიწას დაარტყა. მერე შიძიმედ წამოდა, მიმოიხედა:

— რავა, ტიტკო წასულა? ქორწილში წამიძღვება მეთქი და ახლა რაღა ექნა?

— მეც იქ მივდივარ და წავიდე, ბიძია, — უთხრა სერაფიონმა. მოხუცს მკლავში ხელი გამოსდო და წაიყვანა.

საიდანაც კირილე განიდა: ქარის ქვეშ შეკრებილ ხალხს გვერდით ჩაუარა და მიადახა:

— ინდაურებივით, რომ ჩამომსხდარხართ მაგ ქვებზე, შინ აღარ წახვალთ? დღამდა, ძალე, გათენდება და ვარდენიც მოვა!

ხალხს სიცილი წასკდა. მხოლოდ ერთმა ახალგაზრდამ უკვე შორს წასულ კირილეს გასძახა:

— ვარდენი თუ მოვა, ამას რაღა სჯობს! გაიქეცე, კერკეტავ, ძალეები არ წამოგეწიოს! — და კიდევ შეჰყეფა. ცოტა ხნის შემდეგ ხალხი წავიდ-წამოვიდა.



ახალ კაბაში გამოწყობილი ნატო გამოღებულ ფანჯარასთან იდგა, მთვარის ამოსვლას ელოდებოდა. გული უცემდა. ზოგჯერ სარკეში ჩაიხედავდა და დედას მიაჩერდებოდა, გაუღი-მებდა.

ოქროსფერ წინწყლებიან კაბაზე ხელი ჩემოისვა, გაისწორა და დედას ჰკითხა:

— მიხდება, დედა?

— გიხდება, შვილო.

— უტახადო ვარ?

— ჩამოსხმული ხარ, კარგი ხარ, შვილო.

— დედი, თმა როგორა მაქვს, უშნოდ დგას, არა?

— ასე მოხდენილად არასოდეს დაგივარცხნია. შენი კაბის ოქროსფერი წინწკლები და თმები ერთმანეთს ეხამება, ცისფერი თვალები, მამაშენის თვალებს მაგონებს, შუბლიც ისე ჩამოსხმული ვაქვს.

— ტუჩები? — ჰო, ტუჩები სულ მთლად შენია, ხომ დედა?

— ჩემი ხარ, შვილო, ჩემი.

— დედა, მითხარი, რაღა მაკლია, რითი ვარ ცული?

— არა, შვილო, ცული რათ იქნები? თავიდან ფეხებამდე ოქრო ხარ, შვილო. — აქებდა დედა და აკვირვებდა შვილის ასეთი განსაკუთრებული ინტერესი სილამაზისა თუ ჩაცმულობისადმი, რაც წინათ ნატოს არა ჩვეოდა.

— თუ არაფერი მაკლია... — კიდევ უნდოდა რაღაც ეთქვა, მაგრამ სიტყვა გაუწყდა.

— შვილო, ისე ირთვები, თითქოს შენი ქორწილი იყოს.

ნატომ, დედას თვალი მოარიდა. სახეზე ხელი გადაისვა, ერთხელ კიდევ ჩაიხედდა სარკეში და თავის თავს უთხრა: „ცული არა ვარ“. მივიდა, დედას მოეხვია, დაჰკოცნა, კარი გააღო და ეზოში გავიდა. ფინია მიეჭრა, სიხარულით ყეფდა დაუწყო, მაგრამ ნატომ ახლოს არ მიუშვა.

— არ შეიძლება, ახლოს არ მოხვიდე! ახლა შენი საკბილო კაბა არ მაცვია, მომეშვი თვალებს! — უთხრა და ეზოდან გავიდა.

როცა სოფლაბჭოს მიუახლოვდა, გაფანტულად მიმავალი ხალხი შენიშნა.

— გამარჯობა! — გააჯერებელივით მიადანა პირველმა, რომელიც სულ მართო მიაბიჯებდა.

— აა, გაგიმარჯოს, კირილე!

— ნატოს გაუმარჯოს! — თითქმის ერთხმად უთხრა სამმა ახალგაზრდამ, რომელთა შორის ქიშვარდიც იცნო.

— გაგიმარჯოთ! სად მიდიხართ, ქიშვარდი?

— მემონგურებმა დაიგვიანეს, მალე მოვიყვანთ, — უპასუხა ქიშვარდმა.

— იჩქარეთ, ქიშვარდი! — უთხრა

ნატომ და სანდროს ნახლასაცენ გზა გახაზრძო.

მალე სოფლაბჭოს გამარჯვებულ გორაკს შეუდგა. მთელი გზაზე მსმინადღენებული მოჩანდა. ვარსკვლავებივით აციმციმებული ელექტრომუქი, თითქოს აქ ახალი სიცოცხლის დაწყებას ამცნობდა ქვეყანას. იქიდან ხალხისა, თუ მანქანების შეუწყვეტილი ხმაური და გუგუნი ისმოდა.

ნატოს ნაბიჯი დაუშვამდა, უსიამოვნო აზრმა შეაერთო.

— იქნებ არ მოვიდეს თამაზი, მაშინ რა ვქნა? განა მე ქორწილში მივდივარ? არა, მის სანახავად მივდივარ. თამაზი თუ არ მოვიდა, უკან წაიშვება. რა გამაძლებიებს? არ შემიძლია არა! შეუძლებელია, რადგან თქვა, სიტყვას არ გასტეხს, მოვა, მოვა!

მალა, გორაკზე, ვრცელ ეზოში. ვეებერთელა საქორწილო სეფა გამოჩნდა. ეს სეფა თავიდან ბოლომდე ელნათურებით გაეშუქებული და შიგთნ მწკრივად გამოილიო მაგიდები საქმელსასმელით ავესოთ. სეფის თავში, ალბათ, იქ სადაც ნეფე-დედოფალი უნდა დამჯდარიყო, მთელი კედელი ნოხებით მოფენილი. ზედ ფერადი ყვავილებით შემუქნილი გვირგვინიც მოეკრათ. მთელი ის კუთხე უფრო ძლიერ გაეშუქებულია.

ეზოში შესული ნატო გაოგნებული იდგა და იქაურობას გაფაციცებით აცქერადებოდა ხალხით სავსე ეზოში მხოლოდ ერთს ეძებდა, ის კი არა სჩანდა. გული აჩქარებით უცემდა.

„თუ არ მოსულა, როგორც შეუმჩნეველად მოვედი, ისე შეუმჩნეველად გავიპარები“, გაიფიქრა და სეფის ბოძს ისე ამოეფარა, რომ არავის ყურადღებდა არ მიექცია. რა იცოდა, თუ იქვე, სულ ახლოს, ოდასახლის კიბესთან იდგა ის, ვისაც ეძებდა.

— თამაზსა და ლევანს გაუმარჯოს! სადა ხართ, ძვირფასებო? რამდენი ხანია გეძებთ.

მოესმა ნატოს ვარდენის ხმა და ახლა შენიშნა ეზოში შეჩერებული თამაზი და ლევანი. ვეღარ მოითმინა და მათკენ გასწია.

— შენც მოხვედი, ძვირფასო? ჩინებულა! — მიეგება ვარდენი ნატოს. ხელი მოკლდა და ძმებს წარუღვინა. — ჩაიბარეთ და მოუარეთ. — გააფრთხილა ძმები და თვითონ წავიდა.

— ისევ ერთად ვართ ძველი მეგობრები — უთხრა ღიმილით ლევანმა ნატოს — ამ სიგარძე სეფა ჯერ არ მიხახავს. — აი, ქორწილი ამას ჰქვია.

ნატო თვალგაბრწყინებული იდგა მძებს შორის. მხოლოდ ოთხი დღე გასულიყო, რაც ბახმაროზე ერთად იმგზავრეს, მაგრამ ლევანმა უკვე „მედი მგებარი“ უწოდა. ეს ახარებდა, თვალებიდან თითქოს სიხარულის ნაპერწკლებს ჰყრიდა.

ლევანი აკვირდებოდა, როგორი მშვენიერი, როგორი სრულყოფილი მოჩანდა ნატო, ახლა, ამ საღამოს მთვარისა და ელნათურების შერეულ შუქში! ასე ეგონა, ეს ახალგაზრდა ქალი არემარეს ცისფერი თვალებით აშუქებდა.

თამაზიც გააკვირვა დღეს განსაკუთრებული გემოვნებით ჩაცმულ ნატოს გარეგნობა, ინტერესით ათვალღერნათვალღერა, მაგრამ უცერად მოიღუშა და თვალი მოსწყვიტა.

— წაიღეთ, მივულოცოთ ნეფედლოფალს! — ურჩია თამაზმა ნატოს.

— მართლა, სულ დამეიწყდა! — წარმოსთქვა ნატომ და სამივენი აივანზე ავიდნენ.

ნატო ხელგაშლილი მიეჭრა ნეფედლოფალს.

— გილოცავთ გაბედნიერებას! ხანგრძლივ სიცოცხლესა და სიხარულს ვისურვებთ! — უთხრა და სანდროს შუბლზე, ხოლო დედოფალს ლოყაზე აკოცა, ორთავეს მომღიპარი თვალებით მიუალურსა.

— გამდლობთ! თქვენც ნატო, მალე გაბედნიერებას და ნატურის აღსრულებას ვისურვებთ! — მიმართა სანდრომ.

ეზოში შეკრებილი ხალხის ჩოჩქოლი შეწყდა და წყვილად ამოტილ ალვის ხეებთან მომღერალთა გუნდმა გურული სიმღერა დაიწყო.

შორს გაისმოდა კრიმანჯულის ხმები, მთელი ხალხი მომღერალთა გუნდის ირგვლივ მოგროვდა. გაისმა ტაშის ხმა, წრე გაათართოვეს და თამაზი გაჩაღდა.

წყვილ-წყვილად გამოდიოდნენ ქალაქი, ერთმანეთს ცვლიდნენ, შემდეგ მოთამაშენი ერთ ვეებერთელა მწკრივად შეერთდნენ და ხელი-ხელ ჩაკიდებული მძა „ფერხული“ გამართეს.

ხან შორს მიჰქროდა, ხან ძირს ეშვებოდა, ხან თითქოს მიწიდან ამოიჭრებოდა.

ბოდა ადამიანთა მწკრივები: ხელგაშლილი მოცეკვავეები, თითქოს ცახე ასელას ლამობდნენ.

როცა სიმღერა მინელდა, მწკრივების ელერა გაისმა. ცეკვა-თამაში არ ნელდებოდა. მიწა იოხებოდა, ჰაერს კრიათულის ხმები ავსებდა.

თამაზი დაინტერესდა. უნდოდა გაეგო ასე ოსტატურად ვინ აქედნებდა სოფელში ახლად მოსულ საკოავს და წრეში შევიდა. აი, ის, დაბალ სკამზე ჩამოქდარი ბრიგადირი, მთვარეს მიჩერებია, გაბრწყინებული თვალებით უღიშის, — აკორდინის გულში ჩაუკრავს და საკრავის ყველა ხმას თითქოს მისი გული გამოსცემს.

— ესტატე? — იცნო თამაზმა.

— დიას, ჩვენი ბრიგადირია! — ამაყად უპასუხა იქვე მდგომმა ქაბუქმა და რატომღაც გამლილი ხელი მკერდზე დაისვა, — კოჭლია, მაგრამ აფთარს გაუსწრებს.

„შრომაში თავდადებულ ბრიგადირს ქვიფიც უწოდებენ ცოდნა“. — გაიფიქრა თამაზმა და წრე დატოვა.

ნატო კვლავ შუაში ჩაიყენეს, ეზოში გაისეირნეს. თამაზს ესტატეს მომიღიპარი სახე ახლაც წინ ედგა და გაღიმებული მიაბიჯებდა. მუცრად უკან დაიწია და იქვე შედგა.

ოდისახლის კიბეზე ჩამომავალი თამარის დიდრონ თვალებს წააწყდა.

თამარიც შეიჩხა, კიბის სახელურს ხელი ჩასვიდა, თავი შეიმაგრა, კიბეზე დაკოდილი ფრინველივით აფართხალეული დაეშვა.

რძალმა ხელი მიამწვლა და წაიყვანა. „სადაც არ ელი, თავს იქ ამოკყოფს“, — გაიფიქრა თამაზმა.

ლევანმა ყველაფერი დაინახა და იგრძნო, რაც მოხდა. მას მაინც არაფერს ეკითხებოდა, შეცვლილ სახეში მიჩერებოდა, ელოდებოდა, როდის შესძლებდა ეთქვა რაიმე.

სეთაზე მიყენებული საბარგო აეტრას პირდაპირ შეჩერდნენ. მოტორი გუგუნებდა.

— ხომ ხედავთ, როგორი ხერხი მოუგონიათ? — არასასიამოვნო შეხვედრის შთაბეჭდილების გასაფხვრად წარმოსთქვა ლევანმა. — დენის ლიერებლად ავტომოტორი



ბიათ და ეს ვეებერთელა სეფა გაუჩი-
რალდენბიათ.

შეწყდა ცეკვა-თამაში, აკორდეონის
ხმაც არ ისმოდა.

ყველას ყურადღება ორასახლის მა-
ღალ კიბეზე ჩამომაჯალმა ნეფე-დედო-
ფალმა მიიპყრო.

კიბეზე ნელა ჩამოდიოდნენ ხელი-
ხელჩაკიდებულები. მათ ახალგაზრდა
ქალ-ვაჟი მოაცილებდა. ეზოში გამო-
ვიდნენ. რალაც დარტყვნილი ღიმი-
ლით სეფისაკენ წავიდნენ.

— გზა, გზა, ნეფე-დედოფალს! —
იძახოდა ვიღაც.

ნეფე-დედოფალი სეფაში შევიდა,
მათთვის განკუთვნილი ადგილისაკენ
გაემართნენ და ხალხიც მათ მიჰყვა.

რიგ-რიგობით მაგიდებს შემოუსხდ-
ნენ. ნეფე-დედოფალიც დაბრძანდა.

სეფის შუა გულში ვიღაც ხანში შე-
სული მამაკაცი ვაჟიდა, ღვინით სავსე
ჭიქა ასწია. ქორწილის თამადად კოლ-
მეურნეობის თავმჯდომარე დასახელა
და მისი სადღეგრძელო ერთი ამოსუნ-
თქვით დაცალა; ეს იყო სანდროს მამა
და ამ ოჯახის უფროსი, საშუალო ტა-
ნის, გამხდარი კაცი.

— ვარდენი, ვარდენი! — გაისმა ირ-
გვლივ და ასობით ხელი აიშართა ღვი-
ნით სავსე ჭიქებით.

უარზე დამდგარი ვარდენი იძახდა:

— შემობრალეთ, ძვირფასო მეზობ-
ლებო! ჩემზე უკეთესი თამადა რამდე-
ნიც გინდათ იმდენია სოფელში.

ხალხი მაინც არ მოეშვა, ამართული
ჭიქები დაცალეს.

სუფრის ერთ მხარეზე დედოფლის
მაყრები ისხდნენ. შემდეგ მოდიოდა
შერჩეული მომღერლები, მეჩონგურეე-
ბი, აკორდეონის დამკვრელი და მოცე-
კვავეთა მთელი გუნდები. მეორე მხა-
რეს, ნეფის მაყრები, მათ შორის თვი-
თონ თამადა იჯდა, ხოლო პირდაპირ ამ
ოჯახის შორეული სტუმრები და ახ-
ლობელი ნათესავეები. მერე მოდიოდა
თითქმის მთელი სოფელი, ქალი თუ კა-
ცი, ღიდი თუ პატარა.

მერეჩიფეები, თუ სხვა მოსამსახურე-
რები ჯერ კიდევ უსაქმოდ იდგნენ გა-
სასვლელებში.

ვარდენმა ყელამდე გაავსო ყანწი და
წამოდგა.

— ხალხო! დღეს ჩვენ პირველად
ვაქორწინებთ ომიდან დაბრუნებულ
ვაჟაკს! მათი გაზაფხული მოვიდა! —

დაიწყო ვარდენმა. მერე სანდროს და
პატარძლის ქება-დიდებაზე გადავი-
და, — მათ „პირველი ყვავილები“ უწო-
და. — ომში გავიმარჯვეთ: ახლა მერე-
... თრონტზე გრძელდება ბრძოლა! —
ყანწი დაცალა და მის მოადგილეს გა-
დასცა.

სეფის მეორე თავში წამოდგა, ფარ-
თოდ მჯდომარე, მხრებგანიერი და ჩო-
ხაში გამოწყობილი მოადგილე, რომ-
ლისათვის ხალხს სიდიდისა და ძალო-
ვნების გამო „კონსტანტინე მდევი“
შეერქვა. მან გრძელი, გაჭაღარავებუ-
ლი უღვაშები გადაიგრიბა, ქიღებში
გაისწორა და ყანწში მთელი ლიტრა
ქარვისფერი ღვინო ჩაასხა. მერე პი-
რამდე სავსე ყანწი ყველას დასახაზად
მალლა ასწია. დაეწაფა და ნელ-ნელა
შესვა.

წყვილი ყანწი მიმოჰქროდა სეფის
თავიდან მეორე თავში, „ალავერდს“
გადადიოდნენ, ბოლომდე ცლიდნენ.

სმა ჩაღდებოდა, სადღეგრძელო სად-
ღეგრძელოს მისდევდა. მიმობრუნდნენ
მერიქიფეები, ღვინო შემოჰქონდათ და
დაცარიელებული ჭურჭელი გაჰქონ-
დათ.

ყოველ სადღეგრძელოს დასაწყისში,
ან დასასრულში ჩაღდებოდა სიმღერე-
ბი თუ ჩონგურის წყრილი. გაისმოდა
აკორდეონის გულამომჯდარი ამოძახი-
ლი და შუა სეფაში ზედიზედ გამო-
დიოდნენ მოცეკვავენი.

მარჯვნივ, სეფის ბოლოს უმოძრა-
ოდ იჯდა თამარი. ზოგჯერ თვალშე-
პარვით თამახისაკენ გაიხედავდა. თა-
ნაც მკაცრი გამომეტყველებით თამა-
ხსა და ლევანს შუა მჯდარ ნატოსაც
თვალს შეაულებდა. ფითრდებოდა,
ბრაზმორეულს სახეზე სიწითლე გადა-
უვლიდა ზოლზე.

რაც უფრო ხალისიანი და ბედნიერი
იყო ხატოს გამომეტყველება, მით უფ-
რო ბრაზდებოდა თამარი, მით უფრო
აჩქარებით უცემდა გული. მისი ამგვა-
რი საქციელი ხალხისათვის რომ შეუშ-
ინეველი დარჩენილიყო, ზოგჯერ პურს
გასტებდა, თუმცა თითქმის არაფერს
ქამდა.

— სად იხედები? სირცხვილია, წამე
რამე, ხალხი შეგატყობს, — ეუბნებო-
და მართა.

თამარი თითქოს ეთანხმებოდა, მხო-
ლოდ თავს უქნევდა.

თამაზმა იცოდა, რომ თამარი აქ იყო, არ შეუხედავს, მაგრამ როგორღაც ინსტიქტიურად გრძნობდა, თუ სად იჯდა და ამიტომ თავს მალა არ წვედა, მხოლოდ მის გვერდით მსხდარ სტუმრებს თუ შეხედავდა.

როდესაც ვარდენმა ნატოს, თამაზისა და კლუბის მშენებელთა კოლექტივის სადღეგრძელო ერთად დალია, თამარს ვული შეეკრეშა, უეცრად წამოიღვა.

— სად მიხვალ, თამარ? — ჰკითხა მას რძალმა.

— არ შემოდია, — წასჩურჩულა თამარმა, სუფრა დატოვა და გარეთ გავიდა.

ეზოში თითქმის არავინ იყო. ფეხს აუჩქარა, ჭიშკრის მახლობლად აღვისხესთან შეჩერდა.

— სად მიხვალ, თამარ? — შემოესმა მართას ხმა.

— წავიდეთ, მართა, ვერ დავჩრები აქ.

— ასე დარჩენას წასვლა ჯობია! — დაეთანხმა მართა და ეზოდან გავიდნენ. თამარი წინ მიდიოდა.

დადუმებულ სოფელში ხმა არსიდან ისმოდა, უკან დატოვებული ქორწილის ხმაურიც ნელდებოდა. დაცარიელებულ გზაზე, თუ შეუკბში არავითარი სულდგმული აღარ იძროდა. ხოლო ქრივინების გაბმული ჭრიჭინი კი არ ანელებდა, კიდევ უფრო აძლიერებდა უსაზღვრო მყუდროების შთაბეჭდილებას და თამარში სულიერი სიმართვის გრძნობას ძრავდა.

სწორედ ის დრო იყო, როცა სოფელში ძაღლის ყუფაც აღარ ისმოდა, და როგორც ხალხში იტყვიან, „წყალსაც ეძინა“. ცაში მალა ასული მთვარე თითქოს მხოლოდ ამ სოფელს დაჩერებოდა დაბატარავებული ხეების ჩრდილებიც, თითქოს რაიმე იდუმალ ფიქრებს ფარავნო, უხმოდ ირხობდნენ. სოფელი თითქოს იმიტომ გარინდულიყო, რომ მოესმინა უხმოდ მიმავალი თამარის ფეხის ხმა. ეს ხმა თვით თამარს რაღაც აუხსნელ შიშს აგრძობინებდა. მას კარგად მანძილით ჩამორჩენილი რძლის არსებობაც დაეწყებოდა თითქმის გარბოდა.

„ჩემკენ არ იხედებოდა, არ სურდა დაეხანა“, — ფიქრობდა იგი და როცა ნატოს მომლიძარი სახეც წინ უდგებოდა, ხელს ნერვულად აიჭნევდა: „საზიზღარი“. მან კარგად იცოდა, რომ

ძმებს შორის შეუქივით ჩამდგარ ახალგაზრდა ქალს, ნატოს, მის ზომართ არავითარი ბრალი არ მთებოდა, მაგრამ მაინც ეჯავრებოდა იგი.

„რა უფლებით ვამაგებ? რა დააშავა? ან მე რას ველი, რისთვისღა ველავ? მე ხომ სხვა ვიპოვე?“ ყველაზე მეტად უკანასკნელი სიტყვა „ვიპოვე“ — ბზრახებდა, თითქოს თავის-თავს დასცილობდა ამ სიტყვით.

უეცრად გასროლის ხმა შემოესმა და ისე წაბარბაცდა, თითქოს ტყვია მოახვედრსო. მიიხედა: გორაკზე, სადაც ქორწილი გრძელდებოდა, ცაში აგარდნილი მამხალები შეინშნა.



შეზარბონებულნი ხალხი მხიარული შეძახილებით და სიმღერებით ტოვებდა სეფას. ეზოში ჯგუფ-ჯგუფად გამოდიოდნენ და უფრო მეტი ვაცხარებით ცეკვავდნენ, მღეროდნენ, უკრავდნენ.

ხალხის ნაწილი შინისაკენ მიდიოდა სიმღერით, ყვირილით ალვიძებდა მძინარე სოფელს.

ეზოს წინ გზაზე შეჩერებულ ლევანის და თამაზის პირდაპირ ნატო რაღაც შემცბარი იღვა, წითლდებოდა, ფითრდებოდა.

იქვე ვარდენის მიერ გამოგზავნილი ავტო შეჩერდა. შიგ ვილაც უცნობი მოფერი იჯდა:

— დაბრძანდით! — დაიძაბა მოფერმა და ამ ძახილმა ნატო შეაყრთო.

— წავიდეთ, ნატო. — უთხრა ლევანმა.

ნატომ ძლივს უბასუხა:

— არა, მე ფეხით გავივლი.

— თუ აგრეა, ნახვამდის, ნატო, — უთხრა ლევანმა, ხელი ჩამოართვა.

ნატომ თითქოს სინანულით თავი დაუქნია.

ახლა ყურებამდე გაწითლებულ ნატოსთან თამაზი მივიდა და ხმადაბლა უთხრა:

— მარჯვეთ იყავით. თუ რაიმე დაბმარება დაჭირდეთ, შეგიძლიათ მაცნობოთ. მშვიდობით, ნატო!

ნატო შეყოყმანდა, მერე ძლივს წარმოსთქვა:

— მისამართი?

— დედანემთან შეგიძლიათ გაიგოთ, — უპასუხა თამაზმა და ავტოში ჩაჯდა.

მანქანა წავიდა, მაგრამ ნატო აღარ იძროდა. რაც უფრო მორიდებოდა დილის ბინდში შეჭრილი მანქანა, მით უფრო გული ეკუმშებოდა და თვალები ცრემლებით ევსებოდა.



ლევანი და თამაზი მეორე დღეს გამგზავრნენ თბილისში.

ღამე იყო. რბილი ვაგონის ქვედა საწოლზე ეძინა ლევანს.

თამაზი გამოღებულ ფანჯარასთან იჯდა, მთვარით განათებულ ცას მიჩურებოდა. უყვარდა ეს ცა, მშობლიურ მიწაზე გამწვირვალე ქოლგასავით ჩამოხურული.

რამდენი წარუშლელი შთაბეჭდილებებით დატოვა სოფელი. ამ შთაბეჭდილებებიდან ბევრი რამ ახარებდა, ბევრს სიამაყის გრძობით იფონებდა, თუმცა სატიკვარი, რომელიც ქალაქიდან ჩამოაყვია, სოფელშიაც არ ეშვებოდა. მიუხედავად ამისა, ის კარგად გრძობდა, რომ სოფელმა შეუძსებუქა, მოუშუშა ფიზიკური და სულიერი ტკივილი. ახლა უფრო გაჯანსაღებული ბრუნდებოდა ქალაქში.

სოფელშია, ზოგჯერ თვალი თავისთავად ეხუტებოდა უკან დატოვებული სოფლის სურათები მოსდევდნენ, და იმ აღმანიანების ხმებიც ესმოდა, რომლებიც სოფელში დარჩნენ.

უპირველესად ყოვლისა დედასთან გამოთხოვების სურათი რაღაც დიდი გრძობით უტოკებდა გულს. ეზოში შეიღების გასაცილებლად გამოსული დედა, დიდხანს უძრავად იდგა, სიტყვის თქმასაც ვერ ახერხებდა. ჩასდნენ მანქანაში, გაემგზავრნენ, უკან მოიხედეს და დედა ქალაქში გამგზავრებულ შეიღებზე ჩაფიქრებული ისევ იმ ადგილას იდგა... ახლა ვარდენი აღმართა მის თვალწინ. მომღიმარი გულგაშლილი და მისთვის საყვარელი სიტყვით — „ძვირფასო“ — თი. აი ცოლა და ჩაის ბუჩქებში გასული მისი მეგობრები. აგრო, გრივთლის, ხარტონის, თეიმურაზის, ეგნატის, ესტატის და სოფლის მშენებელთა მრავალი სახე. მერე ბაზმაროზე გამგზავრების სურათი, ნიაღვარივით მოდენილი ბედაურების რემა-

ში მდგარი ნატო, მწყემსები, მოხუცები თუ ახალგაზრდები! აი სანდროს ქორწილში ნატო! და მამარი: პირველს ითმენდა, მეორეს — ტანჯავდა, თუმცა ტანჯვის ძალას დრო ასუსტებდა, ანელებდა. აგერ ბაბუა ქაიხოსრო, ბებერ მუხასთან ფეხმორთხმით დამჯდარი ჩიბუხს აბოლებს, სედას წვეს იმ ჩიბუხს. ზღვას გადაწყურებს, თითქოს დროთა მსვლელობას ზღვის სარკეში ხედავს.

მრავალჯერ გაიფიქრებდნენ თამაზის იფალწინ ერთი და იგივე სახეები, მაგრამ ამ სახეების ყოველ გამოჩენას რაიმე ახალ აზრს უკავშირებდა. თბილისისაკენ მიმავალი მატარებელი გზიდან ხეების შეფოთილი რტოებს ეხებოდა, ამრიალებდა, შორდებოდა. თამაზს ეგონა — ამით მშობლიურმა ქვეყანამ უხვი კალთა დაიბერტყა, მთელი სიმდიდრე ზღვამშლილად შემოგვავარდა და ყელამდე აგვევსოდა. ამიტომ ფოთლების შრიალიც გულით მიჰქონდა.



ერთი კვირა გავიდა. ოთახში ჩაეტილმა თამარმა მხოლოდ ახლა გაიგო თამაზის თბილისში გამგზავრება.

— ახლა რაღა გიჭირს, ალბათ, შენც სადარდებელი მხოლოდ ეს იყო და გამგზავრა. შეგიძლია მოისვენო, ჩაიც მოჰკრიფო, — უთხრა მართამ და გარეთ გავიდა.

„წავიდა, მე აქ რაღა გამაჩერებს, სული მეხუთება. იქნება ისიც თან წაიყვანა? სექტემბერიც მოვიდა. უნდა წავიდე“. — თამარმა ფანჯარა გააღო და გაიხედა.

„შე ჩადის, დამდება, თუ ეს ღამე გაეთენე, გავემგზავრები... მართლა, ნინოს გაფრთხილება მთლად დამვიწყდა. მის რჩევას ახლაც ვეღვატობ, რას იტყვის, ნინო? აქ დარჩენა მაინც არ ძალმიძს. მალე ისიდორეც თბილისში იქნება, არა, ვერ გაეძლებს! მშვიდობით, ჩემთვის მოწამლულ სოფელი!“ — ფანჯარაში იცქირებოდა, წინათ მისთვის საყვარელი ადგილები აღარ ხიბლავდა, — პირიქით სძულდა, თვალს არიდებდა ყველაფერს, რაც წარსულთან აკავშირებდა, კარგსაც და ავსაც ერთმანეთში ურევდა და ერთად ჰკმობდა. ჰკმობდა იმ გზებს, რომლებ-

მაც ამ მდგომარეობამდე მიიყვანეს იგი. თანჯარა გაღებული დატოვა და კარს გააღო, გარეთ გაიქრა:

— დედი, ხვალ თბილისში მივემგზავრები. გადაწყდა, დედი. — თითქო რაღაც სახეიმო განწყობილებით მიამახა სამხარეულოდან გამოსულ დედამ.

მეორე დღეს, საღამოს, თბილისში გასამგზავრებლად გამზადებულმა, აჩქარებულმა და აფორიაქებულმა თამარმა, თითქოს მხოლოდ მოვალეობის მოსახდელად დაპოვნა ბავშვები და დედაც. მერე ცალი ხელი ჩემოდანს ჩააგლო, მეორე მართას მკლავში გამოსლო და თან წაიყვანა:

— წავედი, მშვიდობით! — დაიძახა უხოდან გასულმა.

— ფრთხილად, შვილო, თამარ, ნუ აცეტრდები. წინ დაიხედე, ისე იარე! — გასძახა დედამ.

სოფლსაბჭოს პატარა მოედანზე, იქ, სადაც ავტომანქანები დგებოდნენ, ჩემოდანი დადეს და მერხზე ჩამოსხდნენ.

თამარი ღელავდა, ერთ ადგილას გაჩერება უჭირდა, აქეთ-იქით სიარული დაიწყო.

კლუბის მშენებლობაზე გამოსული

კლმეურნეების ხმაური მოესმა. მაფქენ გაემართა და, როცა ახლო შვიდა, უცერად შედგა:

— ნატო? როგორ, ვანა, ნატო? თან მახს არ გაპყვა? კლუბის მშენებლობას თვითონვე განაგრძობს და, მამაკაცივით ლურჯ ტანსაცმელში გამოწყობილი, მუშებს გასძახის! მე კი მეგონა, რომ საქმე გათავდა, — რაღაც შევბით გაოფიქრა თამარმა. თვალს არ ამორებდა ნატოს, აცქერდებოდა, ამოწმებდა — ხომ არ შეეცდით. საბოლოოდ დარწმუნდა, რომ არ შეეცდარა, მაგრამ ახლა გაფართოებულმა მოედანმა იყო აყვირა: აგერ, აქ პატარა გორაკი იყო და აღარ არის, იქვე ცენტრისების მისაღები საწყობი და აღარც ისაა. გადათხრილი გორაკის ადგილას ვეებერთელა თხრილებია, რაღაც მასალებიც მოუტანიათ. ნატო იქვე დგას...

მოვიდა მანქანა, თამარი ჩაჯდა, ნახევარ საათში უკვე რკინიგზის სადგურში იყო.

შინ დაბრუნებული მართა, რაღაც სინანულით აქნევდა თავს, თბილისში გამგზავრებულ თამარზე ფიქრობდა.

თარი მტრე

I

თბილისში ზაფხულის უკანასკნელ დღეებს სიგრილე შეუქმნევლად ებარებოდა. ყველაფერი სიმშვიდეს მოეცვა. ეს სიმშვიდე თითქოს ქალაქის ხმაურშიაც იგრძნობოდა.

დილა იყო, თამარმა თანჯარა გააღო და მზე უფრო ხალისიანად შემოიჭრა ოთახში.

სამუშაო მაგიდას მიუჯდა, სოფელში წაკითხული წიგნები და ჩანაწერები გადმოაღა, შეამოწმა ზაფხულში მთელი თავისი მუშაობის შედეგი. დარწმუნდა რომ ზაფხულს უნაყოფოდ არ ჩაუვლია, რომ იმაზე მეტი გაუკეთებია, რის გაკეთებასაც აპირებდა. უკვე თავის მომავალ მეცნიერული მუშაობის გეგმაზე ფიქრობდა. იწერდა რისი წაკითხვა, ნახვა თუ გასინჯვა იყო აუცილებელი, რათა საბოლოოდ განეხორციელებია დასახული მიზანი. იგი

რწმუნდებოდა, რომ ჩელიაბინსკის მეტალურგიულ ქარხანაში მისი მუშაობის წლებს უნაყოფოდ არ ჩაუვლია, ინდუსტრიულ ინსტიტუტში მუშაობამაც ბევრი რამ შესძინა, ცოტა არ იყო, აგრეთვე თვით ფრონტზე მიღებული გამოცდილებაც, მაგრამ ეს ყოველივე მაინც საქმოდ არ მიაჩნდა, რომ ბოლომდე მიეყვანა დასახული ამოცანის განხორციელება პრაქტიკაში შემოწმების, გამოცდის გარეშე, — რის შემდეგ შესაძლებლობა ექნებოდა საბოლოო თეორიული დასკვნები გამოეყვანა. სწორედ ამ მიზეზით ჯერ კიდევ ვერ მისცა პირობა ინდუსტრიალურ ინსტიტუტის დირექციას, შეეძლო თუ არა დაეწყო მუშაობა თავის ძველ ადგილზე. მეტალურგიული ქარხნის მშენებლობისაკენ მიუწევდა გული.

თამარს ზარის ხმა შემოესმა. დერეფანში გავიდა, კარი გააღო და უცერად შედგა.

— სერგო ივანეს ძე! — შესძახა და მიეჭრა, — როგორ მიპოვეთ? მობრძანდით, მობრძანდით!

ძველი მეგობრებით გადაკონცეს ერთმანეთი.

თამაზი თავის კაბინეტში შეუძღვა სერგოს.

სერგომ თამაზის გამართულ ნაბიჯს რომ შეხედა, სიხარულით სიცილი მორთო:

— მის სატყეარი წყალს წაუღია და ლომციხისაკენ ერთად მივდივართ!

— სატყეარი? ლომციხისაკენ? — რაღაც დაეჭვებით წარმოსთქვა თამაზმა. შემდეგ დაუმატა: — ენახოთ, გადაჭრით ვერაფერს გეტყვით.

— ველარ მეტყვიეთ? რას ამბობთ? ყველაფერი გადაწყვეტილია და ამერიიდან ველარსად წაეხეხალთ! პარტიამ იცის და ღირეკციამ, სხვა რაღა გინდათ?

— ვიცი, ამხანაგო სერგო ივანეს ძე! ცენტრალურ კომიტეტში გუშინ ვიყავი. პარტიამ თავისი აზრი გამოთქვა, ჩემიც მოვახსენე, არჩევანი ჩემზეა. ისევ ინსტიტუტულ ინსტიტუტში თუ მეტალურგებთან! ამ სამ-ოთხ დღეში ვაცნობებ ცენტრალურ კომიტეტს.

— რას აცნობებთ? თქვენ მაინც ყოყმანობთ და ჩვენთან არ გნებავთ?

— მე ყველგან მიინდა, სადაც ხელი მიმიწვდება, მაგრამ ვიცი, ყველაფერს ვერ გააწვდები და იძულებული ვარ ერთზე შეეჩერდე!

— მამ ჩვენი მეგობრობა დასრულდა!

— არა, სერგო, ჩვენი მეგობრობა არასოდეს არ შეწყდება. — გაუღიმა თამაზმა. — ნუ მაჩქარებთ.

— რაღა ბევრი უნდა იფიქრო, თამაზ, ჩვენთან უფრო დიდი ცხოვრებაა, და იმედია, ზურგს არ შეგაქცევთ! — უთხრა სერგომ და წასვლა დააპირა, მაგრამ თამაზმა შეაჩერა.

— სად მიხვალთ? ჩვენს სახლში პირველად მობრძანდით, — უქალო ოჯახში ვართ, მაგრამ იმედია არ დაგვძრახავთ!

თამაზმა არ გაუშვა მეგობარი, სასადილო ოთახში შევიდნენ. ჯერ თითო ჭიქა კონიაკი დალიეს. მერე „კახურმაკ“ ზნა გაიკვლია, და სერგო უკეთეს ხასიათზე დადგა.

— ამისთანა კაცი მეუბნებოდა, თქვენთან ვერ წამოვალ! განა ეს ამბავი და-

სამშვებია? თუ არ წამოხვალთ, ძალით წაგიყვანთ! — ხუმრობდა სერგო.

სერგოს
• ზიზღილიყვანა

სალამოს ძმები ერთად ისხდნენ და საუბრობდნენ.

— იცი, თამაზ, კოტე არ მეშვება, ხან ტელეფონით მირეკავს, ხან გზაშიაც მხედება და მეხვეწება: „ურჩიეთ თქვენს ძმას, — ახლა მაინც დაუბრუნდეს ინსტიტუტს. ახლა კიდევ უფრო მეტი პატივით მოვეპყრობით“. რას იტყვი, თამაზ? ჩემი აზრით ეს აუცილებელია. — უთხრა ლევანმა.

— ენახოთ, ლევან. ან ინსტიტუტს დაუბრუნდები, ან ლომციხის ქარხანაში დაგიწყებ მუშაობას.

— რას ამბობ, თამაზ? — გაიკვირვა ლევანმა და მოიღუშა. — მე ისევ მტოვებ?

— არა, ლევან, მართალია, გული ლომციხისაკენ უფრო მიმიწვებს, როგორც ვრწმუნდები, ჩემი მეცნიერული მუშაობის წარმატებისთვისაც ლომციხე აჯობებს. მაგრამ თუ ლომციხეში ჩემი წასვლა აუცილებელი იქნება, დარწმუნებული ვარ, თვითონვე მიჩვენებ: წადი, იჩქარე, ნულარ აყვანებო! ჩვენ ხომ პირადი ინტერესის მიხედვით საკითხს ვერ გადავწყვეტთ.

ლევანს არ უქადავებია ძმისათვის, მაგრამ თამაზი გრძნობდა, რაზე ფიქრობდა იგი.

„მარტო ვიყავი, ჩამოხველი, გაცოცხლდი. ისევ წასვლას აპირებ; მაინც ვერ გაეტყვი დარჩი, იმიტომ რომ მე გამახარო მეტი. მთელს სიცოცხლეს ძმები ისე ვივლით, როგორც ჩვენს ქვეყანა მოგვინოვს. დაშორების შემდეგ შეხვედრას მეტი ხალისი ექნება... იქნებ უამისოდ მოდუნებულიყო ცხოვრება, სიახლე დაეკარგა, როგორც უშომარაო წყალს. რამდენადაც დაშორებით დაგვწყდება გული, იმდენადვე გაეხარებთ, ერთმანეთთან ხელახლა შეხვედრით“.

— თამაზ, წავიდეთ, გავიაროთ, რამდენი ხანია ერთად არ გაგვივლია ქალაქში.

— წავიდეთ, ლევან! რუსთაველის გამზირზე გავიდნენ. ძლიერი შუქით განათებულ ქუჩაში ხალხი ზღვასავით მოძრაობდა. ამ ხალხ-

ში სოფლიდან ახლად ჩამოსული ახალგაზრდების ხმა ისმოდა; ქართლ-კახური, იმერული, გურული თუ რაჭული კილოცაგები. ისინი საქართველოს ყველა კუთხიდან უმაღლეს სასწავლებლებში შესასვლელად ჩამოსულიყვნენ და ახალი სიცოცხლე მოეტანათ ქალაქში.

ქმები ამ ახალგაზრდობას განსაკუთრებული ინტერესით ათვალიერებდნენ.

— აი ჩვენი მომავალი ინჟინრები, ექიმები, აგრონომები, პროფესორები, აკადემიკოსები! — სიხარულით წარბის-თქვა ლევანმა, — ყოველ შემოდგომაზე საქართველოს ყველა კუთხიდან ჩამოდინ დედაქალაქში.

— ალბათ ბევრი ამთავანი პირველად ჩამოდის და ახლად-თვალგახელილი ბავშვივით ყველაფერი აკვირებს. — დაუბატა თამაზმა. იგი ერთმანეთს ადარებდა მარტო ელნათურებით კი არა, ახალი სიცოცხლით განათებულ ქალაქსა და ომის კომშარს: რა დიდი უფსკრული იყო მათ შორის! ომი თითქოს იმიტომ იყო გამოგონილი, რომ აი, ასეთი სიცოცხლე ჩაენთქა.

ნაცნობები აღტაცებით ეგებებოდნენ, უფრო ახლო მეგობრები ჰკიცხვინდნენ. აქ ფრანტის მეგობრებიც შეხვდნენ. მათი ნახვა მასში განსაკუთრებულ აღტაცებას იწვევდა. ისინი თითქოს შეცვლილან, გადასხვაფერებულან, ის აღარ არიან, რაც ომში იყვნენ.

ქმები რუსთაველის გამზირი ათარეს, ფუნქციონირის ქვედა სადგურისაკენ გაემართნენ.

— ავიდეთ მთაწმინდაზე, ვნახოთ როგორ გაიხარა სტალინის ბაღმა. ომის დაწყების შემდეგ აღარ მინახავს.

— წავიდეთ. — დაეთანხმა თამაზი. ვაგონი ნელი გუგუნიით აღიღო მთაწმინდაზე და თითქოს ქალაქი ევება ქვაბში ეშვებოდა, თუმცა მზრებს შლიდა, უფათოდებოდა. მარჯვნივ მთის კალთებს შორის ბუდესავით ჩადგმულმა მამადავითმა, მთის არწივივით ამოჰყო ნისკარტი.

სტალინის სახელობის გაჩირადნებულ პარკში შევიდნენ. თითქოს თვით სიცოცხლის საფეხურებზე შედგეს მათ ფეხი და თლილი ქვის კიბით სტალინის ვეებერთელა მონუმენტისაკენ ქვასწიეს. თანდათან ახლოვდებოდა ქვამაცოც გაცოცხლებული სტალინის სახე. აიარეს საფეხურები, სულ ზევით ავიდნენ. იქ

მონუმენტის ახლოს ერთერთ მერხზე დასხდნენ. გრილი ნიავი უბერავდა. ეს თითქოს თვით შობილიყო მთებზე სუნთქვა იყო.

ქმები აქ, მთელი ქვეყნის მწვერვალზე გრძნობდნენ თავს და წასვლა აღარ უნდოდათ. აგერ სამშობლო, აქვე ბე-ლალი. — კაცობრიობა მწვერვალთა მწვერვალი, ბაღს ირგვლივ შემოთარეს. ახალ შენობაში შევიდნენ, იმ შენობის აივნიდან თბილისს დახედეს. აივანზე მაგიდას მიუსხდნენ.

ფიქრებში წასულ თამაზს არც ვაუგია, თუ როდის გამალეს სუფრა. მხოლოდ, როცა ლევანმა ღვინით საესე ჭიქა მის ჭიქას მიუჭახუნა, ის გამოერკვა, ჭიქა აიღო, ლევანის გამოთქმული სადღეგრძელო ერთბაშად შესვა.

შინ გვიან დაბრუნდნენ. ასე მშვილად თამაზმა დღეს თითქოს პირველად მოისვენა. მის გულში მიწე-ლებულიყო მიმქრალიყო დადარი, გა-ნუწყვეტილი წვა, რომელიც არც დღი-სით და არც ღამით არ ასვენებდა.

II

თბილისში დაბრუნებული თამარი ვერ ისვენებდა. სკოლის ძველი მეგობრები თითქოს გაურბოდნენ, — მისთვის არ ეცალათ, მხოლოდ მიესალმებოდნენ და დაშორებას ჩქარობდნენ. არ უნდოდა, რომ გენრეტა მოეჩახა, მასთან შეხვედრას ერიდებოდა. როგორც იყო, ძლივს იპოვა ანიყო, მაგრამ მისგანაც მხოლოდ შეპირება, მილო, ორ-სამ დღეში გინახულებო, და ისიც და-შორდა.

თბილისში დაბრუნების პირველ დღესვე შეუდგა თამარი ბინის დალაგებას. გააღო კარები, ფანჯრები, ყველა ოთახი დაასუფთავა, მაგრამ ის სიხარული მაინც ვერ ჰპოვა, რომელსაც ის აქ, თავის ბინაში დაბრუნებისას გრძნობდა მუდამ.

ოთახიდან ოთახში დადიოდა, თითქოს იმ სიხარულს ეძებოდა, მაგრამ ის აქ აღარ იყო.

ისილორეს ბინაზე რამდენჯერმე დარეკა. უნდოდა გაეგო, დაბრუნდა თუ არა, მაგრამ ბინიდან პასუხს არავინ აძლევდა. თამარი თვალწინ დაუდგა სურათი ისილორეს გასტროლებზე გამ-გზავრების წინ, ქუჩის კუთხეში, რომ შორდებოდა. „თამარ, დაიხე, იქნება

წასვლამდე კიდევ შეგხვდეთ ერთმანეთს, ჩაესმა ახლა ყურში ისიდორეს სიტყვები. მაგრამ ისე ვაემგზავრა ისიდორე, რომ არ მოვიდა თამართან. იგი ორი დღე იყო კიდევ თბილისში და არ მიაკითხა თამარს. რატომ? არა, მე იმიტომ ის თამარი აღარ ვარ, რაც ვიყავი. იქნება გასტროლოგებზე იმტომ წავიდა, რომ ჩემთან დამორება უნდოდა. ასეა უთუოდ. აი მიიღია აგვისტო და მძებლობა. წავალ, გენრიეტას ეცოდინება“.

ჩაიკვა. ჩქარობდა. უნდოდა მალე გავეყო, ისიდორეს ამბავი და თან საოცარ გარებებს ვრძნობდა თავის თავში. თითქოს გულით უნდოდა ისიდორეს მალე ჩამოსვლა. მაგრამ ამავე დროს უნდოდა თავისთავიც დაესაჯა და ზურგი შეექცია ისიდორესათვის, — რატომ მოსდიოდა თავში ეს საოცარი ფიქრები. ქუჩაში გამოვიდა აფორიაქებული და შემფოთებული. ჩქარი ნაბიჯით გასწია გენრიეტას სახლისაკენ.

„რატომ წერილი ან დეპეშა არ გამომიგზავნა. არა, არა, მე მან ზურგი შემაქცია, მიმარტოვა. მაგრამ რატომ ვფიქრობ მე ამაზე ასე დამშვიდებით? რატომ არ მტყვივა გული? რატომ არ ვტირო?“ მაშინ გამოერკვა, როდესაც მესამე სართულზე გენრიეტას სახლის კარებთან შეჩერდა. დააკაკუნა.

— ვინ არის? — მოისმა შიგნიდან ქალის ხმა.

თამარს ეს ხმა ეუცხოვა და შეყოყმანდა, მერე მაინც გაბედა:

— გენრიეტა მინდა!

კარი გაიღო, ვიღაც სათვალეებიანმა დღაბერმა გამოჰყო თავი:

— გენრიეტა?

— დიახ, გენრიეტა სანგირაშვილი!

— ქვევით, ქვევით. — უთხრა მოხუცმა.

— ვერაფერი გავიგე.

— ქვევით ცხოვრობს. — შესძახა მკაცრად ქალმა და თამარის ცხვირწინ კარი ხმაურით მოხურა.

გაოცებული თამარი კიბეზე დაეშვა, ეზოში ჩავიდა. ვიღაც წვერმოშვებული მოხუცი შეხვდა და იმას ჰკითხა:

— უკაცრავად, იქნებ თქვენ იცით სად ცხოვრობს, გენრიეტა სანგირაშვილი?

— აი, სად ცხოვრობს! — უთხრა მოხუცმა და ოღნავ განათებულ ოთახზე უჩვენა.

შემცხარი თამარი იმ ოთახის კართან შეჩერდა. ფრთხილად, ძლიერ ფრთხილად დააკაკუნა. კარი გაიღო.

— თამარ! — შესძახა სინჯარულით და თან გაოცებით გენრიეტამ.

გენრიეტა არ ელოდა თამარის მოსვლას, არც თვითონ თამარი მოვლოდა, თუ გენრიეტას აქ იპოვიდა.

— თამარიეო ჩემო! ხუთუ შენა ხარ, როგორ მიპოვე?

— გიპოვე, — პირქუშად უპასუხა თამარმა.

— მოდი, აქ დაჯექი, აგერ ამ ტახტზე!

თამარი დაჯდა.

— რა მოგივიდა, რა დაგემართა, გენრიეტა?

— ნუ მკითხავ, თამარ. მამა მომიკვდა.

— მამა მოგიკვდა?

— მარტო დავჩინი. ბინა გადაეცვალე, აქ ჩამოვედი, ძლიერ გამოიჭირდა, თამარ. გვიან მოვედი გონზე. უქმად ყოფნით ვერ იცხოვრებ თურმე. ფოსტაში დავიწყე მუშაობა. შენი გენრიეტა ჩემო, თამარ. შემიძლია შენც მოვაწყო.

— ფოსტალიონად?! — მაშინაღურად ჰკითხა თამარმა.

— არ მოგწონს? — ჰკითხა გენრიეტამ. — რატომ? შეგიძლია სხვა რამე ისწავლო. აი, მთავართად, მანქანაზე ბექდვა! შესანიშნავია, ყველაფერს აჯობებს! მე გირჩევ, თამარ.

კარგა ხანს სდუმდნენ.

თამარს გენრიეტა ასე დადუმებული და უსიცოცხლო ჯერ არ ენახა. როცა მას უცქეროდა, თავისი მდგომარეობაც ავიწყლებოდა.

— არ მოგწონს ჩემი ბინა, თამარ?

არც ისე ცუდია, მზე და ჰაერი აქაც შემოდის, ცას აქედანაც ვუცქერი. მე ჩემი შრომით მალე გამოვასწორებ ჩემს შეცდომას. მე ახლა ყველაფერს ვხედავ ვიცი, რა გზას უნდა დავადგე. ამიტომ არ მეშინია. მე ცოტათი მაინც მალდა ამოვალ თამარ. მხოლოდ იმან იკითხოს, ვინც არც იქით არის და არც აქით.

— თამარი შეკრთა.

— რატომ მეუბნები. ამას, გენრიეტა?

— განა ტყიულს ვამბობ, თამარ? — უთხრა გენრიეტამ და თვალბნეში ჩააცქერდა. — შენ შენს თავზე რატომ მიიღე? თამარ, შენ რაღაც გაწუხებებს და არ

მიხვლ. მითხარი. ჩვენ ხომ ძველი მე-
გობრები ვართ?... ისიღორე სადაა და
რას აკეთებს?

— ისიღორე? — ცივად წარმოსთქვა
თამარმა და სახე აენთო! — არ ვიცი.
არც მაინტერესებს. იქნებ აქ არის და
მეძალეობა. — შეხედა. გენრიეტას. — გა-
დაეცი, დასამალი არაფერი აქვს, არა-
ვინ ეძებს.

— რას ამბობ, თამარ?! — გოცებით
შესძახა გენრიეტამ, ლოყებზე ხელები
შემოიწყო და ზეზე წამოდგა. — ეს რა
თქვი, თამარ? გული რატომ შეგეცვალა.
ისიღორეზე? იქნებ იმიტომ რომ, თამა-
ზი დაბრუნდა!

— ვერაფერს ვეტყვი. — ყრუდ უბა-
სუხა თამარმა და თავი დახარა. — არ
ვიცი, გენრიეტა რა გზას დავადგე. შენ
კარგად თქვი: „იმან იკითხოს, ვინც არც
იქით არის და არც აქეთ“.

— ეგ მე შენზე არ მიტყვამს, თამარ.
— მე ვამბობ ჩემს თავზე.

— გასაგებია. სოფელში იყავი. იქ,
თამაზს ხედავდი და ძველმა გრძნობებ-
მა გაიღვიძა. მართალს არ ვამბობ?

— არ ვიცი, ამაზე ნურაფერს მკით-
ხავ, გენრიეტა. მითხარი, ისიღორე ჩა-
მოვიდა?

— არ მინახავს, არ ვიცი, თამარ.

— შემალეობა. თამაზის დაბრუნების
დღიდან, მე მისთვის სხვა ადამიანი შე-
ვიქნენი. მეც თითქოს გამოიცვდა ისიღო-
რეზე გული, გენრიეტა.

— საქმე ცუდად ყოფილა, თამარ,
ვიჩივებ ბედს შეურაცხველ, ისიღორეს
ზურგს ნუ შეაქცევ. შენი და ისიღორეს
დამოკიდებულება, რომ არ ვიცოდე,
ამას არ ვეტყოდი. მით უფრო, რომ თა-
მაზთან დაბრუნებაზე ფიქრიც ზედმე-
ტია, გვიანლა.

— ვიცი გვიანლა, მაგრამ მე მირჩე-
ვია სულ მარტო დაერჩე, ვიღერე თავი
დავიმცრო, ისიღორეს წინაშე! ეს არ
შეშინდი!

— დაწყნარდი, კარგი ყველაფერს
ეშველება. ისიღორე დაბრუნდება. იგი
არ მიგატოვებს. მას ამის მიზეზი არა
აქვს.

თამარი ოღნავ დამშვიდდა. ერთხანს
ჩუმად იჯდა. ძლივს იკავებდა თვალზე
მომდგარ ცრემლებს. მერე წამოდგა.

— მიღიხარ, თამარ?

— მივდივარ; მალე გნახავ, გენრიე-
ტა. შენც მოდი. მარტო ვერ ვჩერდები.

... თამარს მთელი ღამე არ ეძინა. იგი
საშინელ სიმარტოვებს განიცდიდა. წა-
მოდგა. კარ-ფანჯრები დააღო. ყო, რო-
გორი სიმშვიდეა ოთახში! მარტო
დაღუმებულან ნივთები. მარტო
მკვდარია. ფიქრობდა თამარი. გულზე
ხელი დაიდო, ხომ არ გაჩერდათ და მო-
ეჩვენა, თითქოს გულიც გაჩერებულ-
ყო. შინშმა აიტანა, აივანზე გავიდა. მოა-
ჯირს ჩასჭიდა ხელები. ქალაქს ეძინა.
მტკვრიდან გრილი ნიავი ჰქროდა.
„მარტო ვარ, მარტო“, ჩურჩილებდა
გამშრალი ტუჩებით თამარი.

... მესამე დღეს, საღამოს თამარი ისევ
გულდამძიმებული გავიდა ქუჩაში. გრი-
ლი დღე იყო გენრიეტასთან მიდიდა.
როცა ეზოში შევიდა და გენრიეტას
ოთახის კართან შეჩერდა, საოცარი
დაღლილობა იგრძნო, თავბრუ დაეხვა
და რომ არ წაეცეულიყო, კარის სახე-
ლურს ჩასჭიდა ხელი. აღარ ახსოვდა,
როდის ან ვინ შეიყვანა გენრიეტას
ოთახში.

საღამოს გენრიეტამ თამარი შინ მია-
ცილა. ბინის კარი თვითონ გაუღო და
შეგ შეიყვანა.

— თამარიკო, მითხარი, როგორა ხარ?
რომ იცოდე როგორ ვიტახებდი შენი
შემყურე. მითხარი რამე, ჩემი მადლიე-
რი არა ხარ?

— მოშშორდი, გენრიეტა! — აღმოხ-
და თამარს უნებლოდ და სახეზე წა-
მოწითლდა.

— რა მოგდის, თამარიკო? — მოგ-
შორდები, მაგრამ მარტო როგორ დაგ-
ტოვო ასეთ დღეში?

თამარს ამფოთებდა, რომ გენრიეტას
ეცოდებოდა. იგი მის ყოველ სიტყვაში
და საქციელში დაკინვას გრძნობდა. არ
სჯერიდა მისი გულწრფელობის.

— წაიღ, გენრიეტა. მე მარტო მი-
ჩენია.

— არა, არა, ვერ მიგატოვებს, თამ-
არიკო.

— მოშშორდი, მოშშორდი! — დაუყ-
ვირა უცებ თამარმა.

— კარგი. წავალ, მაგრამ კვლავ შენი
ფეხით მოხვალ ჩემთან. — უთხრა გენ-
რიეტამ და გავიდა.

თამარი ოთახში დაჩენილმა სიხუმემ
გამოაფხიზლა. არ ეგონა თუ წაედიოდა
გენრიეტა. „ისიც გაევაღე, ისიც მოვი-
შორე“. ტირილი აუფარდა და ბალიშზე
დაემხო.

იმ დღეს თბილისში დაბრუნებული ისიდორე დიდხანს დადიოდა ზევით და ქვევით რუსთაველის გამზირზე. ვერ გადაეწყვიტა მისულიყო თუ არა თამართან. „ასე უცებ ხომ ვერ მივატოვებ, მაგრამ რატომ უნდა დაეშორდე?“ — ფიქრობდა იგი. საჭირო იყო გამოერკვია, შეეძლო თუ არა დაშორება, მაგრამ დღემდე ამ საკითხის გადაწყვეტას ვერ ახერხებდა.

უკვე მესამე თვე იყო, რაც ამაზე ფიქრობდა.

ბოლოს მაინც იმ აზრს დაადგა, რომ თამარის ნახვა აუცილებელი იყო. მობრუნდა და პირდაპირ თამარის ბინისაკენ წავიდა.

დიდი მანძილი არ გაუვლია და თითქოს ნაცნობ სახეს მოჰკრა თვალი.

— გენრიეტა, გენრიეტა!

გენრიეტამ იცნო და შეიგება.

— ისიდორე ხარ? ჩამოხვედი? სწორედ კარგ დროს.

— ახალი ხომ არაფერი მომხდარა, გენრიეტა?

— ახალი? მამა გარდამეცვალა!

— რას ამბობ? მონაწილე ვარ შენი მწუხარების.

— რათ დაიგვიანე, ისიდორე! თამარიც ისე გელოდა.

— როგორ არის, თამარი?

— ვერ არის კარგად. თამარის ამბავი ვაცნობე. ნინოს.

— რას ამბობ, რა დამართა? — შეწუხდა ისიდორე.

— არა, როგორ ვითხრა? მგონი მას ისევ თამაზი უყვარს.

— ეს რასქვი, გენრიეტა? სტყუი! — მკაცრად უთხრა ისიდორემ და გენრიეტას ხელი მკლავში ჩაავლო.

— გტყუი? — გაეცინა გენრიეტას. — მაშ, ნახე, თამარი და თვითონ გეტყვის.

— მესუბრები, გენრიეტა! რას გეტყვის?

— რომ შენზე გული გაუცივდა... რა მოგდის, ისიდორე? — შეხედა ისიდორეს გაფითრებულ სახეს გენრიეტამ და გაოცდა. არ ელოდა, თუ მისი სიტყვები ასე იმოქმედებდა ისიდორეზე.

— შენ სტყუი, გენრიეტა, არ დავიჯერებ! — შესძახა ისიდორემ და გენრიეტას ზურგი შეაქცია.

„თუ ის, რაც გენრიეტამ მითხრა მართალია, მაშინ ჩემთვის ყველაფერი გამორკვეულია“, ფიქრობდა ისიდორე და შინისაკენ გზას განაგრძობდა. მივიდა სახლთან. კიბე აირბინა. გასაღები ძლიერს მოარგო კარს, გააღო და სუნთქვა შეკრულმა ოთახში შეიბრინა. საწერ მაგიდას მიუჯდა და წერა დაიწყო:

„თამარი!

შენ ალბათ იგრძენი, თუ რა ძლიერ იმოქმედა ჩემზე იმის გაგება, რომ შენ ჩემს გაცნობამდე სხვა გიყვარდა და მე ამის შესახებ არაფერი მითხარი. მე ამ ამბავმა შემარყია. ამ დღიდან მე ვებრძოდი ჩემს თავს. ვედილობდი შენი საქციელისათვის რაიმე გასამართლებელი მიზეზი მომეძებნა, მაგრამ ამაოდ. ჩემი მერყეობა აქამდე გრძელდებოდა და აი, დღეს გაიგე, რომ შენ გული გაგტეხია ჩემზე. არ ვიცი, რატომ მოხდა ეს. თითქოს შეშინია კიდევ, რომ გავიგო. ამიტომ გადავწყვიტე არ გკითხო არაფერი. დამივიწყე, თამარ. გისურვებ იყო ბედნიერი.

ისიდორე“.

რამდენჯერმე გადაიკითხა და გადაწერა ბარათი, არსებითად მაინც იგივე დატოვა. კონვერტი დააწება. ზედ თამარის მისამართი დააწერა, ჩაიღო ჯიბეში და ფოსტისაკენ გაემართა. კონვერტი ხელით ეჭირა ჯიბეში. თითქოს ეშინოდა მისი.

„არა, რაღა საჭიროა ბარათის გავზავნა, ისა სჯობს თვითონ მივიღე, ვკითხო რა მოხდა და ჩემი პასუხიც უთხრა? ასე აჯობებს“. კონვერტი ამოიღო ჯიბიდან, შეაწე გდანია და პირდაპირ თამარის ბინისაკენ წავიდა.

რაც უფრო უახლოვდებოდა თამარის ბინას, მით უფრო ძლიერ უცემდა გული.

III

თამარიმა რაღაც უცნაური მოჩვენებით გაატარა ის დღე.

დილით ფანჯარა გამოაღო. გარედან შემოსულმა ღლის ნათელმა და სუფთა ჰაერმა გამოაცოცხლა. მერე ისევ ჩაწვა და ჩაეძინა.

შუაღლე იყო, ზარის ხმა რომ ჩაესმა ძილში. თვალი გაახილა. ამ ხმამ მოაგონა, სად იყო. წამოდგა. სკამებს ხელი ჩასჭიდა და კარებისაკენ წავიდა. გააღო და მისუსტებული ხმით დაიძახა:

— ანუ!

— გამარჯობა! რა დაგემართა? ავად ხარ, თამარ? — ჰკითხა ანიკომ, ხელი მიაშველა და ოთახში შეიყვანა.

— ავად ვარ, ანიკო.

— რითი ხარ ავად?

— თვითონაც არ ვიცი.

— ახლავე ექიმს მოგიყვან, თამარ?

— არა, არ მინდა, ექიმმა ასე მითხრა, — გარეთ არ გახვიდე, სიარული არ შეიძლება, — იცრუა თამარმა.

— თუ აგრეა, შენ აღარ წავალ, მოგვლი.

— ჩემო ანიკო, ჩემო ერთგულო, იყავი ჩემთან! — სიხარულით უთხრა და მიეკრა. დივანზე დასხდნენ.

— სწავლის დრო მოდის და ვეშაღებ, შენ რაღას ჰქვარობ? — ჰკითხა ანიკომ.

— ჩემი საქმე წასულია. უნივერსიტეტს რომ დავებრუნდე, ყველაფერი თავიდან უნდა დაეწყო, გამოცდების ხელახლა ჩაბარების თავი არა მაქვს... რაც ვიცოდო, ისიც დამავიწყდა.

— სამწუხაროა... — უთხრა ანიკომ — გეშეება, თამარ. წავალ რამეს მოვიტან და საჭმელს მოგიმზადებ.

ცოტა ხნის შემდეგ ანიკო კალათით ხელში საღაღც წავიდა. მალე სანოვგავე მოიტანა და სადილის მზადებას შეუდგა, თან თამარს ესაუბრებოდა.

— თამარ, ავერ დანაჩანგლებსაც დავასუფთავებ და სადილი მზადაა, — უთხრა ბოლოს და წაბლისფერი თვალებით გაუღიმა.

სადილის შემდეგ ანიკომ ორიოდღე საათით დატოვა თამარი, ისევ დაბრუნდა და იმ დამეს თამართან დარჩა. ამხნევებდა, არიგებდა.

ანიკოს სიტყუებიდან თამარს ნახევარიც აღარ ესმოდა, — მხოლოდ თავს უქნევდა, თითქოს ყველაფერზე ეთანხმებოდა.

დილით, მზის ამოსვლამდე ამდგარი ანიკო დილინით დადიოდა ოთახში. მისმა ტყბილმა ხმამ თამარიც გამოაკოცხლა, ლოგინიდან დღეს უფრო მსუბუქად წამოდგა, ანიკოს გაუღიმა და ჩაემა დაიწყო.

— ხომ შორჩი, თამარ? თუ ჩემი ხელი შეივბო, ქვაც გამოკოცხლდება. — ხუმრობდა ანიკო.

— შენ გულიც კარგი გაქვს და ხელიც, ანიკო! — დიმილითვე უთხრა თამარმა.

ბინა ერთად დალაგეს, ჩაის შემდეგ ანიკომ უთხრა:

— ახლა შემიძლია დაგტოვო?

— ცოტახნით კიდევ დარჩი, ანიკო, გთხოვ? — ვედრებით უთხრა თამარმა ხარის გამბული წყრიალი ვაისმა.

ანიკო გავიდა და გააღო კარი, თუ არა, წამოიძახა:

— ნინო! — ამის თქმა მოასწრო, მაგრამ ნინოს თვალებმა და გაფითრებულმა სახემ შეაკრთო.

— ანიკო, როგორ არის, თამარი?! — რამდენადაც სუსტი იყო ნინოს ხმა, იმდენადვე დიდი იყო მისი შესწოთება. თუმცა ეს შესწოთება ნინოსათვის დამახასიათებელი თავდაპირველობის გრძნობას შეეზღუდა.

ნინომ წინათახის კართან თამარი დაინახა და უეტრად მოეშვა, ახლა შემწოთება სისუსტემ დასძლია და თვალდახუჭული დერეფანში ძლივს შემოვიდა. ანიკოს მხარზე ხელდაყრდნობილი შევიდა ოთახში და დივანზე მოსხლეტით დაჯარდა.

— რატომ მომკალი? — მიმართა მან თამარს.

— რა იყო, ნინო?! — მიძახა თამარმა, თვითონაც გაკვირვებულმა და შესწოთებულმა.

— ისეთი დებეშა გამომიგზავნენ, რომ მკვლარი მეგონე.

— დებეშა?! მე?! რას ამბობ, როდის? მე არაფერი არ მიცნობებია!

— არ გაცნობებია?! — უკვე ამჯერა შესწოთებით შეუყვარა ნინომ.

— არა!

— აქ რატომ ჩამოხვედი? ხომ გაგაფრთხილე, ხომ დაგარიგე?! — მკაცრად უთხრა მოთმინებიდან გამოსულმა ნინომ და, რაღვან თამარის პასუხი ვერ მიიღო, ცრემლები წასკდა.

ანიკო მივიდა, ნინოს ხელი მოხვია.

— დამშვიდდით, გთხოვთ, დამშვიდდით, ნინო!

ნინომ ცრემლები მოიწმინდა, ანიკოს წრფელი სიყვარულის გრძნობით მიაჩერდა, გულში ჩაიკრა:

— ჩემო პატარავ, ნეტაგი, თამარი შენს გზას არ ასცდუნოდა, შენ დაგმსგავსებოდა. მაშინ ჩემზე ბედნიერი ქალი არ იქნებოდა.

ნინო უკვე გრძნობდა, რომ კახეთში მიღებული დებეშა, რომელიც თამარის სახელით გამოგზავნეს, შემთხვევით არ იყო, რომ ამ დებეშას რაღაც საეაღალო

მიზეზი გაანდა. თამარს მაინც ვერაფერს ეუბნებოდა.

ისევ გაისმა ზარის ხმა.

თამარი შეკრთა. რაღაც ცუდად ენიშნა ზარის მოდუნებული და წყვეტილი ხმა. წამოდგა. გულთფანცქალით დერეფანში გავიდა. კარი გააღო.

— ისიღორე! — წამოიძახა შიშით.

— საღამო, თამარ...

— მობრძანდით. — თამარმა იგრძნო, რომ მისი ხმა ცივი იყო.

— არა, შიგ ვერ შემოვალ. — უთხრა ისიღორემ. — მითხარი, თამარ, მითხარი, მართალია თუ არა ის, რაც მითხარეს?

— გენრიეტამ გითხრა?

— დიახ, გენრიეტამ მითხრა. არ დავუჯერე და შენთან მოვედი. რას იტყვი, თამარ, ვანა მართალია, რომ ჩემზე გული გაგიცივდა... — რაღაც კიდევ უნდოდა ეთქვა ისიღორემ, მაგრამ თამარმა ველარ მოითმინა. არ იცოდა რამ უფრო შეაფოთა, გენრიეტას საქციელმა, თუ იმან რომ ისიღორე ზღურბლზე მდგარი ელაპარაკებოდა და სახლში შემოსულაც არ უნდოდა. გამართლდა ჩემი ეჭვი, — გაიფიქრა.

— დიახ, მართალია. — კიდევ უფრო ცივად უთხრა თამარმა და მაშინვე ინახა: — ეს რა ვსთქვი, არ უნდა მეთქვა!.

— მშვიდობით, თამარ! — წამოიძახა სახეგაუფიქრებულმა ისიღორემ. მეტი ვერაფერი თქვა, შეტრიალდა და კიბეზე დაეშვა.

თამარმა კარი ძლივს მიხურა, მიმოიხედა, წამარბაცდა.

— აა! აღმოჩნდა და იქვე ჩაიკეცა.

შეშფოთებული ანიკო და ნინო დერეფანში გაიჭრნენ.

— თამარ, თამარ! — შესძახეს ნინომ და ანიკომ. ხელი მოხვიეს, წამოაყენეს. ოთახში შეიყვანეს, ტახტზე დააწვინეს. თამარს თვალი არ გაუხელია, სახე დაემანჯა.

— მიშველე, ანიკო. ეჭიმი, ჩქარა! — დაიძახა ნინომ.

ანიკო ეჭიმის მოსაყვანად წავიდა.

შემარწუხებული ნინო არ დაიბნა, თამარს თავს დასტრიალებდა, ცდილობდა პირი გაეღებინებინა, მაგრამ კრიჭა ვერ გაახსნევინა. ხელებს და ყურებს უსრესდა. ნინო გრძნობდა თამარსა და ისიღორეს შორის რაღაც რომ მოხდა.

ათი წუთიც არ გასულიყო, რომ ანიკო ხანშიშესულ ეჭიმს შემოუძღვია ოთახში.

ეჭიმმა ავადმყოფი განსწავლა და ეჭიმს ქაფური შეუშხაბუნა. თამარი თვალს არ ახელდა. ლოგინი გაუშალეს, ჩააწვინეს. ფანჯარასთან შეჩერებული ეჭიმის დუმილი გულს უბასრავდა ნინოს და ანიკოს. მაგრამ მაინც ვერაფერს ეკითხებოდნენ.

ბოლოს ეჭიმმა თვით დაარღვია სიჩუმე:

— ნერვიული მოვლენებია, საჭიროა ნევროპათოლოგის მოწვევა. მაშინ მეც მოვალ. მარტო არ დატოვოთ ავადმყოფი.

მთელი დღის განმავლობაში თამარი გონს არ მოსულა, მხოლოდ ზოგჯერ რაღაც შეშფოთებით თვალს გაახელდა. სახე შემოლილი შეათვლიერებდა იქაურობას. მერე შემკრთალი ხეჭავდა თვლებს.

საღამოს კონსილიუმში შედგა. იმსჯელეს, ითათბირეს, საბოლოო დიაგნოზი მაინც ვერ დასვეს.

როცა კონსილიუმი დამთავრდა, სათვალეებიანი ეჭიმი სავარძელში ჩაჯდა და ხმადაბლა თქვა:

— საბოლოოდ ვერ დავადგინეთ, რითაა ავად. ერთი რამ ცხადია, მღვრიეობა სერიოზულია. ვნახოთ, რა მიმდინარეობას მიიღებს ავადმყოფობა. ორ საათში მე ისევ მოვალ, მაგრამ თუ მანამდე საჭირო ვიყო, მაცნობეთ.

ნინო ველარაფერს ეუბნებოდა, ენა დაბმოდა, გული მტკივნეულად უცემდა. ტუჩებს იკვებტა.

ანიკო თამარს არ შორდებოდა, სახეში ჩასცქეროდა, მის ყოველ ამოსუნთქვას გულათრთოლებით უსმენდა, თანაც ნინოს ამხნევებდა:

— ნუ გეშინია, ყველაფერი კარგად იქნება.

საღამოს ცხრა საათი იქნებოდა, როცა თამარმა თვალი გაახილა. გაკვირვებით მიმოიხედა, ანიკოს მიაჩერდა.

— სადა ვარ? — ჰკითხა მისუსტებული ხმით.

— თამარ, მე ვარ. ველარ მიცანი? — ჰკითხა სიხარულისაგან ხმაათრთოლებულმა, თამარის სასთუმალთან ჩამომჯდარმა ანიკომ და სავარძელში მჯდომარე ნინოს მხიარულად თვალი ჩაუქრა.

ნინომ ხელი მოჰკიდა თამარს ხელზე.
— თამარ, დაიყო, გაიღვიძე; ბევრი გეძინა.

თამარი მიჩერდა ნინოს, მაგრამ ვერ იცნო. მერე უცბად მოეშვა, თრთოლვა დაიწყო და ძლივს წარმოსთქვა:

— ნინო!

— ჰო, ჩემო დაიყო, მითხარი რამე. თამარმა უეცრად მოხუჭა თვალები, მერე ნელა გაახილა და ნინოს უთხრა:

— ვკვდები, ნინო... ერთსა გთხოვ.

— რას მთხოვ, დაიყო?

— თამაზი მომიყვანეთ, მაჩვენეთ.

— მოვიყვან, თამარ. — ცოტაოდენი ყოყმანის შემდეგ უთხრა ნინომ და საგონებელში ჩაეარდნილობა თავი დახარა. არ იცოდა, როგორ ან რა საშუალებით შეეძლო თამაზის მოყვანა. ეს ზომ მისთვის უკვე ზედმეტი დამცირება იქნებოდა. მთხედრად ამისა, ნინო უკვე დარწმუნდა, რომ თუ თამაზი მართლა მოვიდოდა, თამარს ინახულებდა, იქნებ ამას ყოველგვარ წამლობაზე უკეთ ემოქმედნა თამარზე.



თამაზი სოფლიდან თბილისში დაბრუნების შემდეგ სახლიდან იშვიათად გამოდიოდა. ახლა გარკვეულად ენერგიით მუშაობდა შრომაზე.

იმ დღესაც ბინიდან ფეხი არ გაუდგამს. კითხულობდა, წერდა, ათვალევრებდა წაყითხულს თუ ჩაწერილს.

ზარის ხმა გაისმა. თამაზი გავიდა და კარი გააღო.

— ნინო?

— მე ვარ, თამაზ.

— მობრძანდით!

ამ დროს მეორე ოთახიდან ლევანიც გამოვიდა. ნინოს გაფითრებული სახე, რომ დაინახა, შეკრთა.

— რა მოხდა, ნინო? — კითხვა ლევანმა.

ნინო სულს ძლივს იბრუნებდა. სიტყვას ვერ ჰპოულობდა. არ იცოდა რა ეთქვა, როგორ დაეწყო.

ძმებიც აღარაფერს ამბობდნენ, ისინი ხედებოდნენ, რომ ნინოს ასეთ მდგევაარებას რაღაც მეტად სერიოზული მიზეზი ჰქონდა.

— თამარი ცუდადაა... — ცოტახნის შემდეგ ძლივს მოიბრუნა სული ნინომ

და წარმოსთქვა. — სიკვდილის პირასა! ერთი რამ ისურვა, და გთხოვთ დამეხმაროთ, უარი არ მითხრათ!

მთლად გაფითრებული, შინაგანად შეძრწუნებული თამაზი თავდაბრით იღვა.

— თამაზი მომიყვანეთ მხოლოდ ერთხელ მაჩვენეთო, — ითხოვა...

— თამაზი?.. გაოცებით წარმოსთქვა ლევანმა. — რა დაემართა თამარს?

— არ ვიცი, აბა როგორ გითხრათ. გთხოვთ, გვევლერებით, თამაზ, შე მაინც შემინბარალოთ მხოლოდ ერთხელ ეჩვენეთ, თამარს. ლევან, თქვენ უნდა დამეხმაროთ! თამარი ხომ თქვენი მოწაფე იყო?

— დიას, ჩემო ნინო, ეს მართალია, გენრიეტაც ჩემი მოწაფე იყო. მე მათ ცხოვრობამაც ვიხედებოდი, ვასწავლიდი, რჩევა-დარიგებას ვაძლევდი, მაგრამ ყველამ ერთნაირად ვერ გამიმართლა იმედი...

— ლევან, ეს მართალია, მაგრამ რა ექნა, როგორ მოვიქცე? შირჩიეთ რამე! ლევანმა თამაზს შეხედა. თუ გაფითრებული და აღელვებული იყო.

— თამაზ.

თამაზმა თავი ასწია.

— წავიდეთ, თამაზ. მეც წამოვალ.

— კარგი, ლევან. წავიდეთ. — დღმისის შემდეგ ხმადაბლა წარმოსთქვა თამაზმა.

ნინომ შევებით ამოისუნთქა.



თამაზი ახლაც იმ აღმართზე აღიოდა, რომელზედაც ფრონტიდან დაბრუნების პირველ დღეს კოკლობით ავიდა. დღევანდელ დღესა და იმ დღეს შორის დიდი განსხვავება იყო. მაშინ მისთვის ყველაფერი გაურკვეველი იყო, ახლა ყველაფერი გარკვეულია. ახლა მისი დამაციარებელი ქალი, მის ნახვას ითხოვდა. ლელავდა. იმასაც გრძნობდა, რომ სადაც იწყებოდა მხოლოდ შეცოდება, ნელდებოდა, ქრებოდა. სიყვარულის მწვევე ტყვილი. იმიტომ როდი მიდიოდა, რომ სიყვარული აიძულებოდა, არამედ იმისათვის რომ აღამიანური მოვალეობა მოეხადა. მაინც აღელვებდა თამარის ბედი.

მაღლა ავიდა. იმ ხეს თვალი მოარჩოდა, რომლის ქვეშ ფრონტიდან დაბრუნების

პირველ დღეს იდგა. მაშინ თამარის ბინიდან სიცილისა და მხიარული მუსიკის მტანჯველი ხმები ესმოდა.

როცა თამარს ოთახში შემოსულთა ფეხის ხმა შემოესმა, თვალი გაახილა. თამაზს მონუსხულევიტ მიანერდა.

თამაზი ისე მიჩერებოდა, თითქოს თამარს უცქეროდა და არც უცქეროდა. თამარს მტკივნეული ღმინილი ადბეჭდოდა სახეზე.

— თამარ, მოგიყვანე, თამაზი, — წარმოსთქვა ნინომ.

— გამარჯობა, როგორ ხარ, თამარ? — ჰკითხა ლევანმა.

თამარმა თავი დაქნია, თუმცა თამაზისადმი მიპყრობილი მისი თვალები ალარ იძროდნენ, წამწამებიც არ ირხეოდნენ.

— გმადლობთ, თამაზ. — ძლივს ამოიღო ხმა თამარმა. — მართალია ჩემს შეცდომას ვერ გამოვასწორებ, მაგრამ... არაფერს ვითხოვ, მხოლოდ მამატიე, თამაზ. — მეტი ვერაფერი თქვა. სიტყვა გაუწყდა.

თამაზმა ვერაფერი უთხრა. თავდაბრილი იდგა.

უხერხული სიჩუმე ჩამოვარდა. ნინო და ლევანი თამარს დასცქეროდნენ. მისი დახუჭული თვალები ცრემლით იყო საესე.

თამაზმა ვერ გაუძლო ამ სურათს. შეტრიალდა და ღერეფანში გავიდა. ვაჟა ლევანი.

— გმადლობთ! — ჩურჩულით მიადევნა ნინომ ძმებს და კარი გაუღო.

— ჩემო ნინო, ნუ მოგვერდილები. იქნებ რაიმე დახმარება გქირდებათ? — ჰკითხა ლევანმა.

— ყველაზე დიდი დახმარება თქვენგან უკვე მივიღეთ. ადამიანები ვართ, ერთმანეთს შევხედებით, ლევან.

— რასაკვირველია, თუ საჭირო ვიქნებით. — უპასუხა ლევანმა.

წავიდნენ.

ძმები ქუჩაში გვერდიგვერდ მიდიოდნენ. არც ერთი არ იღებდა ხმას.

— საბოლოოდ გადაწყვიტე, ლევან, რომცხებში მივდივარ სამუშაოდ. აქ ვერ დავრჩები.

თამაზის ასეთმა გადაწყვეტილებამ ლევანი დაალონა, მაგრამ არაფერი უთქვამს თამაზისათვის.

... დიდხანს ვერ დაიძინა თამაზმა. თამარზე ფიქრობდა. „ჩემს შეცდომას ვერ

გამოვასწორებო, ყველაფერი ეს მამოქცეა ჩემთვისაც“. იმეორებდა აღუღლებული თამაზი. „მართალია, თამარ, მძვინვარეობს მისი გამოვასწორება“. მის თვალწინ დგებოდა ის დღეები, როცა თამართან პირველი სიყვარულის სანეტარო წუთებს განიცდიდა.

გათენება ეჩქარებოდა, რომ გაეგო, როგორ იყო თამარი: „თუ სიცილის გადურჩა, მეც სამუდამოდ განვიკურნები. ოღონდ თამარი გადარჩეს. თო, თამარ, რომ შემეძლოს იმის დაბრუნება, რაც იყო“. ფიქრობდა თამაზი და ფანჯარაში ცას შეჰყურებდა, გათენებას მოუთმენლად ელოდა.

დილით ადრე ამდგარმა თამაზმა არ იცოდა, როგორ გაეგო თამარის ამბავი.

„ალბათ ღამით არ უძინია“. — გაიფიქრა ლევანმა, როცა თამაზის ფეხის ხმა შემოესმა, ის მალე თამაზთან შევიდა.

— მე გავიგებ, როგორაა. — დაამშვიდა ლევანმა.

თამაზს სახე გაფითრებოდა, თვალები გაწითლებოდა.

თამაზმა არაფერი უპასუხა, დაამშვიდა ლევანის სიტყვებმა.

მალე ტელეფონის ხარის ხმა გაისმა. ლევანმა მილი აიღო.

— ნინო ბრძანდებით? — შეეკითხა ლევანი. თამაზი მოლოდინით შეჰყურებდა ძმას. გული გამალებით უცემდა. ცდილობდა დაემალა ლევანისათვის თავისი ალღელება. მაგრამ ლევანის მშვიდმა პასუხმა და გამომეტყველებამ დააწყინარა.

— დიახ, დიახ. სასიხარულოა. დიდი მადლობა, ნინო. — უთხრა ლევანმა ნინოს და მილი დადო.

— რა გითხრა, როგორაა, თამარი, ლევან?

— უკეთაა. მის სიცოცხლეს საფრთხე აღარ მოეღოსო.

— ლევან! — შესძახა თამაზმა. შევიდა, ძმის წინ შეჩერდა, უნდოდა რაღაც ეთქვა, მაგრამ თავი შეიკავა. თავის ოთახისაკენ შებრუნდა. — ცენტრალურ კომიტეტში მივდივარ, ლევან, — უთხრა ლევანს კართან მობრუნებულმა.

4.

ლომცხეში სერგო ივანეს-ძეს ტელეფონით ელაპარაკა და თავის გადაწყვეტილება აცნობა.

ამ ამბით გახარებული სერგო ივანეს-ძე ტელეფონში ისე ყვიროდა, რომ მისი ხმა მაგიდასთან მოწყენით მჯდომარე ლევანსაც ესმოდა.

„წაიყვანეს, წამართვეს“, — ფიქრობდა ლევანი. იგი უღროოდ დაკარგული მკვლის სურათს მისჩერებოდა. გრძობდა მარტოობის მოახლოვებას, მაგრამ, თითქოს სურათი ამხნევებდა: „ნუ შეგამინებს, ლევან, თამაზის წასვლა, მე შენთან ვარ“. ლევანს ქეთევანთან ერთად გატარებული ცხოვრების სურათები ედგა თვალწინ. მათ ერთი დღე არ გაუტარებიათ ცალ-ცალკე: ერთად დადიოდნენ თეატრში, აგარაკზე, სოფელში, სკოლაშიც ერთად ასწავლიდნენ. ზრდიდნენ თანაზის და თითქოს საკუთარ სულსაც თან ატანდნენ.

თამაზმა მილი დალო, მან იგრძნო რაზე ფიქრობდა ძმა. რას განიცდიდა. ახლო მივიდა.

— ლევან, შენ მარტო არ ხარ. მთელი ქვეყანა შენთანაა. დღისით შენი მოწაფეები არ მოგაწყენენ, სახლში — მეგობრები. მეც ყოველ შაბათს ჩამოვალ, ერთად ვიქნებით.

— ყოველ შაბათს ჩამოხვალ? — რალაც შეებით ჰკითხა ლევანმა.

— ჰო, ლევან, ჩვენ მუდამ ერთად ვიქნებით.

ლევანი წამოღგა.

— ჩემო, თამაზ, შორს მარტოობა. მარტოობას რა ესაქმება ჩვენთან.

ცოტა ხნის შემდეგ ძმებს კოტე ესტუმრათ.

კოტე, დღეს მეტისმეტად აღელვებული იყო, სკამზე არ ჯდებოდა, ხოლო ჯოხი ღერეფანში კი არ დაეტოვებინა, ხელში ეჭირა. აქეთ-იქით აღერებდა, ოთახში განიერი ნაბიჯით მიმოდიოდა. როგორც ყოველთვის საგანგებოდ დაუთოვებულ ცხვირსახოცს იღებდა ჯიბიდან, თითქოს ცხვირის მოსახოცად. ამასთანავე საყვედურებით ავსებდა თამაზს.

— ეს როგორ იქნება, ჯერ ფრონტზე გამქეცივით, ახლაც სხვაგან გამირბინხარო. თქვენისთანები ციდან არ ვარდებიან. მიდიხართ და გასაგებია, ზურგი შეგვაქეცივით.

— ინსტიტუტს ჯერ ვერ დავებრუნდები, ბატონო კოტე. ახლა მე ლომციხეში უფრო ვარ საჭირო. იქ ახალი, დიდი, ძლიერ დიდი საქმე კეთდება. საქართველოს მალე თავისი ფოლადი და თავისი თუჯი ექნება. — დაუფარავი სიამაყით ეუბნებოდა თამაზი.

— საქართველოს ფოლადი, საქართველოს თუჯი, ეს დიდებულია. ჩვენ ხომ უძველესი მეტალურგები ვიყავით და აი, ქართველები კვლავ ჩამოასხამენ ფოლადს... მაგრამ გასაგებია, ეს ჩემს ინსტიტუტს არ ეხება.

— ეს ყველას ეხება, ბატონო, კოტე, ინსტიტუტს, სკოლას, კოლმეურნეობას, მე, თქვენ, პეტრეს, პავლეს.

კოტე თითქოს ცოტათი დამშვიდდა. ძმებმა ჩაიხე მიიპატიყეს, მაგრამ სტუმარმა პროტესტის ნიშნად ჯოხი მოიშარჯვა და ღერეფანში გაიჭრა:

— ვერა, ვერ დავრჩები! გასაგებია, უნდა გაიქეცე და კაცი ვეძებო თქვენს მაგივრად. მერე საიდან, როგორ? — იძახდა კოტე.

კოტეს წასვლის შემდეგ ერთი საათი არ იქნებოდა გასული, რომ პავლე ეწვია თამაზს.

— ძმებს გაუმარჯოს! რა გენაღვლებათ, ზინხართ და ქვეყანაზე აღარავის იგონებთ. ჰა, ჰა, ჰა!... — იციხოდა პავლე. — ძმებს თავის მალა. აქნებოთ უკან გადაპყრიდა, ხელსაც გადაისვამდა, მერე უფრო ხალისიანად განაგრძობდა: — ა, როგორ ფიქრობთ, ჩემი გაბედნიერების დღეს აქ არ იყავით, ახლაც არ ინებებთ, არ მოგვილოცავეთ? ცოლი შევიართე. რატომ გავოცდით, ასე მოულოდნელად არა? ჰა, ჰა, ჰა! შენ რა მშვენიერადა ხარ, თამაზ. სოფელს განუყურხიხარ. ისევ ის, თამაზი ხარ, რაც ფრონტზე წასვლამდე იყავი. ჯანსაღი, სიცოცხლით სავსე. — ხელი მოკიდა თამაზსა და ლევანს. — აბა, ჩემი დიასახლისი გელოდებათ. წავიდეთ. — უთხრა ძმებს. — ისეთი სუფრა გველოდება, უკეთესს კაცის შვილი ვერ იხატრებს. „ისევ შენ და ისევ შენ“... აღიღონდა მზიარული ხმით. — რას უცდივ?

— მე ვერ უამოვალ ჩემო, პავლე. — უთხრა ლევანმა. — ხვალ სწავლა იწყება, უნდა მოვემზადო.

— მაშ, ხვალ სკოლის კარები იღება. ახალი მერცხლები გეწვევიან, კარგი, კარგი, დარჩი შენ, ლევან. შენ კი რას უცდი, თამაზ?

— ახლავე ჩაეცვამ. — უთხრა ღიმილით თამაზმა.



თამაზს უკვირდა, როგორ გამოცვლილიყო მეგობრის ბინა. იმ მოზრდილ ოთახში, რომელშიაც უწინ ყველაფერი უწესრიგოდ ეყარა, ახლა სრული წესრიგი იყო. პავლეს სამუშაო მაგიდაზედაც წესრიგი დამყარებულყო. ოთახის ყოველ ნივთს თავისი ადგილი მოენახა და ერთმანეთს შეხამებოდა. უცქეროდა თამაზი და რწმუნდებოდა, თუ რა დიდი ცვლილება მოეტანა აქ ქალის მოსვლას, რომელსაც მზესავით გაეშუქებია ოთახი, ხოლო უპირველეს ყოვლისა თვით პავლეს ცხოვრება.

ოთახის ერთ კუთხეში მარამაშჩამოფარებული ვეებერთელა ჩარჩო ეკიდა. თამაზი მიხედა, რომ ეს ის სურათი იყო, რომელზედაც მთელი ზაფხულის განმავლობაში მუშაობდა პავლე.

— „აი კიდევ, რისი ჩვენება უნდოდა პავლეს“, — გაიფიქრა თამაზმა, თანაც მეორე ოთახიდან პავლესა და მისი მეუღლის გამოჩენას ელოდა.

ფრთხილად გაიღო კარი. ხელიხელ ჩაქიდებული ცოლქმარი შემოვიდა ოთახში.

ქალი სამუალო ტანის, მაგრამ ქანდაკებასავით ჩამოსხმული იყო. თეთრი კბილები ჰქონდა და ნახშირივით შავი თვალები. შავ თმებზე ხელი გადაისვა და პირდაპირ სტუმრისაკენ წამოვიდა.

თამაზი მიეგება და ხელი ჩამოართვა.

— მოხარული ვარ, ვისურვებთ ბედნიერ ცხოვრებას.

— გმადლობთ — ბედნიერი ადამიანის ღიმილით უპასუხა ქალი და თავაზიანად სთხოვა: — დაბრძანდით! — თვითონ არ დამჯდარა, ცქრიანდებდა. ერთგან სკამი გაასწორა. კუთხეში მაგიდაზე დალაგებული ალბომები ერთმანეთზე დააწყა. მისი პატარა სპილოს ძვლისფერი სახე ხან ერთ კუთხეში გაანათებდა, ხან მეორეში. შეხაროდა პავლეს, სიცოცხლეს. იგი სულ ბავშვსა მგავდა. ჯერ კიდევ ვერ შესჩვეოდა იმას, რომ დიასახლისი იყო. თუმცა ცდილობდა თავი ღინჯად დაეჭირა, მაგრამ ვერ ახერხებდა.

— ბედნიერი ხარ, პავლე. — უთხრა თამაზმა პავლეს.

პავლე იღიშებოდა. ჩანდა, რომ იგი მართლაც ბედნიერი იყო.

თამაზი პავლეს მიერ დახატულ აველსა თუ ახალ სურათებს ათვალევრებდა. ახლა ხედავდა, როგორ გაზრდილიყო პავლე უქანასკნელ ოთხი წლის განმავლობაში, როგორ გაეფართოვებია, მრავალფეროვანი გაეხადა თავისი ოსტატობა.

აივანზე გავიდნენ. პირდაპირ, პიონერთა ბაღში სიწყყარე იყო. არავითარი სულდგმული, თითქოს თვით ფოთოლიც კი არ იძროდა. მხოლოდ ვეებერთელა აუზებში ერთადერთი გედი მოჩანდა. თეთრი გედი ისე დაცურავდა აუზში, რომ არც ფრთას, არც თავს არ არჩევდა. გედის ასეთი იღუმალი მოძრაობა მთვარიან ღამეში კი არ არღვევდა ბალის იდილიას, პირიქით, აღლიერებდა.

— აგერ, მოვიდა! — დაიძახა პავლემ, როცა სახლის წინ მანქანა შეჩერდა.

მანქანიდან ტანმორჩილი, გამხდარი მოხუცი გადმოვიდა და აივანს ახედა.

— მობრძანდით, ბატონო! — დაუძახა პავლემ და მოხუცის შესახვედრად გაიქცა.

— ხომ მოვალწიე, ხომ მოვალწიე! — გაისმა დერეფანში შემოსული სტუმრის სუსტი ხმა.

ერთი წუთიც და პავლე ოთახში შემოუძღვა წვერ შეჭარაჩებულ წერტილთვალეზიან სათნო მოხუცს.

— გაიცანით, სახალხო მოქანდაკე, ნიკო ნიყარაძე! — წარმოსთქვა პავლემ.

როგორც ყოველი ქართველი ინტელიგენტი, თამაზი იცნობდა ამ მოხუცს, ის დიდი პატივისცემის გრძნობით მიეგება და მიესალმა მას.

— როგორ ბრძანდებით, ბატონო ნიკო — ჰკითხა თამაზმა.

— კარგად. მოხუცებულობის გარდა არაფერი მაწუხებს. ძნელია თურმე სიბერე. მაგრამ არაფერია, ახალი თაობა მოდის. აი, პავლე ჩემი გამოზრდილია. უკვე ცნობილი მხატვარია. ახლა შესანიშნავი ქალბატონის მეუღლეა. მოველი, რომ კიდევ ერთხელ მოულოცო. — ნიკო უცებ შეჩერდა. თამაზს დააქერდა. — თქვენ, მგონი სადღაც შემხვედრიხართ. ალბათ, აქ, პავლესთან.

— დიახ, აქ, ბატონო, მაგრამ მე თვითონ ბავშვობიდან გიცნობდით, — უპასუხა თამაზმა.

პავლეს კიდევ რამდენიმე მეგობარი ესტუმრა.

ნადიამ სწრაფად გამოლა სუფრა.

ნიკო მაგიდის თავში დასვეს. მეორე თავში ნადია და პავლე დასდნენ. ნიკო ცოლქმარს სიყვარულის და პატივისცემით საესე თვალებით მიჩერებოდა. მაგრამ იგი ფიქრებით ძლიერ შორს იყო. შესაძლოა ახალი ცოლქმარი რაიმე შორეულ მოგონებებს აღუბრავდა მას. ამიტომ მისი მუბლი ზოგჯერ უსიამოვნოდ შეირხეოდა, ზოგჯერაც სიღრმეში ჩასული თვალები თითქოს ზევით იწევდნენ, ბრწყინავდნენ.

ბედნიერებით სახეგაბრწყინებული ნადია და პავლე ოდნავი დიმილით გრძობდნენ ერთმანეთის გულისცემას, ზრახვას, სურვილს. ახლად დაქორწინებულნი აქ, ღირსეული მეგობრების წრეში და მოხუცი ნიკოს სახლოვით გამოთბარი უმწვერვალეს სიამეს გრძობდნენ.

— ჩემო მეგობრებო, ჩვენ აქ ხელოვნებისა და მეცნიერების ადამიანები შევეკრებილვართ. ჩვენ გვახარებს ჩვენი მეგობრის ოჯახური ბედნიერება, მაგრამ ვანა ჩვენი სიხარული მხოლოდ ამით განისაზღვრება? ჩვენ დღეს გვახარებს ისიც, რომ პავლემ ახლახან დაასრულა ერთ დიდ ტილოზე მუშაობა. მას ჩვენ ახლა ვნახავთ. მე ამ სასმისით მინდა ჩვენი შემოქმედებითი საღამო გავხსნა, ყველამ თავის ხელოვნება უნდა გვიჩვენოს, ან რაიმე გვიამბოს. მამ გაუმარჯოს ჩვენს წარმატებას! — დაასრულა მოხუცმა, ჭიქა დაცალა და დაიძახა: — პირველი სიტყვა პავლეს ეკუთვნის!

პავლემ გაიღიმა, მის თვალებში რაღაც შუქმა იელვა. ის მაგიდას გამოვიდა, მივიდა კედელთან, ჩარჩოს მოხსნა მარმარში, შემობრუნდა და სუფრასზე მსხდართ შეხედა.

ყველა სურათს შესცქეროდა სიწყნარე იდგა დარბაზში. აღელვებით და მოლოდინით აცქერდებოდა პავლე სტუმრების სახეს.

— ქართველი დედა! — დიდი შინაგონი სიხარულით წარმოსთქვა ნიკომ.

— დიას, ქართველი დედა! — ჩამოართვა სიტყვა მოქანდაკეს მის გვერდით მჯდარმა მანდილოსანმა. იგი თვალებ გაბრწყინებული შეჰყურებდა სურათს.

— ამ სურათში მინდოდა ვადმომეცა ისტორიულად ტანჯული, მაგრამ მუდამ გმირული, ხოლო დღეს გამარჯვებული და ბედნიერი ქართველი დედის სახე. თუ განზრახვა ნაწილობრივ მაინც გან-

ვახორციელე, ბედნიერი ვიქნები! — თქვა პავლემ.

მართლაც ქართველი დედის გვეგებრთელა სურათში დიდი სათნოებანი მოჩანდა. განუსაზღვრელი თავდადების და ღირსების შეგზებასთან შეერთებული.

სურათს თვალს ვერ ამორებდნენ. პავლეს გულს შექვივით ეფინებოდა სტუმრების სიტყვები. სურათს ისე მსჩერებოდა, თითქოს თვითონაც პირველად ნახაო. ახლა თავის სურათში ზოგ ისეთ ღირსებასაც ხედავდა, რაც მას თავისი შემოქმედებითი ალტკინებით შეეკმნა, მაგრამ მისი შინაარსი მთელი სიღრმით დღემდე ვერ შეეგნო. მეორე მხრივ სწუხდა, რომ ზოგი რამ, რაც მისი აზრით სურათში ჩააქსოვა, მეგობრების მიერ არ იქნა შემჩნეული და აღნიშნული. ეს სურათის ნაკლად მიიჩნია, ამაზე ლელავდა.

ნადია სტუმრებს უფრო აცქერდებოდა, ვიდრე თვით სურათს. მათ სახეზე ცდილობდა წაეკითხა, ვისზე როგორ მოქმედობდა სურათი. რაც უფრო დიდი იყო სტუმრების აღფრთოვანება, იმდენადღე დიდი იყო მისი სიამაყე: ვინ იცის ის სურათი თვითონ ნადიას ხელით რომ ყოფილიყო შექმნილი, შეიძლება ამოდენა სიხარული ვერ განეცადა. ამიტომ პავლესზე შეტად ნადია ხარობდა. თუმცა თავს იჭერდა, ხმას არ იღებდა; მხოლოდ თვალები უციმციმებდა, სტუმრების მიერ თქმულ ყოველ სიტყვასზე თრთოდა.

— ჩემის აზრით იდეა, ხორცმესხმულია. ამ სურათში ქართველი ქალის ისტორიულ და თანამედროვე სახესაც ვხედავ. იგი სათნოა, მაინც კლდესავით დგას და მის სიმტკიცეს ვერათარა გრიგალი ვერ შეარყევს. — თქვა მალაღმა, საფეთქლებთან ოდნავ შექალაჩავებულმა, შევეგერმანმა ახალგაზრდა კაცმა.

— თქვენ, თენგიზ, პოეტი ხართ და უკეთ გამოთქვით, მაგრამ მე მაოცებს ისიც, თუ ქართველი ქალის მადლიან სახეს, როგორ ჩარმოიხლად ეხამება, აესებს, ამდიდრებს საქართველოს გრანდიოზული ბუნების წარმატაცი ფონი. ქართველი დედა და საქართველოს ბუნება აქ ერთმანეთში გადადის, განუყრელი არიან. ამიტომ ასე მტკიცედ გამოიყურება მათი გაერთიანებული დიადი სახე. — დაუმატა ქერა, მონაცრისფერი კოსტიუმში გამოწყობილმა მამაკაცმა.

— თენგიზმა, როგორც პოეტმა და აპოლონმა, როგორც კომპოზიტორმა, დაახასიათეს პავლეს სურათი. მე დავუმატებდი: სურათი ერთი შეხედვითაც ძლიერ მოქმედობს, მაგრამ მისი შინაარსი უფრო ღიბია. ქართველი დედის სახეში საქართველოს ისტორიაც მოსჩანს.. — თქვა ნიკო.

დიდხანს საუბრობდნენ სურათზე. ვერ მოსწყვიტეს თვალი. მერე ისევ სუფრას დაუბრუნდნენ, მაგრამ თვალი მაინც სურათისაკენ ეპირათ.

— სიტყვა პოეტს ეკუთვნის! — დამახა ნიკო.

— ლექსი.

— გთხოვთ ლექსი წაგვიკითხოთ.

— რასაკვირველია, ლექსი.

თენგიზი წამოდგა.

— დიხ, მე ლექსს წაგიკითხავთ. ახალს, ჯერ დაუსტამბავს. — თქვა და ერთბაშად დაიწყო.

მისი ხმა სუსტი და დაბალი იყო, მაგრამ თანდათან ძალას იკრებდა. ძლიერდებოდა, ხდებოდა მრისხანე. თითქოს თავაწყვეტილმა მდინარებამ მაღალი ჯებირი გაანგრიათ... ბოლოს დაწყნარდა, დამშვიდდა; მდინარის ნელ დუღუნით ნახი და მომხიბვლელი გახდა და უცებ შეწყდა.

ერთხანს სამარისებური სიჩუმე იდგა. შემდეგ ადევლებული ნიკო წამოდგა. წვერივ ხელი გადაისვა.

— ამ ლექსის სახელწოდება „თავისუფალი ადამიანი“ მართლა გვაგრძობინებს; თუ რა ძალა შესწევს თავისუფლებას, — დიდი სულიერი სიმშვიდით წარმოსთქვა მოხუცმა, რატომღაც გამხდარ ხელზე დაიხედა და დაუმატა, — მოვხუციდი, უფრო მაღალი ხმით მინდოდა შემღერა, სისუსტემ მომიწრო და სამწუხაროა რომ ველარ მოვასწრებ, მაგრამ მე მესმის ჩემი მოწაფეების ძლიერი ხმა. ასეთი ხმები დღითიდღე უფრო მეტი დაატყდება რისხვასავით მშვიდობის შტერს.

— თქვენ კიდევ ბევრს ვააყეთებთ, მოასწრებთ, ბატონო ნიკო, მაგრამ განათქვენი ქმნილებანი ახლაც არ მეტყველებენ, მათი ხმა უკვდავია, არასოდეს ჩაქრება, — უთხრა თენგიზმა.

— არა, არა, გეთავაზობ, მოვხუციდი, მოვხუციდი. — უთხრა ღიმილით და თამაზს მიაპყრო თვალი. ამით უნდოდა ეთქვა, შენი ჯერი დადგაო. ეს იგრძნო თამაზმა და დაასწრო:

— ბატონო ნიკო, გთხოვთ რამე თქვენს ცხოვრებაზე გვიამბოთ!

— ჩემზე? — გაიკვირვა ჩუროყმა.

— გთხოვთ, გთხოვთ, რა ღაბისაქონრავს...

— ამ ხმებმა გაამხნევა თამაზი: იგრძნო, რომ უკვე არავითარი ამბავის მოყოლას აღარ მომთხოვენო და გულზე მოეშვა.

ნიკომ ქარვის მუნდშტუკს სული ჩაპბერა, შემდეგ ის პიუჯაკის ჯიბეში ჩაიღო, გამხდარი ხელის დაწვრილებული თითები გადანასკვია, ზედ ნიკაპით დაეყრდნო. მერე თვალები ისე დააცეცა, თითქოს თვალწინ დაერღვაო ის ამბავი, რომლის მოყოლას აპირებდა.

— მიძტულებთ. ახალგაზრდები ხართ და გიხარიათ, როცა მოხუცი ახალგაზრდებს აყვება, თავისი წარსულის მოთხრობით ართობს. არაუშავსა რა, გემსახურებით... ადამიანი ხუცდება, მაგრამ ზოგი რამ წინათ განცდილი, სამწუხარო თუ სასიხარულო არ ავიწყდება, სამუდამოდ რჩება მის გულში. პატარა ამბავი მინდა მოგიყვეთ. ახალგაზრდა ვიყავი. პარიზში ჩავედი. არასოდეს ჩემს მეხსიერებაში არ წაიშლება სოფელი მელონი პარიზის ახლო. აქ მუშაობდა სახელგანთქმული მოქანდაკე როდენი. როდენმა მიმიწვია. ერთი წელი ჩემთვის მთელ სიცოცხლეს უდრიდა. იქ როდენის დავალეებით ორი ქანდაკება გამოვქირა: ერთი ცნობილი რუსი მეცნიერის, მეორე ცნობილი ფრანგი მწერლის. მუშაობა როდენთან, დიდ შემოქმედთან დაუსრულებელი აღფრთოვანება იყო... მაგრამ იქ ყოფნის დროს მე სხვა აღფრთოვანების მიზეზიც გამიჩინდა: პარიზში ვაიციანი ერთი ნორვეგიელი ქალიშვილი, პირველი ხილვისთანავე გულში ჩამივიარდა. თვითონაც შემოიყვარა. მას ლილი ერქვა. ის ვერსალში ცხოვრობდა, სადაც მშობლებს პანსიონში მიეზარებოდათ მოლოზნებისათვის. ერთბაშეთს ხშირად ვხვდებოდი, ყოველ კვირა დღეს პარიზში ჩამოვლიოდი, — მე სოფელ მელონიდან, ლილი ვერსალიდან, და მთელი დღე ერთად ვიყავით. და აი გადაწყვიტე, როდენთან მუშაობის დროს მესამე სახე გამოიმეტრწა. მართლაც, მარმარილოზე ლილის სახე გამოვკვეთე, მას სახელად „ჩრდილოეთის ქალიშვილი“ შევარქვი. მალე ჩვენი დიდი კლასიკოსის ილიას ძეგლზე სამუშაოდ საქართველოში გამოვი-

ახეს. ძეგლი გავაკეთე. დაგბრუნდი პარიზში, მაგრამ „ჩრდილოეთის ქალი-შვილი“ ველარსად ვნახე. ვიფიქრე ვინ იცის, იქნებ მილალატა და სხვა ვინმეს ვაპყვია შეთქი, მაგრამ როცა ისევ საქართველოში გამოვემგზავრე, მისი ქანდაკება თან წამოვიღე. ჩემი სულის ნამსხვრევები მის სახეში მქონდა შეტანილი, და ბევრიც რომ ვეცადო მას ვეცარ ამოვშლი... ადამიანის სული ვრცელია, ვინ იცის დედამიწაზე რომელი ყვავილი მიიზიდავს პირველად. ლილის უჩინარი მადლი შვევლოდა. ასე მგონია, „ჩრდილოეთის ქალი-შვილი“, მეტეხის მუზეუმში სამუდამოდ მოსვენებული, დღესაც ეძახის, დაკარგულს ლილის, საქართველოსაკენ მოუხმობს, ელოდება. ალბათ ამიტომ, როცა უსულო მარმარილოს ჩავეკერი, მისი სახე ჩემს თვალწინ ცოცხლდება. — დაასრულა მოხუცმა.

იქნებ მას შეტიც ეთქვა, რომ ენა არ დაბოდა, და ხველა არ დაეწყო. მთელი იმ ღამის განმავლობაში, ხელოვნების ადამიანებთან ახლოს ყოფნის დროს, თამაზს რაღაც უძაღლესი და უშეშეიერესი გრძნობა იპყრობდა. მაგრამ ყველაზე მეტად ის მოხუცის ამბავმა ააღელვა. მოხუცისა და თავის ბედს შორის რაღაც საერთო აღმოაჩინა. იქნებ ამ მიზეზით დიდი თავბატიც არ დაუწყია, როცა მას სთხოვეს, ეთქვა რაიმე. დღინით საცხე ქიქა აიღო, ფეხზე წამოდგა, განთიადს გახედა და ყრულ დაიწყო:

— მეგობრებო! იმ გრძნობის მსგავსი რაც პატივცემულ ნიკოს ნათქვამში ვიგრძენით იქნებ ჩვენც გამოგვეცადოს, მაგრამ ამაზე მე არ ძალმიძს ეთქვა. მონდა მხოლოდ ამ ქიქით ვაღღერებოდა თქვენი დიდი შემოქმედება! — დაასრულა მოულოდნელად თამაზმა და დაუმატა: — მაპატიეთ, ლომციხის მშენებლობაზე მივემგზავრები და დაყოვნება აღარ შეიძლება.

— მანქანა მოვა და ერთად წავიდეთ, დარჩით. — სთხოვა ნიკომ.

— გმადლობთ, აქვე ახლოს მაქვს ბინა, ორ წუთში მივალ.

ყველას სათითაოდ გამოემშვიდობა. პაელებმ გააცილა.

— თამაზ, მართლა ლომციხეში მილინარა?

— მივდივარ.

— მაშ, გადაწყვიტე... არა უშავს,

ლომციხეშიც მოგნახავ, ჩვენი მოვალთ იქ.

— ჩამოდი, სადაც დღემს საქმეები კეთდება, იქ დიდი ხელმძღვანელებია! — ნახვამდის, პაელებ!

— ნახვამდის, თამაზ!

თამაზი დღეს განცდილი ამბებით დაფიქრებული, სწრაფი ნაბიჯით მიდიოდა ქუჩაში. ის რაც წუხელ ნახა და გაიგონა მის გადაწყვეტილებას, რომ ლომციხეში გამგზავრებულიყო, არ ეწინააღმდეგებოდა: პირიქით. „იი, რამდენი რამ შეუქმნიათ... შემძლია მეც შევექმნა რაიმე“. ქუჩაში ჯერ კიდევ სიწყნარე იყო. განთიადის მუქს ძვირფას ფარჩასავით მოეფინა ქალაქი.

თამაზს თავის სამუშაო მაგიდაზე კონვერტი დახვდა. გახია, პატარა ბარათი ამოიღო და კითხვა დაუწყო:

„ღრმად პატივცემული, თამაზ!“

გადაეწყვიტე ბარათი მომეწერა და მეცნობებინა ჩვენი ამბავი. კლუბის საფუძველი უკვე ჩაყარეთ. მშენებლობა სწრაფად მიმდინარეობს. ახლა, ჩემი აქ დარჩენა საჭირო აღარაა: ისეთი მშენებლები წამოგავშველეს, რომ უჩემოდაც წარმატებით შესაძლებენ დაამთავრონ კლუბის შენობა. იქნებ დამეხმაროთ, — გადამიყვანოთ სადმე, ისევ თქვენი ხელმძღვანელობის ქვეშ მამუშაოთ... დიდი პატივისცემით მომიკითხეთ თქვენი ძმა, ლევანი. თქვენი ნატო“.

თამაზი ერთხელ კიდევ დააჩერდა ბარათს, ცოტათუნე ჩაფიქრების შემდეგ მაგიდას მიუჯდა და წერა დაიწყო:

„სალამი ნატო!“

თქვენ ძლიერ აჩქარებულხართ. მე ასე მგონია, რომ სანამ კლუბის მშენებლობას არ დაამთავრებთ, მას ვერ მიატრევებთ. ახლა ლომციხის მშენებლობაზე მივემგზავრები. შვიდი ნომბრის დღესასწაულზე შესაძლოა სოფელში ჩამოვიდეთ და მამინ ერთად გადავწყვიტოთ თქვენი მომავალი მუშაობის საკითხი.

პატივისცემით თამაზი“.

ბარათი კონვერტში ჩადო, მისამართი დაწერა და დააჩერდა. მოეჩვენა, რომ წარწერა „ნატო ურუშაძეს“, მეტისმეტად დიდი ასოებით დამიწერიაო... ასეთმა აღმოჩენამაც დიმილი მოკვარა, მაინც საგულდაგულოდ დაწერა

კონვერტი და გულისჯიბებში ფრთხილად ჩაიდო.

ვათენდა.

ლევანი პერანგის ამარა შემოვიდა. ამ დროს ქუჩაში მანქანის საყვირის ხმა გაისმა.

ძმები აივანზე გავიდნენ. მანქანიდან გადმოსული სერგეი ივანეს-ძემ ხელი ასწია.

— თამაზ, გელოდებით, იჩქარეთ!

— ახლავე! — დაუძახა თამაზმა. სასწრაფოდ ოთახში შემობრუნდა, წინასწარ გამზადებულ ჩემოდანს ხელი დასტაცა და ძმას მიაძახა:

— ნახვამდის, ლევან!

ლევანი ბავშვივით აედევნა, კიბეზე ჩაჰყვა, ქუჩაში გავიდნენ.

— ძმებს ვაუმარჯოს! — შესძახა სერგომ.

ლევანი მანამდე გაჰყურებდა მზის სხივებზე აპრილებულ აეტოს, სანამ მოსახვევში არ მიეფარა. მერე მძიმე ნაბიჯით შეუდგა კიბეს.

საფეხურები მოათავა. ღიად დატო-

ვებულ კარებში შევიდა ვერ ძინსვენა ოთახში. ხან ფანჯარაში იხედებოდა, ხან ისევ ქეთევანის სურათს აცქერდებოდა. ქეთევანის წყნარი სახე დამშვიდების მაგიერ, უფრო აღელვებდა, მაგრამ მთინც არ შეეძლო არ ეცქირა.

უეცრად კარებში ხმაური გაისმა; ერთი წუთიც და ოთახში პეპელასავით ფრთებგაშლილი გოგონა შემოიჭრა.

— ძია ლევან! ძია ლევან! სკოლაში მივდივარ! — ყვიროდა გოგონა.

ლევანი გამოერკვა, თვალები გაუნათდა. ხელი მოხვია ცისანას.

— ჩემო შევარდენო, ჩემო ცისანა. — ხელში აიყვანა ბავშვი.

— სკოლაში მივდივარ, სკოლაში მივდივარ! — თითქოს სულში ჩასძახოდა ასაფრენად ფრთებგაშლილი გოგონა.

— წავიდეთ, წავიდეთ, ჩემო მერცხალო, — ბუტბუტებდა ლევანი და თან სწრაფად იცვამდა: — რამდენი, აი, ასეთი, შენისთანა მერცხალი შემოფრინდება ღლეს ჩვენს კარებში.

ნიგნილან „საქართველოს გაზაფხული“

★

ქ ა ლ ა

სალამოა, სდუმან მთანი დევის მსგავსნი,
 ხარობს ველი საესე უხვი მოსავალით.
 მე სიამით შეესვი თასი ღვინით საესე
 სადღეგრძელოდ კოლმეურნე გლეხი ქალის.

შეესვი იგი სადღეგრძელო მე ანაზღად
 უცნობ თვალის, რომ მიცქერდა მძიმე დარდით, —
 არა მიტომ, რომ სიამეს ვგრძნობდი მასთან,
 ეთ ჩემს სახლში, როს ქაბუკი ვიყავ მარდი.

არა მიტომ, რომ ის ქალი არის ქვრივი
 ომის გმირის, ვინც შესწირა მამულს თავი,
 და ნევასთან, უღრან ტყეში ერგო ცივი
 სამარისთვის უღაბური მიწა შავი;
 და მის შავ ხვედრს იგი ხშირად შეიღს უამბობს
 ქვრივი დედა, ნაწამები, საცოდავი.

არა მიტომ, თითქოს წუთით სძლია ჯავრი,
 როს ანაზღად გაუბრწყინდა მას თვალები,
 დარცხვენილმა მყის შეაღო სახლის კარი
 და ნამცხვარი მომაწოდა მოკრძალებით.

არა... და მე როს შევავლე უცებ თვალი
 ნამცხვარს, ქადას რომ უწოდებს აქ ქართველი,
 მომავონდა ომი, ცეცხლის ქარიშხალი,
 და ქალაქი მშობლიური, საყვარელი.

მცირე იყო ამანათი, როს გავხსენი,
 ვხედავ ქადა, ნახელავი, ქართველ ქალის.
 ვინ მომიძღვნა ეს ძვირფასი, ნეტავ ძღვენი?
 გავიფიქრე გათანგულმა ცეცხლის ალით.

იქნებ ღამით როს ეს ქალი შინ დაბრუნდა,
 მუშაობით დაქანცული, ძალმიხილი.
 იჯდა მარტო, თავდახრილი და ღრმად სდუმდა.
 ხან ცრემლს ღვრიდა, სწვავდა ალი სიმძიმის, —

მან მომიძღვნა ეს ნობათი, ალბათ, მაშინ
 როცა ომის ალით ჰქუხდა მიწა ჩვენი,
 რომ მე მეგრძნო სიხარული ცეცხლის ქარში,
 საქართველოს მშობლიურ მზით მონათრენი!

... მოდის ღამე, ბინდი ეკერის მთებს და მდელს,
 შრომა მელის, გზას, გაუდგე უნდა დილით,
 აი, რისთვის შეესვი გრძნობით სადღეგრძელო
 კოლმეურნე შრომელ ქალის, გლეხის შეილის!



ღამით არაგვთან



ღამე იყო, გაეკმინდა
 სოფელს სული
 იფრქვეოდა შუქი წმინდა.
 ელნათურის

წყალს ეკეროდა სხივი ზოლად,
 მოკამკამე,
 მაგონებდა ტალღის სრბოლა
 მე ბევრ რამეს.

თითქოს ჩანდა ქველში წყალის
 იღუმალი —
 ჩემი ყოფნის ქარიშხალის
 ფრენა მალი.

ქვიდან-ქვაზე ზვირთი რბოდა
 ვერცხლისფერი,
 და წარსულზე მიამბობდა
 ტბილი ეღერით;

აღვიძებდა ნიავს მძინარს
 ზვირთთა შეხლა:
 — „რა იყავით გახსოვს, წინათ?
 რა ხარ ეხლა!“

„ჩემთან ყოფნა შენ გიყვარდა
 მაშინ მარად,
 როცა იყავ მონავერდე
 ყრმა პატარა.“

„დღეს ერთად ვართ და გვაერთებს
 სხივი ღამის,
 გადმოხედე ჩემს ტანს ერთხელ
 კვლავ სიამით!“

და მდინარეს სვლა ვერ დლიდა
 მარდი, სწრაფი,
 გიყნავ ზვირთებს მძლედ ახლიდა
 ქვიან ნაპირს.

ერთოდა არე გამქვირვალი,
 შუქით საესე,



საქართველოს
წიგნიერების
კავშირები

და ბრწყინაედა შხეფი წყალის —
ისრის მსგავსი.

ნაბერწყლებით ელნათური
კვლავ ელავდა,
მისი ალი გარიყრაყის
ლიმილს ჰგავდა.

და ყოველი ჰავლი მშვიდად
ფრთების მრხევი,
მოშხუოდა წყლის სიღრმიდან
მსრბოლი ზევით.

და სერავდა შუქთა ღვართ
ლამეს მძინარს.
ო, არავგო, მეც ამგვარი
ვიყავ წინათ, —
შუქთამფრქვევი ნაბერწყალი —
პაწაწინა!

სიმღერა ძმობაზე



ქვეყასიის მაღალ ქედთან
მტერს ებრძოდა მეომარი.
თოვლის ღრუბლებს ქარი კვეთდა,
ჰქუხდა ზევაი ბობოქარი.

საბჭოეთის გმირს ვერ ღლიდა
ლამის თევა, ქართან შებმა,
უფსკრულის პირს სიმადლიდან
თოკით ხოხვა, ძირს დაშვება.

სიფხიზლისთვის ზღაპრებს ხშირად
ჩუჩრულობდა, ძილს იფრთხობდა,
ფაშისტების გასაგმირად
მშობელ მხარეს გუშავობდა.

როს მცირე ხნით ისვენებდა
იგონებდა თავის ურალს,
და მღეროდა აფხაზ მშებთან
ვაჟაკურ ხმით, საამურად.

- გერმანელებს გავრეკთ მალე?
- დიახ, მოვსობთ მათ სრულებით!
- შეეჩვიეთ ამ მწვერვალებს?
- არ გაერთობთ მთის უფსკრულები?

— მე ამ ქვეყნის მთებს და ველებს
ვიცნობ, ვიცი სადაც ვიბრძვი,
თუმცე საოცარ მათ სახელებს
ვერ ვინსომებ, მეტად მიმძიმს“.

სიმღერები მას უყვარდა,
დაეუფლა ქართულს სრულად,
და ტფილისელ მეგობართან
იმღეროდა სულ ქართულად.

ბევრი მოსპო გერმანელი,
შემოდგომა განვლო ბრძოლით,
მაგრამ იგრძნო დარდი მწველი —
როს მოუკლეს მოძმე — ტოლი.

იგი ხშირად ახსენდება —
რუსთავიდან იყო სწორედ.
სად ქარხანა დღეს შენდება,
შრომის ზათქი არყვეს გორებს.

- ურალის შვილთ შრომა გვიყვარს, —
წარმოსთქვამს და მშვიდად ღელავს.
- ღუშმანს მალე შორს გავრეყავთ
და ძმას შეეცვლი უიჰვილად.

— არ ვემუხთლებ მომეც მართალს,
დავამთავრებ საქმეს მისას! —
...და კვლავ ბრძოლად გაემართა
რომ შემუხროს ურდო მტრისა.

სად არ იყო, ცეცხლის აღში
მტერი ელიტა გმირულ გზებზე,
გუშინ ვნახე ის რუსთაველი
დღე-ღამე შრომობს თავდადებით.
თარგმანი ხარიბონე ვარდოშვილისა.

სიღნაღის კოშკები



იმ კოშკების თქვენ ხართ დები,
უშგულში რომ ვნახე წინათ. —
მთვრალი არ ვარ — მე ვღუღუღები,
როს გიციქვით მყუდროდ მძინარო.

და ჰაერში ისერის ხელად
ის ცარიელ ბროლის მინას,
ქიქა მიჰქრის ვარსკვლავებთან.
ვარსკვლავებით სუფრა ბრწყინავს.

შემოდგომა, ღვინო, რთველი,
ვინ არ დალევს ასეთ ღვინოს.
შემოდგომით სიღნაღელი
როგორც ღომი სვამს და ლხინობს.

ქიქა ცამდე აფრინდება,
კვლავ წყრიალით ძირს ჩამოდის,
და ვეჯაკი კი არ თვრება,
მხიარულობს, ეშხუე მოდის.

იღებს ქიქას სანეტაროს.
წამს გადაჰკრა ღვინო-ლალი, —
თითქოს წყალი დაეღვაროს,
ან უგონოდ იყოს მთვრალი.

და სიციცხლეც ღვინოსა ჰგავს,
ბოროტება ჩანს სიკვდილში,
ვით აჩრდილი ვნებათღელვის
სიღნაღელის ბაეშვურ ძილში.



შენზე, თბილისო, რამდენს უთქვამს ქებათა-ქება.
გამოუცლია სიამის თასი.
ჩემი სახელიც იმათ სახელს მიემატება,
ღე, მეზობტებთა გამრავლდეს დასი!

არ მინდა შენთან დღეს საქმეზე თათბირი მქონდეს,
ნურც სადღეგრძელოს ჩემგან ნუ ელი, —
მე მხოლოდ მიყვარს რუსთაველის პროსპექტზე ოდეს
გავისეირნებ მთლად უდარდელი.

თბილისელებში როს ანახდად გამოჩეული
დიდიხნის ნაცნობს მივეყვები კვალსა,
სადაც იქნება ისევე შემხვდეს ის შორეული,
რომ აღმიტაცებს, ამინთებს ალსა.

მე შევჩერდები მოსახვევში, ფიქრში წასული:
საით წავიდე? ვყოყმანობ წამით.
ღია სარკმელთან ზის ქართველი ტურფა ასული,
ქაბუჯს უღიმის საგესე სიამით.

შევხედავ იმ წყვილს, და გავყვები აღმართიან გზებს,
წინ მიდევს ქუჩა მყუდრო და მშვიდი.
ვრწმუნდები, არის ყველაფერი აქ თავის რიგზე,
თბილისის ეწვევა საღამოს ბინდა.



და ჩემს ბინაში, ბნელ ღამეში, მესტუმრებიან
 მოგონებანი გარდასულ დღეთა,
 ყველა სკამებზე და საწოლებზე ჩამოსხდებიან
 და ატარებენ მთელ ღამეს ჩემთან.

ვიმასლათებთ, არ მოვიწყენთ. არ დავღონდებით,
 არც ვიხმაურებთ, ბევრს არ ეიცინებთ;
 ისეთ რამეზე ვისაუბრებთ, რაც გვაგონდება,
 როდესაც ღამით ველარ ვიძინებთ.

თარგმანი **ზრიზოლ ცეცხლაძისა**

მარკ არონსონს



ის ალბინისტი არის, მაგრამ კვდება ლოგინში,
 მთის ჩრდილი, თითქოს, ყურს უგდებს და მის ბოდვას
 არკვევს.

ასე რად კვდება? — ზეავის შიში და მოლოდინი
 რატომ არა აქვს, რომ თან გაჰყვეს უფსკრულისაკენ.

რომ ყველაფერი მას გულიდან გადაუვარდეს,
 ფიქრით, ბალახით რომ არ იყოს ის დაფარული;
 რომ გადმოდინდეს ჩანჩქერივით და აელვარდეს
 რაც გულში ქონდა მას სიკეთე და სიყვარული.

საუბრის საგნად რად შემეძენა სიკვდილი ძმისა?
 შენ ხომ გიყვარდა სიცოცხლეზე ნაზი ფიქრები,
 შენ ხომ გიყვარდა მთის მწვერვალზე ამოსვლა მზისა,
 როცა ჰაერი საესე არის თოვლის ფიფქებით!

ზღაპრული მხარის თოვლში მეც ხომ ვიყავ ჩაფლული,
 მას, უხაბროს, მეც ვეტრფოდი; მეც ვემსახურე.
 იქ ხომ არწივი ცაზე არის თითქოს მიკრული,
 ცა კი ველების ოქროს ჯამებს მშვიდად დაჰყურებს.

ის, ჩემთან ერთად, სვანურ კოშკთა სიგრილეს გრძნობდა,
 ყინულთა მტვრევის ხმა ჩვენ გზაზე ბევრჯერ გვხლებია.
 ო, ნეტავ, იგი...

მის ღირსებას ეს შეჰფეროდა,
 ამგვარად ზღვაში მგზავნი ილუბებიან.

ასეთი რომ არ ყოფილიყო მეგობრის ბედი
 ჩვენ რას ვიზამდით? — მხოლოდ რაც მას ეამებოდა!
 ჩვენ მას მთის ძირას მოკრძალებით დავასვენებდით
 რომ მთების ჩრდილი ჩემს მეგობარს მოფერებოდა.

მის გაცივებულ მკერდს მთის ჩრდილის თრთოლვა
 მორთავდა,

შემდეგ, მოკლემულ ბაგეთ იგი როს მოწყდებოდა,
 საღამოს ბინდში, ვით ნათელი, მის მოლოდინ თავთან,
 მწვერვალი მთისა შემეჩნეველად გაბრწყინდებოდა.

თარგმანი **ვიქტორ გაბესკირიასი**.

პირისპირ

რომანი

მიოთხე წიგნი *



ოქტომბრის შემდეგ

„არა, შენ მიპასუხე: რისთვის ტირის ბავშვი?“
ფ. ლოსტოვესკი: „მშები კარამაზოვები“.

1.

კარისმერეთში დედის გამგზავრებისა და მოთხრობის დამთავრების შემდეგ, კორნელი კიდევ უფრო დანაღვლიანდა. რალაც დიდი სიცარიელე იგრძნო. ახლა არც მეგობრები მოდიოდნენ მის სანახავად. კორნელიმ კარო იარალოვისგან შეიტყო, რომ კომკავშირას ჟურნალის ბეჭდვა, რომელშიც „არკადი ელბაქიძე“ მდიოდა, ჩავარდნილიყო. მაგრამ ჟურნალის ჩაყარვამ უმნიშვნელო რამ იყო იმ დიდად სამწუხარო ამბავთან შედარებით, რომელიც კორნელიმ ამასწინათ გაიგო: აჯანყების მოწყობისათვის გამოყოფილი სამხედრო-რევოლუციური შტაბის წევრები მენშევიკებს დაუბატიმრებიათ, მათ შორის ვანო მახათაძე და ნიკო გოციერიძეც. აჯანყება 24 ოქტომბერს უნდა მომხდარიყო. ერთი კვირით ადრე ვანომ კორნელი ინახულა და დიდხანს ესაუბრა მას. ვანო გვიან დამით გამოვიდა კორნელის ბინიდან. თითქმის იგი წინასწარ გრძნობდა, დიდი ხნით რომ ვერ ინახულებდა მეგობარს. მას უამრავი საქმე ჰქონდა დაკისრებული, როგორც მუშათა წრეში, აგრეთვე ჯარისკაცთა შორისაც. იგი აჯანყების სულისჩამდგმელი იყო და სამხედრო-რევოლუციური შტაბის წევრად ითვლებოდა, ამის შესახებ კორნელისათვის მას არა უთქვამს რა. აი, სწორედ ეს აღონებდა ახლა კორნელის. იგი გულსტკენით ფიქრობდა: „ჩანს ვანო, ჯერ კიდევ ბო-

ლომდე არ მენდობა მე“. დიდი ფიქრისა და განსჯის შემდეგ თავი დაინუგეშა: „თუმცა, აჯანყების საკითხი მართლაც ფრიალ დიდ კონსპირაციას წარმოადგენს“. რამდენიმე დღის შემდეგ კორნელიმ გიგა ხუციშვილის და მიტო ჩიკვაიძის დაპატიმრებაც შეიტყო. მოთხრობის ბეჭდვის ჩაყარვისა, აჯანყების მარცხისა და მეგობრების დაპატიმრების გამო, კორნელი კვლავ მარტოობას, რაცაც საშინელ სულიერ დეპრესიას განიცდიდა და თავისი ოთახი, ბილიონი და მთელი საქართველოც საპყრობილედ ეჩვენებოდა. იგი სასოწარკვეთილებას მიეცა. სასოწარკვეთილებას შემოდგომის მოღრუბლული, ნაღვლიანი დღეები აორკეციდნენ. ნოემბრის პირველს კავკასიონის ქედებზე კუპრისფერი ღრუბლები ჩამოწვენენ, მთები გაუჩინარდნენ და ქალაქს ცივი, სუსხიანი, ავი და აშარი ქარი ეკვეთა. ქარი თარეშით მოჰყვებოდა მტკვარს და სანაპირო ქუჩაზე გამწკრივებულ ქაღრებს და გიმნაზიის ბაღის ნეკერჩხლებს აწყდებოდა და მათ ტოტებში გუზუნებდა, ყვითელ ფოთლებს იტაცებდა და სადღაც შორს უხილავ მხარეს მიჰქონდა და მიიფრინდა. ქარი გრიგალად იქცა. სახლის საბურავს რკინის ფურცლებს ჰგლეჯდა, დარაბებს აწვალებდა, ბოძებზე გაჭიმულ მავთულებში ზუზუნებდა, კენესოდა და კუდიანების მსგავსად ღუმიღუმში ჰკიოდა, თითქო ქვეყანას ავი სულელები შეეისივნენ და დაპატრონდნენ... ის კვენისა და ჯოჯოხეთური კვილი ქვეყნის გამოტარების ხმად ეჩვენებოდა კორნელის. ბოლოს გრიგალი ჩაღვა.

* გაგრძელება იხ. „მნათობი“ № 5.

მაგრამ ახლა სხვა სატანჯველი და საფიქრალი რამ ეწვია კორნელის.

2.

ჭრილობისაგან მიყენებული ტყვილის გარდა, კორნელის კიდევ ორი გარემოება სტანჯავდა: დღისით — მაიორის უნიჭო ცოლის სიმღერა და ღამით კი მეზობლის სევერიანე ასათიანის ძუძუწმწოვიანი ბავშვის გულამომჯდარი ტირილი.

გიმნაზიის კანცელარიის საქმის მწარმოებელს — სევერიანე ასათიანს კორნელის გვერდით ექირა ოთახი. იგი წერილი ცოლ-შვილის პატრონი კაცი იყო. მიუხედავად იმისა, რომ მისი ცოლი — მკერავი ქალი ანეტაც ფულს აკეთებდა, სევერიანეს ცოლ-შვილი მაინც ღარიბად ცხოვრობდა. ან რა ბარაქა უნდა ჰქონოდა ლოთი კაცი ოჯახს! პატარა, თავკომბლა, ვრძელლულვამიანი ქერა კაცი სევერიანე ასათიანი თავის ძმა-კაცებთან ერთად მუდამ რესტორანში და ღვინის სარდაფში ეგდო და ლოთობდა... შინ გვიან ღამით, ბარბაციით მოდიოდა. შარზედ იყო, ჩხრბზედ იდგა, ცოლსა და უფროს ქალ-ვაჟს სცემდა და სტანჯავდა. დღლით კი ნაბახურევი, სახედასიყვებული და თვალამღვრეული, იგი გიმნაზიის კანცელარიაში ცოლის მიერ დაუთოვებულ და გაწმენდილ ტანისამოსით მიდიოდა, თითო ცოლისგან პატივისცემის, მოვლისა და სიყვარულის ღირსი ყოფილიყო. შინ ავი, მრისხანე და ცოლ-შვილის მტანჯველი, სამსახურში იგი სრულიად იცვლებოდა, მშვიდი, ზრდილობიანი და მოქაძღვრებული ხდებოდა, უფროსებს ფეხქვეშ ეგებოდა, მათ წინაშე მლიქვნელობდა და ქლესობდა. სანამ სევერიანე კანცელარიაში მუშაობას დაამთავრებდა და ისევ ღვინის სასმელად წავიდოდა, სამსახურში ნემსებზე იჯდა, ანეტა ოდნავ ნასწავლი და თავის დროზე ლამაზი, უბრალო, მშრომელი, გამრავ და მწითური გლეხი ქალი იყო. ქმარი დიდი კაცი ეგონა და პატივითა და რიდიტეპყრობოდა. მაინც დიდხანს ებრძოლა მის ლოთობას და უსაქციელობას. ბოლოს ხელი ჩაიქნია და ქმრის ლოთობას, როგორც განუკურნებელ ჭირს, ისე შეეჩვია. პრა-კერვას მიჰყო ხელი და შინ შეკვეთებს იღებდა. თანაც ოჯახზე ზრუნავდა, შინ ტრიალებდა, სადილსაც ის აკეთებდა და ბავშვებსაც

ჩინებულად ზრდიდა და უვლიდა. ხოლო როდესაც ქვეყანა ეკონომიურად განაზღა და მუშა-მოსამსახურეები სიღატაკისა და შიმშილის კლანჭებში მოექცნენ, ანეტაც უმუშევარი და რჩა გამხდარი, უბარაქო შრომისაგან წილ-მოწყვეტილი გლეხი ქალი, „დიდ კაცს“ და „ახალურს“ უდროოდ დაეებრებინა და დაემონებინა. „პატრონი-ქმარი“ კი, რაც შეეტი დრო გადიოდა, მეტ ღვინოს სვამდა, ლოთობდა, უფრო მრისხანე, ოჯახში აუტანელი და დესპოტი ხდებოდა... მას ჯამაგირი არა ჰყოფნიდა, თავისი მკერავი ცოლის ფულსაც ანაივებდა და აქოფში ხარჯავდა... დღამისის შვილი იყო და, ფულს არ მისცემდა და დაუმალავდა ანეტა? მას სრულიად არ აფიქრებდა და არ ენანებოდა ახლა, ცოლი და შვილები შიშველ-ტიტრეილი და მშვიერი რომ ეყარნენ შინ. გალოთებულ და ღვინისაგან წამხდარ კაცს ხანდახან თვალი აეხლოებოდა, იგი ქუთაზე მოვიდოდა და მაშინ ნაცნობ მეგობრებს წუწუნით და ტირილით თავს აბეზრებდა და თავის გალოთებას „ცულსა და წამხდარ დროებში“ აბრალებდა: „ჩემი ლოთობით ცოლ-შვილი დავტანჯე და დავლუბე. მერმე რა მარგალიტი ბავშვები მყარეს აქ თვალს არ ენახებოდა. მართლაც დაკარგული და უბედური კაცი ვარ... მაგრამ რა ვუყო? განა ლოთი ვიყავი? შინ ღვინო თუთობით მიღვავ ერთ წვეთსაც არა ესგამდი და მიმმარდებოდა. ახლა კი უზომოდ ესგამ. ეხ, ვინ რა იცის, რა მასმეეს ღვინოს! ვერა ვერ ამიტანია ეს წამხდარი დროებამ! ეხ, რა დიდებული ცხოვრება გაფრინდა და რა ბრწყინვალე ხალხი გადაშენდა! საღლა არიან ახლა ის ძველი მინისტრები, გენერლები, დირექტორები... მარტო ჩვენი დირექტორი დრობოვლავი რად ღირდა! მას კავკასიის სამოსწავლო ოლქის უფროსობა შეეფერებოდა. ნამდვილი სამინისტრო კაცი იყო. ახლანდელი ჩვენ ზრივტარა დირექტორს — დათა მიქელაძეს კი არა ჰგავდა. ან ახლანდელი მასწავლებლები ძველ მასწავლებლებს შეედრებინა? მასწავლებელი მასწავლებელს არა ჰგავს და მოწაფე მოწაფეს. ყველაფერი დაუფრთხმანდა, ძალი პატრონს ვერა სცნობს. გიმნაზია გოროდის კლასს დაემსგავსა. ერთი შეხედეთ. რა თაობა მოვიდა: უსწავლელი, უზნეო და უზრდილი ბიჭ-ბუჭები... ყველაფერი აირია, წახდა და დაქვეითდა... ან მე ისა ვარ,

რაც ვიყავ? კაცი მუნდირით, ჩინ-ეპო-
ლეტებით და შპაგით დაფარებული. მა-
შინდელი ჩემი ჯამაგირით ხუთ ოჯახს
შევიხანავდი. მანეთად მთელი კომპანია
იქნებოდა. ახლა კი ორი კაცი ათას მა-
ნეთადაც ვერ გაატარებს ისეთ დროს.
როგორი სიიაფე, წესრიგი და უხვი
ცხოვრება იყო... აფსუს, რა დროება გა-
ფრინდა! მოდი და ამის შემდეგ კაცი
გულზე ნუ გასკდება და ღვინოს ნუ
დალევს!!“.

ამგვარი აღსარება ბევრჯერ უთქვამს
სევერიანე ასათიანს და ბევრს თავს
ამეზრებდა თავისი წიწყუნით, მაგრამ
ბევრს კიდევ მოსწონდა მისი ჩივილი.
სევერიანეც მსებრ მოწუწუნებებს ეტა-
ნებოდა, მათთან ერთად ახალ თაობას
და რევოლუციას სწყევლიდა და ძველ
დროებს კი აქებდა და ჯავრს ღვინით
იჭარებდა, ლოთობდა, ნაძირალებთან
დაეთროდა, ადამიანის სახეს ჰკარგავ-
და, ცხოვრების ფსევრზე ეშვებოდა და
ლორით ლაფში ევლობოდა. ამ ლაფ-
ში მართო არ განისვენებდა იგი. „მე-
გობრები“ ჰყავდა. ისინი უმალ და ად-
ვილად აგნებდნენ ერთმანეთს. ნათქვა-
ნა: მსგავსი მსგავსთან განისვენებსო.
და „მეგობრებიც“ ერთმანეთს აგნებ-
დნენ. ამობას ეფიცებოდნენ და აქებ-
დნენ, სხვებს კი თავზე ლაფს ასხამდნენ,
ლანძღავდნენ, ათრევდნენ და დასცი-
ნოდნენ. თუმცა, მათი წიწყუნი, ჩივილი,
ქორი, ყაყანი, აღმოთება და ჯანყი
ღვინის სარდაფის კედლების იქით არ
გადიოდა. სახედასივებულ და ღორად-
ქცეული სევერიანე აწ ველარ ამჩნევდა
ცოლის და შვილების შემშლს და სი-
ტიტვლეს. საბრალო ანეტას ხელში ადნე-
ბოდა ძუძუმწოვარი, მშვიერი და ავად-
მყოფი ბავშვი. ყოველ ღამე დილაძღ
სტიროდა გულამოჯდომით პატარა. დი-
ლით კი ღონე ეღვოდა და გასაუთი-
ბულს ჩაეძინებოდა. ამოდ აძინებდა
დედა ავადმყოფ ბავშვს. დილაძღ ისეთ
ნალვლიან ნანას ეუბნებოდა, რომ შე-
მოდგომის გრძელ და მღუმარე ღამეებ-
ში ბავშვის ის გულსაკლავი, გაუთავი-
ბელი, გულამოჯდარი ტირილი და დე-
დის ის ნალვლიანი ნანა კორნელის გა-
მოუთქმელ სულიერ ტკივილს ჰგვრიდა
და სტახავდა. ის ტირილი და დედის
ნალვლიანი ნანა, ქვეყნის დაღუპვის მო-
ახლოვებად და ქვეყნის გამოტირების
ხმად ეჩვენებოდა კორნელის. თვალი
ცრემლით ევსებოდა და მზად იყო თვი-
თონვე ეტირნა და ყვიროს:

„რად სტირის ასე გულსაკლავად ბავ-
შვი?! რა ტყევა პატარას, მთელ ღამეს
რომ ასე უღონოდ და საცოდვად ტი-
რის? რად არ მოიწვიე?!“ მშობლები
ეჭიშმ? ცოდვაა. მოკვდება ამდენი ტი-
რილით ბავშვი. უკვე ორი კვირა იქნე-
ბა, რაც ღამეებს ათეჯს იგი უნუგეშო
ტირილით და მიწუხებული დედა ნალ-
ვიან ნანას ეუბნება. მიჰხედოთ ავადმ-
ყოფ ბავშვს და ანუგეშეთ მგლოვიარი
დედა...“ — იმახდა თავის გულში კორ-
ნელი და, მისი ძახლის პასუხად, ბნელ
და მუხჯ ღამეში საღაჯ, უცხო და
შორეულ მხარეს მიმავალი მატარებლის
უღონო და გულსაკლავი კვიცილი შემო-
ესმა. უმაღლა სამიხელი სივდა და მარ-
ტობა იგრანო. მატარებლის ის შორე-
ული და უღონო კვიცილი დაკარგული
იმედის ხმად ეჩვენა, ხოლო თავისი ბნე-
ლი ოთახი კი — აკლამადა...

ბოლო გაიგო კორნელიმ, რა ატირებ-
და ასე გულსაკლავად ძუძუმწოვარ
ბალს... მშვიერ დედას ძუძუ გაშრო-
ბოდა...

3.

ნოემბრის ათს, რთველის შემდეგ, კა-
რისმერეთიდან თბილისში ტერიზა ჩა-
მოვიდა. დაკლული ინდაურით, ქათმი-
ებით და ხილით — ვაშლით, კომშით,
შაქარბროწეულით, უნაბით, თხილით,
ჩურჩხელით და ტყბილის კვერით საესე
კალათები ჩამოიტანა. სადგურზე ილი-
ნი და მარო დახვდნენ.

ტერიზა ჩასვლისთანავე კვლავ ეჭიშის
თანამეშქისა და კორნელის მესასთუმე-
ლის როლის შესრულებას შეუდგა. იგი
ისევ ჩინებულად უვლიდა შვილს. კარ-
გად ჰკეებავდა. სასთუმალთან ყოველ
დღით თეფშზე ტერიზას მიერ მოტა-
ნილი ვაშლი, კომში და შაქარბროწე-
ული ელაგა. დედა მთელი დღე სასთუ-
მალთან იჯდა კორნელის. ზამთარი ახ-
ლოვდებოდა და იგი წინდის ჩხირებით
და თავის დამჭიხარი თითებით შალს
წინდას უქსოვდა შვილს, დაჭრილი ფე-
ხი რომ თბილად ჰქონოდა. ხანდახან
გადახედავდა ავადმყოფს თავისი მად-
ლიანი, ჰკვიანო, მეტყველი და სიყვარუ-
ლით სავსე თვალებით და ჯავრთან
გულს დაუბეზდა. მაშინ კორნელის სო-
ფელი, თავისი ბავშვობა მოაგონდებო-
და და შვილისადმი დედის სიყვარულზე
იწყებდა ფიქრს: „შვილის სიყვარულის
გამო ქალი ადვილად და უღრტირევი-

ლად ასრულებს დედობრივ ყველა მოვალეობას, რაგინდ მძიმეც არ უნდა იყოს იგი. დედისათვის არ არსებობს არაერთი ისეთი დაბრკოლება და ტანჯვა, რომელიც მან შეიღის სიყვარულის გამო არ გადალახოს და არ აიტანოს. შეიღისათვის ზრუნვა და თავგანწირვა დედის სამარის კარამდე თან გაჰყვება. აგერ, დედაჩემი სიბერისა და უძლურების ქაშაყ ჩემდამი ისეთ მზრუნველობას, გამძლეობას და სიმზნეს იჩენს რომლის გამოჩენა უბუნე ქალსაც ეი გაუჭირდებოდა". — ფიქრობდა კორნელი. მერმე გამზად მუხლზე შეახო ხელი დედას და მის მუხობლად მცხოვრებ სევერიანე ასათიანის ცოლს — ანეტასა და მისი ავადმყოფ ბაბუის შესახებ უამბო:

— ნეტავ განახვავ რა ხალისით, სიყვარულით და სიფრთხილით დასტრიალებს დედა იმ ავადმყოფ ბაბუს! რა დაუზარებლად იღვიძებს ის საცოდავი უშაღამით, რა გინდ დაქანცული არ უნდა იყოს იგი იმისათვის, რომ შეიღს ძმეთუ აწოკოს და საქმელი ან სასმელი რამ მისცეს!

— მაგაში საკვირველი არაფერია, — მიუგო* დედამ. წინდის ჩხირები და მორგვი კალთაში ჩაიღო, შეიღს შემოხედა და განაგრძა: — მას შემდეგ რაც ქალი დედა გახდობა, მის გულში ბავშვისადმი უსახლერო სიყვარული იღვიძებს. ის ბავშვი ანეტას პირველი შეიღი როდია, მისი მოვლა რომ არ იცოდეს. თუმცა ეგ ქალისათვის არაფერს

არ ნიშნავს. თუნდაც ბავშვი სიყრმის შეიღი — პირშო იყოს და ქალი კი გამოუცდელო, სულერთია, როგორც მასეთი მოხერხებული ქცივით და მზრუნველთა გამოა ჩვილს, თითქოს იგი ქცივა და ზრუნვა მთელი მისი სიცოცხლის და წინა თაობების გამოცდილების შედეგი იყოს.

— საოცარია დედის ეგ მშობლიური ინსტინქტი და შეიღისადმი სიყვარული, — დასძინა კორნელი. — მტრის ეერაერთარი ლაშქარი, თავსდატეხილი ქარიშხალი და სამიშროება ვერ დააფრთხობს დედას და ააღებინებს ხელს შეიღის დაცვაზე და სიყვარულზეო, ამბობს ერთი მწერალი.

— დედის სიყვარულის სხივების ქვეშ, როგორც ამას ანდერსენი თავის მშვენიერ ზღაპარში „დედაში“ მოგვითხრობს, მართლაც თვით ბუნება იღვიძებს, — შენიშნა ტერეზამ კორნელს.

ასე ტყბილად საუბრობდნენ ტერეზა და კორნელი შეიღისადმი დედის სიყვარულზე და ორივენი კარგად გრძობდნენ, რომ დედაზე და შეიღზე თქმული, მათაც შეეხებოდა.

ოთახში დედა ეღენე შეიღა და ღიმილით თქვა:

— ერთი შეხედეთ ამთ, რა ტყბილად ქუჭუჭყებენ. ნუ გეშინია, კორნელი. შენთან ჯდომსა და საუბარი ტერეზას არ მოსწყინდება.

კორნელიმ დედას და ეღენეს შეხედა და მათი მსგავსება მეტად გაუკვირდა.

ჰამერი

I

მალე კორნელის უკეთესობა დაეტყო. გარდა ჭრილობის ადგილობრივი მკურნალობისა, საერთო გამაჯანსაღებელი საშუალებების მიცემით ავადმყოფის მდგომარეობა ყოველდღიურად კიდევ უფრო გაუმჯობესდა, კორნელი ნახვიეს აღარ იკეთებდა. ხშირად ჯდებოდა საწოლზე. ფეხებს იატაკზე ჩამოუსვებდა და ფეხზე დგომას ეჩვეოდა, მაგრამ კიდურისაკენ მოწოლილი სისხლის გამო, დაჭრილი ფეხი უშაღვი უსივდეგობდა და უღურჯდებოდა. ახლადამოზ-

რდილ, შეუჩვეველ კანში თითქოს ეკლები ერჭობოდნენ. ექიმმა აბაზანებით დაუნიშნა და კორნელიც დილა-საღამოს დედის მიერ მოტანილ თბილი წყლით სავსე კასრში ჰყოფდა დაჭრილ ფეხს. მალე დაჭრილ ფეხზე შალის წინდა და ქეჩის მოკლეჩლიანი ფეხსაცმელი ჩაიცვა და, ბოლოს, ოთახში ყავარჯნებით სიარულიც დაიწყო, რის შემდეგ შრომის უნარიანობაც დაუბრუნდა. ამ ხნის განმავლობაში კორნელი ზარანდია არსად ჩანდა და კორნელიც მედიცინის ნაცვლად, ფილოლოგიამ და ფილოსოფიამ გაიტაცა. ბოლოს

პლენარის წიგნი „მონისტური თვალსაზრისის ისტორიაზე“ აიღო და მის შესწავლას მიჰყო ხელი.

როდესაც მზე დასაყლეოთისაკენ გადაიხრებოდა და სანაპირო ქუჩაზე დათა მიქელაძის ბინის ფანჯრებს მიამუქებდა, კორნელი სასადილო ოთახში შევიდოდა, ფანჯარასთან დაჯდებოდა და მზის ჩასვლამდე წიგნს კითხულობდა.

სასადილო ოთახის ფანჯრები სანაპირო ქუჩაზე გადიოდნენ. ფანჯრების წინ დიდი ქანდრები ჩარამბულიყენენ. ქუჩის იქით მყისვე მალალი ნაპირი იწყებოდა და ქვეშ მტკვარი მიდიდებოდა. მტკვრის გაომა ვერის ხიდანან ვერის ბაღისაკენ მიმავალი ქუჩა, გორაკი, გორაკის თავზე სასაფლაო, მალაღუმბათიანი ეკლესია და ყორღანოვის ქუჩაზე გაშენებული სახლები — ქალაქი ჩანდა. მერმე კი — ქალაქის განაპირა ერთბაშად ახლულდები მთები, ფუნჩიკლოთარი, და სოფელი წყნეთის ტყე... საათობით შეეძლო კორნელის სასადილო ოთახის ფანჯარასთან ჯდომა და მტკვრის, ქალაქისა და მთებისათვის ცქერა. ყავარჯნებს კუთხეში მიაყუდებდა, წინ სკამს დაიდგამდა, რომ დაქრილი ფეხი დროდადრო ზედ დაედო. ფანჯრის ფართო რაფაზე წიგნებსა და რვეულებს დაალაგებდა, და, შინ თუ არავინ იყო, წიგნის კონსპექტის, ან კიდევ ლექსებისა და მოთხრობის წერას შეუდგებოდა. სასადილო ოთახში აჩემებული ფანჯარა და პატარა კუთხე კორნელის საყვარელ ადგილად იქცა და დედა დაცინვით ეუბნებოდა: ბარემ საწოლიც მანდ დაიდგო და გამართო.

სწორედ იმ ფანჯარასთან ჯდომისა და მუშაობის დროს კორნელისა და ერთი უცხო ჰაბუკს შორის უცნაური ნაცნობობა გაინასკვა. ხშირად, მწუხრის ქაშს, სანაპირო ქუჩაზე გერმანელი ჯარის ასეული გამოჩნდებოდა. ასეული ლალი სამხედრო ნაბიჯით მიდიდა და მშობლიურ რაღაც სიმღერას მშვენიერად ამბობდა. მაშინვე კორნელი წიგნის კითხვას თავს გაანებებდა და გაფაციცებით ფანჯარაში ცქერას დაიწყებდა. როდესაც ასეული ფანჯარას გაუსწორდებოდა, უკანა მუკრივში მდგარი ჰაბუკი ჯარისკაცი ფანჯრისაკენ ღიმილით თავს მოიქცევდა, კორნელის და ფანჯარაზე დალაგებულ წიგნების დასტას შეაცქერდებოდა. ეს თითქმის ყოველ საღამოს ასე მეორდებოდა და კორნელიმ კარგად დაინახა იმ გამხდარი ჰაბუკი

ჯარისკაცის განცვიფრებელი, კეთილი და ცნობისოყვარეობით საესე სახე. ერთხელ უცნობმა ჯარისკაცმა კორნელის გაულომა, ნაცნობივით გულმხმარებას მიჰსალომა და ხელი ასწია. კორნელიმ ხელის აწევითვე უბასუხა.

მეორე დღეს დამით გერმანელი ჯარისკაცი დათა მიქელაძის ბინას მიადგა. კარი ტერეზამ გაუღო. ჰაბუკმა ბოდიში მოიხადა და დამტერეული რუსულით უთხრა, ფანჯარასთან რომ კაცი ზის და წიგნებს კითხულობს, იმის ნახვა მინდაო. ტერეზა მაშინვე მიხვდა, უცნობს კორნელის ნახვა რომ სურდა და შინ მიიპატიოა. კორნელი დერეფანში შეიგება ჯარისკაცს და თავის ოთახში შეიყვანა, მაგდასთან სკამი შესთავაზა თვითონ კი ყავარჯნები კედელს მიაყუდა და საწოლზე დაჯდა, ფოლადისფერ მანარაში გამოწყობილმა, ფერმკრთალმა, გამხდარმა ჰაბუკმა ქუდი მოიხადა და მუხლზე დაიდო. იგი კორნელის ხნის კაცი იქნებოდა. მოგროო სახე, მალალი მუბლო, სწორი ცხვირი, ცისფერი თვალები და მოკლე შეკრეპილი უღვაშეი და ჰქონდა. ქერა, სუფთა და კრიალთმა ბეჯითად გადაეფარცხნა. იგი დარცხვენით მიაშტერა კორნელის და მოულოდნელ სტუმრობისათვის ბოდიში მოიხადა. პატარა ოთახს თვალი მოაგლო, კუთხეში შაშხანა და ხმალი დაინახა და კორნელის ჰკითხა. ოფიცერი ხომ არ ბრძანდებოთო. მას ძალზე გაეხარა, როდესაც კორნელიმ სწორ გერმანულით მიუგო: მე ყოფილი ჯარისკაცი, არტილერისტი ვარ, ამჟამად კი — სტუდენტიო. გერმანელ ჯარისკაცთან საუბარში კორნელიმ გაარკვია, რომ იგი ლაიპციგის მცხოვრები, მღებლის შვილი, სახელსონო სასწავლებლის უკანასკნელი კლასის შეგირდი ყოფილიყო, მხატვრობით და მუსიკით გატაცებული ჰაბუკი — კარლ ჰაპერი. თბილისში აყვარულით ერთი პეიზაჟი დახატე და, თუ ნებას მომცემთ, კვირას გეახლებით და ვინევენბთო. — უთხრა ჰაპერმა კორნელის. კორნელიმ მადლობა გადაუხადა და თხოვა ხშირად მოსულიყო მასთან, რაზღადც ჰაპერმა მიუგო:

— პლენარის პროსპექტზე ერთ პატარა რესტორანში როიალზე ელკრავე — ტაპერი ვარ და დრო სრულიად არა მრჩება.

— როიალი ჩვენცა გვაქვს და, თუ სურვილი გქმნებთ და დაუკრავთ, მოხარული ვიქნებით.

— მე პროფესიული დამკვერელი არა ვარ. ჩემთვის ნუკრავდით... ახლა ჩემი ხელები უხეში გახდნენ... დიდი ხანია არ მივიარუქმნია... მე სოლდატი ვარ. ჩემი დაკერა გამოსახენი არ არის, — თქვა ჰამერმა და დარცხვენით დაიხედა თავის დიდრონს, ნაწრომ და ნაჯაფ ხელებზე. კორნელის შეეცოდა და მაშინვე მიხვდა, ჰამერი ლუკმა-პურისათვის რომ უკრავდა რესტორანში.

ჰამერი 1916 წელს უკრაინის ფრონტზე ჩავარდნილიყო ტყვედ. სამხრეთ რუსეთში ერთერთ კონცენტრაციულ ბანაკში მოეთავსებინათ, ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ, იგი სხვა გერმანულ ტყვეებთან ერთად საქართველოში ჩამოსულიყო. იგი იმ ასეთლში შედიოდა, რომელიც ტყვე გერმანულ ექიმებისაგან დაარსებულ ჰოსპიტლის ერთ-ერთ კორპუსში იყო დაბანაკებული. ჰოსპიტალი რამდენიმე კორპუსისაგან შესდგებოდა. უკანა კორპუსი დათა მიქელაძის ბინის გვერდით სანაპირო ქუჩაზე გამოდიოდა, ხოლო წინა კი — დიდმოთავრის ქუჩაზე. ჰოსპიტლის თანამშრომელი და ჰოსპიტლის შენობაში მოთავსებული ტყვე გერმანელი ჯარისკაცები დღედღეუ ელოდნენ სამშობლოში დაბრუნებას, მაგრამ საქართველოში ინგლისის ჯარის შემოსვლის შემდეგ ამ შემორჩენილ ტყვე გერმანელთა ევაკუაციის საქმე რატომღაც ქიანურდებოდა.

კერას, დღისით ისევ მოვიდა კორნელისთან ჰამერი და ქალაქში სასოებით გახევეული სურათი მოიტანა. სურათში ფიქრის-გორა, ჰოსპიტალი და მთის ბილიკით მდინარე ვერისაკენ მიმავალი, მხარზე კოკამდგმული ქორთი ქალები ეხატა. სურათის ქვეშ გერმანულად ეწერა: „ქართველი ქალები წყალზე“. სურათი მაინცდამაინც დიდის ნიჭითა და ცოდნით არ იყო შესრულებული...

- ეს ქურთები არიან და არა ქართველი ქალები, — შენიშნა კორნელიმ.
- ვიცი, ვიცი, — წამოიძახა ჰამერმა, — ეგ ჩემმა საცოლემაც მითხრა...
- ოპო, თქვენ საცოლესაც გყავთ? — ვაუკვირდა კორნელის.
- დიახ. იგი ქართველი ქალია.
- რა გვარი?
- როსტიაშვილი.
- სად შეეყარეთ მას?
- ფოსტაში. იგი ტელეგრაფისტია.

თუ ნებას მომცემთ, მომავალ კერას მასთან ერთად გეახლებით.

— ვთხოვთ.

2

რამდენიმე დღის შემდეგ, ჰამერი თავისი ქალით — ქეთევან როსტიაშვილით კორნელის ესტუმრა. ელენემ სასადილო ოთახში მიიღო ისინი და ჩათო გაუქმასპინძლდა. ნამცხვარი და მურაბა მიართვეა. ჰამერს ნაცრისფერი კოსტუმი ეცვა. დინჯად, ზრდილობიანად და წესიერად ევირა თავი, ისე როგორც კარგი ოჯახის შვილს შეჰქვრის. ტერენას, ელენეს და დათას ძალიან მოეწონათ იგი, ხოლო მისი საცოლე — ერთი შეგებუბა, ჯემუბი, პატარა, ავლაბრელი ქალი — ქეთო როსტიაშვილი კი არა. ქეთო პროვინციულ კეკელა ქალივით კეკელუცობდა, ჰამერს თავს აწონებდა, ხშირსა და ერთმანეთზე მიჯრილ ვეება წარბებს ათამაშებდა, დედოფალსავით ინახებოდა და უხვიროდ ნათავდა შავ და ბრიალა თვალებს. იგი ანთა წლით უფროსი იქნებოდა ჰამერზე და ამ გაუთხოვარ და შინაბერა ქალს მართლა სჯეროდა, რომ ჰამერს ვატაცებით უყვარდა იგი, რომ ეს არეული ქვეყანა მალე დალაგდებოდა და მაშინ ჰამერი საქართველოში უთუოდ ჩამოვიდოდა და გერმანიაში წაიყვანდა მას.

დათა მიქელაძემ მსოფლიო ომზე და პოლიტიკაზე ჩამოაგდო სიტყვა და გერმანიის მეცნიერების და კულტურის ქებას მოჰყვა, რამაც მეტად გააბარა ჰამერი. ჰამერმა ენა აიღგა. იგი ნაციონალურ შედიდურობას ვერ მალავდა და გერმანიის დამარცხება აწუხებდა. ბოლოს ჰამერს სთხოვეს და ისიც სასტუმროში გავიდა და როიალზე ძველ ბოვარული, გლადიატორების და სხვა მრავალი მარში დააგრიალა და მთელი ბინა გააყრუა. თავის სტიქიაში შესტურაო — უთხრა კორნელიმ დათას.

ამის შემდეგ ჰამერი ისევ მოულოდნელად ესტუმრა კორნელის და ბროშურა მიოტანა.

როდესაც ჰამერი წავიდა, კორნელიმ ის ბროშურა წაიკითხა. ბროშურის ავტორი ცდილობდა დაერწმუნებინა მკითხველი, თითქოს ომი გერმანიას ინგლისმა, საფრანგეთმა და რუსეთმა მოახვია თავზე, ხოლო ომის დაწყებაში თვითონ გერმანიას ბრალი არ ეყო. განსაკუთრებით ინგლისს უმიზნებდა

ავტორი. იგი სწერდა: გერმანიის ინდუსტრია, მრეწველობა გიგანტური ნაბიჯით წავიდა წინ, გერმანიის საქონელმა მსოფლიო ბაზრიდან ინგლისის საქონლის გამოდევნა იწყო და ამიტომ ინგლისმა გერმანელი ხალხის დამარცხება, დაჩოქება, დაბრძოლა გადაწყვიტა და ამ საქმეში რუსეთი, საფრანგეთი, ამერიკა და მთელი ქვეყანა ჩაება. ავტორი მკითხველს უნებართვად, რომ 1914 წლის ომი ინგლისმა, საფრანგეთმა და რუსეთმა შეამზადეს, რათა მთელი ქვეყანა ერთმანეთს შორის საბოლოოდ გაენაწილებინათ, ხოლო ოთხმოცილიონიანი გერმანელი ხალხი კი კვლავ მშრალზე დაეტოვებინათ და მარტოკა ევროპის მატერიკზე მიჩენილ პატარა ტერიტორიაზე ჩაეკეტათ, საერთო ძალით ომში დაემარცხებინათ, გაეცარცვათ და სული ამოეხადნათ. ავტორის აზრით გერმანია სამართლიან ომს აწარმოებდა და სამშობლოს იცავდა.

რამდენიმე დღის შემდეგ, ჰამერი კორნელის ესტუმრა და ჰკითხა:

— წაიკითხეთ ბროშურა?

— წაიკითხე.

„ეგრე არ არის თაყაო, შენ რომ მამული გაჰყავო,“ — გაიფიქრა კორნელი და მიუგო:

— ამ ბროშურამ დამარწმუნა, რომ მეფე ვილჰელმს და მის ერთგულ კაპიტალისტებს, ბანკირებს, ბურჟუაზიას თავის ჯარში ცვლი აგიტაცია და პროპაგანდა არ ჰქონიათ. მაგრამ ის პროპაგანდა სიყალბეს შეიცავს.

— მეფე ვილჰელმი და კაპიტალისტები რა შეაში არიან, — გაუკვირდა ჰამერი. — ეს ბროშურა პროფესორის, სოციალ-დემოკრატის დაწერილია.

— საქმეც ეგ არის. თეთრული იმპერიალისტური ქვეყნის მთავრობა და მისი ბურჟუაზია ცდილობს დაამტკიცოს, რომ ომი მათი სამშობლოს დასაცავად სწარმოებს და არა სხვა ხალხთა მიწა-წყლისა და დოვლათის მოსატაცებლად. ხალხის მოტყუებაში იმპერიალისტებს მეორე ინტერნაციონალის სოციალ-დემოკრატებიც მიემხრნენ. ასეთი ბროშურები ასეთი პროფესორების და სოციალისტების კალამს ეკუთვნიან. ომისათვის ყველა იმპერიალისტური ქვეყანა ემზადებოდა და მათ შორის გერმანიაც.

— მე არ ვეთანხმებით თქვენ. — გაუბედავად თქვა ჰამერი, — გერმანიამ არა

ერთხელ მოჰმართა ინგლისს და მის მოკავშირე ქვეყნებს დაეთმო მისთვის დედამიწის რომელიმე კუთხეში მიწა-წყალი. მაგრამ მათ ეს მიწა-წყლებს გადაგვებოდნენ. ინგლისი არ ჯერდებოდა ინდოეთსა და სხვა მრავალ კოლონიას და ახლა მესოპოტამიის, პალესტინას დაეპატრონა და ეგვიპტეში საბოლოოდ დამკვიდრდა. ვეება რუსეთმა, რომელსაც ხმელეთის ერთი მეექვსედი უჭირავს, თურქეთის ნაწილს, შავი ზღვიდან ხმელთაშუა ზღვაში გასასვლელი სრუტის — დარდანელის ხელში ჩაგდება და კონსტანტინოპოლის დაპყრობა მოიწადინა. საფრანგეთს ქვანახშირით და რკინით მდიდარი საარის აუზის და ელზას-ლორენის წართმევა სურდა და კიდევაც წაიღო...

კორნელიმ გაიღმა და დამცინავად შენიშნა.

— თქვენ უცნაური კაცი ყოფილხართ.

— რატომ?

— განა ამ ნახევარი საუკუნის წინათ გერმანიამ არ მოსტაცა საფრანგეთს ელზას-ლორენი? განა გერმანია არ ცდილობდა წაერთმია ინგლისისა და საფრანგეთისათვის კოლონიები? განა გერმანიამ არ მოსტაცა რუსეთს პოლონეთი, უკრაინა და ბალტიისპირა ქვეყნები? რად დაგავიწყდათ ყოველივე ეს? ალბათ იმიტომ, რომ თქვენს ქვეყანაშიც, ისე როგორც ჩვენში ბურჟუაზია ხალხს უმალავდა იმპერიალისტური ომის მტაცებლურ ხასიათს.

ჰამერიმა თავი ჩაჰკიდა. კორნელიმ განავრძო:

— მე ვწუხვარ, რომ თქვენ ამგვარი ბროშურის დაწვერ კალმონების მიერ მოტყუებული დარჩენილხართ და ამდენხანს ვერ შეგვიზნიათ, რომ იმპერიალისტური ქვეყნების მიერ დაწყებული მსოფლიო ომი, არა სამშობლოს დასაცავად წარმოებდა, არამედ სხვისი მიწა-წყლის მისატაცებლად, სხვა ხალხთა გასაცარცვავად, ერთი მუცა შემამულეების და კაპიტალისტების უკამდიდრებლად და მათი ინტერესების დასაცავად.

ჰამერი კვლავ თავჩაკიდული იჯდა და კორნელიმ გულისტკენით გაიფიქრა: მგლის თავზე სახარებას ამოოდ ვკითხულობო. მაგრამ ჰამერიმა მოულოდნელად ასწია თავი და კორნელის მიამტერდა. კორნელიმ კვლავ განავრძო:

— იმპერიალისტური, ყაჩაღური ომის წინააღმდეგ უნდა მუშების, მშრომელი

ხალხის ომი გაჩაღდეს. უკვე დაწყებულა ეს ომი. იგი უთუოდ გამარჯვებით დასრულდება. მაშინ კაცობრიობა თავისუფლად ამოისუნთქავს და ხალხთა შორის მშვიდობიანობა, ძმობა, ერთობა და თავისუფლება დამყარდება. მაშინ თავისუფალი და ბედნიერი ხალხი მიწის წიაღიდან იმდენ მადანს მოიპოვებს და იმდენ სიმდიდრეს შექმნის, დედამიწაზე იმდენ ჰერმანხულს მოიწეცს, ადამიანისათვის სასარგებლო მცენარეთაგან და ცხოველთაგან იმდენ ნაყოფს და დოვლათს მიიღებს, რომ ამ ქვეყნად ყველას თავსაყარად ეყოფა. ბედნიერი ცხოვრებაც მაშინ იქნება...

ჰამერიმა თავისი ცისფერი და მეოცნებე თვალებით ახლა ფანჯარაში, სადღაც შორს გაიხედა და გულთათლის ხმით წარმოხსთქვა:

— ნეტავი თუ ოდესმე დამყარდება ასეთი ცხოვრება...

3

ჰამერი კორნელის ხშირი სტუმარი გახდა. ახლა იგი პატარა თეთრი ძაღლით — პულელით დაიარებოდა. გერმანულად მასთან ხშირმა საუბარმა კორნელის პრაქტიკა შესძინა და ენა გაუწაფა. მეორე ვაჟთა გიმნაზიის ყოფილ დირექტორს — დრობოგლავს გერმანიიდან გამოწერილი ილუსტრირებული გაზეთის რამდენიმე წლის კომპლექტი დარჩენოდა ბინაზე და დღათმე კორნელის აჩუქა იგი. ჰამერი ფანჯარასთან დაჯდებოდა და ხარბად ათვალთვრებდა გაზეთს. ხანაც კორნელის მაგიდაზე დაწყობილ წიგნებით დაინტერესდებოდა. ერთხელ ჰეგელის „ისტორიის ფილოსოფია“ მოაყვავა ხელში და კორნელის გამოცემით ჰკითხა:

— ჰეგელს და კანტს კითხულობთ?

— დიახ.

— თქვენ ხომ მედიცინის დარგზე ხართ, ფილოზოფია რად გინდათ? ფილოზოფიასაც სწავლობთ?

— ესწავლობ.

— ჩვენში ეგრე არ არის. ჩვენში კაცი თუ ოდნავ შეძლებულია ბავშვებს მუსიკას, ხატვას, სიმღერას და ცეკვა-თამაშს ასწავლის. მერმე კი, ნიჭის მიხედვით, სპეციალურ სასწავლებელში შეჰყავს, უფრო ტექნიკურში... თუ ბავშვს ფილოზოფიისაკენ მიდრეკილება არა აქვს, არა სტახავენ.

4. „მნათობი“, № 6.

— მე ხომ ფილოზოფიის დოქტორობის მიღებას არ ვაპირებ. ცოტა თუ ბევრად განათლებული კაცი, ფილოზოფიურ სისტემებში ოდნავ მაინც უნდა ერკვეოდეს, — დარცხენით ჰრეგორ კორნელიმ, მაგრამ ჰამერი არ ცხრებოდა.

— ო, არა, არა, ფილოზოფია რთული რამ არის! ფილოზოფია რჩეულთათვის არის...

ჰამერის მოსაზრება წარმოადგენდა გამოძახილს განათლების დარგში ბურჟუაზიულ სახელმწიფოთა პოლიტიკისა, რომლის მიხედვით ფილოზოფია თითქო არ შეიძლება გახდეს ფართო მასებისათვის შესწავლის საგნად. კორნელიმ აუხსნა:

— ფილოზოფია ცაში გადმოკიდებულა, აბსტრაქტული რამ არ არის. იგი ზუსტ მეცნიერებათა მონაცემებს ეყრდნობა და მათ დაგვირგვინებას წარმოადგენს. როდესაც თქვენ საბუნებისმეტყველო მეცნიერების რომელიმე დისციპლინას სწავლობთ, ვთქვათ—ანატომიას, ფიზიოლოგიას, ქიმიას, ზოოლოგიას, ბოტანიკას, ან დედამიწის ისტორიას და ასტრონომიას, შეუძლებელია ღმერთის უარყოფამდე არ მიხვიდეთ... ეგ უარყოფა და ამის დასამტკიცებლად წარმოებული მსჯელობა იგივე ფილოზოფიაა... თქვენი ჰეგელის განათლების დღევანდელი მესაქენი ფილოზოფიას რჩეულებს და ღმერთს უთმობენ, ხოლო ხალხს კი ბიბლიის ზღაპრებით ჰკვებავენ.

ჰამერიმა ისევ გოაცემით შეხედა კორნელის და დაბნეულად იწყო ბუტბუტი:

— ფილოზოფია მაინც ძნელი საგანია... ფილოზოფია... ფილოზოფია...

ასეთ საუბრებში გადიოდა დრო. შემჩნეულად მოვიდა ახალი წელი.

4

ჰამერს ხანაათის ორმაგობა და ისეთივე უცნაურობა შენიშნა კორნელიმ, როგორც მარგარიტა ლეტცს. ერთხელ ჰამერიმა რელიგიურ სიუჟეტზე დახატული დიდი სურათიც უჩვენა კორნელის: მზიანი დღით მარიამ მაგდალენელი ტალაიარის ქვეშ მჯდარ ქრისტეს უმასპინძლდება. ტყვეს და გაპირვებაში მყოფ ჯარისკაცს უამრავი დრო ეპოვნა და ბეჯეთობა გამოეჩინა ფერების შეზავებაში და შექ-ჩრდილების ზუსტ გადმოცემაში. მეორე სურათი „ნიბიგ-

ლუნგებიდან“ იყო. იგი თავის ციხე-სიმაგრის კარებთან მდგარ და მებრძოლ გმირს — ჰაგენს გამოხატავდა. ისე როგორც მარგარიტა ლეტცში, აგრეთვე კარლ ჰამერმიც ორი ადამიანი იგრძნობდა. ერთის მხრივ შრომისმოყვარული, ბეჯითი, კულტურული, წესიერი, ხანი და სანტიმენტალური, და მეორეს მხრივ კი — ნაციონალური შედიდურებით შეპყრობილი, მკაცრი, უწყესო ბარბაროსი, ავზორცი და მზგრეველი. კორნელი დიდხანს ფიქრობდა ამ გარემოების შესახებ და ხასიათის ამ ორმავლობას თანდაყოლილ, უარყოფით, რასიულ თვისებად სთვლიდა. გერმანელ ხალხის შესახებ ის მკვლარი შეხედულება კარგა ხანს ჰქონდა გამტკიცებული კორნელის, სანამ ერთ მშვენიერ დღეს იგი ვახო მახათაძემ არ დაურღვია, თვალი არ აუხილა და ერების ხასიათის ამა თუ იმ თვისების შესახებ მარქსისტულ ახსნას და გაგებას არ გააცნო.

გერმანელ ხალხის მიმართ კორნელის უარყოფით წარმოდგენას, შესაძლოა, მარგარიტა ლეტცისადმი სიმულვლიცი იწვევდა. საქმე ის არის, რომ მას შემდეგ რაც მარგარიტა კორნელიმ თავის ბინიდან გააგდო, გერმანელი ქალი მიხა მაჭავარიანს დაუკავშირა და მათ, შეერთებული ძალით, საზოგადოებაში კორნელის გაშვება დაიწყეს და მის ბოლშევიკობის შესახებ ათასგვარ კორებს ავრცელებდნენ. მიხა მხატვართა, მწერალთა და ხელოვანთა შორის აძაგებდა კორნელის, რასაც შედეგად იოჰანესის გაგრძობება, რომი პლატონ მოგველაძემ და მისმა მეგობარმა პოეტებმა და მწერლებმა კორნელის ბოიკოტი გამოუცხადეს. მარგარიტამ ვარდოს და ჯიბო მაყაშვილს შეატყობინა, თითქო კორნელი საგანგებო რაზმის თანამშრომელმა იმისათვის დასჯრა, რომ იგი თავის ბოლშევიკ მეგობრებთან — ვიგა ხუციშვილთან, მიტო ჩიკვაძესთან და კუკური ზარანდიასთან ერთად აჯანყების მზადებაში მონაწილეობდაო. მარგარიტას ქორის ის გარემოებაც ადსატურებდა, რომ კორნელის დაქრის შემდეგ მალე ხუციშვილი და ჩიკვაძე დააბათიმრეს, ეს სრულიად საკმარისი იყო იმისათვის. რომ მაყაშვილებს, მათ ნათესავებს, ნაცნობ-მეგობრებს და სხვათაც კორნელი შესთქულებოდათ. ნინო კი ისევ განავრძობდა მერყეობას და კორნელი-სადმი დარჩენილი სიყვარულის გრძნობით ტანჯვას. მაგრამ ერთმა გარემოებამ ნინოს ის მერყეობა, და ტანჯვა საბოლოოდ წაშალა.

სექტემბრის პირველ დღეებში ესტატე მაყაშვილი ნაციონალ-დემოკრატების პარტიიდან დეპუტატად იქნა გაყვანილი და მფუძნებელ კრებაში ამას წინაო, დამფუძნებელ კრებაში ერთ-ერთ შეხვედრის დროს, შინაგან საქმეთა მინისტრმა — რამიშვილმა ესტატეს საჯაროდ მიახალა და ჰკითხა:

— ამბობენ, ბატონო ესტატე, რომ მწერალი გიორგი მახვილაძე, რომლის ნაშრომი სახელი და გვარი კორნელი მხეიძეა, წინათ თურმე თქვენი მდგმური ყოფილა და თქვენს ქალთან რომანიც ჰქონია. მართალია თუ არა ეს?

— საუბედუროდ, მართალი გახლავთ. — მიუგო მერცხვენილმა ესტატემ.

— სამწუხარო ამბავია! თქვენ არ წაგიკითხავთ კომკავშირის არალეგალურ ჟურნალში დაბეჭდილი მისი საზიზღარი მოთხრობა „არკადი ელბაქიძე“? — ისევ ჰკითხა რამიშვილმა.

— არა, — მიუგო გაფითრებულმა ესტატემ.

— უნდა წაიკითხოთ. აღმოთდებით. — შენიშნა რამიშვილმა. — მიკვირს, დიდი ოჯახისშვილი, პროფესორი მხეიძის ძმა და თქვენი მდგმური, რამ გააგიჟა და რა გარემოებამ აიძულა იგი, ბოლშევიკებს მიჰყვებოდა? მას და მის ბოლშევიკ მეგობრებს რენტორანში ფარული კრება მოუწყვიათ, კრებას ჩვენი საგანგებო რაზმის თანამშრომლებმა შეასწრეს... მეხლის დროს, მწერალი გიორგი მახვილაძე ანუ კორნელი მხეიძე ერთ ჩვენ აგენტს დაუჭრია... სჯობდა კი, იქვე ჩაეტაღლებინა, — ბრაზით დასძინა რამიშვილმა.

რამიშვილის ეს განცხადება სავსებით საკმარისი იყო იმისათვის, რომ ესტატეს, ვარდოს და ელოს შხამიან გველივით შესთქულებოდათ კორნელი და ნინოს ფულში კი კორნელისადმი დარჩენილი სიყვარული სამუდამოდ აღმოფხვრილიყო.

რამიშვილთან საუბარი ესტატემ დათამიქელაძესაც შეატყობინა. ეს გარემოება მერმე კორნელისა და დათას შორის, კონფლიქტის საბაბად იქცა, რამაც კორნელის სხვა ბინაზე გადასვლა აფიქრებინა. მაგრამ სხვა ბინაზე გადასვლა კორნელის ნება-სურვილის გარეშე მოხდა.

გამცემლობა



„ერთდანიამ უარი განაცხადა საბჭოთა რუსეთთან კავშირზე, უარი განაცხადა ღენიერთან ზრპოლზე და ანტანტის მხარეზე აშკარად გადავიდა. ამის ჯილდოდ იმპერიალისტური ევროპის წარმომადგენელმა უორდროპმა საქართველოს „დამოუკიდებლობა“ მიართვა.“
 ზოლშვეიკური პარტიის პრეკლამაციიდან, 1917 — 1921 წ.

1.

განო მახათაძის, ნიკო გოცირიძის, გიგა ხუციშვილისა და მიტო ჩიკვაძის დამატირებებს კორნელი მტკვიენულად განიცდიდა.

ამ შეგობრების დაპატიმრების შემდეგ იგი გარე სამყაროსაგან მოწყვეტილი აღმოჩნდა.

დეკემბრის ბოლო იყო. სასადილო ოთახის ფანჯარასთან მჯდარი კორნელი ნაღვლიანად გასცქეროდა ყინულით დაფარულ მტკვრის ნაპირებს. ტალღები ყინულის ნამსხვრევებს მიაკურებდნენ და კორნელის თავშიც ყინულის იმ ნამსხვრევებით მისცურავდნენ მოგონებათა ნაწყვეტები: ომზე, ნინოზე, შეგობრებზე. იგი რაღაც დიდ სიცარიელეს და სიცივეს გრძნობდა. დათასთან წალაპარაკების შემდეგ, დეიდასაც თვალს არიდებდა და დედასთან საუბარსაც კი გაუბობდა. არაფერი ხეივანი არ მოსდიოდა თავში და ვერაფერს ხეირიანს ვერ სწერდა და ახლა ეკვიც არ ეპარებოდა იმაში, რომ უნიჭო იყო. მან მედიცინის დარგში მუშაობას თავი გაანება და გიმნაზიიდან დათას მოსვლამდე ფანჯარასთან წიგნებში თავჩარგული იჯდა. დათას მოსვლის შემდეგ კი თავის ოთახში გადაბარგდებოდა. ახლა დეიდას ოჯახშიც ზედმეტ კაცად გრძნობდა თავს და სხვაგან გადასვლას და ბინის გამოცვლას აპირებდა. იგი მიუყარებელი, მარტოობის მოყვარული, კუშტი და გულჩათხრობილი შეიქნა. დამით უძილობაც დასჩემდა, რასაც მათიანის ავადმყოფი ბავშვის დაუსრულებელი ტირილიც ხელს უწყობდა. კორნელი გახდა და დასუსტდა. მალევე უტყდებოდა გულის წუხილი და დედა გულის გასამაგრებელ წამლებს ასმევდა. სასადილო ოთახში მწოლიარე ტერეზა დამეში ათჯერ მაინც ადგებოდა, ღერეთანს გაივლიდა, კორნელის

ოთახის კარს ჩუმიდ შეიღებდა და შეიღეს დახედავდა. ოთახში მუდამ სინათლე ენთო და კორნელი ზამთრის გრძელ დამეებში განთიადამდე წიგნს კითხულობდა. დედა დაუსრულებელ „ნოტაციების“ წაკითხვას თავს მოარიდებდა და გულშემოყრილი უკანვე გაბრუნდებოდა. გლოვით წელმოწყვეტილი ქალი ისევ დაწვებოდა და ახლა ისიც ძილფხიზობდა. ფართო, შეშინებულ თვალებით მიაშტერდებოდა ქერს და ჩონჩხადქცეული, ავადმყოფი შვილის ჯანმრთელობაზე იწყებდა ფირქსა და წუხილს. ახლა კორნელი უსისტიმოდ კითხულობდა წიგნებსა და ჟურნალებს. ხან პეგელის „ისტორიის ფილოსოფიას“ ან პლენანოვის „მონისტურ თვალსაზრისის ისტორიაზე“ ეტანებოდა, ხან კარუს შტერნეს „მსოფლო, მისი წარსული, აწმყო და მომავალი“ ან გეკელის „მსოფლიო ამოცანები“ გაიტაცებდა ან კიდევ ტოლსტოის და ბალზაკის რომანები და მოთხრობები, ვოლტერი, რუსოს „აღსარება“ და ბერძენ დრამატურგების — ესქილეს, სოფოკლეს და ევრიპიდეს ტრაგედიები. ყველაფერს კითხულობდა ახლა იგი რაც კი ხელში მოპყვებოდა. წიგნების კითხვით ცდილობდა გაქცეოდა გულისმღრღნელ მარტოობას და მოწყენას. აუკანყების ჩავარდნისა, მეგობრების დაპატიმრებისა, საყვარელ ქალთან გაყრისა და დათა და ელენესთან ჩხუბის შემდეგ უკვე აღარაფერი აღარ ახარებდა მას. შუალამის შემდეგ ქალაქში ჩამოვარდნილი დიდი სიჩუმე აშინებდა და ასე ეჩვენებოდა, თითქო სიხარულით სავსე წინანდელი მისი პირადი ცხოვრების დახვრევასთან ერთად, მთელი ქვეყანა დაიწვია, დაცარიელდა და წყვილიდმა მოიცვაო.

ლამის სიჩუმეში იგი ხშირად საქართველოს ბედ-იღბალზე ფიქრობდა, ბაგრატიის ტაძრისა და სხვა ციხე-სიმაგ-

რეთა ნანგრევები აგონდებოდა და თანის ქვეყნის დიადი წარსულის წაშლა, საეკლავო აწმყო და უიმედო მომავალი აშინებდა, მომავლის იმედი უცრუედებოდა და მაშინ სამშობლო, ისე როგორც ისტორიის ასპარეზიდან გადასული კართავენი, ეგვიპტე, ათინა და რომი, — მკედარ სასაფლაოდ ეჩვენებოდა. ხანდახან, ნაშუადამევს, დაკარგული იმედის ნიშანივით თუ შემოესმოდა შორეული მატარებლის უძლეური და უღონო, გულისდამღონებელი კვილა.

ასეთ სასოწარკვეთილებას, დიდ სიცარიელეს და სევდას გრძნობდა კორნელი ეკონომიურად გაჩანაგებულ და მენშევიკების მიერ დაღუპვის კარამდე მიყვანილ საქართველოში და იმ დიდ სევდიასგან და სიცარიელისაგან გამოსავალს სასწაულივით ელოდა.

2.

1920 წლის 3 იანვარს ღამით საბჭოთა რუსეთში, სამოქალაქო ომის ფრონტზე დიდი გარდატეხა მოხდა, რამაც რევოლუცია დაღუპვისაგან იხსნა და სულ სხვაგვარად წარმართა კაცობრიობის მომავალი ისტორია. ლენინის ყველაზე მახლობელ თანამოსაგრის, უდიდესი პროლეტარული სტრატეგის, დიდი სტალინის მიერ სამხრეთის ფრონტზე ჩატარებული ვიგანტურის მუშაობის შედეგად, მის მიერ დამუშავებული გეგმის თანახმად და მისივე უშუალო ხელმძღვანელობით წითელმა ლაშქარმა ბრძოლებით დაიჭირა ცარიცინი, ხოლო 9 იანვარს ღამით პირველმა არმიამ, რომელსაც ბუდიონი და ვოროშილოვი მეთაურობდნენ, სხვა ნაწილებთან ერთად, ხელთ იგდო დონის-როსტოვი.

დონის-როსტოვთან განადგურების შემდეგ დენიკინის არმია ორად გაიშვა: ერთმა მათგანმა უკრაინისაკენ დაიხია, ხოლო მეორე ჩრდილო კავკასიისაკენ გაემურა.

ცარიცინთან და დონის-როსტოვთან წითელი ლაშქრის გამარჯვების ამბავი კორნელის კარო იარაღოვმა შეატყობინა. იგი თავისი ვარმონით ღამით ესტუმრა მას და თან ვანო მახათაძის ბარათი მიუტანა. ვანო კორნელის სწერდა:

„კორნელი ჩემო, წარმოადგინე ჩემი სინარული და აღტაცება, როდესაც ჩვენი რევოლუციური ჯარის მიერ დენიკინის ლაშქრის განადგურება და ცა-

რიცინის და როსტოვის აღება გავიგეცი, ვინ მოუპოვე წითელ ჯარს ეს უდიდესი გამარჯვება? ვინ გადაარჩინა სამჭოთა ქვეყანა დაღუპვისგან? დიდი ლენინის უახლოვსმა თანამოსაგრემ სტალინმა — ჯულაშვილმა, ჩვენმა თანამემამულემ. როგორც ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვების გეგმა, აგრეთვე დენიკინის დამარცხების გეგმაც სტალინის მიერ იყო შედგენილი და ცხოვრებაში გატარებული. რა განსაცვიფრებელი, ბრძოლა-ჭიდილით დაღუპილით სავსე ცხოვრება ხვდა წილად ამ ბრძენსა და მგზნებარე რევოლუციონარს! რა გენიალური ადამიანი და მხედართმთავარია! დღეს ლენინი და სტალინი ჩვენი დროშაა, რა ბედნიერებაა, ცხოვრობდე იმ დროს, როდესაც ლენინი და სტალინი ცხოვრობენ და მოღვაწეობენ! მათ შეაგნებინეს და ასწავლეს მუშათა კლასს, რომ დიდი მომავლის მოპოვებისათვის საჭიროა შეიარაღება და ბრძოლა. რევოლუცია მუშათა კლასის უდიდესი ბრძოლის სახით არის ახლა გადაშლილი და, უპირველეს ყოვლისა, ამ ბრძოლის მონაწილე უნდა ვიყოთ და მისი გამარჯვება უნდა გვასულდგმულებდეს. კორნელი ჩემო, წაიკითხე თუ არა ჩემს მიერ მოტანილი ლენინის გენიალური ნაშრომი: „Империализм“? არაფერი არ ვიცი შენ შესახებ. შენი ქრილობა რა დღეშია? რასა იქ? ფარხმალი არ დაჰყარო და სულიერად არ დაეცე. გახსოვდეს, რომ გამარჯვება, საბოლოოდ, ჩვენ დაგვრჩება. გახსოვდეს, რომ ჩვენს წმინდა საქმეს და დიად მომავლისათვის ბრძოლას შეუბღალავი რწმენა და შენს მიერ ათვალისწინებული ფანატიზმი სჭირდება“.

ვანოს ბარათის წაკითხვის შემდეგ კორნელის გულს იმედი ჩაესახა და ფრთები გაძოვსხა. მერმე, კაროს რჩევით, კორნელიმ ბარათს ცეცხლი წაუქიდა და ლუმელში შეაგდო. ალი ერთმაშად მოედო ქალაქს, შთანთქა, დაქმუქნა და ზედ ნაწირი წაშალა. შვი ფერფლად ქცეულ ქალაქს მხოლოდ ბოლოში დამჩნეოდა მკრთალი და მოთუთრო ასოები. კორნელიმ გარკვევით ამოვიკითხა ორი სიტყვა: „რწმენა“ და „ფანატიზმი“. ბოლოს ესეც წაიშალა, ფერფლი სულმთლად დაიფუშა და ქალაქი ნაცრად იქცა. კორნელის გული დაწყდა, რწმენით სავსე და ფანატიზმის

შქადაგებელი მეგობრის ბარათი რომ ცეცხლს მისცა და შეაკმევიანა. მაგრამ იმ ბარათის შინაარსი სამუდამოდ აღიბეჭდა მის გულში.

კარგი მეტრებისა და შიგ მოთავსებულ პატიმრების შესახებ უამბო:

— იცო, ვანოსთან ვინა ზის?

— ვინ?

— კამო. იგი ამას წინათ მიუყვანიათ მეტრებში და სალარაძისა, დალაქიშვილის და ციბაძის კამერაში ჩაუსვამთ. როდესაც კამოს გაუგია, რომ ვანო, ნიკო, მიტო და სხვა ახალგაზრდები მეზობელ კამერაში სხედანო, უმალვე ვანოსთან — ახალგაზრდებთან გადასვლა მოუთხოვნია. სალარაძესთან, დალაქიშვილთან და ციბაძესთან ჯდომა არა მსურს. ესენი ბოლშევიკები და რევოლუციონერები კი არ არიან, არამედ მცონარე ინტელიგენტები, მეშხანები და ბიუროკრატებიო. იგი ვანოს კამერაში გადაუყვანიათ, ახალგაზრდები დახვეწიანათ და კამოს მათთვის უთქვამს: ციბაძესთან ერთ კერქვეშ ლამის ვერ გავათევო. ერთხელ ციბაძემ არალეგალურ მუშაობისათვის გამოყოფილი ფული არ ვადმოგვცა. ციბაძემ ვლადიკავკაში ბუაჩიძის, ვანოს და ჩემს მიერ დაპატიმრებულ თეთრი გენერლები გაათავისუფლა და ის გენერლები ახლა ჩვენ გვიბრძვიანო... მალე სალარაძე, დალაქიშვილის, ციბაძის და კამოს გათავისუფლების შესახებ ციხის უფროსს მენშევიკური მთავრობის განკარგულება მიუღია. სალარაძე, დალაქიშვილი და ციბაძე საპატიმროდან გასულან, ხოლო კამოს უარი განუცხადებია და ჩვენი ბიჭებისათვის უთქვამს: მტარვალების სურვილით და მოწყალებით ჯერ ჩემს დღემდე ციხიდან არ გავსულვარ. მუდამ ხერხს მიემართავდი და ციხიდან ისე ვიპარებოდი და გავებოდიო. ახლაც ხერხისათვის მიუშარბინია. განჯინა საკანის იმ კედელთან მიუდგამს, რომელიც მტკვრის მალაქ კლდეზე არის ამართული. აგერ რამდენიმე დღეა თურმე, კამო ლამით კარებთან დაარაჯს დააყენებს, განჯინას გამოსწევს და კოვზის ტარით, ლურსმნითა და ჯიბის დანით კედელს ხეხავს, ქვეთიერს არღვევს, აგურებს იღებს და მტკვრისაკენ ზვრელს აკეთებს. მერმე განთიადისას აგურებს ისევ თავის ადგილას შეაწყობს და კედელს განჯინას მიადგამს.

გაჯი და კირი კი მოხერხებულად გააქვთ პატიმრებს.

მართლაც, იატაკქვეშ ცნობილი პროფესიულმა მომუშავემ — მოუსვენარმა კამომ მალე კედელში მტკვრისაკენ ხვერილი გაიყვანა და ის, ვანო, ნიკო, მიტო, გიგა და სხვანი ერთ ლამით ციხიდან გაიპარნენ.

იატაკქვეშ მუშაობის გარეშე ცხოვრება კამოს ვერ წარმოედგინა. იატაკქვეშ მუშაობა, სიძნელეთა გადალახვა, საშინაოობასთან და სიკვდილთან თამაში მისთვის ერთგვარ ახარტად და ბოლოს პროფესიადაც იქცა. მშვიდობიანი ცხოვრება მას უკვე აღარ შეეძლო და იგი თვითვე ეძებდა ხიფათს და ფათერაკს. მას საქართველოში, რუსეთში და საზღვარგარეთაც ისეთი საშიში შემთხვევები, ფათერაკი და თავგადასავალი ჰქონდა იატაკქვეშ მუშაობის დროს გამოვლილი, რომ მეტეხის ციხიდან გაპარვა მისთვის უმნიშვნელო ამბავს წარმოადგენდა.

კამოს თავგადასავალი შესახებ საუბარი კაროს არ მოსწყინდებოდა. მას ძლიერ უყვარდა კამო.

3.

იანერის დასაწყისში საბჭოთა რუსეთმა მენშევიკურ საქართველოს ნოტა გამოუგზავნა, რომელშიაც იგი მას უროთიერთ შორის კავშირის დადებისაკენ მოუწოდებდა, რათა ღენიკინს საერთო ძალით შეებრძოლებოდნენ. საბჭოთა მთავრობა წინადადებას აძლიევდა მენშევიკურ საქართველოს თავი გაენებინებინა ორტოფულ პოლიტიკისათვის და აქტიურად გამოსულიყო ყველა მშრომელისა და ყოფილი მეფის რუსეთის ტერიტორიაზე მოზინადრე ყველა გენერალს ერის დაუძინებელი მტრის — პეიერალ ღენიკინის წინააღმდეგ, რომელსაც კავკასიის დიდებისა და მემამულეების დაბრუნება და მთლიანი და განუყოფელი რუსეთის აღდგენა სწყუროდა. საბჭოთა მთავრობისადმი გაგზავნილ საპასუხო ნოტაში მენშევიკებმა უარი განაცხადეს ღენიკინის წინააღმდეგ საერთო ძალით ბრძოლაზე. მენშევიკები თავის ნოტაში სწერდნენ: რუსეთის სამოქალაქო ომში საქართველო შეიარაღებულ მონაწილეობას ვერ მიიღებს. რადგან იგი, „მკაცრ ნეიტრალიტეტს“ იცავსო.

ვანოს წერილის შემდეგ კორნელის უკეთესობა დაეტყო და, ჰამერთან ერთად, ქალაქში გასვლა გადასწყვიტა. მზიანი დილა იყო. კორნელიმ პალტო ჩაიცვა, ყავარჯენები მოიმარჯვა და კიბუნე ფრთხილად ჩაიფხა. იგი ძალზე დასუსტებული იყო. ეზოში და ქუჩაში გასულს, სუფთა ჰაერმა მთვრალსავეით თავბრუ დაახვია. კორნელი დაქრულ ფეხს, რომელზედაც ქეჩის წაღები ეცვა, მიწას ვერ აკარებდა. ვერის აღმართზე ასვლა გაუჭირდა. იგი ხშირად ჩერდებოდა და ისვენებდა. ასეთი ტანჯვით გალია აღმართი. რუსთაველის პროსპექტზე კი სიარული უფრო გაუადვილდა.

მზე ქეჩის მარცხენა მხარეს მისდგომოდა და შიმშილისა და სიცივისაგან დასუსტებული და დაგლეჯილ ტანისამოსში გამოწყობილი ხალხიც მას ეტანებოდა, როგორც შემოდგომის ბუჩუნი მზისგან განათებულ ფანჯარას.

კორნელი და ჰამერიც პროსპექტის მარცხენა მხარეს გაჰყვნენ. წინ პატარა, თეთრი ძაღლი — პუღელი მიუძღოდათ. კორნელის სტუდენტური პალტო ეცვა და ლურჯი ქუდი ეხურა. უძლურსა და ტყვეობით დაჩაჩანაყებულ კარლ ჰამერს კი — უემოლერო გერმანული მაზარა და კეპი. ჰამერი კორნელიზე დაბალი, მოკლეკისრიანი და მხრებანაწეული კაცი იყო. მათ ოპერასა და დრამატულ თეატრს ჩაუარეს, ალექსანდრეს ბაღში შევიდნენ და მზიან ადგილას, გრძელ სკამზე დასდნენ. კორნელიმ სიარულს მოუწყვეცი და ძალზე გასივიებული დაქრული ფეხი მაშინვე სკამზე შემოსწოდა. იგი დიდი მანძილის გავლას დაეღალა, გაფითრებულიყო და ჩქარა და ღრმად სუნთქავდა. კორნელი პოსპიტალიდან ახლადგამოსულ ავადმყოფს ჰგავდა. იგი ბაღში დასასვენებლად შემოსულ, მზეზე მთელემაჩე მოხუცებს — ყოფილ სოფადგარებს, მეფის მოსამსახურეებს, დედაბრებს და ხეივანში მოსიერნი ხალხს გასცქეროდა.

უცრად კორნელიმ ხეივანში მიმავალი მხატვარი — მიხა მჭევიარინი დაინახა, თვალი მოარიდა, ჩამეფის ტამარს გაჰხედა და მაშინვე მოაგონდა, დღეს რომ 14 იანვარი, — ნინოობა იყო. შეკრთა, სკამის ზურგს მიწვეს, თვალები დახუჭა და ფიქრებმა წიაღის. ჰამერს მდღეობა მეზობელთან ჯდომამოსწყინდა. ადგა, ხის ძირას მჯდარ ახმას და შეეტუნა ფოტოგრაფთან მივიდა.

დაფაზე გამოფენილი სურათები დაათვალიერა. მერმე კორნელის სურათის გადაღება შესთავაზა და თხოვა. კორნელიმ ხათრი ველარ გაუტეხა, წამოდგა, ყავარჯენებით მის გვერდით გაიერდა და ახმასმა სამეხმა სამფენზე შემდგარი ფოტო-აპარატი დააყენა, თავზე შავი შალი გადაიფარა და კორნელის და ჰამერს სურათი გადაუღო. როდესაც ნაცოდვილარი სურათები გაშრა, ჰამერმა ფანქარი ამოიღო და ერთზე კორნელის სამახსოვრო წარწერა გააკეთებინა, მეორეზე კი თვითონ გააკეთა წარწერა და კორნელის ვადასცა. ჰამერის წარწერასეთი იყო:

„ჩემს ქართველ მეგობარს — კორნელი მხეიძეს, მიმიგ დღეთა მოსაგონარად. იმ იდეით, რომ ჩვენ კვლავ შეგვხვდებით ერთმანეთს სხვა გარემოში და ცხოვრების უკეთეს პირობებში“.

ალაშმა უწყის, რას ეძახდა ჰამერი ცხოვრების უკეთეს პირობებს! ყოველ შემთხვევაში, კორნელის ავტობიოს ზეგავლენით, ის უკვე მეფე ვილჰელმის, მილიტარიზმის და იმპერიალისტური ომის წინააღმდეგი იყო.

პუღელი სკამის წინ დაცუტკულიყო და ჰამერს თვალებში შესცქეროდა, თითქოს ძალიან აინტერესებდა ის, რასაც მისი პატრონი სწერდა. კორნელიმ ჰამერს მადლობა გადაუხადა და სურათი პალტოს გულჯიბეში ჩაიღო.

კორნელი და ჰამერი ბაღიდან გამოვიდნენ. ქიშკართან კუჭური ზარანდილა და ლევან ქორიძე შეეყარნენ. კორნელიმ მათ ჰამერი გააცნო. ამ დროს პროსპექტზე საგარეო საქმეთა მინისტრმა ევგენი გეგეჭკორმა მანქანით ჩაიქროლა. მინისტრი და ლევან ქორიძე იდიდს ამბით მიესალმნენ ერთმანეთს. ქორიძე უკვე ცნობილი მენშევიკი იყო და მენშევიკურ ხელისუფალთა სფეროში ტრიალებდა.

— მალე წავიდეთ, თორემ საცაა დამფუძნებელი კრების სხდომა დაიწყება. — უთხრა ქორიძემ კუჭურს. კუჭურმა გეგეჭკორის თვალი გააყოლა და მერმე ქორიძეს მიუბრუნდა:

— კორნელიც წავიყვანოთ.

— კორნელის ჩეცი დამფუძნებელი კრება მაინცდამაინც არაფრად არ ეპიტნება, მაგას ბოლშევიკებს კომისართა საბჭო ენატრება და საბჭოთა რუსეთი უყვარს, — მიუგო ქორიძემ და კორნელის დამცინავი ლიმილით გა-

დახედა. მას კორნელის „გოჯასპირი“ და კომკავშირის არალეგალურ ჟურნალში ამას წინათ დაბეჭდილი „არაკადი ელბაქიძე“ ჰქონდა მხედველობაში და ის აბრაზებდა. კორნელი ლევან ქორიძეს დიდი ხანია რაც იცნობდა. ქორიძე სასულიერო სემინარიაში სწავლობდა და მოწაფეობის დროს იმ ლიტერატურულ წრეში შედიოდა, რომელში კორნელი და მისი მეგობრებიც მუშაობდნენ.

— იმპერიალისტური ინგლისი რად უნდა მიყვარდეს უფრო მეტად, ვიდრე სამქოთა რუსეთი? — ჰკითხა კორნელიმ ლევანს.

— შავ კითხვაზე პასუხს დამფუძნებელ კრებაში დღეს სწორედ ყორღანია იძლევა. თუ გაინტერესებს, წამოიღო და მოუსმინე. უკეთეს პასუხს საქართველოში ვერც ჩემგან და, ვფიქრობ, ვერც სხვა ვინმესგან მოისმენ, — მიუგო გვარდიელების მახარაში, რუსულ ჭულში და ჩექმებში გამოწყობილი, მძალა და გამხდარმა ქერა კაცმა ლევან ქორიძემ. მას ექაჩებოდა და კამათისათვის არ ეცალა. იგი გვარდიის მთავარი შტაბის წევრი იყო. გვარდიელთა შორის პოლიტ-საგანმანათლებლო მუშაობას ხელმძღვანელობდა და მენშევიკური იდეოლოგიის ნიადაგზე მდგარ პოეტებს და მწერლებს მეგობრობდა და ჯარში ამუშავებდა.

— დამფუძნებელ კრებაში უსამგებოდ მე ვინ შემიშვებს? — ჰკითხა კორნელიმ.

— საშვებს მე ვიშოვნე, — მიუგო ქორიძემ და კორნელის დააცქერდა.

— წამოდი, კორნელი, — შეიხეიწა კუკური ზარანდია.

— უცხო კაცი მახლავს, როგორ მივატოვო? სირცხვილია. — დაიბნა კორნელი.

— რას აპკიდებიხარ ამ ბედშავ გერმანელ ჯარისკაცს? გაუშვი. დღეს საჩვეუნო საკითხი წყდება და მოისმინე, — უთხრა კუკურმა კორნელის და ჰამერს მორიდებით და ბოდიშით მიუბრუნდა:

— კორნელი პარლამენტში უნდა წავიყვანოთ. გვაპატიეთ...

— Güttigst (ყეთლი). შინ იმ ჯატილით. — მიუგო ჰამერმა.

კორნელიმ უხერხულობა იგრძნო და ბოდიში მოუხანა. ჰამერმა გაიღიმა, მკლავში ხელი წააგლო და უთხრა:

— Lassen Sie es gut sein (ნუ სწუხდებით), Aufwiedersehen (ნახვამდის).

4.

ლევანმა კუკური და კორნელი წაიყვანა. იმ დამფუძნებელი კრების საკომენდანტოში შევიდა და ორი „სამშვები“ გამოიტანა. მეგობრები სასახლის ჩრდილოეთის კარებში შევიდნენ და ფართო კიბით დარბაზს ქანდარაზე ავიდნენ.

მეფის ხაცვლის ყოფილი სასახლის თეთრი დარბაზი დამფუძნებელი კრების სხდომების დარბაზად გადაიკეთებინათ. ქანდარიდან კორნელიმ დამფუძნებელი კრების წევრებით საცხე პარტიერს გადახედა. პარტიერის წინ, ამალეზულ ადგილას, ტრიბუნა იდგა. ტრიბუნის ახლოს, მაგიდასთან დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის — კარლო ჩხეიძის მოადგილე და პრეზიდენტის წევრები ისხდნენ. მაგიდის უკან საჯაროებში — ქალარა კაცი, მენშევიკური მთავრობის თავმჯდომარე — პრეზიდენტი ნოე ყორღანია, შინაგან საქმეთა მინისტრი — ნოე რამიშვილი, საგარეო საქმეთა მინისტრი — ევგენი გეგუკორი, კარლო ჩხეიძე, ირაკლი წერეთელი და სხვანი. დარბაზის მარჯვნივ, იარუსების ლოკებში — ანათორით, კოთხოსმაგარი მალაი კუნკულაქული და ოქროს ჯაჭვზე დაკიდებული.

შვირფასი ჯერით შემკული ეგზარქოსი — ლეონიდე და ეპისკოპოსები. მერმე — საზეიმო ტანისამოსში გამოწყობილი ინგლისის, საფრანგეთის და იტალიის დიპლომატიური კორპუსის ელჩები და ბრწყინვალე უნიდარებში გამოპრანული, ორდენებითა და სამხედრო ნიშნებით მორთული გენერლები გამოჩემულიყვნენ. პირველ ლოკაში შავ კოსტუქში გამოწყობილი, წვირულვამგაპარსული, ქერა და ცისფერფელებიანი, გამხარაი კაცი — ინგლისის ელჩი ოლივერ უორდრომი და მისი მხლებელი ისხდნენ. მეორეში — საფრანგეთისა. მესამეში — იტალიისა და ასე შემდეგ. პარტიერი იმ ლოკების სრულ კონტრასტს წარმოადგენდა. იგი საცხე იყო დამფუძნებელი კრების უხეიროდ ჩაცმული წევრებით.

დამფუძნებელი კრების წევრთა საერთო რიცხვი 135 კაცს უღრიადა, აქე-

დან სოციალ-დემოკრატებს 110 კაცი ჰყავდათ, სოციალ-ფედერალისტებს — 9, ნაციონალ-დემოკრატებს — 8, სოციალ-რევოლუციონერებს — 5, დამნაშავეებს — 2 და მუსავატებს — 1. ასეთი პროცენტული თანაფარდობა და შეუსაბამობა მენშევიკების ნამდვილ დიქტატურას მოწმობდა პარლამენტში, სადაც სხვა პარტიის აზრს არავითარი გასაქანი არა ჰქონდა. მარჯვენა და მარცხენა ფრთა ხაც-დემოკრატების და სოც. ფედერალისტების დეპუტატებს ეჭირათ და ამით სხვებზე უკეთ იცავათ.

ნაც. დემოკრატების — კედის, გვაზავის და ვეშაპელის გვერდით კორნელიმ ესტატე მყავშილი დაინახა. იგი თვალმოუშორებელივ მოსჩერებოდა მთავრობის წევრთა შორის მკდარ ჭილადა კაცს ნოე ჟორდანიას, რომლის ანაჩული ჩაცმულობა არ მოსწონდა და უკვირდა: პრეზიდენტი მარჯვენა მხარს ხანგამოშვებით რად აწვალვებს და ათამაშებს, კონტუზია ხომ არ მოსვლილია? ჟორდანიას ღელავდა და დროდადრო უცხო ქვეყნების ელჩების ლოყებისაკენ დარცხვენით იხედებოდა და ფიქრობდა: საპარტიციპლო სტუმრები ჩვენ პარლამენტს ხომ არ დასცილიანო.

როდესაც კორნელი ქანდარაზე ავიდა, შინაგან საქმეთა მინისტრის რამიშვილის მოხსენებების ვარშემო კამათი უკვე დამთავრებული იყო. ახლა ტრიბუნაზე გამხდარი, შვეგრემანი, ფერმკრთალი, მალალი და წოწოლა ქალი იღდა და ტრაგიკული სახით, ცრუსწავლული კაცის გაპრანჭული, ყალბი და აკანკალებული ხმით დადგენილებას კითხულობდა. იგი ძალზე ღელავდა და სიტყვათა გამოთქმის დროს უცხოურ ენისათვის ჩვეულ და ქართულ ენისათვის უჩვეულ მახვილებსა და ინტონაციას მიმართავდა:

— დამფუძნებელმა კრებამ მოისმინა რა შინაგან საქმეთა მინისტრის, ბატონი ნოე რამიშვილის მოხსენება, და აღვინა: პირველი... მეორე... მესამე...

ქალი დამფუძნებელი კრების დადგენილების მუხლობრივ კითხვას განაგრძობდა და მისი აკანკალებული, წვრილი, გამყვინი ხმა და უცხო ინტონაცია დარბაზში სასაცილოდ გაისმოდა. იქნებ ევროპაში ნაცხოვრები, გადაგვარებული, გამხდარი, ფერმკრთალი, უსქესო და მკერდჩხვარდნილი,

მენშევიკი, თავადი ქალის სურვილი იყო, ევროპელი ელჩების თვალში საქართველოს დამფუძნებელი კრება და ქართული ენა ევროპულ ქვეყნების პარლამენტისათვის და ევროპული ენისათვის მიემსგავსებინა ვინ იცის!

კორნელიმ დამცინავად გაიღიმა, ქანდარიდან პარტიის ვადახედა და გაცდა. ქალს თითქმის არავინ ყურს არ უგდებდა. ნოქრების, მეწვრილმანეების და ბიჭ-ბუჭების მსგავსი, წვერულვამგაუპარსავი, შავი სატინის ხალათებში და დაქმუქნულ პიჯაკში გამოწყობილი „დეპუტატები“ ერთმანეთისაკენ მიბრუნებულნი იყვნენ და ხელების ქნევითა და ნაპირგადასულ ექსტ-მიმიკით ხმამალა და ჩქარა საუბრობდნენ. ზოგნი ერთმანეთისაკენ იხრებოდნენ და ერთმანეთს ყურში რაღაცას უჩურჩულებდნენ და ბრიყვულად იციზოდნენ. ზოგნიც ფეხებგამშვარით სავარძელში უზრდელად ვამშლართულიყვნენ. უცხოელ სტუმრებს გაცემბით, ხახადაღებული მისჩერებოდნენ, ან კიდევ მეფის ნაცვლის ყოფილ თეთრ დარბაზის ქერში დაკიდებულ ბროლის ვიება კანკელს განცვიფრებით მიშტერებოდნენ. პარტირში. ისეთი დეპუტატებიც იყვნენ, რომლებიც თითქმის ცხვირში იჩრდიდნენ და ცხვირს იჩიქნიდნენ. მათ შორის კორნელიმ ვაჭრობის მინისტრის მოადგილე, მუღმივი სტუდენტი, ცნობილი დემაგოგი, თავქარიანი, ქარაოცი, მექრთამე და ხელცივი, გამხდარი, პატარა კაცი — კაკო ჭიჭიანი იცნო. მას ვიება შავი თვალები, შავი ულვაშები ჰქონდა და „კაკო-ყუყუ“ — ხოჭოს ეძახდნენ. იგი კარისმერეთელი იყო. კორნელის 1915 წელი, თავისი მოწვევების ხანა მოავტონდა, როდესაც შაფხულის არდადეგებზე კარისმერეთის ბაღში კაკო ჭიჭიანიც ორატორულ ხელოვნების დაუფლებისათვის ვარჯიშობდა. „კაკო-ყუყუ“ ლამით ცარიელ ბაღის პატარა ხსტრადაზე ავიდოდა და არასებულად ხალხს ყალბი პათოსით სავსე სიტყვით მიმმართავდა, ყვიროდა და იქაჭებოდა:

„ამხანაგებო, დღეს როდესაც მუშათა კლასი და ბურჟუაზია ხელიხელხაყოფილი მოქმობენ. მაშინ, როდესაც...“ — როდესაც შედიოდა ორატორი და, სწორედ მაშინ, კარისმერეთის ყოჩი, მოჩხუბარი და თავზეხელაღებული იასონ ჯახჯლავა ესტრადაზე შეუძმ-

ნეგლად ავიდოდა, კაცოს მიებარებოდა, მასთან ზურგმეტყვიით დადგებოდა და ისე ძლიერად დაეჯახებოდა, რომ „ორატორს“ სიტყვა ჩაუწყვდებოდა და ესტრადიდან — ტრიბუნიდან თავდაყირა გადმოვარდებოდა. იასონის მიკვლობები, ლოთი სტუდენტი — ვანიკო ლოლობერიძე, სპეკულანტი — ანტუშა ნიორაძე და სხვები კი „კავო-ჟუკს“ სიცოცხლს დააყრიდნენ, ხელს ჰკრავდნენ, ერთმანეთს ეისროდნენ, გააბურთავებდნენ და გააბამულავებდნენ. მოუხედავად ამისა, კარისმერეთში გააბამულავებული ის ქარაოცი და თავჭარიანი კაცი, ხალხში სასაცილოდ აგდებული, უნიკო „ორატორი“ და უვიცი „პროპაგანდისტი“ ახლა ვაჭრობის მინისტრის მოადგილე იყო და დამფუძნებელი კრების ტრიბუნაზე გამოდიოდა და მას აუდიტორია სერიოზულად უსმენდა. ის თავჭარიანი, უვიცი, მეტიჩარა და ფილისტერი კაცი — ჭიჭიკაძე, „კავო-ჟუკი“ კორნელოს, რატომღაც, მენშევიზმის სწონიმიად ჰყავდა წარმოდგენილი. კორნელი დამფუძნებელი კრების წევრებს ათვალეირებდა და კავო ჭიჭიკაძეზე ფიქრს განაგრძობდა, მაშინ როდესაც დამფუძნებელი კრების თავმჯდომარემ განაცხადა:

— მოქალაქეო, დღის წესრიგში მეტად სერიოზული საკითხი დგას. ამას წინათ საბჭოთა რუსეთმა ჩვენ სამხედრო კავშირი და დენიკინის წინააღმდეგ საერთო ძალით გალაშქრება შემოგვთავაზა. საბჭოთა რუსეთის ნოტა ჩვენ უარით ვუბათუხეთ, ჩვენი უარი იმით დაეასაბუთეთ, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა რუსეთში მიმდინარე სამოქალაქო ომისადმი მტკიცე ნეიტრალიტეტს იცავს... ჩვენი მთავრობის ბრძნულ პოლიტიკას უნდა მიეწიროს ის გარემოება, რომ გუმინწინ — 12 იანვარს ანტანტის უმალღესმა საბჭომ საქართველოს მთავრობა იცნო „დე-ფაქტო“. ეს ასე არ მოხდებოდა, თუკი ჩვენ საბჭოთა რუსეთთან სამხედრო კავშირს შევკრავდით... ამ საკითხების შესახებ სიტყვა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტს, ბატონ ნოე ჟორდანიას ეძლევა.

ვანიკო, მოჯაჯულ, ნაცრისფერი კოსტუმში ხალვათად გამოწყობილი „პრეზიდენტი“ ადგა, ნელის ნაბიჯით ავიდა ტრიბუნაზე, თავი ასწია, მხრები აიჩიჩა და დეპუტატებს და დიპლომა-

ტიური კორპუსის ლოკებში მჯდარ უცხოურ ელჩებს გასცვიფრებული, არყის ხის ქერქისფერი ეჭვგაუთხრებელი. მერმე შუბლი შეიკუმხნა და დაიწყო:

— მოქალაქეო, დამფუძნებელი კრების წევრო! თქვენ უკვე იცით, საბჭოთა რუსეთმა ჩვენ რომ სამხედრო კა... კა... კავშირი შემოგვთავაზა. — ენა დაება „პრეზიდენტს“. — ჩვენ მას ამაზე გადაჭრით უარი შევუთვალეთ. თქვენ ალბათ იცნობთ ჩვენ პასუხს. რას ნიშნავს ეს კა... კა... კავშირი? ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენ კა... კა... კავშირი უნდა გავეწყვიტოთ ეგროპასთან, როგორც ეს ბოლშევიკებმა ჩაიღინეს და თვალი უნდა მიგვეყრათ აღმოსავლეთისათვის, სადაც ისინი ეძებენ თავის ახალ მო... კა... კა... კავშირებს. საქართველოს და რუსეთის გზები აქაც გაიყარნენ. — ჟორდანიამ მხრები აიჩიჩა და ელჩებისაკენ მლიქვნელურად გაიხედა. ეგრობისა და რუსეთის სხეებაზე ისინი შეიშმულნენ და ყური თარჯიმანებს ათხუვეს.

ინგლისის ელჩმა — ოლივერ ჟორდროპმა გაიღიმა და კმაყოფილებისა და დასტურის ნიშნად თავის ქნევა და კანტური დაიწყო. ჟორდანიამ შენიშნა ეს და გაეხარდა: ჩანს ინგლისი „დე-ფაქტო“ იცნობს ჩვენ რესპუბლიკას და დახმარებას გაუწევს მას გარეშე მტრებთან და ბოლშევიკებთან ბრძოლაშიო, — წამიერად გაიფიქრა მან. ამას წინათ საუბარში ინგლისის ელჩი სწორედ ასეთ იმედს აძლევდა მას და თანაც უჩივდა: თუ თქვენ ესურთ ინგლისმა და ანტანტამ თქვენი რესპუბლიკის დამოუკიდებლობა იცნოს, უნდა მტკიცედ დაარწმუნოთ იგი იმაში, რომ თქვენ იაგლისთან მეგობრული კავშირის ნამდვილად მოწოდინე ხართ და საბჭოთა რუსეთს, ბოლშევიკებს საბოლოოდ ეთიშებით და მის წინააღმდეგ ილაშქრებთო, რაზედაც ჟორდროპმა ჟორდანიას თანხმობა მიიღო. ამის საპასუხოდ ჟორდროპმა ჟორდანიას ინგლისისა და ანტანტის მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის „დე-ფაქტო“ ცნობა აღუთქვა.

საქმე ის არის, რომ მენშევიკური მთავრობა უკვე რამდენიმე წლის განმავლობაში ამაოდ ცდილობდა ანტანტისაგან საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობას. მან ამ მიზნით ეგრო-

პაში სპეციალური დიპლომატიური მი-
სია წარგზავნა, მაგრამ ანტანტა იმე-
ადა, დენიკინის ლაშქრის შემწეობით,
მეფის რუსეთის აღდგენას ცდილობდა
და სანამ დენიკინი იმარჯვებდა, ინგ-
ლისის ელჩი და გენერლები საქართვე-
ლოს რუსეთის განუყოფელ ნაწილად
სთვლიდნენ და საქართველოს დამოუ-
კიდებლობაზე ლაპარაკის მოსმენაც კი
არა სურდათ. ახლა, როდესაც დენიკინი
დონის-როსტოვთან სასიკვდილოდ და-
ქრილი და განადგურებული იყო, ან-
ტანტამ საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ
ახალი კონტრრევოლუციური ძალების
გამოძებნა და შეკოწიწებას მიჰყო ხე-
ლი და საბჭოთა ხელისუფლების გარე-
შე დარჩენილ, განაპირა მდებარე
ერებს და, მათ შორის, საქართველო-
საც მიმპართა, რათა ისინი საბჭოთა
რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლაში ჩამ-
ბულიყვნენ. ამ მიზნით ანტანტის უმა-
ღლესმა საბჭომ 12 იანვარს გადასწყვი-
ტა საქართველოს დამოუკიდებლობის
ფაქტიურა ცნობის შესახებ ქალაქის
ნაგლეჯის გაცემა. ამრიგად ეორდანია
და მენშევიკები საბჭოთა რუსეთს გაე-
თიშნენ და იმპერიალისტურ ევროპას
მიემხრნენ. ამ გამყიდველობის და რე-
ვოლუციისადმი ღალატის შესანიღბა-
ვად ეორდანიათ საკუთარი თეორია შე-
იმუშავა, რომლის მიხედვით იგი ამტ-
კიცებდა, თითქოს საქართველოს და
რუსეთის ისტორიული გზები სულ
სხვადასხვა ჯგურისანი იყვნენ. რუსე-
თის გზა აღმოსავლეთისაკენ მიიმართე-
ბოდა, ხოლო საქართველოს გზა კი
ევროპისაკენ. ამ ყალბ მოსაზრებას
ეორდანია თავისებური თეორიითაც
ასაბუთებდა. იგი ამბობდა: ბოლშე-
ვიზმი და „აღმოსავლური ფანატიზ-
მი“ ქართველი ხალხისათვის უცხო რამ
არისო. და აი, თავისი ღალატის შენიღ-
ბვისა და იეზუიტური დემაგოგიის
შემდეგ, დამფუძნებელი კრების ტრი-
ბუნაზე მდგარმა პრეზიდენტმა ხელი
ასწია, განცვიფრებული, უცნაური
თვალეობით საღდაც შორს გაიხედა, თი-
თქოს შთაგონების ქვეშ იმყოფება,
შეშმარიტებას მიაჯნო და ქართველ
ხალხს მისი „ბელადი“ ისტორიულ
გეზა და გზას უჩივიებდა. ასეთი არ-
ტისტული პოზისათვის ეორდანია
არასოდეს არ მიუპართავს. თავს თუ
აწონებდა მისტერ ოლივერ უორდ-
როპს და ევროპის ქვეყნების სხვა ელ-

ჩებს! ეორდანიათ ხმას აუწია და რი-
ხიანად განაცხადა: *საქართველო!*

— ჩვენი გზა ევროპისაკენ მხედის,
რუსეთის გზა კი აზიისაკენ. ვიცი, ჩვე-
ნი მტრები იტყვიან, რომ ჩვენ იმპერია-
ლისტების მხარეზე ვართ. ამიტომ აქ
უნდა განაცხადო: აღმოსავლეთის ფე-
ნატიკოსებს დასავლეთის იმპერიალის-
ტები მიორჩენია.

დამფუძნებელი კრების წევრებმა
ტაში დასცხეს და ეორდანიათ ოვაციე-
ბი მოუწყვეს. მერმე თავისი „ბელა-
დის“ სიტყვა, როგორც „სიბრძნის ნი-
მუში“, „ისტორიული დიდი მნიშვნე-
ლობის მქონე დოკუმენტი“ და მთელი
„აღმომჩენა“, ათასობით დაბეჭდეს და
ხალხში გაავრცელეს.

ამრიგად ეორდანიათ საბოლოოდ ჩა-
მოიხადა ნიღაბი და საქვეყნოდ განა-
ცხადა, რომ იგი პროლეტარული დემო-
კრატიის ქვეყნის — საბჭოთა რუსე-
თის მოწინააღმდეგე და იმპერიალის-
ტური დასავლეთის მომხრეა.

5.

დამფუძნებელი კრების სხდომის
დამთავრების შემდეგ, სასახლეში პო-
ეტმა პლატონ მოგველაქემ და რაფაელ
ახლედიანმა ნოე რამიშვილთან და ევ-
გენი გეგეჭკორთან მოსაუბრე ესტარე
მაყაშვილი, ეურნალისტები — გენადი
ქადაგიშვილი და ერემო გოდებანიძე
დაინახეს. ეორდანიათ სიტყვა უკვე
მთელმა ქალაქმა იცოდა. ქალაქის
შრომელი მასა იმ სიტყვისათვის ეორ-
დანიათ ჰქოლადა, ხოლო იმპერიალის-
ტური ევროპის მომხრენი — ნაციონა-
ლისტები კი აქებდნენ და აღიღებდნენ.
პოეტები მინისტრებს, ესტარე მაყაშ-
ვილს, მეგობარ ეურნალისტებს მი-
ესალმნენ და თავისი აღტაცება მოახ-
სენეს:

— დღევანდელი დღე, ისტორიული
დღეა. — განაცხადა პლატონ მოგვე-
ლაქემ. — ეორდანიათ სწორი პოლიტი-
კური კურსი აიღო. ჩვენმა მთავრობამ
დამოუკიდებელ სახელმწიფოს მშენებ-
ლობას მოჰკიდა ხელი. ეს ჩინებული
რამ არის, მაგრამ ერთი რამ ვერ გამი-
გია, — მიმპართა მან რამიშვილს და
გეგეჭკორს: — ჩვენი პარლამენტის
თავზე ეროვნული დროშის ნაცვლად
ბოლშევიკების წითელი დროშა რად
ფრიალებს?!

ესტატე მაყაშვილმა მაშინვე ჩასქიდა ხელი მოგველაძის განცხადებას და დაამატა:

— ეს წითელი დროშა მუშათა კლასის ბრძოლისა და რევოლუციის ემბლემაა და იგი სრულიადც არ გამოხატავს მთელი ქართველი ხალხის სულისკვეთებას. ჩვენ სახელმწიფოს, ქართველ ხალხს, თავისი ეროვნული დროშა აქვს და საქართველოს პარლამენტის თავზე ის უნდა აღიმართოს.

— უთუოდ, — დაუდასტურა მოგველაძემ.

რამიშვილმა და გეგეჭკორმა თავი ჩაკიდეს. მცირე ხნის დუმილის შემდეგ, მაღალმა, გამხდარმა და ფერმერთაღმა კაცმა — ნოე რამიშვილმა ვაცისმაგვარ წვერზე მოიცილა ხელი, იეზუიტებით გაიღიმა, თხელი, უსისხლო, დამცინავი, ვესლიანი და ავი ბავები ვახსნა და ესტატე მაყაშვილს, პლატონ მოგველაძეს და რაფაელ ახვლედიანს ჩემად უთხრა:

— ეს ჩვენთვის უხერხულია. ჩვენ რომ ეს ჩავიღიხოთ, ბოლშევიკებისა და მუშების ყაყანს თავს ვერ გაეართმევთ. ეს საქმე თქვენ ნაციონალ-დემოკრატიებს და ფედერალისტებს შეგფარით და თქვენ უნდა იკისროთ...

მენშევიკურ მთავრობას უკვე გამოტანილი ჰქონდა დადგენილება წითელი დროშის ნაციონალური დროშით შეცვლის შესახებ და რამიშვილმა სხვისი ხელით გადასწყვიტა ამ საქმის მოგვარება.

მცირე თათბირის შემდეგ, ესტატე პლატონი, რაფაელი, გენადი ქადაგიშვილი და ერემო გოდებანიძე თავიანთ კლუბებისაკენ გაემშრნენ. კლუბებში ფუსფუსი, განგაში და დიდი მზადება დაიწყო. ნაციონალ-დემოკრატიებისა და ფედერალისტების ლიდერებმა ქალაქში სასწრაფოდ შეკრიკები დაგზავნეს და პარტიის წევრები იხმეს. მათ, სახელდახელოდ, ყველა ჯურის: რუსული, გერმანული, ინგლისური და ფრანგული სისტემის, უვარგისი და დაჯანგული თოფები დაურთვეს და მშკრივში დააყენეს. სახელდახელოდ შეგროვებულ რაზმებლეთ ოფიცერთა მეთაურობით საღამოს 5 საათზე დამფუძნებელ კრებისა და სხვა დაწესებულებათა შენობისაკენ, ყოფილ მეფისნაცვლის სასახლისაკენ გაემშრნენ. ფედერალისტების რაზმი, რომელსაც პოლკოვნიკი რევაზიშვილი მეთაურობდა, განსაკუთრებ-

ბით ქრელი შემადგენლობისა რკონ-რაზმში თავი მოეყარათ სხვადასხვა პროფესიის შოვინისტებს, ოფიცრებს, ვეკილებს, ექიმებს, მასწავლებლებს, სხვადასხვა დაწესებულებათა მოსამსახურეებს, სტუდენტებს და სტამბისა და ტრამვაის ორიოდე მოტყუებულ მუშასაც. ნაციონალ-დემოკრატიების და ფედერალისტების შეერთებული რაზმისათვის არავის არ გაუწევია წინააღმდეგობა და იგი თავისუფლად შევიდა დამფუძნებელი კრების შენობაში, რადგან სასახლის მკვილი გვარდიელები მენშევიკების მიერ წინასწარ გაფრთხილებული იყვნენ.

უცებ, დარბაზში გენადი ქადაგიშვილმა სამფეროვანი დროშა გაშალა. სადგებოლდ ჩოხაში გამოწყობილმა ესტატე მაყაშვილმა, პლატონ მოგველაძემ, ერემო გოდებანიძემ და სხვებმა ხელი დასტაცეს, სასახლის თავზე ავიდნენ, პროლეტარული წითელი დროშა ჩამოხსნეს, დახიეს და გასთლეს და მის ნაცვლად დამფუძნებელი კრების შენობის თავზე ფეოდალური საქართველოს გმირის — წმინდა გიორგის სურათით მოხატული, სამფეროვანი ნაციონალისტური დროშა აღმართეს. ამის შემდეგ ნაციონალ-დემოკრატიებმა და ფედერალისტებმა თავის რაზმებლებთან ერთად სასახლის ბაღში მიტინგი მოაწყვეს. მიტინგზე ესტატე მაყაშვილი და ვეშაპული, ფედერალისტების ლიდერთაგანი — ეშმაკი და ცბიერი, მელისთვლებიანი პატარა, კაცი — პოლკოვნიკი რევაზიშვილი, ქლეჩიანი ეურნალისტი და მკვლევარი ერემო გოდებანიძე და პოეტი და ბელეტრისტი პლატონ მოგველაძე გამოვიდნენ. ორატორები ცრუ-პატრიოტულ სიტყვებს უხვად ხარჯავდნენ, ისტერიულად გააკოვდნენ, იმპერიალისტურ ეკრობას აქებდნენ და ადიდებდნენ, საბჭოთა რუსეთს კი ავინებდნენ და ბოლშევიკებს ლაფს ასხამდნენ, მაშალაყინწასაებრ ბრაზდებოდნენ, სატივარზე ხელს იკლებდნენ, იმუქრებოდნენ და ასე გასინჯეთ. იმ გულტარყვილო და მემამირ ზოგ მენშევიკსაც არ ინდობდნენ, რომელიც დამფუძნებელი კრების შენობის თავზე პროლეტარული დროშის ნაცვლად ნაციონალისტური დროშის აღმართვას სამწუხარო ფაქტად თვლიდა და მთავრობისაგან განმარტებას მოითხოვდა.

მენშევიკების ამ გამცემლობამ უდიდესი აღშფოთება გამოიწვია მუშათა კლასის მოწინავე რიგებში.

დიდი სამუშაო გაუჩნდათ იმ ღამით სტამბის მუშებს: ბათლომე მახათაძეს, შაქრო ხახუტაშვილს, კარო იაროლოვს და სხვებს, რომლებიც ქალაქის ვანაპირა, მტკვრის პირას, დიდუბეში, ძველი მუშის ნიკოლოზ მაკაროვის სახლის ქვეშ, სარდაფში ბოლშევიკური პარტიის მშრომელებისადმი მიმართულ

მოწოდებას — პროკლამაციას ბეჭდავდნენ.

„საქართველოს მენშევიკური მოთარობა იძულებული გახდა ნიღაბი ჩამოეხსნა და თავისი გამცემლური სახე ეჩვენებინა“, — ასე იწყებოდა ის პროკლამაცია, რომლის ტექსტი სერგო ქავეჯარაძემ შეადგინა და დიდუბის სტამბაში კარო იარალოვმა თავისი გარმონით მიიტანა.

(გაგრძელება იქნება)

თბილისი



ახალი ხილი

აგერ მეტეხიცი! წამით შეჩერდი,
გეტყვი არც ისე შორეულ ამბავს:
აქ იყო ხილი, იდგა მეჩეთი,
და მტკვარში ყრიდნენ ხილიდან ნაგავს...

ო, ის სხვა იყო, ვიწრო ხილუნა,
მთლად ერთი ფეხის დასაბიჯები,
თხილს და პაპიროსს ყიდდნენ ბითუმად
მასზე პატარა გოგო-ბიჭები...

მტკვარიც სხვა იყო, კლდოვან კალაპოტს
ლოკავდა ურჩი და აღრეხილი,
იმ ბნელ წარსულზე ტალღის ნაამბობს
დღემდე სიმწარე აქვს შერჩენილი...

რა გავაგრძელო... მიდი და ნახე,
ამოიკითხე ძველთან სხვაობა —
დღეს აქ მეტეხის ქაღალას აღზენს
სულ სხვა ფიქრი და სანახაობა:

ამხედრებულან თბილისის მკვიდრნი,
რა აღუდგება საერთო ძალას —
ორმალიანი, ახალი ხილი
შემატებია საყვარელ ქალაქს!

ხედავთ, დაარტყეს მდინარეს ალყა,
ბურჯანიც აღმართეს საიმედონი —
გმირთა მკლავების მორჩილი გახდა
ყალყზე შემდგარი რკინა-ბეტონი!

ღიამ, ესენი არიან სწორედ —
ჩემი სალამი ქართველ შშენებლებს,
სულ მალე მტკვარს რომ აქცივენ მდორედ
და ზედ გემებსაც მოაშენებენ!

სალამი იმათ, ვინც აგებს სადგურს,
ვინც შუქით აღზენს თბილისის მიწას,
ვინც დღესვე აწყობს ზვალინდელ აგურს
და ამით ხალხთა შშვილობას იცავს!

„მადათოვის კუნძული“



გარდასულ დროთა შორეულ ზღაპარს
სოფელში ხშირად ვკითხავდი პაპას,
აქ კი, მე თვითონ მოწმე ვარ იმის,
(ამბავი არი არც ისე შორი)
როგორ გვიკლავდა ტუჩებზე ღიმილს
კაობებიდან ამღვარი შმორი...

ამ ხიდის ბურჯებს სინესტე ხრავდა,
ნაგუბარს — ლორწო ფარავდა შშვიდი,
და წელში მოხრილ ბერიკაცს გავდა
მუხლამდე წყალში ჩამღვარი ხიდი.

ბოლავდა მიწა ქცეული ორთქლად,
ხედავდი მწერებს წყალზე დანათოვს,
და ბაყაყების გაბმული მოთქმა
ზარივით ეღვა თავზე „მადათოვს“...

სადღაა ახლა, ის შხამიანი
სიმწვანე, ხიდის ქვეშ მოქცეული,
მოვიდა დიდი ადამიანი
გამოაცოცხლა მიწა სნეული —

გადაფარა ასფალტის ფარი,
არ დააცდინა აღებულ მიზანს,
ქუჩა კი არა — ჩონგურის ლარი
შეუხმატებილა დინებას მტკერისას!

ქუჩა კი არა — ბალი ახარა,
მტკვარს მიუჩინა მწვანე მცველები,
შმაგი მდინარის ასალაგმავად
გამოიყვანა თბილისელები...

საკმარისია მისვლა და ნახვა,
და მტკვარი თვითონ დაგემოწმება,
როგორ გადიქცა კუნძული ბალად,
სიცხადედ როგორ იქცა ოცნება!

ორი ლექსი



შუალამისას

შუალამისას, როცა რადიო
 შეუერთდება წითელ მოედანს,
 და იქ შემთხვევით ჩავლილ მანქანის
 მახილს შორიდან აქ ჩამოიტანს.

შუალამისას, როცა სკექს კრემლი,
 კრემლი—სიმართლის მფეთქავი ფესვი
 მე ყურს მიუგდება ხმაგაქმნილი;
 ბრძენი ბელადის ფეხის ხმა მესმის.

და განა მართო ფეხის ხმა მესმის,—
 ეხდები მშობლიურ სახის მხედველი.
 გამჟღავნებდა ბროლივით ჩემთვის
 ურყევი კრემლის ყველა კედელი.

ეხედავ ბნელეთის შუქით გამკვეთავს,
 ვინც დიდ სიცოცხლეს უთხრა

ვინც გადაჯეგოლ ამ ჩვენს, პლანეტას
 მისცა იერი ახალგაზრდული.

და ვამბობ: თუნდაც ცეცხლმა აღანთოს
 და ლავად ჩქეფდეს ირგვლივ გორები.
 კმარა, — ბელადმა ხელი აღმართოს,
 შეჩერდებიან სტიქიონები.

როცა სკექს კრემლი შუალამისას,
 კრემლი—სიმართლის მფეთქავი ფესვი.
 დიად იმედად, დიად ხალისად
 დიდი ბელადის სულისთქმაც მესმის.

ერთი ფოთლის შემოხედვა



ფარავს მწვანე ჯარი ხეთა
 დღეს თბილისის გაშლილ სერებს.
 ერთი ფოთლის შემოხედვაც
 მე ჩემს სოფელს მომაჩვენებს.
 იქ ხომ ახლა დადის მხვნილი,
 ველზე ცეცხლის დამკვესავი.
 ჩემი კარის მეზობელი,
 ჩემი ახლო ნათესავი.
 იქ მოზვერი იხედნება,
 მიწამ ვეფხვის ძალა მისცა.
 მაყვლის ფერად იხედება
 გვერდნაცვალი დედამიწა.
 ზედ აღნება სხივი ოქროს,
 მიწის ფერი ცის ფერს ეძო.
 და სოფელი მოჩანს როგორც
 დაბურული ერთი ეზო.

იქ ხომ ელავს ღარის წყალი,
 დღენიადავ დაუმცხრალი.
 სისათუთით შენახვევი,
 ლურჯი, ლურჯი ვენახები.
 იქ ხომ არის ღამის მთევი,
 ელექტრონის წისქვილები.
 თითქოს მუღამ თეთრი ფრთებით
 სიბერესთან მისულები.
 იქ ხომ ახლაც მოჩანს კორდით,
 გაბარდული ვაზის ბონდი,
 და ირწევა ფეხქვეშ ნელა,
 ჩემი ძველი საქანელი.
 თბილისში ვარ ჩრდილი ხეთა
 ფარავს ირგვლივ გაშლილ სერებს.
 ერთხელ ფოთლის შემოხედვაც
 დღეს ჩემს სოფელს მომაჩვენებს.

ეს მოხლა ურჩიკაში



პატარა გემი ალყირში მიდიოდა ცხვრების ჩამოსაყვანად. ამ უწყინარი ცხოველებისაგან ფრანგი მზარეულები მეტად გემრიელ რაგუსა და ყაურმას ამზადებენ.

ცარიელ გემს ზღვის ტალღები დაუნდობლად არწევდა. ღია ტრიუმებიდან მძიმე და შემხუთავი სუნი ამოდიოდა. ჩემს „კაიუტაში“ — გემბანზე ჩამწყრივებულ კასრებს შუა, მთელი დამე საშინელ ტანჯვაში გაეთენე. მთელი არსებით ვწყვედი ბედს, რომელმაც უბაძულა დამეტოვებინა ხმელეთი და ამ უსაზღვრო სივრცეში ამომსვლოდა სული. დაქანტულ ალიონზე ჩამეძინა, მაგრამ მალე სიცივემ გამომადვილა. მუხლმორთხმული ვიჯექი და გულისტკივილით ვიგონებდი, ჩემს ადრინდელ ოცნებებს მოგზაურობებზე.

მაშინ ახალგაზრდული, რაღაც გაურკვეველი, მაგრამ დიადი იდეებით გატაცებული, თეთრი იალქნით მივცურავდი საღდაც შორს, შორს, ცისა და დედამიწის შუა!..

ამ ორიოდ წლის წინათ პარიზში მივალწიე იმას, რაც მხოლოდ შეძლებულთა შეილებსათვის არსებობს — უმაღლესი განათლება მივიღე.

განსვენებული მშობლები ძლიერ მიჯავრებოდნენ, როცა ფეხბურთის თამაშის შემდეგ დაგლეჯილი ფეხსაცმელითა და დასისხლიანებული მუხლებით ებრუნებოდით შინ.

ო, რომ სკოდნოდა, მისი შვილი ფეხბურთის შემწეობით მიიღებდა უმაღლეს განათლებას!.. ალბათ მაშინ მამაჩემი ასე აღარ გამიბრაზებოდა. მტკივედ კიდევ.

შეუპოვრად ვიტანდი სასჯელს, მესმოდა დედაჩემის შეშინებული ძახილი: — თაქში არ ჩაარტყა ადამიანო, თავში არ ჩაარტყა!

მეორე დღეს მაინც გაორკეცებული ახარტით ეცდილობდი ბურთის გატანას.

შემდეგ, როდესაც პროფესიული ფეხბურთელი გახვნი, უკვე ხელიდან ხელში გადავიდოდი, და არავინ მეკითხებოდა — თანახმა ვიყავი თუ არა, მაშინ კი ძალაუფლებურად მაგონდებოდა ჩემი მოხუცების დარიგება!..

ამ პროფესიამ, რომელსაც უცხოეთში ჰუმბარიტ სპორტთან არაფერი საერთო არა აქვს, ხელი შემიწყო, მართალია დიდი ვაჭირვებით, მაგრამ მაინც მიმედწია იმ მიზნისათვის, რისთვისაც დავიწყე ფეხბურთის თამაში — უმაღლესი განათლება მიმეღო!

მაგრამ, როდესაც ეს პროფესია ჩემს დაწყებულმა ფეხის ძარღვებმა იმხვერაპლა, ჩემმა მეპატრონემ, ბანკის დიდმა მფლობელმა, სპორტის „მეცენატად“ წოდებულმა, სადაზღვეო პრემიის დიდი თანხა მიიღო. მას პოლისის ცსაკუთარ სახელზე ჰქონდა გაფორმებული; ეს მოხდა საესეებით ისე, როგორც ამას ლოლის ცხენების მეპატრონენი სჩადიან. სპორტის „მეცენატი“ არც კი დაინტერესდა ჩემი დასახიჩრებული ფეხით, გადმომიგდო ერთი თვის კუთვინილი გასამრჯელო, როგორც იტყვიან — პანდურით გამისტუმრა, და ერთხელაც არ შემომხედა, როდესაც კოჭლობით გავდიოდი მისი დარბაზიდან.

სწავლას მაინც განვაგრძობდი და ბოლოს ელექტრო-ინჟინრის დიპლომი მივიღე. ამ დიპლომს თან დაერთო ჩემი ძლიერი სისხლნაკულოება და გაცრუებული იმედები!..

მაგრამ თავი მაინც მამაც კაპიტნად მიმაჩნდა. შემდეგ ეს დიპლომი, რომელიც სრულიად არავისთვის არ იყო ხაჭირი — შევიანახე და დავიწყე მუშაობა.

ვმუშაობდი მტვირთავად, მიწისმთხრელად, ფანჯრების მწმენდავად და, წარმოიდგინეთ, პატარა ურჩიკით რძის დამტარებლათაც კი. რასაც ბელჯიაში ასეთივე წარმატებით ასრულებენ გაწითენილი ძაღლები. მაგრამ სწრაფად

მზარდი უმუშევრობა, როგორც მე, ისე ჩემს ამხანაგებს ღვთის ანაბარად გვტოვებდა.

— ო, მძიმეა, როდესაც ამდენ უგუნლო ადამიანთა შორის თავს სრულიად მარტოდ გრძნობ — თითქოს უკაცრიელ კუნძულზე იყო... სულერთია სად იქნები, ხმაურთან და ხალხმრავალ პარისში, პრელსა და მოლაქლაქე მარსელში, თუ ამ პატარა მყარალ გემზე, რომელსაც ორიოდღე გრომის ფასად აღვირამდე მივყავარ...

მაგრამ იქ... იქ, ვაზეთები ხომ მარტო იმის შესახებ, წერენ, კოლონიებში ხალხი კარიერას იქმნისო. დაბოლომი უკვე ხელთ მქონდა; ჰკუთთავ ბიკრ სხვას არ ჩამოუვარდებოდი და მასხივოსნებდა იმის იმედი, რომ ვიცხოვრებდი, მექნებოდა ფული... სუფთა ლაგანი და... ცხელი სადილები.

უზარმაზარი მშის ნარინჯისფერი ბირთვი მოულოდნელად ამოკურდა ზღვის ჰორიზონტზე, უეცრად წამობერილმა ქარმა თან ზარის ხმა მოიტანა. ნამძინარევა ცეცხლფარეშებმა ისე ჩამიარეს გვერდით, რომ არ შეუხედავთ ჩემთვის, ისინი სამანქანო განყოფილებაში ჩაეშენენ ამხანაგების შესაცვლელად.

მარტო ვარ, სრულიად მარტო, არავის ვახსოვარ!... აქ, გემბანზე იქნებ სული ამომხდეს და არავინ... სრულიად არავინ შეწუხდება! — ნივლიანად გავიფიქრე და ბარბაცით წამოვდებდი.

— „ზღვის ავადმყოფობის“ საწინააღმდეგოდ ერთ-ერთი საშუალებაა კონიაკის გამოცლილი ბოთლი გულში ჩაიხუტო და იძინო! — მოულოდნელად და დაცინვით მომმართა ერთმა ახმახმა, სწორედ იმ დროს, როდესაც მთლად ფერწყალული, ცვილილობი მიმდღწია გემის მოაჯირამდე. როდესაც მიხვდა, რომ არა მქონდა არავითარი ფიზიკური შესაძლებლობა მისთვის შეპასუხნა, ახმახის ჩრდილი კვალდაკვალ გამოიშვეა უკან.

— თქვენ გაინტერესებთ იცოდეთ „ზღვის ავადმყოფობით“ დელფინებიც ავადდებიან თუ არა? — კვლავ დაიწყო მან.

— დელფინი მხოლოდ ბარჯზე წამოცმული ჰყავის, მაგრამ ვერ გამოვიდა, ზოგერთი ადამიანი თავისი უგუნური ჰყავილით სხვებს რატომ უჭედავს ყურებს? — შევძელი. პასუხის გაცემა,

როცა გავთავისუფლდი და თავიც უკეთ ვიგრძენი.

— ო, მამატიეთ, ბატონო!... — ხელოვნური თავზიანობით მრძივო ახმახმა და განაგრძო: — მე თქვენ წუხელისვე შეგნიშნეთ, თქვენს „დიდებულ კაიუტაში“, კასრების გვერდით რომ იყავით მიკრუნხული, და მგონია, რომ იმ დელფინის ბედი თქვენსას მინც სჯობდა!

— ხმელეთზე ერთ დროს არც თუ ისე ცუდად ვთამაშობდი ფეხბურთს, ხომ არა ვაქვთ სურვილი მიიღოთ დარტყმა იმ ადგილზე, საიდანაც ფეხები გეწყებათ და ერთბაშად ოცოდღე მეტრით მიუახლოვდეთ ალერსი?..

უნდოდა რაღაც ეპასუხნა, მაგრამ თავი ცუდად იგრძნო, მიუახლოვდა გემის მოაჯირს და ხელები კრუნხვით ჩასჭიდა. იგი მეტად გაშტერებული ჩაწყურებდა ხმელთაშუა ზღვას, თითქოს მის სიღრმეში უნდოდა ებოვა მტკიცე ნიადაგი. სტეიით დამარცხებული მოწინააღმდეგის გამკლავება აღარ ვეკარე. მან ეს იგრძნო და მგონი, სწორედ აქედან დაიწყო მისი ჩემდამი უანგარო მეგობრობა.

— შენ კარგი ბიჭი ჩანხარ, წამოდი, გადავეკრათ! — შემომთავაზა მან. — აქაური მზარეული თავისუფალ დროს წყალნარევ ღვინით ვაჭრობს.

— წაიღეთ, — დავთანხმდი მე. — მეცა მაქვს რამდენიმე ფრანკი! — ჩაეჭიდეთ ხელი ერთმანეთს და კამბუხისაქენ გავემართეთ.

— მე ეყენ ქანტლ მქვია, პირდაპირი აღამიანი ვარ და სიმართლის ლაპარაკი მიყვარს! — გამაცნო თავისი თავი, როდესაც მეორე ბოთლს უკვეთავდა. — მე იქვე შენს გვერდით ბრეზენტის ქვეშ მეძინა, ახლა აფრიკაში მივდივარ, რადგან საფრანგეთში არავისთვის ხაჭირო არ ვყოფილვარ.

წყალნარევმა ღვინომ ჩვენზე ერთობ მალე იმოქმედა, ეყენ ქანტლმ აქვე მიამბო თავისი ცხოვრება. ჯერ კიდევ ყრმას, არც თუ ისე დიდი ხნის წინათ, მასაც ჩემსავით ვახეცადა კატასტროფა... იმ განსხვავებით, რომ მისი პატარა საბარგო გემი, არასოდეს ნაპირს არ მოსცილებია. იგი ოცნებობდა პატარა ფერმაზე, სადაც ეყოლებოდა რამდენიმე ძროხა, ღორი, ცხენი თავისი ურიკათი, რომლითაც უნდა ეზიდა მოსტენული პარიზის ცენტრალურ ბაზარში. იქ მას გულში ჩავარდნია ერთი ლამა-

ზი გოგონა მეზობელ სოფლიდან. გადა-
უწყვეტია თავისი სურვილი მამისათვის
გაემუღებებოდა, რათა დაეყოლებინა
პატარა მიწის ნაკვეთის ჩამოჭრაზე და
ერთი პატარა ოთახი მიეშენებია მამის
სახლისათვის, რომ ქალი შეერთო. მაგ-
რამ იმ წელიწადს ჯერ დიდი გვალვა
დაიჭირა და შემდეგ ძლიერი სეტყვა
მოვიდა. ამის გამო მეზობელ მდიდარ
ფერმერს თამასუქები ვერ გაუნადღეს
და სასამართლომ მთელი მათი მიწა
ფერმერს გადასცა. შშობლები აიყარნენ
და შორეულ სოფლებში მოჯამაგირე-
ობით ირჩენდნენ თავს.

მას შემდეგ ექვსი წელი გავიდა. მო-
ხუცმა შშობლებმა ვერ აიტანეს იმ მი-
წის დეკარგვა, სადაც მთელი სიცოცხ-
ლე წელგაუმართავ ჯაფაში გაატარეს.
დარდისა და მწუხარებისაგან ფესვები-
ნად მოთხრილ ხესავით ჩამოხშენ და
მალე გარდაიცვალნენ. მარტოდ დარ-
ჩენილმა ექვსმა კი პარიზის ქუჩებში
სხვა მრავალ უმუშევართა შორის ბე-
დის ძიება დაიწყო.

— მე პოლიტიკაში მაინცდამაინც
ვერ ვერკვევი, ეს არაა ჩემი საქმე!.. ჩე-
მი საქმე მუშაობაა!.. ხოლო, როცა სა-
მუშაოს ვერ ვშოულობ, მაშინ!..

— რა მაშინ? — შევეკითხე მე.

— მაშინ სრულიად მარტოდ რჩები
კაცი და აღარც არავის სჭირდება!
თვით კაფეს მეპატრონეც კი, რომელიც
უფრო ღრეკით მოგესალმებოდა ხოლმე,
ახლა ისიც შეშინებული ზურგს შეგაქ-
ცევს, რომ ერთი ფინჯანი ყავა ნისიად
არ მოსთხოვო!

ვეუყურებდი ჩემს პირდაპირ მჯღარ,
წაბლისფერთვალემა, გონიერი სახის
გამომეტყველების ახალგაზრდას, რო-
მელსაც ამაჟრად ეტყობოდა, რომ არ
იყო ზარმაცი, რომ შეეძლო მუშაობა
და ისიც ჩემსავით „ცივილიზებული“
ქვეყნების ზედმეტ ბარგს წარმოადგენ-
და. ალბათ, ისიც ჩემსავით, დილის ხუ-
თი საათიდან, სხვევებთან ერთად ატუ-
ხული იყო რომელიმე ფაბრიკის, ან
ქარხნის კარების წინ, სამუშაოს შოფ-
ნის იმედით, მაგრამ თავჩაღუნული
ბრუნდებოდა უკან, როდესაც უცხა-
დებდნენ, რომ აღდგომა არა გვაქვსო.
ალბათ ისევე უმინოდ დახევილობდა
ქუჩებში, ათვალიერებდა მალაზიების
ფიტრინებს, ან ჩამოჯდებოდა ქალაქის
ბაღში რომელიმე მერხზე და კითხუ-
ლობდა დატოვებულ, ან გადავლებულ
გაზეთებს.

ვისაც არ განუცდია ეს ყველაფერი,
მისთვის ძნელად გასაგებია, რა შიში
და საშინელი განცდაა იყო უსმარ-
ლი, გქონდეს დიდი სურვილი მუშაო-
ბისა, რაოდენს შექმნისა და... იხეტია-
ლო ქუჩებში, მხოლოდ და მხოლოდ
იმაზე ფიქრით — თუ როგორ იშოვნო
ლუქმპაური!..

მაგრამ ეს მომავალში აღარ განმე-
ორდება!..

დიახ, აფრიკაში რაღაც არ უნდა და-
მიჯდეს, მივალწვე ასეთ მდგომარეო-
ბას. არსებობისათვის საბრძოლველად
ხომ სხვებზე ძლიერი უნდა იყო! სუს-
ტები იღუპებიან — ძლიერები იმარჯ-
ვებენ! ეს სავსებით ნორმალურია!..

— დალიე, რას ჩაფიქრებულხარ! —
მომმართა ექვსმა.

— იცი რა, ექვს, — ენის ოდნავი
ბორძიკით დაეწყე ახსნა, — შენ ბედი
გქონია, რომ მე შემხვდი, მართალია,
მე ახლა არაფერი არ წარმოვადგენ,
მაგრამ... მე რე ხახვი!

— მით უკეთესი შენთვის!

— ჩვენ ყოველთვის ერთად ვიქნე-
ბით, მე მეგობრობა შემიძლია!

— თანახმა ვარ! მომეცი ხელი.

„ქარტი ბიჭი ჩანს ექვსი, მე ყოველ-
თვის თან მეყოლება, არასოდეს დაე-
ტოვებ!“ — გავიფიქრე. „უხეგლებში
ჰიროსადგურებს რომ ავაშენებ, იქაც
თან მეყოლება — ჩემი მარჯვენა ხელი
იქნება!.. რა თქმა უნდა პროექტებში
ის ვერ ერკვევა, მაგრამ სამაგიეროდ
ვეფხვებზე ვინადირებთ, დავზოვავთ
ნიანგებს... რაღა თქმა უნდა, ზანგებს
კარგად მოეკეტევი და ისინიც შეგ-
ვიყვარებენ!“..

ექვსმა შემაწყვეტინა ფიქრი.

— პირველ ხანებში ჩვენ ყოველგა-
რი სამუშაო უნდა ვიკისროთ, თუ აფ-
რიკაშიც ისეთივე უმუშევრობა არ
არის.

— სისულელეა! — გულდაჯერებით
ვუბასუხე მე. — აფრიკა ეს ისეთი შვე-
ყანაა, სადაც ნიჭიერი და მარჯვე ადამი-
ანი არ იკარგება.

— მამ, რატომ იკარგებიან ევროპა-
ში და ამერიკაში? იცი, რამდენი მილი-
ონი უმუშევარია ახლა ამ ქვეყნებში?

— მართალია მაგრამ ჩვენ სულ სხვა-
ნი ვართ... ჩვენ რისკი გავწივთ და წა-
მოვედით... ახლა ყველაფერი ჩვენზეა
დამოკიდებული! — გეუბნებოდი მე
ექვსი, მაგრამ ის მაინც თავისას განაგ-
რობდა.

— ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ გაერთიანდებიან მუშები... თუ ჩვენ ყველანი ერთად ვიქნებით, მაშინ არათუ უმუშევრები, ის ლობიანებიც აღარ იქნებიან, რომლებსაც ფეხებზე ჰკიდით ჩვენი შიმშილი. მე სიცილი ამივარდა.

— რა გაცინებს? — გაცინებით შემიკითხა ეფენი, — მეტს, ნულარ დალივ, მგონი მენზე ღვინო ცუდად მოქმედობს! — და ღვინის ბოთლი განზე გადადგა.

— ეს ყველაფერი სისულელეა! ყველაზე მთავარი ადამიანის ინდივიდუალობაა! შენ განა გაზეთებში და ჟურნალებში არ წაგვიტოხავს, რომ თითქმის ყველა მილიონერი გაზეთის ყოფილი გამყიდველი ან ფეხსაცმელების მწმენდავი იყო?

— თქვენ უნივერსიტეტში ამას გასწავლიან?! — აღშფოთდა ეფენი. — მოდი სერთოდ ამაზე ლაპარაკს თავი დავანებოთ, თუ არ ვინდა დავი ინდივიდუალობა მოგანიჭო... რაღა თქმა უნდა ყუყუნთა შორის! — მე მხოლოდ იმითმ ვაგვიზღო, რომ მის წინაშე უპირატესობას ვგრძნობდი. საბრალოს თურმე სკოლაში არასოდეს არ უსწავლია ჩვენ კიდევ დიდხანს ვსაუბრობდით განყენებულ თემებზე. ის ღამე ორივემ ერთად გემბანზე გავატარეთ; მეორე დღით გამოფხიზლებულები დავრწმუნდით, რომ ჩვენი დამეგობრების მიზეზი პარტი ღვინო არ იყო.

შუადღისას სამხრეთის მიმართულებით გამოჩნდა მიწის ზოლი, რომელიც თანდათან დიდდებოდა და მთების წიაღში, ამწვანებულ ხეებს შორის, დავინახეთ ზღვისკენ დაქანებული თეთრად გაქათქათებული ზღაპრული სილამაზის ალირი.

— ჩვენ მას დავიპყრობთ არა, ეფენ? — ვუთხარი მას ღიმილით და მხარზე ხელი დავარტყი.

ეფენი მოტირიალდა უკან, იქითკენ, საითაც საფრანგეთი უნდა ყოფილიყო.

— რომ იცოდე, რა ღამაშია ჩემი სოფელი! — მიპასუხა მან ნაღვლიანად გემი პორტის შესავალთან გაჩერდა, ლოცმანი პატარა ნაგივ გვიახლოვდებოდა. ნავს მართავდა გამხდარი, მოხუცი არაბი, მას ზოლიანი მისიური ეცვოდა იგი უცნაურად შეხამებოდა მის წითელ ფესს. ლოცმანი რატომღაც სულ უყვიროდა და აჩქარებდა დაქანცულსა და გარუჯულ არაბს.

— რატომ არა აქვს ლოცმანს მორტარიანი ნაგი? — შეეკითხა ეფენი მეზღვაურს, რომელიც გემიდან ლოცმანს აბნებს უშვებდა.

— არაბი ბენზინზე გაცილებით უფრო იაფია, — უპასუხა მეზღვაურმა.

— რატომ უყვირის?

— ჰო, ეს იმითმ რომ „მოტორს“ გაზი მისცეს! — თქვა ყრულ მეზღვაურმა.

მე და ეფენი განვაგრძობდით ქალაქის დათვლიერებას, რომლის „დაპყრობაც“ ასე მტკიცედ გეგმონდა გადაწყვეტილი. ახლა უკვე გარკვევით მოჩანდა ევროპულ ყაიდაზე აშენებული, მრავალსართულიანი ღამაში სახლები; დიდ მოედანზე, ცენტრში, მზის კაშკაშა სხივებზე ბრწყინავდა ბრინჯაოს ქანდაკება, ქანდაკების იქით მოსჩანდა გუმბურნატორის სასახლე.

პორტი, ქალაქიდან ფართო ქვეს მოაჯირიანი სანაპიროთი იყო დამორჩეული, სანაპირო მარცხენა მხრით თანდათან ეშვებოდა რკინიგზის სადგურისაკენ. პორტის ორივე მხარეს მიემართებოდა გამლილი პლაჟი, სოკოებივით მოფენილი ფერადი ქოლგებით, რომელთა ქვეშაც მობანაგები ისვენებდნენ, იქვე კაფე-რესტორანებისა და დანსინგების მოზრდილი ხის შენობებიდან მუსიკის ხმა ისმოდა.

— შეხედე... აი, იქ, ის რა არის? — მიმითითა ეფენმა ქალაქის დასავლეთ მხარეს.

თეთრად გაქათქათებულ ქალაქში, გაშავებული მუწუკივით მოჩანდა მთის ფერდობზე კუმბივით ჩაწყობილი სახლები.

— ეს ყაზბაა! — ჩემს მაგიერ უპასუხა ეფენს მეზღვაურმა. — ყაზბა, ეს არაბების უბანია! — დაუმატა მან.

ერთი საათის შემდეგ მე და ეფენი ხელში პატარა ჩემოდნების თამამი ქნევით, ალყირის ქუჩებში დავდიოდით. ევროპა თავისი გამუდმებული კრიზისებითა და შიმშილით ჩვენგან უკვე შორს იყო.

— ახლა იწყება ჩვენი ახალი ცხოვრების პირველი ეტაპი! — ვფილოსოფოსობდი მე. ეფენი უფრო თავშეკავებული იყო.

— მხოლოდ საქურველი სუსტი გვაქვს! — დამიქნია მან თავისი ჩემოდანი.

— მაგას არაერთი მნიშვნელობა არა აქვს — აღვზნებით ვუპასუხებ. — ჩვენ ხომ კბილებამდე შეიარაღებული ის დამპყრობელები არა ვართ, რომლებმაც ასე წლის წინათ დაიპყრეს ეს ქვეყანა. მაგრამ პოტენციურად ჩვენ მათზე ძლიერები ვართ... როდესაც ხელთა გვაქვს მთელი საუკუნის გამოცდილება...

— გამოცდილება?! ქარხნის გამოცდილი კარის წინ! გამოცდილება, მიღებული პოლიციელთა რეზინის ჯოხებითა და ცრემლისმომგვრელი აირებით! — დაუმატა ევენმა და ჩვენს ვარშემო მდგარ ფეხსაცმელების მწმენდავთა სროვა ხელით მოიშორა.

— რაღა თქმა უნდა, ჩვენთვის ეს სასარგებლო და საჭირო გამოცდილებაა. ვესმის?! ჩვენ თანამედროვე, შვეიცოზიანი დამპყრობელები ვართ, დამპყრობელები შრომით, ინიციატივით და, რაც მთავარია, ჩვენი ორგანიზებული გონების საშუალებით!

— მე მინდა მოვიზოვო მხოლოდ მუშაობის უფლება! — შშრალად მომიჭრა ევენმა.

მე გადაწყვიტე დამემტკიცებია მისთვის, რომ იგი ჩვენს ყველა შესაძლებლობას სათანადოდ არ აფასებდა; მაგრამ ამ დროს წამოვკარი ფეხი ჩემს წინ მდგარ ყუთს, კინაღამ გავქვლიტი მზისაგან გარუჯული პატარა თმაბუქუპა ფეხსაცმელისმწმენდავი, რომელმაც ხელი ჩამავლო ფეხსაცმელში და მოემზადა გასაწმენდად. სიგრძისად ქუჩაში გავიშხლართე. შეშინებულ ფეხსაცმელებისმწმენდავები უეცრად გაქრნენ. ევენმა ხელი წამოავლო ჩემს მიმოფანტულ ქონებას და ისე ხარხარებდა, რომ ძალაუნებურად ყველამ მე მომაქცია ყურადღება; მწარედ გამეცივნა, ავიღე ჩემი უსახელურო ჩემოდანი და ილიაის ქვეშ ამოვიღე.

როგორც იქნა, ერთერთ ყველაზე იავ ოტელში პატარა ოთახი ვიშოვეთ. რამდენიმე დღის საფასური წინასწარ გადავიხადეთ და თითქმის სრულიად უფულოდ დარჩენილებმა ქალაქის დასათავაღიერებლად გაესწიეთ.

— თქვენ, ალბათ, როგორც ყველა ჩამოსული, ჯერ პირველად არაბების უბანს დაათვალიერებთ, არა? — შეგვეკითხა სასტუმროს პატრონი და აგვიხსნა, თუ როგორ უნდა მივსულიყავით იქ. — ოღონდ იქ დიდხანს არ დარჩეთ! როგორც კი დაბნელდება, დაბრუნ-

დით, თორემ პირდაპირ საშინელებას!... ეგ არამზადა არაბები, დიდ ოსტატობით ხმარობენ დახეხსა და სამართებლებს და, რამდენიც ვინდა, არ მოეგონათ, შეღამების შემდეგ ვერც ერთი პატრული ვერ გაზედავს იქ მოსვლას!

მე და ევენმა ერთდამავე დროს შევხედეთ ჩვენს გვერდში მდგომ დალაგებულ არაბს. მისი სახის გამომეტყველება სრულიად არაფერს ამბობდა.

— ისინი ყველანი ქურდები და მკვლელები არიან! — განაგრძო სასტუმროს პატრონმა და თავის მსახურს გადახედა. — მათგან მხოლოდ ზურგში დანის დარტყმას უნდა ელოდე! ჩვენ, ევროპელებს, მათგან თავის დასაცავად იარაღის ტარების უფლება გვაქვს, მაგრამ მანც არ გვერიდებია.

ჩვენ წავედით. ალყირი მხოლოდ თავისი არაჩვეულებრივი სისუფთავით განსხვავდებოდა ევროპის ყველაზე ლამაზი ქალაქისაგან. უკანასკნელ მოღაზე ჩაცმული ხალხი, რომლითაც ქუჩები საესე იყო, უმთავრესად ევროპელებისაგან შესდგებოდა. ძალიან იშვიათად, მედღურად გაივლიდნენ ზოლში აბრუშუმის ბურუსებთან¹ ყავილი². აქა-იქ შეეზოვე არაბები ქუჩებს ჰვეიდნენ, დარბოდნენ ფეხშიშველი მეგაზეთეები და არაბული აქცენტით გაზეთის სახელწოდებას გაიძახოდნენ. ჩვენ უკვე ყაზბას ვუახლოვდებით. მუშათა ევროპული უბანი, მეზღავართა იაფფასიანი საროსკიბობით — მოთავდა. შემდეგ იწყებოდა ყაზბა: ვიწრო, საფეხურებით მიბავალი ქუჩები, საუკუნეობით სიარულისაგან ვაცვეთილი ფილაქნით, ერთმანეთზე მიჯარილი სახლები ბრტყელი სახურავებით, აქა-იქ პატარა-პატარა თანჯრებით, მალაი კედლები მაგრად ჩაკეტილი პატარა კარებით, და ყველგან სიგრძე-სიგანეზე მწოლიარე ქუჩყიანი და დაგლეჯილი ბურუსებში გახვეული არაბები. შუა ქუჩაში საფეხურაიდან საფეხურზე მოკონხავდა ნარეცხი, ეყარა ნავები, ბზუოდნენ ბუზები. ეს ის ქუჩები იყო, სადაც იქაური შეძლებული არაბები ცხოვრობდნენ. ლარიბობა ქალაქის გარეთ გაზიზნულიყო და იქ გაპარტახებულ ქოხებში — ეგრედწოდებულ „ზანგების სოფლებში“ ცხოვრობ-

¹ ბურუსი — არაბთა ნაციონალური ტანსაცმელი.

² ყავილი — არაბი თავადები.

და თუმცა იმ სოფლებში არც ერთი ზანგი არ სახლობდა.

უსახლკარონი, რომლებიც ქუჩებში ეყარნენ, დამშეულ სოფლებიდან გამოქცეული გლეხები იყვნენ, მათ ვერც ამ გულქვა ქალაქში ემოვნათ საარსებო წყარო.

ჩვენ თანდათან ზევით ავიდოდით, აქედან სავაჭრო რაიონი იწყებოდა. ვხაში მათხოვართა ხროვები გვეგებებოდა წინ და „ალაპის“ სახელით სამოწყალოდ ხელს გვიწვდიდნენ.

როგორც ტანისამოსით, აგრეთვე კანის ფერით, ხალხთა კრელ ბრბოში, თვალში გვემოდათ ვეება სიმალისი, სპილოს ძვლის სანაპიროს მცხოვრები ზანგები, კუბრივით შავ სახეზე, რუხი კურუბებით მოსვირანგდებული და წაწვეტილებულ-წაბერხილი კბილებით. დაფუსფუსებდნენ ეხერგიული კაბილები — სამხრეთ აფრიკის საუკეთესო მებღაინი, რომლებიც მათთან შედარებით პატარები მოჩანდნენ. შეკრეკილ ხუჭუჭუწვერიან მალალ მაროკოელ მთიელებს უბრალოდ და ღირსებით ეჭირათ თავი. ოსტატურად გაქრობდნენ პატარა, ჩასუქებული, ფართო წვერებიანი მოაბიტები, რომელთა დედაქალაქი შუასაპარაში, ევანებ, ჯერ არცერთ ევროპელს არ უნახავს, და, ბოლოს, თვით არაბებიც, დაგლეჯილ-დაფლეუთილები, გამხდრები, ნელი და ზანტი მიმოხრით, მაგრამ ცოცხალი და ციხელოვანი თვალებით. აქ არ იყო არცერთი თეთრკანიანი, მაგრამ მისი დამპყრობელი ხელი ყველაფერში იგრძნობოდა. იგი იგრძნობოდა ჩვენდამი დაუფარავი სიმტლივლით მოპყრობილ თვალებში, მკვიდრ მცხოვრებთა უკიდურეს სიღარიბეში, იმ ჩურჭებში, რომლებიც ევროპელ მემონძეებს ჩამოაქეთ აქ კოლონიზებულ ხალხებთან — ამ ერთადერთ მუშტართან.

მე თავი უხერხულად ვიგრძენი, როდესაც დაეინახე შავი, დაკონკილებურ-ნუსიანი და ბრტყელქალაჩინიანი მალაი, წარმოსაღვეი ბელუნი. მას ლამაზი, ეპეკატური სახე მოლურჯოდ უზინშიმებდა. იგი ყიდულობდა, ძველ დაგლეჯილ ლაქის ფეხსაცმელებს — ვინ იცის მონმარტრის რომელიმე სუტენიორის, ან და მუშტრის გულის მოსაგებად წელში ორადმოხრილი კელნერისას. აქ ჰემმარიტად ზიზღს იწვევდა ევრო-

პული ცივილიზაცია, რომელიც მრავალი საუკუნეების წინ წაიღეს ევროპელებმა აქედან, და ახლაც სახითუბრუნდებოდა უკან.

— შეხედეთ!.. — მითხრა ევენმა, — თეთრკანიანები მარტო ჩვენ როლი ვართ!

„უცხოელთა ლეგიონის“ რამდენიმე მთვრალი ჯარისკაცი საროსკიპოთა უბნისკენ მიბარბაცებდა. მათი გამხდარი და მზისგან გამაფებული სახეები მოწმობდა, რომ მათ მრავალი ლაშქრობა ჰქონდათ გამოვლილი ატლასის მთების კალთაზე მაროკოელ ტომებთან „დასაშოშმინებლად“. ჩვენც მათ გაუყვეით. მიხვეულმოხვეულ ხეულ ქუჩებში ღია კარების წინ როსკიპები იდგნენ. ბევრი მათგანი ჯერ კიდევ ბავშვი იყო.

როდესაც ოტელში დავბრუნდით, მსახური არაბი ჩვენ ოთახს ალაგებდა. არაბმა აიღო ცოცხი და წასვლა დააპირა.

— მოიცადეთ, ერთად წავისაუბროთ! — შევთავაზე მე მას.

არაბის შეგვერემან და სანდომიან სახეზე განცვიფრება აღიბეჭდა.

— გმადლობთ! — მწარედ გაიღიმა მსახურმა. — გეტყობათ ახალი ჩამოსულები ხართ და არ იცით, როგორ უნდა მოექცეთ არაბები.

— როგორ? — ერთად წამოვიძახეთ ორივემ. მსახურმა ეჭვის თვალით შემოგხედა, ვერ გადაიწყვიტა, გაიგრძილებინა ლაპარაკი თუ არა, შემდეგ ეტყობა, მასში შეურაცხყოფისა და სიბუღილის გრძნობამ სძლია სიფრთხილეს და განავრძო:

— თქვენ ჯერ კიდევ არ იცით?! არაბებს ისე უნდა მოექციეთ, როგორც ძაღლებს!... ხომ გესმოდათ წელან, რა ვითხრათ ჩემმა ბატონმა. ეს კიდევ რა არის? ჩვენ, არაბებს, არა გვაქვს უფლება იქ შესვლისა, სადაც ფრანგები დღიან. როდესაც გვემინ, ჩვენ ჩუმად უნდა დეყოთ, თუ გვაგინებენ, მოთუმეტეს. ვასამრჯელოდ ჩვენ მხოლოდ კუთვნილის მეათედს გვაძლევენ. მხოლოდ იმიტომ, რომ არაბები ვართ!.. ჩვენს საკუთარ ქვეყანაში მაშინაც უნდა დავლუმდეო! — სიჩუმე ჩამოვარდა. ჩვენ შეგვერცხვა.

— ღიახ! — განავრძო მსახურმა, — ფრონტზე საფრანგეთის დასაცავად მოწინავე ხაზზე კი ჩვენ გვირგებია.

— თქვენ, ალბათ, ძალიან გძულთ ფრანგები, არა? — საკმაოდ უტაქტოდ წამომცდა მე.

— საფუძველიც აქვთ ამისათვის! — აღელვებით ჩაურთო ექენმა.

— ფრანგებიც არიან და ფრანგებიც! — აღმოსავლური მედიდურობით გაუსწორა მსახურმა და კარების ფრთხილი მიხურვით ოთახიდან გავიდა.

შემდგომმა დღეებმა სამუშაოს უშედეგო ძებნაში გაიარა. ჩვენ ნომრის ქირას ვერ ვიხდიდით და სასტუმროს პატრონმა ოთახიდან გავგვადო. გათენიდან დაღამებამდე დაიხიებით განდევარძობდით ალყირის ქუჩებსა და მის განაპირა უბნებში წაწაღს.

ასე ვადიოდა დღეები და კვირეები!... საბოლოო თვის შემდეგ უმუშევრები კვლავ განდევარძობდით სამუშაოს ძებნას, რადგან ჯერ კიდევ პირში სული გვედგა.

საერთოდ, არ არის მართალი, როდესაც ამბობენ, ადამიანი შიშვითი-საგან მოკვდავია!... ეს არასოდეს, დიას არასოდეს არ ხდება! თუ ადამიანები იხოცებიან, ეს ხდება სრულიად სხვა მიზეზით, ვიდრე შიშვითით. ამას მე და ეყვი ვადასტურებთ, რაღა თქმა უნდა, თუ დაუჯერებთ ჩვენს გამოცდილებას. აი, მაგალითად: როდესაც ლარიბი არაბის ხის კავით მოხსნულ პატარა მიწის ნაგლეჯზე მოსავალი არ მოდიოდა, ხოლო მდიდარ ფერმერ-კოლონიზატორებს ურიცხვი ჰექტარებიდან აღებული მარცვლეულით ბეღელი გაჰყავდა აქვთ და მის გასაყიდად ხელსაყრელ დროს უცდიან, ამ დროს, ახლომასლო სოფლის მცხოვრებნი შიშვითით კი არ იხოცებიან, იხოცებიან იმის გამო, რომ მათი კლუბი ვერ იხელუებს იმ ბაღახ-ბულახს, რომლითაც ისინი იკვებებიან და რომელსაც ფერმერთა ცხვრები და ძროხები ასე კარგად იხელუებენ... ან იხოცებიან რაიმე ებიდემიით, რომელიც მათ-და საუბედუროდ საიდანაც განიღებდა ხოლმე.

იგივე ითქმის ქალაქის უმუშევართა შესახებ. ასეთი ხალხი ან თავის საკუთარი ჰამრებით იხრჩობს თავს, ან დატრამევიან ქვეშ ვარდება. — ეს დამოკიდებულია მათ ხასიათზე! ზოგჯერ ასეც ხდება, რომ უმუშევარი ლამის 2 საათზე თავს დაესხმის ვინმე სქელაბაბიან კარგად ჩაცმულს, რომლის ღიბს ოჭრის

ძეწკვი ამშვენებს; ასეთ შემთხვევაში თავდასხმის „მოყვარულს“ შემოსილების სცენის გათამაშება თითქმის ყვერსინოდეს ვერ უხერხდება, რადგან მას პროფესულობა და ოსტატობა აქვია; ამ სცენის ებილოგი საპოლიციო უბანში გათამაშდება ხოლმე ისეთი რეკვიზიტის მეშვეობით, როგორიც არის მისუტები, ჩექმები, და კეტები, ხოლო მისი ცხოვრების ფარდა კატორაში გაგზავნისთანავე ეშვება; ისე რომ, ასეთი ადამიანიც შეიძლება მკვლად იქნას ჩათვლილი.

არც ქალები წარმოადგენენ გამოჩაღლის. მაგალითად, თუ წერილშვილიანი დედა დაადგება პროსტიტუციის გზას და ქლეკით, ან ვენერიული სენით დაავადებულს საღმე რომელიმე საავადმყოფოში აღმოხდება სული, არასოდეს ასეთ შეუსაბამობას არაიენ იტყვის — რომ შიშვითისაგან მოკვდავია. პირიქით, როცა ასეთი შემთხვევა ძლიერ ხშირია და რომელიმე ეურნალისტი ვაბედაფს და დაწერს ამის შესახებ, მაშინ სხვა გაზეთებში მსწრაფლ გამოვა ვინმე „სწავლული“ და დაიწყებს მტკიცებას: პროსტიტუცია აიხსნება მოსახლეობის გარკვეული ნაწილის ბუნებრივი ეტოლოგიით გახრწნილებისაგან და კერძოდ ამა თუ იმ ინდივიდუუმის ფარული მეტავიდრუობით გამოწვეული პათოლოგიური მდგომარეობით.

ერთი სიტყვით, მე და ეყენს, არცერთი შემოთთქმული მიზეზით არ გვინდოდა სიკვდილი მიუხედავად იმისა, რომ უმუშევრები ვიყავით. ჩვენ გონებაში შეუპოვრად ეცდილობდით გამოგვენახა ნაკლებ სახიფათო გამოსავალი. აი, მაგალითად: ზოგიერთი უმუშევარი ქველს სტყორცნის რესტორნების ვიტრინას, რომლის იქით ბენდირთი ხალხი აშკარად მიიროთმევს საუცხოო საქმელებს; თუმც ამით, მათ რამდენიმე წნით ჰამის მადა ეკარგებათ, მაგრამ ქვის მშიერ მტყორცენს, პირადად, ამით არავითარი სარგებლობა არ აქვს. სხვები მალაზიებში დასტაკებენ ხოლმე ხელს დახლზე ძეხვს, ან დოშის ნაპერს და სახლისაგან გარბიან. სადაც მათ მშიერი ბავშვები და გამხდარი და დაღონებული ცოლი მოელით.

მაგრამ ასეთ შემთხვევებშიც საქმე ცუდად თავდება: „მტაკებელს“ ყოველთვის წამოეწევა სქელი მეღუმენი და პოლიციელის წყალობით უბანში მი-

ათრევს. მე თვითონ ვიყავი მოწმე, როდესაც ერთ ასეთ „პატიოსან“ კომერსანტს, ცალი ხელი „მტაცებლისათვის“ ჩაევლო, ხოლო მეორეთი მოტაცებულ ძვლიანი ბარკალი ეჭირა, რომლითაც ბევრჯერ „საზოგადოებისათვის სამიმულეიტს“. იგი ლამობდა „მტაცებლებისათვის“ თვალი ძვლით ამოეგდო და იმავე დროს ღრიალით უხმობდა პოლიციას. ლუკმაპურის ასეთი წესით მოპოვება მე და ექვნი უარყვავით ენჭისყრის გარეშე, იმიტომ კი არა, რომ ჩვენი ფეხების სისწრაფის იმედი არა გვქონდა, პირიქით, იმ დროს ორივე სრულიად დარწმუნებულები ვიყავით, რომ ნახევარი ბარკალით ხელში, ჩვენ შეგვეძლო რბენაში მსოფლიო რეკორდის დამყარება. არამედ იმიტომ, რომ ამის ჩადენა შეიძლება მხოლოდ მაშინ, როდესაც შინ მშვიერი შვილები მოგელიან, ჩვენ კი, ჩვენდა საბედნიეროთ, შვილები არ გავგაჩნდა. ამრავალ ვცდილობდით გამოგვეჩაბა ყველა ჩვენთვის ცნობილი საშუალება ფულის საშოვნელად, როგორც, მაგალითად: სიმღერა, ქუჩაში გამვლელობისათვის ფანქრების შეთავაზება, ქვაფენილზე ცარცით ხატვა, ანდა ტროტუარებზე ბოთლის ნამსხვრევების დაწყობა და მათი ღრღინა, შემდეგ ამ ნამსხვრევებით პირგამოტენილი, ქუდით ხელში მაყურებელთა ჩამოვლა, მთელი შესაძლებლობით გმინვა, ერთდროულად იმ მოძრაობის ჩვენება, რომ თქვენ ამას ჩაყლაპავთ და მაშინ შეიძლება ორიოდ გართვი გიწყალობოთ; მაგრამ რადგან მაყურებელთა მეტი ნაწილი ელის მთავარს, თქვენ, უმუშევარმა „ჯადოქარმა“, მთელი თქვენი მსახიობური ნიჭი უნდა გამოიყენოთ — დაიკრიხოთ, თვალთბინაბოთ, ხელები ყელში წაიჭიროთ, საშინლად დაიდრთოთ და ჩაყლაპოთ მაყურებელთა საამებლად. შემდეგ, ქუდით ხელში, გაღებული გასისხლიანებული პირით, კვლავ ჩამოუაროთ მაყურებელს და უმტკიცოთ, რომ ყველაფერი პირნათლად გადაყლაპეთ. და კვლავ სთხოვოთ ფული.

მარსელიდან წამოსვლის წინ მე ვნახე ერთი კაცი: კოვზით ცემენტს ყლაპავდა და ზედ წყალს აყოლებდა. საულ ერთი კვირის წინათ კი, ჩვენ ორივემ წავიკითხეთ გაზეთში, რომ ჩიკაგოში ერთმა იტალიური წარმოშობის ამერიკელმა ათ დოლარად სამართებელი ჩაყლაპა და მეორე დღეს „მოთ-

ლონელი გარემოების“ გამო გარდაიცვალა. მეორე გაზეთი კი შემდეგს იუწყებოდა: „უმუშევარი ისე გაიძლია, საკმელი ვერ მოიხილა და გარდაიცვალა“. იქვე მოთავსებულ იყო იმ ამერიკელის სურათი, რომელიც ასე გულუხვად გაუმასპინძლა უმუშევარს. მას ხელში მიცვალებულისათვის ყვავილების თაიგული ეჭირა. ეს თაიგული მას 50 დოლარი დაუჯდა, მაგრამ ეს უკვე პირადი რეკლამის ხარჯები იყო!

ამერიკა, როგორც ყოველთვის და ყოველგან, აქაც ამყარებდა რეკორდებს. არა... არცერთი ეს საშუალება ჩვენთვის შესაფერი არ იყო. მე განვატყაბდე, სიკვდილის შემდეგ რეკლამას ახლა ნახევარი კილოგრამი პური მირჩევნია მეთქი!

ექვნი სდუმდა, შემდეგ მას თვალუბის ბრწყინვალეებზე შევატყვი, რაღაც გამოსავალი რომ იბოვნა.

— რა?.. რაიმე იღვა მოგივიდა თავში? — გულად მოვითმინე მე.

— მაშ მშვიგრები ხომ არ დავიხობციბით?! — შორიდან დაიწყა მან.

— რაღა თქმა უნდა, არა? — ვუბასუხე მე. — მართალია სამი დღეა პირში ლუკმა არ ჩაგვსვლია, მაგრამ ხომ არიან ციხეებში ადამიანები, რომლებიც შიმშილობას აცხადებენ და 40 დღე არაფერს სჭამენ.

— სისულელეებს ლაპარაკობ. — მომიჭრა ექვნიმა ისეთი ადამიანის უბირატესობით, რომლის თავში დაბადებული იღვა არა ნაკლებ 20 სადილი უნდა დიჩრებულყოთ.

— მათ შიმშილს მიზანი აქვს, ჩვენსას რა?

უნდა ითქვას, რომ ექვნი ჩემზე უფრო სტოციკლისუნარიანი აღმოჩნდა და მე მის იღებებს ანგარიშს ვუწვიედი. გარდა, სადაც ჩვენ ძილის ნება გვეძლეოდა, ექვნიც ამოიანინა. ექვნი დარაჯს მანქანების რეცხვაში ეხმარებოდა და ამით მოიგო მისი გული.

ექვნი მაშინვე ერთი ბრწყინვალე აზრიც მოუვიდა თავში. იგი მანქანის დასაჯდომის კუთხეებს ათვალთვრებდა და ხანდახან იქ ავტოსპორტის მოყვარულთა ჯიბეებიდან დაცივიწულ შავ ფულს პოულობდა. ეს ჩვენ ზოგჯერ პურის ყიდვის საშუალებას გვაძლევდა...

— ეს როგორი კომბინაციაა... პატიოსანია? — შევეკითხე მე.

— რაღა თქმა უნდა, პატიოსანია! ოღონდ მოიცა, ნუ მაწყვეტინებ. აგერ, ხედავ იმ ცისფერ მანქანას? ის ეკუთვნის ერთ ოცდახუთი წლის უსაქმურ ახალგაზრდას, მილიონერის შვილს, მამისი თითქმის ყველა აქაური წისქვილებისა და მაკარონის ფაბრიკების პატრონია. აი მაგ ლაწირაკს, თავისთავი სპორტსმენი ჰგონია, ყოველ სამ-ოთხ თვეში მანქანებს იცვლის. აქვს საკუთარი მოტორიანი ნავი. ერთი სიტყვით, მე ისეთი შთაბეჭდილება შემექნა, რომ მართალია, ისიც „უმუშეგარი“, მაგრამ ჩვენზე უკეთესად იცავებდა.

— მე ცოტა უფრო ჰკვიანად გთვლიდი, ეყენ!

— მოიცა, მათქმევიანე ბოლომდე!.. ჰო და, მე ისეთი რამ მოვიფიქრე რომ სამუშაოს შოვნამდე იოლად წავიდეთ.

— ეყენ! შენ შიმშილი გამოიღებს, უსათუოდ რაღაც უნდა შექამო წადი, წყალი მაინც დლიე, ეს უფასოა!

ჩემმა მეგობარმა გაიღიმა.

— ალეხი, ასე უძახიან ჩვენს მხსნელს, ყოველ დილით თავის მანქანით, საბანაოდ მიემგზავრება. გარაჯიდან მანქანა მთელი სისწრაფით გამოჰყავს და მხოლოდ აი იქ, ამუხრუჭებს, გარაჯის გვერდით დაქანებულ მოსახვევში. აი, სწორედ იმ ადგილს, წინ დავუდებ ჩემს ფეხს, ან სხეულის სხვა რომელიმე ნაწილს. შემდეგ ვაიძულებთ ფული გადაგვიხადოს. გესმის? ის უსათუოდ გადაგვიხდის. ხომ იცი, რომ ექიტლების მთელი ჯგუფი მხოლოდ იმითი ცხოვრობს, რომ დახარალებულის დაცვაში ორმოც-ორმოცდაათ პროცენტამდე იღებს. ეს ნაღდი საქმეა.

— მე აღმაშფოთა ეყენის წინადადება.

— რამ მოგაფიქრა ეს?

— ეს კერძო ინიციატივაა! — რაც შეიძლება მეტი დამაჯერებლობით მიპასუხა ეყენმა.

— არა, მე ამის ნებას არ მოგცემ!

— შენ უკვე თავს იცნობი პიროვნების თავისუფლებას! — ჩვენი მეგობრობის განმავლობაში პირველად აუწია ხმას ეყენმა. მე დახეუქე თვალები და წარმოვიდგინე ცისფერი მანქანა, საქვსთან მჯდომი გამოწყობილი ბიჭი და მის მანქანის ქვეშ ძვლებდამხსერეული და დასაჩხრებული ჩემი მეგობარი.

— არასოდეს არ დაუშვებ, რომ ორიოდ ფრანკის გულსათვის სხეული დაიზიანო. — წამოვიყვირე მე.

— რაო? — შესძახა ეყენმა. — სხეული ჩემია და არ დაგვიწყდეს, რომ კერძო საკუთრება წმინდა და ხელმეუბნებელია ამიტომ მე მას რთვორც მინდა, ისე მოვიხმარ!

— არა, ეს არასოდეს არ მოხდება!

— არა, ეს მოხდება!

ჩვენი სერიოზულად წავიხზებთ; ეყენი გარაჯის მეორე კუთხეში მდგარ მანქანაში გადასახლდა და აღარ მელაპარაკებოდა, თუმც ჩემი საწოლი მანქანის დასაჯდომზე, რამდენიმეჯერ დამხვდა ეყენის მიერ ჩემთვის დატოვებული ქაღალდის მიხვევული პური, და რამდენიმეჯერ მეც ასევე მოვიქეცი.

იმ დაწყევლილ მოსახვევთან ყოველ დილით ველოდებოდი ცისფერ მანქანას, რათა ეყენისათვის არ მიმეცა საშუალება აესრულებია თავისი განზრახვა. შემდეგ კი მართლად დავწაწალობდი, რაიმე სამუშაოს საშოვნელად.

იმ დღეს გარაჯის დარაჯს ვეხმარებოდი, ცისფერი მანქანის დასახვევლად გასვლა დამგვიანებოდა. ამის შესახებ მომაგონა გარაჯიდან გამოსული მანქანის მოტორის ძლიერმა გუგუუნმა. შევივით გამოგვიარდა ქუჩაში, მაგრამ უკვე გვიან იყო: — ცისფერ მანქანას ის იყო უნდა გადაეხვია, რომ ამდროს კუთხიდან მოულოდნელად გამოჩნდა ეყენი. მან მანქანის წინ რაღაც რთული მოძრაობა გააკეთა. აჭრიალდნენ დამუხრუჭებულ მანქანის ბორბლები და ასფალტზე რეზინის შავი კვალი დასტოვეს. ალენმა საჭის სწრაფი მობრუნებით გვერდით ჩაუქროლა ქანდაკებასავე მდგარ და უკან-თავდაღწეულ ეყენს, ტროტუარზე აიქრა და გაჩერდა. ეს ყველაფერი დიდის სისწრაფით მოხდა; რაც შემდეგ ენახე, არც მას დასჭირებია ბეჭერი დრო. მანქანის კარებიდან გადამოხტა ლამაზ სეიტერში გამოწყობილი ალენი, მუშტის ერთი დაკვრით გაშხლართა ეყენი მიწაზე, მანქანაში ჩაჯდა, ელვისებური სისწრაფით დაახეიწა უკან, შეაბრუნა და ვიღრე მე მივიარებენდი, ის უკვე შორს იყო.

საბრალო შესახედაობა ჰქონდა ეყენს, როდესაც წამოდგა და ტანისამოსს იბერტყავდა. მე კი იმით განარებული, რომ ჩემი მეგობარი გადარჩა, ეცდილობდი მეხუმრა და დამემშვიდებინა, მაგრამ მეგონი პირიქით გამომდილიდა.

— წამოდი, წამოდი, წავიდეთ! — ეუბნებოდა მის. — ხომ ხედავ, კერძო

ინიციატივა ყველასათვის არ არის დი-
დი შემოსავლის წყარო.

ეყენი, ნაცემი ძალღივით, უკან მომ-
დევდა.

— მთავარი ის არის, რასაკვირველია,
რომ შენი კერძო საყუთრება, რომე-
ლიც წმინდათაწმინდა და ხელშეუხებე-
ლია — შენი სხეული — უვნებელია.
სამუშაოს კი ვიშოვით! — არ გყუჩდი-
ხოდი მე, მაგრამ ეყენი მაინც სდუმდა.
მხოლოდ დამე, დიდ მანქანაში, მის შემ-
დეგ, რაც იგი კვლავ ჩემთან გადმოსახ-
ლდა, სულ ერთთავად ოხრავდა, კბი-
ლებს აკრატუნებდა და ბურტყუნებდა,
რომ ყველა მილიონერის შვილს და,
მათ შორის — პირადად ალენს, სამა-
გიეროს გადაუხდოდა.

— შენც იპოვე რაღა „საარსებო სა-
შუალება“ თუ კი შეგეძლო ასეთი
რთული მოძრაობის საბალეტო ფიგურ-
რების შესრულება, რასაც შენ მანქანის
წინ აკეთებდი, ოპერაში შესულიყავი,
ანდა მიგეცა გაკვეთილები კრიგში და
გეჩვენებინა, თუ როგორ უნდა მიუშვი-
რო საკუთარი ნიკაბი სხვის მუშტს!

ეყენი დაჟინებით სდუმდა. მე გაეყა-
ვი მანქანის ფანჯარაში ფეხები და და-
ვიძინე.

დილით ეყენი მანქანაში არ დამხვდა.
ჩემი ყურადღება საქმზე მიკრულმა პა-
ტარა ბარათმა მიიპყრო. „მაპატიე და
მშვიდობით! მუდამ შენი მეგობარი
ეყენი ეანტუ“. ეწერა ქალაღდზე.

ხდება ხოლმე ცხოვრებაში ისეთი
რამ, რასაც შენ თავს მთელი სიცოცხ-
ლის განმავლობაში არ აბატებ! როგორ
ვიწყებდი თავს მთელი იმ დღეების
განმავლობაში, ვიდრე ეყენს ვიქებდი!
როცა დაერწმუნდი, რომ ეყენი ალერს-
ში არ იყო, საშინლად შეგწუხდი.
ასეთი დიდი მწუხარება შეიძლება ჰქონ-
დეს მშვიერს და ყველასათვის ზედმეტ
ადამიანს.

დადა შემოდგომა, ქალაქი ტურის-
ტებით აივსო და გამოცოცხლდა. მე
უკვე ვშოულობდი დროებით სამუშა-
ოებს, ვბურტყავდი ხალიჩებს, გამყავდა
ელექტრონი, ვრეტყავდი მანქანებს...
და ჩემდა მოულოდნელად მუდმივ სა-
მუშაოზეც მოვეწყვე.

ეს ასე მოხდა:

ერთხელ დილით, ქალაქის გარეთ შე-
სანიშნავი ვილის გვერდით მივდიოდი.
ამ დროს საცმაოდ ცუდად ჩაცმული

ხალხის ჯგუფი შევნიშნე. მე სწრაფად
ჩავდექი რიგში და მხოლოდ ამის შემ-
დეგ ვკითხე რაში იყო საქმე. ამ დღე-
ში ევროპელი შოფერი სქირდებოდათ.
სამუშაოს მიღების იმედი თითქმის არ
ქმონდა. რიგით 71-ე ვიყავი და პრე-
ტენდენტებიც თანდათან მატულობ-
დნენ.

ვილის აივანზე მსუქანი, ბავშვივით
ვარდისფერ სახისკანიანი მოხუცი გამო-
ვიდა და გასასყიდ ცხენებივით დაგვიწ-
ყო თვალთერება. ასე თხუთმეტიოდი
წუთი გაგრძელდა. შემდეგ იგი სალაც
გაქრა და ჩვენთან მალალი, წარმოსადე-
გი მეტრლოტელი გამოვიდა. ათი კაცი
ამოიჩნია, რომელთა შორის მეც მოგ-
ყავი.

მე შევატყე, რომ მეტრლოტელმა
ჩვენ სიმაღლის მიხედვით ამოგვიჩნია.
შემდეგი ჩვენი გადარჩევა დიდ გარაჟში
მოხდა, სადაც იდგა შესანიშნავი მანქა-
ნა. ჩვენი წინამორბედი შოფერის ტან-
საცმელი მხოლოდ სამ ბედნიერს მოგ-
ვეროს ტანზე. დანარჩენები თავჩალუ-
ხულები უკან გაბრუნდნენ. ჩვენ სამი-
ვენი კი ვიდექით, ვიცდიდით და ვცდი-
ლობდით ერთმანეთისათვის არ გვეცქი-
რა. საბოლოო ბედი შოფერის ქულმა გა-
დასწყვიტა. იგი მარტო მე მომერგო
თავზე. ასე დაიწყო შოფრად მუშაობა.
ჩემი შეპატრონე გემების მფლობელი
და გავლენიანი პოლიტიკური მოღვაწე
იყო. მე აგრეთვე ისიც გავიგე, რომ იგი
თავის პოლიტიკურ მრწამსს ხელთათმა-
ნებივით იცვლიდა, მაგრამ სამაგიეროდ
ყოველთვის მტკიცედ და ურყევად რჩე-
ბოდა დიდ არამზადად.

რა საჭიროა აღიწეროს ყველა ის დამ-
ცირება, რაც წილად ხვდება ხოლმე
შოფერს. შემშიძლი ვთქვა მხოლოდ ის.
რომ აფრიკაში ყველაზე საშიში და ავი
მხეცი კვლავ ფულიანი ადამიანია, მაგ-
რამ ყველაზე მეტად მაინც გემთამფლო-
ბელის ქალიშვილმა დამამცირა. ეს იყო
ჩემი მათთან მუშაობის დაწყების ერ-
თი თვის შემდეგ. დერეფანში იატაკს
ვწმენდი (ეს შედიოდა ჩემს მოვალე-
ობაში, ისევე, როგორც ორი გაფხნთუ-
შებული ძაღლის ყოველსაღამოს გასე-
ირება) ჩემმა დიასახლისმა შეწყვიტა
მასლაათ ვერანდაზე მჯდომ ორ ფუქ-
სავატ ქალთან და ხმამალა მიმართა
აბაზანაში მობანავე თავის ქალიშვილს.
დერეფანში ტანზე მოუხურავი არ გა-
მოსულაყო.

— მანდ დერეფანში მამაკაცია! — უთხრა ქალიშვილს.

— მამაკაცი? იგი მამაკაცი კი არა შოფერია! — უპასუხა ქალიშვილმა.

მე კი წარსულში ინჟინერმა და სპორტსმენმა, ახლა კი მხოლოდ შოფერმა და „არამამაკაცმა“ საშინელი დამცირება ვიგრძენი.

ეყენის ძებნას დაეინებით განვაგრძობდი, მაგრამ უშედეგოდ. გარაჟის დარაჯს, თუ კი ეყენის შესახებ რაიმეს გაიგებდა, კარგ ჯილდოს შევპირდი, ამიტომ რეგულარულად ვეკითხავდი ხოლმე. ერთხელ დარაჯმა მითხრა:

— ვილაც ახალგაზრდა არაბი მოვიდა ველოსიპედით. შენი მისამართი მივიცი, მან კი ეს წერილი დაგიტოვა!

წერილში ფული იყო და რამდენიმე სიტყვა ეწერა: «დავიწყე მუშაობა. გიგზავნი ჩემი პირველი ხელფასის ნახევარს. მაგრად იყავი! შენი მეგობარი ეყენე ენტონი».

სად, და რას მუშაობდა, ჩემთვის საიდუმლოდ იყო დარჩენილი. ვერ შევძელი გამოგზავნილი ფულის უკან დაბრუნება.

კიდევ რამდენიმე თვე გავიდა. წვიმიანი და ქარიანი ზამთარი დადგა. პორტში მუშების გაფიცვა თვეზე მეტს გრძელდებოდა. ჩემი ბატონის ვილაში ვილაც ბნელი პირები დაიარებოდნენ, გაფიცულთა ადგილზე შტრიეკბრეჩერებს აწყობდნენ, მაგრამ ამაოდ. დოკუმენტები შედგურად იდგნენ. გაბრაზებული ბატონი მთელ თავის ჯაგრს მსახურებზე იყრიდა და ყველაფერზე გეტუქსავდა. ერთ საღამოს მიბრძანეს შეშა და შეჩეხა და ლუმელი გამეხურებინა. ეზოში შემას ვჩეხავდი, რომ ჭიშკარზე მომდგარი ახალგაზრდა არაბი შეეამჩნია. მას ერთ ხელში ტალახში ამოვანჯღლეული ველოსიპედი ეჭირა, ხოლო მეორე ხელს მიჭნევდა. მივხვდი, რომ ეყენის გამოგზავნილი იყო, სწრაფად მივირბინე მასთან.

— ეყენისგან ხარ?

— არა, ლექტორ ბენ-იამინასაგან. ეყენისაგან, ეყენისაგან! — დამიქნია თავი, როდესაც შემატყო გულგატეხილობა.

— თქვენ საჩქაროდ უნდა წამობრძანდეთ!

— სად?

— დელისში! არ იციო? პატარა პოტია აქედან 100 კილომეტრზე. ეყენი

იქ არის. ოღონდ უსათოოდ ახლავე!... ეყენი ცულადა!

— რა დაემართა?! — უპასუხა ეყენს.
— ცულადა, ძალიან ცულად, უნდა ინჭართო! მაგრამ ხვალ დილაშე ავტობუსი რომ არ იქნება?

მე დავიბენი, მივირბინე ჩემს დიასახლისთან, მას პასიანსი ჰქონდა გაშლილი.

— საჩქაროდ დელისში უნდა წავიდე. მეგობარი მყავს ძალიან ავად.

— ლუმელი გაახურეთ? — მომმართა მან მკაცრად, ისე რომ არც შეუხედავს ჩემთვის.

— ვთხოვთ ჯამაგირის ანგარიშში ცოტაოდენი ფული მომცეთ. მე ხომ მალე თვე შემისრულდება იმის ნახევარი მაინც მომეცით, რაც მერგება!

— ფულს თქვენთვის ბოლოს მიიღებთ. გაახურეთ ლუმელი და მოამზადეთ მანქანა, „ვირიტეში“ უნდა წავიდეთ!

— მეგობარი მიკვდება, მმა მიკვდება, გესმით?!

— ეგ მე სრულებით არ მეხება, თქვენ დაქირავებული ხართ მაგ პირობების გარეშე.

— კი, მაგრამ! — აღელვებისაგან ენა დამება. სწრაფად მოგტრიალდი და გამოვივდი.

— ხომ ვითხარით მცეცა მეტქი, ახლავე დაანთეთ ლუმელში ცეცხლი! — მომესმა გამოსვლისას დიასახლისის მკაცრი ხმა.

მე არ შემიძლო არ წავსულიყავი. სულერთია სამუშაოს მაინც ვკარგავდი. ამიტომ ფრთხილად გამოვიყვანიე მანქანა. ახალგაზრდა არაბი უკან მომდევდა. შემდეგ, ჩვენ ველოსიპედი ნახევრადლია საბარგო ვანყოფილებაში მოვათავსეთ და დელისისაკენ გვეშურეთ. იმარსა გზა კარგად იცოდა.

— ეყენმა მითხრა, რომ თქვენ ცნობილი ფეხბურთელი მყოფილხართ. მეც ვთამაშობ ფეხბურთს!

— დალაგებით მიაშბე, რა დაემართა ეყენს?

მანქანის შმაგი ქროლვით გაბრუებული, კარებზე ხელჩაქიდებული ომარი მიაშბობდა.

— ბონინიმ, მყვინთავთა არტელის მეპატრონემ, ეყენი ჯერ უბრალო მუშად, სამაერო ტუმბოს სატრიალებლად აიყვანა. ნავსადგურის წყალქვეშა კედელს აკეთებდნენ, მერე როდესაც ერთმა მყვინთავმა ხელი დაიშავა და სისხ-

ლი მოეწამლა, მისი ადგილი ეყენს მინცეს. — ომარმა სიცილი დაიწყო. — რა სასაცილო იყო იცით? მას აღუხსნეს თავისდახრით როგორ უნდა გამოეშვა ნამუშევარი ჰაერი, ჩააცვეს კოსტუმში, ჩამოაცვეს ჩაფხუტი. ჰაერის გამოსაშვებად ეყენებოდა ჯეგირთან თავი რამდენჯერმე დაიქნია და შემდეგ კიბეებით წყალში ჩასვლა დაიწყო. ჰო, და ჰაერის გამოშვება კი დავიწყებოდა. ერთი წუთის შემდეგ ბუმტითი გაიბერა და წყალში წელაპირზე თავდაყირა ამოისროლა. მე და მამაჩემი ჰაერს ექაჩავდით და კინალამ სიცილით დავიხოცენით! — ომარმა პატარა ბავშვივით გადაიკისკისა. შემდეგ უცებ გაჩუმდა და სერიოზულად თქვა: — ახლა კი ექიმში ბენიამინა ამბობს, რომ არ გადაარჩება.

— რალს აგრძელებ. თქვი რა მოუვიდა?

— ეყენი კარგი მყვინთავი დადგა. მას აღრევე კალატოზობა სჯოდნია და ეს კი მთავარი იყო. ყველაზე მთავარია, რასაკვირველია, რომ შემდეგ ის მამაჩემითი კომუნისტი გახდა. საბრალო მამაჩემი იტყოდა ხოლმე, რომ ეყენი პატიოსანი და კარგი ფრანგიყო. ნამდვილი ამხანაგაყო.

— რატომ არის მამაშენი საბრალო? — შევეკითხე მე ომარს.

— მამაჩემმა და სხვა არაბებმა ოცოცი წელი მიიღეს. ტყვიის მღარობაში კი კატორღელი 4 — 5 წელზე მეტს ვერა სძლებს. — ომარი წამით ჩაფიქრდა და შემდეგ განაგრძო: — მამაჩემი და ეყენი გაფიცვის ხელმძღვანელები იყვნენ, გემები, რომლებიც ალყირში გაფიცვის გამო ვერ განტვირთეს, აქ მოიყვანეს. მაგრამ აქაც გაიფიცენ მტვირთავეები. ისინი დააბათიმრეს და სცემეს. მამაჩემს იქვე ნავსადგურში მკლავი მოსტეხეს, ეყენი კი, მკვდარი ეგონათ და დასტოვეს. თქვენ რომ გენახათ, ვიდრე დაეცემოდა, რა მედგრად იცავდა თავს ეყენი, მაგრამ პოლიციელები ბევრნი იყვნენ. ეყენს თირკმელები და ფილტვები ჩაუჩიქავეს.

ჩვენ უკვე დელისში შევდიოდით. პატარა ქალაქის ქუჩები ოდნავ განათებული იყო. საღლაც შორს, დაბლიდან, ისმოდა აბობოქრებული ზღვის ყრუ ხმაური. მანქანა პატარა გარაჟში გავაჩერეთ და ქვევითკენ გავეშურეთ. საღლაც დაბლა, ბინდბუნდში სრულიად ცარიელი ნავსადგური მოჩანდა. დიდი

დელის ფერდობზე არაბების ქონებრივთ ახუნძლული. ზოგჯერ კარების ხერვლიდან კვარის შუქი გამოკრთობდა და ზოგჯერ ბავშვის ტირილი მისმისდა. ჩვენ მივეახლოვდით ერთ-ერთ პატარა ქოხს და მივეუკაცუნეთ. კარები გავეილო ევროპულად ჩაცმულმა, ახალგაზრდა არაბმა ქალმა. ომარმა არაბულ ენაზე მას რაღაცა უთხრა.

— დაბრძანდით, დაიცადეთ, მას სძინავს, ჩემი ქმარი კი ავადმყოფთანაა წასული ჩვენთან აქ ხუნავის ებიდეშიაა, აქ ექიმში, მხოლოდ ჩემი ქმარია.

— მე არა მძინავს, არა მძინავს! — მოისმა მეზობელ ოთახიდან მისუსტებული ხმა. მე იქით გავვიღი.

— ეს შენა ხარ! — მან მხოლოდ ამის თქმა მოახერხა, სცადა აეწია თავისი გრძელი და გაძვალტყავებული ხელი, მაგრამ ვერ შესძლო. მე გვერდით მივეუჯემი მას, ხელში მეჭირა მისი ხელი და სიტყვის თქმას ვერ ვახერხებდი. ეყენს ხველა აუტყლა. ექიმის ცოლი შემოვიდა, თავქვეშ ხელი ამოუღო, გასისხლიანებული ტუჩები მოსწმინდა და კვლავ უკან გაბრუნდა.

— როგორა ხარ, ხომ კარგად! — წავილულულდე ეს უადგილო სიტყვები. ვცდილობდი შემეკავებია თვალებზე მომდგარი ცრემლები.

— როგორ მიხარია შენი ნახვა! — ძლივსძლიობით წარმოსთქვა მან და აათამაშა თითები იმის სურვილით, რომ ჩემი ხელისთვის მოეჭირა.

— მეც მიხარია! — ეუპასუხე მე, ვცდილობდი არ შემეხედა მისი გაძვალტყავებულ და გამხდარ სახეზე.

— გახსოვს იმ მილიონერის და ჩემი ამბავი? — შეითხა მწარე ღიმილით ეყენმა.

— პატიოსნებსა გეფიცები, რომ მას კისერს მოუღვრენ. ოღონდ შენ იყავი კარგად, ეყენ.

— არა, იმ ყმაწვილის საწინააღმდეგო შე არაფერი მაქვს... დამოჯერე!.. მე მამის გაბორბებული ადამიანი ვიყავი, რომელსაც არაფერი ესმოდა... ახლა კი...

— თავს ნუ იღლი, ეყენ!

— ახლა კი!... — განაგრძო მან სულის მოთქმით, — ახლა მე ვიცი, ადამიანი რა ძვირფასი და გადაუმყვებელი კაპიტალია... და აუცილებლად საჭიროა... ვიმოქმედოთ ისე, რომ გადავარჩინოთ... შიმშილისაგან სასიცვდილოდ განწირული ეს საცოდავი ხალხი...

— ჰო, ჰო, რათქმა უნდა... შენ მართალი ხარ, ექვნი.

ექვნი ძლიერდევით გაახილა დამძიმებული წამწამები. შემომხედდა და მითხრა.

— შენ კვერს კი ნუ მიკრავ... ეცადე გაიგო... მე ეს უკვე გავიგე და ბედნიერი ვარ... მე მინდა, რომ შენც ვახდე ნამდვილი ადამიანი... მისმენ?

— გისმენ!

— ხომ გესმის? ნამდვილი ადამიანი... ნამდვილი ადამიანი მეთქი, გესმის? — კიდევ რამდენიმეჯერ განიმეორა და დადუმდა. ეტყობოდა ჩაქმინა.

კიდევ დიდხანს ვიჯექი მის გვერდით, მექარა მისი ხელი და ვცდილობდი არ დამერღვია მისი სიმშვიდე. არ ვიცი რა დრომ გაიარა, ფიქრში წავსულიყავი, როცა გამოვერკვიე მხარზე ვილაცის ხელის შეხება ვიგრძენი. ეს ექიმი ბენ-იამინა იყო. ის ავადმყოფს დასცქეროდა. ექვნი აღარ სუნთქავდა.

— იგი ნამდვილი ადამიანი იყო! — თქვა ექიმმა. მისი ცოლი კი უკან იდგა და ქვითინებდა.

— წავიღეთ! — მეორე ოთახში გამიყვანეს.

თავჩაღუნული და სახეზე ხელებშიფარებული ომარი კუთხეში იჯდა. მისი პატარა და გამხდარი მხრები თრთობდნენ.

— ეპ, ერთი მოგვაკლდა, მაგრამ ჩვენ ბევრნი ვართ, ბევრნი! — დაფინებით იმეორებდა ექიმი, ბენ-იამინა. — მაპატიეთ, მე მალე დავბრუნდები... არაბების უბანში საშინელი ეპიდემიაა, ბავშვები ბუზებივით იხოცებიან და შრატით არა გვაქვს! — ექიმი საჩქაროდ გავიდა. მოხუცი არაბი ქალები შემოვიღებენ და შეუღდნენ მიცვალებულის მოვლას. მე გავედი. ბორძივით ზღვისაკენ გავემართე.

— ყველაფერი გათავდა... ექვნი აღარ არის! — თავზარდამცემი ვარაში წვიმასთან და ქართან ერთად მთელ სხეულს ეუფლებოდა...

— არა, ეს შეუძლებელია... ეს მხოლოდ სულელური სიზმარია!... შემდეგ ჩემში სრული უხალისობა და სიცალიერე გამეფდა. მომინდა ძილი, რომ არაფერზე მეფიქრა.. ან და წავსულიყავი სადღაც შორს... შორს...

ძალიან ყველა გამომაფხიზლა. გაილო ზღვისპირთან მდგარი განმარტოებული ქოხის კარი და ვილაცამ ძალს დაუყვირა.

მე დავდიოდი ზღვის ნაპირზე, არ ვაქცევდი ყურადღებას წვიმას და ქარის მიერ ტალღების ქედებიდან მოჩანბერ ზღვის მლაშე წვეთებს... ხანდახან თუთრად აქაფებული ტალღები ჩემამდე აღწევდნენ, გარს მერტყმოდნენ და ხმაურით უკან ბრუნდებოდნენ. ზღვა ტყვიისფერ რუხ ვეშაბევით ჩემს წინ იკლავებოდა და თავისკენ მიხმობდა, თითქოს მეუბნებოდა... „გადმოღვი წინ კიდევ რამდენიმე ნაბიჯი... მომიახლოვდი და ყველა ის პრობლემა, რომლის გადაწყვეტაც შენ ცხოვრებაში ვერ შესძელი, გადაწყდება... რად გჭირდება ბრძოლა, როდესაც შენ ყოველთვის მარცხდები“... მაგრამ აქ თვალწინ ექვნი წარმომიდგა. მისი ხელი, რომლის მალა აწევას ცდილობდა და სიტყვები: — ბედნიერი ვარ. მე მინდა, რომ შენც ვახდე ნამდვილი ადამიანი... — ნუ თუ იღვას შეუძლია მომიკვდავი ადამიანიც გააბედნიეროს?

ჩემს წინ, ანახდეულად, მოჩვენებასავით აღიმართა ქარისაგან თუთრწვერებაშილილი არაბის სილუეტი. მე დიდხანს ვუცქერდი მას, ვცდილობდი შემეცნო, რას ნიშნავდა ეს. სილუეტი მომიახლოვდა, რაღაცა წაილაპარაკა, შემდეგ მოქცია ხელი და ბავშვივით თან წამიყვანა.

ძალიან კვლავ ყველა დაიწყო. ქოხში კვამლი იდგა და თბილოდა, მე კანკალმა ამიტანა.

— ეს როგორ შეიძლება, თავის მოკვლის ნებას ალაპი არავის აძლევს! — დარბევით დამიწყო მოხუცმა.

უარის ნიშნად თავი გაეაქნე. იგი განგარძობდა:

— შელო ჩემო, ჩემი დიდი ოჯახიდან მართკი მე დავარჩი. შეილები და შეილიშვილები ყველა დამეხოცა, მე კი ხომ ხელავ ვცოცხლობ. — ზღვისკენ მიმითითა, — ასე არ შეიძლება, ცოდვა, ცოდვა! — განგარძობდა თავისთვის. ვიღერე იგი ციცილთან ფუსფუსებდა და მომიტანა ერთი ფინჯანი ცხელი ყავა. მე დავღვი.

— რამ გაიძულა, შელო ჩემო?! — თენდებოდა. პატარა ფანჯარაში სინათლე ძუნწად იჭრებოდა. მოჩანდა მრისხანე, მღელვარე ზღვა.

— მე მეგობარი მომიკვდა... ძმა მომიკვდა!

— ის ხომ არა, ექიმა ბენ-იამინა რომ მალავდა?

— ჰო, ის!

— ექიმი ბენ-იამინა კარგი ადამიანია, თუმც მას ალაპი არა სწამს!

— კარგია... მან შეიზიზნა ავადმყოფი, ეყენი... ჩემი...

— მიცვალებული და ექიმი ბენ-იამინა ერთ ბრძენი აღმერთებდნენ.. რომელიც იქ არის... შორს, ძალიან შორს!

— არა, თქვენ ცდებით! — ვუპასუხე მე, — ეყენი ასეთი არ იყო!

— როგორ არა, შვილო, ჩემო და კიდევ რამდენი სხვა არაბი... ყველაზე კარგი და პატიოსანი მუშები დაბოცეს ფრანგებმა და ყაიდებმა, იმიტომ, რომ მათაც ის სიძარტლე უნდოდათ, რომელსაც ის ბრძენი ქადაგებს.

— ამას თქვენ ვის შესახებ ლაპარაკობთ?

მოხუცი მიუახლოვდა კედელს, სადაც ეკიდა აქლემის ტყავის ჩანთა და ჩამოხსნა. კედელზე გამოჩნდა გაყვითლებული გაზეთის ამონაჭერი — სტალინის პორტრეტი.

მე ახლო მივხვდი და გამელიძა. მოხუცს სახეზე უამრავი ნაოჭი აუთამამდა. იგი სიამით დღიმებოდა და გამომვლევებულ, უკბილო ღრძილებს აჩენდა.

— მაშ, შვილო ჩემო, ეს არის! — მოხუცმა პორტრეტს ალერსით გადაუსვა თავისი გამხდარი და დახეტქილი ხელისგული. — ის ამბობს, რომ ყველა

ხალხი თანასწორიაო, რომ თეთრებმაც და შავებმაც ერთნაირი ვასამოჯელო უნდა მიიღონო. და აქ პატრონები უნდა ვიყოთ მხოლოდ ჩვენ — არაბები!

მოხუცი თავისდაუნებურად მიხსნილია იმას, რასაც ეყენი სიკვდილის წინ მიუბნებოდა. მე უკვე სხვა ადამიანი ვიყავი, ყველაფერი მესმოდა, მაგრამ რა ძვირად დამიჯდა ყოველივე ეს?

მოხუცი განაგრძობდა: — ჰო, იქ ყველა თანასწორია: ყაიდებიც ისევე მუშაობენ, როგორც სხვები, მათი მიწები კი ღარიბებს დაურიგეს.

შემდეგ იგი რალაცაზე ღრმად ჩაფიქრდა, მოხუცისათვის დამახასიათებელი თავის რხევით მომიახლოვდა, შემომხედა და შემეკითხა.

— ეს როგორაა მაშ იქ, ღარიბები აღარ არიან?!

— თუ კი მიწები დაურიგეს, ღარიბები რალად იქნებიან!

— ალაპი იყოს მისი მფარველი! მოხუცმა გადმოიღო პატარა ფარდაგი, გაშალა და დაიწყო ლოცვა. მე კი ვფიქრობდი:

აი, თურმე როგორ შეიძლება მომაკვდავებაც თქვა, რომ იგი ბედნიერია!... არა, სიცოცხლე... ნამდვილი ადამიანის სიცოცხლე მშვენიერია!...

ბურანში ვიგარძენი: მოხუცმა ფარდაგი დამახურა.

[Faint bleed-through text from the reverse side of the page, including words like 'კარგი', 'მოსწამს', 'აღმერთებდნენ', 'დაბოცეს', 'გამოჩნდა', 'გაყვითლებული', 'ამონაჭერი', 'სტალინის', 'პორტრეტი', 'აჩენდა', 'დასვა', 'ხელისგული', 'დახეტქილი', 'დაურიგეს', 'იქნებიან', 'მფარველი', 'გადმოიღო', 'ფარდაგი', 'დაიწყო', 'ლოცვა', 'მე კი', 'ვფიქრობდი', 'შეიძლება', 'მაკვდავებაც', 'ბედნიერია', 'არა', 'სიცოცხლე', 'ნამდვილი', 'ადამიანის', 'სიცოცხლე', 'მშვენიერია', 'ბურანში', 'ვიგარძენი', 'მოხუცმა', 'ფარდაგი', 'დამახურა']

შინგონსკლალის გეულა



დიდი ხანია ვიცნობ და მხედება
შავი მანდილით, ხორბლისფერ სახით.
თან ახლავს კრძალვა და მორიდება
ყველგან, ყოველთვის, თოხზედაც დახრილს.

ის უსაქმური არ გაჩერდება,
გული აქვს წრფელი, სათუთი, ჩვილი,
მრომაში ტოლებს უკან არ რჩება,
მარტოხელობას არვის შესჩივის.

როცა მოუხმობს საერთო საქმე,
ალიონიდან მინდვრად იჩქარის.
შინ მის ქალობას შორიდან აქებს
მისი ეზო და მისი კიშკარი.

ბაასში ხშირად არ უყვარს ჩაბმა
(ცხოვრებას მისას არ ახლავს ხიწვი),
ათასში ერთხელ მოჰყვება ამბავს
და საუბრისას ენთება, იწვის.

მას მარად თან სდევს კმრის წმინდა ხსოვნა,
ვით გაზაფხულზე კაშკაში მზისა.
მისი სახელით არ უყვარს თხოვნა
და ერიდება ხსენებას მისას.

კმრის ტოლმეგობრებს როცა შეხედავს,
თავსაფრის ყურებს მოიწევს ნელა.
მოერიდება მათთან შეხვედრას,
ჩაივლის, როგორც ციციბათელა.

როცა ეწვევა კმუნვა და დარდი,
და სული სევდით დაუმძიმდება.
დღემილით მივა ოდის კარამდი,
ქუჩაში მაინც არ ატირდება.

შევა ოთახში, ძვირფას კუთხესთან
ფრთხილი ნაბიჯით მიდის, ფითრდება,
ხელში აიღებს საყვარელ სურათს
და ჩუმად, ჩუმად აქვითინდება.

ნიშნად გაწყობილ ხალათს და ქამარს
მორთოლვარე თითებს კრძალვით შეახებს.
ის თითქოს ურჩევს: დაუფრდი, კმარა,
ბავშვს არ უჩვენო მწუხარე სახე.

გაინაბება, შეაჩერდება
ყვავილით სავესე ბატარა სურას.
თმას შეისწორებს და შეცბუნდება,
ბალიშზე დადებს მეომრის სურათს.



შობლიურ გრძობით ეცელება გული,
გამოიცოცხლებს ცივი წყლით სახეს.
გაევა ეზოში, შვილის სახელის
ძახილით სივრცეს შეაცახებებს.

როს პირშო პასუხს გასცემს შორიდან
მოეფინება შუბლზე ნათელი
და თავს ისე გრძობს, თითქოს უეცრად
ხედება განთიადს ლამენათევი.

იცდის უძრავად, ამ მოლოდინში
ეზოს ჭიშკარი სწრაფად იღება.
მკვირცხლი ბიჭუნა მკლავებგაშლილი
დედას ძალუმად ჩაეხუტება.

II

პირშოს ალერსმა გაუთბო გული,
სულის მფერფლავი ჩაუქრო სევდა.
ხმა ვერ გაიღო, დადუმებული
დგას შეილთან ახლოს მზრუნველი დედა.

მდეშარი შობელს შესჩერებია
ფართო თვლებით პატარა გიგი.
დედა კი, დედა ეძებს ოცნებით,
რით გაახაროს, დაატბოს იგი.

მიაგნო, უცებ შეირხა რწმენით,
წარსდგა ნაბიჯი, ასწია თავი.
არა-რა უთხრა ბავშვს ტკბილი ენით,
მხოლოდ მოხვია მარჯვენა მკლავი.

ნიავეს მიაპყრო სახე და გზაზე
ცხრება ნაცრემლი ქუთუთოები.
ორთავეს შუქი ეფრქვევა ტანზე
აყვავებული ატმის რტოების.

შეველენ ოთახში, გიგი დახედავს
წიგნებს და ფრთხილად ერთ მათგანს გაშლის.
მაგიდის ზემოთ ამშვენებს კედელს
დიდი სურათი: ბელადი ბავშვით.

მყუდროებაა, დედა და შვილი
თითქოს დაშორდნენ ერთიმეორეს.
შვილი კითხულობს ჩუმად გაკვეთილს,
შემდეგ თვალხუჭვით გაიმეორებს.

დედა უსმენს და ხმა უწმინდესი
ფრთებს ასხამს, მტკიცედ ამალეებული.
შეხედავს სურათს და სულს უშმეიდებს
ბელადი ბავშვთან გაღიმებულს.

ფიქრით მიმართავს: — ნუ მძრახავ, დარდში
თუ შითრევეს, მებრძვეს უშეგობრობა.
გამზერ და მჯერა: იხარებს ბავშვი,
მას ვერ დაჩაგრავს მამით ობლობა.

ნაქერალს ქალზე

★

შაორის არხი

I

დასაბამიდან რაჭის ქალაზე
 მითარეშობდა შაორის წყალი,
 და მორიდებით უცქერდა გზაზე
 გიქმაე მდინარეს მთა ხარითვალის.

მიაგორებდა ბობოქარ ტალღებს,
 და მერე ხერელში იკარგებოდა.
 და ჩალამებულ კლდეების თაღებს
 ასე, ამოოდ დიდხანს ებრძოდა.

დიდხანს ხარჯავდა ამოოდ ძალას
 და ჩაპბლოდა კლდის ქვაბს მრისხანედ.
 შორს, კი, ნისლეზში, მთა ნაქერალა
 იდგა პირქუშად ყოველ სისხამზე.

დაფართქალებდა ჩქერში კალმახი,
 არ აშინებდათ თევზებს გზა შორი.
 ნაქერალადან თითქოს დამფრთხალი
 შეღრიალებდა რაქვას შაორი.

მაგრამ შემოხედნენ თავნებას გზაზე,
 სხვა გზა უჩვენეს გამჭრიახ თვალით.
 შემოაბრუნეს რაჭის ქალაზე
 გაანჩხლებული შაორის წყალი.

აწ ახალი გზით უნდა იაროს,
 რადგან გვექირდება ჩვენ მისი ძალა.
 ჩამოუქროლებს მთების ფრიალოს
 და გადმოივლის კვლავ ნაქერალას.

ტყიბულის ახლოს მოვა ფრთამალი,
 ვეება ბორბლებს დაატრიალებს,
 რომ კალმახების ფრთების ფართქალით
 ქართულ შახტებში ჩადგეს სინათლიდ.



საქართველოს
წიგნების კავშირი

II

ნაქერალაზე აფრინდა ქორი,
ტალღის ჩქრიალზე დაფრთხა ფრინველი.
მთაზე გადმოდის ანჩხლი შაორი,
აი, ამბავი ვასაკვირველი!

ვეება არხში შფოთავს დიდგული,
ძველ კალაპოტში ლაღად ნარწყვეი
და არხის პირას ჩამობინდული
ფეხმოუცვლელად დგანან ნაძვები...

დგას ნაქერალაც განცვიფრებული
თეთრი ტალღების ლაღი ამბორით.
რაჰის ქალებში აჩქარებული
ტყიბულისაყენ ილტვის შაორი.

შემოვარდნილა ჩქრიალით მთაზე
დაუდეგარი შაორის წყალი,
რომ ზოაბრულ ძალით დაეცეს ფრთაზე
და გაანათოს ხევში კაშხალი.

წყალს კალმახების მოსდევს ლაშქარი,
შორს დაუგდიათ რაჰის ველები.
ვერ უპოვინათ არხში საფარი,
ფაცურს უგებენ ტყიბულელები.

არხის მახლობლად გიზგიზებს ციცხლი,
შორს შებოლილა კლდეზე მოცხარი.
მოჩუხჩუხებენ ტალღები ვერცხლის,
და იხარშება ქვაბში ცოცხალი.

იჭუხებს ნაღმი დაბინდულ ხევში,
საღდაც ნადირი ღმუის დამფრთხალი...
მთაც მოხიბლულა ტალღების ეშხით,
შაორს გზა მისცეს მთაზე ახალი.

შაორს გზა მისცეს ნაქერალაზე
და ჩასჩქრიალებს ელსადგურს წყალი...
ტყიბულელების ცხოვრების გზაზეც
ჩასაფრებია ღამეს კაშხალი.

ღამე შაორის პირზე



როგორც მიმინო, უფსკრულის ქიმზე
გადაეკიდა ღრუბელი ფრთებგეთ.
და ღამის ბინდში შაორის პირზე
გაუჩინარდნენ მუქ-ლურჯი მთები...

შორს კი სინათლე ციმციმებს ისევ,
ელდენის შუქში სხეღან სახლები,
თითქოს სოფელში დაბინდულ სირვცის
ხევენ ისრებით ციცინათლები.



იწყება ხეთა წყნარი ჩურჩული,
 აღარ ასვენებს ნიავე ფოთლებს,
 მორბის შაორი და ვით შურდული
 თეთრ ტალღებს მთვარის ხატება მოსდევს.

გავსცქერი ქედებს ოცნებით სავსე,
 და მადნეულის ხილვა მაოცებს;
 გეოლოგები მხედებიან გზაზე,
 მთების განძეულს ხდიან სამოსელს.

ირგვლივ ნაძვები ტოკავენ ცაში,
 ტყეს შეჩურჩულებს ნიავე ხელი.
 და ჩაძირულა ფოთლების ტბაში
 ლურჯად გაშლილი შაორის ველი.

საღლაც წიტების ისმის ჟღურტული,
 არ ეძინებათ წყლის პირას ფრთოსნებს.
 მორბის შაორი და ვით შურდული
 თეთრ ტალღებს მთვარის ხატება მოსდევს.

ხვანჭკარის გზაზე



სალამოვდება, მივდივარ გზაზე,
 აჰა, მანძილი დამჩნა პატარა.
 მე, დაუღვეველ პურღვინით სავსეს
 უნდა ვეწვიო ახლა ხვანჭკარას.

მივდივარ, ირგვლივ ჰყვავის ვენახი,
 სივრცეში რტოებს არხევენ ხენი.
 მესმის, უეცრად ვიღაც შეძახის,
 ბაღებში დგანან კოლმეურენი.

— ჰეი, ძმობილო, გახედე სოფლებს,
 თუ გსურს ბუნების სიცოცხლეს გრძნობდე,
 ფრთხილად შეეხე ვენახის ფოთლებს
 და დღეგრძელობა უთხარ შენს მომშეს.

ვინც ხვანჭკარული ვაზი ახარა
 და დილით ბაღში დამყნო ხეხილი,
 ვინც უთენია თრთოლვით ამდგარა
 შრომის სურვილით გულგაღვლილი.

აჰა იხილე მისი ცხოვრება,
 ხომ მისი ძმა ხარ და მახლობელი!
 და მერე მუდამ გემახსოვრება
 შენ კოლმეურნის სამადლობელი.

ნახე ხვანჭკარის სავსე ბაღები,
 მისი ბუნების იგარქვე სიმდიდრე,
 და კვლავ ოცნებით თუ ამაღლდები,
 სხვა რამ უკეთეს რაღას იფიქრებ!

ახალი ნიალჰარი *



თავი მეთხმედი

I.

მოწითალო მთვარე ძალიან დაბლა ეკიდა. ჰაერში უკვე იგრძნობოდა განთიადის სიგრილე. ახალგაზრდები უკანასკნელ კონებს კრავდნენ. მომკილი ყანის ნაპირას ნატალია და ვანო იდგნენ.

გადაწყვიტეს, რომ კომკავშირლები მეორე ღამესაც გამოსულიყვნენ სამუშაოდ.

— ორ ღამეში მოვათავებთ, სერგეი პეტროვიჩ, — დაჰპირდა ნატალია და რატომღაც ვანოს გადახედა. — ხომ ხედავთ ერთ ღამეში რამდენი მოემგეთ!

„სახლში ერთად აპირებენ წასვლას, — დიმილით გაიფიქრა სერგეიმ, — მე კი ამ ბედნიერ წყვილს, ერთი საათით მაინც დაეპოვრებ. მარტო მე ხომ არ უნდა ვიყო მოწყვნილი!“ — და ხმაძალდა თქვა:

— ჩემს ორთვალაში ორი ადგილია. ასეთ შემთხვევებში ყოველთვის ქალს დაჰპატივებენ ხოლმე, მაგრამ დღეს მე წიგნი უნდა დავარდოიო და სტუქმარა წავიყვანო, — და ვანოზე ანიშნა.

ნატალიამ ჯერ ერთს შეხედა, მერე მეორეს და გვერდზე მიბრუნდა; შემდეგ რატომღაც აბილილის ყვავილს დააცქერდა.

— მადლობელი ვარ, — უპასუხა ვანომ, — მაგრამ მე ფეხითაც შემიძლია წავიდე.

— მე კი ერთი საქმის შესახებ, თქვენთვის რჩევა მინდოდა მეცითა.

— რადგან ასე... — ვანო მივიდა ორთვალასთან, ნატალიას გადახედა და უხალისოდ დაუჯდა სერგეის გვერდით, — შეიძლება ორთვალათიც წამოვიდე.

როცა სერგეიმ აღვირი მოიმარჯვა,

მაშინ მას გალია საროჩენკოს დამცინავი ხმა მოესმა:

— მარუსია, აქ მოდი, ნატაშა გეძახის!

ლაპარაკი იოლად გააბეს. სერგეიმ ჰკითხა, იცნობდა თუ არა ვანო მის მამას, როცა ოკუპაციის დროს ახალ ნიალჰარში იმყოფებოდა? ვანო სერგეის მამას არასდროს არ შეხვედროდა, მაგრამ მასზე ბევრი სმენია ნატაშას და სოკოლნიუკისაგან. დეიდა მარფას კი უამბუნია, თუ როგორ დაიღუპა მოხუცი რუდენკო.

ვანომ და სერგეიმ უამბეს ერთმანეთს, თუ სად მოხდნენ და როგორ მოხდნენ დემობილიზაციაში. ვანო ორმოცი წლიდან აღარ ყოფილა სახლში, იგი მხოლოდ ორმოცდაექვსი წლის გაზაფხულზე დაბრუნდა შინ. მისი დამბრუნების აღსანიშნავად, კოლმეურნეობაში ორი დღე ზეიმობდნენ. მაგრამ ვანომ დიდ ხანს მაინც ვერ გაძლო სახლში, ახალი ნიალჰარისაკენ უწევდა გული. ახალნიღვრები მისთვის მეორე სამშობლო გახდა.

— როგორაა საქმეები თქვენს კოლმეურნეობაში? — ჰკითხა სერგეიმ.

— ბუნებრივია, ომმა თავისი კვალი მასაც დაამჩნია, მაგრამ არც ისე როგორც აქ. იქ, სახლში მე ყოამზე ახალი ნიალჰარების და თქვენი მამის შესახებ... უნდა გამოვტყუდე, რომ ახლა ცოტათი მრცხვენია კიდეც.

— რატომ გრცხვენიათ? — გაუკვირდა სერგეის.

— როცა აქეთ წამოსვლა დაგაპირე, ჩვენმა კოლმეურნიებმა თქვენთვის იმოდენა საჩუქრები მომიტანეს, რომ მათ ერთი სპეციალური ვაგონი დასჭირდებოდა. მე დავიბენი, რა მიქნა არ ვიცოდო, და მხოლოდ ცოტათიდნი, რაღაც-რადაკეები წამოვღულე დეიდა მართას. ახლა კი ძალიან ვნანობ.

— საჩუქრები — ეს თქვენი საქმეა, მაგრამ მორალური დახმარების ფაქტს ჩვენი კოლმეურნეობისათვის დიდი მნიშვნელობა ექნებოდა. უფრო კარგს იზამდით, რომ შეჯიბრების ხელშეკრულება ჩამოგეტანათ თან.

— არც ახლა არის გვიან. მხოლოდ ცუდი ისაა, რომ ეს ამბავი მე თვითონ ვერ მოვიფიქრე. ალბათ ვაგონის შოვნაც შეიძლებოდა.

— რადგან თქვენ თვითონ ამბობთ, რომ გვიან არ არის...

— სრულიადაც არა, ხვალვე გაგზავნი წერილს სახლში, შემდეგ კი მე თვითონ წავალ.

— თუ გაგიშვეს, — გაიღიმა სერგეიმ.

— ვინ არ გამიშვებს? მე ხომ აქ აღრიცხვებზე არ ვარ!

— არა? — შეხედა მას სერგეიმ, — მე კი რატომღაც მეგონა, რომ კომპაგნიის რაიკომში ხართ აღრიცხული...

— აა... — გაიციინა ვანომ, — ამას, როგორმე მე თვითონვე მოვაგვარებ.

— თუ ასეა, მაშინ ყველაფერი რიგზე ყოფილა. წადით და ეს დიდი საქმე გააკეთეთ. შემოდგომაზე შეიძლება დავნათესავდეთ კიდევ.

II.

სერგეიმ მიიყვანა შინ ვანო და ისევ მინდორში დაბრუნდა.

მზე უკვე ამოვიდა.

საღერეო მანქანა შუა მინდორში იდგა. ძნები მასთან პირდაპირ ზეინეულებიდან მიჰქონდათ. სერგეი მანქანასთან დიდხანს გაჩერებდას არ აპირებდა, მხოლოდ იმის გაგება უნდოდა, როდის დაამთვრებდნენ ქუავის ლეწვას, რომ მამინვე ქერას შედგომოდნენ.

სერგეი ჩამოხტა და ცხენი საბალახოდ ისე მოუწვია, რომ ორთვალადან არ გამოუხსნია.

ბრიგადირთან ლაპარაკის დროს, სერგეიმ იგრძნო, რომ მას ვიღაც დაჟინებით უცქეროდა. როცა მიბრუნდა, მისი თვალები ვიღაც ქალის მზერას შეხვდა.

ეს ქალი მან ჯერ კიდევ მამინ შენიშნა, როცა კალის ერთი მხრიდან მკორეზე გადადიოდა. ქალმა მარტად და გაბეღულად ჩამოიღო მძიმე ტომარა სასწორიდან, მკორე ხელი მოხდენილად სტაცა ტომარას ყურს და ღონიერი მოქმეებით მანქანაზე შეაგლო.

დატვირთული მანქანა ის-ის აყო წავიდა და ქალი ახლა იდგა სასწორზე დაყარნობილი. სერგეის უმწერდნენ მისი საგან ძალზე სახე დამწვარი ქალის დიდი და მახვილი თვალები. სერგეის ვერ გაეგო, რატომ უსმენდა ასე გამოძვდილად ეს ქალი... და უცბად იცნო...

აგათია იყო მისი მშობლების ახლო მეზობელი. სერგეის აგათია ახსოვდა ჯერ კიდევ პატარაობის დროიდან. მას ლამაზი იერი და მხიარული ხასიათი ჰქონდა. ბავშვობისას სერგეის ხშირად შეუბრუნია მის ბაღში, აგათია ყოველთვის ქლიავით, ვაშლით და მსხლით გამასპინძლებია ხოლმე. სამაგიეროდ როცა სერგეი უკვე უფროსი კლასის მოწაფე იყო, ხანდახან აგათიას ვაეს—ანდრეივას ეხმარებოდა გაკვეთილების მომზადებაში. მათ ოჯახებს დიდი მეგობრობა აკავშირებდათ.

სერგეიმ გადადგა ნაბიჯი აგათიასკენ, ის კი მთლად გაბრწყინდა თბილი დედობრივი ღიმილით და ხელზე გამოწვედილი გამოეშურა სერგეისაკენ.

— სერგეიკა... სერგეი პეტროვიჩი! მე იმ წამსვე გიცანი.

სერგეიმ პერშივე დაიჭირა მისი ღონიერი, გამხდარი და მძიმე შრომაში ნაჯაფარი ხელი... აგათიას თვალები ცრემლით აევსო, თავი ვეღარ შეიკავა, დაიხარა და სერგეის ლოყაზე აკოცა მშრალი და დახეტილი ტუჩებით.

— როდის ჩამოდი? დიდხანს დარჩები?

ისინი ტომარაზე დასხდნენ.

— რატომ თქვენ ზიდავთ ტომრებს? ვინა ახსოვარდა მამაკაცები არ არიან?

— მერე რა, — ჩაიქნია ხელი აგათიამ, სულ ერთი არ არის, რასაც გავაკეთებ? სანამ თქვენ ომობდით, ჩვენ აქ ყველაფერი ვისწავლეთ. ახლა ვეღარაფერი შეგვაშინებს.

— თქვენმა როგორღა არიან?

გამოიჩვენა, რომ აგათიას ქმარი, ჯერ კიდევ ოკუპაციის პირველ წელსვე დაუუხვერეტაო გერმანელებს, ყაფი — ანდრეი სწორედ ომის დამთავრებისას დაღუპულა.

— მყავდა ქმარი, — მყავდა შვილი, ახლა კი მარტო ორნი დავარჩით. — მე და ჩემი რძალი. შვილიშვილს ვზრდი, რომელსაც მამა არასოდეს არ უნახავს. აი, ასე ვცხოვრობთ, — დაამთავრა აგათიამ. — აქ კი ახალი უბედურება დაგვატყდა და თქს. მთელი ზღვრების მუშაობამ ფუქვად უნდა ჩაიაროს, ყველაფერი

რი იწევს. აი, გლეწავთ, მაგრამ რა მოგ-
წინევს შრომადღეზე, ვინ იცის! მგონი
სახელმწიფოსათვის ჩასაბარებელსაც
ვერ მოვაგროვებთ სრულად.

და აგათიას თვალეზზე ხელახლა გა-
მოჩნდა ცრემლები.

— რას იზამ, ჩემო აგათია, არაფე-
რია, ამასაც გადაეიტანთ. თუ სახელმწი-
ფოს ექნა, გაქირვებაში არ მიგვატო-
ვებს. უბირველეს ყოვლისა, სახელმწი-
ფოსათვის უნდა ვიზრუნოთ. აღარ გვინ-
და, რომ ახალნიღვრებში ხელახლა
ყუმბარების აფეთქების ხმა გავიგონოთ.

აგათიამ თავი ასწია და ცრემლიანი
თვალეზით გაიღიმა:

— ვიცი სერგეი, რომ უნდა გავძ-
ლოთ, მოვითმინოთ. შენ გგონია, რომ
მე ჩემი ღობის გადაღმა ვერაფერს ვხე-
დავ? მეც მინდა, რომ ჩვენ ძლიერნი
ვიყოთ.

ამ დროს მოვიდა მანქანა. აგათია აღ-
გა, მოიწმინდა ცრემლები და მისი სახე
კვლავ სერიოზული და მკაცრი გახდა.

— მაპატივი, სერგეი, შენ უჩემოდაც
ბერი საჭირვარაშო გაქვს...

...და თავის წყვილფულთან ერთად,
კვლავ შეუდგა ტომრების ზიდვას.

სერგეი კიდევ რამდენიმე წუთს იღგა
და უყურებდა აგათიას. მას უნებლიდ
მოაოხრდა კულჩიცთან ლაპარაკი —

ამ ქალის გვერდით, როგორც პატა-
რა სულის მქონეთ და საყოღად გა-
მოიყურებოდა მისი უწინდელი, სკოლის
ამხანაგი, თავისი ახლად შერთული
კოლით და ძროხით.

„განა ჩემი უბედურება, — გაიფიქრა
სერგეიმ, — ჩემი სიხანულე პირადი
ცხოვრების უქონლობის გამო, უმნიშე-
ნელო რამ არ არის ამ ქალის უბედუ-
რებასთან შედარებით. ათასი ასეთი
აღმნიანს ფიქრსა და შრომასთან შედარ-
ებით? დაივიწყო საყოფარო თავი, სა-
ყოფარო უბედურება და მთელი შენი
ცხოვრება შეწირო ხალხის სამსა-
ხურს — მხოლოდ ამამია ახლა ცხოვ-
რების მიზანი“.

III

გზაში სერგეი მოროზს წამოეწია,
რომელიც სიმინდებიდან მოდიოდა.
სერგეიმ მას ორთვალაში ადგილი შეს-
თავაზა და ჰკითხა, თუ რის შესახებ
ელავებოდა ის კულჩიცის.

— ებ კულჩიცია, არასოდეს არ მო-
გნისმენს, როგორც წესი და რიგია, შემ-

დეგ კი ბუხს სპილოდ აქცევს. — მო-
როზმა გადააფურთხა და უკუფურცულ-
ლი პაპიროსიც გადააგდო. — არც ისე-
თი სულელი ვარ, როგორც მას ჰგონია.
ერთი ხელის მოხმით გვალის მოსპო-
ბას, რა თქმა უნდა, არ ვაპირებ ერთი
აზრი მქონდა, მე მგონი კარგი იქნე-
ბოდა.

— მე სწორედ ეგ მაინტერესებს.

— თქვენ რამი გპირდებით? მაგრამ
თქმა ძნელი არ არის. ჩვენი მდინარე
იციო?

— რა თქმა უნდა, ვიცი.

— თუ გახსოვთ, წინათ მის ნაპირებს
ბზა, ძეწვნები და ლერწმები ფარავდნენ.
ოკუპაციის დროს მთლად აჩეხეს —
გერმანელები გზებზე აგებდნენ, შიშად
ხმარობდნენ და ხიდების შესაკეთებ-
ლად იყენებდნენ. რაც დარჩა, ისიც სა-
ქონელმა მოაჯგა. ახლა მდინარე სრუ-
ლიად გაშისვლებულია. თანდათან შრე-
ბა და ნახევრად დაიშლამა კიდევ.

— რა წინადადება გქონდათ თქვენ?

— სულ უბრალო ამბავია: საჭიროა
მდინარის პირზე ორი ტრაქტორით ოთ-
ხი ხნულის კვალი გავავლოთ. მეტიც არ
უნდა, ნაკურთხი ბზა ხომ არ დაგვიწყე-
ბიათ? „მე კი არა, ბზა ვირტყამს“ —
გახსოვთ? უწინ აიღებდნენ ამ „ნა-
კურთხ“ ბზას, ჩაასობდნენ ზღურბლ-
თან და სამ წელთაღმდეგ იმხელა გაიზრ-
დებოდა და ისე მომზავდებოდა, რომ
ეზოში მხოლოდ ფოთლების შრიალი ის-
მოდა. ბზა და ლერწამი სველ ნიადაგზე
კარგად ხარობს და მშვენიერად იზრდე-
ბა. რამდენიმე ათასი თითომეტრიანი
ბზის ნერგი უნდა დამზადდეს და მდი-
ნარის გასწვრივ დაირგოს ოთხ რიგად.
ეს ამ შემოდგომაზევე უნდა მოხდეს,
გარწმუნებთ, რომ გახაფხულზე უკვე
კარგი ტყენარგი გვექნება, ორი წლის
შემდეგ კი ისეთი ხშირი ტყე გახდება,
რომ მდინარესაც დაიცავს ამოშრობი-
საგან, შლამსაც შეაჩერებს და თვალსაც
ესიამოვნება.

სერგეიმ მოროზს ყურადღებით შე-
ხედა.

— მართლაც რომ ადვილი საქმეა.
ადვილია. მაგრამ მოფიქრებით კი ვე-
რაღებ მოიფიქრა. კულჩიციმ გამზა-
ლებულიც ვერ გათვა. მერე და, რას
აპირებთ? ამაზე დამწვიდლდით?

— მე? რას ამბობთ! ახლა სამაგისოთ
არ მცალია, გაცხოველებული მუშაო-
ბაა, ისე კი, როგორც მოვიწყვეთ მოსა-

ვალს, უსათუოდ ვორონოვთან წავალ.

— პირველი თქვენი თანაშემწე მე ვიქნები.

— განა თქვენ, ჩვენთან დარჩენას აპირებთ! — გაიკვირვა მოროზმა.

— არა, მაგრამ თქვენმა ბზამ ძალიან დამაინტერესა.

სერგეი გამოემშვიდობა მოროზს, ცხენი თაილაში დატოვა და გადაწყვიტა მდინარის ნაპირზე გაევიღო.

როგორ გამოცვლიდა ყველაფერი აქ! ნაპირებზე მთელი კვლემა მზახარს და უფარავს, ცოტა მოშორებით ჩანან მუქნაცრისფრად მოტივეტივებული კლდეები და გორაკები მხოლოდ მათ გადაღმა იწყება დახნული მიწების ზოლი. გორაკებს და გვერანებულ ნაკვეთებს ორას ჰექტარზე მეტი მიწა მარტო ერთ კოლმეურნეობაში უჭირავთ. მიუხედავად იმისა, რომ ამ ადგილებს დაბუნა ძნელია, მათი გამოყენება მაინც შეიძლებოდა ბოსტნებისა, ბაღებისა და სათიბებისათვის. ომამდე ასეც იყო. ახლა კი მიწა ტიტველი და ცარიელია.

ცნობა აღარ შეიძლებოდა, ისე გამოცვლილი და გააძრტახებული იყო ნაპირი. მხოლოდ წყალთან ახლოს იზრდებოდა მაღალი ჭილი, ლელის ბუჩქები, სხვა ჭიანჭის მცენარეები, ირგვლივ კი მხოლოდ შამში იყო მოღებული. აქამდე თუ მოჩანდნენ დარჩენილი ლერწამის ბუჩქები.

მდინარე საშინლად დამშრალა. წინათ, აქ ბანაობისას, ფსკერს ძლივს თუ ჩაწვდებოდი, ახლა კი ფსკერი ხელის გულავით მოჩანდა.

დაიბნო სიმწვანე და სიმწვანე, რაც შეიძლება მეტი ხეებია საძირო!

სერგეის მოაგონდა იგორი, რომელსაც უნდოდა მიწა ბაღნარს დამსგავსებოდა; გაახსენდა ქენია, რომელიც კოლმეურნეობის ბაღს უკვლიდა. ვინ, თუ არა ახალგაზრდობა, იქნება გამწვანების სულის ჩამდგმელი? სერგეის უკვირდა, რომ აქამდე არავის დაებდა აზრი და არ წამოაყენა ლოზუნგი:

„ახალგაზრდობავ, გაილაშქრეთ გამწვანებისათვის!“ რატომ სწორედ კომკავშირელები არ უნდა გაბდნენ გამწვანების ინიციატორები? რატომ კომკავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა არ უნდა გამოიტანოს დადგენილება თავის პლენუმზე: ყოველმა კომკავშირელმა ხუთწლეულში უნდა დარგოს ასი ხე, და ამ

საქმის იგრვლივ დარაზმოს უპარტიო ახალგაზრდობა?!

ამ მოწოდებას ახალგაზრდობა უთუოდ გამოეხმაურება. ეს მისთვის სასიამოვნო საქმე იქნება.

და სერგეიმ უკვე ნათლად წარმოიდგინა, თუ როგორ აწყვება ახალნიადგრების მთელი რაიონი, მთელი ოლქი და მთელი უკრაინა, ლენინის სახელობის კოლმეურნეობის კომკავშირის მოწოდებას.

სოფლისკენ მიმავალი სერგეი სულ იმაზე ფიქრობდა, თუ ვინ იქნებოდა პირველი, მოროზი, თუ ახალგაზრდა ქენია? რაც არ უნდა იყეს, საფუძველი ამ საქმეს, მაინც ლენინის სახელობის კოლმეურნეობის კომკავშირმა უნდა ჩაუყაროს.

IV

მხოლოდ რამდენიმე დღე გავიდა მის აქეთ, რაც სერგეი კოლმეურნეობის საქმეებში ჩაერია, ლუკა მიტროფანოვი კი უკვე ლაპარაკობდა, რომ მას აღარც ხელები აქვს შებოჭილი და ოგალითაც ბევრ რამეს ნათლად ხედავს.

ქერის საკითხი მოგვარდა. დაიწყეს შვრისის მკა. მალე უგრეხელის ფერტის და მზისუშირას მიადგებოდნენ. მოსაგელის აღება თავდებოდა. ლუკა მიტროფანოვიჩისათვის მთავარ საქმეს ახლა შემოდგომის თესვისათვის სამზადისი წარმოადგენდა.

მხოლოდ უკვე ნაკლებად ფუსფუსებდა კოლმეურნეობაში ახალი წესების შემოღება დაიწყო. ყოველ საღამოს, საათის თერთმეტზე, კანტორაში შეკრება ხოლმე ყველა ბრიგადირებს, მაგიდას მიუჯდებოდა, წინ რეიუსს გაიშლიდა და დაუჩქარებლივ, გულდასმით კითხულობდა:

— პირველი ბრიგადა: დღეს მომკილია... თორმეტი ჰექტარი შვრია.

— საიდან მოიგონეთ, ლუკა მიტროფანოვი? — ბოხი ხმით ამბობდა ბრიგადირი კოვალჩუკი. — მე თქვეითვის იგარ მიიტქვამს! მომკილია ათი ჰექტარი.

— ვიცი. — პასუხობდა ლუკა მიტროფანოვიჩი, — გეგმით თორმეტი ჰექტარი უნდა მოგვეკათ, მუშაობა კი საჭიროა გეგმით, — და ყურადღებასაც არ აქცევდა კოვალჩუკის ახსნა-განმარტებას. ისე მიმართავდა მოანგარიშს: — ამხანავო გოპონენკო, მიეცით კოვალჩუკს ხვალის განაწესი. ერთი წუთი მაცა-

დეთ. ხვალ პირველმა ბრიგადამ რვა პეტ-ტარი უნდა მომკას, გადაუსწორეთ ათზე. მოახვარიში ასწორებდა, ლუკა მიტროფანოვიჩი კი კითხულობდა შექმნივს: — მეორე ბრიგადა: ხვალ ორი ფორანი უნდა გაიგზავნოს ბოსტანში პაპი-ლორებისათვის...

გაათავებდა რა საღამოს თათბირს, ლუკა მიტროფანოვიჩი დამწვინდებული ბრუნდებოდა სახლში. ის ხედავდა ხვალ-ინდელ ღლეხ და ამის გამო არამარტო აზრები ჰქონდა ნათელი, არამედ გრძნობებიც.

დილით ადრე, ჯერ კიდევ მზის ამოსვლამდე, ის უკვე კანტორაში იყო. ამავე დროისათვის, ზოგჯერ უფრო ადრეც, მოდიოდა „დიპუჩირიერი“ ვოლოდაცა.

— გამარჯვება, ვოლოდაცა! — მიესალმებოდა ხოლმე ლუკა მიტროფანოვიჩი.

— გაგიმარჯოს, კოვალჩუკი იყო, უკვე წავიდა მინდორში; გრინკოს გუშინ წაარიდან ვაყიშვილი ივანე ჩამოუვიდა.

— ნუ ლაქლაქობ. ყველაფერში ნუ იჩირები. ვერასგნით ვერ მიგახვიე წესრიგს.

— მე ხომ წესრიგით...

— გაჩუმდი. ყური დამიგდე. მიწადმოქმედების განყოფილებაში წაიღე საანგარიშო ცნობები. შემდეგ, თორმეტე საათისათვის გამოიძახე ფერმის გამგე. წადი ბოსტანში და ვარჯარას უთხარი, რომ ორი საათისათვის მოამზადოს ორი ფორანის დასატვირთი პაპილორი. სადილობიას მომიტანე ცნობები საგუბრიდან, სამჭედლოდან და საწყობიდან. როცა სერგეი პეტროვიჩი დაბრუნდება, არ დაგავიწყდეს, ცხენს წყალი დაა-ლევიანე. თუ ვინმემ მიცითხოს, უთხარი, რომ სრულ თორმეტ საათზე აქ ვიქნები.

— ყველაფერი გასაგებია, ლუკა მიტროფანოვიჩი.

— რაა გასაგები? ვერაფერიც ვერ გაიგე!

— პატროსან სიტყვას გაძლევეთ, გავიგე. ყველაფერი მახსოვს.

— მე არ ვიცი, რა გაბსოვს და რა არა. რატომ არ ჩაიწერა?

— მე ისედაც...

— უნდა ჩაიწერო. მიენვიე გეგმიანობას, თორემ ყველა ზეპირად მუშაობთ:

ვოლოდაცა აიღებდა ჩანქარს, გა-ლოლდს, მიუჯდებოდა მაგიდას და თანაც ფრთხილად ბუტბუტებდა:

— მე რა, ჩუქურთავადაც ყველაფერი ვიცი. მაგრამ თუ ჩაწერა, მეც ჩაწერა: გასულ კვირაში ლარისა დიმიტრიენას თავად დასცინოდით, რომ ის ქალაღებში ეძებს კანტორიდან ფერმაში მისასვლელ გზასო.

— ტყუილს რად ამბობ, მე ეგ არ მითქვამს!

და ლუკა მიტროფანოვიჩი გაიჯახუნებდა კარებს და გავიდა კანტორიდან.

კატიუშა მან სერგეის დაუთმო, თავად კი დილიდანვე ფეხით შემოვივლიდა ბრიგადებს, ფერმას და საწყობებს. გზაზე დროდადრო გაჩერდებოდა და რვეულში იხედებოდა. თვალყურს ადევნებდა რომ ყველაფერი გეგმის თანახმად გაკეთებულყო.

ყველაზე მეტ ყურადღებას, ახლა ის საშემოდგომო თესვას აქცევდა. ათვალეობდა ნასვენ მიწებს, თესლს ტრიერზე ასუფთავებინებდა; გალია საროზიეკოს უბრძანა შეემოწმებია, თუ როგორი გალივების უნარი ჰქონდა თესლს, ვასცა განკარგულება ყველა სათესებში და ფარცხები სამჭედლოში მოვეგროვებოთ და პირადად თავად დაათვალიერა ისინი, — ჯერ იმდენი ტრაქტორები არა გვაქვს, რომ ცხენებზე და ფარცხებზე უარი ვთქვათ. განა არ გაბსოვთ, გასულ გაზაფხულზედაც რომ ხარებით ვფარცხავდით? აი, როცა ჩვენს მეურნეობას ათეული ტრაქტორი ეყოლება, მაშინ შეიძლება ხის ფარცხები ქათმებს დაფუთოთ დასაბუღრებლად.

თესვაზე ზრუნვა ლუკა მიტროფანოვიჩს ხელს არ უშლიდა სხვა რამეზედაც ეფიქრნა, მაგრამ ამის შესახებ, გარდა მებოსტნე ვარჯარასი, არავინ არაფერი იცოდა.

როცა შემოვივლიდა მეურნეობას, იმუშავებდა სადილობამდე და შეასრულებდა ყველფერს, რაც რვეულში იწერა, ლუკა მიტროფანოვიჩი უეცრად დარწმუნდებოდა, რომ მას თავისუფალი დრო კიდევ დარჩა. წინად ასე არ ხდებოდა, თავის თავს არ უჯეროდა და ერთხელ კიდევ ამოწმებდა, ხომ არაფერი დამავიწყდაო. ირკვეოდა, რომ ყველაფერი წესრიგში იყო. — „ყოჩაღ სერიოჯა, — ამბობდა მოხუცი. — ისე

გამოდის, რომ მუშაობა შემძლეობია. არც ისე ძალიან ვილღობ და საქმარისი დრო ფეჭრისათვისაც მრჩება“.

თავისუფალ საათებს ლუკა მიტროფანოვიჩი თითქმის ყოველთვის ბოსტანში ატარებდა. უკანასკნელი ორი დღის განმავლობაში რალაცაზე გარეუარასთან ერთად თათბირობდა. ამ თათბირს ის მოყვდა შედეგად, რომ ლუკა მიტროფანოვიჩმა სამი წერილი დაწერა, რომელთა შესახებაც თვით სერგეისაც არაფერი ვაუწყებია. ორი მათგანი მეზობელ საბჭოთა მეურნეობებში გაგზავნა, მესამე კი — კრასნოდარის მხარის რომელიღაც კოლმეურნობაში, და პასუხს მოუთმენლად ელოდა. ლუკა მიტროფანოვიჩს ვენახის ნერგები აინტერესებდა.

ერთ-ერთ საღამოს, როცა ძილი გაუტყდათ, სერგეიმ ბიძამისს უამბო მორიხთან ლაპარაკის შესახებ.

— მე ყოველთვის ვამბობდი, რომ ის გონიერი ჰაბუკია, — თქვა ლუკა მიტროფანოვიჩმა, — შენ მას ხელი შეუწყვე სერიოზა, მე კი, თუ შენი სურვილი იქნება, მთელ კოლმეურნეობას ამ საქმეზე დავაყენებ. მორიხის გეგმა რომ შესრულდეს, მაშინ რამდენი მიწების გამოყენება შეიძლებოდა საბოსტნეობათ!.. ამის შესახებ მე მიფიქრია...

— თქვენ იცით, ლუკა მიტროფანოვიჩი, რას აპირებს ლარისა დიმიტრიევნა შინდერის ამოშრობის შემდეგ?

ლუკა მიტროფანოვიჩი სძინად გადაიტყა, ბალიშინადაც კი წამოწია თავი.

— რას?

სერგეიმ უამბო.

— გესმით, რა მიწა იქნება? მარტო მარტოკლდეული კულტურებით, კოლმეურნეობა შორს ვერ წავა.

— განა მე თვით ვერ ვხედავ, რომ ეს ასეა!

— მით უკეთესი, რამდენი ნოყიერი მიწა მოგემატებათ ტექნიკური კულტურებისათვის! მთავარია სასუქიც არ დასჭირდება. როგორც ვინდოდეთ, მაგრამ ლარისა დიმიტრიევნასთან თქვიჩი მოლაპარაკება აუცილებელია.

— მე თვითონ ძალიან მაინტერესებს ეს საქმე, მაგრამ მაგისათვის სულერთია, ჯერ დრო არ არის. აი, სჯობს ასე მოვიქცეთ: შენ დაგეგმე ეგ მინდორი ხუთწლიან გეგმავით, ვნახოთ რა გამოვა! მოლაპარაკებით კი, რატომაც არა... მრცხენია რომ თავად მე ვერ მოვიფიქრე... იქ შეიძლება მშენიერი საარწ-

ვაკი ბოსტნები გაშენდეს — კომპოსტო, პამიდორი, და ეშმაკმა იცის კიდევ რამდენი რის გაკეთება შეიძლება...“

უეცრად, ვიღარ მხიბობნა, წამოხტა ლეგინიდან და ტიტველი ფეხები ძირს ჩამოუშვა...

— იცი სერგეი, მუშაობა როგორღაც გამიადვილდა და შენი აქედან წასვლა ძალიან არ მინდა. აი, თუ გინდ ეს ფაქტი აიღე: თუმცა ღონბასში შეიდი საუკეთესო მომუშავე ვაჟუშვი, მაგრამ მაინც ყველაფერი მოვასწრით და მოვაწესრიგებთ. უდიდესი საქმეა ეს გეგმა! მე აღარც კი ვიცი, მაღლობა როგორ გადავიხადო, როცა საქმე ეარებად მიდის. მაშინ ადამიანს მუშაობაც ეხალსება. ასეთი გვალვიანი წელიწადი რომ არ იყოს, და შენისთანა თანაშემწე მეყოლოს, ლარისა დიმიტრიევნასაც არ ჩამოგრჩები, მიუხედავდ იმისა, რომ ის აგრონომია.

— ისე გამოდის რომ შეიძლება თქვენც გახდეთ პროფესორი! — გაახსენა სერგეიმ.

— პროფესორობის რა მოგახსენოთ, მეურნეობის მოვლა კი შემძლება. თუმცა პეტრე რომ ცოცხალი იყოს, რა თქმა უნდა ბოსტანს, ყურითაც რომ გეთრიეთ, მაინც ვერ მომაშორებდით!

— თქვენ კიდევ თქვენებურად დაიწყეთ?

— ვის რა მოსწონს, სერგეი, და ვის რა იზიდავს...

სერგეი სულ უფრო და უფრო ორმად ებმებოდა კოლმეურნეობის საქმეებში. მან შემოიარა ახალნიადერების ირგვლივ დარჩენილი ყველა ტყეები, გამოიკვლია მდინარე და ხეები. ტყეები სანერგე მასალა ბევრი აღმოაჩინა: ახალგაზრდა, ჩქოლი ხეები და ბუჩქნარები. დასაწყისისათვის ეს საკმარისი იქნებოდა, შემდეგში კი უნდა ეფიქრნათ, როგორც საბოსტნეობისა, ისე თესლის შეგროვების შესახებაც.

სერგეიმ მეურნეობის ყველა დარგის მუშაობის გაცნობისას, გამოარკვია, რომ ზამთრიდან შემოდგომამდე მოყოლებული, კოლმეურნეობაში არ შემდგარა არც ერთი საერთო კრება, გამოცდების სხდომა კი მხოლოდ სამჯერ ყოფილა. ყველაფერი საუცბათოდ წყდებოდა, დილით ან საღამოთი, „სიტყვიერად“. წესდებითაც კი არ ხელმძღვანელობდნენ, უფრო სწორად რომ ვთქვათ, დაეწიებულაც ჰქონდათ იგი. სერგეი

გაეცნო ბუხალტერიისა და კანცელარიის მუშაობასაც. ეტყობოდა დიდი ხანია, რაც არავენ დახტერესებულა გამომუშევის ნორმებით და შრომა-დღეებით. ზოგიერთი სამუშაოს ასანაზოაურებლად გამოწერილი იყო „დაახლოვებით“, „ზემირად“.

ერთხელ, როცა სერგეი კოლმეურნიკის საქმეებს ათვალიერებდა, ასეთი ქალაქი ნახა:

„ლენინის სახელობის კოლმეურნიკის წევრთა საერთო კრების ოქმის ამონაწერი... — რიცხვი არ ეწერა. — მოისმინეს — დაადგინეს: კოლმეურნიკის ფერმის ძროხებიდან, ერთი ბერწი ძროხა, სახელად „ია“, მიყიდოს მოქალაქე ს. ი. ვალუენკოს ნაღდ ანგარიშზე, არსებულ სახელმწიფო ფასებში“.

სერგეიმ ბერეი ეძება საერთო კრების ოქმი, მაგრამ ვერაფერი ვერ იპოვნა.

— ამხანაგო ვაკონენკო, ამ „იას“ რაღაც ცუდი სუნე უდის, — უთხრა სერგეიმ მოანგარიშეს.

— რაშია საქმე?

— თვით ოქმი არსად არის, ოქმიდან ამონაწერი კი არსებობს.

მოსუცმა მოანგარიშემ ჯაგარივით თერთ თმაზე გადაისვა ხელი და მნიშვნელოვნად გაიღიმა.

— ეგ კრება, სიმართლე რომ ითქვას, სერგეი პეტროვიჩი, არც ყოფილა.

— აბა, როგორღა დაადგინეს?

— წინანდელმა თავმჯდომარემ, ამხანაგმა ვარკაიემ, გამეტობაზე გაატარა უბრალოდ, ასე ვთქვათ, წინასწარი გაფორმებით.

— ყოჩაღ! — კოლმეურნიკობას განა იმდენი ძროხები ყავს, რომ ასე გაყიდვა შეუძლია?

მოანგარიშემ საჩქაროდ მიმოიხედა. სახის გამომეტყველებაზე რაღაცნაირი დაბნეულობა შეეტყო.

— ეს ძროხა, სერგეი პეტროვიჩი, რაილმასკომის თავმჯდომარის მოადგილეს მიყიდეს.

სერგეიმ მოანგარიშეს თვალეში ჩახედა და ჰკითხა:

— ის ძროხა, ია, მარღაც ბერწი იყო?

— ბერწიო! — გაჯავრდა კიდევ მოანგარიშე. — რა ჯანდაბად უნდოდა ვალუენკოს ბერწი ძროხა? ია ფერმაში საუკეთესო ძროხა იყო.

შემდეგ სერგეიმ კიდევ იპოვნა ერთი ასეთი შინაარსის შემოსავლის ორდერი: „მიღებულია მოქალაქე კ. მ. კოლჩიკ-

კისაგან ორკვირიანი ჭრელი გოჭის საფასურად თუთხმეტი მანეთი და ოცდასამი კაპიკი“.

— კოლმეურნიკობას ჰყავს თუ არა რევიზიო კომისია? ან როდის ჩაატარეს რევიზია? — ჰკითხა სერგეიმ მოანგარიშეს.

— სარევიზიო კომისიის, მაგრამ რევიზია რომ ჩაეტარებოთ, რაღაც არ მახსოვს...

— ეს ჭრელი გოჭი, მართლაც ორკვირიანი იყო?

— მართალია, ორი კვირის იყო, მაგრამ ის გოჭი ახლაც ჩვენთან არის, ის კი...

— როგორ?

— როგორ და, ლეხამ გოჭები მოიგო; რომ თვალში არავის ექმოდა, ჩაწერეს, რომ ერთი ჭრელი გოჭი კულჩიკიმ იყიდა, ეს გოჭი სინამდვილეში მეურნიკობაში დატოვეს სათვალავისათვის. კულჩიკიმ კი სანაცვლოდ ხუთფუთიანი ღორი წაიყვანა.

— კოლმეურნიკობის საქონელს ისე ექცევიან, თითქოს თქვენი საკუთარი იყოს! — აღშფოთდა სერგეი.

— რას იზამ, უფროსებია, — აიჩჩია მხრები მოანგარიშემ.

— რევიზიის შემდეგ თქვენც და თქვენს უფროსებსაც სამ-სამი წელიწადი რომ მოგაწერონ, „უფროსები“ აი ის იქნება!

— ამხანაგო, ვარკაეი თავად ყიღდა. მოანგარიშის ნებართვით და ხელწერილის ქვეშ, სერგეიმ ორივე საბუთი ამოიღო საქმეებიდან, რომ შეხვედრისას ვორთოვისათვის ეჩვენებია.

როდესაც „იასა“ და „ქრელი გოჭის“ საბუთებს უკვე ეცავდა, სერგეის კულჩიკის შესახებ გაუფლვა თავში: „აი ესეც შენი „ხალხოსანი“!.

V

ფერმა. ეტერნიტით დახურული გრძელი ბოსლებით, სოფლის ბოლოში, გორაკზე იდგა. ბოსლების უკან ძველი უშენი მიწა და ღრმა თხრილი იყო.

ოკუპაციის დროს კოლმეურნიკობაში არც ერთი ძოხა არ დარჩენილა. ფერმის ორმიწიდა ოთხ წელში, ახალ ნიადაგების განთავისუფლების შემდეგ, პირველად ნადავლმა ძროხებმა ჩაუყარეს საფუძველი. ამ ძროხებს გერმანელები აღმოსავლეთიდან მოდენიდნენ და ბრძოლების დროს მინდორში დაფან-

ტათ. შემდეგ, რამდენიმე ათეული სულსაგან შემდგარი ჯოგი მიემატა.

ეს ჯოგი დასავლეთიდან დაბრუნებულ საბჭოთა არმიას მოჰყვა ფეხდაფეხ. ორ წელიწადში საქონლის სულადობა კიდევ გაიზარდა მოსახლეობაში დაკონტრაქტებული ახალგაზრდა სამხლით.

ამჟამად ფერმაში ორმოცდაათამდე სული საქონელი იყო.

სერგეიმ, დილით ფერმაში შეიარა და ყურადღება მიამჯობა უშენ მიწაზე ეკლიანი მავთულით შემოღობილ პატარა მიწის ნაკვეთს. ამ ნაკვეთზე ცოტადღენ სიმინდი და ქარხალი დაეთესათ. სიმინდიც და ქარხალიც ისეთი კარგი იყო, რომ პირდაპირ გამოფენაზე წაღება შეიძლებოდა. სერგეი უფრო ახლოს მივიდა და ღობეზე გადაიხედა. სიმინდის უკან ბაბუაწვერას მსგავსი რაღაც დინახა. ეს იყო კოკ-საგინი. ბოსლის კველთან ახლოს მოეთესებოდა ორი ფანჯრის ჩარჩოთი გადახურული სათბური. ის უკვე ცარიელი იყო, მის ირგვლივ კი ბევრი, ერთიმეორისაგან ახლოს, კონსერვის კოლოფები იდგა; მათში მწვანედ მოჩანდა გალივებული რაღაც მცენარეები. სათბურთან გოლი იდგა.

— გამარჯვებით, — უთხრა სერგეიმ.

ქალი წამოღდა და მიიხედა.

— დღამშვიდობისა, — უპასუხა გალიამ და როგორც ძველ ნაცნობს, გაულომა სერგეის. მის თვალბეჭეში ურჩი და მზიარული ნაპერწკლები კიაფობდნენ.

ქალის ყოველ მოძრაობაში უსახლეო რეზერვა იგრძნობოდა, მზერა ანთებული სქონდა. შეუძლებელი იყო, რომ მის ღიმილზე აღამიანს ღიმილით არ ეპასუხნა.

— თქვენ განა აქ მუშაობთ? — ჰკითხა სერგეიმ.

— დიახ, აქ ვმუშაობ, — უპასუხა გალიამ; — ძროხების მწველილი ვარ.

— ეს რაღა პლანტაციაა?

— ეს? ეს დროებითი სახლი — ლაბორატორიაა.

— ლაბორანტი ვინა არის?

— მე ვახლავართ. თავისუფალ დროს ამათ ვანდომებ. ამ ზეფულში ქარხალზე მეტად საინტერესო გამოკვლევები ჩავატარე. ახლა კოკ-საგინს ვცდი... თესლის გალივების უნარს ვამოწმებ. აი ეს, ჰიბრიდული სიმინდია. საგანისოთ, ფეფქრობ, შორახს ვაჯობებ. რაო, ვერ მოგერევი? ის მე ვიცო! ამ შემოდგომა-

ზე დამკვრელ ბრიგადას შეეკრებავ. ნაკვეთი უკვე არჩეული მაქვს.

ქარხალს, სიმინდს და კოკ-საგინს დაეთესავ. უსათოდ უნდა ვაჯობოთ შორახს, რომ აღარ იყოყნოხს. ისეთ ბრიგადას შეეკრებ, რომ...

— კომკავშირლებს?

— რატომ უსათოდ კომკავშირლებს? კომკავშირლების შეკრება და ორ დღეტიხაზე რეკონდის დამყარება. არც ისე დიდი დამსახურებაა. ჩემს ბრიგადაში ყველა იქნება მოხუცებიც და ახალგაზრდებიც.

— თქვენ თვითონ კომკავშირელი ხართ?

— რა თქმა უნდა, კომკავშირელი ვარ. სწორედ ამიტომაც ვლაპარაკობ ასე. კომკავშირლებმა მარტო კი არ უნდა იმუშაონ თავიანთ უბნებზე, არამედ სხვებზე უნდა შემოიკრიბონ ირგვლივ. აბა, თქვით, რომ ასე არ არის?!

— არა, მე ვიტყვი, რომ სწორედ ეგ არის. მწველავად ყოფნა, ალბათ, არ მოგწონთ!

— რატომაც არ მომწონს? ესეც შრომაა, მაგრამ ძროხას ბეგიაც მოწველის. ახლა ფერმაში საქმე გაუმჯობესდა, ესეც არ იყოს, რძესთან აღდომა მოსაწყენია.

— «ცეცხლია», — გაიფიქრა სერგეიმ, — ასეთს ახალგაზრდობაც სიხლისით გაჰყვება, თვით შორახსაც მოხუცდება უკან მიხედვა, რომ ქუსლები არ მოუთვლონ.

— ერთი მითხარით, გალამ, კოლმეურნეობაში ხომ არის კომკავშირული ორგანიზაცია?

— აი, უბედურებაც იმამია, რომ არ არის. იამდე იყო, განთავისუფლების შემდეგ კი მხოლოდ სასოფლო ორგანიზაცია ჩამოყალიბდა. სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში კი, უკვე არის უჯრედი.

— კომკავშირლები ბევრი გყავთ?

— ცოტა ვართ.

— მაინც რამდენი?

— კოლმეურნეობიდან მე და კუჩერენკო ვართ, ოთხი ათწლედიდან არის და მტს-დან ერთი მარუსიაა.

— ესეც საკმარისი იქნებოდა.

— რაიკომი ამბობს, რომ ცოტა ხართ!

— განა რაიკომში თქვენი რიცხვის ზრდაზე არ ფიქრობენ? კოლმეურნეობაში ხომ არიან ახალგაზრდები?

— რა თქმა უნდა არიან.

— საკუთარი ორგანიზაცია რომ გე-
ქნებათ, უფრო მალე გაიზრდებით.
ჯერ მარუსიას და მოწაფეებს შემოიკ-
რებთ, შემდეგ ახლებიც გამოიწვიებთ.
— აი, რაიკომში თქვენ დაგვიზ-
მართ.

— თუ საჭირო იქნება, რატომაც
არა, მოგეხმარებით. ჯერ კი თქვენი
დახმარება მჭირდება.

— თქვენ? ოღონდ თქვით რაში!

— თქვენ თუ იცით, რომ კოლმეურ-
ნობა ხუთწლიან გეგმას ადგენს.

— ვიცო, გავიგე, რომ თქვენ უნდა
შეადგინოთ.

— ამ საღამოთი შემოვიკრიბეთ ყველა
თქვენი კომკავშირლები უნდა მოვი-
ლაპარაკოთ.

— როგორც კი ჩაეა მზე, ყველა ად-
გილზე ვიქნებით.

— ძალიან კარგი. მოიწყვიეთ ტოლია,
იგორი და ქენიაც.

— ისინი ხომ კომკავშირლები არ
არიან.

— არა უშავს რა, მალე იქნებიან.
მორაზსაც თხოვეთ მოვიდეს.

— მორაზი და ტოლია ჩვენს კოლ-
მეურნეობას არ ეკუთვნიან.

— არაფერია, გეგმის გარდა სხვა
საქმეებზედაც ვიმსჯელებთ.

საღამოს, კოლმეურნეობის კანტორა-
ში ყველა მოწვეულები მოვიდნენ. ლა-
პარაკი იყო გეგმაზე, კოლმეურნეობა-
ზე და გალაკაზე. თავად სერგეის არა-
ვითარი წინადადება არ მიუცია. ის
მხოლოდ აწესრიგებდა ლაპარაკს და
საჭირო მიმართულებას აძლევდა. რო-
დესაც რომელიმე ახალგაზრდა დაი-
ჭერდა მის აზრს, და ამის საფუძველ-
ზე შეიტანდა წინადადებას, სერგეი მას
ანვითარებდა როგორც გალიას, ქენიას
ან მარუსიას წინადადებას. საუბარი
თანდათან საინტერესო ხდებოდა.
ახალგაზრდები ხმამაღლა ოცნებობ-
დნენ. ბაასი დიდხანს გაგრძელებდა.

წყნარსა და ცარიელ ქუჩაში ყველა
ერთად გამოვიდა. მორაზსა და კენი-
რენკომ შესახვევში პირველებმა გადა-
უხვიეს, რამდენიმე წუთის შემდეგ გა-
მოეშვიდობნენ ტოლია, იგორი და ქე-
ნია, მათ ათწლეულის მოწაფეებიც გაჰყ-
ვნენ. სერგეი მარტო მარუსიასთან და
გალიასთან დარჩა, მარუსია ჩუმად და-
ფიქრებული მიდიოდა. გალია კი ჯერ
მორაზს დასცინოდა, შემდეგ ჯუჯულუ-
ნებდა — ლუკა მიტროფანოვიჩს აჯაგ-
რებდა; ისიც წარმოიდგინა, თუ როგორ

ხმაურობს ფედორჩუკის მანქანა, და ამ
დროს უცბათ გაიერდა შუა ქუჩაში
და თავში ხელი შემოირტყა.

— ვაიმე, ეს რა დამემართა! ალბათ
ნიკოლაი უკვე დიდხანს მოსულაა
რისათვის, მე კი აქ ვსეირნობ. მშვი-
დობით! უნდა გავიქცე.

და გალია, ხელის ქნევით მიიმალა
მოსახვევში.

მარტო სერგეი და მარუსია დარჩნენ.
ქალი სდუმდა.

— რატომ მოგიწყენიათ ასე მა-
რუსია?

— ვფიქრობ, სერგეი პეტროვიჩი...
კარგი საუბარი ვუქონდა დღეს. ასე
ხშირად უნდა ვიკრიბებოდით... — და
ხელახლა გაიუმდა.

ისე თავჩაქინდრული მიდიოდა, თი-
თქოს ფეხის დასადგმელ ადგილს არ-
ჩევსო.

— სერგეი პეტროვიჩი, თქვენ იცით,
ვანო ისევე ყავკასიაში რომ წაყიდა? მო-
ულოდნელად ჰკითხა მარუსიამ.

— გავიგე, — უპასუხა სერგეიმ.

— საბოლოოდ ვერ მოილაპარაკეს.
ნატალიას ყავკასიაში წასვლა არ უნდა,
ვანო კი აქ არ ჩიება. ნატალიამ იტირა
კიდევც...

სხვისი სიყვარულის ამბავმა სერგეის
კარგი ხასიათი მოულოდნელად წაუხ-
დინა. „ნეტა ასეთი ამბავი არ გავგხსე-
ნებია ქალო“. — გაიფიქრა სერგეიმ,
ხმამაღლა კი თქვა:

— ცრემლები ყოველთვის უბედუ-
რებას კი არ ნიშნავს.

— მაგრამ უცრემლოდ ყოფნა მაინც
უკეთესია. მარუსიას ხმაში ისეთი სით-
ბე ისმოდა, რომ სერგეიმ უნებურად
შეხედა მას. მარუსია ფიქრებში ისე
იყო წასული, რომ ვერც კი შეამჩნია
ეს.

— ნატაშა მეცოდება...

— რატომ გგონია რომ მას შეიცოდე-
ბა ზორდება?

როცა უყვართ, ვაუგებრობასაც და
უსიამოვნებასაც აქვს ხოლმე ადგილი,
მაგრამ შემდეგ ყველაფერი ეს გაიფ-
ლის და მხოლოდ კარგი და სპეტიკი
დარჩება. ხან ისედაც ხდება რომ შეხე-
დებიან. შეუყვაროებთან ერთმანეთი,
მაგრამ შემდეგში კი სამუდამოდ და-
შორდებიან. ცხოვრება ასეთია!

და სერგეიმ უამბო მარუსიას, ისე,
როგორც სხვისი ამბავი. თავის ჰოსპიტ-
ლის ექიმისადმი სიყვარულის შესახებ.
ამ სიყვარულზე მან მხოლოდ იმიტომ

თქვა უარი რომ ჯანმრთელობა ომში დაეკარგა და ამიტომ მიიწინა, რომ სიყვარულის ნება აღარ ჰქონდა.

— მე არ გეთანხმებით, სერგეი პეტროვიჩ, ცხოვრება ისეთი კი არ უნდა იყოს, როგორიც არის, არამედ ისეთი, როგორიც ჩვენ გვინდა და ვცდილობთ, რომ იყოს; არც სიყვარული უნდა იყოს ისეთი, რომელზედაც ახლა თქვენ ლაპარაკობდით.

— მაშ, როგორი უნდა იყოს?

— სიყვარული ის ხომ არ არის, რომ უთუოდ ერთმანეთს ორი ჯანსაღი და ლამაზი არსება შეხვდეს, მარტო ჯანმრთელობასა და სილამაზეში ხომ არ არის საქმე. მთავარია, რომ მათ აზრები, გრძობები და მისწრაფებები ჰქონდეთ საერთო. ის, ვისაც ნამდვილად უყვარს, საყვარელ ღამიანს არასოდეს არ მიატოვებს გაქირვებაში, არ მიატოვებს იმიტომ, რომ ის ომში დასახინჩრდა. თუ მართლაც ნამდვილ სიყვარულს აქვს ადგილი, ამის შესახებ ფიქრიც კი ზედმეტია. ხომ შეიძლება შეგიყვარდეს ჯანმრთელი და ლამაზი, მას კი არც აინტერესებდეს შენი აზრები და მისწრაფებები და მან, ისევე, როგორც კულჩიკი, დაშვებდებოდა თქვას: „ჩემი ცოლი დაბოძებს“, და ითხოვს მეორე, და ისევე, როგორც პირველს. არც ამას ცეს პატივი, და არც კი დაინტერესოს მისმა აზრებმა. ადამიანი იმიტომ უყვართ, რომ ის ნამდვილი ადამიანია, და არა იმიტომ, რომ მას ორივე ხელი აქვს, ან მკერდით ნაღმის ნატეხს არ ატარებს...

სერგეი შეჩერდა კიდევ. მარუსიას კი საქციელი წაუხდა, გაჩუმდა და გაწითლდა.

სერგეი პირველად ხედავდა ასეთს მარუსიას. ის გრძობდა, რომ მარუსია თავისი სიტყვებით მას უწერდა მხარს. ათბობდა და რაღაც იმედს უწერდა. „უწინ არც შემიძინევი, რომ მარუსია ასეთი ლამაზია“. — მოულოდნელად გაიფიქრა სერგეიმ.

კვირას სერგეი კომკავშირის რაიკომის პლენუმს დაესწრო. სხდომა სამ საათზე დაითავრა.

კლუბიდან სერგეი და ვორონოვი ერთად გამოვიდნენ, ვორონოვი ჩქარობდა, რადგან პარტიული რაიკომის ბიუროზე მიდიოდა.

გზაში სერგეი ლაპარაკობდა კოლმეურნობასა და გეგმის შესახებ. მან

განზრახ არაფერი თქვა იმის შესახებ, რომ ტყენარვის კამპანების ჩატარებას აპირებდა. „ჯერ ენახეთ, ახლა განზრდება როგორ მიიღებს ამ ამბავს, მერე კი ეს საქმე თვით მათივე ინიციატივით დაიწყოს“. — გადაწყვიტა სერგეიმ.

სერგეიმ აგერივზე კოლმეურნობის უარყოფით მხარეებზედაც მიუთითა და საქმეებში აღმოჩენილი ორი საბუთიც უჩვენა.

— ეგ საბუთები მე მომეცა, — უთხრა ვორონოვი. — პროკურორის გადაეუგზავნე. ეგ ახალი საქმე როდია. რაიონში უკვე რამდენიმე ასეთი „ხელმარდია“ აღმოჩენილი.

— შენ ყოველთვის ყველაფერი უნდა იცოდე? — გალიმა სერგეიმ და საბუთები ვორონოვს გადასცა.

— ეს მარტო მე კი არა ზევითაც იციან. მაღე, აღმათ, ისე დაფერტხავენ, რომ ზოგიერთი დამპალი მსხალივით ჩამოვარდება. უკვე დროა, რომ წესრიგი დამყარდეს. შენ როგორღა ხარ? ხომ არ მოგწყინდა? მანატიე, რომ პირველი გაცნობისთანავე ასეთ უღელში შევაბი, მაგრამ ასე იყო საქმეო. მოხუცეს უნდა მოეხმარო. მართლა, როგორ არის?

— არა უშავს რა, მაგრამ ემძიმება კი. გული სხვა სამუშაოსაკენ უწევს. ის რომ ბოსტანში გაუშვა — კართოფისზე, ისე იმუშავებს რომ მთელ ოლქში სანიმუშო იქნებოდა.

— ამბობ შენც! საბოლოოდ კარგი თავმჯდომარე დადგება, ჯერ არ არის მიჩვეული ხელმძღვანელობას. შემდეგში კი გამოიწრთობა.

— მაგრამ მის სურვილებს ხომ უნდა გაუწიოთ ანგარიში, უკვე მოხუცი ადამიანია.

— ვიცი, — მოიღუშა ვორონოვი, — შენ რა, მისი ვიქილი ხომ არა ხარ? ისე ლაპარაკობ, თითქოს თავმჯდომარეები გზაზე იყარონ. მხოლოდ, გაიგე, რომ ხალხი ცოტა გეყავს, არა უშავს, ჯერ იმუშაოს, სხნამ სხეები წამოიზრდებოდენ. — და უფრო დამშვიდებით დაუმატა: — მე თვითონაც კარგად ვიცი, ის რომ ბოსტანში ამუშაო, რაიონში პირველ რეკორდს დამყარებს. ეხ, რეკორდები და რეკორდები, გავიძახით, რაიონში კი პურის დამზადებასაც ვერ ვასრულებთ. — პაუზის შემდეგ ვორონოვი განაგრძო: — მე და შენ, ერთი

თავისუფლად ლაპარაკი ვერ მოგვიხერხებია.

— მოლაპარაკება კი აუცილებელი საჭიროა.

— შენ თქვი, რომ აუცილებელია? რადგან ასეა... დაიცა... ზვალ ორი საათისათვის შემთხვევით ჩემთან. თანახმა ხარ?

— თანახმა ვარ.

— მართლა, სერგეი როგორაა, შენის საქმეები? მე ისიც კი არ ვიცი, უცოლო ხარ თუ არა! ოჯახი გყავს?

— უცოლო ვარ.

— ხანში შესული უცოლო კაცი, — სიცილით დაუმატა ვორონოვმა. შენც ათვალე, შეიძლება აქვე შეგერთოთ ცოლი. ჩვენი ქალები, მხოლოდ ცეცხლივით გოგონებია.

სერგეი ჩუმად იყო.

— მაშ კარგად იყავი, — უთხრა ვორონოვმა და ხელი გაუწოდა. ზვალ გილოდები...

ვორონოვთან გამომშვიდობების შემდეგ, სერგეი სახლში დაბრუნდა, ისაღილა და ახლა კომპაგვირის კრებაზე წავიდა.

სერგეი რომ მივიდა, კრება უკვე დაწყებული იყო. სამკითხველოს ოთახში ბევრი ახალგაზრდა შეკრებილიყო — ისხდნენ სკამებზე და ფანჯრების რაფებზედაც თავმჯდომარეობდა მატყვი მორბენი; მდივნად სერგეის უცნობი, ვიღაც ქალი იყო. პრეზიდენტის მაგიდასთან ედგა იდგა. მღელვარებისაგან მის ლოყებს ცეცხლი ეკიდებოდა! ექნისა დღეს კომპაგვირში ღებულობდნენ.

სერგეი კარების ზღურბლზე შეიჩრდა და იქაურობას თვლივით გადაავლო. ტოლია და იგორი ერთ სკამზე იჯდნენ, ცოტა მოშორებით მარუსია იყო. წინ პრეზიდენტის მაგიდასთან, ფედორჩუკის ტრაქტორისტები ჩამწყვილებულიყვნენ. მოპირდაპირე კუთხეში კი, თავისუფალივით პრეზიდენტის მაგიდასთან, მორბენის მთელი ბრიგადა. მარჯვნივ, ფანჯარასთან სერგეიმ ლესია დინანა. „ლეზიაც მოსულა, შვილს კომპაგვირში იღებენ“, — გაიფიქრა მან. კარების პირდაპირ, კედელთან ფედორჩუკი იჯდა. ის მოუსვენრად წრიალობდა სკამზე და სერგეის მუნჯურად ებატიჯებოდა, რომ მასთან მისულიყო. ფედორჩუკის ტრაქტორისტებმა მიიწ-მოიწიეს და

სერგეის ადგილი ბრიგადირის გვერდით გაუხთავისუფლეს.

— ჩემებს ღებულობენ, ჩუქურჩუნა ფედორჩუკმა ყურში სერგეის დაჯდომისთანავე.

ფედორჩუკი ამტკებდა, როცა მრავლობით რიცხვზე ლაპარაკობდა. ზუსტად რომ ითქვას, მისი ლაპარაკი მხოლოდ იგორს უხდა შეგებოდა. მართალია, როგორც კომპანიერის თამაშემწე შეიძლება ტოლიაც მისად ჩათვლილიყო; ექნისა კი ფედორჩუკის ბრიგადისთან სრულიად არავითარი დამოკიდებულება არ ჰქონდა.

მორბენმა სთხოვა ექნისა, ეამბნა თავისი ბიოგრაფია.

სიტყვა „ბიოგრაფია“ ამ თუთხმეტი წლის გოგონას მიმართ, ღიმილი გამოიწვია.

მაგრამ, ექნისა ბიოგრაფია მართლაც ჰქონია. მან უამბო კრებას, თუ როგორ სწავლობდა მეოთხე კლასში, ეგავყუაციის დროს დედასთან ერთად როგორ მოხვდა მტრის გარემოცვაში, როგორ გამოვიდნენ ამ გარემოცვიდან და მიადიეს ურალამდე. ურალში დედამისი ქარხანაში მონაგარივით მუშაობდა, ექნია სწავლობდა. დამ-დამობით კი ორთავე თეთრეულს რეცხავდნენ ჰოსპიტლისათვის. ექნია ხშირად დადიოდა დაქრილ წითელარმიელების სანახავად და თაოსნობდა ხოლმე ფრონტზე პოზირითა საჩიქრების გაგზავნას. ახლა ის სწავლობდა და კოლმეგურნობის ნახირსაც უვლიდა. ერთი სიტყვით, ეს იყო საინტერესო ბიოგრაფია, რასაც ყურადღებით ისმენდნენ.

იგორსაც ჰქონდა სათქმელი. ამ ორნახევარი წლის წინ, თოთხმეტი წლის ბიჭი ესესოველებს გამოეკცა, რომლებიც ახალწილებიდან წასვლისას, გაზაფხულის წვიმიან დღეებში ხალხს წინ მიერეგებოდნენ. იგორი გაიქცა კოლმეიდან, შემდეგ მეორეში მოხვდა, მიმავალ მატარებლიდან ჩამოხტა, ფრონტის ხაზი გაიარა და შემთხვევითმა საფრონტო მანქანამ ჩამოიყვანა ახალწილებარში. შარშან იგორმა ორი კლასის კურსი ერთად ჩააბარა. წრეულს კი, სკოლასთან შეთავსებით, ფედორჩუკის სატრაქტორო ჯგუფში მაცადინობდა და ტრაქტორისტიც გახდა.

როცა ახალგაზრდებს შეკითხვებს აღ-
ლევენ, ფედორჩუკი ძალიან ღელავ-
და. თუ კარგად პასუხობდნენ, მაშინ ის
მუხლებზე ხელს ისობდა და გამარჯვებულ
კაცის სახით იღიმებოდა, თუ კი
რამე შეეშლებოდათ, მაშინ ფედორჩუ-
კი სკამზე აწრიალდებოდა და ხენეშას
დაიწყებდა ერთხელ შეეცადა კიდევ
რომ ეენიასთვის რაღაც ეკარნახა. რო-
ცა იგორის განცხადების გარჩევას შე-
უღებენ, იმ სკამზე პირდაპირ ველარ
ჩერდებოდა.

მარუსიაც ღელავდა თავისი ამხანაგის
გამო; მღელვარება მას აწითლებულ სა-
ხეზე ემჩნეოდა.

რამდენიმე შეკითხვის შემდეგ, წეს-
დების თანახმად, რაიკომიდან მოსული
ქალი შეეკითხა იგორს:

— პარიზის კონფერენციაზე ქალაქ
ტრიადამი, რა გადაწყვეტილება იყო
მიღებული?

იგორი გულწრფელად გამოტყდა:

— ამხანაგებო, ვერ მოვასწარი წა-
კითხვა, სულ მინდორში ვარ.

ფედორჩუკი ბოლოსაგან მთლად და-
იჯლა, მუხლზე მუშტი დაირტყა და
წამოხტა:

— ამხანაგებო, ხომ იცით, რომ ახლა
მკის დროა, კიდევ ნასიენი მიწებიც...

— ამხანაგო ფედორჩუკ, თქვენ რა,
ამისი მამა ხომ არა ხართ? — ჰკითხა
მოროზმა.

— მამაო? მამაზე მეტი ვარ! მე მაგი-
სი ბრიგადირი ვარ.

— ხო და, ძალიან ცუდია, რომ ბრი-
გადაში პარტიის წევრები გაზეთებს
არ კითხულობენ.

— ამხანაგებო, მკის დროა მეტი
და დამწვიდებული უეცრად დაჯდა:

— კარგი, ვალდებულებას ვიღებ,
რომ ეს კონფერენცია, ერთი კვირის შე-
მდეგ, მთელ ბრიგადას ზეპირად ეცო-
დინება.

ტოლია, იგორი და ენია ერთხმად
მიიღეს კომკავშირში. აღელვებულები
და გაწითლებულები, ისინი სამთავე
ერთად წინა სკამზე ისხდნენ და გულ-
მოდგინეთ უსმენდნენ მოროზის მოხსე-
ნებას.

მოროზი სამემოდგომო თესვის სამშა-
ლისზე ლაპარაკობდა.

სერგეი ახალ კომკავშირლებს უყუ-
რებდა, თითქოს უნდოდა გაეგო, თუ
რამდენად ღრმად შეიგნეს იმათ დღევან-
დელი დღის მნიშვნელობა თავისი ცხოვ-
რებისათვის; ნეტავი იციან თუ არა რა-
მე იმ ქორიან თვრამეტ-ოცწლიან ახალ-
გაზრდობის შესახებ, რომლებმაც ოც
წელში, პოლონეთის ფრონტიდან დაბ-
რუნების შემდეგ, ახალნიღურებში და-
არსეს კომკავშირლების პირველი უჯ-
რები?

უჯრედის კრებებზე შამხანებით და-
დიოდნენ, შამხანებითვე, გაუხდელად
ეძინათ ხოლმე. ქამდნენ კარტოფილს
და მღეროდნენ:

ბურჯუების სამწუხაროდ
მთელ მსოფლიოს ხანძრად ვაყვეთ.

შამხანებით ხელში ისინი იცავდნენ
საბჭოთა ხელისუფლებას, დადიოდნენ
და კულაყთა ბანდებს ებრძოდნენ;
ფრონტზე ვადარჩენილნი, ზოგიერთნი
ამ ბრძოლაში იღუპებოდნენ. ისინი
ახალგაზრდა რესპუბლიკისათვის, კუ-
ლაკების მიერ გადაძალულ პურს ეძებ-
დნენ და ძლიერ ყინვების დროს ცივ
თავლებში წარმოადგინებს აწყობდნენ.

იტანდნენ შიმშილს და სიცოცხლს,
ომობდნენ და იღუპებოდნენ დღევან-
დელ დღეზე ფიქრში. აი, ამ ჭაბუკებისა
და ქალიშვილების ბედნიერებისათვის.
კარგად კითხვაც არ იცოდნენ და მარც-
ვალ-მარცვალ კითხვით საათობით სწაფ-
ლობდნენ პოლიტიკონომიას და არჩივ-
დნენ „პრავდის“ სტატიებს, რომელთა
ყოველ თეზისს, ცხოვრებიდან აღებუ-
ლი მაგალითით ხსნიდნენ.

ისინი იყვნენ, რომ ცრემლმომოწრობ-
ლად ტიროდნენ ოცდაათი წლის ყინ-
ვიან 21 იანვარს, და ცეკასა და
სტალინის ირგვლივ მტკიცე საფარვე-
ლად შემოკრებილნი, პარტიაში პირვე-
ლები შედიოდნენ: შემდეგ ისინი სხვა
კომკავშირელთა წევრად შეეცადა, იმათ
უკვე იცოდნენ, თუ რა არის წიგნი, გა-
ზეთი და სკოლა. ბევრი მათგანი შედ-
წლელსაც კი ამთავრებდა. ისინი ატა-
რებდნენ პოლიტკურ-მასობრივ მუშა-
ებას, სათავეში ედგნენ ღარიბთა კომი-
ტეტებს, ამზადებდნენ გლეხებს კოლექ-
ტივში მეურნეობების გაერთიანებისათ-



ვის. მათი მუშობა გაადვილებული იყო, რადგან მათ დამოუკიდებელი ხელმძღვანელი ჰყავდათ — რაიონში დიდი პარტიული ორგანიზაცია მუშაობდა.

უფრო მოგვიანებით კომკავშირში მოვიდა სერგეის თაობა. ეს თაობა, სკოლის მერხიდანვე ეხმარებოდა პარტიას კოლმეურნეობების მოწყობაში და კულაკობის მოსაპობაში.

რამდენი ნამდვილი; დიდი ადამიანი ჰყავს ალზრდილი ახალნიკელების კომკავშირულ ორგანიზაციას! ახლა მასში შევიდნენ იგორი, ტოლია და ეენია...

რა ბედნიერებაა, იცოდე და ხედავდე, რომ ახალგაზრდობა არამც თუ აგრძელებს შენს საქმეს, არამედ ახორციელებს კიდევ მას, რაზედაც შენ ფიქრობდი და რითაც შენ ცხოვრობდი.

მოხსენების შემდეგ სიტყვა გალია საროჩენკომ ითხოვა:

— მე მინდა ვკითხო ჩვენს მდივანს და კომკავშირის მთელ ორგანიზაციას, — თქვა მან, — კიდევ დიდხანს ვიქნებით ახალგაზრდობიდან ასე გათიშული თუ არა? ნუ გიკვირს, ნატალია. მე სრულიად სერიოზულად ვლაპარაკობ. ლაპარაკობენ კომკავშირელთა ბრიგადებზე, კომკავშირელთა ნაკვეთებზე... ახალგაზრდობასთან მუშაობა კი სადღაა? ერთი სიტყვით, აუცილებელია, რომ ჩვენს კოლმეურნეობაში კომკავშირული ორგანიზაცია ჩამოყალიბდეს. ამის შესახებ სხვებიც გვითითებენ, ჩვენ კი ყურსაც არ ვებერტყავით... გთხოვთ, ჩემი წინადადება განსახილველად დასვათ.

— ხალხი სად არის, ხალხი? — იკითხა ნატალიამ.

— ხალხი? — ერთი — მე, მეორე — ელჩერენკო, ათწლეულის კომკავშირლები, მტხლან მარუსიას წამოვიყვანთ.

— როგორ თუ წამოვიყვანთ? — წამოხატა ფედორჩუკი. — არ მოგცემთ!

— ტრაქტორზე ხომ არ მიბამთ? — თქვა გალიამ ანთებული თვალებით. „არ მოგცემთ“!.. სწორედ თქვენს წერილმესაკუთრის ინსტიტუტებს გავუკვიეთ ანგარიში?! იმუშავენს, ახალ კომკავშირლებს ალზრდის, ორგანიზაციას გააძლიერებს, შემდეგ კი თქვენს მარუსიას უკანვე დაგიბრუნებთ, არ შეიკამათ.

— მე ვილასთან დაერჩე?

— კარგი, გეყოფა, — დაუქვია მხარი გალიას მორიხმა.

— მე თვითონაც მინდა კოლმეურ-

ნეობის ორგანიზაციაში გადასვლა! — თქვა მარუსიამ.

— მეც მინდა! — იყვირა ხმამაღლა იგორმა.

ასეთ გავრთიანებულ შემოტევით გაკვირვებულმა ფედორჩუკმა ირგვლივ მიმოიხედა და სერგეის ხელი წაკრა:

— რა დაემართად დღეს? რა ბოზმა უქბინათ ნეტავი? — და მოულოდნელად ხელისგული მუხლზე დაირტყა. — გემორჩილებით, მეც მხარს გიჭერთ! მეც ჩამწერეთ!

ფედორჩუკის უკანასკნელი სიტყვები ხმამაღლა სიცილმა დაფარა.

გალია წინადადებებს ყველამ მხარი დაუჭირა და დაადგინეს: ეთხოვოს რაიკომს, რომ ლენინის სახელობის კოლმეურნეობასთან ახალი კომკავშირული ორგანიზაცია დაამტკიცოს.

სიტყვა ენდამ ითხოვა.

ის ადგა, ქერა თმის კულულები ბაგეშურად შეისწორა ყურებზე, ფართით გაღებულ თვალებით წინ დაიხედა და დაიბნა: ათეული წყვილი თვალი გაცივებით უმხერდა მას. მისი ლოყები წითელ-წითელი ლაქებით დაიფარა.

ეენია, საკუთარი წინადადებით, პირველად გამოდიოდა კომკავშირელთა კრებაზე.

— ამხანაგებო, — თქვა მან წყნარად. — ამხანაგებო, მე... და გარემოდა, — ვინიცის კომკავშირლებზე მინდოდა... არა... ეგ კი არა... მე მინდოდა გვალვის შესახებ მეტყვა, — მისი წერილი ხმა პირველად ძლივს ისმოდა, მაგრამ მალე გამხნედა და ხმაც მტკიცე გაუხდა, — ვინიცის კომკავშირლებმა სახალხო მოძრაობა მოაწყვეს, მთელ ოლქში ელექტროფიკაცია გაიყვანეს. ჩვენც შეგვიძლია. უნდა გავაკეთოთ. მაგრამ მე ელექტროფიკაციაზე არ ვლაპარაკობ, მე მინდა გვალვაზე ვილაპარაკო. ვინიცის კომკავშირლების მსგავსად ჩვენც უნდა მოვაწყუთოთ სახალხო მოძრაობა და შევებროლოთ გვალვას. ასეთი სტატია მე უკვე მოვათავსე ჩვენს გაზეთში... ყოველმა კომკავშირელმა, ყოველმა პიონერმა, ყოველმა კოლმეურნემ ხათწლედი იუნდა დარგოს ორმოცდა ათი ძირი ხე. ეს ძნელი არ არის ამხანაგებო. ყოველ წელიწადზე ათ-ათი, ან ოც-ოცი მოდის. სრულიადაც არ არის საკადლებულო, რომ უსათუოდ მსხალი ან ვაშლი იყოს. განა ძნელია, რომ ამ შემოდგომაზე ყოველმა

ჩვენთანაა იცოცხე ძირი ნაკერჩხალი და მუხა დავრგოთ? იცოცხე ნაკერჩხალი რომ გაიზრდება, რაც ვახდებდა, თქვენც იცით, — ეს უკვე ტყეა. მხოლოდ ისე დარგვა კი არ შეიძლება, ვისაც როგორ მოუხდებდა, არამედ გვემით, სატყეო ზონებში უნდა დაირგოს, რომ ქარები შეაჩეროს, თოვლი შემოინახოს და ჩვენი მიწაც დაამშენოს. ჯერ აქ, სოფელში, ან კოლმეურნობაში დავიწყოთ, შემდეგ კი დანარჩენებიც ავგვევიბანან. აი, ამხანაგი მორიხიც მხარს მიქერს. — გაათავა ევნიამ და კიდევ უფრო მეტად გაწითლებული თავის ადგილზე დაჯდა.

— ერთი უსმინე, რას ამბობს! — ფედორჩუქმა სახელოზე წააგლო ხელი სერგეის, — სწორია ევნიამ! ამ საქმისათვის მე სპეციალურ ტრაქტორს გამოგიყვოფთ. მის აწყობას მალე მოვრჩებით... ვერ გამოვიდა, რა დაემართათ. ერთი უსმინე, რას თხოულობენ. — უჩუჩრჩულუნდა ფედორჩუქი ყურში სერგეის, — მე იმ ქათმის მდგომარეობაში ვარ, რომელმაც იხვეები გამოჩეკა და შემდეგ

იმით იყო გაკვირებული, რომ ისინი წყლისკენ იწვევდნენ.

— არა, ასეთ ქათამს მჭერს სულაც არ გავხარ, — სიცილით უთხრა სერგეიმ.

— არა, ერთი დაფიქრდი: ევნიამ ასეთი ჩუმია და როგორი საქმის წინადადებას იძლევა?! რა გაციინებს?

ფედორჩუქმა დაკვირვებით შეხედა სერგეის და უცხად, თითქოს გამოიცნო მისი დიმილის ნამდვილი მიზეზი, წამოიძახა:

— დაცა!.. დაცა!.. უკვე ვიცი, რატომაც იცინი. ახლა ყველაფერი მესმის. ეს სულ შენი ნასწავლია. ვიცნობ, რაცა ხარ. შენ ძილშიაც კი რაღაცას მოიგონებ!

— აბა, რას ამბობ! ნუ ყვირი, მთელი ოთახი გააყრუე.

სერგეიმ მიმოიხედა, რომ გაეგო, ხომ არავის გაუგონია მათი ლაპარაკი, და ამდროს მისი თვალები ლესიას თვალებს შეხედნენ. ლესია სერგეის თვალს არ აცილებდა.

თავი მუხვილი

I

ვორონოვთან შეხვედრის წინ, სერგეი უკანასკნელ ჩანაწერებს ათვლიერებდა; სწორად რომ ითქვას, ეს ჩანაწერები მომავალი საქმიანობის ვრცელი პროგრამა იყო: ახალგაზრდობის ლაშქრობა გვალვასთან საბრძოლველად; კოლმეურნობის ხუთწლელი; ლაპარაკი ვანოსთან რომლის დახმარებითაც სერგეის იმედი ჰქონდა საქართველოში კოლმეურნობასთან მტკიცე მეგობრობა დაემყარებია; კომკავშირული ორგანიზაციის ჩამოყალიბება კოლმეურნობაში. სერგეიმ უჯრედის მდევნის კანდიდატურაზედაც კი იფიქრა — მდივნობა გალია სოროჩინკოს შეეძლო, მეტად ენერგიული და ცოცხალი ქალი, სრულიად შესაფერისი იყო ამ როლისათვის.

სერგეის ფიქრები ბიცოლა ევდოკიამ დააწყვიტინა:

— სერგეი, შენს სახელოზე წერილია, — თქვა მან, როცა ოთახში შევიდა. წერილი დონბასიდან იყო. იწერებოდა ივანე ბობროვი, მისი ძველი მეგობარი, რომელთანაც სერგეი ბინად გაჩერ-

და პოსპიტლიდან დონბასში ჩასვლისას.

ივანე ბობროვი და მისი ოჯახი სერგეის ცხოვრებაში დიდი მონაწილეობას ღებულობდნენ. ივანე ზრუნავდა იმის შესახებ, რომ სერგეი ისეთ სამუშაოზე მოწყობილიყო, რასაც მისი ჯანმრთელობა აიტანდა. სერგეი მეგობრის პატივი იყო, მაგრამ მისი წინადადება, რომ სერგეი გამხდარიყო სამკითხველოს, ან კულტურის სახლის გამგე, გულს ტყენდა და შეურაცხყოფასაც კი აყენებდა.

სერგეის ემძიმებოდა ეცხოვრა მდაროსთან ახლოს, ეცქირა, თუ როგორ მუშაობდნენ ალღევისთან სამუშაოებზე და თავათ კი ვანზე ყოფილიყო გამდგარი, ის ისე წამოვიდა ახალ ნიაღვარში რომ ვერაფერი გადაწყვიტა.

ივანე იწერებოდა ახალ სამხატო ნაგებობათა მშენებლობაზე, წალიკილი მტრეკების ალღევისზე, ამოღებულ ნახშირის პირველ ტონებზე, რომლებსაც უკვე კიევსა და ლენინგრადში გაიგზავნა და ლუჩინივის „დიდი ნაბიჯის“ დანერგვაზე.

— მალე ჩამოდი, — იწერებოდა ივა-

ჩვენთაგანმა ოც-ოცი ძირი ნეკერჩხა-ლი და მუხა დავრგოთ? ოცი ნეკერჩხა-კო-საქარხნო სკოლის დირექტორად იქ-ნები. შენი ჯანმრთელობა ამ მუშაობა-ში ხელს არ შეგიშლის. გამოცდილ და კარგ თანაშემწეებს მოგიძებნით“.

სერგეიმ წარმოიდგინა დირექტორის მუშაობა. რაც მთელი სიმძიმით არა მას არამედ მის მოადგილეს უნდა დაწო-ლოდა და საშინელი სიმწარე იგრძნო. „საპატიო თანამდებობას მთავაზობენ. ჩემს მაგივრად სხვები იმუშავენ, თა-ნამდებობა კი მე უნდა მეჭიროს“.

აქ უფრო კარგად გრძობდა თავს. ახალწილვარში მისი ჯანმრთელობა მუშაობაში ხელს არ უშლიდა მას.

„ენახო, — თქვა მან ყოყმანით, — ჯერ ის უნდა დავამთავრო, რაც აქ მაქვს დაწყებული. ბობროვს მივწერ პა-სუხს და შემდეგ ვორთხოვთან წავალ“.

II.

ვაიკომის მისაღები ოთახი ცარიელი იყო, მხოლოდ კუთხეში, მაგიოასთან ვორთხოვის თანაშემწე ლენა იჯდა და ქალაღებს ათვლიერებდა.

— დილაშვიდობისა, ლენა, შეგიძ-ლია მომილოცო, გუშინ ორმოცო წლისა ვავხდი.

— გილოცავთ ანდრეი ივანიჩ. შეხე-დულება კი ორმოცი წლის კაცისა არა გაქვთ.

— გაჩუმდი, ნუ მამშვიდებ. დიდი ხა-ნია შეგამჩნიე, რომ სასიამოვნო რამის თქმა გიყვარს, მაგრამ მე კი ახალ-გაზრდა მაინც ვერ ვავხლები, ვნანობ კია. სხვა, ახალი რა არის?

— ოლქკომიდან პაეტი. სოფლ-საბჭოების ცნობები უკვე მოვიდა. რა-იღმასკომის თავმჯდომარე იყო.

— მაიორი რუდენკო ხომ არ ყო-ფილა?

— არა.

— კარგი, ყველაფერი მოამზადე და მოგვიანებით შემომიტანე, ახლა კი ლე-შჩინსკაიას სთხოვე.

ნატაშა შევიდა.

— შემოდი, შემოდი! — მიიპატიჟა ვორთხოვმა.

— ამ ბოლო დროს, რაღაც ველარ გხედავ.

— რატომ ვერ მხედავთ, ანდრეი ივანიჩ? თქვენ თვითონ ხართ ძნელი სანახავი, კაცი ვერსად მოგძებნით.

— რას ამბობ, ყოველთვის ყველამ იცის, სადაც შეიძლება ჩემი მოძებნა.

აი, შენ კი... შენი გმირი როგორაა? მოწყენილი ხომ არ არის?

— რატომ ჩემი? ის სამუქოთა კავში-რის გმირია. ვანა თქვენ არ გაგი-გიათ, რომ ის უკვე წავიდა?

— კარგი, კარგი, ნუ წითლდებათ, დაჯექი, სად წავიდა? გაგიქცა თუ რო-გორ?

ნატალია კიდევ მეტად გაწითლა.

— მოულოდნელად წავიდა, მაგრამ მალე დაბრუნდება. ღებეშა უკვე მი-ვიღე.

— მოუსვენარია შენი გმირი. აბა, მიამბე, რამ მოგიყვანა?

— თქვენთან რჩევის საკითხავად მო-ვედი.

ნატალიამ უამბო, თუ რას აპირებდა ახალწილვარის ახალგაზრდობა ტყე-ნარგის გაშენებასთან დაკავშირებით. შემდეგ აჩვენა დადგენილება ლენინის საბელოდის კოლმეურნეობაში კომკავ-შირული უჯრედის ორგანიზაციის ჩა-მოყალიბების შესახებ.

— ყოჩაღ პარტიზანო, კარგი ამბები მომიტანე.

ვორთხოვი აღვა, მაგიდას შემოუთარა და ნატაშას გვერდით დაუჯდა.

— ტყენარგის შესახებ ვინ დასვა სა-კითხი?

— ახალმა კომკავშირელმა, ენია ლანოვამ. ეს ის ქალია, ლარისა დიმიტ-რეიენასთან რომ მუშაობს, ბაღს უვ-ლის, გახსოვს?

— მახსოვს, კარგად მახსოვს. კომ-კავშირულ ორგანიზაციაზე?

— გალია საროჩენკომ, მწველავი ქა-ლი რომ არის.

— ვიცი, ყოჩაღ! ინიციატივა უკვე არის, ხელი უნდა შევწყოთ.

— აქ აზრზე ისინი ალბათ მაიორმა რუდენკომ დააყენა.

— რატომ გგონია?

— თვალეზე შევამჩნიე...

— მამ მითორიც ყოჩაღი ყოფილა.

მხოლოდ ვერ იქნა და ეს კაცი ჩვენთან ვერ მოვიყვანეთ. ცუდი არ იქნებოდა...

აი რე, ნატაშა, ქალებს მხარი უნდა დაუჭიროთ, ტყენარგის საკითხი მე-ტად საინტერესოა. მაიორი ქკუიანი კა-ცია და ბეერი რამ გაეგება.

კაბინეტიდან გამოსვლისას ნატაშა სერგეის შეხვდა.

სერგეი ვორთხოვთან თითქმის მთე-ლი საათი იყო.

— მაშასადამე, როგორც ვხედავ მაიორ, შენ ჩვენთან მოწყენილი არა

ხარ! — ასეა ხომ? — ჰკითხა ვორონოვმა ლაპარაკის დასასრულს.

— მართალი უნდა ითქვას, ასეთი რამეებისათვის დრო სრულებით არ მჩრჩება.

— ჯერ არ ვიფიქრია?

— რა?

— როგორ რა? ჩვენთან დარჩენის შესახებ?

— ამაზე ფიქრი უკვე გვიანაა, — სერგეიმ აჩვენა წერილი და უამბო, თუ რას წერდა ბობროვი.

— მწყინს, რომელიმე ქალს მაინც გაეჩერებოდა აქ.

სერგეიმ ხელი ჩაიქნია:

— ეგ რა სათქმელია!

ხმაში წყენა დაიტყო. ვორონოვმა იმ წამსვე შესცვალა ხუმრობითი კილო.

— აი მაიორ, ააფორიაქე ჩვენი ახალგაზრდობა, შენ კი სამი დღის შემდეგ აღგები და წახვალ, მაშინ რას იტყვიან ისინი? ალბათ, ვინაჲ ქელიძე მამო ჩამოვა, რომელიც, სიმართლე რომ ითქვას, შენი გაგზავნილია საქართველოში, შენ კი აქ არ დახვდები. განა ეს კარგი იქნება?

— სამი დღის შემდეგ წასვლას მე არ ვაპირებ. რასაც ხელი მოგვიდეს, იმას ბოლომდე მივიყვან, თუმცა ახალგაზრდებმა უკვე თვითონაც იციან, რაც უნდა გააკეთონ.

— ეს კი ასეა, მაგრამ შენმა წასვლამ შეიძლება გული გაუტეხოს მათ. ერთი სიტყვით, შენ ჯერ უსათუოდ უნდა დარჩე და დაეხმარო ახალგაზრდებს.

— მე ხომ უარს არ ვამბობ!

— კიდევ ერთი სათხოვარი მაქვს შენთან. მოხუცს უთხარი, რომ თავი დაანებოს პროფესორების მოლოდინს. ჩემთვის ის არის საჭირო, რომ თავი იყოს კოლმეურნეობის კარგი თავიჯდომარე. მოხმარებით მოეხმარე, მაგრამ გაათვისუფლებამზე არც კი იფიქროს.

— მაგასაც გაბირდებით.

— ახლა გეგმის შესახებ. ოქტიაბრსკოეში უნდა წახვიდე. გერმანელებმა მთელი სოფელი გადაწვეს. ახლა ჩვენ ხელახლა ვაშენებთ მას. დაათვალიერე. გეგმაში შენ უფრო გაერკვევი. დახმარებისათვის მაღლობელი ვარ. ჩვენ ახლა კომკავშირლებთან ერთად მთელ რაიონს გადავატრიალებთ. თქვენი კოლმეურნეობიდანვე დავიწყებთ. იქაც იქნება კომკავშირელთა ორგანიზაცია. როგორ ფიქრობ, გალია სარო-

ჩენკო გამოდგება თუ არა უჯრედის მდივანად?

— სწორედ ის იქნება კარგი ცეცხლივით ქალია.

— მაშ ასე, პირველ კრებაზე დაესწარი. იმ თუ რამე დაგქირდეს, ან რამემ შეგიშალოს ხელი, მაშინვე ჩემთან მოდი.

III.

— ერთი ხუთი წლის შემდეგ გახვალ მინდორში, — ხმაშალა ოცნებობდა მარუსია, — გაიხიდავ და შენს თვალწინ გადაიშლება მწვანე ოთხკუთხედივით დაფარული ველი. მეტისმეტ სიცხეშიაც კი სული არ შეგეხუთება. ყველა ფერდობს, ციცაბოს და ახლა დასამუშავებლად უვარგის მიწას, მალე ბაღები და ტყეები ამწვანებენ. მდინარეზე ნავით წახვალ სასეირნოდ, — ორთავე მხრით მწვანე კედელი იქნება აღმართული. გორაკების ფერდობებზე ყოლია და ვენახები ვაშენდება.

ყენია მარუსიას შეყურებდა დიდრონი, ფართო გაბედილი თვალებით.

— კიდევ გზები, უსათუოდ გზები მარუსია. გზების ორივე მხარეზე ხეები უნდა დავერგოთ. აი, იცოდე ასე უნდა იყოს: ერთ გზაზე — ცაცხვი, — მეორეზე — ალვის ხეები, მესამეზე — ვაშლი. ვესიოლი კუტის გზაზე კი მუხები დავერგოთ. მართალია, გვიან იზრდება მუხა, მაგრამ სამაგიეროდ ასე წლობით ძლიერს...

— შესანიშნავია, — გაიციხა გალიამ. — ორმოცდა ათი წლის შემდეგ, ვთქვით, ვინმე ჩვენგანი მიდის ამ გზაზე და ხედავს, რომ ამ მუხების ჩრდილში მოხუცი ქალი ზის — ყენია ლანოვა ისვენებს...

— არაფერი სასაცილო არ არის ამაში, ჩემო გალია, — ყენიამ მისკენ მიიხედა, — ყოველი კილომეტრის შემდეგ სკამები დაედგათ, სოკოსებური წვიმის საფარებიც გაევაკეთოთ და ირგვლივ ყვავილები შემოვარგათ.

— ტრანსლიაციის კვანძიდან ხახვი გავიყვანოთ და რეპროდუქტორები დავდგათ, — დაუმტატა ტოლიამ.

— მთავარი კი ის არის, — უბრაწყინავს ლურჯი თვალები ივორს, — რომ იმ დროსთვის ყველა გზები ასფალტ-მოსხმული იქნება, და ყოველ ყვავილნართან ბენზინის მისაღები კოლონა მოეწყობა.

— სწორია, — სერიოზულად დაეთანხმა ქენია. — მხოლოდ ცოტა მოშორებთ დადგით კოლონები, რადგანაც ყვაველნართან დასასვენებელი ადგილი უნდა იყოს.

— მე შეშინია, — ისევ გაიცინა გალიამ, — რომ მინდორში იმდენი დანდილული ადგილი იქნება და იმდენი სიგრილე, რომ ადამიანს მუშაობაც აღარ მოუნდება და ყველა გავზარმაცდებობთ. იმის შესახებ აღარაფერს ვიტყვი, რომ ყოველ ყვაველნარში უსათუოდ შეყვარებული წყვილი იქნება.

— კომუნისმის დროს ზარმაცები არ იქნებიან, — ისევ სერიოზულად უპასუხა ქენიამ.

— აბა სად წავლენ? — აჯავრებს გალია.

— როგორ თუ სად წავლენ? რა იცი — სად, მაგრამ აღარ იქნებიან... არ შეიძლება რომ იყვნენ...

— თქვათ, რომელიმე მათგანი დარჩა, რას უპირებ მას?

— თუ აღმოჩნდება ზარმაცი, ჩვენ იმას კომუნისმში თან არ შევიყვანთ, — წამოიყვირა ქენიამ.

— გარდაშვალ პერიოდში დაეტოვოთ, იქ გადაკეთდება! — ავტორიტეტულად განაცხადა იგორმა.

— გეყოფათ, ოცნება, — შეაწყვეტინა გალიამ, — სანამ ჩრდილში წამოწვებოდეთ, ჯერ ხეების დარგვაა საჭირო. მასობრივი შაბათობა პირველი სექტემბრისათვის არის დანიშნული. პირველი სექტემბერი კი შორს აღარაა. ვისიოლი კუტის გზაზე უკვე ორმოცდამათხრამეტე დღეა დაიწყო. საჭიროა, რომ იმ დღეს მთელი ხალხი იქ იქნეს: ყველა კომკავშირელი, ყველა პიონერი და მოწაფე, მთელი ახალგაზრდობა უნდა გამოვიდეს. მაშინ კოლმეურნივეც გამოგვყვებიან, პირველ დღეს შეიძლება ბევრი რამ ვერ გავაყეთოთ, მაგრამ რასაც გავაყეთებთ, ისეთი უნდა იქნეს, რომ ხალხმა დაიჯეროს ამ საქმის სერიოზულობა. ახლა ჩვენ იმაზე უნდა ვიფიქროთ, თუ ყოველი ჩვენგანი რას ვააკეთებთ პირველ სექტემბრამდე. მე ხვალვე წავალ ჩვენი გაზეთის რედაქტორთან. ვერ გამიგია, რატომ არ დაბეჭდა აქამდე ქენის სტატია? შემდეგ მორაოს და ფედორას უკან მოველაპარაკებო, რომ იმათაც მოაზადონ მტკის და კოლმეურნობის ახალგაზრდობი. მიმართვაც ახლავე უნდა დაიწეროს. ქენია, იგორი და ტოლია პასუხისმგებ-

ბელნი იქნებიან მოწაფეების გამოძახებაზე, მარუსია — მუშების; ნატალია ლეშინისკია დაგვიბრდა ახალნიღვარელებს კომკავშირული ორგანიზაციის დახმარებას. სერგეი პეტროვიჩს ვთხოვოთ რომ მიწადმოქმედების განყოფილებაში ტყენარგების გიგანტი გვიმოეხოს. ახლა, ამხანაგო. მეოცნებებო, მე მგონია ძილის დროა. უკვე დიდი ხანია, რაც დაღამდა, ჩვენ კი დილით ადრე სამუშაოდ ვართ გასასვლელი...

ეს ლაპარაკი კანტორაში მიმდინარეობდა.

ის სახლი, სადაც კანტორა იყო მოთავსებული, ოთხი ოთახიდან შესდგებოდა, ერთში ლუკა მიტროფანოვიჩი იჯდა, მეორეში — მოანგარიში, მესამეში, — მეურნეობის გამგე. მეოთხე, ყველაზე უფრო პატარა ოთახი, თითქმის ცარიელი იყო. მასში ერთი გატეხილი კარადა, მაგიდა და რამდენიმე სკამი იდგა. მეურნეობის გამგე ამ ოთახში კედელზე ხან ცხენის აკანძულობას ჩამოკიდებდა და კუთხეში ცარიელ ტომარებსა და ყოველგვარ ხარახურას აწყობდა.

ჩვეულებრივად სერგეი ახალგაზრდებს ამ ოთახში შეკრებდა ხოლმე.

როგორღაც ერთხელ ამ ოთახში ლუკა მიტროფანოვიჩმა შეიხედა, მეორე დღეს კი თავს დააცხრა თავის „ლიპკურიერს“.

— ვალოდკა, მე ვხედავ, რომ აქ შენ არავითარი წესრიგი არა გაქვს.

— როგორ თუ არა მაქვს? — ეწყინა ვალოდიას — აბა სად არის უწყესრიგობა?

— აი, იმ ოთახში! — უჩვენა ლუკა მიტროფანოვიჩმა. — რას გავს? იატაკი დაუფველია, მაგიდაზე ორი გოჯა მტერი დევს, კედლები სავსეა ობობას ქსელით და კუთხეში რაღაც წვირიანი ხარახურა ყრია.

— იქ ხომ არავენ ზის, — იმართლა თავი ვალოდკამ. — ხანდახან ამხანაგი მეურნეობის გამგე თუ შეიხედავს შიგ.

— როგორ თუ არავენ ზის? განა ვერ ხედავ, — თქვა ლუკა მიტროფანოვიჩმა, — რომ სერგეი პეტროვიჩი ზის, კომკავშირელები სხედან?... აი, შენ დავალეხა: წალი მოხუც სიმონთან, ხვალვე მოვიდეს და სუფთად გამოითეროს ეს ოთახი გაიგე?

— ცხადია.

— შემდეგ იატაკი მორეცხე, მოანგარიშის ოთახიდან კიდეც სამი სკამი გამოიტანე, ჩემს ოთახში, ფანჯარასთან რომ სურათია, აქ დაჰკიდე კედელზე, გუშინ რომ ახალი პლაკატები მოვიტანე, ისიც აქ ჩამოკიდე. კიდეც რა... კარგი იქნება თუ ყვავილები, ან კიდეც რამე...

— რა იქნება ამ ოთახში? — დანტერესდა ვოლოდკა.

— რა და რა ყველაფერი სურს იცოდეს! კომკავშირელთა ოთახი იქნება, აი რა ჩვენ ახლა საკუთარ ორგანიზაციას ჩამოვაყალიბებთ. ვანა არ გაგიგია? — ველარ შეიკავა თავი და დაუმატა: — ახლა აქ ისეთ საქმეებს ვიწყებთ, რომ რაიონს გავავიკრებთ.

— რა საქმეებია, ლუკა მიტროფანოვიჩ?

— რა საქმეებია, დანახავ რაც იქნება! შენ ჯერ ხომ არ ვინახავს, მაგალითად, როგორ იზრდება ყურძენი, ჩვენ კი მალე დავრგავთ?

ასე დამთავრდა ლუკა მიტროფანოვიჩის „ომი“ კომკავშირთან.

სუფთად გათვრებული ოთახი მას აქეთ ვახდა იმ ადგილად, სადაც თავისუფალ დროს სიამოვნებით იკრიბებოდა ახალგაზრდობა.

აქ ხშირად შემოდინოდა სტიოპა სტარჩუკი. პირველი შეხვედრისა და ლაპარაკის შემდეგ ის სერგეის ძალიან შეუთვსა და უყვარდა მასთან თავის განმარტებას სამხედრო წესდებისა და სხვადასხვა სახის იარაღების ცოდნით. სტიოპა ახლა ყოველდღე მუშაობდა მინდორში, პირველი სექტემბრიდან კი მტს-ში ვადესვლას აპირებდა; იგორი სკოლაში შედიოდა და სტიოპასათვის თავისუფლებოდა ტრაქტორის. სტიოპა კანტორაში მოდიოდა ყოველთვის სუფთად და მხედრულად კონტად ჩაცმული — მკერდზე ყველა მელღებით. ტყე-ნარგების შესახებ ბაასში ცხოველ მონაწილეობას იღებდა, მაგრამ ხშირად ეს ლაპარაკი ფრონტის მოგონებებზე გადაჰქონდა. მას ხალისიანად უმკერდენ მხარს ფედორჩუკი, მოროზი და მათთან ერთად სერგეი. ფედორჩუკს მკერდზე ეკიდა პრალის ვენთავისუფლების მედალი, მოროზს — ვენის აღების; ასე რომ საამბობო მოგონებები ყველას ჰქონდა.

სტიოპას თუ დიდ ხანს მოუხდებოდა ხოლმე კანტორაში დარჩენა, მაშინ ფროსიაც მივიდოდა, თავაზიანად მიე-

სალმებოდა ყველას და სადმე კუთხეში დაჯდებოდა. ის ცოცხალი და ცხობის-მოყვარე თვალებით უყურებდა ხალხს და იღიმებოდა. მხოლოდ ხანდახან, ისიც როცა სტიოპა რამეს ყვებოდა, რამდენიმე მოკლე სიტყვას თუ იტყოდა.

— ამ ადგილს, სტიოპა, უწინ რაღაც სხვანაირად ყვებოდი. ვახსოვს, როდესაც თქვენ ბალატონზე ვადადიოთ, და იმ გენერალმა ჩამოვიდა...

ახალგაზრდები ყოველთვის ერთად გამოდიოდნენ. ზოგჯერ კლუბში ან კინოში შეივლიდნენ. სერგეიმ რამდენიმეჯერ ვააცილა მარუსიასახლში. დღესაც მასთან ერთად წავიდა.

ვალეიმ, ვაიარა რა პატარა მინძილი მათთან ერთად, კიდეც რაღაც გაიხსენა და დაბრუნდა, სერგეი უკვე დიდი ხანია მიუხვდა ვალეის ამ გულუბრყვილო ეშმაკობას. „გაითროს თავი მაჰანკლობით, თუ კი ეს მას მოსწონს“, სერგეის კი რომანტიული ამბებისათვის არ ცალკია თუმცა ვავლა და მუსაიფი მარუსიასთან, ყოველთვის სასიამოვნო იყო სერგეისათვის.

— იცით, სერგეი პეტროვიჩ, უთქვენიოდ ძალიან მოგვეწყობება, — თქვა მარუსიამ.

— მეც გულს დამწყვეტს განზორება.

— მაშ რატომ მიდიხართ სადღაც? ვერ ვამიგია. ცხოვრობდი ხალხთან, მათთვის აუცილებელი საქირო იყო. ისინი — შენ გპირდებოდნენ, გქონდეს სამუშაო, რომელიც შენ მოგწონს და სხეებისთვის სასარგებლოა, და კიდევ სადღაც მიდიოდე და რაღაცას ეძებდი...

— გული მიმიწევს მარუსია. აი ჩამოვედი, ვნახე აქაურობა, ვიცხოვრე, ვიცი როგორია აქ ცხოვრება და როგორი იქნება შემდეგ და მე უკვე მალეღვებ: როგორღაა იქ, დონბასში? სულ მგონია რომ რაღაც მნიშვნელოვანი გამომჩნება, რაღაცის გაკეთება ვერ მოვასწრებ. ყველაფერი ჩემს საქმედ მიმაჩნია.

— მე კი არსადაც არ წავიდოდი ახალნიდავარიდან. აქაური ხალხი მომწონს, მუშაობაც, საქირო საქმეს ეკეთებ... მაშ სადღა უნდა წავიდე დარისთვის? სიმართლე გითხრა, მინდა და წავალ კიდეც სასწავლებლად, მერე კი ისევ აქ დავბრუნდები. მე აქ ვაგიზარე და ყველაფერი აქაური ჩემო-

ვის მშობლიურია. მამასადამე, აქვე უნდა ვიმუშაო. ისე უნდა ვიმუშაო, რომ ყველაფერი გაუმჯობესდეს, მიხაროდეს, რომ ახალნიღვარში უკვე ელემტროსადგურია, ან გაშენდა ახალი ბაღი. მე მიყვარს ჩემი სოფელი და მიწა, რომ ის მთელ ქვეყანაში საუკეთესო ადგილი იქნეს.

— კუთხური პატრიოტიზმია... — გააჯავრა სერგეიმ.

— აი, თქვენ იცინით კიდეც. სასაცილო არაფერია. მე ხომ არ ვამბობ, რომ ჩემთვის ახალნიღვრის ვარადა საინტერესო არაფერია. მეც ვხედავ მთელ საშობლოს. მაგრამ მე მიწა უყურო მას ახალნიღვრიდან. ადამიანი რომელსაც არ უყვარს თავის პატარა საქმე, თავისი კოლმეურნეობა, ცუდი მშენებელია და არც დიდი პატრიოტია ჩვენი საერთო საქმისა.

— მართალი ხარ, მარუსია, მე ხომ არ გეწინააღმდეგები. მეც მაინტერესებს ახალნიღვრის ბედ-იბაღი, მეც მიყვარს ჩემი სოფელი. მაგრამ გული მალარობისაკენ მიმიწევს. მეც მაქვს ჩემი კუთხური პატრიოტიზმი... მხოლოდ ახლა მომუშავე კი ცუდი ვიქნები... იყო მერახი და დაჩაჩანაჯდა, — ურთი სიტყვით, თითქოს არც მოხუცი ვარ, მაგრამ ცოლის თხოვა უკვე დაგვიანებულა, — დაამთავრა სერგეიმ.

სერგეის ხუმრობამ ვერ გამოიწვია ქალის ღიმილი, მარუსიამ ამოიოხრა და გაჩუმდა.

IV.

როცა მიწადმოქმედების განყოფილებაში სერგეი უკანასკნელად შევიდა, კულჩიცი მას ცივად და უყურადღებოდ და შეხვდა, სკამიც კი არ მიიწოდა. სერგეის მისაღებაზე რაღაც ჩაბურტყუნა და საქმიანი კაცის სახით დიდხანს ათვალღერა ქალადღები, ელაპარაკა აგრეთვე და რამდენჯერმე ოთახიდანაც კი გავიდა.

ბოლოს, როცა სერგეის მოთმინება გამოელა, კულჩიციმ ცივად შეხედა მას და უთხრა:

— შენ ჩემთან ხარ მოსული?

— დიახ.

სერგეიმ უთხრა, რომ მას ტყენარგის გეგმები აინტერესებდა.

კულჩიციმ ყური მოიფხანა და ამოიხვნეშა.

— ახლა მაგისტრის არ მცალია, რამდენიმე დღის შემდეგ საშემოდგომო თესვა იწყება.

— ეს ხომ ისეთი რთული საქმე არ არის, რომ ბევრი დრო წაგვართვას?

— არ შემძლია, მორჩა და ვათავდა.

— რაც არ უნდა იყოს გეგმები მიწც უნდა მომცე.

— მხოლოდ ახლა არა; ორი კვირის შემდეგ შემოიარე.

სერგეიმ მხრები აიჩჩა:

— მაშინ ჩხუბი უნდა მოგვივიდეს.

— შეგიძლია დამასმინო. ჩხუბი კი შენ, გეტყობა სიამოვნებას გაყენებს.

კულჩიციმ კიდეც რამდენიმე მწარე სიტყვა უთხრა. სერგეი დარწმუნდა, რომ მასთან ლაპარაკით არაფერი არ გამოვიდოდა, ადგა და ფედორჩუკისაკენ გაემართა. სერგეი და ფედორჩუკი დათქმულები იყვნენ ოქტიაბრსკოეში ერთად წასულიყვნენ.

ფედორჩუკს იქაურ მტს-ში საქმე ჰქონდა, მაგრამ მთავარი ის იყო, რომ ყუროვკაში, იაცენკოს ბრიგადაში გაეღა აინტერესებდა, რადგან მას იაცენკოსთან სოციალისტური შეჯიბრის ხელშეკრულება ჰქონდა დაღებული.

რაიონულ გაზეთში, კულჩიციის ხელმოწერით, მიწადმოქმედების განყოფილებამ გამოაქვეყნა საშემოდგომო თესვისათვის მზადების ცნობები. კულჩიცი წერდა სატრაქტორო ბრიგადების მუშაობის შესახებ, მათ მიღწევებზე და იმის შესახებ, რომ ბრიგადირმა იაცენკომ საშემოდგომო ხვნისას საწვავი მასალის დიდი ეკონომია გააკეთა, გაცილებით უფრო მეტი, ვიდრე ფედორჩუკმა. იაცენკოს მიერ გაკეთებული ეკონომიის დიდმა ციფრმა ფედორჩუკი დააქვე და მას უნდოდა თვითონ შეემოწმებია — ეს ეკონომია დახსუნის ხარისხის ანგარიშზე ხომ არ იყო მიღებული?

ყუროვკაში მისვლამდე ფედორჩუკმა გადაუხვია მინდვრის მიჯნაზე, გადაიარა მოქილი ყანა და გავიდა საშემოდგომო ნათესისათვის დახსუნლ ნაკვეთზე.

გააჩქარა მანქანა, გადმოხტა, გაიარაგაიარა ყანის ნაპირზე და შემდეგ ფეხით ასწია დახსუნული მიწის ბელტი.

— აი, ესეც ეკონომია! — აღშფოთდა ფედორჩუკი და ნახნაქს თვალი გადაავლო.

ყანა მეტად ცუდად იყო დახსული. კვლების უმრავლესობა გზის პირს არ აღწევდა. ადგილ-ადგილ მიწა მხოლოდ ზევიდან იყო მოფხაპნილი, ზოგან კი ქრელად მოჩანდა სრულიად დაუხნავი ადგილები. ფედორჩუკმა ამ ნაპირების სიგანე ნაბიჯებით გაზომა, იანგარიშა, დაახლოებით თუ რამდენი გამოვიდოდა პექტარზე, გაამარჯლა ათზე და მიიღო, რომ საანგარიშო ნაკვეთზე დაუხნავი მიწა, დაახლოებით ექვსი ათას კვადრატულ მეტრამდე იყო დარჩენილი.

— ასეთი ეკონომია რომის პაპას გაუკეთოს! — გაბრაზებულნი ამბობდა ფედორჩუკი. — სწორედ ასე ვიტყვი მას...

ფედორჩუკმა და სერგეიმ, ერთი ორი კილომეტრის გავლის შემდეგ, ბორბლებზე შემდგარი ჯიხური დაინახეს. ამ ჯიხურიდან მაღალი და ჯანიანი კაცი მოდიოდა. მას მსუქან და სუფთად მოპარსულ სახეზე არაფრის გამომზატველი ღიმილი უთამაშებდა. ეს იყო იაცენკო.

ფედორჩუკი გაემართა პირდაპირ ბრიგადირის შესახვედრად.

— ასე არაფერი არ გამოვა, — დააცხრა თავს იაცენკოს ფედორჩუკი, — არ გამოვა მეტში არავეთარი ეკონომია არა გაქვს!

იაცენკომ, დაინახა რა მანქანიდან გადმოსული უცნობი მაიორი, უხერხულობა იგრძნო. მან კიდევ უფრო ვაიღიმა, მაგრამ ვერც ამან დაფარა მისი შესუფთობა.

— რა დაგემართა, ამ კაცის მისალმება მაინც მაცალე! — თქვა იაცენკომ.

— მისალმება შეგიძლია. შენ ეკონომიას კი მე არ მივიღებ. ასეთი ეკონომიის წყალობით კოლმეურნეობები ათეულს და შეიძლება ასეულ ფუთ ბურს დაჰკარგავენ. შენ სინჯე და ტრაქტორს მიაბი კიდევ ერთი ორსა კვეთიანი გუთანი, ან კულტივატორი. როგორც ამას ხალხი აკეთებს, მაშინ მართლაც მეტს მოხნავ და ეკონომიაც ნამდვილი იქნება!

იაცენკო ისე იდგა და უსმენდა ფედორჩუკს, თითქოს მას მინდორში წვიშამო მოუსწრო და თავშესაფარი ვერსად უპოვებოდა. ის აქეთ-იქით უმწეოდ იხედებოდა და დაბნეულად იღიმებოდა, საპასუხოდ ერთი სიტყვაც ვერ ეთქვა... ფედორჩუკი კი არ ცხრებოდა...

— მე კიდევ მოველბარაკები გულჩიკის სხვის საქმეებში ნუ ეჩრება! პირდაპირ გული შემიწუნა. მის მხოლოდ ჩქარა გაუქმეთ. მხოლოდ გაქმეული იქნება, იმას კი არ დაემებს!

იაცენკოსთან ლაბარაკის შემდეგ, ფედორჩუკს თავისი მანქანა ისე მიყავდა, რომ სერგეის კონადამ სული გააცხებინა, ყოველ ონდროჩლორს ადგილზე მანქანა მაღლა ხტოდა და მისი ღრქალი მთელ მინდორში ისმოდა.

ნახევარი საათის შემდეგ ისინი უკვე ოქტიანოსკოეში შედიოდნენ.

დასავლეთიდან მას იცავდა რამდენიმე კილომეტრის სირგძეზე გაყოლებული გორაკების ზოლი. ჩრდილოეთიდან პირდაპირ სოფლის ბოლოზე ევროდატყე, სამხრეთ-აღმოსავლეთით გაშლილი იყო ვრცელი ველი.

ტყის გასწვრივ, დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ მიედინებოდა პატარა ნაკადული. ის განაპირა ქუჩას ვერ აღწევდა და ჩადიოდა დიდ ტბორში, რომელიც გორაკიდან გადახედვისას, მიწაზე დავარდნილ ცის ნაქერს ჰგავდა.

სოფელი, ამ სიტყვის ჩვეულებრივი გაგებით, აღარ იყო: გაფხანტულ მიწურებსა, სახურავ ახილ სახლებსა, ნახევრად დანგრეულსა და საცხოვრებლად გამოყენებულ გომურებს შორის, გზის ორივე მხარეზე შენდებოდა მთელი კვარტალი ახალი და ლამაზი სახლებისა. მოჩანდა თეთრი კედლები დიდრონი და მზეზე აბრიალებული ფანჯრებით, ღია აივნები, წითელი და მუქიციხვიერი სახურავები. ნაწილი სახლებისა ჯერ კიდევ მოუთავებელი იყო, ხშირად ახალი სახლის გვერდით ნახევრად დანგრეული ქოზი იდგა, მაგრამ ეს ხელს არ უშლიდა, ადამიანს დაენახა მთელი ქუჩა — შენდებოდა სოფელი-ქალაქი.

ფედორჩუკმა მანქანა მოედანზე გააჩერა, რომლის ირგვლივაც შემორკალული იყო სახლები: ორსართულიანი აფურით ნაშენი სკოლა, მის პირდაპირ სოფლის სამბო, შემდეგ — კოლმეურნეობის კანტორა, ამბულატორია, კოოპერატივი და ბოლოში — სადამშენებლო მოედანი, რომელზედაც ჯერჯერობით მხოლოდ ზედაპირს ასუფთავებდნენ და აყენებდნენ ბოძებს. ფედორჩუკი სოფლის სამბოში წავიდა, სერგეი კი სადამშენებლო მოედანზე მომუშავე მუშებისაკენ გაემართა.

მსხვილი, მიწაში ჩასობილი ბოძები, მომაგალი შენობის კონტურებს აღნიშნავდნენ. შორიახლოს იყარა სააღმშენებლო მასალა. ღურგლები ჭერისათვის გრძელსა და მსხვილ კოჭებსა და ლარძაყინებს თლიდნენ. ირგვლივ მუხის და ფიჭვის ბურბუშელას სუნი იდგა.

სერგეი მიესალმა მუშებს და შემოუარა მოედანს. აქ ის წააწყდა დაბალ მაგიდას, რომელზედაც ქვით დამაგრებული იდგა სქელი ქაღალდის გამლილი ფურცელი. ამ ფურცელზე გამოხატული იყო რალაც არაჩვეულებრივი შენობის ფასადი. შენობა მაღალი, მაგრამ ერთსართულიანი იყო. განიერი კარები მას შუაში ჰყოფდნენ. კარებიდან მარცხნივ, ორი დიდი სწორკუთხოვანი ფანჯარა მოჩანდა. შუა კედლიდან მარჯვნივ, მაღლა ჭერამდე ეხატა ცისფერი საღებავით შეღებილი პატარა სწორკუთხედი. ალბათ, ეს მინის კედელი უნდა ყოფილიყო. სახლის სახურავი დაგეგმილი იყო ცალ მხარეზე დაქანებით.

— რას აშენებთ? — ჰკითხა სერგეიმ შუატანის, სახედაჭორფლილ ქალს.

— სახლ-ლაბორატორიას, — მხიარულად უპასუხა ქალმა.

სერგეის ყურადღება ლურჯ მაისურისა და ახალგაზრდამ მიიპყრო, რომელიც ბოძთან იდგა და სატეხელის სახელურს ჩაქუჩს ურტყამდა.

სატეხელი რბილად, თითქოს ბამბაში, ისე ჩავსო ხეში. ბოძს კი, ჩაქუჩის ყოველ დარტყმაზე, მოყვითალო მტვერი ასდოდა; სერგეი მიუახლოვდა და დაინახა რომ ბოძი ფუტურო, სულ შექმული იყო მკილით. ქაბუკი ცდილობდა ფრთხილად ამოეტება, მაგრამ მაინც არაფერი გამოდიოდა. ქაბუკი ბრაზობდა და მკორე ადგილზე იწყებდა ამოტებას, მაგრამ ისევ, სწორკუთხოვანი ამონაჭერის ნაცვლად, რალაც უფერო პატარა ორმო ჩნდებოდა.

— კედლისათვის, განა უკეთესი ბოძი ვერ იშოვეთ? — მოულოდნელად ჰკითხა სერგეიმ.

ქაბუკმა, დაინახა რა უცნობი მაიორი, მუშაობას თავი დაანება.

— დიახ, სააღმშენებლო მასალა, ცოტა ნაკლებად გვაქვს ამხანაგო მაიორო, — უპასუხა ქაბუკმა და შემოდიან ოფლი მოიწმინდა. — მაგრამ არც ასე ვარჯა. მდ უკვე რამდენიმეჯერ უთხა-

რი, მაგრამ ბრიგადირი თავისას გინდინს: რასაც გაძლევენ, ის გააკეთე, ჩვენი საქმე არ არისო.

— როგორ თუ ჩვენი საქმე არ არისო, — გაუკვირდა სერგეის.

— რაშია საქმე? — მოესმა სერგეის და მოიხედა.

მის კვირდით დაახლოებით ორმოცი წლის კაცი იდგა, მას მსუბუქი პარუსინის პიჯაკი და გამტვერიანებულ ჩექმებში ჩატანებული ნაცრისფერი შარვალი ეცვა, ახალი ლურჯი ქუდი ეხურა. ლოყებჩამოკიდებულ, მსუქან სახეზე თვითკმაყოფილება ეტყობოდა. დიდი წამოსიებული თვალები მუშების შთაბეჭდილებას სტოვებდნენ.

— თქვენ ვინ ხართ? — პასუხის ნაცვლად ჰკითხა სერგეიმ.

— ბრიგადირი ვარ.

ყურადღებით აკვირდებოდა სერგეის და თითქოს კითხულობდა: „ახალი უფროსია ეს მაიორი, თუ ისე ვინმე შემთხვევითი პირიაო“?

— ერთი კვირით აშენებთ ამ შენობას, თუ დიდი ხნით? — ჰკითხა სერგეიმ და თან იგრძნო, რომ მღელვარება ეკრეოდა.

— ისე ვაშენებთ, როგორც საქირაა.

— განა ვერ ხედავთ, რომ მთელი ბოძი დამკილულია? ერთ წელიწადსაც ვერ გაძლებს. დაიწვეა და სახლიც წაიფერდება. ამას ყველა შეატყობს, არააშენებელიც კი.

ბრიგადირმა გადასწყვიტა, რომ მაიორი უფროსი არ არის და დაშვიდდა.

— ჩემი საქმე პატარაა, რასაც მაძლევენ, იმითი ვაშენებ.

— როგორ თუ პატარაა? სხვა ბოძები ხომ ახლებია! ეგებ ვინმე შეცდა, თქვენი მოვალეობაა ეს შეცდომა გამოასწოროთ; თქვენ ხომ სპეციალისტი ხართ.

— მე აქ პატარა კაცი ვარ. მე მომცეს და მითხრეს — ააშენო. აი ყველაფერი ჩააწერილია, — და ბრიგადირმა ჯიბიდან ამოიღო რალაც ქაღალდების მთელი დასტა.

— რა ეშმაკად მინდა თქვენი ქაღალდები! თქვენ ბოძი გამოსცვალეთ. განა თქვენთვის სულერთია რა იქნება შემდეგში?

— მე მასალა, თანახმად აქტისა, მომცა სააღმშენებლო განყოფილების გამგემ ამხანაგმა ვალუნენკომ... მიიღო

კი ამხანაგმა კულჩიციმ და მისივე მე-
თვალსურეობით ვაშენებთ.

— შეადგინეთ აქტი და გადაეცით
სააღმშენებლო განყოფილებას. ერთი
საათით ხომ არ აშენებთ!

— მეტი საქმე არა მაქვს, რომ რა-
ღაც ერთი ბოძის გულსათვის რაიონში
ვირბინო! უამისოდაც ბევრი სადაეიდა-
რაბო საქმე მაქვს კისერზე.

ამ ადამიანის გულგრილობა თანდა-
თან ბრახს ვგვიდა სერგეის.

— შეიძლება აქვე ადგილზევე,
გამოეცვალათ ეგ ბოძი. კოლმეურნეო-
ბის თავმჯდომარეს უთხარი?

— კოლმეურნეობის თავმჯდომარეს
სოფელ-სოფელ ვერ დავსდევ უკან!

სერგეი ძლივს იკავებდა თავს. მან მი-
მოიხედა ირგვლივ, თითქოს დახმარე-
ბას ეძებდა. დამატარებელი მუშები
მოედინიდან თანდათან იკრიბებოდნენ.

— ხომ ვამბობდი, რომ ამის დასო-
ბა არ შეიძლება-თქო, — იმართლებდა
თავს ლურჯ ხალათიანი ჰაბუკი.

— თქვენ ვალდებული ხართ, გეს-
მით, ვალდებული ხართ ირბინოთ! —
აუწია ხმას სერგეიმ. — რა ნება გაქვთ
ასეთ საქმეში პატარა კაცი იყოთ?

მაგრამ ბრიგადირის წონასწორობი-
დან გამოყვანა ძნელი იყო. ის მხოლოდ
თავის ქალაღებს აჩვენებდა სერგეის.

— ყველაფერი ზუსტად მაქვს აღ-
ნიშნული, მე არაფერ შუაში ვარ. აი,
ცნობა სამოცდა თოთხმეტი ნომრით.
რაც მომცეს, იმისგან ვაშენებ. მეტი
საქმე არა მაქვს... ამხანაგი გალუნენკო
რაიადამსკომის თავმჯდომარის მოადგი-
ლეა.

— ნამდვილი ჯირკი ყოფილხარ! —
ველარ მოითმინა სერგეიმ. დაუყოვნებ-
ლივ გადაადგდეთ ეს ბოძი, შემდეგ კი
შეგიძლიათ მიჩივლოთ გალუნენკოს-
თან და კულჩიციისთან.

— რაო, რა სთქვით? — მოულოდ-
ნელად იყვირა ბრიგადირმა. მისი შუ-
შის თვლები უცხად გამოოცხლდა
და გაბრწყინდა. — რა სთქვით? —
გაიმეორა მან. — რა ნება გაქვთ შეუ-
რაცყოფა მომაყენოთ სამსახურის მო-
ვალეობის ასრულების დროს? მე ხომ...
მე საბუთები მაქვს! მე ამხანაგი გალუ-
ნენკოსთან! ამხანაგი კულჩიცი...!

— მე თქვენ გეუბნებით, ახლავე გა-
დაადგდეთ ეს დამკილული ბოძი! მოიწ-
ვიეთ კოლმეურნეობის თავმჯდომარე.
ახლავე გადაადგდეთ!

ბრიგადირს სახე ქარხლის ფერი გა-
უხდა.

— მე არ დამიმსახურებია, რომ შე-
ურაცყოფა მომაყენონ!

— ბოძი გადაადგდეთ!
მუშები ხან ბრიგადირს და ხან სერ-
გეის უყურებდნენ, ერთმანეთში რაღა-
ცას ჩურჩულებდნენ და მნიშვნელოვ-
ნად ილიმებოდნენ. ლურჯ მაისურიანი
ჰაბუკი უცხად ეცა ბოძს და რაც და-
ლი და ღონე ჰქონდა მიწვეა ხელე-
ბით. — მისახმარებლად მასთან კიდევ
რამდენიმე კაცი მა მიირბინა.

ბოძი აქრიალდა, მიწასთანვე გადატყ-
და და წაიქცა. მუშებმა გაიციინეს. სერ-
გეის აღარაფერი აღარ უთქვამს, მობ-
რუნდა და წავიდა.

— ნება არა გაქვთ, როგორ გაბე-
დეთ შეურაცყოფის მოყენება! — ყვი-
როდა ბრიგადირი, მისდევდა სერგეის
უკან და თან ქალაღებს აფრიალებ-
და — გიჩივლებთ!..

სერგეი ერთბაშად გაიერდა. სახე სრუ-
ლიად გაფთოებული ჰქონდა, წარბები
ისე შეეყვარა, რომ გაერთიანებოდა.

— შენ რომ... შენისთანა ტიპი რომ
ფრონტზე შემხვედროდა, იქვე დავაწ-
ვენდი! — ნელა უთხრა სერგეიმ, შურ-
გი შეაქცია მას და ჩქარი ნაბიჯით მან-
ქანისაკენ გაეშურა.

სერგეი მთელი გზა სდუმდა. როცა
უკვე შევიდნენ ახალნიადგარში ფე-
ლორჩუკმა კულჩიციის მოკრა თვალი
და მანქანა მაშინვე გააჩერა. კულჩი-
ცის ქალაღებით გატენილი პორტფე-
ლი ეჭირა. როგორც იაცენკოს, ისევე
კულჩიციისაც ძერასავით დააცხრა თავ-
ზე ფედორჩუკი, და დაუწყაო ჩხუბი
არა სწორი მაჩვენებლებისა და იმი-
სათვის, რომ ზარმაცებს ის მხარს
უჭერდა.

კულჩიციი ფედორჩუკს საქციელ-
წამხდარი უდგებდა ყურს და ზიზღით
ტუჩებს ღმეჭავდა. სულაც არ მოუს-
მენდა, რომ ფედორჩუკს მის ქამარში
ხელი არ ჰქონოდა ჩაველებული.

სერგეივაც დაუწყაო ლაპარაკი ბრი-
გადირის შესახებ და უთხრა, რომ აღ-
მამფოთებელია მისი ასეთი დამოკიდე-
ბულება იმის მიმართ, რაც ოქტიბრს-
კოეში ხდება.

კულჩიციის სახე უეცრად გაუბო-
როტდა. მოიშორა ფედორჩუკის ხელი
და წვრილი და ყურთწამლები ხმით
იყვირა:

— რა ნება გაქვთ, რომ ჩემს საქმეებში ერევით? მუშაობაში ხელს მიშლით?

— მე კარგ რჩევას გადალევთ, — მშვილად უპასუხა სერგეიმ.

— არაფერთარ თქვენს რჩევას არ ვსაპირებ! მე გინივლებთ! ოლქში მივწერ... ეს... ეს. ბოლოს და ბოლოს ეს მაქმაც არ იცის, რა ხდება. თქვენგან არსად მოსვენება არ არის.

სერგეიმ გადაჭრით უთხრა:

— კოსტია, შენ ღუპავ უმნიშვნელოვანეს საკითხებს. ეს მარტო შენი კი არა, ჩემი საქმეც არის. თუ შენ იცავ კიდეც ამ ყოველად საძაგელ მოქმედებას, მაშინ შენთან ლაპარაკიც არ ღირს და სხვანაირადაც უნდა მოვიქცე.

— რაც გინდა, ის ქენი, წადი, ცილი დამწამე, რაც გასურდეს ის ილაპარაკე.

— თუ ასეა, გულახდილად უნდა გითხრა, შენ მიწადმოქმედების განყოფილებაში არ უნდა იჯდე.

— შენი საქმე არ არის.

— როგორც გინდა, მაგრამ წინასწარ ვაფრთხილებ, რომ შენს შესახებ სერიოზულად ვილაპარაკებ.

— მაგასაც ვნახავთ, ვინ ვიზე ილაპარაკებს! — დამუქრებით იყვირა კულჩიციმ, ფედორჩუკს გვერდი აუარა და აჩქარებით გაპყვა ქუჩას.

V.

რაც ეენია ლანოვამ სარაიონო განუთის რედაქციას, თავის სიცოცხლეში პირველად ჩააბარა სტატია, მას აქვით სიმშვიდე სრულიად დაპყარვა. თავიდან არ სჯეროდა, რომ სასკოლო რვეულის გვერდებზე, მის მიერ ლურჯი მელნით გამოყვანილი დიდრონი და მომრგვალებული ასოები თუ დაიბეჭდებოდა. მას პირველად რცხვინოდა კიდეც სტატია რედაქციისათვის ჩაებარებშია, რადგან ძალიან არიული ნაწერი ეგონა.

მაგრამ სერგეიმ მხარი დაუჭირა და გაამხნევა. მან წაიკითხა, შეაქო და თქვა, რომ მხოლოდ ზოგიერთ ადგილებს უნდა შეეცვლაო, და გასწორებაც თვითონვე იკისრა. სერგეიმ მთელი შესავალი ხელახლა დაწერა, შუაში რადიკალუციები შესცვალა და ბოლოც გადააკეთა.

— მე აქ ცოტა რამ შევაკეთე, — უთხრა სერგეიმ, — ახლა შენ გადაწერე და რედაქციაში წადი.

ეენიამ გადაწერა. სტატია უკვე საფუძვლიანი და საინტერესო გახდა; ეენიას ყველა აზრები დატოვებული იყო, და ამიტომ მას ეგონა, რომ სერგეირულდენკომ მართლაც ცოტა რამ შეაკეთა.

რედაქციაში წასვლა მაინც ვერ გაბედა და სტატია ნატალია ლეშჩინსკაიას გაატანა.

ეენია, ისევე, როგორც წინათ, დადიოდა ლარისა დიმიტრიენას ბაღში, კითხულობდა წიგნებს, საღამოობით შეივლიდა ხოლმე ლენინის სახელობის კოლმეურნეობის კანტორაში, ელაპარაკებოდა სერგეის და სხვა ამხანაგებსაც, მაგრამ სტატიის შესახებ ერთი სიტყვაც არ დასცილებოდა. დაბეჭდილი სტატია დანახვა, რომლის ქვეშაც ნაბეჭდი ასოებით იქნებოდა დაწერილი მისი გვარი, შეუსრულებელ ოცნებად და ბედნიერებად მიაჩნდა. უკანასკნელად მან კიდეც ერთხელ გულის ფანქალათ ვაშალა ახალი ვაზითი, და როდესაც ვერ ნახა ის, რასაც ეძებდა, საშინელი სიმწარე იგრძნო.

მოულოდნელად, მაშინ, როცა ეენიას ყოველგვარი იმედი უკვე დაკარგული ჰქონდა, სტატია დაიბეჭდა. ერთხელ, დღის ბოლოს, როცა ეენია ბოტანიკურ ატლასს ათვალიერებდა, სამუშაოდან დაბრუნებულმა მამამისმა ცოლს მიმართა:

— ახლა ჩვენ სახლში მწერალი გვეყავს. — და მაგიდაზე გაზეთი დადვა.

ეენიამ თავი ასწია და მამას შეხედა. შემდეგ მაგიდას დახედა და სარაიონო ვაზეთის ახალი ნომერი დანახა.

დასტაცა ხელი ვაზეთს და არც კი წაუკითხავს, ისე გაეარდა სახლიდან. სიხარულისაგან ფეხქვეშ მიწასაც ვერ გრძნობდა. თითქოს ფრთები შეეცხაო, ისე მიზროდა ტოლიასთან, ასევე ფრთაშესხმული ვაფრინდა ტოლიასაგან ივორთან და ივორიდან სერგეისთან. მას ახლა ეგონა, რომ არ არსებობს არაფერი ისეთი, რასაც ის ვერ დაძლედა. თვალები ანთებული და ლოყები აწითლებული ჰქონდა, როცა ის ვაზეთს სერგეის აძლედა.

— სერგეი პეტროვიჩ, ახლა ჩვენ ყველაფერს ვავაკეთებთ!

ეენია აღსაესე იყო მადლობის გრძნობით სერგეისადმი, რომ მისი წყალობით ეს სიხარული და ბედნიერება ეღირსა.

მაგრამ ეს მხოლოდ დასაწყისი იყო...
 ენის სტატიას გაზეთში მოჰყვა
 ლენინის სახელობის კოლმეურნეობის
 კომკავშირელთა მოწოდება, ეს მოწო-
 დება, მის წინადადებას მხარს უჭერ-
 და. რამდენიმე ხნის შემდეგ კი, საოლ-
 ქო გაზეთში დაიბეჭდა პატარა ცნობა
 ენია ლანოვას მნიშვნელოვანი წამოწ-
 ყების შესახებ.

ამ რამდენიმე დღის განმავლობაში
 ენია და თავი უკვე მობრძილ ადამიანად
 იგრძნო. მის შესახებ ლაპარაკობდნენ,
 მას ოლქში ახსენებდნენ. ენისა დაე-
 ბადა ისეთი აზრი, რომლითაც მნიშვნე-
 ლოვანი პიროვნებებიც დინტარეს-
 დნენ. ყველაფერი ეს მას ძალასა და
 რწმენას მატებდა.

ენია მიიწვიეს იმ პლენუმზე, რო-
 მელშიაც მონაწილეობასღებულობ-
 დნენ რაიონის ყველა ხელმძღვანელები.
 კლუბის დარბაზში შეიკრიბნენ პარ-
 ტიის რაიკომის წევრები, რაიკომსარუ-
 ლებელი კომიტეტის დეპუტატები,
 პარტიული და მეურნეობათა ხელმძღ-
 ვანელები, კოლმეურნეობების თავმჯ-
 დომარეები, და დაწესებულებათა უფ-
 როსები. ენია დარბაზში შესვლისას
 დაიბნა, და რომ არ დაენახა მოროზის,
 ნატალასი და სერგეის ნაცნობი ალერ-
 სიანი სახეები, ის ალბათ უკანვე გა-
 მოიქცეოდა.

საქციელწამხდარმა ენიამ მოროზის
 გვერდით იოვა ადგილი, დაჯდა და
 ყური დაუგდო ორატორებს. ლაპარაკი
 ეხებოდა წრეგანდელ გვალვას, მომა-
 ვლის უზრუნველყოფას, იხსენიებდნენ
 ენისა სახელსაც.

ვორონოვის, მოროზისა და ფედორ-
 ჩუის და სხვათა სიტყვების შემდეგ
 ენიამ პირველად გააგო მისი დაწყე-
 ბული საქმის დიდი მნიშვნელობა. მთე-
 ლი თავისი მოკლე ცხოვრების მანძილ-
 ზე მან პირველად იგრძნო თუ რას ნიშ-
 ნავს ნაკისრ მოვალეობისათვის პასუ-
 ხისმგებლობა.

სიტყვა სერგეი რუდენკომ აიღო, ქა-
 ლი მას სულგანაბული უსმენდა. რუ-
 დენკო მკაცრად აკრიტიკებდა რაიკო-
 მსაკომის მიწადმოქმედების განყოფი-
 ლების მუშაობას, კულჩიცი თითქმის
 გვერდით უჯდა სერგეის და ის მაინც
 მოურიდებლად, პირდაპირ პირში ეუბ-
 ნებოდა მწარე სინამდვილეს.

სერგეი თხოულობდა არა მარტო
 ტყენარგის გეგმის დაუყოვნებლივ მო-

მზადებას, არა მარტო ადამიანთა აზრ-
 ბისა და წინადადებების ყურადღებით
 მოპყრობას, არამედ უმცნე ენტრუპირ
 თქვა, რომ კულჩიცი მსკავლესათვის
 და საერთოდ რაიონის საქმეებისათვის
 გული არ ტკივა, რომ მას თავისი მოვა-
 ლეობისადმი ობივატელური დამოკი-
 დებულება აქვს, და თუ ასე გაგრძელ-
 და შემდეგშიც, მაშინ საერთო საქმის
 საკეთილდღეოდ კულჩიცი მუშაობისა-
 გან უნდა გათავისუფლებული იქნეს.

ყოველი ახალგაზრდა, როცა ის იწ-
 ყენს თავის შეგნებულ ცხოვრებას, სა-
 მავალითოდ ცნობს მობრძილს აირჩევს
 ხოლმე და ვინაობს ყველაფერში მას
 წაბადოს. ასეთ მაგალითად ენისათვის
 სერგეი იყო. რა გაეწყობა, ჯერ მას
 ბევრი რამ არ გაუკეთებია, მაგრამ ის
 კიდევ იმუშავებს და აჩვენებს სერგეის.
 თუ როგორი მუშაობა შეუძლია. სერ-
 გეი პეტროვიჩი დარწმუნდება, რომ
 ენიაში ის არ შემცდარა.

VI.

რამდენიმე ციფრმა, რომელნიც კულ-
 ჩიციმ დაასახელა, პლენუმის მონაწი-
 ლები ვერ დააკმაყოფილა. ტყენარგის
 გეგმა მიწადმოქმედების განყოფილ-
 ბაში ფაქტიურად არ ყოფილა.

სადეფინალ მიღებული იქნა ლენინის
 სახელობის კოლმეურნეობის კომკავში-
 რული ორგანიზაციის წინადადებები.

მაგრამ აუცილებელი საჭირო იყო
 დეტალურად დამუშავებული და ზუს-
 ტი გეგმა, რომელიც სამაგალითო იქნე-
 ბოდა მთელი რაიონის კოლმეურნეთა-
 თვის. გეგმის შესადგენად, გადაწყდა,
 კომისიის შემადგენლობაში შეიყვანათ
 ახალნიღვრის სასოფლო საბჭოს თავმ-
 ჯდომარე ამხანაგი კობზარი, ლესია,
 ლუკა მიტროფანოვიჩი, ენია მოროზი
 მარუსია და ვალია საროჩენკო.

— სერგეი რუდენკოც! — წამოიძახა
 ადგილიდან ფედორჩუკმა.

ნატალამ ცოტა არ იყოს დაბნეულად
 შეხედა ვორონოვს.

— მე თვითონვე ვფიქრობდი... მხო-
 ლოდ ვერ გავებედი... მომერიდა სტუმ-
 რის კომისიაში...

როცა სერგეიმ სიტყვა „სტუმარი“
 გაიგონა, საქციელი წაუხდა.

— უსათუოდ უნდა ავირჩიოთ კომი-
 სიაში! — დაუქირა მხარი ფედორჩუკს
 ლუკა მიტროფანოვიჩმა. — უსათუოდ.
 სტუმრებს პატივი უნდა ვცეთ!

— იძულებაც არ შეიძლება, — შეკვეთული ღიმილით მისცა რეპლიკა ვორონოვმა: — აი, თუ რუდენკო თავით მოგვეცემს თანხმობას, მაშინ სულ სხვა საქმე იქნება.

სერგეიმ პასუხის გაცემა ვერ მოასწრო, ისე ერთხმად ალაპარაკდა ახალგაზრდობა:

— ავირჩიოთ! უსათუოდ უნდა ავირჩიოთ! სერგეი პეტროვიჩი დათანხმდება! უნდა ავირჩიოთ!

— რას იზამ, ხალხის ნებაა, — მოგონილი სინანულით ვაშალა ხელები ვორონოვმა ისე, თითქოს სერგეის წინაშე თავს იმართლებსო. — ხალხის წინააღმდეგ ვერას ვახდები...

მისმა სიტყვებმა მთელ დარბაზში მეგობრული სიცილი გამოიწვიეს.

— შევთანხმდით! — თქვა ვორონოვმა. — შტაბი უკვე შექმნილია. ვუსურვოთ საუკეთესო წარმატებები მუშაობაში. მაშ ასე, შეუღლებით საქმეს, ამხანაგებო!

მისი მოსწრებული თქმით, კომისიას საბოლოოდ შერჩა „შტაბის“ სახელი.

„შტაბის“ პირველი სხდომა კომკავშირელთა აქტივთან ერთად, მაშინვე, პლენუმის შემდეგ შესდგა. სერგეიმ ახალგაზრდები ბრიგადებად დაჯყო. ყოველ ბრიგადას ცალკეული დავალება მისცა და მისი შესრულების ვადა დაუდგა.

კომისიის თავმჯდომარეთ ლესია ავირჩიეს.



მორიხმა და იგორმა მდინარის ნაპირები გამოიკვლიეს: აღრიცხეს ბზის და ტირიფის ყოველი გადაარჩენილი ბუჩქი. ნატალიამ, ეენიამ და ტოლიამ აზომეს და შეისწავლეს ყველა ციკაბო და ხევი.

გალია საროჩენკომ და მარუსიამ ფედორჩუკის მანქანით მთელი მინდვრები შემოიარეს, ისინი მომავალი დამცველი ტყის ზოლების მიმართულენებს ნიშნავდნენ.

სერგეი კრებდა ბრიგადების ცნობებს, სწავლობდა რაიონის შესაძლებლობას, და სოფლისბუქოს თავმჯდომარე კომზართან ერთად დადიოდა რაიონის სატყეო განყოფილებებში, რათა გაეგოთ, რა დახმარების გაწევა შეიძლება მათ ტყის დაგვემვასა და დარგვაში.

ბოლოს, მოსამზადებელი სამუშაოები უკვე მოთავებული იყო.

კომისიის სხდომის წინ, სერგეი და ლესია მთელი დღე მუშაობდნენ ლენინის სახელობის კოლმეურანების კანტორაში. როცა მოათავეს გვეგმაზე მუშაობა, ისინი ვორონოვთან წავიდნენ, რომ მასთან ერთად დაეხუსტებიათ ყველა დეტალი.

ამავე დროს სამხადისი მიმდინარეობდა ლენინის სახელობის კოლმეურანებაში.

ლუკა მიტროფანოვიჩის პირადი მეთვალყურეობით ასუფთავდნენ ყველაფერს, ოთხივე ოთახში და დერეფანში რეცხდნენ იატაკს და კიდედნენ ახალ პლაკატებს. „დიკურირს“ იმღენი საქმე ჰქონდა, რომ ფეხზე ველარდგებოდა დაღლილობისაგან.

საქმე იმაში იყო, რომ „შტაბის“ თათბირი იმავე კომკავშირელთა ოთახში უნდა ჩატარებულიყო, რომელშიაც პირველად დაიბადა აზრი ტყის გამწვანების შესახებ. ლუკა მიტროფანოვიჩს კი კიდე მეორე, მნიშვნელოვანი მიზეზი ჰქონდა ასეთი სადღესასწაულო მზადებისათვის: მის კანტორაში პირველად უნდა მობრძანებულიყო ლარისა დიმიტრიევნა. მოხუცს არ უნდოდა სირცხვილი ეკამა მეზობლის წინაშე და ცდილობდა ყველაფერი რიგზე ყოფილიყო.

საჩქაროდ იესებოდა მარტო ოთახები კი არა, არამედ დერეფნებიც და ლუკა მიტროფანოვიჩის სამწუხაროდ, ლესიამ, რომელიც დავვიანებით მოვიდა სერგეისთან ერთად, უკვე ველარ შეამჩნია ვერც ყვავილები, ვერც სუფთა თანჯარები და გულდაგულ შორიციხილი იატაკები.

ლესია ფანჯარასთან მივიდა, ითხოვა, რომ ორი მავიდა შეეერთებია, გახსნა კრება და სიტყვა სერგეი რუდენკოს მისცა.

სერგეიმ ვაშალა ქალაღის დიდი ფურცელი, რომელშიც ორივე მავიდა დაფარა.

ქალაღს სერგეიმ ხელის გული დაადგა. იმის ხელიდან, როგორც ცენტრიდან, თეთრ მინდორზე, სხვადასხვა მხარეს მიემართებოდა სწორი და წითელი ხაზები. სხვადასხვა მიმართულებით გადაჯვარედინებულნი, ისინი ქმნიდნენ მომავალი ტყის ზოლების სწორკუთხედებს, და მხოლოდ ერთი მათგანი, რომ-

მელიც მდინარის ნაპირს მიყვებოდა, იყო დაკლავნილი.

კომისიას უნდა დაემტკიცებია ახალ-ნიაღვრის მინდვრებზე სამოცი კილომეტრი სიგრძის ტყენარვის რვა ზოლის გაშენების გეგმა. ამაშივე შედიოდა სტალინის სახელობის კოლმეურნეობის ცამეტი კილომეტრი და შვიდი ლენინის სახელობის კოლმეურნეობის ტყენარვისა.

მთელი ამ ტყის დარგვა უნდა ჩატარებოდა ხუთი წლის განმავლობაში. წინადადების წინააღმდეგ არავინ წასულა მაგრამ რჩევები და დამატებები ბევრი იყო. ხალხი უკვე ისე კამათობდა მუხის, ბზის, თელსა და ცაცხვის ხარისხის შესახებ, რომ ერთმანეთს აღარ აცდიდნენ.

ლუკა მიტროფანოვიჩი ცაცხვის მომხრე იყო — სასარგებლო და თაფლისშემცველი ხე არისო.

გებია მუხის ხის მწკრივებზე ოცნებობდა, მარუხასა ნეკერჩხალი უნდოდა, მორთბი ბზის და ტირიფს უჭირდა მხარს, ფედორჩუკი მასხრობდა და იასამანის და ვარდის ბუჩქების დარგვას მოითხოვდა. ლესიამ მოაგონათ ყვითელი აკაცია და აკაღის ხეები, რომლებსაც მათ კოლმეურნეობაში კარგი შედეგი მოჰყვა.

ბოლოს გადაწყვიტეს, რომ ტყენარვის ზოლები შერეული უნდა იყოს — მწკრივი აკაციისა და მწკრივი მუხისა, მწკრივი აკაღისა და მწკრივი ცაცხვისა. მაღე მზარდი აკაცია და აკაღის ნარგები, სამი-ოთხი წლის შემდეგ უკვე დიდი ხეები იქნებიან. რამდენიმე წლის შემდეგ კი ატანადღებთან მრავალწლიანი მუხები, ცაცხვები, თელეები და კობიტები.

მაგრამ სად უნდა ეშოვნათ ამდენი ნერგი? მართალია, სამ სატყეო განყოფილებაში სერგეის დაპირდნენ ამავე წლის შემოდგომისათვის მუხის, ცაცხვისა და აკაციის ნერგების მიცემას, მაგრამ ისინი ხუთ-ექვს კილომეტრს თუ ეყოფოდა. მოროზმა წინადადება შეიტანა, რომ პირველი ზოლი—ბზა და ტირიფი — შემოდგომაზე მდინარის ნაპირებზე დაერგოთ. ოგივე ბზა და ტირიფი უნდა დაერგოთ ხეების ფერობებზევე.

თავისთავად წამოიჭრა საკითხი საკუთარი სანერგის მოწყობისა და ტყეებში თესლის შეგროვების შესახებ. მაგრამ ეს მომავალს ეხებოდა. ორ-სამ წელში

უნდა მომზადრიყო, ახლა კი მთავარი დაწყება იყო. ამიტომაც შეუერთდნენ კომპაგზირელთა წინადადებას და გადაწყვიტეს, უკვე დამზადებული ზოლებში გამოიყენონ ვესიოლი კუტის გზაზე ხუთკილომეტრიანი ზოლის გასწვრივ დასარგავად, და, საზოგადოებრივი შაბათობა დანიშნეს პირველი სექტემბრისათვის, რომ მოემზადებოდა ნიადაგი და ამოეთხარათ ორმოები.

კრება ამით დამთავრდა.

სერგეი და ლესია სახლში ერთად ბრუნდებოდნენ.

პატარა ხიდიდან, გზისაკენ ტოტებდახრილი, უძრავად თვლემდნენ ტირიფები. ბინდში ნაკადული მხიარულად რაკრავებდა. წინ გაშლილიყო ცარიელი, ელექტრონის რამდენიმე შექუჩრით გახატებული ქუჩა. კლუბთან დადგმული რეპროდუქტორიდან კრემლის კურანტების რეკვა ისმოდა.

— აი, უკვე შუალამეა, — თქვა ლესიამ, — მე კი დღეს დაღლილობასაც არ ვგრძნობ... მინდა ხალხი ავამოძიო, იცი, აი ისე, ნამდვილად...

სერგეიმ ისე დაუქინდა თავი, რომ ეტყობოდა გაიგო ლესიას ნათქვამი.

ისინი გვერდიგვერდ მიდიოდნენ ცარიელ ქუჩაში და გაცხარებით ლაპარაკობდნენ.

დიდი ხანია ასეთ მახლობლებად, როგორც დღეს, მათ თავი არ უგრძენიათ. ერთმანეთის გაგება და სიახლოვე იმით უფრო ღრმავდებოდა, რომ მათ არ უერთდებოდა არც წარსული გრძნობები, რომლებიც ყოველთვის ხელს უშლიდნენ ერთმანეთს ბოლომდე გულწრფელი ყოფილიყვენ ურთერთისადმი, და არც პირადი უსიამოვნება და უზედურებანი, ყველაფერი ეს დღეს ჩამოცილდა მათ, ყველაფერი ამან უკან დაიხია რალაც უფრო დიდსა და მნიშვნელოვანის წინაშე, გაფერმკრთალდა ისე, როგორც ლამფის სინათლე ფერმკრთალდება ზოლზე მზის ამოსვლისას. მტკიცე, შეუბღალავი, დიდხნის მეგობრობა, ძველი ამხანაგების ნაცალი მეგობრობა აახლოვებდა დღეს მათ.

VII.

ლუკა მიტროფანოვიჩმა კანტორაში სერგის აჩენა საბუთი, რომელსაც ხელს აწერდნენ ელმინიცი და რაიალმასკომის თავმჯდომარის მოადგილე გალულენკო. რაიონული უფროსები ლუ-

კა მიტროფანოვიჩის საყვედურს უცხადებდნენ იმის გამო, რომ ის ნებას აძლევს კერძო პირებს ათვალეირონ საკონტროლო წიგნები და იქიდან ამოხიონ ისეთი საბუთები, რომლებიც მათ კომპენტენციაში არ შედის. დასასრულ მას სასტიკად უკრძალავდნენ, კერძო პირისათვის, ვინც არ უნდა ყოფილიყო ის, ეჩვენებიათ საბუხპალტრო წიგნები.

ლუკა მიტროფანოვიჩს ვერაფერი გაეგო და მხოლოდ ხელეხს შლიდა, სერგეიმ ბიძამისს მოაგონა ძროხის ამბავი და ურჩია, მიღებული დირექტივა თამბაქოს გასახვევ ქაღალდად გამოეყენებია.

როცა სერგეი კანტორიდან სახლში დაბრუნდა, მას ბიკოლა ევლოკია შემფოთებულად შეხვდა:

— რა საქმეები გაქვს სერგეი მილიციაში? — ჰკითხა მან.

— რა მოხდა? — გაუკვირდა სერგეის.

— მილიციელი მოვიდა. თქვა, რომ შენ დაუყოვნებლივ უნდა გამოცხადდე უფროსთან... აი; ქაღალდიც დამიტოვა. სერგეიმ წაიკითხა:

„მოქალაქე ს. პ. რულენკოს. წინადადება გეძლევათ, დაუყოვნებლივ გამოცხადდეთ, შინსახკომის სარაიონო განყოფილებაში, მოქალაქე ა. პ. გრინიუკისათვის, მთერალ მდგომარეობაში შეურაცხყოფის მიყენების გამო.“

შინსახკომის სარაიონო განყოფილების უფროსი, მილიციის ლეიტენანტი გოსტროვერჩი:

— ეს რა ეშმაკებია! — აიჩნა მხრები სერგეიმ. — ვინ ვის მიაყენა შეურაცხყოფა? რაღაცას ურევს ეს გოსტროვერჩი!

გოსტროვერჩი აღმოჩნდა ახალგაზრდა კაცი. ქერა თმა უკან ჰქონდა გადავარცხნილი. ეცვა მხედრულად, კოხტად და ლაზათიანად. მან სერგეი ოფიციალურად და მკაცრად მიიღო. სთხოვა დამჯდარიყო, გაშალა ქაღალდის სუფთა ფურცელი და დაიწყო ფორმალური დაკითხვა:

— გვარი, სახელი, მამის სახელი... თქვენი საბუთები... არასწორი ჩვენებისათვის...

— იცით, ლეიტენანტო, პირდაპირ თქვით, რა შიამ საქმე? — შეაწყვეტინა სერგეიმ.

გოსტროვერჩმა უკმაყოფილოდ შე-

ხედა სერგეის მაგრამ წერას თავი/მაინც არ დაანება.

— თქვენ, — თქვა გოსტროვერჩიმ, — სამი დღის წინ სოფელ ოქტიამარსკოეში, მთვრალმა, შეურაცხყოფა მიყენეთე სამსახურის მოვალეობის ასრულების დროს სადმშენებლო განყოფილების თანამშრომელს მოქალაქე გრინიუკს, თქვენ ის კუნძს შეადარეთ. შემდეგ ააგულიანეთ მუშები, რომ მათ გადაეტეხათ მიწაში ჩარჭობილი ბოძი, რითაც ხელი შეუშალეთ შრომითი ნორმების შესრულებას. ვარდა ამისა, ზემოთდასახელებულ მოქალაქეს ემუქრებოდით დახვრეტით. ყველაფერ ამის შესახებ, მე მაქვს წერილობითი განცხადება.

„აი რაში ყოფილა საქმე! — გაიფიქრა სერგეიმ, — ბრივადირი თურმე მხოლოდ საზოგადოებრივ საქმეს უყურებდა გულგრილად, რაც შეეხება კი პირად მის პერსონას, არ დაზარებია გავეგო, ვინ არის სერგეი და სად ცხოვრობს. ის უსათუოდ ვალუნენკოს და კულჩიციის გამოვსავნილი იქნება აქ.“

— არაყს, ამხანავო ლეიტენანტო, მე არა ვსვამ. ამის შესახებ ყოველგვარი ცნობები მაქვს. სინამდვილეში საქმე იროგორ იყო...“

და სერგეიმ გოსტროვერჩს უამბო ოქტიამარსკოეში ბრივადირთან ჩხუბის შესახებ, იმის შესახებაც, თუ როგორ „ყიდულობდნენ“ კოლმეურნეობის საქონელს კულჩიცი და ვალუნენკო; სხვათა შორის, ტყენარვის გეგმის საკითხსაც შეეხო.

გოსტროვერჩი მას ყურადღებით უსმენდა და მისი სახე თანდათან მხიარული ხდებოდა.

— აი, ხომ ხედავთ ლეიტენანტო, რა საქმეები კეთდება, — დაამთავრა სერგეიმ. — სიმართლე რომ ითქვას, მე ძალიან ვნანობ, რომ, როგორც შენ თქვი, მართლაც არ მივაყენე მოქმედებით შეურაცხყოფა ამ გრინიუკს.

გოსტროვერჩიმ ფართოდ გაიღიმა. მაგიდას გადმოეყუდა და სულ უბრალოდ, გულწრფელად თქვა:

— მართლაც კარგი იქნებოდა, ამხანავო მაიორო, რომ ერთი მაგარი სილა გაგეწვიათ...

სერგეის გაეცინა. გოსტროვერჩიმ კი ქაღალდები განზე გასწია, დაკითხვა სრულიად გადავიწყდა და მაგიდის აქეთ გამოვიდა.

— ეშმაკსაც წაუღია მისი თავი, — თქვა მან, — მაპატიეთ, ამხანაგო მაიორო, რომ შეგაწუხეთ. რა გაეწყობა, სამსახურია! სიმაართე გითხრათ, ცოტა არ იყოს, გალუნენკომაც ამირია გზაკვალი. ამ ცოტა ხნის წინ დამირეკა. აჟი ეპობო, ეშმაკსაც წაუღია მათი თავი... ტუენარგის შესახებ კი ძალიან კარგად მოგაფიქრებიათ. თუ რამე დაგვირდით, მაშინვე მაცნობეთ. ჩემს ბიჭებსაც გამოვიყვან მინდორში სამუშაოდ...

და ისინი ერთმანეთს შეგობრულად დაშორდნენ...

VIII.

პირველი სექტემბერი — განსაკუთრებული დღეა.

მნიშვნელობა არა აქვს, რომ დღეს ისეთივე სიცხეა, როგორც გუშინ, და რომ ეს პირველი სექტემბერი თითქოს არაფრით არ განსხვავდება გუშინდელი აგვისტოს დღისაგან.

მნიშვნელობა არა აქვს, რომ დღესაც ისევე, როგორც გუშინ, კოლმეურნობაში გაღწევენ ფეტვს, მოკრეფენ პომიდორს და საშემოდგომოთ მიწას დახნავენ, რომ მდინარის წყალი ისევე თბილი იქნება და ცა ისევე ფირუზისფერი. ყურადღებიანი და დაკვირვებული თვლით ცვილილებას მაინც დაინახავს, როგორი თბილი დღეც არ უნდა იყოს, თქვენ მაინც იგრძნობთ, რომ შემოდგომა თავის უფლებებში შესვლას იწყებს. შეამჩნევთ, რომ დღეს განსაკუთრებულად ცივი და ხვევიერი ნაბი იყო; რომ ალუბლის ხეებს აღარც ერთი მარცვლი არ ასხია, რომ ბაღები და ცარიელდა და მინდვრები გატიტვლდა. ნეკერჩხალის ფოთლები დღეს უფრო წითლად მოგეჩვენებათ, თვალში გაცვიმთ ზღისპირად მდგარი მზისუშვირას გამხმარი თავი და თათაბოს თეთრი ღერო. წისქვილის წყლის ხმაური და მოტორის გუგუნიც კი უფრო კეთილშობილად მოგესმებათ. თითქოს ჰაერი უფრო გამჭვირვალე გახდა, თქვენი თვლი შეამჩნევს ეზოში დაყრილი ყვითელი გოგარების მთელ გროვას (თუმცა გუშინაც იქვე ეყარა) და ფანჯრებზე მჭკრივებად დალაგებულ სათესლე პომიდორებს.

დღეს უფრო აფერადებული იქნება ასტრები და გიორგინები, მათი სილამაზე რატომღაც, უფრო ჩაგაფიქრებთ. გუშინდელზე უფრო მძაფრად დადგება

დაკრეფილი ვაშლის, მსხლის და ხმელციკრეცოს სუნი. მთელი დღე თქვენ იქნებით განსაკუთრებულ, ცოტათი სიკვდილით მოცულ და მასთან ერთად აღფრთოვანებულ ხასიათზე.

ყველაფერ ამაზე — მიყუჩებულ მიწაზე, ჩამუქებულ მწვანე ბაღების მწუხარზე, მოზრდილთა ბაასზე — დღეს უფრო გაბატონებული იქნება ბავშვების ხმა. უფრო წკრიალა იქნება ის, ვიდრე გუშინ იყო. ზაფხულის დასვენების შემდეგ დღეს პირველად გაიღება სკოლის კარები, და არა ერთს, მხიარულ გუნებაზე მყოფ ბუთხუზა ბიჭს და ცელქ გოგონას, ეს კარები, მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე მოსაგონებლად იქნება, როგორც პირველი ნაბიჯი, ვრცელ ქვეყანაში შესასვლელად გადადგმული.

უფროსი ბავშვები ამ კარებში ისე შედიან, როგორც საკუთარი მამის მშობლიურ სახლში, სადაც ეს სამი თვეა, რაც არ ყოფილან. ამ ხნის განმავლობაში უკვე დაეიწყებას მიეცა გულისმომკვლელი ორიანები და მასწავლებელთა შენიშვნები. მახსოვრობაში მხოლოდ სინარული ცოცხლობს: ახალი საღებავის სუნი, დიდხნის ხელუხლებელი წიგნები, მასწავლებლის პირველი ღიმილი და პირველი „გამარჯვება“.

პატარაების სადღესასწაულო განწყობა დიდებსაც გადაედებათ ხოლმე. მაგრამ, როგორც პირველი ვერცხლის ქათე შეექსოვება შავ თმას, ისევე შეიქსოვება მოზრდილთა სინარულის გრძნობას ოდნავ შესამჩნევი სიკვდა. ბავშვები ოცნებობენ მაინც იმ დროზე, როცა დიდები გახდებიან. დღეს კი დიდები თითქოს შურით უყურებენ პატარებს: ისინი სექტემბრის აღრიან დილით აღარ წაუღეს სკოლაში, მათ აღარ გააბარებს ახალი ფანჯარი და რვეილის სუფთა ფურცელი, რომლის ყვილიან ღიმილით იყურება ილიჩის კეთილი სახე.

იგორი წიგნებით ხელში დგას ფართო ქუჩის კუთხეში. მას გვერდით ჩაუარეს გოგონებისა და ბიჭების მთელმა ჯგუფმა. მათ სკოლაში თან მოჰყვებოდნენ დედები და მამები.

რა ესმით ამ უღარდელ და მხიარულ პატარა ბუთხუზებს? რა უნახავთ მათ? მათ წარმოდგენაც არა აქვთ, რა არის სკოლა. იგორი მათდამი გამსჭვალულია დიდი, თითქმის მამობრივი სიფაქიზის

გარძობით. მათ არ უნახავთ ის, რაც მან, იგორმა ნახა; და ცხოვრება ისე უნდა მოეწყოს, რომ ამ პატარებმა არასოდეს არ განიცადონ, არასოდეს არ იჯავრონ ისე, როგორც იგორი ჯავრობდა, როცა ფაშისტებმა სკოლა დაუქვეტეს.

პირველი სექტემბერი ლუკა მიტროფანოვიჩის ადგილებს, უკვე საშემოდგომო ხვნის დაწყების დროა, ცაზე კი არც ერთი ღრუბელი არ მოჩანს...

სერგეი კი მოუთმენლად ელის დღევანდელ ორ საათს — ამ დროისთვის უნდა გავიდნენ სამუშაოდ.

ველარ მოითმინა და დანიშნულ ვადაზე გაცილებით ადრე გაემართა ვენიოლი კუტის გზისაკენ. ხელი ნაბიჯით მიდიოდა ის გზის პირად, მინდორში სიცარიელე და სიჩუმე იდგა.

სიწყნარე ამშვილებს აფორიაქებულ ძარღვებს.

სერგეიმ ცოტაოდენი მანძილი გაიარა, და როცა უკან შობრუნდა, დაინახა მტერის სვეტი — სოფლიდან მანქანა მოდიოდა.

უკვე მოტორის ხმა ისმოდა, აი თვით ფედორჩუკიც.

— ჯერ არავენ არ არის? — იკითხა მან.

— არავენ.

— შესანიშნავია! მამასადამე, პირველები ჩვენა ვართ.

მანქანიდან ფედორჩუკს ვადმოჰყვა მარუსია და კიდევ სამი ახალგაზრდა ტრაქტორისტი.

— შეიძლება ისეც მოხდეს, რომ უკანასკნელიც ჩვენ ვიყოთ, — შენიშნა სერგეიმ.

— რას ამბობ! — წამოიძახა ფედორჩუკმა, — მარტო ემტერისიდან ორმოცი კაცი აგერ ჩვენ მოგვყვება უკან, აი ისინიც მოვიდნენ. უკვე სკოლაც გამოდის. აბა, ბიჭო, პირი ხუ დაგილიათ, ბარები ვადმოიღეთ. გვიბრძანე მაიორო, საიდან დავიწყეთ?

— აქ მე უფროსი არა ვარ. მარუსიამ უკეთ იცის.

მარუსიამ გაზომა მანძილი ორმოციდან ორმომდე. მტს-ის თანამშრომლებმა ორმოცების თხრა დაიწყეს, უკვე გამოჩნდა სოფლიდან მომავალი გრძელი და მრავალფეროვანი მოწაფეთა კოლონა. მათ მოჰქონდათ პლაცატი შემდეგი ლოზუნგით:

„ხე ადამიანის საუკეთესო მეგობარია

გვალეკასთან ბრძოლაში! გავაშენოთ ტყე! გაუფრთხილოთ ხეებს! მოწაფეთა კოლონის თავშესაფარ-ლებლებთან ერთად მრდროდნენ ქენია, იგორი და ტოლია. ქენიას თეთრი კოფთა ეცვა და თავშიშველი იყო.

— გამარჯვებით, სერგეი პეტროვიჩი! — ჯერ კიდევ შორიდანვე დაიძახა მან. — ჩვენ ხევიდან დავიწყებთ და შევითქვენ, გორაკისაკენ ავეყვებით... კომკავშირლებს ხელმძღვანელობდა ნატალია; მათ მოჰქონდათ ლოზუნგი: „ყოველმა კომკავშირელმა ხუთი წლის განმავლობაში ასი ხე უნდა დარგოს!“

მათ შემდეგ მოვიდნენ კოლმეურნეები მორახის მეთაურობით. მაგრამ სადღაა ლესია? სულ ბოლოს სერგეიმ ის ხალხის შუაგულში დაინახა.

აი ლუკა მიტროფანოვიჩიც. სერგეის შორიდანვე მოესმა ბიძამისის მალალი ხმა და დაინახა თუ როგორ გაცხარებით აქნევდა ის ხელებს. ბიძის გვერდით, დიდის ამბით მოაბიჯებდა „დიპკურირი“ ვოლოდკა.

ფროსიასთან მხარდამხარ ახალი ქუდი და ყველა თავისი მედლებით, მოდიოდა მზიარული სტილია სტარჩუკი. შემდეგ სერგეიმ იცხრა ბრიგადირები, რგოლის ხელმძღვანელები და ვალია სოროჩენკო. მათთან ერთად სერგეიმ დაინახა ქალი, ხელში აყვანილი თავთეთრა ბუთხუზა ბავშვით, — ეს აგათია იყო. მან აღერსიანად დაუქნია ხელი სერგეის:

— მე და ჩემი შვილიშვილი ერთად მოვედი!

მინდორი გამოცოცხლდა და აივსო ხმაურით და სიცილით. აქაქ ქათქათებდნენ ქალების თეთრი თავსაფარები. მზეზე ბრწყინავდნენ და წყარუნობდნენ ბარები.

მოულოდნელად სოფლის მხრიდან გამოვარდა ორი ფორანი, მათში შებმული იყო ფიცხი და მოუსვენარი ცხენები. ფორანებზე მილიციელები ისხდნენ. მათ შეხედნენ ხუმრობით, ტამის ცემით! და სიცილით. სერგეისთან სადღესასწაულოდ ტანსაცმელში გამოწყობილი გოსტროვერხი მივიდა.

— თუმცა ამხანაგო მაიორო, თქვენ არ დაგვაბარეთ, მაგრამ ჩვენ თვითონ მოვედი. გამარჯვებით. სად დაგვაყენებთ სამუშაოდ?

სრული წესრიგე ისეც მალე დამყარდა და მუშაობა განაგრძეს. სერგეიმაც

მონიღომა ბარის ადგება, მაგრამ მარუსიამ გაბედულად წაართვა იგი ხელიდან.

კიდევ ერთი მანქანა მოვიდა — შიგვრობოვი იყო.

— გამარჯვება, მაიორო! როგორ მოგწონს? ხომ ხედავ, ხალხი ერთ დამახილზე როგორ ერთბაშად ადგა ყოჩაღ! მე კი სატყეოს საბოლოოდ მოველაპარაკე: ოქტომბრის დამლევის უკვე შეიძლება ხეების დარგვა. მხოლოდ ორმოცეში ცოტათი დასაქმის ჩაყრა მოგეხდება.

ვორონოვი და სერგეი ერთად დადიოდნენ გზაზე.

როგორც გიგანტური კონვეიერიდან, ისე ცვივოდა განზე გადაყრილი ორმოებიდან ამოთხრილი ნაცრისფერი მიწა. ბარები მზეზე ბრწყინავდნენ, ირგვლივ კი ცარიელი და გადამწვარი მიწადორი იყო. მიწა უცდელად ავერელირსა წვიმას. წვიმას ელოდებოდა ხალხიც. მაგრამ ბუნების მოწყალების იმედად აღამიანები უმოქმედოდ არ იყვნენ. თუმცა კარგად იცოდნენ, რომ ბუნებაზე მათი გამარჯვების საათი ხეალღე არ დადებოდა, მაგრამ მომავალს ისინი მაინც ღრმა რწმენით უყურებდნენ.

...საღამოთი სერგეი სახლში დაბრუნდა დაღლილი და დამტვერიანებული, მაგრამ მხიარული და გამოყოჩალებული. ბიკოლა ევდოკია მას ორი წერილი გადასცა, ერთი ივანე ბობროვისაგან იყო... ის კვლავ ეპატიებოდა სერგეის საჩქაროდ ჩასულიყო და ჩაებარებია სკოლა.

მეორე წერილი ვანო პელიძეს გამოეგზავნა. ის იწერებოდა, რომ სახლში ძალიან გაუხარდათ, როცა მისი ჩაბრუნების მიზეზი გაიგეს. ახლა ახალნიაღვარში ისე კი აღარ წამოვა ვანო, როგორც პირველად. ის თბილისში ყოფილა და რესპუბლიკურ მთავრობას, კიროვის სახელობის კოლმეურნეთა არტელის თხოვნით, ვანოსათვის სპეციალური ვაგონი გამოუყვია პირდაპირ ვესთოლი კუტის სადგურამდე. კოლმეურნეებს იმდენი საჩუქრები შეუტაროვებიათ, რომ ერთ ვაგონში მათი დატევა გაძნელებდა კიდევ. ვანო აგრეთვე იწერებოდა, რომ წამოს-

ვლისას დეპეშას გამოგზავნიდა და აცნობებდა ჩასვლის დროს.

ვანო ერთი გარემოებამ: სწყაჩუქრებული. მას მოჰქონდა სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულების პროექტი, მაგრამ ვის შეჯიბრებოდნენ, არ იცოდა; ახალ ნიაღვარში ორი კოლმეურნეობა — თუ ლუკა მიტროფანოვიც — თან დადებდნენ ხელშეკრულებას, ნაწყენი დარჩებოდნენ სტალინის სახელობის არტელის კოლმეურნეები, თუ ლარისა დიმიტრიევას შეჯიბრებოდნენ — ლენინის სახელობის არტელის კოლმეურნეებს დაწყდებოდათ გული. ვანოს თან მოჰყვებოდა კიროვის სახელობის კოლმეურნეობის გამოგზავნილი დელეგატი, ძალიან სერიოზული და საქმიანი კაცი. რას იტყვის ის დელეგატი, როცა ახალნიაღვარში ჩამოსვლისას გაიგებს; რომ ვანოს ჯერ არც კი ჰქონია გამორკვეული, რომელ კოლმეურნეობას უნდა შეჯიბრებოდნენ, ან ვისთან მიდიან. ვანო სთხოვდა სერგეის, ეს საკითხი გადაეჭრა და მოეგვარებია მათ ჩასვლამდე.

სერგეიმ გადასწყვიტა, წერილი ვორონოვისთვის ეჩვენებია და რჩევა ეკითხა. თვითონ კი თვლიდა, რომ ძალიან კარგი იქნებოდა თუ ქართველები სწორედ ლუკა მიტროფანოვიცთან დადებდნენ ხელშეკრულებას. ეს ხალხის განწყობილებას აამალებდა და მათ ინიციატივას გააღვიძებდა, კარგად იმოქმედებდა კოლმეურნეობაში წესრიგზე და დისციპლინაზე. თვით ლუკა მიტროფანოვიცს კი, პირდაპირ ფრთებს შეასხამდა. დიან, სერგეი ყოველ ღონისძიებას იხმარს იმისათვის, რომ ქართველები ლუკა მიტროფანოვიცს შეაჯიბროს.

როცა სერგეი უკვე დგებოდა მაგიდიდან, მხოლოდ მაშინ დაიწყო ფიქრი ბობროვის წერილზე.

— არა, უნდა დავიცალო, — ხმამალა თქვა მან, და ორივე წერილი დაკეცა. — საქირაა მოცდა, არაფერიც არ მოუვა სკოლას. ამდენი ხანი ხომ მუშაობდნენ უჩემოდ, კიდევ რამდენიმე დღესაც იმუშავენ. როცა აქ ყველაფერს მოვრჩები, მაშინ წავალ...

გვილობა ღაქლაძეს ომს

★

წარსულის ხსოვნა ჯერ არ ჩამქრალა,
ჯერ არ შემშრალა ცრემლი ობოლთა,
დაცემულები ჯერ არ აღმდგარან
ძეგლებად დნებრთან, სევასტოპოლთან...
ჯერ ისევ ღვივის დედის ნაღველი,
ჯერ ისევ ყრია ზღვებში ნაღმები...

და აი, ისევ ატყდა ყაყანი,
უოლსტრიტელთა გვესმის მუქარა,
ისევ დაღვარეს სისხლი ახალი,
კორეას აქცევს ცეცხლი, ყუმბარა.
თეთრ სახლში ბოდვა ისმის გიჟების:
„ომი გვიშველის, სისხლი გვიშველის!..“

და სიტყვა „ომი“ მათს გონებაში
შეჭრილა, როგორც ხეში ლურჯმანი,
ხალხებს აგდებენ საგონებელში
კჟუანხარძობი, უნაქუსონი.
თეთრ სახლში ბოდვა ისმის გიჟების:
„ომი გვიშველის, სისხლი გვიშველის!..“

ჰე, „ბატონებად“ რომ იწოდებით,
გაჯობთ მიჰხედოთ ნერვებს საჯუთარს,
ისე მძიმეა თქვენი ცოდვები —
გამოადგებათ ერებს საბუთად.
ისმინეთ, ხალხთა მილიონები
რას გუგუნებენ, როგორც ლომები:
ჩაკვდეს სიბნელე, შეწყდეს ომები,
გამეფდეს ძალა მზის და გონების!..

თქვენ არა ვთხოვენ. თქვენ გიბრძანებენ,
გესმით?

უფრთხილდით ამ აღელვებას,
თორემ არასდროს შეგიბრალებენ
შობილებს

ომისგამჩაღებლებად.

უფრთხილდით რისხვას, მსოფლიოს რისხვას,
რისხვას ნახევარმილიარდისას!

თქვენ,
აღმოსავლეთს მიაპყართ თვალი!
გადასქდობია ჩაქუნს ნამგალი.
შპროშელი ხალხი
გმირული შრომით

იბრძვის,

რომ ქვეყნად არ იყოს ომი!..
 აქ, მუდამ სიტყვა
 მშვიდობის სიტყვა
 უფრო მძლავრია ვიდრე ატომი.



ჩვენ ვიცით ომის საშინელება,
 ჩვენ გავითენეთ დღე დაღოცვილი,
 ჩვენ ვიცით „ომი“,
 სხვა მნიშვნელობით
 ვამბობთ ამ სიტყვას ძღვევამოსილნი.
 ახლა გავევიეთ: მიკრობებს ომი,
 უდაბნოს ომი და გვალვას ომი!
 სხვა რამ გაგება შესწყდეს ომისა,
 ომს — ომი ახლა პირველყოფლისა!

ჩვენ ვართ ბანაკი შზის და სიცოცხლის,
 დიდი სიმართლის, ბედნიერების,
 თქვენ კი სიკვდილის, უსირცხვილობის,
 ომის.

ღამე ხართ ქვეყნიერების.

თქვენ ხართ ლაჩრები,
 ვერ გადარჩებით!
 მშვიდობა ხალხებს!
 ეყოს მსოფლიოს
 ომი — ახლახან გადატანილი.
 მშვიდობა დასძლევს ომს და სიბნელეს,
 რადგან მშვიდობას იცავს სტალინი!

თარგმანი ოთარ ზელიძისა

ილია ჭავჭავაძე

ბიოგრაფიული ნარკვევი

ქართველი ერის უკვდავ მოღვაწეთა შორის ჩვენ გვინათებს დიდი სახე ილია ჭავჭავაძისა.

ილია ჭავჭავაძე ცენტრალური ფიგურაა მეცხრამეტე საუკუნის ქართულ მწერლობაში.

ილია ჭავჭავაძე და მისი თანამოღვაწე აკაკი წერეთელი არიან დიდნი ფუძემდებელნი ახალი ქართული მწერლობისა და ახალი ქართული სალიტერატურო ენისა.

ილია ჭავჭავაძის სამწერლო მოღვაწეობა უაღრესად ფართო დიაპაზონისა, შეიძლება ითქვას — უნივერსალური ხასიათისა იყო.

ილია არის შემოქმედი ბრწყინვალე შედეგებისა მხატვრული მწერლობის დარგში, როგორცაა „განდეგილი“ და „კაცია-ადამიანი“, „კაკო ყაჩაღი“ და „გლახის ნაამბობი“, „ბაზალეთის ტბა“ და „ოთარაანთ ქვრივი“, „აჩრდილი“ და „მგზავრის წერილები“.

ილია ამავე დროს არის დიდი პუბლიცისტი, ასევე კრიტიკოსი და ლიტერატურათმცოდნე, ისტორიკოსი, ეკონომისტი, სოციოლოგი, ღომა მოაზროვნე.

ილია არის ქართველი ხალხის დიდი განმანათლებელი.

ილია უდიდესი საზოგადო მოღვაწეა მეცხრამეტე საუკუნის საქართველოსი. ილია არის ქართველი ხალხის მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დიდი ლიდერი.

წინამდებარე ნარკვევში ჩვენი საგანია აესახოთ დიდი მწერლის ცხოვრების გზა, გავაშუქოთ მისი მრავალმხრივი მოღვაწეობა.

I

ისტორიული წარსულიდან

ილია ჭავჭავაძე დაიბადა 1837 წელს, 27 ოქტომბერს (ძვ. სტ.), კახეთში, სოფელ ყვარელში.

ვიღრე გადავიდოდეთ მწერლის ბიოგრაფიის განხილვაზე, ჩვენ აქ გადავშლით რამდენიმე ფურცელს ისტორიული წარსულიდან.

•

მწერლის წინაპარნი საქართველოს ამ მხარის — კახეთის — ძირეულნი მკვიდრნი იყვნენ.

პოეტის სამშობლო სოფელი ყვარელი მდებარეობდა ისტორიული საქართველოს აღმოსავლეთი საზღვრების სადარაჯოზე.

შემთხვევითი არაა, რომ სოფელ ყვარლის თავში, დალისტანიდან მომავალი გზის ნაწზე, აღმართულია ძველი ციხე.

ხოლო თვით ილიას სახლი, სადაც დაიბადა პოეტი, — ეს არის ძველებური კოშკი, მტრებისაგან თავდასაცველად აგებული.

პოეტის სამშობლო სოფელი ყვარელი გადაკუთრებს საქართველოს შშვენებას — ალაზნის ველს. მაგრამ ეს შშვენიერი ველი სამშობლოს ერთგულ დამცველთა წმინდა სისხლით არის მორწყული.

რა ცეცხლი გახდა გაღმა-მხარს, რა გრვეინვა მოდის ბრძოლისა,
 მთლად დაღისტანი მოაწვა გასაოხრებლად ყვარლისა!
 ოღდარვა დღეა, რა ისმის ხმა ომის შეუწყვეტლისა!
 გაპირდა... ციხე მისუსტდა... სად არის ხელი მხნელებისა?

საქონის
 გენერალის

განდნენ დამხსნენ... ხმაღდახმალ შუა გააპეს მტრის ძალი,
 და გამოიხსნეს მბრწყინავი კახეთის თვალი ყვარელი.

საისტორიო წყაროებში უძველესი ცნობა ქვეყნაძეა გვარის შესახებ. ეკუთვნის ჯერ კიდევ იმ ხანას, როდესაც ძველი საქართველოს სახელმწიფოებრივი მთლიანობა არ იყო დარღვეული, — სახელდობრ საქართველოს მეფის ალექსანდრე I დიდის ხანას (მე-15 საუკუნის პირველი ნახევარი)¹. ის იყო ეზოქა, როდესაც საქართველო იმუშებდა იმ ჭრილობებს, რომელიც ჩვენს ქვეყანას თემურლენგის ბარბაროსულმა შემოსევებმა მიაყენა.

თავდაპირველი სამკვიდრო ქვეყნაძეა გვარისა, როგორც ირკვევა, ყოფილა კახეთის მთიულეთი, ახმეტა-თიანეთის მხარე.

ქვეყნაძეა ერთ შტოს აქ ძველადვე, ჯერ კიდევ საშუალო საუკუნეებში, საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლებისაგან მიუღია თავადობა. ქვეყნაძეა საშუალო საუკუნეების ხანაში, როგორც ირკვევა, შეადგენდა ეს კუთხე, კახეთის მთიულეთი (ახმეტა-თიანეთის მხარე, ფშავ-ხევსურეთით); ამიტომაც ქვეყნაძეა „მთის კაცთა“ სახელით მოიხსენიებიან².

მე-16 საუკუნის დასაწყისში, კახთა მეფის ლეონ I-ის დროს, 1529 წელს, ქვეყნაძეა გვარის მთავარი შტო დამკვიდრებულა კახეთის გაღმა მხარეში, ყვარელ-შილდას მხარეში, კახეთის იმ სანაპიროზე, რომელიც იცავდა საქართველოს დაღისტანის მთიულთა შემოსევებისაგან³.

ქვეყნაძეა ამ მთავარი შტოს სამკვიდროს შეადგენდა აგრეთვე გაღმა-მხარის მეზობლად მდებარე საინგილოს — კახეთის ამ ძველი ისტორიული ნაწილის — სოფლები.

არაა ინტერესს მოკლებული აღვნიშნოთ ამასთან, რომ ქვეყნაძეა გვარს ჰქონია სამკვიდრო საინგილოში თვით მე-18 საუკუნის პირველ ნახევარამდე. 1726 წლის სიიგულში ქვეყნაძეა გვარის სამკვიდროდ დასახელებულია საინგილოს სოფლები: ენგიანი, ყანდახი და მოსული. ამას გარდა ქვეყნაძეა გვარს ჰქონია „სახელო“ საინგილოს ენისელში (იგივე ელისენი, თანამედროვე ალიაბადი — ზაქათალის რაიონისა), რომელიც საინგილოს მხარის ერთ-ერთ მთავარ ცენტრს წარმოადგენდა⁴.

საქართველოს ამ ძველი განუყოფელი ისტორიული ნაწილის საინგილოს მოხსენიებული პუნქტებიდან — საინგილოს ელისენში (თანამედ-

¹ მცხეთის სიგელი ალექსანდრე I-ის დროისა, 1438 წლისა (თ. ჟორდანიას გამოცემა, ქრონიკები, II, 1897 წ., გვ. 244).

² იხ. თანე ბატონიშვილი, კალმასობა, I, 1936 წ., გვ. 129. იხ. აგრეთვე „მასალა ისტორიისათვის“ (გამოქვეყნებული ჟურნალ „ივერიაში“, 1884 წ., V — VI, დამატება, გვ. 40). სადაც ქვეყნაძეა შესახებ აღნიშნულია, რომ „ესენი იყვნენ მთის ადგილით“. — აღვნიშნავთ ამასთან, რომ ახმეტა და მისი უბნების პუნქტები მოხსენიებულია ქვეყნაძეა გვარეულობის მთელ რიგ საბუთებში (იხ. კერძოდ მე-16 საუკუნის საბუთი, ქრონიკები, II, გვ. 334). — თიანეთი, როგორც სამკვიდრო ქვეყნაძეა, მოიხსენება კერძოდ ხალხურ ლექსებში (იხ. დ. ხუნანაშვილი, ფშაური ლექსები, 1887 წ., გვ. 14).

³ იხ. „მასალა ისტორიისათვის“ (ჟურნალ „ივერია“, 1884 წ., V — VI, დამატება), გვ. 40. აღვნიშნავთ ამასთან, რომ ამავე ეპოქიდან, მე-16 საუკუნიდან, მოღწეულია ქვეყნაძეა საგვარეულო სიგელები 1517 და 1584 წლებისა (იხ. ქრონიკები, II, 334; ცენტრალური სახელმწიფოს ისტორიო არქივი, ფონდი 1449, სპ. 1663; ფონდი 1448, სპ. 5228).

⁴ იხ. სიგელი 1726 წლისა, ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 1450, დ. № 11/ნ. № 12.

როვე ალიაბადი) და მოსულში დღემდე ქართული მოსახლეობა, რომელსაც წმინდად დაუცავს ქართული ენა. ხოლო ორ პუნქტში, ენგიანსა და ყანდაში, — თუმცა ასევე ქართული მოსახლეობაა, მაგრამ მათ ქართული დედა-ენა უკვე დაკარგული აქვთ...

ყვარელ-შილდას მხარე, სადაც მე-16 — 18 საუკუნეებში მკვიდრობდა ჭავჭავაძეთა გვარის მთავარი შტო, წარმოადგენდა, როგორც მოვიხსენიეთ, სანაპირო კუთხეს, რომელიც იცავდა კახეთს დაღისტანის მთიელთა შემოსევებისაგან; ხოლო საინგილო იყო გზა, საიდანაც აწარმოებდნენ კახეთზე შემოტევას როგორც დაღისტნელები, ისე ირანელები. საქართველოს საზღვრების ამ საიდარეოზე მონაპირებამ გამოიმუშავა ამ მხარის მკვიდრთა შეუღრიკელი რაინდული სული.

იმ ქარიშხლიან ეპოქაში, რომელსაც წარმოადგენდა საქართველოსათვის და კერძოდ კახეთისათვის, მე-17 — 18 საუკუნეები, ამ მხარის მკვიდრთ ჩვენ ზედვით სამშობლოსათვის თავდადებულ მებრძოლთა პირველ რიგებში.

ასე, მე-17 საუკუნის პირველ ნახევარში, როდესაც შაჰ-აბაზმა აპყარა კახეთი, და როდესაც თეიმურაზ I ათეული წლების მანძილზე აწარმოებდა გმირულ ბრძოლას ირანელ დამპყრობელთა წინააღმდეგ, თეიმურაზის ერთ-ერთი მთავარი თანამშრომელი ამ დროს ყოფილა გაღმა-მხარის (შილდა-ყვარელის) ჭავჭავაძეთა გვარის წარმომადგენელი გარსევან გულბათის-ძე ჭავჭავაძე, რომლის შესახებაც თეიმურაზ I ამბობს:

„იმ ტოლი კაცი იმ დროსა მე აღარ მყვანდა მისთანა“¹.

მე-18 საუკუნის ოციან წლებში, როდესაც ქართლი და კახეთი ოსმალებთან დაიპყრო; ვახტანგ VI და ქართლის თავი კაცები რუსეთში გაიხიზნენ, ხოლო კახეთის მეფე კონსტანტინე I და მისი ძმა თეიმურაზ II (ერეკლე II-ის მამა) კახეთის მთიულეთში იყვნენ გამაგრებულნი, ამ უკანასკნელთ თან ახლდნენ ჭავჭავაძენი.

ამ დროს — 1726 წელს გაცემულს ერთ სიგელში კახეთის მეფე კონსტანტინე I წერს ჭავჭავაძეთა სახლის განსაკუთრებული ღვაწლის შესახებ სამშობლოს წინაშე, — რომ მათმა მამა-პაპამ არა-ერთგზის დასდო თავი ქვეყნისათვის, და რომ უკანასკნელ დროსაც, როდესაც ქვეყანას თურქები შემოესივნენ, მათ განსაკუთრებული გმირობა გამოიჩინეს.

მამა-პაპანი თქვენნიო, — წერს ჭავჭავაძეთა შესახებ კონსტანტინე I — ერთგულებასა, სამსახურსა შინა აღსრულებულ იყვნეს, რამეთუ მრავალნი შრომანი და ღირნი თავს ესხნეს; და მრავალჯერ ექსორია ქმნილ-იყვნეს უცხოთა ადგილთა და ქვეყანათა კურთხეულთა მათ — მამათა და პაპათა ჩვენთა თანა. ხოლო აწ რომელნიცა დამთოილ იყვნით — შეილნი მათნი, უფროსნი მსახურებანი აღასრულენით, რამეთუ არა პრიდეთ ხორცთა თქვენთა სიკვდილად...“²

ქვეყნისათვის ამ თავდადებაზე ჩვენ მოგვითხრობს არა ერთი და ორი ხალხური ლექსი.

II

ოჯახური ბაიოზი.

ჟამოზა. — სიზაზაძე.

გავეცნოთ ამის შემდეგ მწერლის ოჯახურ გარემოს.

მწერლის ოჯახში, მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში, ჯერ კიდევ ცოცხალი იყო ძველი საქართველოს ისტორიული ტრადიციები.

¹ იხ. არჩილი, თხზულებათა სრული კრებული, ტ. II, 1936 წ., გვ. 86 — 7.

² იხ. სიგელი 1726 წლისა, ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 1450, გ. № 11/ბ. № 12.

მწერლის პაპა პაატა ჭავჭავაძე — მომსწრე იყო ერეკლე მეფისა. ერეკლე მეფის დროს პაატა, ჯერ კიდევ ახალგაზრდა, მოიხსენება როგორც მონაწილე ექსპედიციისა — იმერეთში 1788 წელს, როდესაც ერეკლემ იმერეთის მეფედ დასვა თავისი შვილიშვილი სოლომონ II¹. 1798 წელს, როდესაც გარდაიცვალა დეაწლით-მოსილი პატარა კახი და, როგორც ხალხური ლექსი ამბობს, საქართველოს „შეეხსნა რკინის კარები“, — პაატა იყო ერეკლეს დამტირებელთა შორის; პაატას, ქართლ-კახეთის სხვა წარმომადგენლებთან ერთად, ჩამოუსვენებია ერეკლეს ცხედარი თელავიდან — მცხეთაში, სადაც იგი მიაბარეს სამშობლო მიწას საქართველოს ძველ ღიდაქალაქში².

საქართველოს უკანასკნელი მეფის გიორგი XII-ის დროს პაატა სამხედრო სამსახურშია. 1800 წელს გიორგი XII უბოძებს პაატას სამხედრო ხარისხს „ხუთასის-თავობა“-ს³.

რუსეთის მფლობელობის დამყარების შემდეგ პაატა ცხოვრობს თავის სამშობლო სოფელ ყვარელში.

პაატას ხუთი ვაჟი ჰყოლია: სვიმონი, გარსევანი, ალექსანდრე, გრიგოლი (— მამა ილიასი) და იოსები.

პაატას პირველი ოთხი ვაჟი რუსეთის ჯარში ყოფილან სამსახურში ოფიცრებად. ამათგან პირველი სამი, ჯერ კიდევ ახალგაზრდები, ომებში დაღუპულან. უფროსი ვაჟი, სვიმონი, ქართულ გრენადერთა პოლკის პორუჩიკი, დაღუპულა 1827 წელს, სპარსეთთან ომში; იგი მოუკლავთ ბრძოლაში ერევნის ციხის აღების დროს. უდროვოდ დაღუპულს სვიმონ ჭავჭავაძეს მოიხსენებს გრიგოლ ორბელიანი თავის „სადღეგრძელოში“ როგორც „მშვენიერს და გონებით სავსე ყმაწვილ კაცს“.

სვიმონ ჭავჭავაძის მომდევნო ძმა — გარსევანი, შტაბს-კაპიტანი კავკასიის საპიორთა ბატალიონისა, და მესამე ძმა — სრულიად ახალგაზრდა ალექსანდრე, — დაღუპულან უახლოეს წლებში ლეკებთან ომის დროს დაღისტანში⁴.

მეოთხე ვაჟი პაატასი, — გრიგოლი, მამა ილიასი, დაბადებულა 1811 წელს⁵.

გრიგოლი, ისევე როგორც მისი ძმები, ერთხანად სამხედრო სამსახურში ყოფილა ოფიცრად.

როგორც ირკვევა, გრიგოლი თავის დროისათვის საცმოდ განათლებული აღმთიანი ყოფილა, ილია თავის ავტობიოგრაფიაში თავმდაბლურად შეინიშნავს მამის შესახებ: „მამა-ჩემი რამდენადმე განათლებული კაცი იყო, ოფიცრად მსახურობდა ნიევეგოროდის დრაგუნის პოლკში და რუსული კარგად იცოდა“-ო⁶.

გრიგოლი სამხედრო სამსახურში სრულიად ახალგაზრდა შესულა, 1828 წელს, როდესაც იგი მე-17 წელში იყო გადამდგარი. 1828 — 1829 წლებში მას მონაწილეობა მიუღია ომში ოსმალეთის წინააღმდეგ. გრიგოლი მონაწილე ყოფილა ბრძოლებშია ყარსის ალების დროს (23 ივნისს 1828 წ.), ახალქალაქის

¹ იხ. პლატონ ოსელიანი, ცხოვრება გიორგი XII-ისა, 1936 წ., გვ. 263.

² იხ. უწყება ერეკლე მეფის დასაფლავების შესახებ (დოკუმენტი დამეჭვილი გაზ. „ივერიაში“, 1887 წ., № 89 — 90).

³ იხ. საისტორიო მოამბე, III, 1947 წ., გვ. 263. შეად. საბუთი ცენტრალური სახელმწიფო-საისტორიო არქივისა, ფონდი 1450, დ. № 52/ს. № 74.

⁴ იხ. საბუთი ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივისა, ფონდი 3, საქმე 3728, ფ. 1 — 3; საისტორიო მოამბე, III, 1947 წ., გვ. 168 (მუბლაკაცია ა. იოიძისა).

⁵ იხ. გრიგოლ პაატას-ძე ჭავჭავაძის ნამსახურობითი ნუსხა (ცენტრალური სახელმწიფო-საისტორიო არქივი, ფონდი 3, საქმე 3728, ფ. 4 — 10; საისტორიო მოამბე, III, 1947 წ., გვ. 169 — 174). შეად. ლიტერატურული მემკვიდრეობა, I, 1935 წ., გვ. 554.

⁶ იხ. ილიას ავტობიოგრაფია (გამოქვეყნებულია ურნალ „განათლება“-ში, 1908 წ., № 1, გვ. 17 — 22).

ადების დროს (24 ივლისს 1828 წელს) და ახალციხის ადების დროს (15 აგვისტოს 1828 წელს). განსაკუთრებული მამაცობისათვის, რომელიც გრიგოლს გამოუჩენია ახალციხის ციხადელის ადებისას, გრიგოლს, 17 წლის ყმაწვილს უბოძეს ოფიცრის პირველი ჩინი. ამის შემდეგ 1828 — 1829 წლების მანძილზე გრიგოლი მონაწილეობს ბრძოლებში ოსმალთა წინააღმდეგ ძველ-ქართულ მხარეებში კოლა-არტაანში, ტაოში, სპერში, ლახეთ-ჯანეთში, აგრეთვე არზრუმის მხარეში. დაბა დათის ადებისათვის (სპერის მხარეში) და ბრძოლაში გამოჩენილი მამაცობისათვის გრიგოლი ორდენით დაუჯილდოვებიათ¹.

1829 წელს, ოსმალეთთან ომის დამთავრების შემდეგ, გრიგოლი თავის პოლკთან ერთად, საქართველოში ბრუნდება.

1832 წელს გრიგოლი ოჯახს მოეცილება, შეირთავს მაგდანე ბებურიშვილის ქალს.

შემდეგ წელს, 1833-ში, გრიგოლი ანებებს თავს სამხედრო სამსახურს (პორუჩიკის ჩინით) და საბოლოოდ დამკვიდრდება თავის მამაპაპულ სოფელ ყვარელში.

ეს გარემოება, რომ გრიგოლს დაუნებებია თავი სამხედრო სამსახურისათვის ასე ადრე, ჯერ კიდევ 22 წლის ახალგაზრდას, იმით ყოფილა გამოწვეული, რომ გრიგოლის სამივე უფროსი ძმა ომებში დაიღუპა და მათ გაუყოფელ ოჯახს სხვა პატრონი, გარდა გრიგოლისა, არა ჰყავდა. აღსანიშნავია ამას გარდა, რომ გრიგოლის უფროსი ძმების შემდეგ, რომლებიც, ჩანს, ფართო ხელგამწილ ცხოვრებას ეწეოდნენ, დიდი ვალები დარჩენილა, რამაც ოჯახი უკიდურეს გაჭირებაში ჩააგდო².

გრიგოლმა სამხედრო სამსახურს თუმცა თავი დაანება 1833 წელს, მაგრამ თორმეტი წლის შემდეგ 1845 წელს მას ისევ მოუხდა დროებით ჯარში დაბრუნება.

1845 წელს გრიგოლი დაინიშნა კახეთის მოხალისეთა ჯარის (მილიციის) ათასეულის უფროსად. კახეთის მოხალისეთა ეს ჯარი შეიკრიბა დალისტანში სალაშქროდ. 1845 წლის ზაფხულზე ჯარმა ილაშქრა დალისტანში, დიდოეთში. გრიგოლს ამ ექსპედიციის დროს დიდი მამაცობა გამოუჩენია და იგი დაუჯილდოვებიათ შტაბს-კაპიტანის სამხედრო ხარისხით („за примерную храбрость, оказанную во время военных действий награжден чином штаб-капитана“ — ნათქვამია ოფიციალურ დოკუმენტში). ექსპედიციის დამთავრებისა და ჯარის კახეთში დაბრუნების შემდეგ, გრიგოლი 1845 წელსვე თავისუფლდება სამხედრო სამსახურიდან და ბრუნდება თავის საშობლო სოფელ ყვარელში.

ოთხი წლის შემდეგ, 1849 წელს, გრიგოლი ისევ მონაწილეობს სამხედრო ექსპედიციაში დალისტანში და კვლავ ლეხლობს სამხედრო ჯილდოს მამაცობისათვის³.

მაგრამ ნამდვილი გმირობა გრიგოლს გამოუჩენია 1850 წელს. 1850 წელს 14 ივლისს ყვარელს თავს დაესხა ლექთა დიდი ჯარი. სოფელში შემოიჭრა 500-მდე ცხენოსანი ლეკი; ამას გარდა სოფლის ბოლოს დაბანაკდა ქვეითი ჯარი ლეკებისა.

გრიგოლ ჰევჭავჭავაძემ, სოფლის კორდონის უფროს დავით ჰევჭავაძესთან ერთად, სასწრაფოდ შეკრიბა სოფლელები წინააღმდეგობის გასაწევად. ეს დარაშმევა სოფლელებისა ისე სწრაფად იქმნა მოწყობილი და ოპერატივა ლეკების წინააღმდეგ ისე ბრწყინვალედ იქმნა ჩატარებული, რომ ლეკების ჯარი უკუაქციეს და სოფლიდან განდევნეს ზარალის მიყენებით. შეტაკების დროს მოკლულ იქმნა თვით ბელადი ლეკებისა ანწუხ-ყაფუჩას თემის ნიბი აბალუ.

აღსანიშნავია, რომ ლეკებთან ამ შეტაკების დროს სოფელს არავითარი დაზარება არ გაუწია მთავრობის ჯარის ნაწილმა, რომელიც იღბა იქვე ახლოს, სოფლის ბოლოში, ყვარლის ციხეში (ამ დროს ყვარლის ციხეში დაბანაკებული იყო მთავრობის ჯარის 400 ჯარისკაცი და 60 მილიციელი).

¹ იხ. გრიგოლ პატახაძე ჰევჭავაძის ნამსახურობითი ნუსხა.

² იხ. საისტორიო შრომები, III, 1947 წ., გვ. 168.

³ იხ. გრიგოლ პატახაძე ჰევჭავაძის ნამსახურობითი ნუსხა.

ოფიციალურ დოკუმენტში მთავრობის ჯარის ამ უმოქმედობის გამო, რაც ნამდვილ ლალატს უდრიდა, ნათქვამია:

„Урон горцев был бы несравненно значительнее, если бы воинский начальник Кварельского укрепления оказал хотя бы какую нибудь помощь деревне; но несмотря на то, что горы прошли при дневном свете в виду укрепления, от которой пройденная ими тропа отстоит не более как на 20 сажений, и к которой направлена сторожевая пушка, они прошли как бы совершенно незамеченными, и означенный воинский начальник, несмотря на неоднократные просьбы сельского начальника и жителей, не оказал никакой помощи и даже не позволял сотенному начальнику милиции Сигнахского уезда прапорщику Муарсабу Вацнадзеву выйти на помощь селению с бывшими при нем 60 человеками милиционеров“¹.

ყვარელის ამ გმირული თავდაცვის შესახებ მეფისნაცვალმა მ. ვორონცოვმა 1851 წლის 24 ნოემბერს საგანგებო მოხსენებით აცნობა პეტერბურგში სამხედრო მინისტრს ა. ჩერნიშევს და ითხოვდა თავდაცვის მონაწილეების და პირველ რიგში თავდაცვის გმირი ორგანიზატორების გრიგოლ და დავით ქავჭავაძეების დაჯილდოებას. მ. ვორონცოვი ამ მოხსენებაში არ მალავდა აგრეთვე იმას, თუ რა სიმხდალე და უმოქმედობა გამოიჩინა ამ დროს მთავრობის ჯარის ხელმძღვანელობამ.

„...Я должен с сожалением сказать, — წერდა მ. ვორონცოვი, — что князей и жителей сел. Кварели тем более справедливо и необходимо наградить, что они были совершенно оставлены без помощи со стороны нашего укрепления Кварельского, несмотря на то, что в этом укреплении находилось под командованием подполковника Старова до 400 человек линейного батальона и грузинских милиционеров; они последние сами просились у воинского начальника итти на помощь селению, но в этом им было отказано...“

მოხსენება თავდებოდა მ. ვორონცოვის შემდეგ შეამდგომლობით:

„Считая заслуги князей Чавчавадзеых совершенно заслужившими награды, я имею честь покорнейше просить вашу светлость исходатайствовать высочайше государя императора соизволение на пожалование им орденов св. Анны: штабс-капитану Григорию 2-ой степени и прапорщику Давиду 4-ой степени“.

ამის შემდეგ, 1851 წლის 26 იანვრის თარიღით იმპერატორის სახელით გამოსული ბრძანებით, გრიგოლ და დავით ქავჭავაძეები დაჯილდოებულ იქნენ დასახელებული სამხედრო ორდენებით².

გრიგოლმა, როგორც აღვნიშნეთ, სამხედრო სამსახურში მხოლოდ რამდენიმე წელიწადი დაჰყო, ხოლო მეტწილად იგი სოფელში ცხოვრობდა და სოფლის მეურნეობას მისდევდა. გრიგოლი თბილისთანაც არ სწყვეტდა კავშირს, სადაც იზრდებოდნენ მისი შვილები. კერძოდ გრიგოლი არა იშვიათი სტუმარი ყოფილა თავისი მოგვარის, პოეტის ალექსანდრე ქავჭავაძის ოჯახისა.

ძველი საზოგადო მოღვაწე მ. ნასიძე, ილია ქავჭავაძის ბიოგრაფიაში, რომელიც ილიას სიცოცხლეში გამოქვეყნდა (1898 წელს), — წერს ილიას მამის გრიგოლის შესახებ: გრიგოლს ქავჭავაძე ცნობილი იყო მთელ კახეთში როგორც გონებამახვილი, სიტყვაშემსრულებული კაცი, თაისი დროზე რომიერი ზემორობა უყვარდა³. (ამასვე გადმოგვცემს ილიას მამის შესახებ ბიოგრაფიულ შენიშვნაში ალექსანდრე ყიფშიძე)⁴.

¹ იხ. იმერკავკასიის სამოქალაქო სამმართველოს უფროსის მოხსენება კავკასიის მეფისნაცვლისადმი 1850 წლის 20 ივლისის თარიღით (ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივის ფონდი 4, საქმე 9257, ფ. 5; საისტორიო მოამბე, III, 1947 წ., გვ. 163 — 165).

² იხ. საბუთები ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივისა ფონდი 4, საქ. 9257, ფ. 10 — 11, 14; საისტორიო მოამბე, III, 1947 წ., გვ. 166 — 7.

³ იხ. მ. ნასიძე (სმე ვახვაჯარ), ილია ქავჭავაძე, 1898 წ., გვ. 5 — 6.

⁴ იხ. კრებული: ილია ქავჭავაძის სიყვდილი და დასაფლავება, 1907 წ. წერილი ა, ყ-სა, 33. 69.

მას შემდეგ, რაც ილიას მამა გრიგოლი სოფელში დასახლდა, მისი ცხოვრება ვერ მოეწყო ბედნიერად. გრიგოლს გარდაეცვალა ახალგაზრდა მეუღლე (1848 წ.) და წეროლ შეიღებზე ზრუნვა მას დააწვა ტვირთად. ამით იყო, ჩანს, გამოწვეული ის გულჩათხრობილობა, რომელიც დასჩემდა გრიგოლს. თავის ავტობიოგრაფიაში ილია მოგვითხრობს მამის შესახებ: იგი ზოგჯერ რამდენიმე დღის განმავლობაში ხმას არ ამოიღებდა და მღუმარებით იყო შეპყრობილი. მხოლოდ იშვიათად, საზოგადოებაში ყოფნის დროს, გრიგოლი გამოცოცხლდებოდა და გონებამახვილობითა და ზომიერი ზმერობით ხბლავდა ყველას.

ილიას მამამ დიდი მზრუნველობა გამოიჩინა, რათა შეიღებს სათანადო განათლება მიეღოთ. გრიგოლმა, მიუხედავად დიდი ხელმოკლეობისა (— გრიგოლს, როგორც მოვიხსენიეთ, დიდი ვალები დააწვა ძმების გარდაცვალების შემდეგ). — თავისი უფროსი ვაჟი კონსტანტინე, თბილისში დასწავლებლის დამთავრების შემდეგ, რუსეთში, მოსკოვის უნივერსიტეტში ვაგზავენა განათლების მისაღებად. ასევე თავისი ხანმოკლე სიცოცხლის მანძილზე მან სწავლის გზაზე დააყენა სხვა თავისი უმცროსი შვილები. აღსანიშნავია ამასთან, რომ გრიგოლი, სამხედრო კაცი, თავის შვილებს ზრდიდა არა სამხედრო, არამედ სამოქალაქო სასწავლებლებში, და ეს მაშინ, როდესაც იმდროინდელი თავადაზნაურობა ასე ესწრაფოდა სამხედრო სამსახურს. აღსანიშნავია ამასთან ისიც, რომ გრიგოლი ზრუნავდა არა მარტო ვაჟების განათლებაზე, არამედ თავისი უფროსი ქალი ნინო აგრეთვე ჩამოყვანიდა სოფლიდან თბილისში და წმ. ნინოს სახელობის ქალთა სასწავლებელში ზრდიდა. ამ დროს ქალების მობარება სასწავლებელში, ისიც პროვინციიდან, იშვიათი შემთხვევა იყო. გრიგოლი, როგორც ირკვევა, თავის დროისათვის მოწინავე შეხედულებების ადამიანი ყოფილა.

გრიგოლი გარდაეცვალა შედარებით ახალგაზრდა კაცი, 41 წლისა, 1852 წელს (10 დეკემბერს ძვ. სტ.)¹, როდესაც ილია 15 წლისა იყო და გიმნაზიაში სწავლობდა.



დედა ილიასი — მარიამი (ქალიშვილობაში მაგდანე) თბილისელი მკვიდრი იყო, ბებურიშვილის ქალი, ასული კახეთის აზნაურის (თბილისში მცხოვრების) ქრისტეფორე ბებურიშვილისა². მარიამი დაბადებულია 1818 წელს³. იგი სრულიად ახალგაზრდა ვახოვილა გრიგოლზე (1832 წ.).

მარიამი ძველებურის წესით კარგად განათლებული ყოფილა ქართულ ენაზე. მარიამი ნათელი ბუნების ადამიანი ყოფილა, შესანიშნავი აღმზრდელი თავისი შვილებისა.

ილია თავის ავტობიოგრაფიაში წერს:

„დღედაღამა მშვენიერად იყოდა მაშინდელი ქართული მწერლობა, სულ ზეპირად ჰქონდა დასწავლილი თითქმის ყველა ლექსი და ძველებური მოთხრობა და რომანი, რომელიც კი იშოვებოდა მაშინ ან დაბეჭდილი, ან ხელნაწერი. საღამომობით დაგვსახავდა ბავშვებს და გვიცითხავდა მოთხრობებსა და ამბებს. წაკითხვის შემდეგ გვიამბობდა შინაარსს და მეორე დღის საღამოზედ გვიცითხავდა: აბა ვინ უფრო კარგად ვეამბობდა და ამ ქებას ჩვენ დღედაღამ ვაფასებდით“.

გრიგოლ ყიდშიძეს დაეწყო აქვს ილიას გადმონაცემი:
 „არა ერთხელ გაგვიფონია მისგან (ილიასაგან), რომ მე, როგორც პატარას და ტანად მრგვალს, დამაგორებდნენ ტახტზედ მუთაქასავით, დასდებდნენ ჩემზედ წიგნს და კითხულობდნენ“⁴.

1 იხ. ლიტერატურული მემკვიდრეობა, I, 1935 წ., გვ. 554. (შეად. საისტორიო მოამბე, 111, 1947 წ., გვ. 167).

2 იხ. გრიგოლ პატარას-ძე ჭავჭავაძის ნაშთბურობითი ნუსხა.

3 იხ. ლიტერატურული მემკვიდრეობა, I, 1935 წ., გვ. 553.

4 იხ. ვრ. ყიდშიძე, ილია ჭავჭავაძის ბიოგრაფია (ილია ჭავჭავაძის თხზულებანი, I, 1914 წ.,

მდროიდან, ბავშვობიდანვე, ილიას უსაყვარლესი წიგნი გამხდარა შოთა რუსთაველის უკვდავი „ვეფხისტყაოსანი“, რომელსაც დედა უკითხავდა და ასწავლიდა.

ალექსანდრე ყიფშიძე, თვით ილიას გადმონაცემის მიხედვით, წერს: „ქართული წერა-კითხვა (ილიამ) პირველად ოჯახშივე შეიძინა. იქვე ბავშვობიდანვე ჰქონდა შესწავლილი „ვეფხისტყაოსანი“ შოთა რუსთაველისა და ეგების ეს გარემოება იყო მიზეზი, რომ განსვენებულმა საუკეთესოდ იცოდა ქართული ენა, ბადალი არ ჰყავდა სამშობლო ენის ცოდნაში... თვითონაც (ილიას) ბევრჯერ სიამოვნებით მოუგონებია ის ნეტარი დრო ყმაწვილობისა და ბავშვობისა, ოჯახში რომ ქალები (ჯერ დედა, ხოლო დედის გარდაცვალების შემდეგ მამიდა) — ასწავლიდნენ „ვეფხისტყაოსანს“¹.

ილიას მშობლებს ექვსი შვილი ჰყოლია: კონსტანტინე, ნინო, ილია, ელისაბედი, თემური და სვიმონი.

ილიას უფროსი ძმა კონსტანტინე, რომელიც 1852 წელს მამას გაუგზავნია მოსკოვის უნივერსიტეტში შესასვლელად, მამის გარდაცვალების შემდეგ (იმავე 1852 წელს) — ჩამობრუნებულა საქართველოში. იგი ჯერ სრულიად ახალგაზრდა 22 წლისა მოუკლავთ ლეკებს 1854 წელს, როდესაც შამილის რაზმი თავს დაესხა წინანდალს და გაიტაცეს პოეტის ალექსანდრე ქავჭავაძის შვილის დავითის სახლობა. ილიას ძმა კონსტანტინე კახეთიდან ტყვეების გამო-სახსნელად წასულ მდივართა შორის ყოფილა და ლეკებთან შეტაკების დროს დაღუპულა. უმცროსი ძმა ილიასი სვიმონი სრულიად მცირეწლოვანი გარდაცვლილა. მესამე ძმა ილიასი — თემური — გარდაცვლილა 1860 წელს, 15 წლისა, როდესაც იგი პეტერბურგში კადეტთა კორპუსში სწავლობდა. ილიამ ლექსში „მისი სიყვდილზედ“ დაიტირა უძროოდ დაკარგული უკანასკნელი უმცროსი ძმა, რომელიც ილიას განსაუფრებით ჰყვარებდა.

ილიას და-ძმებიდან შერჩენი დები ნინო და ელისაბედი. ილიას თავისი ოჯახური წრე ბავშვობის ხანაში ასახული აქვს მოთხრობის „ნიკოლოზ გოსტაშაბაშვილის“ შესავალში, რომელიც ავტობიოგრაფიულ ელემენტებს შეიცავს.

უკვე ქალაქაშერეული მწერალი აქ იგონებს თავის ბავშვობას, თავის სოფელს — „როცა ბლარტბივით გარს ევხვიენით დედ-მამას ორნი დანი და სამი ძმანია... ვხედავ, როგორ დაგზნარიან შვილებს დედა, მამა, როგორ შევხარით ბავშვურის სიხარულითა... მომესმის ჰუა-დამჯდარი, სიყვარულიანი ლაპარაკი დედა-ჩემისა, მამა-ჩემისა...“

ილია იგონებს, თუ როგორ უნერგავდნენ მშობლები სამშობლო ქვეყნის სიყვარულს. ილია იგონებს მამის სიტყვებს: „ყველას უყვარს, შვილებო, თავის ქვეყანა, და როცა უჭირს, ძნელია კაცმა უმტყუნოს და თავი არ გამოიმეტოს...“

ილია ათი წლისა იყო, როდესაც 1848 წელს (5 მაისს ძვ. სტ.) გარდაიცვალა ილიას დედა მარიამი, ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა ქალი, 30 წლისა².

ილიას მამამ გრიგოლმა ობლების აღზრდა მიანდო თავის დას მაკრინეს. მაკრინე გათხოვილი იყო ივანე არაგვის ერისთავზე და ამ დროს დაქვრივებული იყო. გრიგოლის თხოვნით მაკრინე დაბრუნდა სამშობლო სოფელ ყვარელში და იტვირთა ობლების აღზრდა, რომელთაც ნამდვილი დედობა გაუწია. ილიას დაი ელისაბედი თავის მოგონებაში³ წერს:

„დედა რომ გარდაიცვალა, დაერჩით ობოლნი, მცირეწლოვანნი, მამიჩემის დაი მაკრინე, მეუღლე ივანე არაგვის ერისთავისა, დარჩა ქვრივად. შვილი არა ჰყავდა. მამიჩემის თხოვნით გადმოსახლდა თავის ძმა გრიგოლთან, მიიღო

¹ იხ. კრებული: ილია ქავჭავაძის სიყვდილი და დასაფლავება, წერილი ა. ყ.-სა, გვ. 69.

² იხ. ლიტერატურული მემკვიდრეობა, I, 1935 წ., გვ. 553.

³ იხ. იქვე, გვ. 554 — 557.

დედობრივი მზრუნველობა ობლებზედ. ფრად კეთილ, ქართულ მწიგნობარობაში განვითარებულ ყოვლად პატივცემულ ადამიანთან აღვიზარდენით...¹ როდესაც ოთხი წლის შემდეგ, 1852 წელს, გარდაიცვალა ილიას მამა, გარდა გოლი, მთელი ოჯახის გაძლიერა ილიას მამიდას მკარინეს დაწვევასთან შეესაბამებულად შესარულად აღმზრდელის დიდი მოვალეობა და ნამდვილი პატრონობა გაუწია დაობლებულ ოჯახს.

ილიას დაი ელისაბედი წერს თავის მოგონებაში:

„... მამი ჩემის სიყვლილის შემდეგ ყოველივე ოჯახის მზრუნველობა, გამგებლობა, გადავიდა მამიდა მკარინეზე... მამიდა ამ დღემდე მოკიდებული 87 წლამდე ჩვენს ზრუნვაში გაატარა თავისი სიცოცხლის დღენი“.

არა ინტერესს მოკლებული მოვიყვანოთ აქ აგრეთვე ცნობები ილიას პირველი ბიოგრაფის მ. ნასიძისა, რომელიც იცნობდა ილიას ოჯახს და რომლის ბიოგრაფიული ნარკვევი, როგორც მოვიხსენიეთ, თვით ილიას სიცოცხლეში გამოქვეყნდა (1898 წელს). მ. ნასიძე წერს:

„ყველაზედ გამოჩენილ პირად პოეტის ოჯახში უნდა ჩაითვალოს მამიდა მისი მკარინე, ერისთავის მეუღლე. ისა ბრძანდებოდა დიდი მწიგნობარი, დიდი განათლებული და ნათესი თავისი დროის შესაფერისად“¹.

მ. ნასიძის აზრით, პატარა ილიაზე მამიდა მკარინეს განსაკუთრებული გავლენა ჰქონდა, არა ნაკლები ვიდრე დედ-მამას.

მართლაც მკარინეს უდიდესი სიყვარული დაუმსახურებია თავისი ძმისწულებსა, კერძოდ ილიას.

თუ როგორ აფასებდა ილია თავის აღმზრდელ მამიდას, თუ როგორი ნამდვილი შვილური სიყვარულით ექცეოდა იგი მას, ეს სწამს ილიას ქვემო-მოყვანილი წერილიდან მამიდასადმი.

ილია სწერს ამ წერილს უკვე დაეპყატიებული, ცხოვრებაში გამოსული, განთქმული მწერალი (წერილი მოწერილია დღემდის — ყვარელში, სამოციანი წლების ბოლოს):

„სიყვარულო მამიდაჯან!

... თქვენმა მზარულმა წიგნმა და კარგს ქვიფხედ ყოფნამ, როგორც წიგნიდამ სწამს, ჩემი სიხარული და სიამოვნება ჩვეულებრივს წრეს გადავიდა. ღმერთმა ყოველთვის მშვიდობით, ბედნიერად და სიამოვნებით გაცხოვროთ ჩვენდა სასიხარულოდ და სანუგეშოდ. მაგრამ, მამიდაჯან, არ ვიცი უთქვენობა, რომ მე თქვენ არ გახლავარ, რად მწიფებს აგრე?.. ღმერთი მოწამეა, რუსეთში ყოფილიყო უფრო პატარა, რამოდენა ხანია ასე გართუ ევროპეი და როგორც დაღობი მეზვარი ველი როდის მომცემს ბედი ნებას, რომ ჩემი თავი ჩემს ქონს შევფარო, — ეს ამდენი ხანია გართუ ვარ უთქვენოდ, მაგრამ როგორც ეხლა თქვენი ნახვა მე მინდა, ჩემს დღეში არ მომდომია. არ ვიცი ეს რისგან არის? იმისაგან თუ, რომ ეხლა ბედმა ცოტად მინც გამილიმა (ყოლიც კარგი მყავს), ლეკმა პურსაც ჩემის ცოდვილობით ვმოვობ და მაქვს, იქნებ ამისგან მინდა, რომ ამ ყოფაში თქვენა მნახოთ მზარული, ბედნიერი და ჩვენის ამ ყოფით ისამოვნოთ. მე თქვენთან ყოფნა რომ მინდა, იმისათვის, რომ ბოლოს, ვინც თქვენ პატარაობაში დიდის მზრუნველობით გამოზარდეთ, ეხლა იმან თქვენს ადასნარ შრომისათვის ხელის გულზე ვბოძოკვერცხი იწვას და ისე გაცხოვროთ. სიკეთე დაუფიწყარია და რაც თქვენ ჩვენთვის სიკეთე გიჭნიათ, ეგ უფრო განსაკუთრებით უკვდავი არის ჩემთვის. მე რომ მინდა მინც (ყვარელში) — გადმოსვლა, იმიტომ უფრო, რომ თქვენ თან გახლდეთ და ჩემი დღენი თქვენს პატივისცემაში, სიამოვნებაში დაელიო...“

ამას წერს თავდაჭერილი, სიტყვაძვირი ილია, რომელსაც, როგორც ოთხ-რაანთ ქვრივს, არ უყვარდა თავის გულისნადების გამომტლავნება. რამდენი სიტბო და სიყვარული იგრძნობდა ამ წერილში..

ასეთი იყო ოჯახური წრე, სადაც დაიბადა და იზრდებოდა ილია.

ილიას დედა ჯერ კიდევ ცოცხალი ჰყავდა, როდესაც 1845 წელს რვა წლის ილია მშობლებმა მიამარეს სოფლის სამინაო სკოლაში ადგილობრივ მთავართან.

¹ იხ. მ. ნასიძე (მე გახლავარ), ილია შამხაშვიდი, 1898 წ., გვ. 6.

ილიას, როგორც ბავშვობაში, ისე შემდეგაც, ვიდრე მოხუცებამდე, ახსოვ-
 თებდა უმცროსებთან მოქცევის დროს ასეთი განსაკუთრებული თავაზიანობა.
 ილიას დაი ელისაბედი თავის მოგონებებში აღნიშნავს:

„სამოცდარვა წელიწადი ვიცხოვრეთ, არ მახსოვს მაღალის სიტყვებით ვაგა-
 ჯავრებოდეს მოსამსახურეს. ჩვენს და-ძმობაშიაც დიდი სიყვარულით, თავაზი-
 ანობით გვექცევოდა“-ო.

აქ ცალკეა აღსანიშნავი, რომ ილია ბავშვობიდანვე იჩენდა განსაკუთრე-
 ბულ სიყვარულს ქართული ხალხური სიტყვიერებისადმი, მას იტაცებდა ხალ-
 ხური ლექსები, ზღაპრები.

ილიას გამძელი სალომე ლოლაძისა მოგვითხრობს:
 „ხშირად მოიხმობდა ხოლმე ბავშვი ილია ბიჭ-მოსამსახურეებს და ლექსებს
 ათქმევინებდა“-ო.

კობტა აფხაზი აგრეთვე საგანგებოდ აღნიშნავს ილიას განსაკუთრებულ
 სიყვარულს ხალხური სიტყვიერებისადმი.

•

ილია მეთერთმეტე წელში იყო გადამდგარი, როდესაც მამამ 1848 წლის
 იანვრისათვის ჩამოიყვანა იგი თბილისში სასწავლებელში შესაყვანად (სწავლა-
 ამ დროს პანსიონებში და გიმნაზიებში 1 იანვრიდან იწყებოდა).

ილია მამამ მიაბარა პანსიონში, რომელიც ეკუთვნოდა პედაგოგს რაიეს-
 კის. ეს პანსიონი კერძო სასწავლებელი იყო და სასწავლო კურსით პროგიმნა-
 ზიას წარმოადგენდა.

რაიესკის პანსიონი საუკეთესოდ ითვლებოდა თბილისის სასწავლებელთა
 შორის. სასწავლო ნაწილის გამგე და ფაქტური ხელმძღვანელი პანსიონისა ყო-
 ფილა მასწავლებელი ჰაკე¹.

ილია ამ პანსიონში სწავლობდა 1848 — 1851 წლებში.
 თავის ავტობიოგრაფიაში ილია ეხება რა პანსიონში ყოფნის ხანას, პან-
 სიონის მასწავლებელთაგან განსაკუთრებული პატივისცემით იგონებს ჰაკეს,
 რომელიც გამოჩენილი პედაგოგი ყოფილა.

ილია წერს:

„პანსიონს მაშინ განაგებდა მხოლოდ ერთი ჰაკე. ჰაკე გერმანელი იყო,
 ყოველმხრივ განათლებული კაცი. გერმანიიდან დიბარა მაშინდელმა კავკა-
 სის ცალკე კორპუსის კომანდირმა ნეიტგარტმა თავისი შვილების აღსაზრ-
 დელად, ხოლო ნეიტგარტის შემდეგაც თბილისში დარჩა და პედაგოგ რაიეს-
 კისთან ერთად პანსიონი დააარსა. ჰაკე სასტიკი კაცი იყო, მაგრამ თან იმოდე-
 ნად მამობრივ მზრუნველობას იჩენდა შეგირდების მიმართ, იმოდენას სცდი-
 ლობდა და ყურს უვადებდა მათს ზნობრივსა და გონებრივ განვითარებას,
 რომ თითქმის მთელს თავისუფალ დროს კლასში მეცადინეობის შემდეგ იმათ
 ანდომებდა, ხან ემუსაიფებოდა, ხან ართობდა მუსიკითა და მართავდა ხელ-
 დახელ კონცერტებს როიალზედ, რომლის დაკვრაც საუცხოვოდ იცოდა“.

ილიამ პანსიონის პროგიმნაზიული კურსი დაამთავრა 1851 წელს და 1852
 წლის იანვრიდან შევიდა გიმნაზიაში, სადაც იგი მეოთხე კლასში მიუღიათ.

•

ილია ახალშესული იყო გიმნაზიაში, როდესაც იმავე 1852 წელს 8 დეკემ-
 ბერს გარდაეცვალა მამა. ამის შემდეგ ილიას ოჯახი უკიდურეს მატერიალურ
 გაჭირვებაში ჩავარდნილა.

ჩვენ უკვე მოხსენებული გვქონდა, რომ ილიას მამას გრიგოლს თავს და-
 აწვა დიდი ვალები გარდაცვლილი ძმებისა. ამ ვალების მხოლოდ ნაწილის გა-
 დახდა შესძლო თავის სიცოცხლეში გრიგოლმა, ხოლო ნაწილი ისევ დაუფა-
 რავი დარჩა. იყო იმისი საფრთხე, რომ ვალებში გაყიდულიყო გრიგოლისაგან
 დარჩენილი მცირე მამული და ობლებს მოელოდათ უსახლკაროდ დარჩენა.

¹ 1850 წლიდან პანსიონი რაიესკის გადაუცია იანიცისათვის, მაგრამ ამის შემდეგაც სას-
 წავლო ნაწილის გამგედ და პანსიონის ფაქტურ ხელმძღვანელად ჰაკე დარჩენილა.

თბილისის გუბერნატორი გენ.-ლეიტენანტი ანდრონიკაშვილი თავის მოხსენებაში ამიერკავკასიის სამოქალაქო მმართველისადმი წყურდა, გრიგოლ ქავჭავაძის ობლები დარჩენო „без всякой надежды к дальнейшему существованию, лишеными даже признания, по немнению близких родных, так что участь этих несчастных сирот возбуждает в уезде всеобщее сострадание...“

თბილისის გუბერნატორი, აცნობებდა რა ამას ამიერკავკასიის სამოქალაქო მმართველობას, ითხოვდა, რათა მიეღოთ მხედველობაში გრიგოლ ქავჭავაძის სამხედრო დამსახურება, დახმარება აღმოეჩინათ გრიგოლ ქავჭავაძის ოჯახისათვის და გრიგოლის მცირეწლოვანი ობლები ილია და თეიმურაზი მიეღოთ სასწავლებლებში სახელმწიფო ხარჯზე.

ამიერკავკასიის სამოქალაქო მმართველობამ ეს შუამდგომლობა უშედეგოდ დატოვა. გრიგოლ ქავჭავაძის ოჯახს მთავრობისაგან არ აღმოსჩენია არავითარი დახმარება და არც ილია მიუღიათ სასწავლებელში სახელმწიფო ხარჯზე. საქმე დიპლუო და დასრულდა უბრალო კანცელარიული მიმოწერით¹.

მხოლოდ ილიას მამილის მკერდს გამჭირაობისა და თაოსნობის შედეგი იყო, რომ მან, ნათესავების დახმარებით, ობლების სახლ-კარი გადაარჩინა გაყიდვას და რომ ილიამ შესძლო სწავლის განგრძობა.

მაგრამ მთელი იმ ხნის მანძილზე, ვიდრე ილია სასწავლებელში იყო, იგი დიდ მატერიალურ სივიწროვეს განიცდიდა.

•

თბილისის გიმნაზია, სადაც ილია სწავლობდა 1852 — 1856 წლებში, უძველესი საშუალო სასწავლებელი იყო თბილისში.

იმ წლებში, როდესაც ილია გიმნაზიაში სწავლობდა, გიმნაზიის საპატიო მზრუნველად იყო ცნობილი საზოგადო მოღვაწე დიმიტრი ყიფიანი. გიმნაზიაში მსახურობდა (მოწადეთა ზედამხედველად) ლიტერატორი ივანე კერესელიძე, შემდეგ „ცისკრის“ რედაქტორი.

გიმნაზიაში ილიასთან ერთად სწავლობდნენ მთელი რიგი მოწადეები, რომლებიც შემდეგ იყვნენ ილიას თანამშრომელი საზოგადოებრივი მოღვაწეობის ასპარეზზე, ან მეგობრები: ნიკო ლოლობერიძე, შემდეგ საზოგადო მოღვაწე, თანამშრომელი ილიას ქურნალის „საქართველოს მოამბისა“; დავით ყიფიანი (მძისწული დიმიტრი ყიფიანისა), აგრეთვე თანამშრომელი „საქართველოს მოამბისა“; პეტრე ნაკაშიძე, რომელსაც ილიამ უძღვნა თავისი „ქართვის დედა“ და „დიმიტრი თავდადებული“; ივანე პოლტარაკი, რომელსაც, ილია წინამძღვრისშეღობითან ერთად — ილიამ უძღვნა „ანრილი“; დიმიტრი ყაზბეგი (ბიძაშვილი მწერლის სანდრო ყაზბეგისა); კობტა აფხაზი, ილიას თანმშრომელი ამხანაგი და ნათესავი, ავტორი მოგონებებისა ილიაზე.

ილიას გიმნაზიელობის დროის შესახებ შენახულა ცნობები კობტა აფხაზის მოგონებებში. კობტა აფხაზის ცნობით ილია გიმნაზიაში თუმცა ნიჟერ და გონებაგახსნილ შეგირდად ითვლებოდა, მაგრამ გიმნაზიური საგნების სწავლას გულს ვერ უღებდა; ილია გიმნაზიის კურსის საგნებისათვის მხოლოდ მაშინ იცოლიდა, როდესაც გამოცდები ახლოვდებო. ისე კი მთელ დროს გიმნაზიაში, ისევე როგორც შემდეგ უნივერსიტეტში, ილია სულ სხვა წიგნების კითხვას ანდომებდა — გადმოგვეცემს კობტა აფხაზი.

აღსანიშნავია, რომ ილია, რომელიც თავის ავტობიოგრაფიაში პატივისცემით იგონებს პანსიონის მასწავლებელს ჰაკეს, როგორც გამოჩენილ პედაგოგს, არას ამბობს გიმნაზიის მასწავლებელთა შესახებ; ჩანს არც გიმნაზიის მასწავლებლებს დაუმსახურებიათ ილიას სიყვარული, და არც ბიუროკრატიული სულის გატყუებითი იმდროინდელი გიმნაზიური აღზრდა, რომელიც მომავალი ჩინოვიტების მომზადებას ისახავდა საგნად, არ იზიდავდა ახალგაზრდა ილიას.

¹ ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივის ფონდი 3, საქმე 3728, ფ. 1 — 3, 11; საისტორიო მოამბე, III, 1947 წ., გვ. 167 — 9.

თუ რამდენად გულგრილად ეკიდებოდა ილია გიმნაზიურ აღზრდას, ჩანს შემდეგის მიხედვით. ილიამ 1856 წელს თუმცა დაამთავრა გიმნაზიის კურსი, მაგრამ საბოლოო გამოცდები აღარ ჩაუბარებია. და როდესაც 1857 წელს ილია გაემგზავრა პეტერბურგს უნივერსიტეტში შესასწავლად, წინასწარი სავალდებულო გამოცდები მან პეტერბურგში ჩააბარა, უნივერსიტეტში შესასწავლისას.

ილია გიმნაზიელობის დროს ყოველ ზაფხულს სოფელში ატარებდა. თვით ზალთან უშუალო კავშირი აძლევდა მას იმ სულიერ საზრდოს, რომელმაც გამოზარდა საქართველოს არწივი.

ილიას უკვე ახალგაზრდობიდანვე იტაცებდა სულ სხვა სამყარო... ილიას გული ადრევე გამსჭვალულა მისი დამონებული სამშობლოს სიყვარულით.

„გვიყო ილია სიყრმიდამვე ჩვენ ქართლის ბედმა,
და დაე გვზრახონ, ჩვენ მის ძეგნით დავლით დღენი“, —

ამბობს ილია ლექსში „ჩემო კალამო“.

ილიასთან თანშეზრდილი მისი სიყრმის მეგობარი კონტა აფხაზი, რომელიც, როგორც მოვიხსენეთ, ილიასთან ერთად სწავლობდა, და რომელიც ილიასთან ერთად ატარებდა ზაფხულს კახეთში, მოგვითხრობს ილიას შესახებ: „მამულის უნაგრო სიყვარული პატარაობიდანვე შეჰყვა ილიას. მეტისმეტად უყვარდა მასი გულგაყენებთან, მეტადვე მოსუცებულბთან. ჰყვარდა და აგრძელებდა ზღაპრებს, ახალბებს, გამოცანებს. უყვარდა მესტიერიები და სიამოვნებით უგდებდა ყურს...“

ილიას გიმნაზიელობის დროს, როდესაც ილია ზაფხულს კახეთში ატარებდა, ეკუთვნის ერთი შემთხვევა, რომელიც მომავალში გახდება წყარო ილიას შთაგონებისა „კაკო ყაჩაღი“-ს შექმნისას.

ამ შემთხვევის გამო კონტა აფხაზი შემდეგს მოგვითხრობს თავის მოგონებებში:

„კაკო გახლდათ ერთი კარდანახელი გლეხი ვინმე გაუხარაშვილი, რომელმაც მართლა ესროლა თავის ბატონს (რომელიმაც ვახანძეს) და ყაჩაღად გავარდა. იმალეობდა ალაზნის (კარდანახის) ტყეში...“

ერთხელ ილია სწორედ იმ ვხით მოდიოდა ჩვენსა კარდანახში. თან ახლდა ბიჭი. უცბად ერთ ალაგას წინ წასდგომია შეიარაღებული გაუხარაშვილი და შეუჩერებია, გამოუკითხავს ვინაობა და მოგზაურობის მიზანი. რომ გაუვია ჰავეჭავაძის გვარი, უკითხავს: „ჰავეჭავაძეს კარდანახში რა უნდაო?“ ბიჭს აუხსნია, რომ კარდანახში თავის ნათესავ აფხაზიანთსა მიდისო. მაშინ ყაჩაღს თოფი დაუშვია ძირს და ილია მიუწვევია თავის ბინაზე, კარგად გამასპინძლებია და დაუთვრია კიდევ, ასე რომ ილია როდესაც ჩვენსა მოვიდა, ბარბაცობდა და მართო იმას გაიძახობდა: „დამაძინეთ, დამაძინეთო!“ მეორე დღეს კი გვიამბო თავისი თავგადასავალი, ზოლო დაუმატა, რომ გაუხარაშვილი სულ ბატონებს სწყევლის და ავინებსო“.

არაა ინტერესს მოკლებული მოვიყვანოთ აგრეთვე მეორე ეპიზოდი, რომელზედაც მოგვითხრობს იგივე კონტა აფხაზი:

„ილიას საზოგადოდ ნადირობა არ უყვარდა. მახსოვს ერთხელ ალაზნზედ წავედით რამდენიმე კაცი სანადიროდ. დავდექით. ჩემს გვერდზე ცოტა მოშორებით იდგა ილია. ხშირი და დიდი ტყე იყო. ძალღებმა უკვე დაჰყვიფეს, როგორც ეტყობა კვალს მიაგნეს. გაფაციცებით ველი ნადირს და არ გავიდა ბევრი ხანი, რომ გამოჩნდა დიდი ირემი, მაგრამ ხეებს ისე იყო მოფარებული, რომ ვერ ვესროდი, ილიასათვის კი ირემი მარჯვედ იდგა. ველი გულის ფანჯალით, რომ აი ან ეხლა გავარდებოდა ილიას თოფი, ან ეხლა მეტქი. თქვენც არ მომიკვდეთ. კარგა ხანი გვიღო, იდგა, იდგა ირემი, მერმე ერთი დაიფრუტუნა და გადახტა და გაქრა ტყეში. ვაგვანდით ილიასაყენ, დაუწყვეთ ჯავრობა: „კაკო რა ჰქენი, რატომ არ ესროლე?“ — „უპ, ისეთი ლამაზი, ისეთი მოხდენილი რამ იყო, რომ მაგას როგორ ვესროდი, როგორ გავიმეტებდიო“.

მკითხველს აქ რასაკვირველია მოაგონდება ის შეუღარებელი სურათი ირემზე ნადირობისა, რომლითაც იხსნება ილიას ერთ-ერთი პირველი მხატვრული ნაწარმოები „გლახის ნაამბობი“.

მეოცნეული
ნიკოლოზი

ილიამ, როგორც მოვიხსენეთ, 1856 წელს დატოვა გიმნაზიის კედლები. მომდევნო წელს, 1857-ში, ილია შეუღდა მხადებას რუსეთში წასვლისათვის, პეტერბურგის უნივერსიტეტში შესასვლელად.

1857 წლის გაზაფხულზე ილია გაემგზავრა პეტერბურგს.

ილია ამ დროს მეოცე წელში იყო გადამდგარი. ილია სულიერად უკვე დავაჯაცებული იყო. იგი სიმწიფეში შედიოდა როგორც პოეტი. არწივი ამ დროს პირველად შლიდა ფრთებს.

გამოსათხოვარ ლექსში, რომელიც ილიამ უძღვნა თავის სამშობლოს მთებს, ილია ამბობს:

სამშობლო მთებო! თქვენი შვილი განებებთ თავსა,
მაგრამ თქვენ ხსოვნას ვერ მივცემ მე დავიწყებასა.
თქვენ ჩემთან ივლით ვაუწყრელად, ვით ჩემი გული
თქვენთან, მე მთებო, ბუნებითა შეუღლებული!

... აქ მომწონს თავი, მეგობრებო, რომ დაბადება
თქვენ შორისა მხედა, ბუნებისა თქვენის ვარ შვილი,
გრივალთა, მებთა, ქუხილთ შორის ქართვლად გაზრდილი.

როდესაც სამშობლოდან გამგზავრებული ილია საქართველოს სამხედრო გზით უახლოვდებოდა კავკასიონის მთავარ უღელტეხილს — ჯვართა-ყელს, ილიას შემოხვდა გრიგოლ ორბელიანი.

ილიას სამუდამო კეთილ სასიოვრად დარჩა ეს შეხვედრა. თვით ილიას ნაამბობი ამ შეხვედრის შესახებ ჩაწერილი აქვს იონა მეუნარგისა¹:

„ჩვენ რომ რუსეთში მივდიოდით და კავკასიონის მთებზე ვიწყეთ ასვლა, — გვითხრა სხვა დროს ილიამ, — მღვთის დაშვებაზე შემოგვეყარა გრიგოლ ორბელიანი, რომელიც რუსეთიდან ბრუნდებოდა თბილისს. გრიგოლი ფეხით მოდიოდა, ჩვეულებრივად ზურგს უკან ხელშემოწყობილი, პირმლიძარე, დავიკრებული; დაშორებით მოსდევდა მას ნელი ნაბიჯით ეტლი. ჩვენ რომ დავინახეთ პოეტი თავისი გარემოთი — კავკასიის მთებით და ღრუბლებით გარემოზღუდული, აღტაცებით ვთქვით ერთმანეთში: სწორედ ესაა ამ დამშვიდებულ გულზე ლექსს რასმე უწერს ამ მშვენიერს ბუნებასო“.

თითქმის ნიშნული იყო ეს შეხვედრა ორი სხვადასხვა ეპოქის მწერლისა კავკასიონის უღელტეხილთან. იმ დროს როდესაც გრიგოლ ორბელიანი ეშვებოდა მწვერვალებიდან, ილია აღიოდა კავკასიონზე.

III

სტუდენტობის წლები

ილია პეტერბურგს ჩაედა 1857 წლის ზაფხულში (ივლისში).

ილიამ ჩააბარა უნივერსიტეტში შესასვლელი გამოცდები და 1857 წლის 15 ოქტომბერს ჩაირიცხა სტუდენტად პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე (კამერალურ განყოფილებაზე)².

ილიამ უნივერსიტეტში დაჰყო 1857—1861 წლები, ოთხი წელი.

„იცი, მკითხველო, — ამბობს ილია „მგზავრის წერილებში“, — ეს ოთხი წელიწადი რა ოთხი წელიწადია! პირველი, რომ მთელი საუკუნეა მისთვის, ვინც თავის ქვეყანას მოშორებია. მეორე, ეს ოთხი წელიწადი ცხოვრების სა-

1 იხ. იონა მეუნარგია, ილია ჭავჭავაძე, 1937 წ., გვ. 17.

2 იხ. ლიტერატურული მემკვიდრეობა, I, 1935 წ., გვ. 558.

ძირკველია, ცხოვრების წყაროს სათავეა, ბეწვის ხილია, სიბნელისა და სინათლის შუა ბედისაგან გაღებულა... ო, ძვირფასო ოთხო წელიწადო, ნეტავი იმას, ვისაც შენგან დაღებულ ბეწვის ხილი ფენთა ქვეშ არ ჩასტყდომის? ნეტავი იმას, ვინც შენ რიგიანად მოგიხმარა?.

პეტერბურგის უნივერსიტეტი ილიას დროს ყველაზე მოწინავე უმაღლეს სასწავლებლად ითვლებოდა რუსეთში.

უნივერსიტეტის რექტორად იყო პ. პლეტნევი, ლიბერალური მიმართულების ადამიანი, ძველი მეგობარი ა. პუშკინისა, რომელზედაც პუშკინი ამბობს (ევგენი ონეგინის მიძღვნაში):

— Души прекрасной,
Святой исполненный мечты“.

უნივერსიტეტის პროფესორთაგან ილიას დროს გამოირჩეოდნენ: ვ. სპასოვიჩი, ვ. კაველინი, ბ. უტინი (სამივე ესენი იურიდიულ ფაკულტეტზე ჰკითხულობდნენ ლექციებს, სადაც სწავლობდა ილია), ნ. კოსტომაროვი (რუსეთის ისტორიის ცნობილი მკვლევარი), მ. სტასიულევიჩი (მსოფლიო ისტორიის სპეციალისტი), ა. პიპინი (მსოფლიო ლიტერატურის ისტორიკოსი).

აღსანიშნავია, რომ რექტორი პლეტნევი და პროფესორები სპასოვიჩი, კაველინი, უტინი, სტასიულევიჩი და პიპინი დათხოვნით იქმნენ უნივერსიტეტიდან 1861 წელს, სტუდენტების არეულობასთან დაკავშირებით, როგორც შემდეგ დავინახავთ, სტუდენტების ამევე არეულობის გამო დათხოვნილ იქნა უნივერსიტეტიდან აგრეთვე ილიაც.

ნ. ნიკოლაძის ცნობით იმდროინდელი სტუდენტობის განსაკუთრებით საყვარელი პროფესორები ყოფილან სპასოვიჩი, კოსტომაროვი და სტასიულევიჩი.

„ყველას ეს სამი სჯობდა“-ო, — წერს ნ. ნიკოლაძე: — „სხვები რალაც უფერულები იყვნენ, უძველო-უფსონი, წელმოწყვეტილები, კითხულობდნენ რალაც, უხალისო საგნები უხალისო ხმით...“ ამიტომაც, — წერს ნ. ნიკოლაძე, — დავდიოდით არა იმ პროფესორების ლექციებზე, რომელთა მოსმენაც ფაკულტეტის წესებით სავალდებულო იყო, არამედ მთელ სტუდენტობის საყვარელ პროფესორების ლექციებზე“¹.

ილიამ, როგორც მოვიხსენეთ, უნივერსიტეტში დაჰყო 1861 წლამდე, ოთხი წელი.

ილიას სტუდენტობის დროის შესახებ მოიპოვება მოგონებანი ილიას მეგობრის კობტა აფხაზისა, რომელიც ილიასთან ერთად სწავლობდა როგორც გიმნაზიაში, ისე უნივერსიტეტშიაც, და ნიკო ნიკოლაძისა, რომელიც ილიას შემდეგ ჩავიდა პეტერბურგში; ნიკო ნიკოლაძის დროს პეტერბურგის სტუდენტობაში ჯერ კიდევ ცოცხალი იყო სსოვნა სტუდენტ ილიას შესახებ, რომელიც პეტერბურგის ქართული სტუდენტობის ყველას მიერ აღიარებულ ხელმძღვანელად ითვლებოდა.

კობტა აფხაზი ილიას სტუდენტობის დროის შესახებ შემდეგს გადმოგვცემს: „უნივერსიტეტში ილიას განსაკუთრებით პოლიტიკური და ეკონომიური საშეცნეო საგნები აინტერესებდა. აქაც იგივე ჩვეულება ჰქონდა (რაც გიმნაზიაში), მთელი წელიწადი სამოსწავლო საგნებს ყურადღებას არ აქცევდა და სულ სხვა წიგნების კითხვაში იყო გართული, კითხულობდა სხვათა შორის ბევრს ძველ ქართულ წიგნებს. მოახლოვდებოდა ეგზეპენები და ილია სწავლას შეუდგებოდა. დღე-ღამეში ხშირად 18—20 საათს მუშაობდა და რამდენჯერ მინახავს რომ წიგნთან მჯდომარეს ჩასძინებია... ჩვენ სტუდენტები ხშირად ვიკრიბებოდით და ვბასობდით როგორც საზოგადო კითხვებზედ,

¹ იხ. ნ. ნიკოლაძე, ჩხელი ნაწერები, I, 1931 წ., გვ. 86, 95.

აგრეთვე ჩვენს დაბეჩავებულს სამშობლოს მომავალზედ, კეთილუბდით ხშირად ქართულ წიგნებს“.

ნიკო ნიკოლაძე წერილში „ახალი ახალგაზრდობა“, რომელიც 1873 წელს გამოქვეყნდა, გადმოგვცემს საყურადღებო ცნობებს 60-იანი წლებში ქართულ სტუდენტობის აღზრდაზე და კერძოდ ილია ჭავჭავაძეზე.

„გაკვირთ თვალს გადავაველებთ იმ მდგომარეობასა და გარემოებას, — წერს ნიკო ნიკოლაძე, — რომელშიაც იზრდებოდა მაშინდელი ჩვენი ახალგაზრდობა...

„ვისაც მაშინ დიდი ნიჭი ქონდა, ვისაც მძლავრი ტვინი დაპყროლია, ის თვითონ იკაფავდა გონების გახსნის გზას. იმას როდი აქმაყოფილებდა ადამის წლის პროფესორების დაძველებული და მამა-პაპური ლექციები. იმას... მოსვენებას არ აძლევდა ის კითხვები, რომელიც ზეირიანი ახალგაზრდის გონებაში ჯგუფ-ჯგუფად იბადებიან და პასუხს მოუსვენრად ეძებენ. ამისთანა ყმაწვილები თვითონ, თავიანთი შრომით და გაგებულიებით შეუდგნენ გონების გამხსნელ სწავლას, რომელსაც არავითარი კავშირი არ ჰქონდათ პროფესორების ლექციებთან. ცხოვრების დაკვირვებით, ლიტერატურის გაცნობით, კითხვით, ფიქრით, ბასით, მოქმედებისა და წერის ცდით, მეცადინეობდნენ ესენი დამზადებულიყვნენ ჩვენი ხალხის სასარგებლო მსახურებად, და რამდენადაც კი მაშინდელი გარემოებები და მათი ნიჭი იმათ ამის ნებას აძლევდნენ, კიდევ დაემზადნენ. ამგვარი იყო მაგალითად ილია ჭავჭავაძის და ზოგიერთი ამ დროის ახალგაზრდების დამზადება. სხვები, ნაკლები ნიჭისა და კეთის პატრონები, ძველ გატყეპნილ გზას შეუდგნენ“¹.

მეორე თხზულებაში, — „სტუდენტობის პირველი დრო“, რომელიც დაიბეჭდა 1879 წელს, ნიკო ნიკოლაძე წერს:

„ჩემს დღეში არ დამავიწყდება ის აზრი, რომელიც ერთმა უფროსმა სტუდენტმა, ერთმა ავტორიტეტმა გამოთქვა ჩვენსა, როცა „სოცრემეიისის“ კითხვაზე წამესწრო.

„— გაიხსენე ჩემი სიტყვაო, — მითხრა, — თუ შენც ისე არ წახდე, როგორც ი. ჭავჭავაძე წახდა, ისიც აქ შიღერის, ბაირონის და ვალტერ-სკოტის კითხვის მიტს არას შერებოდა... უღიპლომოდ წაბრძანდა... აბა ახლა რა ადგილი უნდა მიიღოს იმან?...“²

•

ილია ჭავჭავაძემ, რომელიც, ნიკო ნიკოლაძის სიტყვით, „თვითონ იკაფავდა გონების გახსნის გზას“, და რომელიც „ცხოვრების დაკვირვებით, ლიტერატურის გაცნობით, კითხვით, ფიქრით, ბასით, მოქმედებით და წერის ცდით მეცადინეობდა დამზადებულიყო ჩვენი ხალხის სასარგებლო მსახურებად“, — მართლაც გოლიათური შრომა გასწია და უნივერსალურად განათლებული დაბრუნდა სამშობლოში.

თავდაპირველად აღსანიშნავია, რომ ილია, როგორც ირკვევა, სტუდენტობის დროს განსაკუთრებით ბევრს მუშაობდა ქართული მწერლობის, ქართული მრავალსაუკუნოვანი კულტურის ძეგლთა შესწავლაზე.

კობცა აფხაზი თავის მოგონებაში, როგორც ვნახეთ, საგანგებოდ აღნიშნავს, რომ ილია „მთელი წელიწადი... წიგნების კითხვაში იყო გართული“ და რომ იგი კითხულობდა კერძოდ „ბევრს ძველ ქართულ წიგნებს“.

ნიკო ნიკოლაძე თავის „მოგონებაში 60-იან წლებზე“ წერს:

„ქართულ სტუდენტებს, რომელთაც ხელმძღვანელობდა ილია ჭავჭავაძე, ძველი ქართული წიგნების და ხელნაწერების კარგა გვარიანი კოლექცია შეიკრავდნენ და თავზედ ევლებოდნენ“³.

ძველი ქართული მწერლობის ძეგლთა ამ კოლექციის დაგროვებაში, როგორც ირკვევა, დიდი დახმარება გაუწევია ქართული სტუდენტობისათვის ცნობილ ლექსიკოგრაფს დავით ჩუბინაშვილს, რომელიც ქართული ენის პრო-

¹ იხ. უფროსი „კრებული“, 1873 წ., № 1, გვ. 292 — 3.

² იხ. ნ. ნიკოლაძე, რჩეული ნაწერები, I, 1931 წ., გვ. 67.

³ იხ. ნ. ნიკოლაძე, რჩეული ნაწერები, I, 1931 წ., გვ. 95.

ფესორად იყო პეტერბურგის უნივერსიტეტში და რომლის ლექციებსაც იმ-
შენდა ილია ჭავჭავაძე. ცნობილია მაგალითად, რომ დავით ჩუბინაშვილმა გა-
დასცა ქართულ სტუდენტობას გარდაცვლილი სალომე ბატონიშვილის მდი-
დარი ბიბლიოთეკა ძველი ქართული წიგნებისა და ხელნაწერების, რომელთა
შიაც სხვათა შორის შედიოდა ვახტანგ VI-ის მიერ გამოცემული „ვეფხის-
ტყაოსანი“, ქართულ მატიანეთა კრებული „ქართლის ცხოვრება“, ვახუშტი
ბატონიშვილის „საქართველოს ისტორია“, ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნი,
სულხან-საბა ორბელიანის იგავ-არაკთა წიგნი „სიბრძნე-სიცრუისა“, სულხან-
საბა ორბელიანის სვე ლექსიკონი და სხვანი.

ილიას, როგორც ირკვევა, სტუდენტობის დროსვე საფუძვლიანად შეუს-
წავლია ახალ ქართული ლიტერატურის გვერდით ძველი ქართული მწერლობა,
რომლის დიდი დამფასებელი რჩება ილია მთელი თავისი ლიტერატურული
მრავალწობის მანძილზე.

წერილში „რა მიზეზია რომ კრიტიკა არა გვაქვს“, ილია ეკამათება იმ
პირთ, რომელნიც აცხადებდნენ, რომ ვიბომც ქართული ლიტერატურის სილა-
რიბით აიხსნებოდა ქართული კრიტიკის უქონლობა; ილიას აზრით აქ არა თუ
სილარიბეა, არამედ დიდი და დაუფასებელი სიმიდრე; „ჩვენ არას ვიტყ-
ვით, — ამბობს ილია, — ჩვენს ძველს ლიტერატურაზედ, რომელსაც ასეთის
სიუბვიტ ასხივოსნებს „ვეფხის-ტყაოსანი“ ეს უძირო მორევი, ზღვა აზრისა და
გრძნობისა. ჩვენ არას ვიტყვით არც დავით გურამიშვილზედ, რომლის პოე-
ზია პირს არ შეირცხვენს თუნდ ლუკრეცის, ვირგილის და ჰორაციის პოეზიას
დაუყენეთ პირისპირ... არას ვიტყვი მეფე ვახტანგ VI-ზე, არჩილ მეფეზე,
თეიმურაზ I-სა და II-ზე, რომელთაც, ნამეტნავად პირველ ორს, ვერაგინ
შესწამებს სიმჩატეს აზრებისას და გრძნობებისას, რომლებიც მოელიან გონე-
ბამაზვილს კრიტიკოსს, რომ თავისი მიუწყონ და სამართლიანის შარავანდელით
მოპართონ მათი ღირსშესანიშნავი გონებრივი ღვაწლი.

„საკმაოა გავიხსენოთ ამ მეცხრამეტე საუკუნის პოეზია და მისნი წარჩი-
ნებულნი წარმომადგენელნი ალ. ჭავჭავაძიდან დაწყებული დღევანდელ მწერ-
ლებამდე...“¹

ძველი ქართული მწერლობის მდიდარი მემკვიდრეობიდან ილია, გარდა
რუსთაველისა, რომელიც ბოლომდე დარჩა ილიას უსაყვარლეს მწერლად,
გარდა დავით გურამიშვილისა და სხვა დასახელებული მწერლებისა (ვახ-
ტანგ VI, არჩილი, თეიმურაზ I, თეიმურაზ II), ძველი ქართული პროზიდან
განსაკუთრებით მაღლა აყენებდა „ვისრამიანს“ (რომელიც ილიამ შემდეგ გა-
მოსცა კიდევ) და სულხან-საბა ორბელიანს. გარდა საბას პროზისა ილია აფა-
სებდა აგრეთვე საბას დიდაქტიკურ პოეზიასაც; შემთხვევითი არაა, რომ ილიას
ლექსს „ალაზანს“, რომელიც სტუდენტობის დროს 1859 წელს არის დაწერი-
ლი, ებოგრადად წამძღვარებული აქვს სულხან-საბა ორბელიანის ლექსი „ქი-
ლილა და დამანა“-დან, ხოლო „დამაკვირდი“-ში, რომელიც შემდეგ „ივერია-
ში“ იბეჭდებოდა, ილია მიმართავს, რუსთაველთან და გურამიშვილთან ერ-
თად, — საბას.

გარდა ქართული კლასიკური მწერლობის მემკვიდრეობის შესწავლისა,
ილია სტუდენტობის დროსვე საფუძვლიანად გასცნობდა საქართველოს ისტო-
რიას იმ დროს ცნობილი წყაროების მიხედვით. „აჩრდელის“ პირველ ვა-
რიანტში, რომელიც სტუდენტობის დროს, 1858 — 1859 წლებშია დაწერილი,
ჩვენ გვაქვს გამოძახილი როგორც ქართულ მატიანეთა, „ქართლის ცხოვრე-
ბისა“, ისე ანტიკური ხანის ავტორების ცნობებისა საქართველოს წარსულის
შესახებ.

ახალი ქართული მწერლობიდან ილია დიდად აფასებდა მე-19 საუკუნის
პირველი ნახევრის პოეტებს — ალექსანდრე ჭავჭავაძესა და გრიგოლ ორბე-
ლიანს. განსაკუთრებით გრიგოლ ორბელიანის „ღრმად ეროვნული პოეზია“

¹ ი. ილია ჭავჭავაძე, ტ. IV, 1927 წ., გვ. 162.

(— როგორც ამბობს თვით ილია), აღრიდანვე ყოფილა ილიას სიყვარულის საგანი.

მაგრამ ნამდვილი სულიერი წინაპარი ილიასი, ეს არის გენიოსმა ქართველი პოეტი ნიკოლოზ ბარათაშვილი, რომელმაც მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში დასახა ახალი გზები ქართული ლიტერატურის განვითარებისა. რადგან დღემდე ქართულს ლიტერატურათმცოდნეობაში ილია ჭავჭავაძის შემოქმედებისა და მსოფლმხედველობის გამო უფრო ვარგეში წყაროების ძიებას ჰქონდა ადგილი, ხოლო თვით ქართული სათავეები ილია ჭავჭავაძის შემოქმედებისა ნაკლებ ყოფილა შესწავლის საგანი, ამიტომაც ჩვენ აქ მოგვიხდება უფრო დაწვრილებით შევეხებით ამ საკითხს.

ჯერ შევიხედოთ იმ კავშირზე, რომელიც არსებობს ადრეული ხანის ილია ჭავჭავაძის პოეზიასა და ასევე ადრეული ხანის გრიგოლ ორბელიანის პოეზიას შორის.

გრიგოლ ორბელიანი, 1832 წლის შეთქმულების მონაწილე, წარმომადგენელი შეთქმულთა შემარცხენე ფრთისა, თანამოაზრე და თანამებრძოლი განმათავისებლის სოლომონ დოდაშვილისა, ავტორი ღრმა პატრიოტიზმით აღსილი ლექსებისა, ავტორი „სადღევარძელოსი“, რომლის ადრინდელი რედაქცია 1832 წლის შეთქმულების შემარცხენე ფრთის იდეებით არის „მთავონებელი, ავტორი წიგნისა „მგზავრობა ჩემი თბილისიდან“, რომელიც რადიკალიზმის სულით არის აღბეჭდილი და რომელიც მთავრობამ 1833 წელს დაატყვევა, ეს გრიგოლ ორბელიანი ადრინდელი ხანისა სრულიად უმართებულოდ არის ჩვენს ლიტერატურათმცოდნეობაში ჩრდილში დაყენებული.

თვით ილია დიდად აფასებდა გრიგოლ ორბელიანის პოეზიას. თუმცა სამოცდაათიან წლებში „მამათა და შვილთა“ ბრძოლის დროს ილიას მწვავე შეტყვევა მოუხდა მოხუც გრიგოლ ორბელიანთან (რომელსაც ილია „ძველისა და ახლის“ შემარტებელ ხილს უწოდებდა, ხოლო ბრალად სდებდა მეტისმეტ სიფრთხილეს), — მაგრამ ამ ბრძოლას ოდნავადაც არ დაუჩრდილა ეს ილიას თვალში ის ღვაწლი, რომელიც გრიგოლ ორბელიანს ქართულ პოეზიაში მიუძღოდა. როგორც „მამათა და შვილთა“ ამ ბრძოლის უწინარეს, ისე ამ ბრძოლის შემდეგაც, ილია ყოველთვის აღიარებდა, რომ გრიგოლ ორბელიანი იყო ერთ-ერთი მთავარი მოღვაწე ადრინდელი ქართული მწერლობისა, რომელმაც განამტკიცა ქართულს მწერლობაში ეროვნული მიმართულება.

ჯერ კიდევ თავის პირველ კრიტიკულ წერილში „ორიიდან სიტყვა კაზლოვის „შეშლილის“ თარგმანზედა“, რომელიც 1860 წელს არის დაწერილი და რომელიც 1861 წელს დაიბეჭდა „ცისკარში“, ილია მაღალ შეფასებას აძლევდა გრიგოლ ორბელიანის პოეზიას.

უფრო გვიან, 1883 წელს, წერილში, რომელიც „ივერიაში“ დაიბეჭდა („შინაური მიმოხილვა“, 1883 წელი, მისი), — ილია შემდეგს სწერდა გრიგოლ ორბელიანზე:

„იგი იყო თავის დაჩაგრული მამულის ძლიერის სიტყვით მოტრფიალი, ეროვნული იდეის პოეტურად გამომსახველი, „ღროთა სიზმარებერ გამქრალთა“ [დაკარგული თავისუფლების] — ჭირისუფალი, საქართველოს დიდების კვლავ დაბრუნებისათვის ზე მთავონებელი“.

ილია ამავე დროს ხაზს უსვამს ამ წერილში, რომ გრიგოლ ორბელიანს მეტად მძიმე ისტორიულ პირობებში მოუხდა მოღვაწეობა, მაგრამ მიუხედავად ამისა რომ იგი ბოლომდე დარჩა ერთგული ეროვნული იდეისა, — „მამულშივითის აზრის მტკიანთველი და მატარებელი კაცი, — დაიხ მნელთა და საშიშ გარემოებათა შორის, დაწყებული მე-30 წლებიდან [1832 წლის შეთქმულების ხანიდან] — ჩვენ დრომდე“.

ასეთსავე მაღალ შეფასებას აძლევს ილია გრიგოლ ორბელიანის სამწერლო მოღვაწეობას თავის შრომაში „წერილები მეცხრამეტე საუკუნის ქართულ ლიტერატურაზე“, რომელიც 1892 წელს ეკუთვნის.

ასეთი იყო ილია ჭავჭავაძის დამოკიდებულება გრიგოლ ორბელიანის პოეზიისადმი.

თავისთავად ცხადია, რომ გრიგოლ ორბელიანის „ღრმად პატრიოტულ პოეზიას“ (როგორც მას ილია უწოდებს) — არ შეიძლებოდა გავლენა არ ჰქონ

ნოდა, და როგორც ირკვევა ჰქონია კიდევ ილია ჭავჭავაძის აღრეული ხანის შემოქმედებაზე.

ილია ჭავჭავაძისა და გრიგოლ ორბელიანის პოეტური მემკვიდრეობის დაკვირვებული შედარებითი შესწავლა გვიჩვენებს, რომ ილია ჭავჭავაძის პირველი მთავარი პოეტური ნაწარმოები „აჩრდილი“ ზოგიერთ ხაზებში კავშირში იმყოფება გრიგოლ ორბელიანის პოეზიასთან და პირველ რიგში გრიგოლ ორბელიანის პოეზიასთან „სადღეგრძელო“.

გრიგოლ ორბელიანის „სადღეგრძელოს“ პირველი რედაქცია, როგორც ამის შესახებ დაწერილებით სხვა ადგილას გვაქვს საუბარი, 1832 წლის შეთქმულების მემარცხენე ფრთის იდეებით არის შთაგონებული.

აქ საჭიროა წინასწარ ხაზი გავუსვათ აგრეთვე შემდეგს. როდესაც ჩვენ ქვემოთ ვლაპარაკობთ ილია ჭავჭავაძის „აჩრდილისა“ და გრიგოლ ორბელიანის „სადღეგრძელოს“ ზოგიერთ ხაზებში ნათესაობის შესახებ, არ უნდა გვაიწყუდებოდეს, რომ ეს ნათესაობა მხოლოდ-და-მხოლოდ ამ ზოგიერთი ხაზებით შემოიფარგლება. გრიგოლ ორბელიანის „სადღეგრძელოს“ დიაბაზონი ვაცილებით უფრო ვიწროა, ვიდრე „აჩრდილისა“; ხოლო რაც მთავარია, ილიამ „აჩრდილში“ სრულიად ახალ სიმბოლეზე აიყვანა საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის იდეოლოგია და დაუკავშირა რა ერის განთავისუფლების საქმე შრომის განთავისუფლების საქმეს, — გარკვეული საშემდეგო პროგრამა დასახა.

ილიას „აჩრდილი“ ეხმაურება გრიგოლ ორბელიანის „სადღეგრძელოს“ შემოქმედებითი პატრიოტიზმის სულით.

აქ ჩვენ გვაქვს შეხვედრა ილიასი და გრიგოლ ორბელიანისა როგორც იდეების სავსითი ასპექტში, ისე ზოგჯერ შეხვედრა თვით პოეტური სახეებისაც კი, რაც გვიჩვენებს, თუ რამდენად ახლო იყო ილიასათვის გრიგოლ ორბელიანის პოეზია.

ასე, შეადარეთ:

გრიგოლ ორბელიანის
„სადღეგრძელო“

ილია ჭავჭავაძის
„აჩრდილი“

ბე მამულა!

ვინ ვიხილოს დროსა საშემს,
არ დასთხიოს თვისი სისხლი,
არ დააყლას თავი თვისი

შენ დიდებულ ვითა მსხვერპლი
... ვ მ ი რ ნო, მამულის მადიდნო,

თქვენა ხართ ჩვენი დიდება
თქვენთა სახელთა ამაყად

წარმოსთქვენს შთამომავ-
ლობა!

თქვენთა საქშეთა მოთხრო-
ბით

მოხუცს ცრემლ მოედინება,
მხნეობით აღტაცებულნი

ვაბუჯი ხმალსა მისწვდება...
და ილია ჭავჭავაძის

... ქვეყნად ცაა

ღვთად მოუცია მარტო მამული!

მედნიერ არის, ვისაც ეღობსა
მამულისათვის თავის დადება!
ნეტა მას ქველსა, ნეტა მას გმირსა!
ის თავის ზალში აღარ მოყვდება.

მას განაცოცხლებს სიმღერა ხალხთა,
შორს საუკუნებს უტყუვის მის

და ია ვართხელ ვაბუჯთა ყრმთა
ხმლის ტარზედ ძლიერს აუთრთო-
ლებს ხელს.

იმ სიმღერას რა ისმენს მხცოვანნი
წარსულ დროებზედ გულს
და ილია ჭავჭავაძის

შეადარეთ აგრეთვე:

„სადღეგრძელო“

„აჩრდილი“

ვინ ვეთხრას, ვინა გვიჩვენოს
სადა ცხოვრობდნენ ძველ გმირნი?
დრომან შექმუსრა, აღგავა
მწიფით მათნიცა საფლავნი

მეგრამ, ქართველნი, სად არის გმირი,
რომელსაც ვეძებ, რომლისთვის ვტირი?
იგი აღარ გყავთ...

მარამ სეოცხლან ჯეროთაც
დიდების მის მოედანი,
მათი საბელი...

მის მოედანი
ჯავით ავილა, გაუქმებულნი
და შენი ხალხის ფიქრნიც
მამულისათვის დაძინებულნი... 1

ილია პოემაში ვააცოცხლებს წარსულის გმირთა აჩრდილებს; პოეტი ამბობს:

„ნუთუ ეს ხალხი, რომელთა დაჰხადეს
დავით, დიმიტრი, დიდი თამარი,
რუსთველი და მის ძლიერი ქნარი,
ნუთუ ეს ხალხი აღარა აღსდგეს?
ნუ შიშობ, ველო შენს მშვენიერს ხალხს
წარუვლენ წელნი ძილის ჟამისა,
ხალხი აღინთებს კიდევ თვის ვარსკვლავს,
სისხლი მამათა დაიხსნის შეილსა? 2

ასევე გრიგოლ ორბელიანიც თავის „სადღეგრძელოში“ გამოიხმობს წარსულის გმირთა აჩრდილებს, როგორც იმედს მომავალი აღორძინებისა.

აღსანიშნავია, რომ აქაც ილია და გრიგოლ ორბელიანი ერთმანეთს ხელებიან არა მხოლოდ საერთო ასპექტში, არამედ ზოგჯერ აქ ჩვენ გვაქვს შეხვედრა თვით პოეტურ სახეებშიაც კი. ილია თითქოს შეგხებულად ხაზს უსვამს კავშირს გრიგოლ ორბელიანის „სადღეგრძელოსთან“.

ასე, მაგალითად, შეადარეთ სურათი პირველის გმირის ფარნავაზისა გრიგოლ ორბელიანის და ილიას პოემებში:

„სადღეგრძელო“

„აჩრდილი“

ეს ვინ გამოჩნდა? ვისი აჩრდილი
დაამზერს ივერსა
ჩაფიქრებითა
ნუთუ ვეღარა უცვნია შეილა...
მისგან აღრდილი ტრფიალებითა?
შენ, ჰე, ფარნავაზ, ჰქმენ ერთმთავრობა,
შენ მოეც კართველთ წიგნი პირველი,
და დაუწყვიდრე ერსა ერთობა
და ერთობისა წესი და ძალი... 3

ტყბილო ქვეყანავ! რა არ ვინახავს...
იგერა ვხედავ იმ მოღრუბულ მთას,
სიღამეც ფარნავაზ დაღონებულნი
ჩამოდიოდა ჩაფიქრებულნი.
რაზედ ჰფიქრობდა? თვის მამულზედა
და თვის დაჩაგრულ ობოლ ხალხზედა.
... მამულისთვისა და ხალხისთვისა
უნდა მიეცა თავისუფლება... 4

ან-და შეადარეთ „სადღეგრძელოს“
ნებელს ეხება, და „აჩრდილის“ XXV

ის ადგილი, რომელიც დავით აღმაშენ-
თავი (პირველი ვარიანტი):

„სადღეგრძელო“

„აჩრდილი“

დავით სთქვა: „იყვენ ქალაქნი“
და აღმოცენდნენ ქალაქნი
განვლუ უღაბნო ოხერი,
სავსედ დაბებით შექმენი!
დაჰქარ წერაჰქვი, და აღჩნდნენ
ტაძარნი ტურფად ნაშენნი!

... და იმ შფოთთ შორის თუ შეგხვდებოდა
წუთნი მშვიდობის და მოსვენების,—
ველურ ალაგზედ მამინ ქალაქნი
თითქოს მიწიდვან აღიზრდე-
ბოდნენ,
სადაც ტყე იყო უწინ, იქ ხალხნი
მთელის ცხოვრებით აღუღლებოდნენ,
და ქვათლილისა წმიდა ტაძარნი
ტყეში ან კლდეზე გამოკრთე-
ბოდნენ.

1 იხ. აჩრდილი, პირველი რედაქცია, თავი XV, ბოლო რედაქცია, თავი IX.

2 იხ. აჩრდილი, პირველი რედაქცია, თავი XXX.

3 აღსანიშნავია, რომ გრიგოლ ორბელიანის პოემის ეს პირველი გმირი ქართველთა — ფარნავაზი, რომელიც წარმოდგენილია როგორც მხრუნველი მამა ივერიისა, და რომელიც პოეტის სიტყვით, ვითა „აჩრდილი დაამზერს ივერსა ჩაფიქრებითა“, — არის ერთგვარო პირველსავე ილიას „აჩრდილი“-სა, რომელიც ასევე „დაამზერს ივერსა ჩაფიქრებითა“ და წარმოდგენილია როგორც ივერიის „თანამდევნი უკვდავი სული“.

4 იხ. აჩრდილი, პირველი რედაქცია, თავი XXIII.

დასასრულ „აჩრდილის“ შესავალი ნაწილი, — სადაც დახატულია დიდი სურათი კავკასიონის მთებისა; იგი ბევრ ხანებში ეხმაურება გრიგოლ ორბელიანის ბრწყინვალე ლექსს „სალამო გამოსალმებისა“¹.

ასეთია ის შეხვედრის ხაზები, რომელიც აახლოვებს ილია ჭავჭავაძის პირველი პერიოდის შემოქმედებას, ილიას პირველ პოემას „აჩრდილს“, — გრიგოლ ორბელიანის პოეზიასთან. ნათესაობა და მეგობრობით კავშირი მათ შორის — უდავოა.

დაგვიჩინია მხოლოდ ერთხელ კიდევ ხაზი გავუსვათ იმ გარემოებას, რომ ილია ჭავჭავაძის შემოქმედება პირველი პერიოდისა თუმცა ნათესაურ კავშირში იმყოფება გრიგოლ ორბელიანის პოეზიასთან, მაგრამ ეს ნათესაობა არ სცილდება გარკვეულ ფარგლებს. გრიგოლ ორბელიანის პოეზია, ჯერ ერთი, განუზომელად უფრო ეწირო დიაბაზონისაა, ხოლო, რაც მთავარია, აქ ჩვენ გვაქვს ორი სხვადასხვა ეპოქა, ორი სხვადასხვა სამყარო. ილიამ ჯერ კიდევ თავის პირველ პოემა „აჩრდილში“ სრულიად ახალ სიმაღლეზე აიყვანა საქართველოს ეროვნულ-განმანათლებლებელი მოძრაობის იდეოლოგია, ახალი სამოქმედო პროგრამა დაუსახა ხალხს, ახალი შინაარსით აავსო ის შემოქმედებითი პატრიოტიზმის სული, რომელიც მან წინა თაობის პოეზიიდან შემკვიდრებით მიიღო.

დასასრულ, შევჩერდებით ილია ჭავჭავაძის „მგზავრის წერილებზე“² საიდანაც ასევე ცხადი ხდება, თუ როგორ დიდად აფასებდა ილია გრიგოლ ორბელიანის პოეზიას.

„მგზავრის წერილებში“, როგორც ცნობილია, არა ერთგზის არის ციტირებული გრიგოლ ორბელიანის ლექსები. ხოლო ერთ ადგილას ილია შეგნებულად ხაზს უსვამს და იმეორებს ერთ სახეს გრიგოლ ორბელიანის ლექსიდან — „სალამო გამოსალმებისა“.

გრიგოლ ორბელიანის ეს პოეტური შედეგრი — „სალამო გამოსალმებისა“ სრულდება შემდეგი სურათით:

შეღამდა... მარტო ვზი ჭმუნეთი
ჩემი ჩივილი ვის ესმის?
დავრედა არე...

მხოლოდ სხანს მთანი მღუმარედ
აეღებულან ცათამდის
და ყაზიბეგსა სამოდ
ზედა ვარსკვლავი დაჰნათობს!

შეადარეთ „მგზავრის წერილებში“:

„იმ სალამოს სტეფანწმინდას ამოუედი... იქ დავრჩი, რათა თვალი გამეძლო მშვენიერის სანახავების ხილვითა. ოხ საქართველოე!

სხვა საქართველო სად არის,
რომელი კუთხე მვეყნისა!
(გრიგოლ ორბელიანი).

„... შევხედე მყინვარს, რომელსაც ყაზიბეგის მთას ეძახიან... ცისა ცაყვარდზე მოსჩანდა იგი თეთრად და აუმღვრეველად. ერთი მუჰის ოდენი დრუბელი არა ჰფარავდა მის მალალ შუბლსა... ერთი დე ერთი ვარსკვლავი, მეტად ბრწყინვალე, ზედ დაჰნათოდა...“

როგორც ვხედავთ, ილია აქ შეგნებულად ხაზს უსვამს და იმეორებს ამ ნიშნობლივ სახეს გრიგოლ ორბელიანის ლექსიდან:

„და ყაზიბეგსა სამოდ ზედ ვარსკვლავი დაჰნათობს!“

ჩვენ ამით დავასრულებთ ამ ექსკურსს იმ ურთიერთობის შესახებ, რომელიც არსებობს ილია ჭავჭავაძის პირველი პერიოდის შემოქმედებასა და გრიგოლ ორბელიანის პოეზიას შორის.

¹ შეადარეთ „სალამო გამოსალმებისა“ და „აჩრდილი“, პირველი რედაქცია, თავები I — II (კავკასიონის მთები და მყინვარი). — შედ. აგრეთვე თავი V (თერგის სახე).

თუ გრიგოლ ორბელიანის პოეზია ზოგიერთ ხაზებში ენათესავება ედუარდ ჰაუკვაიძის პირველი პერიოდის შემოქმედებას, — ნამდვილი სულიერად წინაპარა ილიასი არის, როგორც მოვიხსენიეთ, გენიოსი ქართველი პოეტი ნიკოლოზ ბარათაშვილი, პირველი დიდი ფუძემდებელი ახალი ქართული მწერლობისა, რომელმაც მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში დასაბა ქართული ლიტერატურის განვითარების ახალი გზა.

ჩვენ ქვემოთ გვექნება საუბარი იმ ღრმა ნათესავური კავშირის შესახებ, რომელიც არსებობს ახალი ქართული მწერლობის უდიდესი წარმომადგენლების ნიკოლოზ ბარათაშვილისა და ილია ჰაუკვაიძის შემოქმედებას შორის.

აქ კი წინასწარ შევხებით საკითხს, თუ როდის გაეცნო ილია ჰაუკვაიძე ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეზიას.

ამ საკითხის გამო ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში ბოლო დრომდე ის შეხედულება იყო მიღებული, ვითომც ილია ჰაუკვაიძე ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეზიას პირველად გაეცნო 1860 წელს. მაგრამ, როგორც ირკვევა, ეს შეხედულება არაა სწორი. ილია ჰაუკვაიძე გასცნობია ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეზიას სტუდენტობის დროს, მაგრამ არა 1860 წელს, არამედ უფრო ადრე, 1858 წელს, ე. ი. სწორედ იმ პერიოდში, როდესაც ხდებოდა ილიას მსოფლმხედველობის ფორმირება, — ე. ი. უფრო ადრე, ვიდრე დაიწერებოდა „აჩრდილი“ და „დედა და შვილი“, „გლახის ნაამბობი“ და „კაქო ყაჩაღი“.

ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსების ბეჭდვა, როგორც ცნობილია, გვიან დაიწყო. ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსებიდან 1858 წლამდე დაბეჭდილი იყო მხოლოდ ოთხი ლექსი, რომლებიც 1852 წელს გამოაქვეყნა „ცისკარში“ გიორგი ერისთავმა (ლექსები: „მულბული ვარდზედ“, „სულა ბოროტო“, „რად ჰყვიერი კაცსა“, „ჩემი ლოცვა“). ამას ვარდა 1858 წლის დასაწყისში „ცისკარში“ დაიბეჭდა კიდევ ორი ლექსი („ჩვილი“, „ლაშქრობა ქართველთა კაქოყასზე“). ხოლო რაც შეეხება ნ. ბარათაშვილის დიდ მემკვიდრეობას — პოემას „ბედი ქართლისა“, ლექსებს: „მერანია“, „სუმბული და მწირი“, „ფიქრნი მტკვრის პირას“, „შემოლაშება მთაწმინდაზედ“ და სხვანი, ესენი ჯერ კიდევ დაბეჭდილი არ იყო.

ილია უძველესი იცნობდა ნიკოლოზ ბარათაშვილის იმ რამდენიმე ლექსს, რომლებიც გამოქვეყნებული იყო „ცისკარში“ 1858 წლის დასაწყისამდე; ხოლო ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეზიას ილია მთლიანად გასცნობია სტუდენტობის დროს, თვით ნ. ბარათაშვილის ავტოგრაფული კრებულიდან, რომელიც ილიას მიუღია სამეგრელოს დედოფლის ეკატერინე ჰაუკვაიძე-დადიანის ოჯახში.

ამას ადგვიო ჰქონია, როგორც ირკვევა, 1858 წელს. რადგან ილია ჰაუკვაიძისა და ნიკოლოზ ბარათაშვილის ლიტერატურული მემკვიდრეობის ურთიერთობის გარკვევას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ქართული მწერლობის ისტორიისათვის, ჩვენ აქ უფრო დაწვრილებით შევხიერდებით ამ საკითხზე, თუ როდის გაეცნო ილია ნ. ბარათაშვილის პოეზიას. ჯერ იმის შესახებ, თუ რა პერიოდში იყო სამეგრელოს დედოფალი ეკატერინე რუსეთში.

პირველად ეკატერინე წასულა პეტერბურგს 1855 წლის ივლისში, თავისი ამალით, რუსეთის იმპერატორის კურთხევაზე დასასწრებლად. იქიდან დაბრუნებულა სამეგრელოში 1857 წლის აპრილს, თბილისის გზით.

მეორედ, და ეს უკვე დიდის ხნით, — ეკატერინე გადასახლდა პეტერბურგში (მთავრობის იძულებით) — 1857 წლის დასასრულს. ეკატერინე გაემგზავრა სამეგრელოდან 25 ოქტომბერს 1857 წლისა და ჩავიდა პეტერბურგს 1857 წლის დეკემბერში. ამის შემდეგ, 1857 წლის დასასრულიდან — ვიდრე 1861 წლამდე, ეკატერინე პეტერბურგში იმყოფება თავის შვილებითა და ამალით¹.

ეკატერინეს ოჯახი ღია იყო პეტერბურგის ქართველობისათვის და კერძოდ ქართველი სტუდენტებისათვის, რომლებიც აქ ხშირად იკრებებოდნენ. ეკა-

¹ ახ. იონა მელნიჩიკის მონოგრაფია „გრიგოლ დადიანი“ (დაუბეჭდავია, დაეუღია ზუგდიდის მუზეუმში) და ეკატერინეს პირადი მოძღვრის თვედრე ზოგარის დღიურები (დაეუღია იქვე).

ტერინეს ოჯახში ცხადია თავიდანვე ხშირი სტუმარი უნდა ყოფილიყო, და ყოფილა კიდევ — ილია, მოგვარე და ახლობელი ეკატერინესი (ილიას შამა გრიგოლი, როგორც მოხსენებული გვექონდა, მახლობელი პირი იყო ეკატერინეს მამის ალექსანდრე ჭავჭავაძისა). ეკატერინეს სახლში მსვლელობის დროს ილიას დამეგობრებმა ეკატერინეს პატარა ქალიშვილი სალომე, იმ დროს 10 — 11 წლის ბავშვი.

ილია ამ დროს უკვე ცნობილი იყო როგორც პოეტი (ილიას ლექსები 1857 წლიდან იბეჭდებოდა „ცისკარში“) და ბუნებრივია, რომ ეკატერინეს ოჯახში, — სადაც ბარათაშვილის პოეზიის კულტი იყო გამეფებული, — ახალგაზრდა პოეტს ილას ადრევე გადასცემდნენ გასაცნობად ბარათაშვილის ლექსების ავტოგრაფულ კრებულს, რომელსაც ეკატერინე ყოველთვის თან ატარებდა. (უნდა გვანსოვდეს ამასთან, რომ თვით ილია, როგორც ცნობილია, საგანგებოდ ჰკრებდა ცნობებს ქართველი მწერლების ხელნაწერთა შესახებ და აწერინებდა ამ ხელნაწერთა პირებს ქართველ სტუდენტთა წიგნსაცავისათვის, რომლის დამაარსებელიც ილია იყო).

ილია გასცნობია ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსების ავტოგრაფულ ხელნაწერ კრებულს, როგორც ირაკლეა, 1858 წლის ზაფხულში. პეტერბურგელი ქართველი სტუდენტობა ზაფხულს ჩვეულებრივ ატარებდა ტიარლეოში და პავლოვსკში. ამის მეზობლად მდებარეობს ცარსკოე სელო, სადაც ზაფხულობით იმყოფებოდა ეკატერინე დადიანისა — თავისი ოჯახით.

„მახსოვს, — გადმოგვცემს ილიას მეგობარი კონტა აფხაზი, — ცარსკოე სელოში წავედი და იქ ვეწვიეთ ქალბატონ დადიანისას, სამეგრელოს მთავრის ასულს. ქალბატონ დადიანისამ გამოიტანა და მოგვცა წასაკითხად ბარათაშვილის ლექსები, რადენადაც მახსოვს ბარათაშვილის სასულიერო ხელით ნაწერი. ეს ლექსები იყო „ქართლის ბედი“ და „მერანი“. ვერ წარმოიდგინებ, რა შთაბეჭდილება მოახდინეს ამ ლექსებმა ილიაზედ. თითქმის ერთი კვირა უმაწვლილი ჰპოვებდა ბარათაშვილით“.

ჩვენამდე, როგორც ჩანს, მოღწეულია კიდევ ნიკოლოზ ბარათაშვილის თვით ის ავტოგრაფული ხელნაწერები, რომლებიც ეკუთვნოდა ეკატერინეს, და რომლებითაც გასცნობია ილია ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეზიას. ეს ხელნაწერებია ორი პატარა წიგნაკი, რომლებიც უფრო გვიან ე. თაყაიშვილმა აღმოაჩინა პეტერბურგში (1886 წ.). ერთ ხელნაწერ წიგნაკში მოთავსებულია პოემა „ბედი ქართლისა“; მეორე ხელნაწერ წიგნაკში მოთავსებულია ნ. ბარათაშვილის ლექსები, მათ შორის „მერანი“ (აგრეთვე „სუმბული და მწირი“, „ფიქრი მტკვრის პირას“, „სულო ბოროტო“, „შემოღამება მთაწმიდაზედ“, „სული თბოლი“, „გზოვე ტაძარი“, „საყურე“ და სხვანი).

ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსების ეს ორი ავტოგრაფული ხელნაწერი, ერთი „ბედი ქართლისა“-ს, ხოლო მეორე „მერანი“-ს შემცველი, არის ის დედნები, რომლებზედაც მიუთითებს კონტა აფხაზი თავის მოგონებებში.

ამის შემდეგ დავგრძენია დავაზუსტოთ თარიღის საკითხი. შეხედულება, რომ ილიას მიერ ნ. ბარათაშვილის ლექსების კრებულის გაცნობა ეკატერინე ჭავჭავაძე-დადიანის ოჯახში ვითომც უნდა მომხდარიყო 1860 წელს, მხოლოდ და მხოლოდ იმას ემყარება, რომ ილიას ორი ლექსი, მიძღვნილი ბარათაშვილისადმი, დაწერილია 1860 წელს. მაგრამ ამით რასაკვირველია არაფერი არ მტკიცდება. ილია შესაძლოა გასცნობოდა ბარათაშვილის პოეზიას 1858 წელს, ხოლო ლექსი ბარათაშვილზედ, ცხადია, შესაძლოა დაეწერა ბევრად უფრო გვიან, — და ეს სინამდვილეში ასეც მომხდარა. საქმე ის არის, რომ იმავე 1860 წელს, ივლისში, ერთდროულად ლექსთან ნ. ბარათაშვილის შესახებ, ილიას დაუწერია აგრეთვე ლექსი ალექსანდრე ჭავჭავაძის შესახებაც (ლექსი ალექსანდრე ჭავჭავაძეზე დათარიღებულია 1860 წლის 16 ივლისით, ლექსი ნ. ბარათაშვილზე 1860 წლის 19 ივლისით). ამრიგად 1860 წელს ილია ერთდროულად წერს ლექსების წყებას თავისი საყვარელი პოეტების ნიკოლოზ ბარათაშვილისა და ალექსანდრე ჭავჭავაძის შესახებ, ხოლო ეს, როგორც აღვნიშნეთ, სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ ილიამ ამ დროს პირველად გაიცნო ნ. ბარათაშვილი, ისევე როგორც ამ დროს არ

გაუცენია ილიას არც ალექსანდრე ქავკავაძე (ალექსანდრე ქავკავაძის პოეზიას ილია ბავშვობიდანვე იცნობდა).

რომ ილია ბევრად ადრე, სახელდობრ 1858 წლის ზაფხულში გასცნობია ბარათაშვილის ლექსების კრებულს ეკატერინე ქავკავაძე-დადიანის ოჯახში, ამას ადასტურებს შემდეგი:

1. კობტა აფხაზი თავის მოგონებებში, როგორც ვნახეთ, მოგვითხრობს, რომ ილიამ ეკატერინეს სახლში გადმოცემული ხელნაწერებიდან გაიცნო ბარათაშვილის ლექსები „ბედი ქართლისა“ და „მერანი“ და თან დასძენს: „ვერ წარმოიდგენთ, რა შთაბეჭდილება მოახდინეს ამ ლექსებმა („ბედი ქართლისა“-მ და „მერანმა“) — ილიაზე. თითქმის ერთი კვირა ყმაწვილი ჰბოდავდა ბარათაშვილით“. ამრიგად ილიას ამ დრომდე „ბედი ქართლისა“ და „მერანი“ წაკითხული არა ჰქონია. ხოლო „ბედი ქართლისა“ დაიბეჭდა „ცისკარში“ 1858 წლის სექტემბრის ნომერში. მაშასადამე ილია გასცნობია ბარათაშვილის ლექსების ამ ხელნაწერებს 1858 წლის სექტემბრამდე, ვიდრე „ცისკარში“ დაიბეჭდებოდა „ბედი ქართლისა“¹. ამრიგად, ზაფხულის თვეები, რომელიც და სახელწოდებული აქვს კობტა აფხაზს, არის 1858 წლის ზაფხული, და არა 1860 წლის ზაფხული.

2. თავისთავად ყოველად დაუჯერებელია, რომ ეკატერინე ქავკავაძე-დადიანის ოჯახში, 1858 წლის დასაწყისიდან მოკიდებული ვიდრე 1860 წლის ზაფხულამდე, არ გადაეცათ ილიასთვის ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსების კრებული, განსაკუთრებით თუ გაეითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ ეკატერინეს ოჯახში, როგორც მოვიხსენიეთ, ბარათაშვილის პეზიის ნამდვილი კულტი იყო გამრეფებული, ეკატერინეს მუდამ თანა ჰქონდა ბარათაშვილის ლექსების ავტოგრაფული კრებულები. ეს კრებული ეკატერინეს შით უფრო ადრევე უნდა ეჩვენებინა ილიასათვის, რომ ილია, როგორც მოვიხსენიეთ, ამ დროს უკვე ცნობილი იყო როგორც პოეტი.

3. რომ ილია 1860 წელზე უწინარეს იცნობდა ნიკოლოზ ბარათაშვილს, და ამასთან (რაც უაღრესად მნიშვნელოვანია აქ აღძრული საკითხის დასაზუსტებლად), — იცნობდა მას არა მარტო იმ ლექსებით, რაც „ცისკარში“ იყო დაბეჭდილი, არამედ აგრეთვე იმ ლექსებითაც, რომლებიც ზემოთ მოხსენიებულ ხელნაწერ კრებულშია მოთავსებული, ეს უდავოდ დასტურდება ილიას ორი ლექსიდან, რომლებიც 1859 წელს არის დაწერილი: „მტკვრის პირას“ და „ოჰ, სად არიან, სიკაბუკე, სიტკბონი შენი“.

ილიას ლექსში „მტკვრის პირას“, — როგორც ეს უკვე ჩვენამდე იყო შენიშნული, — არის უცილობელი გავლენა ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსისა „ფიქრნი მტკვრის პირას“¹. აქ არის შეხვედრა არა მარტო ლექსების სახელწოდებათა, არამედ ილიას ლექსში არის ანარეკლი ნ. ბარათაშვილის ლექსის მთელი რიგი სახეებისა და გამოთქმებისა. ილიას ლექსი „მტკვრის პირას“ დაწერილია 1859 წლის 9 ოქტომბერს; რაც შეეხება ბარათაშვილის ლექსს „ფიქრნი მტკვრის პირას“, იგი ამ დროს ჯერ კიდევ არ იყო დაბეჭდილი (ბარათაშვილის ეს ლექსი პირველად დაიბეჭდა „ცისკარში“ 1862 წლის იანვრის ნომერში). მაშასადამე, 1859 წელს ილია ამ ლექსს იცნობდა არა „ცისკარიდან“, არამედ ბარათაშვილის ხელნაწერი კრებულიდან (ბარათაშვილის ეს ლექსი მოიპოვება ბარათაშვილის ზემოდასახელებულ ხელნაწერ კრებულში).

ილიას მეორე ლექსში „ოჰ, სად არიან, სიკაბუკე, სიტკბონი შენი“ — ასევე არის უცილობელი გავლენა ბარათაშვილის ლექსებისა: „ვპოვე ტაძარი“, „ჩემთ მეგობართ“ და „სული ბოროტი“. აქ განსაკუთრებით აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ილიას ამ ლექსში გვაქვს ანარეკლი სახეებისა და გამოთქმებისა კერძოდ ნ. ბარათაშვილის პირველი ორი ლექსიდან „ვპოვე ტაძარი“ და „ჩემთ მეგობართ“. ილიას ლექსი დაწერილია 1859 წლის 30 სექტემბერს. ხოლო ბარათაშვილის ლექსები „ვპოვე ტაძარი“ და „ჩემთ მეგობართ“ ამ

¹ „ცისკარის“ ნომერებს, როგორც ეს დადგენილია, დაბეჭდვამდე პეტერბურგის სტუდენტები და 1858 წლის სექტემბრის ნომერი (რომელიც ნებადართულია ცენზურის მიერ 9 აგვისტოს), მიღებული იქნებოდა პეტერბურგში 1859 წლის შემოდგომის თვეებში.

დროს დაბეჭდილი არ იყო („უპოვე ტაძარი“ დაიბეჭდა „ცისკარში“ 1860 წლის მაისის ნომერში, „ჩემთ მეგობართ“ ასევე „ცისკარში“ 1862 წლის მაისის ნომერში). მაშასადამე, 1859 წელს ილია ამ ლექსებს იცნობდა არა „ცისკარში“ დაწ, არამედ აგრეთვე ნ. ბარათაშვილის ხელნაწერი კრებულებიდან (ნ. ბარათაშვილის დასახელებული ლექსები მოიპოვება ნ. ბარათაშვილის შემომოხსენებულს ხელნაწერი კრებულში).

ასეთია დასკვნები აქ აღძრული საკითხის გამო, რაც გამომდინარეობს ყველა არსებული მასალის განხილვიდან.

ამრიგად, ყოველივე აღნიშნულის შემდეგ საბოლოოდ ირკვევა, რომ ილია გაცნობია ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეზიას მთლიანის სახით (მათ შორის „ბედი ქართლისას“ და „მერანს“) — 1858 წლის ზაფხულში ნიკოლოზ ბარათაშვილის თხზულებათა ავტორგრაფული კრებულებიდან, რომელიც ილიასთვის ეკატერინე ჰავჭავაძე-დადიანის ოჯახში გადაუციათ¹.

1858 წელი, როდესაც ილია გაცნობა ბარათაშვილის პოეზიას, არის, როგორც მოვიხსენებთ, პერიოდი, როდესაც ილია შეუდგება თავის პირველს დიდს ქმნილებას — „ა ჩ რ დ ი ლ ს“ (ეს პოემა ილიამ დაამთავრა 1859 წლის იანვარში), რომელსაც მოჰყვება „გ ლ ა ხ ი ს ნ ა ა მ მ ბ ი ბ ი“ (1859 წ.), „ქ ა რ თ ვ ე ლ ი ს დ ე დ ა“ („დედა და შვილი“ 1860 წ.), „კ ა კ ო ყ ა ჩ ა დ ი“ (1860 წ.).

ბარათაშვილის პოეზიის გაცნობამ ახალი პოეტური ცეცხლით აანთო, ახალი შთაფრებით ააესო მონათესავე პოეტური სული ილიას. ბარათაშვილისადმი მიძღვნილს ერთს უფრო გვიან დაწერილს ლექსში, ილია იგონებს იმ შთაბეჭდილებას, რომელიც მასზე დატოვა ბარათაშვილის ლექსების პირველმა გაცნობამ:

„როს წარვიციებე მისი ლექსები,
ვერაა ვთქვი რა განცვიფრებულმა!
ვით ქარიშხალით ატეხილ ბუქმა
ცას განუბნევს შავი ღრუბლები
ისე იდარა ჩემ მწუხარ შუბლმა.

ხალხი იბოლო, შენ მეტრალეში
რომ დაგაობლა მის ციურ შუქმა
და განგაშორა თვისი სხივები..
როს წარვიციებე მისი ლექსები
აღმოვიცნესე დაობლებულმა!

მეორე ლექსში ნიკოლოზ ბარათაშვილზედ ილია წერს:

„ყრმაო პოეტო! უღმრთო იყო შენი სიყვდილი,
ვინ უწყს, რადღენნი საუნჯენი დავმარხეთ ჩენა!
ვეე ზღვა-გული, სიყვარულის სხივქვეშ გაშლილი,
რაოდენ გრძნობით, ჯერ უთქმელით, ჩვენ ჩაგვესვენა?
ვინ იცის, თანა რაოდენნი წარიღე ფიქრნი?..“

ილიას ამ ლექსს ებიგრაფად აქვს წამძღვარებელი სიტყვები ბარათაშვილის „მერანიდან“:

„ცუდად ხომ მაინც არა ჩაივლის ეს გამწირულის სულსკვეთება
და გზა უვალი, შენგან თელილი, მერანო ჩემო, მაინც დარჩება“.

ასე ეზიარა ნიკოლოზ ბარათაშვილის გენიას მისი დიდი მემკვიდრე ილია ჰავჭავაძე.

¹ ამ საკითხს უფრო დაწერილებით ცალკე წერილში ვეხებით. სავნის ლიტერატურა: გრიგოლ უფშიძე, ილია ჰავჭავაძის ბიოგრაფია (მ. გუდვიანიშვილის 1914 წლის გამოცემა), გვ. XXII. — გ. ლეონიძე, ილია შენიშვნა ნ. ბარათაშვილზე, ლიტერატურული მემკვიდრეობა, I, 1935 წ., გვ. 628. — პ. ინგოროვა, ნ. ბარათაშვილი (შესავალი წერილი 1945 წლის გამოცემა), გვ. LI — LIII. — ა. თოფურია, ი. ჰავჭავაძე და ნ. ბარათაშვილი, უფრ. „მნათობი“, 1950 წ. № 11 (გვ. 115 — 130), რომელიც მთელ რიგ სწორ დებულებებს შეიცავს.

ილიას მსოფლმხედველობას, როგორც ამბობს თვით ილია „მგზავრის წერილებში“, დადებული აქვს „ქართული დვიტი“.

ილიას მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაზე უდიდესი გავლენა მოახდინა პირველ რიგში ნიკოლოზ ბარათაშვილს, რომლის „ბედი ქართლისა“-ში, „სუმბულსა და შირში“, „მერანში“ უკვე მოცემულია სათავე ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის იდეოლოგიისა, პოლიტიკური რადიკალიზმის სულით აღბეჭდილი.

ამ „ქართულ დვიტასთან“ ერთად ილიას პოლიტიკურ მსოფლმხედველობის გამოუმუშავებაზე გავლენა იქონია რუსეთის რევოლუციონერ დემოკრატების დიდმა პლეადამ (ჩერნიშევსკიმ, დობროლიუბოვმა, ბელინსკიმ, გერცენმა), და აგრეთვე, როგორც შემდეგ დაეინახავთ, ევროპის დიდმა უტოპისტმა სოციალისტებმა.

რუსულ ლიტერატურასთან (— რუსული ლიტერატურის რევოლუციონერ-დემოკრატიულ ფრთასთან) — ურთიერთობის საკითხის გამო ილია წერს: „თქმა არ უნდა, რომ რუსულმა ლიტერატურამ დიდი ხელმძღვანელობა გაგვიტოვა წარმატების გზაზე და დიდი ზედმოქმედება იქონია ყოველს მასზედ, რაც ჩვენს სულიერ ძალ-ღონეს შეადგენს... საკვირველიც არ არის: რუსულმა სკოლა-მეცნიერებამ გაგვიღო კარი განათლებისა და რუსულმავე ლიტერატურამ მიაწოდა საზრდო ჩვენს გონებასა და გამოჰკვება ჩვენი აზრი მოძრაობის გზაზედ...“

ილია ამასთან აღნიშნავს:

„რასაკვირველია, ამ ზედმოქმედებამ რუსულის ლიტერატურისამ მართო იმას შესძინა სიკეთე, რომელმაც ყოველი გამონარკვევი ამ ლიტერატურის თავის საკუთარ კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა, ბრძად არ იქამა, ბრძად არ მიიჩემა და ამრიგად არ დაიხვია ხელზედ ცხოვრებაში იოლად წასვლისათვის ყოველი აზრი მართო ცარიელი ფრანზა იმის ხელი, ვისაც კრიტიკის ცეცხლში არ გამოუფოლადებია და ისე არ შეუთვისებია...“

ჩვენდა საბედნიეროდ, ვიტყვი, რომ ზოგნი ჩვენში, რუსული ლიტერატურის მეოხებით გაზრდილნი და გაწვრთნილნი, ასე ბრძად არ მისცემიან ამ ლიტერატურის აუცილებელ ზედმოქმედებას. ამათ ჯერ გამოუძიებიათ მისი გამონარკვევნი და მერე ისე ან შეუთვისებიათ ან უარუყვიათ. ჩვენდა სანუგეშოდ მართო ამას არ დასჯერებია, იმვე კრიტიკით და გამოძიებით მხარდამხარე ასდევნიან ამ ლიტერატურის წინსვლასა, წარმატებას, და არ გაჩერებულან მის რომელსავე ერთ ხანაზედ¹.

ილიამ რუსეთის დიდი რევოლუციონერი დემოკრატების პროგრესული იდეები თავისი დამონებული სამშობლოს სპეციფიკურ ვითარებას შეუფარდა, საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის იდეოლოგიას ერთ-ერთ ფუძედ დაუდგა. ილია მეორე წერილში, ეხება რა საქართველოს სპეციფიკურ ვითარებას, როგორც კოლონიურ მდგომარეობაში მყოფი ქვეყნისა, წერს:

„ჩვენს ქვეყანას სულ სხვა ტკივილი აქვს. სულ სხვა ფათერაკი სდევს... ჩვენებური დღევანდელი დღე სულ სხვასა თხოულობს, სულ სხვას დაადგებს... ის სხვა რამეა — ჩვენის დაცემულის ვინაობის აღდგენა, ფეხზედ დაყენება და დაცვა ყოვლის მოსალოდნელის ფათერაკისაგან. რომ ეგ ფათერაკი მოსალოდნელი იყო და დღესაც თავიდან არ აგვიდგენია, — ყველასათვის ცხადზედ-ცხადია... ეგ მიმართულება იქნება ახალი იმ დრომდე, სანამ ჩვენი ვინაობა შესაფერს და კეთნილს ადგილს არ დაიჭერს ჩვენს ცხოვრებაში და საზოგადო საქმეთა სათავეში არ მოექცევა. სხვა საგანი — ამაზედ უსაჭიროესი არა აქვს ეხლანდელს საქართველოს შვილს...“²

¹ იხ. ილია ჭავჭავაძე, ტ. VIII, 1928 წ., გვ. 265 — 6.

² იხ. ილია ჭავჭავაძე, შინაური მიმოხილვა, „ივერია“, 1881 წ., მასი (ნაწიერების კრებული, ტ. VI, 1927 წ., გვ. 127 — 128).

ილია სტუდენტობის დროს არა მხოლოდ გასცნობია რუსეთის რევოლუციონერი დემოკრატების იდეოლოგიას, არამედ ილია ახლო პირადი საცნობობითაც დაკავშირებული ყოფილა რუსეთის რევოლუციონერი დემოკრატების დიდ ლიდერთან ნ. გ. ჩერნიშევსკთან.

აქ საჭიროა საგანგებოდ შევჩერდეთ ამ საკითხზე, რადგან ეს მეტად მნიშვნელოვანი ფაქტი ილიას სტუდენტობის დროის ბიოგრაფიისა მხედველობიდან გამოჩენილი ილიას ბიოგრაფებს.

ილია სტუდენტობის დროს რომ პირადად იცნობდა ჩერნიშევსკის, ამის შესახებ მოიპოვება ცნობა თვით ილიასი, რომელიც ჩაწერილი აქვს მწერალსა და საზოგადო მოღვაწეს რ. ხომლელს, რომელიც წარსული საუკუნის 90-იან წლებში დაახლოვებული იყო ილიასთან.

რ. ხომლელი თავის წერილში ილია ქავეჭავაძის შესახებ, ეხება რა გლეხთა რეფორმის ისტორიას და ახალგაზრდა ილიას პოზიციას ყმების მიწიანად განთავსუფლების საქმეში, — წერს:

„რუსეთის საუკეთესო ჟურნალიც *„Современник“* და მისი შესანიშნავი ეკონომისტი ნ. გ. ჩერნიშევსკი, რომელსაც ჩვენი სტუდენტი ილია დაახლოვებით იცნობდა, როგორც ეს ჩემთვისა და ნ. ხიზანიშვილისათვის უთქვამს, იმას ქადაგებდა, რომ ყმა მიწიანად უნდა განთავსუფლებოდა. ჩვენი ილიაც ამ აზრს ემსახურებოდა უკანასკნელ სისხლის წყეთამდე... ნ. ჩერნიშევსკისა და ილია ქავეჭავაძის ქადაგება იყო წარმატებული, და ავი ამ მოძღვრებამ წარიტაცა რუსეთში მთელი ინტელიგენცია „ნაროდნიკებისა“ და ჩვენში მთელი თაობა „ტეტიათა მოტრფილეთა“¹.

აქ საჭიროა ხაზი გავუსვავთ იმ გარემოებას, რომ ილია, როგორც ირკვევა, არა მარტო იცნობდა ნ. ჩერნიშევსკის, არამედ ახლო ურთიერთობით ყოფილა დაკავშირებული ნ. ჩერნიშევსკისთან, ანუ როგორც ილიას უთქვამს — „დაახლოვებით იცნობდა“ მას.

რაკი ილია დაახლოვებული პირი ყოფილა ნ. ჩერნიშევსკისა, ილია ცხადია იცნობდა აგრეთვე ნ. ჩერნიშევსკის უახლოეს თანამებრძოლს ნ. დობროლიუბოვს და აგრეთვე იმ პირთ, რომელთაც ახლო ურთიერთობა და მიმოსვლა ჰქონდათ ნ. ჩერნიშევსკისთან, კერძოდ პოეტს ნ. ნეკრასოვს, „სოვრემენიკის“ რედაქტორს. ამრიგად, როგორც ირკვევა, შემთხვევითი არ ყოფილა იმ გარემოება, რომ ილიას ლექსს „მუშა“-ს უზის ეპიგრაფი ნეკრასოვიდან (*„В труде проходит жизнь его и не приносит ничего“*). ხოლო „საქართველოს მოამბეში“ ილიამ მოათავსა თარგმანი დობროლიუბოვიდან.

როდესაც ილია გაეცნო და დაუახლოვდა ნ. ჩერნიშევსკისა და მის ჯგუფს, ილია სტუდენტი სრულიადაც არ იყო ამ დროს მოუწიფებელი ქაბუკი, არამედ ინტელექტუალურად დაეკავებოდა მოაზროვნე და მწერალი, ავტორი „აჩრდილისა“ (1858 — 1859 წ.), „ვლახის ნაამბობისა“ (1859 წ.), („კაკო ყაჩაღისა“ (1860 წ.) და მთელ რიგ სხვა ნაწარმოებთა.

ბევრით ენათესავენებიან ერთმანეთს ეს ორი გოლიათი აზროვნებისა, — ილია ქავეჭავაძე და ნ. ჩერნიშევსკი, ეს ორი თავდადებული მებრძოლი დიად საქმეთათვის, — ილია — წინამძღოლი ეროვნულ-განმათავსუფლებელი მოძრაობისა საქართველოში, და ნ. ჩერნიშევსკი, მეთაური რევოლუციონერი-დემოკრატიული მოძრაობისა რუსეთში; ბევრივე გვაჯობებენ ერთი-მეორეს ეს ორი ქედმოუხრელი გმირი, რომლებიც შეეწირნენ თავის წმიდა საქმეს!

აქ საჭიროა აღვნიშნოთ ამასთან, რომ ილიას ნაწერებში ცენტურის მიზეზით თუქმა არ გვხვდება მოხსენება თვით ჩერნიშევსკის სახელისა, მაგრამ ამდენადაც ეს შესაძლებელი იყო იმდროინდელ საცენტურო პირობებში, ილია აღნიშნავს იმ დიდ ღვაწლს, რომელიც შეასრულა რუსეთის ისტორიაში ნ. ჩერნიშევსკიმ და რევოლუციონერი დემოკრატების დასამა.

1 რ. ხომლელს ეს წერილი დაბეჭდილი იყო 1909 წელს ნაყლებად გავრცელებულს ქუთათურ ყოველკვირეულ გაზეთში „შინაური საქმეები“ (ციტირებული ადგილი იხ. გაზეთის მე-2 ნომერში, გვ. 6 — 7) და ამის გამო გამოჩენილი იყო ილიას ბიოგრაფებს.

ილია ერთ-ერთ წერილში ეხება რა რევოლუციურ-დემოკრატიულ მოძრაობას რუსეთში ორმოცდაათიან-სამოციან წლებში, წერს:

„ახლად თვალანთვლმა რუსეთმა — ნახა, რომ მისი სწეულების სათავე — თითონ ცხოვრების წყობაა და აგებულება, ერთხელ და ერთხელ შემორღვეული და განუახლებლად დამკვიდრებული. უარყო იგი წყობა, უარყო ყრველნივე ის, რაც იმ წყობას შესწევდა და ხელს უშარბავდა. ამ არსებულის უარყოფამ წამოიწია იმ წრიდან, რომელსაც გონებით მცხოვრებს საზოგადოებას ეძახიან, რომელიც ყველგან და ყოველთვის სუგემია და იმედი ყოველის ერისა და რომელიც ცხოვრების წარმატების უღლის თავში პირველი ჩადგება ხოლმე. ის საზოგადოება მთელის ძალ-ღონით მიაწყდა ამ უშველებელს საქმეს უარყოფისას და ყოველს მის მოქმედებაში ან წუნი ისტეხვავა დრო-გადასულის ძველისა, ან მოძღვრება და ნატურა ნელად აკვირებულის ახლისა. უკეთესნი წარმომადგენელნი ამ საზოგადოებისა — პოეზიაში [— იგულისხმება ნეკრასოვი, პ. ი.], მეცნიერებაში თუ პუბლიცისტიკაში [— იგულისხმებიან ჩერნიშევსკი, დობროლიუბოვი, ბელონსკი, გერცენი, პ. ი.], სულ ამ დიდი საქმის მიმდევარნი იყვნენ დაუღალავად. მათის მართლა-და დაუეიწყარი ღვაწლით მაგ თამაშმა უარყოფელმა მიმართულებამ ფეხი გაიდგა რუსეთში და ცხოვრების მოედანზედ დაიჭირა ადგილი. ამ ახალი მიმართულების მესვეური იყო „Современник“-ი...“¹.

ილია აღნიშნავს, რომ იმ პერიოდში, როდესაც ახალ მიმართულებას სათავეში ედგაო „სოვრემნიკი“, ამ ახალ მიმართულებას „დამჯდარი ჰქუა და მეცნიერება წინ უძღოდა“². ამ სიტყვებით — „დამჯდარი ჰქუა და მეცნიერება“ — ილია მოიხსენებს ჩერნიშევსკის, ხელმძღვანელს „სოვრემნიკისას“, რევოლუციონურ-დემოკრატიული მოძრაობის დიდ მეთაურს.

ილია ჰავეჰავაძისა და ნ. ჩერნიშევსკის ურთიერთობის ისტორიასთან დაკავშირებით აქ საჭიროა აღვნიშნოთ აგრეთვე შემდეგიც:

როგორც ირკვევა, მას შემდეგ, რაც ილია, რომელიც ყველასგან აღიარებული მეთაური იყო ქართველი სტუდენტობისა, დაახლოვებია ჩერნიშევსკის, — ჩერნიშევსკისთან კავშირი გაუბამს მოწინავე ქართველი სტუდენტების მთელ წრესაც.

ნიკო ნიკოლაძე თავის მოგონებაში სამოციან წლებზე აღნიშნავს, რომ როდესაც 1861 წელს, ილია ჰავეჰავაძის საქართველოში დაბრუნების შემდეგ, რუსეთში ჩავიდა ნიკო ნიკოლაძე, მას, ჩერნიშევსკის პირველი გაცნობის დროს, ჩერნიშევსკისთან დახვდა ქართველი სტუდენტების მთელი ჯგუფი³.

აღსანიშნავია ამასთან, რომ 1861 წელს სტუდენტთა არეულობაში მონაწილე ქართველ სტუდენტებს ერთ-ერთ ბრალად ეთვებოდათ კერძოდ ნ. ჩერნიშევსკისთან ურთიერთობაც (ასე მაგალითად, 1862 წელს პოლიციის საიდუმლო დეპარტამენტის — მესამე განყოფილების მიერ შედგენილ საექვო პირთა სიაში სტუდენტთა არეულობაში მონაწილე ბ. ლოლობერიძის შესახებ აღნიშნულია: „...знаком с Чернышевским...“)⁴.

ილია სტუდენტობის დროს ახლო ეცნობა როგორც რუსეთის რევოლუციონური დემოკრატიების დიად იდეებს, ისე ევროპის აზროვნების ისტორიას.

თუ რამდენად ინტენსიურად მუშაობდა ილია სტუდენტობის დროს, თუ რამდენად ფართო იყო ახალგაზრდა ილიას ინტელექტუალური ინტერესები, ამის მაჩვენებელია, მაგალითად, ნუსხა იმ წიგნებისა, რომლებიც ილიას დაუმუშავებია 1860 წლის დასასრულში. ეს ნუსხა ჩაწერილია ილიასეულ ერთ ხელნაწერში სტუდენტობის დროისა, რომელიც 1860 წლის დეკემბერშია გადაწერილი. ამ ნუსხაში ჩვენ ვხვდებით როგორც მხატვრული ლიტერატურა, —

1 იხ. ილია ჰავეჰავაძე, ტ. VI, 1927 წ., გვ. 118.

2 იხ. ილია ჰავეჰავაძე, იქვე, გვ. 125.

3 იხ. ნ. ნიკოლაძე, ჩრეული ნაწერები, I, 1931, გვ. 121 — 123.

4 იხ. იქვე, გვ. 380.

შექსპირი, დიკენსი, გოეტე, შილერი, ისე ამის გვერდით ბეკონი და დეკარტი, „ათენის რესპუბლიკის ისტორია“ და მსოფლიო მექანიკური თეორია“¹.

როგორც ირკვევა, ილია ახლოა გაცნობილი საფრანგეთის დიდ განმანათლებლებს, ასევე გერმანულ ფილოსოფიას, კერძოდ ჰეგელს. ეს ჩანს „პირველი რიგში, იმ ბრწყინვალე ფილოსოფიურ-პუბლიცისტური ნაშრომიდან, რომლითაც იხსნება ილიას ჟურნალი „საქართველოს მოამბე“ (შესავალი წერილი „საქართველოს მოამბეზედ“).

ილია, როგორც ირკვევა, გაცნობილი იყო დიდ უტოპისტ სოციალისტებს, რომელთა იდეების მიმდევრად ილია გვევლინება როგორც ახალგაზრდობის დროინდელ „არდილიში“, ისე თავის ერთ-ერთ უკანასკნელ წერილში „მეცხრამეტე საუკუნე“, რომელიც ილიას ერთგვარ პოლიტიკურ ანდერძს წარმოადგენს. ილია, როგორც ჩანს, ახალგაზრდობიდანვე თვალყურს ადევნებდა ევროპის სოციალისტურ მოძრაობას. იგი გაცნობილი იყო ანარქიზმის მომდგრებასაც. რასაკვირველია, შემთხვევითი არ იყო ის გარემოება, რომ ილია თავის „საქართველოს მოამბეში“ ადგილს უთმობს პრუდონს.

ყოველივე იმის შემდეგ, რაც ამ იყო აღნიშნული, გასაგები ხდება, რომ ილიას პოეტურ შემკვიდრობაში გვაქვს ისეთი ნაწარმოები, როგორიც არის ილიას განთქმული ლექსი „კომუნის დაცემის დღე“.

ამ ცალკე შევჩერდებით ილიას წმინდა ლიტერატურულ ინტერესებზე მისი სტუდენტობის ხანაში.

ილია სტუდენტობის დროს საფუძვლიანად გასცნობია როგორც ქართულ მწერლობას, ისე რუსულსა და ევროპულ ლიტერატურას.

ილიას ლიტერატურულ ინტერესთა წრეს ვეცნობით კერძოდ ილიას თარგმანიდან. ილიას სტუდენტობის დროს გვეთვინის თარგმანები რუსი პოეტების — პუშკინისა და ლერმონტოვისა, ინგლისელი, გერმანელი და ფრანგი პოეტების — ბაირონისა, ვალტერ-სკოტისა, გოეტესი, შილერისა, ჰეინესი, რიუკერტისა, ანდრე შენიესი. ილია სტუდენტობის დროიდანვე გატაცებულია შექსპირით; შემდეგ ილიამ საფუძველი ჩაუყარა კიდევ შექსპირის ქართულად თარგმნას (ილიამ უფრო გვიან, ივანე მაჩაბელთან ერთად, გადმოიღო ქართულად „მეფე ლირი“).

ილია ხშირი მკითხველი ყოფილა ილიადასი², ასევე ლუკრეცისა, ვირგილისა, პორაციისა³.

ილიასათვის განსაკუთრებით საყვარელ მწერლებად ბოლომდე დარჩენ — რუსთაველთან ერთად — შექსპირი და ბაირონი. — ამ უკანასკნელს იგი გოეტეზე მაღლა აყენებდა.

თუ რა იტაცებდა ახალგაზრდა ილიას პოეზიაში, თუ რა მოთხოვნილებას უყენებდა ილია მწერლობას, ეს ჩანს ილიას „მგზავრის წერილების“ ცნობილი ადგილიდან, სადაც იგი გოეტეს მყინვარს აღარებს, ხოლო ბაირონს თერგს. ვფიქრობთ, არ იქნება ზედმეტი მოვიფიქროთ ეს ადგილი „მგზავრის წერილებისა“, რადგან იგი ასე ახლო გვაგვრძობინებს ილიას პოეტიკას, და არა მხოლოდ პოეტიკას, არამედ გვაგვრძობინებს დიდი შემოქმედის სულიერ სამყაროს, გვაგვრძობინებს იმ რევოლუციურ სულისკვეთებას, რომლითაც შთაგონებული იყო ილია:

„დიდებული რამ არის ეგ მყინვარი... მუდრო და მშვიდობიანი, მაგრამ ცივია და თეთრი... აბა რად შინდა მისი დიდება? ქვეყნის უყანი, ქვეყნის ქარიშხალი, ქროლვა, ქვეყნის აჯარგი მის მაღალ შუბლზედ ერთ ძარღვსაც არ აატკებს. ძირი თუმცა დედაშიწაზედ უღდა, თავი კი ცას მიუბჯენია, განუდ გამდგარა, მიუყარებელია. არ მიყვარს არც მაგისთანა სიმაღლე, არც მაგისთანა განუდ ვადგომა, არც მაგისთანა მიუყარებლობა. დალოცა ღმერთმა ისევ თავზედ ხელაღებული, გიყი, ვადარეული, შეუპოვარი და დაუმონავი მღვრიე თერგი. შავი შობის გუ-

1 იხ. ილიას ავტორაფი M (ხელნაწერი საქართველოს სახ. მუზეუმისა № 5019 — S).

2 იხ. იონა მუხნარაია, ილია ჭავჭავაძე, 1937 წ., გვ. 48.

3 იხ. ილია ჭავჭავაძე, ტ. IV, 1927 წ., გვ. 162.

ლიდამ ვადმომსკდარი მოდის და მოზღავის და აზღაველებს თავის ვარემოსა. მიუყარს თერვის ზარინი ზელი, გამაღებელი ბრძოლა, დრტეინვა და ვაი-ვაგლაზი. თერვი სახეა ადამიანის ვადვიშებულის ცხოვრებისა, ამაღლებელი და ღირსსაყნობი სახეც არის: იმის მღერე წყალ-ში სხანს მთელის ქვეყნის უბედურების ნაყარტუტა. მყინვარი კი უკვდავებისა და განცხრობის დიდებული სახეა: ცივია, როგორც უკვდავება, და ჩემია, როგორც განცხრობა. არა, მყინვარი არ მიყვარს, მით უფრო რომ მიუყარებლად მალაია. ქვეყნიერების ბედნიერების ქვეყნობელი კი უოველთვის ძირილამ დადებულა, უოველი შენობა ძირილამ ამაღლებულა... ამიტომაც მე როგორც ქვეყნის შეილს, თერვის სახე უფრო მოწონს უფრო მიყვარს. — მყინვარი დიდ გუ-ტეს მაგონებს და თერვი კი შრისხანე და შეუბოვიარს ბაირონსა. ნეტავი შენ თერვო! იმით ხარ კარგი, რომ მოუსვენარი ხარ... მოძრაობა და მარტო მოძრაობა არის, ჩემო თერვო, ქვეყნის ღონისა და სიცოცხლის მოცემი“.

ალსანიშნავია, რომ ლექსშიაც „პოეტი“ ილია ასევე უპირისპირებს თავის პოეტისასა და გოეტეს პოეტისას.

გოეტე ერთ-ერთ ლექსში, როგორც ცნობილია ამბობს: Ich singe wie der Vogel singt („მე ვმღერი, ვით მღერის ფრინველი“).

ხოლო ილია ასე იწყებს თავის ლექსს „პოეტი“:

„მისთვის არ ვმღერ, რა მ ვიმღერო
ვით ფრინველმა გარეგანმა,
არა მარტო ტბილ ხმათათვის
გამომგზავნა ქვეყნად ცაში...“

როგორც ვხედავთ, ამ ლექსის პირველ სტრიქონში ილია გოეტეს ეკამათება.

ახალგაზრდა ილია, თავისი დამონებული სამშობლოს მომავალ ბედზე ფიქ-რით მოცული, მღელვარებით ადევნებდა თვალყურს ეროვნულ-განმათავისუფ-ლებელ მოძრაობას ევროპაში. ილიასათვის შთამაგონებელი მაგალითი იყო ირლანდიელი ხალხის გმირული ბრძოლა ინგლისელ დამპყრობელთა წინააღ-მდეგ, ასევე იტალიელი ხალხის დიადი მოძრაობა სამშობლოს გაერთიანებისა და ავსტრიელ დამპყრობელთა განდევნისათვის. როდესაც 1860 წლის ზაფ-ხულზე გარიბალდომ აიღო მესინა, ხოლო შემდეგ იტალიის ნახევარკუნძულზე გადმოვიდა, ილია ამას აღფრთოვანებული მიესალმა ლექსით: „მესმის, მეს-მის სახანტრელი, ხალხთ ბორკილის ხმა მტერევისა“.

ილია იმდენად გატაცებული იყო იტალიელი ხალხის ამ დიადი მოძრაობით, რომ იგი ერთხანს ჰფიქრობდა ვოლონტერად წასვლას გარიბალდისთან იტა-ლიაში.

ილია ბოლომდე დარჩა თავყანისმცემელი იტალიელი ხალხის დიადი გმი-რის, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ბელადის გარიბალდისა. როგორც ცნობილია, გარიბალდის პორტრეტი ამშვენებდა ილიას სამუშაო-ოთახს მთელი მისი სიცოცხლის მანძილზე.

ილიას დროს პეტერბურგის უნივერსიტეტში სწავლობდა ოცდაათამდე ქარ-თველი სტუდენტი. მათ შორის იყვნენ: აკაკი წერეთელი, კირილე ლორთქი-ფანიძე, ნიკო ლოლობერიძე, ბესარიონ ლოლობერიძე, პეტრე ნაკაშიძე, დავით ყიფიანი, ილია ოქროშქედლიშვილი, ლუარსაბ (შაქრო) მაღალაშვილი, მისიელი ჩიკვაძე, კახტა აფხაზი, იოსებ ვაჩნაძე და სხვანი. (ნიკო ნიკოლაძე და გიორგი წერეთელი ჩავიდნენ პეტერბურგში 1861 წელს, როდესაც ილია უკვე წამო-სული იყო საქართველოში).

ქართველი ახალგაზრდობა რუსეთში ადრევე მიდიოდა განათლების მისა-ღებად, მაგრამ ქართველი სტუდენტობის ასეთი დიდი ჯგუფის ერთად შემოკ-რება ერთ ქალაქში პირველი შემთხვევა იყო.

ნიკო ნიკოლაძის ცნობით, ქართველ სტუდენტთა წრის ყველას მიერ აღიარებული მეთაური და იდეური ხელმძღვანელი ილია ქავჭავაძე იყო.

ილიას გარშემო შემოკრებილი ქართველი სტუდენტობა შეადგენდა იმ ბირთვს, რომელმაც საქართველოში დაბრუნების შემდეგ შეადგინა „პირველი დასი“.

ილიას დროს შეიქმნა რუსეთში ქართველი სტუდენტობის „თერგდალეულთა“ ტრადიციები.

ქართველ სტუდენტთა წრე — ილიას ხელმძღვანელობით — ხშირად იკრიბებოდა. „გზასობდით საზოგადო კითხვებზედ, აგრეთვე ჩვენს დაბეჩავებულ სამშობლოს მომავალზედ“. — წერს ამ წრის ერთ-ერთი წევრი — კობახა აფხაზი. იმ ტრადიციების შესახებ, რომელიც ქართველ სტუდენტობაში დამკვიდრდა ილია ჭავჭავაძის დროიდან, მეორე შესამოციანელი ნიკო ნიკოლაძე წერს: „მაშინდელი ჩვენი მუსიკის ან მსჯელობის საგანი, მაშინდელი ჩვენი შრომის მიზანი ის იყო, თუ რა მოვალეობა გვაწევს კისერზე ხალხისადმი, ან რა სახით უფრო უზრუნველსა მომზადება ამ მოვალეობის ასარულებლად... ჩვენს ახალგაზრდობას აგონდებოდა, რომ ერთი თვის სავალზედ, მთებს გადაღმა, სამშობლოში ცხოვრობს მისი ხალხი, რომ ამ ხალხს ცხოვრება უჭირს მის სამშობლოში, მის საკუთარ მიმართულებას ბევრი მტერი და მუხანათი ჰყავს, რომ ამ მტერს და მუხანათს იმან ოდესმე ანგარიში უნდა გაუწმინდოს“¹.

ამავე პერიოდში, ილიას სტუდენტობის დროიდანვე იწყება დიდი შემოქმედებითი თანამშრომლობა მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის ქართული ლიტერატურის უდიდესი მოღვაწეებისა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სულის ჩამდგმელების — ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლისა.

როდესაც ეურჩა „ციციკარის“ 1859 წლის ნოემბრის ნომერში დაიბეჭდა ნაწყვეტი ილიას „აირდილიდან“, აკაკიმ ამას უპასუხა ლექსით — „მისის ღამე ბნელთვალანი“. ამ ლექსში აკაკიმ სიყვარულით დაგვიხატა დიადი სახე თავისი თანამოძმის ჭაბუკის ილიასი, სამშობლო ქვეყნის თავისუფლებისათვის მებრძოლის მგზნებარე პატრიოტისა.

ეს იყო პირველი გამოხმაურება ერთმანეთთან ახალი ქართული მწერლობის ამ ორი დიდი კორიფეისა.

ჯერ კიდევ ახალგაზრდობიდანვე ერთად სცემდა სამშობლო ქვეყნის სიყვარულით ანთებული გული ამ ორი ჭაბუკისა, — ილიასი და აკაკისა, რომლებმაც ამის შემდეგ ნახევარი საუკუნის მანძილზე სამშობლო ქვეყნის სამსახურში დალიეს დღეები.

სახელგანი იყო მათი საერთო გზა. და ქართველმა ხალხმა მათი ნათელი სახეები შემოსა უგულოთადესი სიყვარულით.

ვამთარებთ რა ილიას სტუდენტობის დროის მიმოხილვას, აქ ორიოდვე სიტყვა ილიას ყოფა-ცხოვრების შესახებ სტუდენტობის ხანაში.

ილია სტუდენტობის დროს, როგორც ირკვევა, დიდ სიღარიბეს განიცდიდა. ეს ჩანს ილიას წერილებიდან.

ამ ღარიბული ცხოვრების შედეგი იყო, რომ ილია, ბუნებით ჯანმრთელი აღმოიჩინა, ავად გამხდარა მეორე კურსზე ყოფნის დროს, 1859 წელს; მას ქლეკის ნიშნები გამოსჩენია და სისხლს იღებდა.

ექიმის მოწმობაში, რომელიც ვაცემულია ილიას სახელზე 1859 წელს 10 ივნისის თარიღით, აღნიშნულია:

„... Он был пользован мною от кровохаркания в продолжении мая месяца 1859 года... Для окончательного излечения болезни необходимо пользоваться в продолжении лета благоприятным южным климатом...“²

უნდა ვიცოდეთ, რომ 50-იან — 60-იან წლებში, როდესაც რუსეთსა და საქართველოს ჯერ კიდევ არ აერთებდა რკინიგზა, მიმოსვლა პეტერბურგიდან

¹ იხ. ნ. ნიკოლაძე, რჩეული ნაწერები, I, 1931 წ., გვ. 76.

² იხ. ლიტერატურული მემკვიდრეობა, I, 1935 წ., გვ. 561.

თბილისამდე დაახლოებით თვე, თვე-ნახევარს მოითხოვდა. ამიტომ პეტერბურგის ქართველი სტუდენტები პირველ კურსიდან მოკიდებული ვიდრე სწავლის დამთავრებამდე ჩვეულებრივ რუსეთში რჩებოდნენ, რასაც აგრძელებდნენ დროს ჩამოსვლა და უკან დაბრუნება საძნელო იყო, — მარტო 3-4 აქეთ და იქით ორ-სამ თვემდე დროს მოითხოვდა.

ამით იყო გამოწვეული, რომ ილია 1857 წლის ზაფხულიდან მოკიდებული ვიდრე 1859 წლის ზაფხულამდე რუსეთში იმყოფებოდა. მაგრამ 1859 წელს ილია ავადმყოფობის გამო დროებით ჩამობრუნდა საქართველოში. ზაფხული და შემოდგომის დასაწყისი მან საქართველოში გაატარა. ილია ისევ გაბრუნდა რუსეთში 1859 წლის შემოდგომაზე.

ილიამ 1860 — 1861 წლებში მოისმინა მეოთხე კურსის ლექციები. მაგრამ ილია აღარ დაუტოვია სავანის ჩასაბარებლად; 1861 წლის ზაფხულზე ილია წამოვიდა საქართველოში, ჩანს ისევ ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო.

ილია ჩამოვიდა თბილისში 1861 წლის მაისში. ზაფხული და შემოდგომის დასაწყისი ილიამ თბილისში და კახეთში გაატარა¹.

ილია რუსეთში ჯერ კიდევ არ გაბრუნებულიყო დარჩენილი სავანების ჩასაბარებლად და უნივერსიტეტის დასამთავრებლად, რომ პეტერბურგის უნივერსიტეტში სტუდენტთა არეულობა დაიწყო 1861 წლის სექტემბერს.

25 სექტემბერსათვის შეწყდა ლექციების კითხვა და უნივერსიტეტის კარები დაკეტეს.

ნიკო ნიკოლაძე, რომელიც ამ დროს პეტერბურგის უნივერსიტეტში სწავლობდა და მონაწილეობას იღებდა სტუდენტთა ამ მოძრაობაში, წერს თავის მოგონებებში:

„ხელმწიფე ამ დროს საქართველოში იმყოფებოდა... იგი სტუმრად იყო ფელდმარშალთან თავად ა. ი. ბარიატინსკისთან. პეტერბურგის მთავრობა, სამხედრო გენერალ-გუბერნატორი ანენკოვი და ობერ-პოლიციისტი გენერალი პატკული ვერ შედავდნენ უიმისოდ რაიმე სასტიკი ზომების მიღებას... ამიტომ, სანამ ხელმწიფესთან მიაღწევდა მოხსენება სტუდენტობის არეულობის შესახებ (მასინ რუსეთსა და კავკასიას შორის ტელეგრაფი არ იყო) — და შემდეგ მისგან მოვიდოდა მითითებანი, რა ღონე ემზარათ ჩვენს საწინააღმდეგოდ, — ორ კვირაზე მეტმა დრომ გაიარა... პოლიციისა და სამოსწავლო მთავრობის სრული უშოკმედობის გამო ჩვენ ყოველდღე ეიკრიბებოდით, ვიგებდით ახალ ამბებს, უმთავრესად დამე დატუსაღებულთა შესახებ, — ვუზიარებდით ერთმანეთს აღშფოთებას... უნდა ვიფიქროთ, რომ როცა ამიერკავკასიაში მივიდა მეფესთან მოხსენება სტუდენტობის არეულობის შესახებ, კავკასიის დამპყრობმა ბარიატინსკემ, რომელიც პირადი და საყვარელი მეგობარი იყო ალექსანდრე II-სი, ურჩია მეფეს არეულობის დაუყოვნებლივ მოსპობა. იყო ეს მისი რჩევით თუ არა, მხოლოდ ამგვარი ბრძანება მართლაც მიღებულ იქნა“².

ბრძანების მიღების შემდეგ დაიწყო რეპრესიები.

12 ოქტომბერს გადააყენეს უნივერსიტეტის რექტორი პლეტნევი; უნივერსიტეტიდან დათხოვნილ იქმნენ პროგრესული მიმართულების პროფესორები სპასოვიჩი, კველინი, შიპინი, სტასიულევიჩი, უტინი. ამავე დღეს უნივერსიტეტიდან ვარიცხეს სტუდენტები, რომლებიც მიჩნეული იყვნენ არეულობის ორგანიზატორებად და მთავარ მონაწილეებად.

¹ თარიღები ირკვევა ილიას ნაწერების სათარაო მონაწერებიდან. ილიას წერილს „პასუხი“ მოწერილი აქვს: „14 მაისი 1861 წელი, თბილისი“. ლექსს „მას აქეთ რაი“ მოწერილი აქვს: „1861 წელი, 6 ავისტო“. ლექსს „ჩემო კალამო“ მოწერილი აქვს: „1861 წელი, ოქტომბერი, ყვარული“. — თარიღების შესამოწმებლად მნიშვნელობა აქვს აგრეთვე ნიკო ნიკოლაძის ჩვენებას: როდესაც ნ. ნიკოლაძე პეტერბურგში ჩასულა 1861 წლის 9 მაისს, ილია ამ დროს უკვე წამოსული ყოფილა საქართველოში (იხ. ნ. ნიკოლაძე, რჩეული ნაწერები, I, 1931 წ., 35, 63, 67, 92, 94).

² იხ. ნ. ნიკოლაძე, რჩეული ნაწერები, I, 1931 წ., გვ. 106 — 107.

აქ აღსანიშნავია შემდეგი. ილია 1861 წლის სექტემბერსა და ოქტომბერში, როგორც მოვიხსენეთ, საქართველოში იმყოფებოდა¹ და სტუდენტთა არეულობაში მას მონაწილეობა არ მიუღია, ასე რომ თითქოს არავითარი საბუთი არ არსებობდა, ილიას უნივერსიტეტიდან დათხოვნისათვის. მიუხედავად ამისა ილია მაინც გამოურიცხავთ უნივერსიტეტიდან. ამრიგად ილიას მიმართ განსაკუთრებული ზომა მიუღიათ. აშკარაა ამის მიხედვით, რომ ილია აღრიდანვე იმყოფებოდა პოლიციის საიდუმლო განყოფილების მეთვალყურეობის ქვეშ, როგორც „არაკეთილსამედო“ პირი.

ხელისუფლებამ, ჩანს, კარგად იცოდა, რომ ილია იყო მეთაური და იდეური ხელმძღვანელი ქართველ სტუდენტთა წრისა; ხელისუფლებისათვის უცნობი არ დარჩენილა ის კრებები ქართველი სტუდენტებისა — ილიას ხელმძღვანელობით, სადაც (როგორც ეს ჩანს კ. აფხაზის მოგონებებიდან) მსჯელობის საგანი იყო ხოლმე „სახოვადო კითხვები“ და „ჩვენი დაბეჩავებული სამშობლოს მომავალი“.

აქ საჭიროა აღვნიშნოთ ამასთან, რომ დღემდე არ იყო დადგენილი ეს ფაქტი, რომ ილია გამორიცხული იყო უნივერსიტეტიდან; გავრცელებული იყო შეხედულება, რომ ვითომც ილიამ თვითონ გააჩნება თავი უნივერსიტეტს მეთონე კურსზე ყოფნის დროს.

რომ ილიამ არა თვით დაანება თავი უნივერსიტეტს, არამედ იგი გამოურიცხავთ უნივერსიტეტიდან სტუდენტთა არეულობასთან დაკავშირებით, ეს ირკვევა შემდეგის მიხედვით:

1. ბიოგრაფიულ ცნობაში ილია ჭავჭავაძის შესახებ, რომელიც მოთავსებულია კრებულში „Государственный совет, 1906 — 1907 г.г.“ (ილია, როგორც ცნობილია, 1906 — 1907 წლებში სახელმწიფო საბჭოს წევრი იყო და თვით ეს კრებული ილიას დროს გამოქვეყნდა), — ნათქვამია:

„... Кн. И. Г. Чавчавадзе родился в 1837 г. Был в Петербургском Университете на камеральном отделении юридического факультета, но университета не окончил по независящим от него обстоятельствам“ (ხაზი ჩვენია) 2.

2. უნივერსიტეტიდან გამორიცხულები 1861 წელს ღებულობდნენ უნივერსიტეტის მოწმობას მათ მიერ მოსმენილი კურსის შესახებ — ერთნაირი ტრაფარეტი, — 1861 წლის 12 ოქტომბრის თარიღით.

ასეთი მოწმობა, რომელიც მიუციათ სტუდენტთა არეულობაში მონაწილისა და უნივერსიტეტიდან გამორიცხულის ნიკო ნიკოლაძისათვის, შენახულა ნიკო ნიკოლაძის პირად არქივში (რომელიც ამჟამად თბილისის საჯარო ბიბლიოთეკაშია დაცული).

სწორედ ამავე ტრაფარეტს წარმოადგენს ილიას მოწმობაც, რომელსაც უნის იგივე თარიღი, 1861 წლის 12 ოქტომბერი 3.

ეს თარიღი, რომელიც აღნიშნულია ილია ჭავჭავაძისა და ნიკო ნიკოლაძის მოწმობებში — 1861 წლის 12 ოქტომბერი — არის სწორედ ის რიცხვი, როდესაც, როგორც მოვიხსენეთ, უნივერსიტეტიდან დათხოვეს რექტორი პლეტნევი და მთელი წყება პროფესორებისა და გარიცხეს არეულობაში მონაწილე სტუდენტობა.

ასე დასრულდა ილიას სტუდენტობის ხანა.

(გაგრძელება იქნება)

¹ იხ. გვ. 146, შენიშვნა 1.

² იხ. კრებული Государственный Совет, 1906 — 1907 г.г., გვ. 199.

³ იხ. ლიტერატურული მემკვიდრეობა, I, 1935 წ., გვ. 562. რომ აქ საქმე გვაქვს ტრაფარეტთან, ეს ჩანს, სხვას რომ თავი დაეხებოთ, იმის მიხედვითაც, რომ ილია 1861 წლის ოქტომბერში, როგორც მოვიხსენეთ, იმყოფებოდა არა პეტერბურგში, არამედ საქართველოში.

ერთი თარგმანის გავრცელება

„ერთი ბეწო შებრალება არა ჰქონია იმის მთარგმნელს — არც იმისი, რაც უთარგმნია, არც თავისვე ამორჩეული პოეტისა, არც ხელოვნებისა, არც თავის მშობლიურ ენისა“.

ილია ჭავჭავაძე



ენის სიწმინდისათვის ყოველთვის იბრძოდა მოწინავე მწერლობა. მაგრამ საბჭოთა სინამდვილეში ამ ბრძოლას განსაკუთრებული შინაარსი და მნიშვნელობა ენიჭება. ბრძოლა ენის სრულყოფისათვის საბჭოთა კულტურისა და ადამიანთა ახალი სოციალისტური ურთიერთობის დიდი შინაგანი მოთხოვნაა.

თბილისის ბოლშევიკების მეოცე პარტიულ კონფერენციაზე ამხანაგ კანდიდ ჩარკვიანმა სტალინის ვენიციური შრომების საფუძველზე ქართულ მწერლობას დაუსახა ნათელი ამოცანა ქართული ენის სიწმინდის დაცვისა და მისი შემდგომი განვითარებისათვის.

ამხანაგი კანდიდ ჩარკვიანი ამბობდა: „საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც საქართველოს პარტიულ ორგანიზაციას სათავეში ჩაუდგა ერთგული სტალინელი ამხანაგი ლავრენტი ბერია, ქართველი ხალხის მეურნეობისა და კულტურის სწრაფ ზრდასთან ერთად მდიდრდებოდა და სრულყოფილი ხდებოდა ქართული ენაც, ამასთან აღდგენილი იქნა მისი განვითარების სწორი ხაზი, რაც დღისახა ჯერ კიდევ ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის და იაკობ გოგებაშვილის დროიდან. ეს ხაზი კვლავაც უნდა გაგრძელდეს“.

ქართული მწერლობის წმინდა მოვალეობაა განუწყვეტლივ იბრძოლოს ამ დიდი ხაზის გაგრძელებისათვის, ერთიანი სალიტერატურო ქართული ენის შემდგომი განვითარებისა და გამდიდრებისათვის, იმ ენისა, რომელმაც მთე-

ლი სისავსით უნდა მიიტანოს ქართველი ხალხის გულამდე და შეგნებამდე კომუნისმის იდეები, დიდი სტალინის იდეები.

ამ საშვილიშვილო საქმეში ქართულ ორიენტირებულ მწერლობასთან ერთად თითქმის თანაბარი როლი ენიჭება თარგმნელ ლიტერატურას.

თარგმანი ყოველი ეროვნული ლიტერატურის დიდი ნაკადია. უიმისოდ არ შეიძლება განვითარდეს არც ერთი ხალხის ლიტერატურა. ამიტომ ცხადია, თუ რა დიდი პასუხისმგებლობა ეკისრება იმ ადამიანს, ვინც კულტურის ამ ასპარეზზე მოღვაწეობს.

ქართულ მწერლობას თარგმანის ბრწყინვალე ტრადიცია მოსდევს. ჩვენ არ ჩამოვთვლით აქ ქართული თარგმანის ძველ ძეგლებს, რომლებიც დღესაც აწვევდნენ მკითხველს უზადლო ოსტატობითა და ქართული სიტყვის დიდი შინაგანი ენერჯით.

თარგმანის ხელოვნება საქართველოში დიდად განვითარეს და განამტკიცეს ქართული მხატვრული სიტყვის ისეთმა გოლიათებმა, როგორც იყვნენ ილია, აკაკი და ივანე მაჩაბელი. თარგმანის დარგში მათ გზას მიჰყვებოდნენ გრ. ყიფშიძე, ნ. ავალიშვილი, ი. ახალშენიშვილი ივ. მაკავაძე, ილია აღლაძე, ი. ბაქრაძე და სხვები, რომლებმაც არა ერთი და ორი კარგი თარგმანი შესძინეს ქართულ ლიტერატურას.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ამ საქმეს დიდი სარბიელი მიეცა. ახლა ქართულ ენაზე ითარგმნება არა ერთი და ორი წიგნი, არამედ თითქმის ყველაფერი,

რაც კი საუკეთესო რამ მოიპოვება დიდ რუსულსა და უცხოურ ლიტერატურაში.

ვისაც წაუციტხავს პუშკინის, ლერ-მონტოვის, ტოლსტოის, ტურგენევის, გოგოლის, გორკის, შოლოხოვის, შექსპირის, სტენდალის, ბალზაკის, დიკენსის, ანატოლ ფრანსის, მოპსანის, „ტრისტან და იზოლდას“ „ნიბელუნგების“ და სხვათა ქართული თარგმანები, შესრულებული დიდი სიყვარულით, მისთვის გასაგები იქნება, თუ რა დიდი ცოდნა და გემოვნება არის საქირო, რომ რუსული ან ფრანგული წიგნი იმავე ძალით ამღერდეს ქართულად, როგორითაც ის მღერის დედაენაზე.

ჩვენ გვყავს მწერალ-მთარგმნელთა საკმაოდ ძლიერი კადრი. მაგრამ უნდა ითქვას, ეს კადრიც ვერ აკმაყოფილებს ჩვენი სოციალისტური კულტურის დიდ მოთხოვნილებებს.

ამავე დროს ჩვენი გამოცემლობანი ნაკლებად ზრუნავენ მთარგმნელთა ახალი კადრის შექმნისათვის. კიდევ მეტი: ნაცვლად იმისა, რომ ამ საქმისათვის გულმოდგინედ შეაჩიონ და მოაზნადონ შესაფერი ადამიანები, ზოგჯერ ესა თუ ის გამოცემლობა მხატვრული წიგნის თარგმანს ანდობს ისეთ პირებს, რომელთაც ამისათვის არაფერიათარი ცოდნა და გამოცდილება არ გააჩნიათ.

მხატვრული წიგნის თარგმნა შემოქმედებითი პროცესია. შეიძლება ითქვას, რომ კარგი თარგმანი მთარგმნელისა და ავტორის დიდი სულიერი ნათესაობის შედეგია. სადაც ეს არ არის, იქ, უკეთეს შემთხვევაში, შეიძლება იყოს კარგი ხელოსნობა და არა ნამდვილი შემოქმედება.

თარგმანისათვის, ისე როგორც ყოველი მხატვრული ნაწარმოებისათვის, საჭიროა შთაგონება, გატაცება.

ლექსიკონების ფურცელა და ცალკეული სიტყვების ძებნა შთაგონებას ვერ შეცვლის.

შეცდომისა და წაცდენილი ფრაზისაგან არცერთი თარგმანი არ არის დაზღვეული. შეცდომა ყოველ თარგმანში შეიძლება მოინახოს. მაგრამ ცალკეული შეცდომა, არასწორად მობრუნებული სიტყვა ან საღმე უნებლიეთ დაყრუებული სტრიქონი, რა თქმა უნდა, არ

განსაზღვრავს თარგმანის ავტორების ნობას.

თუ მთარგმნელმა შესძლო და აულო აულო ნაწარმოების მხატვრულ სტრუქტურას, მისი სახეების წყობას, თუ იგი მოიქცა ამ წყობის რიტმში და თარგმანში დედანის სუნთქვა გადმოაქვს, მაშინ მიზანი მიღწეულია და თითო-ოროლა შეცდომას არსებითი მნიშვნელობა არა აქვს.

სახელმწიფო გამოცემლობამ გასულ წელს ქართულ ენაზე გამოსცა ცნობილი რუსი მწერლის ს. ბაბაევსკის რომანი „ოქროს ვარსკვლავის კავალერი“. რომანი თარგმნა ამხ. გ. იაბალოვმა. ეს თარგმანი წარმოადგენს იმის ტაბიურ ნიმუშს, თუ როგორ არ უნდა ითარგმნოს მხატვრული წიგნი. აქ გათელილია მხატვრული ლიტერატურის თარგმნის ყველა სწორი და ნაცადი წესი. ამ თარგმანში თითქმის ყოველი წინადადება ყელზე დამდგარ ლექსისავით აწუხებს კაცს; სახეებით დარღვეულია ნაწარმოების მხატვრული ქსოვილი, ამავე დროს საოცრად დამახინჯებულია რუსული ტექსტის აზრიც. უმეტეს შემთხვევაში, მთარგმნელი თარგმნის მხოლოდ სიტყვებს და არა აზრს, სურათს, სახეს. მისი ფრაზა შედგენილია ერთიმეორეზე მექანიკურად, უსულგულოდ გადაბმული სიტყვებისაგან. ამიტომ თარგმანში სიტყვები არ ცოცხლობენ.

აი, ამის მაგალითებიც: რუსულად სწერია:

«Так отраднo было вдвоем... видеть то площадь, то шапки грачных гнезд на тополях, то улочку, идущую к выгону...¹ В станице начиналась перекличка зоревых петухов, повеяло свежестью разгулявшегося ветерка, а дорога еще далека и птичник еще не виден за Вербул-д-грой...»

ქართულად სწერია:

„ასე სასიამოვნო იყო მათთვის... ხან მოედნის, ხან კანდარზე ბუდეებისა და ხან საბალახოდ მიმავალი ხბოს დანახვა... სტანიცაში მამლების ვანთიადის გადაძახება იწყებოდა, ამოვარდნილი ნიავის

¹ ხაზი ყველგან ჩვენია. ავტ.

სიგრილემ დაპბერა, ვზა კი ჯერ გრძე-
ლი იყო და აქლემ ამთის იქით
საფრინველემ მოსჩანდა...“
(გვ. 285).²

განვიზილოთ რამდენად სწორად გად-
მოგვეცემს ეს წინადადება დედნის ში-
ნარს და რამდენად გამართულია იგი
ქართულად.

„видеть... улочку, идущую к выго-
ну“ მთარგმნელმა უეცრობისა თუ სხვა
რამ მიზეზის გამო თარგმნა ასე: „საბა-
ლახოდ მიმავალი ხბოს დანახვა“. რო-
გორც ვხედავთ, საძოვრისაკენ მიმავალ
პატარა ქუჩა (улочку), ვინდ შუკა
ან ორლობე, მთარგმნელის ხელში იქცა
„საბალახოდ მიმავალ ხბოდ“.

ასევე არასწორად არის თარგმნი-
ლი... „птичник еще не виден...“

გარდა ამისა, რას ნიშნავს „მამლების
განთიადის გადაძახება“ ან რა ქართუ-
ლია „ამოვარდნილი ნიავის სიგრილემ
დაპბერა“? როგორც ვიცით, ამოვარ-
დება ქარი, ქარიშხალი და არა ნიავე;
დაუბერავს გრილი ნიავე და არა ნიავის
სიგრილე.

რომანის ერთ-ერთი გმირი — თედო-
რე ლუქას-ძე სიამაყით მოიგონებს
ხოლმე კახაკობის გმირულ ტრადიცი-
ებს. ოქროს ვარსკვლავის კავალერის —
ტუტაროვის დამბრუნების აღსანიშნა-
ვად გამართულ ნადიმზე თედორე ლუ-
ქას-ძე ამბობს სადღეგრძელოს.

«А сегодня, в такой торжественный
момент, да еще в присутствии молодо-
го казака-героя, он с особенным удо-
вольствием оседлал своего
надежного конька».

აქ წინადადებას მთარგმნელი ასე
„აქეთებს“:

„ღუეს კი, ასეთ საზეიმო მომენტში,
თანაც ახალგაზრდა გმირი-კახაკის თან-
დასწრებით, იგი განსაკუთრებული
კმაყოფილებით კაზმავე და
თავის საიმედო მერანს“
(გვ. 19).

მკითხველი გაოცებულია, სად სად-
ღეგრძელო და სად მერნის შეკახვა!

როგორც ვხედავთ, მთარგმნელს წარ-
მოუდგენაც არა აქვს ილიომებზე. ამიტომ
ხშირად მისი თარგმანი უაზროა.

რუსულ ილიომს: „оседлал своего
любимого конька“ მთარგმნელი ასე
გადმოგვეცემს: „კაზმავედა...თავის...საიმე-
დო მერანს“.

ილიომების ცოდნას რომ თავი დაე-
ნებოთ, მთარგმნელი ისედაც უნდა მიხ-
ვედრილიყო, რომ სადღეგრძელოს წარ-
მოთქმის დროს თედორე ლუქას-ძეს
არავითარი მერნის შეკახვა არ შეეძ-
ლო, იგი მხოლოდ განსაკუთრებული
კმაყოფილებით ლაპარაკობდა თავის
საყვარელ სივანზე, ე. ი. კახაკთა გმი-
რობაზე.

შემდეგ:
ავტორი თავის სიტყვებით გადმოგვ-
ცემს თედორე ლუქას-ძის სიტყვის
შინაარსს:

«От Запорожской Сечи
проехал прямую дорогу к кочубеевским
походам, затем обратился к Оте-
чественной войне...»

მთარგმნელი წერს:

„მან პირდაპირი ხაზი გაავლო ზა-
პოროჟიეს კორომიდან — კო-
ჩუბეის ლაშქრობამდე შემდეგ სამამუ-
ლო ომს დაუბრუნდა...“ (გვ. 19).

აქ კი უმეცრება ყოველგვარ საზღ-
ვარს სცილდება. საშუალო სკოლის
მოსწავლეამც კი იცის, რომ **Запорож-
ская Сечь** ძველ დროში ზაპოროჟიეს
კახაკთა საზოგადოებას ეწოდებოდა.

რომელ ლექსიკონში, რომელ ისტო-
რიულ ქრონიკაში ამოიკითხა მთარგმ-
ნელმა, რომ „Запорожская Сечь“ —
„ზაპოროჟიეს პორომია“ (porog)?

დედანში თედორე ლუქას-ძე „ზაპო-
როჟიეს სენის“ გმირულ ტრადიციებს
პირდაპირ უტყავს ირებს კონიუბების ლაშ-
ქრობას და შემდეგ სამამულო ომს ეხე-
ბა და არა „უბრუნდება“ (მთარგმნელს
„обратился“ „დაუბრუნდა“ ჰგონია).

იქნებ ვინმემ იფიქროს, რომ **улочка**
შემთხვევით არის ნათარგმნი ხბოდ, ან
Запорожская Сечь — ზაპოროჟიეს კო-
რომალი!

არა, მთარგმნელმა მართლაც არ
იცის რუსული ენა, რადგან მთელი წიგ-
ნი სავსეა ასეთი შეცდომებით.

მაგალითად:
რუსულად სწერია:

«Семен ушел к Кубани умы-
ться и посмотреть на реку».

ქართულად სწერია:

² ფრჩხილებში ყველგან ნაჩვენებია რომანის
ქართული გამოცემის გვერდები.

„სემიონი ყუბანში ჩავიდა; ბანაობდა და ათვლიერებდა მდინარეს“ (გვ. 12).

საიდან სადაო? ნუ თუ ასეთი წიგნის მთარგმნელმა არ უნდა იცოდეს, რომ

უმყვარეს ქართულად პირის დაბანას ნიშნავს და არა მდინარეში ბანაობას. მაგრამ განა ერთხელ! მთარგმნელმა ის კაცი მეორეჯერ ჩაიყვანა მდინარეში ტანის დასაბანად, თუმცა დედნის მიხედვით სემიონს ახლაც მხოლოდ პირის დაბანა უნდოდა:

«Пошел с ним умываться к реке».

„მასთან ერთად მდინარეზე წავიდა საბანაოდ“ (გვ. 30).

რუსულად სწერია:

«Были тут и молодые вдовушки»

ქართულად სწერია:

„აქ იყვნენ ახალგაზრდა ქალშვილებიც“ (გვ. 17).

რუსულად სწერია:

«Любовались... стежкой бровей...»

ქართულად სწერია:

„სტკებოდა... ხუჭუჭა წარბების შეხებით“ (გვ. 27).

ჯერ ერთი, **стежка** არ ნიშნავს ხუჭუჭას; მეორეც — ვის უნახავს ხუჭუჭა წარბები; მესამე — საიდან მოიტანა მთარგმნელმა „შეხება“, როდესაც დედანში ამგვარი არაფერია.

რუსულად სწერია:

«Пел скворец...»

ქართულად სწერია:

„ტოროლა გალობდა“ (გვ. 29).

რუსულად სწერია:

«Врички стояли под навесом».

ქართულად სწერია:

„ურამები საფარქვეშ ეწყობ“ (გვ. 33).

Навес ფარდულია და არა საფარი. მერე, რა ქართულია „ურამები... ეწყობ“?

რუსულად სწერია:

«Артамашов подсел к Сергею».

ქართულად სწერია:

„არტამაშოვი მივიდა სერგეისთან“ (გვ. 38).

მთარგმნელმა თითქოს დიდი არაფერი დაამავა, ერთი მოძრაობა მეორეთი შესცვალა. მაგრამ ამ შემთხვევაში არტამაშოვს არ შეეძლო სერგეისთან მისვლა, იგი იქვე იდგა. და როდესაც მთარგმნელმა მოქმედ პირის ასე თვითნებურად შეუცვალა მოძრაობა, ამით დამახინჯდა აზრიც და სურათის პლასტიკურობაც.

რუსულად სწერია:

«Дурачком прикидывается».

ქართულად სწერია:

„თავს ისაყულებს“ (გვ. 38).

რუსულად სწერია:

«Бронзовые колени»

ქართულად სწერია:

„სპილენძის ფერი მუხლები“ (გვ. 9).

Бронза არ არის სპილენძი!

რუსულად სწერია:

«Курлилась сизовой пылью»

ქართულად სწერია:

„ტყვიის ფერ მტვერს აყენებდნენ“.

მთარგმნელმა არ იცის, რომ ტყვიისფერი და მუქი იისფერი სხვადასხვა ფერია.

«Кубань не точила каменные берега»

„ყუბანი... არ აგვირისტებდა ქვიან ნაპირებს“ (გვ. 15).

რა დაინახოს მკითხველმა? განა **точила** „აგვირისტებდა“-ს ნიშნავს?

რუსულად სწერია:

«Она видела всех своих детей, стоявших перед ней лесенкой».

— Сергей был предпоследней ступенькой. Он родился девятым».

მთარგმნელი სწერს:

„ის ხედავდა ყველა თავის შვილებს, რომლებიც მის წინ

ნორჩ ტყესავით იდგნენ, — სერგეი მათ შორის ბოლო-

დან მეორე იყო. იგი მეცხრე დაიბადა“ (გვ. 27).

მთარგმნელს გაუგონია, **лес** ტყე არისო, მაშასადამე **лесенка** ნორჩი ტყე იქნებაო, და თავისი უმცირების გამო აგტორს ისეთი რამ მიაწერა, რაც მას ფიქრადაც არ მოსვლია.

Лесенка კიბეა (ყინობითი სახ.) და არა ნორჩი ტყე. დედამთავისი შვილები

კიბის საფეხურებივით წარმოიდგინა, — სწორედ ამიტომ სწერს ავტორი „Сергей был предпоследней ступенькой“.

მაგრამ მთარგმნელმა საფეხური (**ступенька**) გამოტოვა, რადგან ტყეს საფეხური არ მიესადაგა. გარდა ამისა, ქარ-

თულად არ ითქმის „ყველა თავის შვილებს“ ან „იგი მეცხრე დაიბადა“.

«Подцелив внакой... половину гусака».

„ბატკნის ხორცის ნაჭერს ჩანგალი ჩაარქო (გვ. 19).“

მთარგმნელის „სასახელოდ“ უნდა ითქვას, რომ იგი მეტად თანამიმდევარია თავის „სასწაულებში“: თუ წყნად ქვერივი ქალები ქალიშვილებად გარდაქმნა, შოშია ტოროლად აქცია, კიბე — ტყედ, ახლა რა დაშავდა, რომ ბატკნის ხორცი ბატკნის ხორცად გაასალა.

«Каленные орехи».

„თხილის ნაკუჭი“.

აქაც, როგორც ვხედავთ, მოხალული თხილი — თხილის ნაკუჭად იქცა.

«Добротные сапоги».

„ქრომის ჩექმები“

«...увидел трогательную картину».

„...საინტერესო სურათი დაინახა“ (გვ. 20).

ქალიშვილი ურემზე დგას და ხარებს მიერეკება. ავტორი სწერს:

«Девушка поставила одну ногу на грядку, помахивая батошкой».

მთარგმნელი სწერს:

„ქალიშვილმა ცალი ფეხი კვალზე დადგა და შოლტი მოიქნია“ (გვ. 9).

ნუ თუ ძნელი მისახვედრია, რომ ურემზე არავითარი კვალი არ შეიძლება იყოს. Грядка ამ შემთხვევაში ურმის ნაწილია (ხელნა ან ლატანი) და არა კვალი.

რუსულად სწერია:

«...гора, с острой, как шпиль колокольни, вершиной».

მთარგმნელი სწერს:

„...მთა, სამრეკლოს ოწინარი ივიით მახვილი მწვერვალით“ (გვ. 213).

ვის უნახავს სამრეკლოს ოწინარი ან ოწინარივით მახვილი მწვერვალი?..

რა სურათი უნდა წარმოიდგინოს მკითხველმა ამ თარგმანის მიხედვით.

«Рубцов-Емницкий смущенно улынулся».

„რუბცოვ-ემნიცკიმ ცბიერად გაიღიმა“ (გვ. 265).

შემკრთალი, შემფოთებული ღიმილი მთარგმნელმა რატომღაც ცბიერ (Коварно) ღიმილად აქცია და ხელის ერთი

მოსმით სრულიად შესცვალა გმირის ფსიქოლოგიური პორტრეტი.

«Он молча, с достоинством протянул руку Сергею».

„იგი სდუმდა, მედიდურად ხელი გაუწოდა სერგეის“ (გვ. 265).

დააკვირდით ქართულ თარგმანს, როგორ არის დარღვეული და გაყალბებული სურათის მხატვრული კსოვილი. რა შუაშია აქ „იგი სდუმდა“ ან „მედიდურად“? ავტორი ლაპარაკობს, ხოხლაკოვმა სერგეის ხელი უსიტყვოდ, ღირსეულად გაუწოდაო.

«Сухо ответил Виктор».

„წყნარად უპასუხა ვიქტორმა“ (გვ. 279).

«Синходительно-ласково проговорил Виктор».

„მედიდური ალერსით ჩაილაპარაკა ვიქტორმა“ (გვ. 280).

«...сказала она, о зорно посмотрев на Ирину».

„...უთხრა მან და ამაყად გადახედა ირინას“ (გვ. 281).

«А Савва, оставшись у ворот, еще долго смотрел им вслед»

„საბა კიშკართან დარჩა, დიდხანს გასცქეროდა მათ კვალს“ (გვ. 284).

Смотреть вслед ნიშნავს თვალის გაყოლებას, მთარგმნელს კი вслед კვალი (след) ჰგონია.

«Перед ним лежала степь белая и холодная».

„მის წინ თეთრი და აშლილი სტეპი იყო გადაქიმული“ (გვ. 369)

„Холодная степь“ „აშლილი (!) სტეპია“?

რა არის ეს? სრული უცოდინარობა ქართული და რუსული ენისა, თუ მკითხველის აბუჩად ავღება?

არამც თუ პეიზაჟი, კოლორიტი, ნივთიერი გარემო და პერსონაჟთა პორტრეტები გააყალბა მთარგმნელმა, არამედ რატომღაც კოლმეურნეობას სახელიც კი შეუცვალა: «Светлый путь» „ნათელ სხივად“ აქცია (გვ. 320).

ახლა ვნახოთ, როგორ გადმოაქვს მთარგმნელს დიალოგი.

რომანის მთავარი გმირი სერგეი ტუტარინოვი უცნობ ქალიშვილს სთხოვს, შენი სახელი მითხარო. ქალიშვილი უარს ეუბნება:

«— Так и не скажешь?»

— А зачем?»

— Я буду помнить о тебе!»

მთარგმნელი ამ უბრალო დიალოგს ასე თარგმნის:

— „მაშ არ იტყვი?“

— რა საჭიროა?»

— მე კი შენ არ დაგვივიწყებ!» (გვ. 15).

თარგმანში დარღვეულია დიალოგის მხატვრული ქსოვილი, მისი ბუნებრივი წყობა. სერგეის უკანასკნელ რეპლიკას („მე კი შენ არ დაგვივიწყებ“) არაერთაბრი ლოგიკური კავშირი არა აქვს ქალიშვილის კითხვასთან, „რა საჭიროა“ ჩემი სახელი იცოდეთო.

რუსულად სწერია:

«Визу, воевал ты здорово, а в мирных делах ничерта не смыслишь».

მთარგმნელი სწერს:

„როგორც ჩანს, შენ კარგად იბრძოდით, მაგრამ მშვიდობიანობის საქითხებში სრულიად ვერ ერკვეით“ (გვ. 39).

აქ რომანის გმირი მშვიდობიან ცხოვრებაზე ლაპარაკობს და არა მშვიდობიანობის საკითხებზე.

«Словами не выразишь».

„მთლიანად ვერ გამოხატავ“ (გვ. 187).

«Мне начинает нравиться Кубань».

„ყუბანის მოწონებას ვიწყებ“ (გვ. 187).

როგორც ვხედავთ, მთარგმნელი სრულიად ვერ გრძნობს ქართული სასაუბრო ენის ხასიათს, მის მოქნილობას. ერთმანეთზე ასე უსულგულოდ მიყრილი სიტყვებით ვაზა შეიძლება ცოცხალი დიალოგის შექმნა?

კიდევ რამდენიმე მაგალითი: ომიდან დაბრუნებულ ვაჟს მამა ეუბნება:

«Ну, здравствуй, сыну!».

ამ უბრალო ფრაზას მთარგმნელი ასე „ქართულდება“:

„აი, გამარჯობა შეილო!“

რას ნიშნავს ეს „აი“? ასე რომელი მამა მიმართავს დიდიხნის უნახავ შეილს?

რომანის ერთი გმირი ეუბნება მეორეს:

«Скромность — штука хорошая, она украшает героя...»

„მორცხვობა კარგი საქმეა, ის შევნიშნავ გმირს“ (გვ. 38).

Скромность არის თავდაბლობა, მოკრძალება და არა მორცხვობა (стыдливость). სხვას რომ თავი დაეანებოთ, ჩვენში ვინ არ იცის ცნობილი ფრთხილი ფრაზა: „Скромность украшает большевика“. ნუთუ აქ მორცხვობაზეა ლაპარაკი?

«А ты будешь лежать!»

„შენ კი იწოლები“

რა არის ეს „იწოლები“? შეიძლება ვინის ასე გაუახიროება?

მთარგმნელს ისე შექანიკურად გადამოაქვს ქართულად ცალკეული სიტყვები, რომ სრულიად უბრალო ფრაზა „Как знать“ სთარგმნა „როგორ გაიგვოს?..“ (გვ. 22). უნდა იყოს „ვინ იცის“, ამ თითქოს პატარა „გაუგებრობამ“ აზრი გამოაცალა ტუტარინოვის შინაგან მონოლოგს რომანის მესამე თავის დასაწყისში.

რუსულად სწერია:

«Но уезжать Сергею не хотелось. Чего доброго, старик мог подумать, что Сергей и в самом деле на него обиделся».

მთარგმნელი სწერს:

„მაგრამ სერგეის წასვლა არ უნდოდა. სასიკეთო არაფერი გამოვიდოდა, მოხუცს შეეძლო ეფიქრა, რომ სერგეის მართლა გული მოუვიდა მასზე“ (გვ. 35).

ამრიგად, მაშველი ფრაზა „чего доброго“, რომელიც კონტექსტის მიხედვით შეიძლება ითარგმნოს ხან — „ვინ იცის, ხან — „ერთი ცნახოთ“ და სხვა, მთარგმნელმა ვერ გაიგო და ჩვეულებრივად მოჩმახა: „სასიკეთო არაფერი გამოვიდოდა“-ო, რაც რუსულად ასე ითქმის: «Ничего путного не вышло-бы».

რა თქმა უნდა, სასიკეთო არაფერი გამოვა, როდესაც თარგმანი სავსე იქნება ასეთი „მარგალიტებით“.

რუსულად სწერია:

«Непокрытую голову».

მთარგმნელი წერს:

„ლიათავზე“ (გვ. 24).

ღია შეიძლება იყოს კარი, ფანჯარა; ვულიც შეიძლება იყოს ღია (ვთქვათ, ვულღია კაცი); ბოლოსდაბოლოს თავიც

შეიძლება იყოს ღია, მაგრამ ეს დიდი უმეღერებაა კაცისათვის.

ქართული ცუდად იცის იმ კაცმა, რომელმაც თავშიშველის მაგივრად „ღია თავი“ დასწერა.

«Герой! — сердился Тимофей Ильич, — отчаюга».

— «გმირი — ბრაზობდა ტიმოთე ილიასძე, — მამაილა» (გვ. 26).

რა არის ეს „მამაილა“? ასეთი სიტყვა ქართულ ენაზე არ არსებობს. მთარგმნელი არამეტოე ამახინჯებს ღედნის აზრს, არამედ იგონებს „ზაუმურ“ სიტყვებს, რომ ტექსტი შეავსოს. Отчаюга ნაწარმოებია отчаянный-დან და ღედნის კონტექსტში ნიშნავს თავზეხელაღებული, მოხუბარს, დაუდგარს, თავშეუკავებელს...

რუსულად სწერია:

«Основной-то огородишко приусадьбе».

მთარგმნელი სწერს:

„მთავარი ია, რომ ბოსტანი ეზოშია“ (გვ. 36).

ღედანი ამბობს, ძირითადი, მთავარი ბოსტანი კარმიდამოს აკრავსო, მთარგმნელს კი ჰგონია „მთავარია, რომ ბოსტანი ეზოშია“.

რუსულად სწერია:

«Сергей успокаивал жеребца, который приседал на задние ноги и дрожал всем телом».

ქართულად სწერია:

„სერგეი ულავს აშვიდებდა, რომელიც ყალყზე დგებოდა და მთელი სხეულით თრთოდა“ (გვ. 185).

რუსული ტექსტის მიხედვით, როგორც ვხედავთ. ცხენს უკანა ფეხები ეკეცება. ავტორს სხვა სურათის დახატვა რომ განეზრახა, მაშინ იგი იტყოდა „вставал на дыбы“. ასე ამახინჯებს მთარგმნელი თითქმის ყოველ სურათს რომანში. მაგალითად, ავტორი სწერს:

„Кубань текла по широкой пойме“. ეს არის ყუბანის პეიზაჟის არსებითი ნიშანი: მდინარე ყუბანი მიედინება ფართო ვაკეზე. ამ შემთხვევაში ავტორი გულისხმობს ნოღას (пойма) ანუ ისეთ მიწორს, რომელსაც მდინარე ზშირად წალეკავს ხოლმე. მთარგმნელი კი სრულად ასხვაფერებს ყუბანის პეი-

ზავს და სწერს: „ყუბანი ფართო ხეობაში მიედინებოდა“ (გვ. 185).

მთარგმნელი თითქმის ყველაგან ხელს უშლის მკითხველს ნათლად დაინახოს ის ადგილი, სადაც რომანის მოქმედება მიმდინარეობს:

«Какой же странной и неузнаваемой стала знакомая с детских лет речная пойма».

„რა უცნაური და შეუცნობელი გახდა ბავშვობის წლებიდან ნაცნობი მდინარის ხეობა“ (გვ. 175).

«Теперь же пойма была завалена лесом...»

„ახლა კი ხეობა — ხეტყით იყო გაესებული“ (გვ. 275).

«Камень брали в пойме Кубани».

„ქვას ყუბანის ხეობიდან ეზიდებოდნენ“ (გვ. 289).

რუსულად სწერია:

«Сергей поцеловал мать в старчески-мягкую щеку».

მთარგმნელი სწერს:

„სერგეიმ აკოცა ღედას ხნიერ რბილ ლოყაზე“ (გვ. 305)

ხნიერი ლოყა? შეიძლება კაცმა არ იცოდეს, რომ пойма არ არის ხეობა, რომ ბронზა ქართულად ბრინჯაოა და არა სპილენძი, მაგრამ სად, საქართველოს რომელ კუთხეში გაიგონა მთარგმნელმა „ხნიერი ლოყა“ ან ნაბა ცხენი, „რომელიც წვრილად ცმუტავდა ფეხებით“ (გვ. 273). ეს არის ვითომ მთარგმანი შემდეგი რუსული ფრაზისა: «...осаживая жеребца, мелко сменявшего ногами».

სერგეისთან საუბრის დროს ირინამ „ჩრდილში ნაბადი გაავო, ზედ დაჯდა“

„вытянув загорелые ноги“.

მთარგმნელი კი სწერს: „... დაჯდა და მზისაგან დამწვარი ფეხები გაშალა“ (გვ. 12).

უნდა იყოს: ფეხები გამართა (вытянув ноги) და არა გამალა (раздвинула).

«Она приникла лицом к его широкой груди, ощутив мокрой морщинистой щекой гладкий кусочек золота».

„ის მიეყრდნო შეილის განიერ მკერდს, დამწკნარი სახით შეეხებო მთპირკეთებულ ოქროს ნაკერს“ (გვ. 17).

პირდაპირ საოცარია, საიდან მოაქვს მთარგმნელს ისეთი ცნებები, რომლებსაც ღელანთან არავითარი კავშირი არა აქვს: *гладкий* ისე არ ნიშნავს მოპირკეთებას, როგორც *скворец* — ტოროლას.

გარდა ამისა, ღელანში გარკვევით სწერია, რომ მოხუცი ქალი „ოქროს ნაკერს“ ლოყით შეეხო და არა სახით.

სერგეი ტუტარინოვს ძილში ჩაესმა მოტორების ნაცნობი ვულგური. მას მოეჩვენა, თითქოს ტყეში იმყოფება და იქვე დგას მისი ტანკი, ხის ტოტებით შენიღბული.

«*Вот и кучи хвороста поспали, это танки выходили на исходный рубеж.*»

მთარგმნელი სწერს:

„აი, ტოტებიც დაცვივდა; ეს ტანკები გამოვიდნენ საწყისი ზღუდეებიდან“

(გვ. 29).

მთარგმნელმა მოსპო ავტორის მიერ დახატული სურათი: ტოტები კი არ „დაცივიდა“, — წინელის კონები ამოძრავდნენ; „ტანკები საწყისი ზღუდეებიდან კი არ გამოვიდნენ“, არამედ საწყისი ზღუდეებზე გავიდნენ.

«...лошадь, бежавшая ленивой мелкой рысцой».

„...ცხენი, რომელიც ზანტი წვრილი ჩორთით მორბოდა“

(გვ. 31).

რა არის ეს „წვრილი ჩორთი“?

«*Намного уменьшилось число штабелей, всюду валялась содранная кора.*»

„საგარნობლად შემცირდა წყობილთარიცხვი, ყველგან გაცლილი კანის ნამტვრევები ეყარა“ (გვ. 212).

გულებარია, რას ნიშნავს წყობილთარიცხვი ან კანის ნამტვრევები. ხეს ქერქი აქვს და არა კანი.

«*За садами стоят дома — прячутся в зелени улицы.*»

მთარგმნელმა ამ მეტად უბრალო, მარტივი ფრაზის დამახინჯებაც კი მოახერხა. იგი სწერს:

„ზაღებს იქით სახლები მოსჩანს. ქუჩებს სიმწვანე ფარავს“ (გვ. 215). ავტორი ლაპარაკობს, სახლები ქუჩების სიმწვანეში მიმაღულანო, მთარგმნელი კი აქაც

ეურჩება ავტორს და მის მიერ დახატულ სურათს თავის ქეიფზე ასხვადერებს.

«*Знакомый перекат, а жавши и инаискошь, нельзя было узнать.*»

„შეუძლებელი იყო გარდიგარდმო გაშლილ ნაცნობი ჩქერის ცნობა“ (გვ. 220).

როგორ შეიძლება წარმოიდგინოს კაცმა გარდიგარდმო გაშლილი ჩქერი ან სად არის ღელანში ამგვარი რამ? მაგრამ მთარგმნელი სწერს იმას, რაც პირველად თავში მოუვა.

«*Снял с ног Семена согревающий компресс.*»

„სემიონს ფეხებზე გაშახრებელი კომპრესი შეხსნა“ (გვ. 223).

«...приехал к нему.. злой, с опухшим сердитым лицом».

„... ჩამოვიდა მასთან, გაბრაზებული, გასივიებული და გულმოსული“ (გვ. 266).

«...Дорофей запрягал свою выедную пару».

„...ლოროთე თავის სამგზავრო წყვილს აბამდა“ (გვ. 273).

«*Многое он передумал и переживал.*»

„მევრი იფიქრა და გადაიფიქრა“ (გვ. 373).

«*Я отделалю тебе кабинет.*»

„გაგარემონტებ კაბინეტს“ (გვ. 21).

საიდან მოიტანა მთარგმნელმა ეს „რემონტი“, როდესაც ღელანში რუბცოვ-ემნიცი ტუტარინოვს კაბინეტის მორთვის, მოწყობას პირდება და არა შეკეთებას.

«... улыбка, казалось, не сходила с лица и во сне».

„... ლიმილი თითქოს სიზმარშიც არ შორდებოდა სახიდან“ (გვ. 8).

უნდა იყოს ძილში და არა სიზმარში. როგორც ეტყობა, აქ მთარგმნელს „სიზმრის ახსნის“ წიგნი მოუშველებია, თორემ სხვათადაც როგორ გავიგებდა იგი, რომ „ლიმილი თითქოს სიზმარშიც არ შორდებოდა სახიდან“.

ამოწერილი მაგალითებიც საკმარისია იმის ნათელსაყოფად, თუ როგორ არის შესრულებული თარგმანი. მაგრამ

ახლა უფრო მეტად მთარგმნელის ქართულს დაეაკვირდეთ:

«Колхоз не любит бесхозяйственность».

„კოლმეურნეობას არ უყვარს არამეურნეობრივობა“.

მთარგმნელს გაუფიქრია, რომ хозяйство მეურნეობაა, ამიტომ ფიქრობს, бесхозяйственность არამეურნეობრივობა იქნებაო. ქართულში კი ამ ცნების გამოსათქმელად არსებობს შესანიშნავი სიტყვა — უყვართობა.

რუსულად სწერია:

«Спаясь уснуть».

ქართულად სწერია:

„ძილს ძაღლას ატანდა“ (გვ. 287).

„...სუფთად გაპარსულ პირისახიან თავზე უბრალო კეპი ეხურა“ (გვ. 324).

განა შეიძლება კაცმა ასე აწამოს ქართული ენა?

რუსულად სწერია:

«Шли тяжелые волю».

ქართულად სწერია:

„მსხვილი ხარები მოდიოდნენ“ (გვ.).

ქართულად ითქმის: დიდი ხარები.

რუსულად სწერია:

«Крупные, как индюшки, куры».

ქართულად სწერია:

„ინდოურჩივით მსხვილი ქათმები“ (გვ.).

მსხვილი ქათამი?

«Толстая сосна».

„სქელი ფიჭვი“ (გვ. 216).

მკითხველი, ალბათ, შეამჩნევდა, რომ მთარგმნელი საოცრად ურეეს ერთმანეთში ქართულ ეპითეტებს. ფიჭვი შეიძლება იყოს მსხვილი და არა სქელი.

„Толстое бревно“ — ცარის მსხვილი და არა „სქელი მორი“ (გვ. 216).

ასევე „толстая палка“ მსხვილი ჯოხია და არა „სქელი ჯოხი“ (გვ. 265).

«Он похудел»

„იგი შეთხვლდა“.

«Лошади ускорили бег, срываясь в галоп, а Дорочей натягивая вожжи... говорил».

„...ცხენები სირბილს უმატებდნენ, ჩორთი ერეოდათ, დოროთე კი მიიზიდავდა სადა-

ვეებს და... ეუბნებოდა...“ (გვ. 227).

„...ელვარებამდე გაწმენდილ ფოლაქებთან კიტელი...“

„სემიონს ხელახლა დუხვევდა თავს და ცალი ხელი კისერზე მოხვია, მეორით კი მანდს ახვევდა“ (გვ. 222).

„ტაჩანკა შეირბა რბილდრეკადობზე“ (გვ. 227).

„შეიძლება დანახვა... მახვილ, დაკბილულ მწვერვალებისა“ (259).

„უსტრევისკაია „ქროსსამკაულში იჯდა“ (გვ. 259).

„უსტ-ნევისკაია“ სოფელია.

სოფელი იჯდა?

„ირინა შიშით და ალერსიანად შესცქეროდა მას სახეში და უარყოფითად თავი გააქნია“ (გვ. 285).

„ურემზე კი ისხდნენ გრძელცხვირა, ცქვიტვალეებიანი მისი ცოლი ვარია, რომელიც რაღაცით მელიას გავდა, და ვარიას და სონია“ (გვ. 288).

„პკითხა ვარიამ და ჩაფიქრებული მდინარეს გასცქეროდა“ (გვ. 289).

„მივიდა პირსაბანთან და დაბანვა დაიწყა“.

„მას სიამოვნებას გვრიდა... თოვლის ფიფქიანი, მაღალი ფენის ფეხით აშლა“ (გვ. 369).

„მიდი-მოდიოდა ცარიელი და ცხენისა და ხარის დატვირთული ურმები“ (გვ. 369).

„...გაქანებულმა შეარხია ის ხელით, და თოვლი რბილ ფაროვად დააცვივდა მზრებზე“ (გვ. 369—370).

„...და იქვე, თითქოს სხვათაშორის გაიხსენა კოჩუბების მხედრობა და თავისი საკულთარი ახალგაზრდობა, რომელიც ყველა სხვა ახალგაზრდობაზე უკეთესად იცოდა, „თუ რას ნიშნავდა კოჩუბების ლაშქრობა ყუბანის მიწაწყალზე“ (გვ. 18).

ძნელია ამ ჩიქორთულიდან რაიმე აზრის გამოტანა. არაფერი ამის მსგავსი დედანში არ არის.

„...სტანიცის ქუჩები... აღმოსავლეთიდან მდინარეს ერთვიან“ (გვ. 15).

აქამდე გვეგონა, მდინარეს მხოლოდ შენაკადები ერთვოდნენ, ახლა ჩვენი მთარგმნელის წყალობით ისიც გავიგეთ, რომ თურმე მდინარეს ქუჩებიც ერთვიან.

„ხარები უკანა ფეხებზე ჯდებოდნენ“ (გვ. 187).

„...სტუმრებს მოელოდა მამლებამოქარგულ სუფრაგადაფარებული მაგიდები“ (გვ. 13).

„ეცვა არა ხელის გულის სიბრტყის უკრაინულად ნაქარგი გვერდზე გასახსნელ საყელოიანი ხალათი, არამედ ახალი მთელის ხალათი — სწორი სახელოთი და მკერდზე თოფრებივით მიკერებული ჯიბეებით; კაპიშონიანი ახალი ლაბადა შიდაჯიბეებით, მაგრამ არა უწინდებურად ნაცრისფერი, ნაწვერალას მსგავსი, არამედ ბაცი მიხაიისფერი...“ (გვ. 262).

„მაგრამ ჩვენთვის, გარკვეულობისათვის, მოვაჭრე ადამიანებისათვის, — პირდაპირ სამოთხეა“ (გვ. 263).

„მაგრამ თან უნდა წავილო, გარკვეულობისათვის, საგნებს თავიანთ სახელებს ვუწოდებ, გარკვეული წონის კარაქი“ (გვ. 264).

„მეგარმონემ ბალორუსული გოპაკი დაუკრა და ტრიფონმა, ცალი ხელით დოინჯშემოყრილი, ... მკვირცხლად ჩამოუარა წრეს“ (გვ. 383).

„უცბად გზაზე მტვერი ავარდა და მისგან ტენტით გადახურული გაზიკი გამოძვრა“. (გვ. 13).

„სერგეისთან მიიზრინა ორმოცდახუთი წლის მსუქანმა, მწითურმა მამაკაცმა ბრეზენტის ქუდით, ტილოს ხალათითა და რბილი ქერელის ტილოს გალიფე-შარგლით, რომელზედაც ცხვირბლაგვა ჩექმები ეცვა და ისინიც მწვანე ფერის ქერელის ტილოსი იყო“ (გვ. 13).

„გამოცილილებით იცოდა, რომ თვით ყველაზე ზარბაც ხარებსაც კი უნარიანი გაძლოლის პირობებში ვაცილებით სწრაფად შეუძლია სიარული“ (გვ. 9).

„სერგეი დადუმდა, შემდეგ, დისთვის შეუხედავად, ჰკითხა...“ (გვ. 29).

„წელში გაიმართინე და შუბლზე ხელმიდებულებმა დაუფარავი ცხობის-მოყვარეობით დაუწყეს ცქერა მცურავ ნავში მსხდომთ“ (გვ. 215).

„ისეთ საქმეში, როგორიც არის მასალებების მოტანა, სიბასრეს ვერ ვატყობ“ (გვ. 276).

„არტამაშოვი ბოსტნებზე, ... გავლით წავიდა თოვლზე“.

„ამას წინათ კი მას, როგორც თანასწორს—თანასწორი, კონდრატევი ესაუბრა, და ის, რომ ამ საუბრის შემდეგ კოლმეურნეებმა სწორედ ის, ნიკიტა-მალცევი აირჩიეს თავიანთ თავმჯდომარედ, ზედმეტად ლაპარაკობდა, რომ იგი გაიზარდა ხალხის თვალში...“ (გვ. 384).

„თუთუნის მოსაწვევად დგებოდა და იატაკზე გამხდარ, გაძვალტყავებულ ფეხებჩამოშვებულ დიდხანს იჯდა — თეთრ ქვედასაცვალში“ (გვ. 387).

„... მთელი მის მთიულურად ჩაცმულ მხედრულ მოყვანილობას“ (გვ. 268).

ნუთუ ერთმა კორექტორმა მაინც არ წაიკითხა ეს თარგმანი, რომ მას მაინც ეთქვა მთარგმნელისათვის, — მთიულურად ჩაცმული მოყვანილობა წარმოუდგენელი რამ არისო.

კმარა ამონაწერები! მთელი ეს ექვსსაგვერდიანი წიგნი, პირველ სტრიქონიდან ბოლო სტრიქონამდე, ასეა ნათარგმნი.

თუ ჩვენ ამ ერთი თარგმანის გამო დიდხანს ვესაუბრეთ მკითხველს, ეს იმიტომ, რომ, ჩვენის აზრით, თარგმანის კრიტიკა უნდა იყოს არა ცალკეული შეცდომების რეგისტრაცია, არამედ თარგმანის მთელი მხატვრული სტრუქტურის ჩვენება.

ვახეთმა „კომუნისტმა“ არა ერთი დარი ცუდი თარგმანი გამოიტანა მზის სინათლეზე, მაგრამ ჩვენმა გამომცემლობებმა ჩვენი პრესის ხმას თითქოს წაუყარეს და მხატვრული ლიტერატურის თარგმნის საქმე ჯერ კიდევ ვერ მოაწესრიგეს.

ვიმეორებთ: ქართული ენის, ქართული საბჭოთა ლიტერატურის შემდგომ განვითარებასა და აყვავებას ხელს შეუვსლით, თუ დაუდალაავად არ ვიბრძოლეთ თარგმანის დიდი ხელოვნებისათვის.

ბიბლიოგრაფია

★

გალაკტიონ ტაბიძე, თხზულებანი, ტომი VII, სახელგამი, 1950 წ.

გალაკტიონ ტაბიძე ჩვენი ეპოქის ერთ-ერთი საუკეთესო პოეტიკია. მისი შემოქმედება ფართოდაა ცნობილი მთელ საბჭოთა კავშირში. პოეტი მუდამ აქტიურად ეხმარებოდა თანადროულობას და დიდი ოსტატობით ასახავდა ჩვენი ქვეყნის მრავალფეროვან სინამდვილეს. მისი თხზულებების ექვსი ტომი გვიჩვენებს იმ რთულსა და სიინტერესო შემოქმედებით გზას, რომელიც გაიარა გალაკტიონ ტაბიძემ პოეტური მოღვაწეობის დასაწყისიდან დღემდე. მე-7 ტომში მოთავსებული ნაწარმოებები ამ გზის ორგანოვანი გაგრძელებაა.

წიგნი იხსნება დიდი ზელადის დაბადებიდან 70 წლისთავისადმი მიძღვნილი ლექსით „მთელი ქართული ხალხის სახელით“. იგი პირველად მოთავსებული იყო ჟურნალ „მნათობის“ 1950 წლის მე-12 ნომერში და წინ უძღოდა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის პოეტების ზელადისადმი მიძღვნილ ლექსთა სერიას. ეს ლექსი დიდი სტალინისადმი მიძღვნილ ნაწარმოებთა შორის ერთ-ერთი საუკეთესოთაგანია. პოეტის დიდ შინაგან ალტაცებასა და ექსპრესიას მოძებნილი აქვს ადეკვატური გამოსახვითი საშუალებანი. ლექსი იკითხება, როგორც დიდი პიში ზელადისადმი მიძღვნილი „მთელი ქართული ხალხის სახელით“. პოეტი ახერხებს მასფრად განგავდღევიანას ის გულწრფელი გრძნობა, რომლითაც მოუძულა საბჭოთა ადამიანი ღირსშესანიშნავი თარიღის მოახლოების გამო:

„ვპირული ხალხის, საყვარელ ხალხის —
ჩვენი ქართული ხალხის სახელით,
სტალინი! გილოცავთ წელთა სიბახლის
დაწვებას, გულის მთელის ძახილით!“

სტალინი არის ჩვენი გამარჯვებების სულისჩამდგმელი, სტალინი მიხვავს კაცობრიობა ერთა ძმობის დიდი გზით, სტალინი ხელმძღვანელობს მშრომელთა მასებს და მოუწოდებს მათ ახალბალო გამარჯვებებისაკენ. იშვიათი ოსტატობით არის დაკავშირებული ეს მოწოდება თანადროულობის დიად იდეასთან — მშვიდობის დაცვის იდეასთან:

„აჰა, ვაისმა ასეთ დღისათვის
სიტყვა, სიმართლის სიფრცვლ შემდგარი:

მშვიდობისათვის, მშვიდობისათვის,
მშვიდობისათვის ბრძოლა შედგარი!“

ყოველივე ეს, პოეტის სიტყვით, უნდა აღაფრთოვანებდეს „მსოფლიო მხატვრებს“ და უნდა აძლევდეს მათ ახალ დიად თემაზე მუშაობის სტიმულს. ყოველმა ზელადისადმი უნდა შესძლოს მოელონათ არსში ჩაწედობა და „მონახოს ფერი, შეიგრძნოს ფერი, ფერი საბჭოთა დღესასწაულის“. უნდა ითქვას, რომ თვით ეს ლექსი წარმოადგენს შესანიშნავ ნიმუშს ზელოვანის მიერ ამგვარი „ფერის“ მონახვისა.

ასევე გულწრფელად არის ასახული დიდი ზელადის სახე და საბჭოთა საშრობლოს ბედნიერი ცხოვრება ლექსებში: „თავიდანვე, თავადებით“, „დიადი წიგნი“, „პირველი მაისი“, „ახალი წელი“ და სხვ. პოეტის სიტყვები არ ელვება მშობლიური ქვეყნისა და მისი ზელადის სადიდებლად. მის ლექსებში ჩანს, თუ რა თავისუფლად სუნთქავს, როგორი დიადი იდეებით ცხოვრობს საბჭოთა ადამიანი, რადგან

„ჩვენ ხომ ზელთა გვაქვს
სტალინური კონსტიტუცია —
უღიადისი, უმძლავრისი,
ბრწყინვალე წიგნი“.

ამიტომ არის, რომ პოეტის შემოქმედების დიდი ნაწილი მიძღვნილია სტალინური მშობი გამომბარი საშრობლოსადმი. ეს არის ქვეყანა, სადაც ზღვება „შედულება ოცნებისა და სინამდვილის“, სადაც იქმნება „ახალ ხანა და ისტორიის ახალი გვერდი“, სადაც „ერთა ძმობა პირველი მცენება“ და მისი გამომხატველია ჩვენი ადამიანების „გულთა კავშირი“. ლექსი „ბევრნარი ახდა ნატრა“ მოგვითხრობს საბჭოთა ხალხის ცხოვრების შესახებ. აქ აღწერილია ჩვენი ადამიანის ცხოვრება მშრომისა და დასვენება-გართობის ეპას, მისი იდეალები და მისწრაფებები. ეს ყველაფერი მოთხრობილია ბუნების მომკაიდოებელი პეიზაჟის ფონზე, რაც იშვიათ ლირიკულ განწყობილებას ქმნის.

საშრობლო გალაკტიონ ტაბიძისათვის განუცნებელი ცნება არაა. მისთვის საშრობლო — ეს ჩვენი ქვეყნის ადამიანებია, მათი ცხოვრება, მათ მიერ კომუნიზმის შენება. ლექსში „კრემლი“

პოეტის წარმოსახვაში ცოცხლდება ის დღეები, როდესაც აფიზიზდა „ციცხლი რევოლუციისა“ და „ლენინის თეალებიეთ“ ფიზიზობდა კრეშლი.

ლექსი „სიცხადე“ სამამულო ომის თემაზე დაწერილი. უკრაინის უდიდესი ქალაქი ხარკოვი ნანგრევებადა ქვეული. ქალაქის მშვიდობიან მოსახლეობას თავი შეუფარებია შორეულ მხარეებში. მაგრამ ხარკოვი კვლავ ჩვენია. „უკრაინა — საქართველოს მოძვე ქველისძველი“ განთავისუფლდა. დგებიან ფეხზე ივარქმინილი სოფლები, დახები და ქალაქები. ლექსში იგრძნობა ის დიდი რწმენა, რომ ხალხი ილდგენს „საბჭოთა უკრაინას. ლექსში „შეხედეთ!“ პოეტი გვიხატავს საბჭოთა მეომრის სახეს, რომლისთვისაც ყველაზე ძვირფასია სამშობლოსათვის თეადიდება. „სამშობლოსათვის!“ — ძახილა იგი, „თელთავან ციცილის ალთა მთავარი“, და ამ ძახლით მიიწვედა წინ და „შეხს სცემდა მეხზე“ მეხანათ მტრებს. საბჭოთა ადამიანის ნათელ სახეს გვიხატავს აგრეთვე პოეტი ლექსში: „ბავშვი გზად ელიდა“. ამ ლექსში ატორი კონკრეტულ მაგალითით გვიჩვენებს წარსული კრუმორწმუნეობის სურათს: გულჩედი პატარა ბავშვს შესაწირავად მიჰყავდა ცხვარი. მაგრამ დღეს კი ვაჟაკთა რიგებში ჩამდგარა იგი და შეუპოვრად გვეთა მტრას:

„მაგრამ ეს ბავშვი, ტყისპირად მსვლელი, თვალ რომ ჰქონდა ცრემლებით სველი, მელგრად, გულმტკიცედ ურტყამდა ბერლიანს“.

სამამულო ომის თემას ეხება აგრეთვე ლექსები: „ღანგრეული სახლი სიხუმში“, „ძაწის მომღღერი“ და სხვ. ყველა ამ ლექსში პოეტი მისთვის ჩვეული ოსტატობით ახერხებს გვიჩვენოს საბჭოთა ადამიანების ზუმაგალითი თავდადება და სიყვარული სოციალისტურ სამშობლოსადმი. პოეტი მძაფრი ფერებით გვახსენებს იმ მსხვერპლს, რომელიც ვაიდეს მთელი მსოფლიოს მშრომლებმა სისხლისმღერელ ომში და ამით ფარდას ზღის ამ დიდ ბოროტებას, რომლის თავზე მოხვევასაც ცდილობენ კვაქციული ძალები ამერიკელი იმპერიალისტების მეთაურობით. პოეტი ხმას იმაღლებს ამ ბოროტების წინააღმდეგ, რადგან ხალხთა მშვიდობა — ეს ყველაზე დიდი სამართლიანობაა:

„მშვიდობა ერთია არა ქლექტა და არა ომი, არა ცხოვრება პირისსილიან გზად გამგზავრებით, არა გზა მარად ეკლანი, არა ატომი, ატომი ჩვენც გვაქვს, ვერ დავვძლევენ გამაოჯავრებით“.

„მშვიდობის კანონი“ — წიდათაწმიდა კანონია ჩვენი ქვეყნის მშრომელი ადამიანებისათვის. ვახეთ „პრადის“ კორესპონდენტთან საუბარში ახანაგმა სტალინმა ხაზი გაუსვა იმ ვარაუდას, რომ წინააღმდეგ კაპიტალისტური ქვეყნებისა, საბჭოთა კავშირი მშვიდობის ყველაზე დიდი დამცველია. ამის საბუთია ის გივანტური მშენებლობანი, რომელიც ასე ინტენსიურად მიმდინარეობენ ჩვენს ქვეყანაში. გ. ტაშიძის ეს წიგნიც დიდი პათოსით ეხმარება ჩვენი ქვეყნის მძლავრ შრომითი აღმავლობას. ამ მხრივ საყურადღებოა „კოლაანოფელის“. საშინელი ციებ-ცხელება მუსრს ავლებდა აღვალობრივ მკვიდრო. ტურა-პელეზის სათარეზოდ იყო ქვეული კოლხეთის მხარე. ეს იყო წინათ, რევოლუციამდე. და პოეტი ამას იხსენებს იმტომ, რომ უფრო ნათლად დაგვანახოს საბჭოთა კოლხეთის აღორძინება, კოლხეთი ბაღნარად გადაიქცა:

„ახლა შეხედეთ: ჰყავის დაფნა და ვეკალიბტი, სურნელოვანი ნიაფი აქ მიავას მასის, ლიპონს, ფორთოხალს აგრთებენ და ჰკრეფენ ჩაის, ქვეყანა ვახდა მუდმივი მზე და გავაფხული, დაბასოფელი ყვავილებში არის ჩაფლული“.

დიდი ექსპრესიითაა დაწერილი ლექსი „ოცნება აჟარისწყალთან“. აქ დიდ გაქანებას ჰპოვებს პოეტის ჯანსაღი ფანტაზია. „თავაყუვეტილი ვეფხვიეთ“ გრიალებს აჟარისწყალი და თან „ანგრეცს ყველაფერს და მიაქვს, მიაქვს...“ მძლავრია აჟარისწყალი, მაგრამ უნაყოფოდ აჯარგება მისი ენერგია და პოეტი შესანიშნავი სახეებით გადმოგვცემს ხალხის მიერ ამ მდინარის დამორჩილებას. აჟარისწყალის პრილობიდან იქეფებს სისხლისფერი შექი, „მაგრამ ეს შექი, სისხლი კი არა — ცისარტყელაა ჰიდროცენტრალის“. აჟარისწყალი სხვა მდინარეთა მსგავსად ჩადგება ხალხის სამსახურში. ამით შთავიწმინდეული პოეტი ასე მიმართავს მდინარის მომავალ გარდაქმნელებს:

„სხვაგვარ ვარდის და იის საყრფად გველიან წყალნი აჟარისანი, გმირებს ეძახის თავშესაყრებად სოციალისტურ დღეთა მიზანი“

ამ რომანტიკული ხილეთ ამთავრებს ლექსს პოეტი და უნდა ითქვას ისიც, რომ ეს ლექსი თავისი პლასტიკური გამოყვითლობით და ღრმა პოეტური ჩანაფიქრით საუფეთესოთავანია ამ თემაზე დაწერილ ლექსებს შორის. მშვიდობიან მშენებლობისადმი აგრეთვე მიძლ-

ენლი ლექსები: „ვერდაძლეული“, „შრომა მეცნიერებასთან შეიძროდ დაკავშირებული“ და სხვა. მაგრამ ვალაკტიონ ტაბიძეს შეგნებლობა ადამიანთაგან იზოლირებულად კი არ ინტერესებს, არამედ მათთან კავშირში. მისთვის ქვეყნის გარდაქმნას სწორედ ის ღირებულება აქვს, რომ იგი ვარდაქმნის ადამიანსა. ამ მხრივ ვალაკტიონ ტაბიძე იშვიათი ოსტატობით ახერხებს ვადმოსცეს საბჭოთა ადამიანის ურთულესი სულიერი ცხოვრება, მისი განცდები, მისწრაფებანი, განწყობილებები. საბჭოთა ადამიანის გზა ნათელია და ვარკვეული. ამის შეგნება განუზომელი სიხარულით ავსებს პოეტის გულს:

„ოცნების მდიდარ ბაღში შეველი,
ვარდები დამზავდა დაუღვევლი.
ვიყავ ამაფი და უძღვეული —
მილიონებში ხელის მრვეული“.

ამ ადამიანის საქმიანობისა და სულიერი ცხოვრების ასახვას უძღვნის გ. ტაბიძე თავის პოეზიას. უადრესად ინტიმურ თემაზე დაწერილი ლექსებიც აქტუალურ საზოგადოებრივ მნიშვნელობას არ კარგავენ. ზოგი მთავანი მოგვიტობობს იმ ღრმა განცდების შესახებ, რომლებსაც პოეტში იწვევს სამშობლო ქვეყნის წარმტაცი ბუნება. პოეტის მიერ დახატული პეიზაჟები იშვიათი ლირიზმით არიან გამობარი:

„აგე, იმ ჩრდილქვეშ, სადაც ძველი, დიდი
ცაყვია,
ჩვენი წინაპართა — მეომართა სისხლი აუხია.
აგე, იმ მთაზე, სადაც დღეი ვეკალიბტია,
როგორ მოგიტობრო, რა მინახავს, რა
განმიცდია.
აგე, იმ ველად, სადაც რამი და თუთუნია,
როგორ მოგვრძინია რაინარი საუკუნეა“.

სამშობლო მხარის შესანიშნავ პეიზაჟებს გვიხატავს პოეტი ლექსებში „მშობლიური მოწოდებები“, „მშვენიერი ჩემო ზეცა“, „ჩვენი კოდორი“ და სხვ. ამ მისი ისედაც ექსპრესიული და მუსიკალური ლექსი იშვიათი ფერადოვნებას იძენს. ამ ხასიათის სხვა ლექსები მივძღვნება მეგობრობას („სტუმრად“), წარსულის მოგონებასა და სხვა. იმ რამდენიმე ლექსში, რომელშიც პოეტი საკუთარ წარსულს იგონებს („ნაკადული, ნაკადული“, „მოძუნია ფერი ლილი“, „მასხოს ზღვხული“ და სხვ.), ევრსად შეხვდებით წარსულის გამო სევდას, სინანულს თუ წარსულის დაბრუნების ნატვრას. პოეტი ყველგან თანამედროვის თვალებით უმზერს გარდასულ ხანს და მხოლოდ იმდენად ინტერესებს იგი, რამდენადაც დაკავშირებულია საუკუნეებ ადამიანებთან თუ მოვლენებთან.

პოეტი ხაზს უსვამს, რომ მიუხედავად დროთა სვლისა, იგი მაინც ახალგაზრდული ენერჯით და სიხარულით არის აღსავსე. ამის მიუხედავად რატომ უნდა, ჩვენს აწმყოში არის სიმძიმელი. მშვენიერ ლექსში „მასხოს ზღვხული“ პოეტი იგონებს ბავშვობას, დედას, მშობლიურ ზეცას; ჭალებს, მდინარეს და სიღვლის ზღვხულს. ეს ყველაფერი ლირიულ განწყობილებას მზადებს პოეტში. მაგრამ ამ გარდასულის დროის მოგონება მასში სინანულს კი არ იწვევს, არამედ კიდევ უფრო რელიეფურად აჩენს აწმყოს სიღადას:

„არც ის ზღვხული არსებობს ახლა,
არც მეფის-ჭალა, არც ის მდინარე,
სულ სხვა დროებამ ხმა აღმალა
და გზა წაშალა მონანინარე.
ეს გზა გაუქმდა. გზა გააშალა
სხვა პორიზონტის ფრთა-განიერის“.

წიგნში გვხვდება ლექსები, რომლებშიც პოეტი ფარდას ხდის და სასტიკად ამოტრახებს დასავლეთ ევროპის ბურჟუაზიულ კულტურას. ლექსი „პოეტი და მისა“ მძაფრი კონტრასტებით ხასიათდება. დასავლეთ ევროპის გადაგვარებულ და დაცემულ კულტურას ავტორი უპირისპირებს სოციალისტურ კულტურას. პოეტი ჰკობს ბურჟუაზიულ ხელოვნებას, სადაც მეფობს „მეგონის და მისების შუხარე ვითიშვა“. წინააღმდეგ ამისა, პოეტი გვაძლევს ნათელ სურათებს იმ დიდი აღმავლობისა, რომელსაც განიცდის სოციალისტური კულტურა. პოეტის ღრმა რწმენით, საბჭოთა ხელოვნის გამარჯვება გამოწვეულია იმ ურთიერთგაგებით, რომელიც არსებობს შემომქმედსა და ხალხს შორის. ასეთივე ხასიათისაა ლექსები: „უცხოვლ პოეტს“, „შენ ისვენებდი“ და სხვა.

კრებულში შეტანილია აგრეთვე რამდენიმე ლექსი, რომლებიც რევოლუციამდე არის დაწერილი — 1908, 1909, 1914, 1916 წლებში („გადანახული დროშები“, „შუტი“, „დადგება დრო სანატრელი“, „კოლხიდაში“ და სხვ.) ამ ლექსებში ვალაკტიონელია თვითმპყრობლობის შავი რუკების სანიშნელებანი და ხალხს ბრძოლა მის წინააღმდეგ. ამ ლექსებს აქვთ მტკნოლად ისტორიული მნიშვნელობა აქვთ და საინტერესოა არიან იმდენად, რამდენადაც გვიჩვენებენ პოეტის შემოქმედებითი გზის განვითარებას. უნდა აღინიშნოს, რომ ეს ლექსები ერთხელ კიდევ მოწოდებენ იმ შეხედულების მდარობას, თითქოს გ. ტაბიძე რეაქციის პერიოდში საცხებით პესიმისმსა და უდიდობაში იყო გადავარდნილი. აი, 1908 წელს დაწერილი ლექსი, რომელშიც პოეტი გამოხატავდა მომავალი გამარჯვების რწმენას:

„გამეფდა ღამე —
ბარად, შწერვალზე
და ბორბტება
სიმართლის ქნარზე.“

მაგრამ დადგება
ღრა სანატრელი
და მოგვინათებს
შუქი ცხოველი“.

კრებულის ბოლოს მოთავსებულია რამდენიმე დიდი მოცულობის ლექსი: „ოთხი დღე“, „ამირანი“, „აფეთქება“ და სხვა. ამ ლექსებს, მიუხედავად საკმაო მხატვრული ღირსებისა, არა აქვთ ისეთი დიდი მიზნობრივობა, როგორც პატარა ლირიკულ ლექსებს. ეს იმით უნდა აიხსნას, რომ ამ ლექსებში იფანტება ის ლირიკული უშუალობა, რომელიც გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედების დიდ ღირსებას წარმოადგენს.

საქართველოს ბოლშევიკების ნაცადმა ხელმძღვანელმა ამხანაგმა კანდიდ ჩარკვიანმა ნათლად დაგვანახა, რომ თანადროულობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია ენის სიწმინდე. ამი-

ტომ ყოველი შემოქმედი ვალდებულია დიდ სიფრთხილით მოექცეს სალიტერატურო ენის და ვადასინჯოს, თავისი შემყვიდრებთა უნდა ათქვას, რომ გ. ტაბიძის ენა ძირითადად დახვეწილია. მაგრამ არა იშვიათად გვხვდება მის შემოქმედებაში ენის სიწმინდის დარღვევის მაგალითები. იგი ხმარობს არქაულ ფორმებს, ბუნდოვან გამოთქმებს, ზოგჯერ კუთხურ სიტყვებსაც კი.

წიგნის რედაქციის მიმართ უნდა შეინიშნოს, რომ VII ტომში რატომღაც შეტანილია რამდენიმე ისეთი ლექსი, რომლებიც წინა ტომებშიც გვხვდება. მაგ. „შობლიური მოწოდებით“ (იხ. ტ. IV „არაგვის ქარი“), „სიციხად“ (იხ. ტ. IV „ხარკოსი“), „შენ ისვენებდი“ (იხ. ტ. III „ღრუბული ამაოების“) და სხვა. ასეთი განმეორებანი წინა ტომებშიც გვხვდება.

მიუხედავად ამ რამდენიმე ნაყლისა, გ. ტაბიძის წიგნი ძვირფასი საზღვარი საბჭოთა მკითხველისათვის.

საგზის ცანიფილი
ჩამავა თვარაკი

სიგზო კლდიაშვილი, „ახალი მოთხროვები“. „საბჭოთა მწერალი“, 1950 წ.



მწერალი სერგო კლდიაშვილი თავის ახალ მოთხრობებშიაღ წარმოგვიდგა როგორც ქართული საბჭოთა ლიტერატურის ერთ-ერთი თვალსაჩინო ისტატი. მის შემოქმედებაში იღვწური შინაარსი და მხატვრული ფორმა პარმონიულ ერთიანობაშია მოცემული. მწერლს პროზა გამოარჩევა ეპიური თხრობით და გამართული ლიტერატურული ენით.

სერგო კლდიაშვილის მოთხრობები ჩვენს სოციალისტური სინამდვილის უბრალო ფოტოგრაფიულ ასახვას როდი იძლევიან. მწერალი სოციალისტური რეალიზმის მეთოდის მომარჯვებით ყოველ თავის ნაწარმოებში ცდილობს ღრმად ჩაწვდეს ჩვენს სინამდვილეს და მართლად დაგვიხატოს ის. ამით განზომება წიგნში მოთავსებული მოთხრობების მნიშვნელობა.

კარგ შთაბეჭდილებას ტოვებს მოთხრობა „მეფუტკრე ალხანზე“. ამ მცირე ფორმის ნაწარმოებში ავტორს საესებით სწორად აქვს გასწინილი უბრალო რევითი კოლმურწინის შიო ბერიშვილის ხასიათი, მისი სულიერი სამყარო.

შესთეი, მაგრამ ჯერ კიდევ განდონით სავსე, შიო ბერიშვილი თითქმის განმარტოებით

ცხოვრობს. მაგრამ იგი მოწვევტილი არ არის კოლმურწინების საერთო ცხოვრებას. კოლმურწინების შრომითი წინსვლისა და წარმატებისადმი იგი გულგრილად როდია განწყობილი. პირიქით, ყოველმხრივ ცდილობს თავისი მუშაობით ხელი შეუწყოს კოლმურწინების განმტკიცებასა და ვანეთარებას. ავტორმა საესეზით სწორად განზოგადა საბჭოთა გულების სახე, რაც ჩამოყალიბებულ იქნა სოფლის მეურნეობის სოციალისტურად ვარდაქმნის ნიადაგზე. პირად და საზოგადოებრივ ინტერესთა შეხამება, მათი ერთიანობა — საბჭოთა საზოგადოებრივი ცხოვრების არსებითი მხარეა. საბჭოთა ცხოვრების ამ ერთ-ერთი ძირითადი თვისების მხატვრული ასახვა მეტად რთული ამოცანაა. სერგო კლდიაშვილი მხატვრული დამაჯერებლობით გვიჩვენებს ნაწარმოების გამობის ბუნებაში საზოგადოებრივ და პირად ინტერესთა შეხამებას, მათ ურთიერთ დამთხვევას. შიო ბერიშვილი შესანიშნავი მეფუტკრეა. იგი კოლმურწინების დახმარებით ვადაარჩენს ვადამუნების გზაზე დამღვარ ფუტკრის ერთ საუკეთესო ქართულ ჯიშს. „ჩვენებური ჯიშის ფუტკარი ვახლავთ... არსა-

და დედამიწაზე მისი შესაღარი — ეს ერთგვარი სიამყით სიჭაჭა შიში, — ყველაზე შრომული და ნაყოფიერი, თანაც გამლე... ჰო და, ჩემი ოცნებაა მომრავლდეს და გავრცელდეს ყველგან. ეს ჯიშში კი გადაშენების გზაზე იდგა... გაქრებოდა, რომ დროით არ მივეშველებოდი" (გვ. 5). შიში ბერძენილის თავდადებულ შრომა უნდა აღვნიშნავთ გარეშე არ ჩრები პარტიასა და შიშისთვის. ამხანაგე ლ. პ. ბერია მას უგზავნის სპეციალურ წერილს, რომელშიაც ჰალა შეფასებას აძლევს მოხუც კომუნურნის მუშაობას. ლ. პ. ბერიას წერილმა უდიდესი სიხარული მოგვარა მოხუც შიშის, შრომითი ენთუზიაზმი გაუთავყვა და კიდევ უფრო შეაყვარა თავისი პატარა, მაგრამ ხალხისათვის მეტად სასარგებლო შრომა.

საბჭოთა მორალის საკითხებს ეხება „აპრილის საიდუმლო“. ამ მოთხრობაში ავტორი გვიხატავს ცალკეულ საბჭოთა მუშაებს იმ ნაკლვან მხარეებს, რომლებიც ხელს უშლიან ზვენი ცხოვრების წინსვლას. თავმდაბლი და ამხანაგური დამოკიდებულება არის კომუნისტური ზნეობის ერთ-ერთი ძირითადი მხარე. აქვს თუ არა მოთხრობაში გამოყვანილ პირს — აფქო ინჟინერულს ასეთი მორალური თვისება? რასაკვირველია, არა. აფქო ინჟინერულს ნიშნავს არც თუ ისე დიდ თანამდებობაზე. მაგრამ დანიშნვის დღი იგი სრულიად გამოიცვლება. თავის ძველ ამხანაგებთან და ჩვეულებრივ მოქალაქეებთან დიდკაცურად უქიარავს თავი, თითქოს მათთან ლაპარაკსაც არ ჰკადრებოდეს. მაგრამ, ერთ შვენიერ დღეს აფქო ინჟინერული პირველი მივსალიყვება თავის ძველს ამხანაგს და ხელსაც ჩამოსრთმევს. ესტატე გაკვირებული ჩნება აფქო ინჟინერულის ასეთი საქციელით და ყოველივე ამას აპრილის მადლიან დღეს მიაწერს. „ასეთი დღე ყველს გულს უღმობს და აყვითლიანობაღმბსო“ — აფქოებს ესტატე. ზოლის გამოთარკვე, რომ აფქო ინჟინერული სამსახურიდან ყოველია მოხსნილი.

ავტორი დამაჯერებლად გვიხატავს აფქო ინჟინერულს ხასიათს. საბჭოთა ადამიანებში კაპიტალისტური გადმონაშენის დაძლევის საკითხი ერთ-ერთ ძირითად და აქტუალურ საკითხს წარმოადგენს. მაგრამ, ნაწარმოებისათვის ასეთი მიზანდასახულობის მიცემა არავითარ შემთხვევაში არ გულისხმობს დადებით პერსონაჟთა მხატვრულად დახატვის ამოცანის უფორ პლანზე გადატანას. დადებითი გმირი ყოველ საბჭოთა მხატვრული ნაწარმოების მთავარი და წამყვანი პერსონაჟი უნდა იყოს. ამ მხრივ არც სერგო კლდიაშვილის ეს ნაწარმოები წარმოადგენს გამონაკლისს. „აპრილის საიდუმლოში“ აფქო ინჟინერულს უპირისპირდება ესტატე თავისი მალაქა მორალით.

ნოველის ენარის ნაწარმოებია აგრეთვე „პირ-

ში“. განახლებული მესხეთის ერთ-ერთ სხლად გაშენებულ სოფლის ფონზე იშლება ნოველის შინაარსი. შვილის შექმნა მხოლოდ მასტრიაშვილის ოჯახში — აი რას უმჯობესობს მასტრიაშვილი. მაგრამ ნაწარმოებში აღწერილი ოჯახური ამბები არ არის მოწყვეტილი საზოგადოებრივი ცხოვრებას. აბოლიტე თბუცაშვილის უდიდესი სიხარული აღწერასთან ერთად ნახევრები თანასოფელ კოლმურნეთის ის გულთბილი დამოკიდებულება, რომელსაც იჩენენ ისინი შვილის შექმნით გაბუნდირებული ოჯახის მიმართ, აბოლიტე თბუცაშვილის სიხარულს მთელი სოფელი იხიარებს.

მხოლოდ მოთხრობა „ერთი დღის მოგონება“ არ ეხება თანამედროვე თემას. მაგრამ ნაწარმოები სავსებით აქტუალურად ეხმარება დღევანდელობას. მოთხრობაში ნახევრებია, თუ როგორ მოედებს ბოლო საქართველოს შრომელებმა წითელი არმიის დახმარებით მენშევიკურ მთავრობას და თურქი დამპყრობელების თარგმს. დამაჯერებლადაა გადმოცემული რაიგათი ქართული ჯარისკაცის სიძულვილი თურქი დამპყრობელების მიმართ. ასეთივე უდიდესი სიძულვილის გრძობებს იწვევს ჩვენს ხალხში დღევანდელი თურქი შესვერების საზიზღარი, დანაშაულებრივი საქმიანობა, მათი აგრესიული პოლიტიკა, რომელსაც მზარს უჭერს და ხელს უწყობს იმპერიალიზმი.

„რთველი“ დიდი მოცულობის მოთხრობაა. წიგნში მოთავსებულია მოთხრობის მხოლოდ პირველი ნაწილი. მოთხრობა გვიხატავს ომის შემდგომი პერიოდის ქართულ საკოლმურნო სოფელს. აქ ავტორი ქართული კოლმურნეების დიდი შრომითი გამბრობის სწორი ასახვისა და მათი ტიპური სახეების დახატვის რთული ამოცანის წინაშე დგას. კარგადაა აღწერილი რთველისათვის კოლმურნეთა საშხადისი. ესტატურადაა დახატული კოლმურნეობის ბრაიგელის თათბირის სცენა. მაგრამ მოთხრობა „რთველს“ პირველ ნაწილში მაინც ერთგვარად აგრძნობს სიუჟეტური ხაზის მოწყვეტა თემისაგან. მოთხრობის პირველ ნაწილში ძირითადად სიუჟეტური ხაზს გვიჩვენებენ. მას სოფელ ეშლოვანში აღმოჩენილი ქართული ძველები თასი აინტერესებს. მაგრამ გვიჩვენებს ყურადღების გარეშე არ ჩნება კოლმურნეთა თავდადებული შრომაც და თითქოს ამით აქვს ავტორს მოტივირებული კოლმურნეთა შრომის ჩვენების მეორე სიუჟეტური ხაზი. ავტორმა უნდა გაითვინოს ორი სიუჟეტური ხაზის ერთმანეთისაგან დაშორების ერთგვარი საშიშროება და მოთხრობის მეორე ნაწილში სიუჟეტის განვითარება ლოგიკურად დაუკავშიროს მოთხრობის ძირითად თემას, ძირითად შინაარსს.

მოთხრობის მთავარი მოქმედი პირის ეშლოვანისაგან მგზავრობის დროს ჩნდებიან პერსონა-

ნაუბი, რომლებიც შემდეგში იკარგებიან და არაერთარ როლს არ თამაშობენ ნაწარმოების შინაარსის ვაშლაში. ნაწარმოების შინაარსის ვადმოცემის დროს ავტორი არ იძლევა ყველა პერსონაჟის სახის მხატვრულ გამოკვეთას. ჯერ კიდევ უცნობია დიდონას ხასიათი, მისი სულიერი სამყარო; სრულად არაა ჩამოყალიბებული

ანდრიას, როგორც მოწინავე ბრძოლის სახე. იმედია, რომ ამ სახეებს ავტორი უფრო მეტი სისრულით დავეხმარებოთ მოთხრობის მფარვე ნაწილში. მოთხრობის პირველი ნაწილი მჭიდვრებს, რომ ავტორი შესძლებს ამ რთული ამოცანის წარმატებით გადაჭრას.

ნოდარ კუპრაძე

ი. ნოდარ კუპრაძე — „ახალი ლექსები“. „საბავთა მხიარული“. 1960 წ.



საქართველოს ბოლშევიკების ხელმძღვანელმა, ამხანაგმა კ. ნ. ხარკიანმა თავის მოხსენებაში საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) 14 ყრილობაზე აღნიშნა, რომ „სამამულო ომის წლებში შემოქმედებითად მომწიფდა და დაწინაურდა ახალგაზრდა ნიჭიერი პოეტი ი. ნოდარ კუპრაძე. ამ პოეტის მალაშხატერული ლირიკული ნაწარმოებები, რომელნიც საბჭოთა აღმშენებლის მდიდარ შინაგან სამყაროს, მის კეთილშობილურ გრძობებსა და განცდებს წარმოასახევენ, ფართო პოპულარობით სარგებლობენ საბჭოთა მკითხველებს შორის“.

ი. ნოდარ კუპრაძის პოეზიაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ლექსებს, რომლებიც მიძღვნილია დიდი ბელადისადმი, ლენინ-სტალინის ძღვემამისი პარტიის ერთგული მოღვაწეებისა და ბელადის თანამებრძოლებისადმი.

საუბრეთის ლირიკულ ქმნილებას წარმოადგენს ლექსი „ლამპარი“, რომელიც დიდი ბელადის დაბადებიდან 70 წლისთავზე დაწერილია. ამ ლექსში პოეტი ამაღლებულ მოგვიტობს ამ ლამპარზე, რომელიც გორში ბელადის სახლში დგას უბრალო მაგიდაზე და მოწვევითაა წლებში ბელადს „ყოველ საღამოს სულ გვერდით ვდგა“, მის შტეზე სწავლობდა და ეუფლებოდა მეცნიერებას, „ბუნების ენას“, წიგნებსა და მეცნიერული გამოკვლევების საშუალებით ეცნობოდა მშრომელი ხალხის დუხვარ ცხოვრებას. მაგრამ „პრძილით, გუგუნით გაიფიქრე წლები“ და მრავალჯერ ტანჯულმა, ჩაგრულმა ხალხმა ვამარჯვა ბელადის ხელმძღვანელობით. და დღეს ამ გარჯებულ ხალხს ცხოვრების მარადჯაჭვობდა და მანათობელ ლამპარად თვითონ ბელადი გახდა, რომელიც კომუნისტების მშენებლობისა და მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცების გზებს გვიჩვენებს. პოეტი წერს:

„მამაიას მისი თვლით ვუძკერთ,
ის მზე, მზეზე უფრო დიდი;

შენ გაუნათე წიგნის ფურცელი,
მან გაანათა ქვეყნის წყევლი“.

დიდი სტალინი დღეს განაგრძობს ბრძენი ლენინის დიდ საქმეს. მტკიცედ და გრძობულად იცავს ლენინისადმი მიძღვულ ბოლშევიკურ ფიცს, წინ მიუძღვის მრავალმილიონიან საბჭოთა ხალხს კომუნისტურად. პოეტი ი. ნოდარ კუპრაძე მოხდენილ მხატვრულ სტილიზაციაში გამოხატავს ამ აზრს: ლენინისადმი მიძღვნილ ლექსში იგი ასახელებს მისი საქმის გამგარტყლებულ დიდ აღმშენებელს, „იენი შეხსნა ზეცის მეშველ კარი“ და ამბობს:

„ქვეყანამ იცის, მტერმაც კი იცის,
რომ დღეს ლენინი სტალინი არის“

ლექსი „სახალწლო ბარათი ბელადს“ ლირიკული უშუალოდობით არის დაწერილი. ამ ლექსში პოეტმა მიზიდულად და წარმტყვი მხატვრული ფერებით დახატა ის აღტაცება და სიხარული, რაც განიცადეს საბჭოთა აღმშენებელმა ქალაქ გორში 1949 წ. 21 დეკემბერს. ეს დღისშესანიშნავი დღე პოეტმა ბუნებრივად დაუკავშირა ახალწლის დღეს:

„და, ლექსი კრემლის კოშკებს გადასწვდეს,
გულით მართალო, საქმით მართალო,
კიდევ და კიდევ მრავალ ახალ წელს,
შენ, კომუნისტების მოთავსარადი“.

საქართველოს დედაქალაქ თბილისში 1950 წ. 9 მარტს ამომარჩეულთან ლ. ბერიას შეხვედრაზე წაკითხულ ლექსში პოეტი უმღერის და აღიღებს ქართული ხალხის სამყარო შვილს — ლ. ბერიას, რომლის „სტუმრობა თბილისში ჰვავს ვახუშტის შემოსვლას“. ამ ლექსში პოეტმა გამოთქვა მთელი ქართველი ხალხის უსახლგრო სიყვარული და პატივისცემა დიდი ბელადის თანამებრძოლისადმი, რომელიც წლებ

ბის მანძილზე ხელმძღვანელობდა საქართველოს
ყოფიწინისტურა პარტიას და ქართველი ხალხის
ცხოვრებას ამ მიმართებით ლექსს პოეტი ასე
აწყებს:

ამ ლექსს თვით ხალხი მყარნახობს,
არა სჭირდება მგოსანი.
მე მხოლოდ შევეყარ, შევეკონე
რითმების კრიალოსანი.

მე მყარნახობდნენ ქარხნების
ცამდე აწედილი მიღები,
შენი ფოლადის მარჯვენით
ტყვსავით წამოშლილები.

ამ ნათელ სტრიქონებში ნაჩვენებია აგრეთვე
როლი და დანიშნულება საბჭოთა ეპოქის მო-
წინავე პოეტისა, რომელსაც შეგნებული აქვს,
რომ შთაფრების წყარო და პოეტურია აღმაფ-
რების დაუშრეტელი ძალა მშობლიური ხალხის
ცხოვრებასა და შემოქმედებითს შრომაში.

საბჭოთა პოეტი სოციალისტური საზოგადო-
ების აქტიური წევრია. იგი მტკიცედ დგას კო-
მუნისტების მშენებელთა რიგებში, პატრიოტული
გზნებით უმღერის და ასახავს სტალინური
ეპოქის მრავალფეროვან ცხოვრებას. ყოველი
შემართი პოეტის ქმნილება სასარგებლო და
გარკვეული ღირებულების მქონე უნდა იყოს
ხალხისათვის, საზოგადოებისათვის. ეს აზრი
პოეტს გამოთქმული აქვს ლექსში „ისე სტი-
როდა ერთი ღიღილი, გამოშვა ქვეყნად, მეც
მზე ვიბლიო“. პოეტი ილაშქრებს უსარგებლო
„ციურ დსალმუნების“, „სასადღაოს მწუხრიო“
და „სევდის ჰემებით“ საეცე ლექსების წინა-
აღმდეგ:

„კამარ... ისეთ ლექსს უცბე შებოლავს
დრო და ვიწყების ტანებით და მტვერით.
ის, რაც ხალხისთვის სასარგებლოა
ლამაზიც არის და მიწვიდეელი.“

და ვით ღიღილოს, ვეტყვი მათ წუნარად:
სნათლად მზისა რად უნდა გერგოთ?
დღე იმრიალოს ქვეყნად, ვით ყანამ,
ლექსმა ლამაზმა და სასარგებლომ!..“

ლექსში „რიკა“ ავტორი გამოხატავს ქართ-
ველი ხალხის სიყვარულსა და შეგობრულ და-
მოკიდებულებას მოძვე-ღატების რესპუბლიკის
ღელაქალაქისადმი.

„საქართველოში იტყვიან ხშირად:
დაი ჰყავს თბილისს ბაღტის პირად“.

დავისებური გააზრებითა და მხატვრული
სიძლიერით ხასიათდება ლექსი „გველიც არა

მკენისო გუთნის დედას“. ამ ლექსში პოეტი
ენება ქალაქის შირის სატრფილი ურთიერ-
თობას. გამარჯვებული სიყვარდებმეც ქვეყანა-
ში არ არსებობს სიყვარულზე დაქსოვებზე
შრომისაგან მოწყვეტით. შრომის პროცესში,
ადამიანთა შირის კეთილშობილურ ურთიერ-
დამოკიდებულებაში მდიდრდება და შინაარსიანი
ხდება ყოველი ცალკეული ინდივიდის სუ-
ლიერი სამყარო. შრომაში ელინდება და მალ-
დება ადამიანის შორალური და სულიერი თვი-
სებანი „დღეს ვაქაცს მარჯვენა შრომაში
შეენს“ — ამბობს პოეტი.

კრებულში წარმოდგენილ სხვა ლექსებიდან
უნდა აღინშნოს ლექსი „უღაანა ბაბანა“.
პოეტს კრემლი, ს.ე. ალკე XI ყრილობაზე
გაუცვია ახალგაზრდა ცემბირელი გოგონა,
რომლის გმირობას მონადირულ საქმეებში დი-
დად განუცვიფრებია პოეტი და შთაფრებია
შემოსხენებული ლექსი.

საბავშვო ლექსებიდან გამოირჩევა „სახჭოთა
არშია“. პოეტი მოუთხრობს ბავშვებს სახჭოთა
არშიის გმირ მებრძოლებზე, რომლებმაც

„ბერლიანამდე სდიეს დუშმანს,
შაშის ზარი დასცეს
და აღმართეს ძლივის დროშა
რაიხსტაგის თავზე“.

ამ სამკედროსასიცოცხლო ბრძოლებში სახ-
ჭოთა მებრძოლებს წინ მიუძღოდათ ლენინ-
სტალინის პარტიის ძლიეამოსილი დროშა,
„დროშა“ დიდი ოქტომბრისა, გამარჯვების დი-
და დროშა“. ეს დროშა დღეს გამარჯვებულ
ხალხს წინ მიუძღვის თავისუფალ შრომასა და
შვეიდიბისათვის ბრძოლაში. ნაზი გრძობით
და ღრმა განცდითა დაწერილი ლექსი „დედა“.
პოეტი აცნობს ბავშვებს, რომ ყოველივე კარ-
გი ამ ქვეყნად — კეთილშობილება, სიყვარული,
სინაზე, ბედნიერება, სისპეტაკე და სხვა შრ-
ვალი საუცუეთესო თვისება დაკავშირებულია
დედასთან. „დედაა ბედნიერების, საკეთის ვა-
შისამხველი, მითომ უწოდეს სამშობლოს დედა-
სამშობლოს სახელი“. პოეტი კონკრეტული
მხატვრული სახეებით ხატავს ბუნების სურ-
თებს, ბავშვთა ხალისიან და ბეჯითს დამოკ-
დებულებას სწავლისადმი, შრომითი საქმიანო-
ვისადმი. ამ თემატიკური რეალის ლექსებიდან
აღსანიშნავია აგრეთვე „გაზაფხული“, „ბავშვი-
ბა და შემოდგომა“ და „ხარბოები“.

სახჭოთა ქვეყანაში ბედნიერი და წარმატეია
ჩვენი ნორჩა თათბა, სახჭოთა ახალგაზრდობის
ცხოვრება. ჩვენი ახალგაზრდობა გმირული
შრომისა და წარჩინებული სწავლის მოწინავე
ახალგაზრდობაა, რომლის გზა და მომავალი ვა-
შუქებულია ლენინ-სტალინის პარტიის ყოე-

ლისმძლე იდებოთ. ამ ბედნიერ და გმირ ახალ-გაზრდობას ი. ნინეშვილი უძღერის და აღი-ღებს საქ. აღკ. XVII ყრილობაზე წარმოთქმულ ლექსში „ახალგაზრდობა“:

მე თქვენს გმირობას სიმღერით ვაჭებ, მაგრამ სურვილი კალამს გავანდებ, რომ თქვენს წინსვლას და ვაჟაკურ საქმეს პოეტის სიტყვაც ვაუთონაზრდეს.

წინათ მგოსანი ნაღარით, სტვირთ გმირებს უხმობდა თავგანწირული... დღეს თეთ მთავიზმოს ამღენი გმირი, ჩვენ კი არ გვეოფნის სიტყვა გმირული“.

ეს ლექსი საუკეთესო ლირიკულ ნაწარმოებად უნდა ჩაითვალოს კრებულში მოთავსებულ ლექსთა შორის.

ღრმა იდეურობასთან ერთად პოეტის ლექსებს ახასიათებს მოხდენილი მხატვრული ფორმა, რაც კიდევ უფრო მიმზიდველსა და ესთეტიკურად ღირებულს ხდის მის პოეზიას, მხატვრული სახეები და შედარებები საკმაოდ მდიდარი და შეტყვევლი აქვს, პოეტური ფრაზა ლაკონური და აზრანა. მის ლექსებში ხშირად გვხვდება კარგი მეტაფორა, მხატვრული თქმა და შედარება. მაგალითისათვის შეიძლება მოვიყვანოთ შემდეგი სტრიქონები: „ვით ბერიკაცებს, ჭადრა თაგზე ნისლის ქულები მოედროთ მთებსაც“ („სახალწლო ბაათი ბელადს“).

ლექსში „ღ. ბერიას“ გამოყენებულია ასეთი პოეტური შედარება: „ალაზნის ველზე შერბა არხი, ვით ვერცხლის ქამარი“. ასევე კარგი სახეა: „ნისლი დილისა მხრებზე, გვეხვი, დედის თავშალად“. ლექსში „სურათები ნინოშვილის ცხოვრებიდან“ სტროფში საცხებით ბუნებრივადა ჩასმული შედარება:

„მთავრე მოხრილა სარკმელში, როგორც გლეხკაცის ნაშალი“.

ი. ნინეშვილის პოეტური ენა დახვეწილი და გამჭვირვალეა. მაგრამ, სამწუხაროდ, ზოგიერთ ლექსში გვხვდება არზუსტი გამოთქმა და მხატვრული შედარება. მაგალითად, ლექსში „რიგა“ არის შედარება — „თვალეზი ლურჯი, როგორც სურვილი“, რაც სიზუსტესა და გარკვეულობას მოკლებულია. მეორე ლექსში „სანდროს წისკვილი“ გვხვდება კუთხური გამოთქმა „წაგვიყვა ახალუხონი“. პოეტის მიერ შექმნილი კომპოზიტი — „ლექსკაცო“ ვფიქრობთ ვერ დამყვიდრდება ქართული ენის ლექსიკურ საგანძურში. გვხვდება აგრეთვე არქაული გამოთქმა „მოსავ, ითვ მტერი ბორბი“ და სხვა.

ი. ნინეშვილის ახალი ლექსების წიგნი ნიჭიერი პოეტის შემოქმედებითი წინსვლის უდავო მაჩვენებელია.

სიმონ აკვილაძე.

სიმონ წყნარავა „გმირის ღიმილი“

აფხაზეთის სახელგამი, 1950 წ.



ს. წყნარავას წიგნი მოთხრობებისა და ნარკვევების ორ განყოფილებასთან შედგება, ნარკვევებში ავტორი გვიჩვენებს აფხაზეთის სოფლის მეურნეობის მოწინავე ნოვატორთა ცხოვრებას, მათ შემოქმედებით მუშაობას. ცოცხლად და დამაჯერებლადაა დახატული მთელი რიგი სოციალისტური შრომის გმირთა სახე. მკითხველს ხედავს სოციალისტური შრომის ძალას, იმ დიდ მაკოცხლებელ წყაროს, რომელშიც ბედნიერება მოუპოვავს გლეხობას. მართალია, ნარკვევი პირველ რაგში ფაქტობრივ კონკრეტულ მასალაზე უნდა იყოს აგებული, მისი პერსონაჟები რეალური ადამიანებია, მაგრამ ეს იმის როდი ნიშნავს, თითქოს ნარკვევი

შემოქმედებითი ფანტაზიისა და მხატვრულობის გარეშე შეიძლება წარმოვიდგინოთ.

ნარკვევში „ავაგებელი სოფელი“, მწერალი გვიამბობს ოჩამჩირის რაიონის, სოფელ ახალდაბის ლესელების სახელობის კოლმეურნეობის ცხოვრებაზე, მის საქმიანობაზე. ვეცნობით იმას, თუ როგორ დაეუფლენ მიწის ახალ იდეალზე დასახლებული კოლმეურნენი, როგორ გახდნენ ისინი შეძლებულნი.

ლესელების სახელობის კოლმეურნეთა ცხოვრება დამახასიათებელია არა მარტო ოჩამჩირის რაიონისათვის, არამედ მთელი საბჭოთა აფხაზეთისათვის, მთელი ჩვენი ქვეყნისათვის, სადაც შრომა ვახდა დიდების, სიმამაცის და

ღირსების საქმედ. კონსტანტინე გოლეთიანი, ივერიან ბერძენს და ვანო ომანაძემ შრობილი არის სოფელი ასახელეს. მათ მოქმედებაში გამოხატულია სოციალისტური შრომით ვატაციებული ადამიანების მთელი ბუნება. როდესაც კიახულობთ „აყვავებულ სოფელს“ თვალწინ წარმოგიდგებათ აფხაზეთის თითქმის ყველ სოფელი, კოლმეურნეობები, რომელნიც ბაღებად არის მკეცული.

ვიქტორ შელა მიწურინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარეა. იგი თავმჯდომარეა, თავის თავზე ნაკლებად ლაპარაკობს, მაგრამ თუ საუბარი საქმეს შეეხება, აქ უკვე არაფერს ვრიდებ. ვიქტორ შელა თამბაქოს დიდი ოსტატია. იგტორი ალაპარაკებს გმირის იმის შესახებ, თუ როგორ უყლის იგი თამბაქოს პლანტაციებს. მწერალი ვიქტორ შელას გამოკვლევას სხვებსაც უხიარებებს.

მწერალი ნარკვევებში გადმოგვცემს არა მარტო იმას, თუ კოლმეურნეობა შრომადღეზე რა მიიღეს, არამედ იმასაც, თუ რა მეთოდით მოაზოვა თვითუელმა მათგანმა მალალი მახევენებლები.

სოციალისტური შეჯიბრება ჩვენი მეურნეობის განვითარების ერთ-ერთი ძირითადი პირობაა. ს. წევრავას ნარკვევებში „შრომის სიმღერა“ შეაფიოდ ჩანს, თუ როგორ იბრძვიან სამუშაო ადამიანები სახელმწიფოს დოვლათის გადიდებისათვის, საბჭოთა ადამიანის მატერიალური პირობების ამაღლებისათვის. მწერალი ვრიდებდა ყალბ პათოსს. ფაქტები მხატვრული სახეებშია მოქცეული, მოთხრობილია სადღ, უბრალოდ.

ნარკვევში „მოგვარება შეხვედრა“ მთავარი პერსონაჟია მთელს აფხაზეთში სახელგანთქმული მევენახე ივანე მირცხულავა. იგი სოციალისტური შრომის გმირია, მისი ვენახი სანიმუშაა, ცხოვრება კი მრავალფეროვანი. მან 1949 წლის 1 სექტემბერს სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის მინისტრისაგან მილოციის დებეში მიიღო. მაგრამ ნარკვევი მარტო ივანე მირცხულავას პიროვნების, მისი საქმიანობის აღწერით როდი იფარგლება.

იგტორი გადმოგვცემს მოწინავე მწერლის ილიო მირცხულავასა და ივანე მირცხულავას შეხვედრის ამბავს. პოეტი სტუმრად ეწვია სუხუმის ჩაიონის რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობას. აქ მან ვაიკრო სოციალისტური შრომის გმირი, ქვეყნისათვის საამაყო ადამიანი მერგოლური ივანე მირცხულავა.

თუ გაიხსენებთ ვ. და ვლ. არშას სახეებს ნარკვევიდან „ამა და შეილა“, დატრწუნდებით რაოდენ ორგანულად არის დაკავშირებული საბჭოთა ადამიანის პირადი ცხოვრება სა-

ზოგადობრავ, სახელმწიფოებრივ ინტერესებთან.

არშმა სოციალისტური შრომის გმირის მალალი წოდებით არის დაჯილდოებული. იგი თავის ბედნიერებას ახალი სახის შრომაში ხედავს და თავის ცხოვრებას ხალხის ცხოვრებას უკავშირებს. ამიტომაც, რომ ოჩამჩირის ჩაიონის სოფელ ტყეარჩელის სტალინის სახელობის კოლმეურნეობა ამჟამს არსებობს ოჯახით. მაგრამ მარტო არშმა ხომ არ არის გამსჭვალული თავისი ქვეყნისადმი, სოციალისტური შრომისადმი სიყვარულის. მალალი გრწმობებით? რასაკვირველია, არა. არშმა ერთ-ერთი იმათგანია, რომლებიც მთელი თავიანთი არსებით იბრძვიან კომუნისის სრული გამარჯვებისათვის. ნარკვევებში ჩვენ მრავალ არშებს ვხვდებით. ისინი შემოქმედებითი შრომაში ხედავენ თავიანთი სიცოცხლის აზრს და უსაზღვროდ ერთგულნი არიან დიდი სტალინისადმი, სამშობლოსადმი.

ნარკვევებში ასახული იმის შემდგომ საკოლმეურნეო ცხოვრებას ქუპირისპირდება საკოლმეურნეო მშენებლობის პირველი ეტაპი.

მოთხრობა „განთიადში“ და „მეკვლევის უბანში“ იგტორი გვიჩვენებს იმ წინააღმდეგობებს, რომელიც წარმოიშვა სოფლად საკოლმეურნეო მშენებლობის პირველ პერიოდში. სოფელ გულუხუნის მოწინავე ადამიანებმა გადაწყვეტილება მიიღეს კოლმეურნეობის ჩამოყალიბების შესახებ. ჯოტო, ბონდო და სხვების მისწრაფებას წინ აღუდგა სოფლის ბობოლა ბარდლა ბარათელია. ბარდლა და ლაზარე ყოველგვარი საშუალებას ხმარობდნენ, რათა სოფელი კოლმეურნეობის გზას აეცდინათ. ბარდლას მოქმედებაში ჩანს გაწირული კლასის სახე. იგი არაფერს არ ვრიდებდა, რომ თავიდან მოციელოს ჯოტო, რომლის ინიციატივით დაიწყო სოფელში მშრომელი გლეხობის დარაზმვა სოციალისტური მეურნეობის გარშემო.

მიუხედავად იმ წინააღმდეგობებისა, რომელსაც კულაკობა ეწეოდა სოფელ გულუხუნში, კოლმეურნეობა მანაც ჩამოყალიბდა. ჯოტო, ბათლომე და ლუკა გამარჯვებული ადამიანები არიან.

მართალია, ნაწარმოებში მოკვლევი სწორად არის დანახული, ამბავი ბუნებრივად იშლება, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, თითქოს ს. წევრავას მოთხრობებში ყველაფერი რიგზე იყოს. მოთხრობა „განთიადში“ განვითარებულია ტერმინის თავდასაცავად. კოლმეურნეობის კრება ისმენს საკითხს იმის შესახებ დატოვებული იქნას, თუ არა კოლმეურნეობის წევრად ტერმინია. და ეს საკითხი ისეთ დიდი პრინციპად

არის გადაქცეული, რომ ნაწარმოების ძირითადი თემა იზრდილება.

ავტორი აქ მკაინიკურად ათულებს მოთხრობის სიუჟეტს. ხშირად ნაწარმოების მთავარი გმირების მსჯელობა ზოგადი ხასიათისაა. ზოგჯერ მათი საუბრის კილო არ არის დახვეწილი. ჯოტოს, რომელიც თავისი კეთილი სურვილებით და ნებისყოფით მათხვევს იზიდავს, მოქმედებაში აკლია მხატვრული დამაჯერებლობა.

არადამაჯერებელ ამბებს ეხედებით ავტორთვე მოთხრობაში „მშვედლების უბანში“. პარტკომში პარტიის წევრები და კომპაგმირებები მსჯელობენ იმის შესახებ, თუ ვინ უნდა იქნეს გასახლებული სოფლიდან. როდესაც „ლევანმა კითხვა დაიწყო, — ბოლოცა, გოთოშია. ამ ორი გვარის ამოკითხვისას ხმაურს, სიცილს და სიხარულს ვიღაცამ სიმღერა შემოაპარა. ერთბაშად ავღუნდა დარბაზი“ (გვ. 130). შემუშუბელია ვმღერნათ ისეთ სერაიოზულ სხდომასზე, სადაც წუდებოდა კულაკობასთან გადამწყვეტი ბრძოლის საკითხი.

მოთხრობის მთავარი გმირი ლევანი, რომლის ხელმძღვანელობით სოფელში მნიშვნელოვანი ღონისძიებანი გატარდა, ხშირად არაბუნებრივად ლაპარაკობს. — „მახსოვს შენი პოპოშინკობა. ძველი პოპოშინკია, გლუხებო. პრისიკის მგლობარი და ლაქია იყო. საღდათებს ძალით მიერეკებოდა ვინაში“ (გვ. 142.)

ლევანი კრებებზე განზრახ ამბიინჯებს ენას. ცხადია, აქ ავტორი ცდება. ლევანის ენა ყველგან ერთნაირი უნდა იყოს.

საკომეურნეო წყობილება განმტკიცდა კულაკობა, რეგორც კლასი, დიდი ხანია განადგურებულა, გუშინდელი ღარიბი ქლეტი დღეს მშვედლებელი კომეურნეა, იმხან კანკაძეძე ნიშნითაა, სოციალისტურმა შრომამ მას სრული ბედნიერება მოუპოვა. აი, რა არის ასახული მოთხრობებში „ლევან ლეშკაშელი“, „ბრიგადირიანი“, „სიყვარული“ და „ტყის კაცი“.

ამ მოთხრობების გმირების ცხოვრება დამაჯერებლად არის დახატული.

სამამულო ომის თემასეა დამწერილი მოთხრობები: „მოლაშქრენი“, „თედორე“ და „გმირის ღიმილი“. ამ უკანასკნელი მოთხრობის მთავარმა გმირმა ვლადიმერ ხიდაშელმა ხუთი წელი სამამულო ომის ფრონტზე დაჰყო. ომიდან დაბრუნებული კომეურნეობას ჩაუდგა სათავეს. მან აქაც ისახელა თავი. ჩვენი ხალხის მძალი პატრიოტული შეგნება კარგად ჩანს ავტორთვე მოთხრობებში „თედორე“ და „მოლაშქრენი“.

ს. წვერავას წიგნში გამოხატულია ხალხთა სტალინური მეგობრობა, რაც ესოდენ დამახასიათებელია ჩვენი ქვეყნისათვის, ჩვენი სინამდვილისათვის, ჩვენ ს. წვერავასაგან მომავალი უფრო სრულყოფილ მოთხრობებს და ნარკვევებს მოველოთ. შვერავალი კარგად იცნობს საკომეურნეო სოფელს, მის ახალ აღმამანებს, მაგრამ მხატვრულ ნაწარმოებში მათ ასასახეად საჭიროა უფრო ენერგიული მუშაობა. საჭიროა შვერავალმა მეტი ყურადღება მიექციოს ენას, სიუჟეტს, ხასიათს.

3. ზანიშვილი.

„ქართული ხელოვნება“. სსსრ მცხ. აკადემიის ქართული ხელოვნების ინსტიტუტის ინსტიტუტის შრომები, წიგნი III. მცხინერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1960.



ქართული ხელოვნების ძეგლების ნამდვილი მეცნიერული შესწავლა შესაძლებელი გახდა მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს. მხოლოდ ახლა გამოქვეყნდა ქართული ხელოვნების რაობა და სპეციფიკური თვისებები. სწორედ ჩვენს დროში ჩატარებულმა მუშაობამ ნადაგი გამოაცალა დასავლეთის ბურჟუაზიულ ცრუმეცნიერებს, რომელთა აზრით ქართველებს თითქოს არასოდეს არ შეუქმნიათ დამოუკიდებელი ხელოვნება.

„ქართული ხელოვნების“ მე-3 წიგნი გვიჩვენებს, რომ თანდათანობით ფართოვდება ქარ-

თული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის შრომების თემატიკა და კვლევის ობიექტად ხდება ხელოვნების სხვადასხვა დარგი. წიგნი შეიცავს თორმეტ შრომას. კრიტიკისა და ბიბლიოგრაფიის განყოფილებაში გ. ჩუბინაშვილის მიერ განმარტულია შ. ამბრამშვილის „ქართული ხელოვნების ისტორიის“ I ტომი. შრომები დალაგებულია ქრონოლოგიურად და მოიცავს მე-18 საუკუნეებს.

კრებული იწყება იდლევის გელისიისადმი მიძღვნილი ორი სტატიით. ვ. ცინცაძის სტატია ეხება ძეგლის არქიტექტურას, ხოლო

თ. ვირსალაძის სტატია იხილავს კედლის მხატვრობას. იღლებით მცირე შრომის გუმბათოვნის გულსა; რომელიც; გამოკვლევის შედეგად მე-8 საუკუნის პირველ ნახევარს მიეკუთვნა, საინტერესოა იმით, რომ ორიგინალურ ნაგებობას წარმოადგენს როგორც ოთხ-კუთხა გუმბათის შქონე, იგი ერთადერთია ეს ძველი ქართულ ზედათმოდგენების განვითარების ამ საინტერესო პერიოდის სურათს ახალ მასალით ავსებს. და, რაც მთავარია, იგი გუმბათოვნის ძველების ჩამოყალიბების პერიოდის დაზუსტების საშუალებას იძლევა.

ძველი დაზიანებულია, განსაკუთრებით მისი შიდა კედლები, რომლებიც მთლიანად ფრესკული მხატვრობით უფოლია დაფარული. დარჩენილი ფრავენტების მხატვრულ-სტილისტური ანალიზის შედეგად, თ. ვირსალაძე ფრესკებს მე-12 საუკუნით ათარილებს და მათ შიდალ შეფასებას აძლევს.

ჩვენი არსებულ ტაძრების უმრავლესობამ დღემდე ვერ შეინარჩუნა გუმბათოვნი, რადგან ისინი კონსტრუქციულად ყველაზე სუსტად იყვნენ დაკავშირებული ქვედა ნაწილებთან და ვერ გაუძლეს საუკუნეების მანძილზე არც ერთ გზის მომხდარ მიწისძვრებს. ამდენიმე ძველს გუმბათის გრაფიკული რეკონსტრუქცია მოახდინა აკადემიკოსმა ნ. სვეეროვმა. მათგან ყველაზე უკეთეს ნამუშევარს წარმოადგენს მისი „Архитектурный образ Црнин“.

წრომის ტაძარი, რომელიც ქართული არქიტექტურის განვითარების კლასიკურ პერიოდს ეკუთვნის (აგებულია 626—635-ე წლებში) წარმოადგენს მსოფლიო მნიშვნელობის პირველხარისხოვან ძეგლს. მისში გენიალურმა არქიტექტორმა ცალკე მდგარ სვეტზე აღმართული გუმბათოვანი ტაძრის ახალი ტაბი შექმნა, როდის დაინგრა წრომის ტაძრის გუმბათი ცნობილი არ არის. მაგრამ არსებული ნაწილების მიხედვით ირკვევა, რომ შუასაუკუნეებში მისთვის სხვა გუმბათი დაუდგამთ და თავდაპირველი გუმბათის ფრავენტაც კი არ შემონახულა, რომ რესტავრაცია შესაძლებელი უფოლიყო. ავტორს აურჩევია შედარებით ანალიზის გზა, რაც ჩვენი აზრით, სწორია; ავტორი აცთებს მე-8 — 7 საუკუნეთა ქართული და სომხური გუმბათოვანი ძეგლების შედარებით ანალიზს, და ამის საფუძველზე ადგენს წრომის გუმბათის სქემას, შედეგი დამაჯერებელია.

ისტორიული მესხეთის ერთ-ერთ პუნქტში, დღევანდელი ახალციხის რაიონის სოფ. ვიღუშეთში არსებობს ტაძარი, რომელიც მრავალმხრივ არის საინტერესო. იგი კვლევების სავანდ გაუზიარ. მეფისაშვილს. ნაგებობის დღევანდელი სახე სამწიანი ბაზილიკაა, მაგრამ არქიტექტურულ

ფორმათ ანალიზს მეკვლევი იმ დასკვნამდე მიყვანია, რომ ამ თავდაპირველად გუმბათოვანი ეკლესია უფოლია, რომელიც თარიღდება მე-10 საუკუნის უკანასკნელ მუხამსებლი (მოცემულია ამ ტაძრის რეკონსტრუქციის პროექტი). ტაძარი ბევრჯერ შეკეთებულა და საბოლოოდ ბაზილიკური სახე მიუღია მე-16 საუკუნეში, რასაც ადასტურებს ვრცელი წარწერაც.

საქართველოში გავრცელებულ მრავალფასიანი ძეგლებიდან დღემდე შილოდ რამდენიმე იყო შესწავლილი. ვ. ბერიძის შრომა, მიძღვნილი ჭიათურის რაიონში (ისტორიულ არგვეთის ტერიტორიაზე) მდებარე კაცხის ტაძრისადმი, ექსაფსიდიან ძეგლების შესახებ ამომწურავ პასუხს იძლევა. უწინარეს უფოლისა, უნდა აღინიშნოს, რომ მხატვრულ-ისტორიული ანალიზის შედეგად საბოლოოდ დადგინდალ უნდა ჩიათველის სადბონის სადგურ საკითხი-ძეგლის თარიღი. აგრეთვე ვ. ბერიძემ ექსაფსიდიანი ძეგლებში წამყვანი როლი მართებულად მიაცთინა კაცხის საუდარს. ეს ძველი თავისი არქიტექტურული ფორმებით ემსგავსება, როგორც თურქეთის მიერ მოტაცებულ სამხრეთ საქართველოში, რაც ქართულა და კახეთში მდებარე ძეგლებს, რაც ერთხელ კიდევ მოწმობს, რომ მუსულმანად რთული პოლიტიკური ვითარებისა მე-10 საუკუნის საქართველოში კულტურის ერთიანობა არსებობდა.

პროფ. ვ. ზუბინაშვილის შრომა ეხება ეკლესიაში საკუთხელების წინ მდგარ ჭედური ჯერის ნიმუშებს, რომლებიც შემორჩენილა საქართველოს ზოგიერთ კუთხეში. ამ ადგილის ჯერის აღმართვის წინააღმდეგ ბრძოლა ეკლესია და დასავლეთ გეროპოში აგრძალული იქნა კიდევ მე-16 საუკუნეში, ზოლო საქართველოში მე-17 საუკუნეში. მეკვლევის დაკვირვებით, ჯვარზე სიუეტების გამოსახულება რელიეფურ სკენებში დამახასიათებელი ეპახოდების შერჩევით წარმოებდა.

ავტორის მრავალწლოვანი კვლევითი მუშაობის მიღწევას წარმოადგენს დადგენა იმ ფაქტისა, რომ მე-10 საუკუნის ბოლოს და მე-11 საუკუნის დასაწყისში ქართული ქანდაკება ჭედური ზელოვნების საბით აფიფებანს განიცდიდა. მაგრამ, როგორც ეტყობა, ქრისტიანული რელიგია, რომელიც უფოლგვარ ამ ქვეყნიერისა და ზორციელის გამოსახვას სასტიკად სდევნიდა, შეებრძოლა ქანდაკების განვითარებას და დასაწყისშივე ჩაახშო იგი. შემდეგ პერიოდში შეემჩნევა ორნამენტაციისა და სხვა დეკორატიულ ელემენტთა წინა პლანზე წამოწევა და ვირტუოზული დამუშავება.

აღნიშნული ჯერების მხატვრული თავისებურებანი ავტორს განხილული აქვს შევნიერულ

ლიტერატურაში აქამდე არსებულ მასალის სრული გამოყენებით, რაც მას საშუალებას აძლევს ერთხელ კიდევ ამ ახალ მავალითზე, მისთვის ჩვეული სიმამართლი, გააკრიტიკოს ბურჟუაზიული მეცნიერები და დავგანახოს განსახილავ პერიოდში ქართული კულტურის ხელოვნების უფრო მაღალი დონე იმავე პერიოდის დასავლეთისაზე, და ეკანასკნელის დამოკიდებულება პირველთან, რაც აქამდე აზრადაც არ მოსდით და დასავლეთულ „მეცნიერებს“. სწორედ ამ გარემოებაზე ამახილებს იგი ერთგან ყურადღებას და წერს: «О «Кавказском» примере четверть века тому назад и говорить не приходило: на юм — индустриальность такой далекой «византийской» провинции слышном сидела еще в убеждения ученых, даже таких, которые — как М. Розенберг — признавали и развивали утверждения о ведущем значении Востока в ранне-христианское время»

შუასაუკუნეების ეკლესიების ყარება უმნიშვნელო რაოდენობითაა შემორჩენილი, რამდენიმე მათგან ჩუქურთმით და რელიეფით არის დამუშავებული, რაც იშვიათობას წარმოადგენს არა მარტო ჩვენს ქვეყანაში, არამედ საერთოდ. ამათგან სამი უნიკალური ვარა ინახება აკად. ს. ჯიანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში ნიკ. ჩუბინაშვილის დიდი მუშაობა ჩატარებია ამ ნაწარმოებთა მხატვრული სახის გამოსარკვევად და მათი წარმოშობის დროის დასადგენად. მე-11 ს. პირველი მეოთხედის ვართაგან შოლოდ ერთი ჯგუფია ჩვენში შემონახული. უნდა აღინიშნოს, რომ ხის ვარების ეს ჯგუფი მსოფლიო მასშტაბით უნიკალურ კოლექციას წარმოადგენს. სტატიაში რელიეფურად რომ იყოს გამოყოფილი მთავარი მგორებარის სოფლისაგან, იგივე ვაქცილებით მოიგებდა.

ქართულ ეკლესიაში, როგორც არსებულ მასალაში ირკვევა, საკურთხეველი იყო თაღოვანი კანკელით. შლოცველს საშუალება ეძლეოდა თვალუფრო ელემენტებს საკურთხეველში მიმდინარე ცერემონიალისათვის. ეს წესი განსხვავდებოდა საქრისტიანოს სხვა ქვეყნებში მოღებულ წესებსაგან. უმრავლეს შემთხვევაში კანკელი რთული დეკორის შემცველი იყო. მასალად კი ძირითადად ქვას იმზარებდნენ და ნაწილობრივ თანაშრის.

ამ მდლარი ისტორიული ძეგლების ერთი ნაწილი თავმოყრილია მუზეუმებში და დანარჩენი ჯერ კიდევ გაფანტულია საქართველოს თითქმის მთელ ტერიტორიაზე. აქედან ერთი ჯგუფი აულია დასამუშავებლად რ. შერლონგს, რომ-

ლის მხატვრული ანალიზის შედეგად ინან/მე-11 — 13 საუკუნეებით თარიღდება და დამუშავების მზარე უკავშირდება იმავე მკვნიშნის ჩატრტტურას.

შეზღოპიქნება

აქვე მოთავსებულაა გ. ჩუბინაშვილის მეორე სტატია: «К вопросу о национальной форме в архитектуре прошлого», რომელიც წაითხული იყო 1940 წ. თბლისში გამართულ ფერბაიჯანის, სომხეთის და საქართველოს საბჭოთა არქიტეტურების კავშირის კონფერენციაზე. ძველ საქართველოში ნაციონალური ფორმისა და ხუროთმოძღვართა შემოქმედებითი ინდივიდუალობის გასარკვევად ავტორი იღებს შესადარებლად დაახლოებით ერთი ეპოქის ძეგლებს საქართველოში, სომხეთში, ზიხანთაში. ამ ქრისტიანულ ქვეყნების ძეგლებში: ფიორეთის, თეალონიკის, გეპარტის და სხვათა კონსტრუქციულ და ხუროთმოძღვრულ-მხატვრული ფორმათა სხარტი და მეტყველო ანალიზის შედეგად ნახვენებია ის თავისებურებანი და დამოუკიდებელი, ინდივიდუალური სახე, რომელიც დამახასიათებელია ამა თუ იმ ერისათვის.

ამ სტატიათ გ. ჩუბინაშვილი ერთხელ კიდევ სათანადო პასუხს აძლევს ბურჟუაზიული ქვეყნების ამ მეცნიერებს თუ მეცნიერების მოყვარულთ, რომლებიც მსოფლიო ხელოვნების ისტორიას წერენ დიდი პრეტენზიით. მაშინ როდესაც, ჯერაც ვერ გაურკვევიათ ცალკეული ქვეყნების ნაციონალური ფორმები. ამ მხრივ განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ამ სტატის დასკვნით ნაწილის ერთი ადგილი, სადაც ვკითხვლობთ:

«Так как это не случайное явление, а рассмотренные примеры являются типичными, характерными, меняющимися во времени постепенно и закономерно — там и тут — то мы вправе, кажется, говорить о специфической, самобытной форме архитектурных памятников не только в Византии, но и в Грузии. И квалифицировать такие результаты исследовательской работы позорной кличкой «шовинизм» — мягко выражаясь — недобросовестно. Она из жгучих, актуальных проблем сегодняшнего дня в науке — именно, выявить, понять и проследить ход развития и сложения национального лица в культуре вообще и в архитектуре в частности, что одно может помочь правильно оценить вклад в сокровищницу общечеловеческой культуры. Обезличенное включение Грузинской или Армянской архитектуры в прославленную архитектуру Византийской империи при затыкании прорех в составе

ее памятников, оставляя все остальное в стороне, есть заблуждение, ибо исходит не от материала искусства, а от конфессионального объединения и противопоставления «православного» Востока «католическому» Западу». (გვ. 196 — 197).

მდღარი ქართული კრამიკა თითქმის შეუსწაველია. უკანასკნელ წლებში ამ მხრივ ნაყოფიერად მუშაობს ზ. შიხურაძე. მის მიერ განხილულია სამწევრისის მავზოლეუმი, რომელიც ავტორის დასკვნით ავებულია შერაბ ფინასკერტელ-ციციშვილისათვის მისი მემკვიდრეების მიერ მე-16 ს. ბოლოს. ამ პატარა ნაგებობის კედელი შიგნით და გარეთ მართულია ორნამენტოვან და რელიეფურ კომპოზიციებით. როგორც ავტორი ვგაუწყებს, საქართველოში შორეულეცხბი იშვიათ მოვლენას წარმოადგენს, ხოლო რაც შეეხება სამწევრისის ფილავს, მათზე გამოსახული ორნამენტები და რელიეფური კომპოზიციები ძველ მოტივთა ვადამღერება და შესრულების ტექნიკის მხრივაც დაბალ დონეზეა. ეს დამახასიათებელია არა მარტო ამ ძეგლისათვის, არამედ ამ საუკუნის ხუროთმოძღვრებისათვის საერთოდ.

განხილულ შორეულეცხბის მხატვრული მხარე მართლაც მდარეა, მაგრამ სტატიის წაკითხვისას ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქმის ზედმეტი იყო ამ შორეულეცხბის გამოკვლევა. ჩვენი აზრით კი ამ საკითხის ვაშუქება აუცილებელი იყო, მხოლოდ აღწერისას ავტორს ვერ დაუცავს ზომიერება.

მე-18 ს. შფოთიანი ეპოქა წარმოადგენილია ორი ნარკვევით, რომლებიც ერთმანეთს ავსებენ და იმ საუკუნის შედარებით მთლიან სურათს იძლევიან. პირველი მათგანი ს. ბარანველის ნარკვევი — საბა ტუხისშვილის „ანდერძისებრი ღუნანი“ ეხება ერეკლე II თანამედროვის ნინოწმინდის ეპისკოპოსის ანდერძს, ასეთი სახის ანდერძებით ჩვენ ღარიბნი ვართ. ეს ყოველმხრივ დამუშავებული „ანდერძი“ საშუალებას ვვაძლევს აღვადგინოთ მრავალი ხუროთმოძღვრული ტერმინი, ამას ვარდა, „ანდერძს“, როგორც ავტორიც შენიშნავს, დიდი მნიშვნელობა აქვს სამართლის, ეკონომიკის, მატერიალური კულტურის და გუგისის ისტორიისათვის. საბას აღუდგენია ნინოწმინდის ტაძრის გუმბათი, რაც ვერ აკმაყოფილებდა საამშენებლო ტექნიკის მოთხოვნებს. ამან თავისი შედეგი მალე ვამოიღო, გუმბათი ჩამოინგრა და კინაღამ ტაძარი მთლიანად იმსხვეტრა. გუმბათის ასე უხიროდ

ავების მიზეზის ახსნაში ვერ დავეყენებებით ავტორს, რომ თითქმის „შესაძლავა, ამ დროს საქართველოში ძვირად თუ მოპოვებოდა ქართული გუმბათების ხუროთმოძღვრება“. ამ დროს „გუმბათების ხუროთმოძღვრება“ რომ მოპოვებოდა ამის დამადასტურებელი თვით გუმბათოვანი ძეგლებია. აქ საჭირო იყო სხვა მიზეზის გამოძებნა. იმავე პერიოდში საბას ტაძრის ვალავანი ვაუმარებია, მაგრამ ყველაზე საინტერესოა მის მიერ 1774-77 წლებში ავებული სასახლე. სწორედ ამ სასახლისადგმა მიძღვნილი ლ. რაჭუნიშვილის სტატია.

საერთო ხუროთმოძღვრების ძეგლები ცოტა მოგვეპოვება, და რაც არის, ისიც მეტწილად შეუსწაველია. ეს ვარემოება აიძლეებს ავტორს მეტი ადგილი დღეთმის ზოგად საკითხებს. არსებულ მასალაზე ვაყრდნობით, ავტორი სრულ დამაყრებლობით იძლევა ისტორიულ მიმოხილვას მე-9 საუკუნეიდან ვიდრე მე-19 ს. ჩითვლით. მის მიერ მოხსენებული საცხოვრებელი ტაბები, თუმცა ვერ ამოსწურავენ ამ თემას, მაგრამ დღემდე არსებულ ლიტერატურასთან შედარებით მაინც სრულად უნდა ჩითვავოს.

წიგნი კარგ ქალღღება დაბეჭდილი, დართული აქვს ასზე მეტი ტაბულა ფოტოსურათებით, ტექსტშიც მრავალი ნახში და ნახტია. წიგნი მოთავსებულია ავრეთვე აწ ვანსვენებული აკადემიკოს ე. ლანსერეს შესანიშნავი ავტარელი, რომელიც ფიტარეთის ინტერირს ასახავს.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ კორექტურული შევლომები მაინც ვაპარულია წიგნში. მაგალითად: „იღვამას“ (გვ. 49), „ХЛОДНОГО“ და სხვ. არის ვაუმართავი წინადადებებიც და სტილისტიკური შევლომებიც. მაგალითად: „მათი შემეკლობა დეკორატიული მორთულობით“ (გვ. 49), „აღვიაროთ“ (გვ. 36, 51), „კტიტორი“ (გვ. 48) და სხვ. არის ასეთი შეუსაბამოვაც, მაგალითად: ქართულად „ოცინდალი“ რუსულად „оциндали“. გვებება დაცვირებლობაც, როდესაც ერთ და იმავე სტიტაში ვიორგი ლაშის მეფობის თარიღები ორჯერაა მოცემული და, ორივეჯერ განსხვავებული შევლომებით (გვ. 142 და 181); ერთ-ერთ სტიტაში ზაქარია მხარგრძელი სრულად უმართებულად სომხადაა აღიარებული (გვ. 197).

მიუხედავად ამ ნაკლოვანებისა, ქართული ხელოვნების“ III წიგნი კარგი შენაშენია ქართული ხელოვნებათმცოდნეობისათვის.

3. ზაქარია.

სხალი ნიშნები



საქმიდგამი

- საოჯახო სამკურნალო ცნობარი — რედ. ნ. უფშიძე, გვ. 644, ფასი 10 მან.
- ზაზა ფანაჭერტელი — სამკურნალო წიგნი (კარბადინი), რედ. მ. საყაშვილი, გვ. 508, ფასი 25 მან.
- ა. ჭურჩიშვილი — პირველი დახმარება, რედ. ო. ჭუმბურიძე, გვ. 66, ფასი 2 მან.
- მ. ჩანავა, ვ. ბოქორიშვილი — მოყინვა, რედ. კ. ვეფხვაძე, გვ. 21, ფასი 1 მან.
- ლ. შაბაძი — კიბოს პრობლემა, რედ. კ. ვეფხვაძე, გვ. 27, ფასი 1 მან.
- კ. ქათარაძე — ბავშვთა დამზღა, რედ. ა. რუხაძე, გვ. 14, ფასი 1 მან.
- აღ. უსტიაშვილი — ქალის ჰიგიენა, რედ. ვ. დამპარაშვილი, გვ. 24, ფასი 1 მან.
- გ. ჩარქიშვილი — ფიზკულტურების ჰიგიენა, რედ. ვ. თვალაძე, გვ. 30, ფასი 1 მან. 50 კაპ.
- ა. ძნელაძე — ქალის უნაყოფობა (უშვილობა), რედ. ბ. კოპალეიშვილი, გვ. 43, ფასი 1 მან.
- კრებული (უბნის ექიმთა დასახმარებლად), წიგნი მერ, რედ. ა. წულუაძე, გვ. 34, ფასი 2 მან.
- ა. ხმალაძე — წყლით მომარაგების ჰიგიენა კოლმეურნეობაში რედ. ა. ასათიანი, გვ. 19, ფასი 1 მან.
- ო. პავლოვი — ცხოველთა უმადლესი ნერვული მოქმედების ობიექტური შესწავლა (თარგ. ნ. წუწუნავასი), რედ. ა. გელაშვილი, გვ. 38, ფასი 1 მან.
- ა. პავლოვი — ბუნებისმეტყველება და ტენი, (თარგ. ნ. წუწუნავასი), რედ. ა. გელაშვილი, გვ. 16, ფასი 50 კა.
- ო. პავლოვი — უმადლესი ნერვული მოქმედების ექსპერიმენტული პათოლოგია (თარგ. ნ. წუწუნავასი), რედ. ბ. გვერტაძე, გვ. 23, ფასი 1 მან.
- ა. პავლოვი — პირობითი რეფლექსი (თარგ. ნ. წუწუნავასი), რედ. ა. გელაშვილი, გვ. 27, ფასი 1 მან.
- ა. პავლოვი — უმადლესი ნერვული მოქმედების მოკლე ნარკვევი (თარგ. ნ. წუწუნავასი), რედ. ბ. გვერტაძე, გვ. 22, ფასი 1 მან.
- ა. პავლოვი — უმადლესი ნერვული მოქმედების გამოკვლევა (თარგ. ნ. წუწუნავასი), რედ. ბ. გვერტაძე, გვ. 24, ფასი 1 მან.
- ა. პავლოვი — ცხოველთა უმადლესი ნერვული მოქმედების ობიექტური შესწავლის უბ-
ლესი მიღწევები (თარგ. ნ. წუწუნავასი), რედ. ბ. რაჭველიშვილი, გვ. 27, ფასი 1 მან.
- ა. პავლოვი — პირველი მტკიცე ნაბიჯები ახალი გამოკვლევის გზაზე (თარგ. ნ. წუწუნავა-
სი), რედ. ბ. რაჭველიშვილი, გვ. 26, ფასი 1 მან.
- ა. პავლოვი — უმადლესი ნერვული მოქმედების ფიზიოლოგია (თარგ. ნ. წუწუნავასი), რედ.
ბ. რაჭველიშვილი, გვ. 17, ფასი 50 კაპ.
- ა. პავლოვი — ექსპერიმენტული ფსიქოლოგია და ფსიქოპათოლოგია ცხოველებზე (თარგ.
ნ. წუწუნავასი), რედ. ა. გელაშვილი, გვ. 39, ფასი 1 მან.

შინაარსი



უკვდავი გორკი, ჩვენი გორკი — მოწინავე 3
 2. ნიკოლაევი — შემოქმედებითი მარქსიზმის გენიალური ნაწარმოები, წერილი 7

იაკინთე ლისაშვილი — ერთგულება, რომანი, დისასრული 12
 ნიკოლოზ ტიხონოვი — წიგნიდან „საქართველოს ვახუშტი“. ლექსები ხარ-
 ტონ ჯარდოშვილის, ვრიგოლ ცეცხლაძისა და ვიქტორ ვა-
 ბესკირიას თარგმანები 37
 ალექსანდრი ძუთათელი — პირისპირ, რომანი, წიგნი მეოთხე, გაგრძელება 42
 მიხეილ გვლივიძე — თბილისი, ლექსები 61
 ზურაბ ლორთქიფანიძე — ორი ლექსი 63
 ოთარ ჩიჭავაძე — ეს მოხდა აფრიკაში, მოთხრობა 64
 გონდო ქველაძე — შინაოფსსის მფრულე, ლექსი 78
 შალვა ფორჩხიძე — ნაქერალს ქედზე, ლექსები 80
 ვასილ ქოჯაჩიძე — ახალი ნიაღვარი, მოთხრობა, გაგრძელება, თარგმანი რ. გვე-
 ტაძისა 83
 ბიორბი შაჟურიანი — მშვილობა დაძლევე ომს, ლექსი, თარგმანი ოთარ ქველ-
 ძისა 113
 კავში ინგოროვია — ილია ჭავჭავაძე, წერილი 115
 კონსტანტინე ლორთქიფანიძე, ლავროსი კალანდაძე — ერთი თარგმანის
 გამო, წერილი 148
 სარბის ცანიშვილი, რივაზ თმარაძე — გალაკტიონ ტაბიძე „თხზულე-
 ბანი“ ტ. VII, ბიბლიოგრაფია 158
 ნოდარ ქუჩავა — სერგო კლდიაშვილი „ახალი მოთხრობები“,
 ბიბლიოგრაფია 161
 სიმონ არველაძე — იოსებ ნონეშვილი „ახალი ლექსები“, ბიბლიო-
 გრაფია 163
 3. შანიშვილი — სიმონ წვერავა „გმირის ღიმილი“, ბიბლიოგრაფია 165
 3. ზაპარაია — „ქართული ზელოვნება“, შრომები, წიგნი III, ბიბ-
 ლოგრაფია 167
 ახალი წიგნები 171



პასუხისმგებელი რედაქტორი
 ირაკლი აბაშიძე
 სარედაქციო კოლეგია:

ნიკოლოზ აბიაშვილი (პასუხისმგებელი მდივანი), ლევან ასათიანი,
 შალვა აფხაზიძე, კონსტანტინე ლორთქიფანიძე, ილო მოსაშვი-
 ლი, შალვა რადიანი, ლიო კიაჩელი, სიმონ ჩიქოვანი, ოთარ
 ჩხეიძე, სარბი შილაია.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 16/VI-51 წ. ნაბეჭდ ფორმათა რაოდენობა 10,75.
 ში 03506. შვევ. № 351. ტირაჟი 5,500.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული პოლიგრაფიული მრეწვე-
 ლობის გამომცემლობისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სამმართველოს ბეჭდვითი
 სიტყვის კომბინატი, თბილისი, მარჯანიშვილის ქ. № 5.

რედაქციის მისამართი: მარჯანიშვილის ქ. № 5. ტელ. 3-23-42.

Комбинат печати Управления по делам полиграфической промышленности,
 издательства и книжной торговли при Совете Министров
 Грузинской ССР. Тбилиси, ул. Марджанишвили, № 5.